

F749  
1999

# မေတ္တာစာအုပ်



3-4

---

1999





### გატონო შოთა!

ეს გოლო ნომერია, რომელსაც თქვენ ხელი მოაწერეთ, როგორც მთავარმა რედაქტორმა... და ძალიან გვატკინეთ გული. ამდენი ხნის განმავლობაში ერთად მუშაობის პერიოდში თქვენ ჩვენი ხმალის იყავით და ფარის! თქვენს გვერდით მშვიდად ვმრომობდით და გვეამაყებოდით — დიდი პოეტი, დიდი მოღვაწე, დიდი ადამიანი. რა გითხრათ? სათქმელი კი გვერია, მაგრამ სიტყვა უძლურია ასეთ დიდ უბედურებასთან.

მშვიდობით, ძვირფასო ადამიანო! ჩვენ კი მუდამ გვემახსოვრება ჩვენი გოლო შეხვედრა თქვენთან. როგორ გავშვივით გაიხარეთ და გულწრფელად მოგვეფერეთ! თურხე გვემშვიდობებოდით სამუდამოდ, რაოდენ მხარე სიმატლვა პოეტის ნათქვამი:

„სიკვდილი რა არის, ჩვენ ყველა მოვკვდებით, ოღონდ განშორება ძალიან ძნელია!“

საუნჯელები



# საშენაე

1999/3-4

მინი  
საკონტო

ეროვნული (ქიო)  
ბიბლიოთეკა



## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ფრანსუა რაბლე. გარბანტუა და პანტაპრუელი. ვაგრძელება. თარგმნა გურამ გოგიაშვილმა . . . . . 3

ვამიდა ენსფორდ ჯონსონი. განსაკუთრებული ნიჭი. რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ვაღენტინა ტატიშვილმა . . . . . 169

უილიამ კენელი. რკინის ფაშა. რომანი. დასასრული. თარგმნა მედეა შუბადალაშვილმა . . . . . 209

### რელიგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ესე

ეგნატე კავკასიელი. ცათა სასუფავედის შესახებ. თარგმნა ვახილ ბურკაძემ . . . . . 264

დელონკა გვიტიშვილი. გაკარტ კაუტმანის დრამის „მზის ჩასვდის წინ“ პრობლემატიკა . . . . .

მერი ტიტინიოვა. „სინკრუდი სინკრუდეთა და ყოველივე სრული“ . . . . . 292





**საქართველოს მწერართა კავშირი**  
**მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი**

1999, № 3-4

**შოთა ნიჟნიანიძე**

მთავარი რედაქტორი  
**ნანა ღარჩია-ბოლქვაძე**  
 (მთავარი რედაქტორის მოადგილე)

- სარედაქციო კოლეგია:
- ჯემალ აქიაშვილი**
  - მზია ბაქრაძე**
  - ბარანა ბრეგვაძე**
  - გუკამ ბოგიაშვილი**
  - ნორან კაკაბაძე**
  - ნორან ბუკიაშვილი**
  - რენე კალანდია**
  - ლანი ფანჯიქია**
  - გივი შანაზარი**
  - გივი ძეციაძე**
  - ლავით წაკაღიანი**

ტექნიკური რედაქტორი  
**ნანა ბარათია**

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, დესელიძის ქ. №4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი – 93-47-31, მთ. რედაქტორის მოადგილე – 99-60-22. განყოფილებათა გამკვები – 72-26-30.

გად. წარმ. 5.05.99 წ., ხელმოწ. დასაბუჱდად 4.08.99 წ., ქალაქის ზომა 70X108<sup>1/16</sup> სმ. სააღრ. თ. 20. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 20 ფ. ტირ. 300. ზეკ. 566.

**შანი ვ დარი**

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.  
 თბილისი, მ. კობტაევის 14.



გარბანტუა და პანტაგრუელი

თარგმანი გურამ ზოგიაშვილმა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ძველი პანტაგრუელის საგმირო მეთეობისა და  
სიტყვაბრძნობის მეოთხე წიგნი

აღნაძვისი მეტრ ფრანსუა რაბლესი, მედიცინის დოქტორისა

სახელმორჭმულსა თავადსა და ღირსადკათივლავულსა  
მონსენიორსა ოდეს, შათილიონის კარდინალსა

კარგად მოგეხსენებათ, სახელმორჭმულო თავადო, რაოდენ ბევრნი წარჩინებულნი პირნი დღესაქამომდე უსუსტრად ჩამჩინებენ, შემაგონებენ და ყელგადავლებითა მეხვეწებიან პანტაგრუელის ამბისა გაგრძელებასა და მიზეზად იმას მისახელებენ, რომა ყოველნი ჭუენიერ-მჭმუნვარენი, სნეულნი ანდა კიდევ რაღაცითა შეურვებულნი და გულდამძიმებულნი ჩემი წიგნისა კითხვისას კაეშანსა უკუიერიან, იშვებენ, შეექცევიან, შიგან სიხარულისა და ნუგეშისა წყაროსა პოულობენ. ამისა პასუხად ჩვეულებრივ მიუუგებ ხოლმე, ჩემსა წიგნსა დიახაც თავშესაქცევად ვთხზავდი და ქება-დიდებასა არ გამოვკიდებივარ-მეთქი; ერთადერთი, რაზედაც ვიცნებობდი და რასაც ვესწრაფოდა, ის იყო, რომა ჩემთვის უცნობ ტანჯულ-წამებულთ და საღმობიერ-სატკივრიანთ ჩემი სიტყვა თუნდაც მცირედად მაინც შესწევნოდათ, როგორაც ჩემგან მკურნალობისა და წამლობისა დამჭირნეთ არცვის არ ვაკლებ შეწევნასა.

იმა კაცთ ხან წვლილად ვუწიგნავ, ვითარმედ პიპოკრატემ, მრავალ ნაშრომში, და, კერძოდ, ეპიდემიათა გამო დაწერილ შეექვსე წიგნში, სადაც თავისი მიმღევარი ექიმისა სახე აღწერა, აგრეთვე სორან ეფესოელმა, ორიბასიოსმა, კლ. გალენოსნა, ალი-აბასმა<sup>2</sup> და სხვა ავტორთ დაადგინეს, როგორი უნდა იყოს ექიმი, ანუ რაგვარი უნდა ჰქონდეს მოძრაობა, მიხრა-მოხრა, გამოხედვა, გარეგნობა, თავის დაჭერის ნირი, მოქცევა, ზრდილობა, სახისა გამომეტყველება, ტალავარ-ტანსაცმელი, წვერი, თმავარცხნილობა, ხელები, პირი — ერთი სიტყვით, ფრჩხილიც არ გამორჩენიათ, თავით ფეხთამდის არცრა დააკლეს იმის აღწერილობასა, თითქოსდა ექიმსა რომელსამე განთქმულ კომედიაში მიჯნურისა ან ამიკისა როლის თამაში, ანდა ვინმე მძლავრ მეტოქესთან ორთაჭიდილში გასვლა ელოდებოდეს. და მართლაც, პიპოკრატეს ერთი ფრიად მარჯვე შედარება აქვს საექიმო პრაქტიკისა ბრძოლასთან და ფარსთან, რომელ ბრძოლასა და ფარსშიც სამი მოქმედი პირი მონაწილეობს: სნეული, მკურნალი და სნება.

როდესდაც, იმის წიგნსა ხელმეორედ რომ ვკითხულობდი, წამომავიწყდა, რა უთხრა იულიამ თავის მამას ოქტავიანე ავგუსტუსსა. ერთხელ იულია დია მდიდრულად, თავისუფლად და, ცოტა არ იყოს, კადნიერად ჩაცმული ეახლა მამასა და თავისი ესეგვარი ჩაცმულობითა ძალზედ აღაშფოთა იგი, თუმცა მშობელსა ერთი უშში და აუცი სიტყვა არ დასცდენია. მეორე დღესა იულიამ ტალავარი გამოიცვალა, სადაც, უბრალოდ შეიმოსა, როგორიც იმა დრო-ყამისა

საქართველოს

საქართველოს  
ბიბლიოთეკა



უმანკო რომაელ დიაცო შეეფერებოდათ. ესეგვარად შემოსრლი იგი კვალად წა-  
რუდგა მამასა. ხოლო მან, რომელსაც წინაღუესა თავისი უკმაყოფილება არ გა-  
მოუხატავს, ოდეს ქალიშვილი არასაკადრისად ეჩვენა, აწ თავი-  
სი კმაყოფილება კერლა დაფარა ესევითარი ცვლილებიზა განს და უთხრა:  
„აი, ავგუსტუსის ქალიშვილს ვითარ სანაქებოდ და შესაფერისად უნდა ეცვასო“.  
იულია არ დაბნეულა და სწრაფად მიუგო: „დღესა მე მამესა ჩემსსა დასახარად  
ვარ შემოსილა, გუმინ კი მეუღლისა გულისა მოსაგებად მსჯელნი მსჯელნი“

სწორედ რომ ამღავარადვე შეეძლო ექიმსაც უცხოდ გამოკობწიავებულ-  
პორთულ-მოკახმულსა, იკლივანტურ, ოთხსახელოებიან სამოსელში გამოკანკ-  
ლულსა, როგორაც მაშინ იმოსებოდნენ (იმა სამოსელსა philonium-ის ერქვა,  
რასაცა ადასტურებს პეტრე ალექსანდრიელი in VI, Epid\*), უმაღ პასუხისა  
გაცემა ყოველთა კაცთათვის, ვისაც უცნაურად ეჩვენებოდა ესევითარი გამოპ-  
რანჭულობა: „აგრერიგად სილამაზისთვის და სიკოხტავისთვის კი არ გამოვ-  
პრანჭულვარ, არამედ სნეულისა გასართობად, რომლისა სანახავადაც ვუხმევარ,  
რამეთუ სრულად უნდა ვასიამოვნო, სულაც არ გავადიზიანო და არცრა ვაწყე-  
ნინო“.

მეტსაც ვიტყვი, მით უფრო გულდაგულ ჩავკარკიტებთ ბებერი ჰიპოკრა-  
ტეს ზემოხსენებული წიგნისა ნაწყვეტსა და ეწონით, მართალია თუ არა, რომ  
ექიმი, რომელსაცა გამოხედვა პირქუში, კუშტი, უხამსი, კატონური,<sup>4</sup> ცივი, უკ-  
მეხი, უკმაყოფილო, გაჯავრებული, მრღუმული აქვს, გულსა სტკენს სნეულსა,  
ხოლო ექიმი, რომელსაცა გამომეტყველება მზიარული, მშვიდი, ალერსიანი,  
გულდია, მომღიმარი აქვს, სნეულსა გულს უხარებს, დაღათუძცა, ყოველივე ესა  
სრულად დამტკიცებული და სავსებით უდავოა. საკითხავი ის არის, გულნატკე-  
ნობა და გულისა გახარება დამოკიდებულია თუ არა სნეულისა აღქმავედ, რო-  
ნელი სნეულიცა აცქერდება თავისი ექიმის გამომეტყველებასა და იმის მიხედ-  
ვითა ხდება, როგორი იქნება სნეებისა ბოლო და დასასრული: უკეთუ ექიმსა  
მზიარული გამომეტყველება აქვს, მაშინ ბოლოც კეთილი და სასურველი იქნება,  
ხოლო უკეთუ ექიმი მოღუმულია, მაშინ ბოლოც სევდისა აღმძვრელი და შიში-  
სა მომგვრელია; ან არადა, გულნატკენობაცა და გულისა გახარებაც დამოკიდე-  
ბულია იმაზედ, რავგარი მაცხოვარება გადაეცემა ექიმისგან სნეულსა: წმინდა  
თუ მღვრიე, ჰაეროვანი თუ მიწროვანი, ანუ ქვედამზიდველი, მზიარული თუ  
ნადვლიანი. მეორე აზრისანი არიან პლატონი და ავეროესი.

ასეა თუ ისე, ზემორეხსენებულ აქტორთ საგანგებოდ ზიუთითეს ექიმთ, თუ  
რა თვისებებითა უნდა აღჭურვონ თავიანთი სიტყვა, მეტყველება, სჯა-ბაასი და  
საუბარი სნეულისა ლოგინთან, რომელ სნეულთანაც უხმეს, სახელდობრ: ყვე-  
ლაყა ერთადერთი უმთავრესა მიზნისკენ უნდა წარმართონ და ერთიან უმთავრეს  
ნიზანსა დაუმორჩილონ, ესე იგი გული უნდა გაუხარონ სნეულსა, ღმერთი არ  
უნდა გაუწყრეთ, და არავითარ შემთხვევაში გული არ უნდა ატკინონ. ჰერო-  
ფილე, მაგალითადრე, მკვახედ კიცხავს ექიმ კალიანაქსეს იმისა გამო, რომ პა-  
ციენტისა კითხვას: „ექიმო, ხო არ მოვკვდებიო?“ — კადნიერად უპასუხა:

თვითონ პატროკლეს მოერიო, ვაყკაცს, სიკვდილი,  
შენებრ ლაჩარი არ ყოფილა, სასომიხდილი.<sup>5</sup>

მეორე სნეულსა, რომელსაცა ვაგება სურდა, რა დღეში ვარ, რა მომელისო,  
ქველ პატლენისებურად<sup>6</sup> დასცდა კითხვა:

\* „ექიდემიათა“ VI (წიგნისთვის) დაწერილ კომენტარში (ლათ.).



რას იტყვი, სიკვდილს ხომ არ მიქადის,  
ექიმო, ჩემი შარდისა ფერი?

მან ეგრევე ყაღვახად, ანუ ბრიყულად, უგზოდ მიუგო: „იმა შემთხვევაში არ გიქადის, თუ ორი მშვენიერი შვილის ფებოსისა და დიანას დედის ლატონას გჩენილი ხარო“. ასევე უყოყმანოდ გმობს კლ. გალენოსი (lib IV, Comment. in VI, Epidemi\*) კვინტუსსა, მედიცინაში თავის მოძღვარს, რომის იმპერატორის, რომა მავან სნულსა, პატივდებულ რომაელსა, რომელმაც ზამთარ-სეზონის და შენიშნა: „გეტყობათ ახალი ძირთმეული ბრძანდებით, ექიმო, — ღვინისა სუნი მცემსო“, — უხეშად უპასუხა: „შენ კი ციებ-ცხელება შეგყრია. ვინ უფრო მეტად ვყარვართ: შენ ციებ-ცხელებითა თუ მე ღვინითაო?“

გარნა ცილი, რომელსაც ვიეთნი კანიბალნი, მიზანტროპნი და აგელასტნი<sup>7</sup> მივრცელებდნენ, იმდენად ამაზრზენი და ყველაფერთან შეუსაბამო იყო, რომა ბოლოსა და ბოლოს მოომინება დაკვარგე და სტრიქონსა არღა დავწერ-მეთქი, გადავწყვიტე. მრავალთაგან ერთ-ერთი ყოვლისა უფროსე მძიმე ბრალდება, რაიცა იმათ წამომიყენეს, ის იყო, რომა ვითომ სუყოველი ჩემი წიგნი სავსეა ყველაგვარი ერესით (დაღათუმცა, ერთი მაგალითიც კი ვერ მოივარგეს) და სასაცილო ლაზღანდარობითა. ლაზღანდარობა, მართალი ამბავია, ჩემთა წიგნთა შიგან არცთუ ცოტაა, — დიახაც ეს არის სუყოველი ჩემი წიგნისა ერთადერთი სიუჟეტი და ერთადერთი თემა, — ოღონდ არამცა და არამც ღვთისა საწინააღმდეგო და მეფისა პიროვნებისა შემლახველი; ერესს კი, ჰევრიც რომ ეძებოს ღინძემ ჩემთა წიგნთა შიგან, წამლადაც ვერ იპოვნის, უკეთუ, საღი აზრისა და საყოველთაოდ აღიარებული სიტყვათხმარებისა წინააღმდეგ, იმას არ მომაწერს, რასაც ათასჯერ სიკვდილისა (ესევეითარი თუ შესაძლებელია) შიშითაც ვერ ვიფიქრებდი: ეს იგივეა, რომა სიტყვა „პური“ ვავიგოთ, როგორაც ქვა, სიტყვა „თევზი“ — როგორაც გველი, სიტყვა „კვერცხი“ — როგორაც მორიელი, ამისა გამო ერთხელ როგორღაც შემოგჩივლეთ და პირდაპირ გითხარით: როდესაც ჩემსა თავსა არა ჭეშმარიტ ქრისტიანად, არამედ ისეთ კაცად ჩავთვლიდი, როგორადაც ცილისმწამებელნი თავიანთ საბეზღებელში მასალებენ-მეთქი, და როდესაც ჩემსა ცხოვრებაში, ჩემთა წერილთა, სიტყვათა შიგან, თუნდაც ფიქრშიც კი ერესის ერთ ნაპერწკალსა მაინც აღმოვაჩენდი, ისინი ავრე სამარცხვინოდ არღა გაებმებოდნენ ცილისმწამების სულისა ბადეში, რომელი სულიცა არს იგივე Διάβλος, და რომელიცა იმათი შემწეობითა ესეგვარ ნაცილსა მივონებს, ავღებოდი მაშინ, ფენიქსის იგავისა არ იყოს, სულ ხმელ შეშასა მოუზიდავდი და კოცონსა გავაჩაღებდი, რათა თავი დამეწვა-მეთქი.

მახსოვს, მაშინ მითხარით, განსვენებულ ფრანცისკ მეფესა, ღმერთმან განათლოს იმისი სული, შეტყობილი აქვს იმათი ცილისმწამებლობისა ამბავიო, და ყურადღებით რო მოუსმენია სუყოველი ჩემი წიგნი (ჩემი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რაკი ბოროტობით ვიღაც სხვათა ბიწიერ წიგნთაც მომაწერენ), რომლებიცა იმას მკაფიოდ და ცხადად ხმამაღლა წაუკითხა ჩვენსა სამეფოში ყოვლისა უფროსად მცოდნე და კეთილსინდისიერმა წამკითხველმა,<sup>8</sup> არცრა საძრახისი რა წიგნთა შიგან არ უპოვნია, ვიღაცა გველიყლაპიას კი, რომელმაც საზარელი ერეტიკოსის სახელი გამივდო მხოლოდ და მხოლოდ იმისა გამო, აქაოდა გამომცემელთა უყურადღებობითა და ზერეულობით, ანუ ნეკერაობით, იმ წიგნთა შიგან უხეში რამ მცდარბეჭდილობაა გაპარული,<sup>10</sup> დია აღუშფოთებია იგი.

\* „ეპიდემიათა“ VI (წიგნის) კომენტარები, IV წგნ. (ლათ.).



ხოლო ძემან მისმან, უკეთილესმა და უკეთილშობილესმა, კურთხეულმა მეფემ ანრიმ (ღმერთმა აცოცხლოს მრავალქამიერ) დაგავალათ და საგანგებო რამ უფლებაც ვიბოძათ, რომ ცილისმწამებელთაგან ჩემი დამცველი ყოფილიყავით. ჩემდამი თქვენი კეთილმოსურნეობისა ამავე ესე კვალად თქვენთა ბაგეთაგან პარიზში მეუწყა, მერმე კი — ოდეს მონსენიორ კარდინალი დიუ ბელე<sup>11</sup> მოინახულეთ, რომელიცა ხანგრძლივი და აუტანელი ხენისა შემდგომ თავისი ჯანმრთელობისა მოსამჯობინებლად სენ-მორს ეწვია — მისაგან უფრორე სწორი იქნებოდა თქმა, სამოთხისა ისეთ კუთხესა, სად აღოქმული ჰქონდა განკურნება, დასვენება, დამშვიდება, ნეტარება, განცხრომა, აგრეთვე სხვა ყველაგვარი კეთილშესაფერნი სიამენი, რაც რომ ხენა-თესვასა და სოფლურსა ცხოვრებაშია.

აი რატომ უკუვაგდე, მონსენიორ, აწ ყოველგვარი რიდი და ჯიქურ მივიწვევ წინ იმის იმედით, რომ თქვენ, ჩემი კეთილმოწყალე მფარველი, ჩემთა ცილისმწამებელთა წინააღმდეგ იქნებით მეორე დია განათლებული, კეთილგონიერი და მჭევრმეტყველი ჰერკულეს გალიელი,<sup>12</sup> მეორე საინო, ძლიერი და Alexicacos\* ხელისუფალი, მე კი გულზედ ხელდადებულსა შემიძლია თქვენზედ იმის თქმა, რაიცა მოსეზედ, ისრაელთა დიდ წინასწარმეტყველსა და ბელადზედ. ბრძენმა მეფემ სოლომონმა ბრძანა (Ecclesiastici<sup>13</sup>, 45): კაცი ღვთისმოშიში და ღვთისმოყვარე, მადლისა მპოვნელი ყოველი ხორციელისა თვალში, სრულიად კაცთა მოღვმისთვის სასურველი, ღვთისთვისაც და კაცთათვისაც საყვარელი, რომლისა ხსენებაც კურთხეულია. უფალმა დიდებითა ძლიერი დაამსგავსა და განადიდა იგი საქმეთა წყალობით მტერთა დასაშინებლად. იმისი გულისთვის განასრულა საქმენი საკვირველნი და საშინელნი, მეფეთა წინაშე განადიდა იგი; მისთა ბაგეთა მეშვეობითა აუწყებდა ხალხსა თავის ნებასა და იმისი საშუალებით გამოაბრწყინა თავისი დიდება. ერთგულებისა და მორჩილებისთვის წმინდა ჰყო იგი უფალმა და ყოველთა ხორციელთაგან გამოარჩია. მისთა ბაგეთა მეშვეობითა აუწყებდა უფალი ნისლში მყოფთ სჯულსა სიცოცხლისასა და შემეცნებისასა.

კიდევან ამისა, სიტყვას გაძლეეთ: ვინცა ვინ ჩემისა თანდასწრებით ჩემთა ლათაიურ წერილთ ითნევს, ანუ მოიწონებს. სუყოველთ მოვუწოდებ, თვინიერ თქვენიცა, სხვასა არცვის შეასხან ქება, ყველაფრისთვის ოდენ თქვენი მადლიერნი დარჩნენ და ევედრონ ღმრეთსა თქვენი სიღიადისა შესანარჩუნებლად და გასაასკეცებლად, მე კი ღირსებად ნურცრასა მიმითელიან, გარდაისად თქვენი უსიტყვო გამგონობისა და თქვენთა ბრძნულ განკარგულებათა ჩემის ნებითა მორჩილებისა, რამეთუ კეთილშობილური რჩევა-ღარიგებითა დია გამამხნევეთ და გულისხმაში ჩამაგდეთ, უთქვენოდ კი სასოწარკვეთილება მომიცავდა, და დაშრტებოდა წყარო ჩემისა მაცხოვარებისა. დაე მადლი უფლისა სუფევდეს თქვენზედა!

თქვენი ერთგული და მორჩილი მსახური, მკურნალი, ანუ სნეულთ მღვწელი

**ფრანსუა რაბლე.**

დაწერილია პარიზსა, 1552 წელსა აპნისისა, ივიე იანვრის 28 დღესა.

\* განმრინებელი ბორთისა, ჭირთაგან დამცველი (ბერძ.) — ჰერკულესის ერთ-ერთი სახელწოდება.



წინასიტყვა ავტორისა, ანუ მათქვამისა  
მეტი ურანსუა რაბლესი

პანტაგრუელის საპირო მიქაეობისა და სიტყვაბრძნობის  
მართხა წიგნისთვის



კათილვიდრაკილ კითხვალთ **ეროვნული  
ბიბლიოთეკა**

უფალმა დაგიცვათ და შეგიწყალოთ, კეთილხო კაცნო! სადა ხართ? ვერა  
გხედავთ. დამაცათ, ცხვირი სათვალითა შემაკაზმინეთ.

ჰოო! გამოვიხედუ. სუყველასთვის გამარჯვება მითქვამს. აწლა დავინახეთ.  
ჰა, როგორ არის საქმე? რამდენადაც ვუწყო, კარგა გვარიანად დასტვენილი  
ვაქვთ. გარნა არა გვიცხავთ. ყველაგვარი წყურვილისა უტყუარი რამ საშუალე-  
ბა გიპოვნიათ. დიდი საქმეა, ღმერთმანი. სუყოველნი ხო ჯანსაღად ბრძანდე-  
ბით—თავადაც, აგრეთვე თქვენი უღელტოლნიც, თქვენი ბაღლ-ბღარტნიც, თქვენი  
ნათესავ-სახლიკაცნიცა და მოჯალაბე-შინამოსამსახურენიც? ძალიანაც კარგი,  
ვიყურებთ და გული მიხარის. დიდება ღმერთსა უკუნისით უკუნისამდე და, უკუ-  
თუ ყოველთა დამბადებლისა წმინდა ნებასა სწადს, მრავალჯამიერ სულ ცოც-  
ხალთ გამყოფებთ!

მე კი, ღვთისა წყალობითა, აქა, თქვენთა წინარე ვარ, და ჩემსა პატივის-  
ცემასა ვიცხადებთ. სულ მცირეოდენი რამ პანტაგრუელიზმისა გამო (თქვენ კი  
წოგებხსენებათ, რომა ესა დია ღრმა და მკვიდრი გულმხიარულებაა, რომლისა  
წინაშეც სუყოველივე წარმავალი უძღურია) არცა ჯანმრთელობასა უჩივი და  
არცა კიდევ მხიარულება მაკლია, უკეთუ სახადელზედ ბრძანდებით, არცა ჩა-  
ცეცხვლაზედ დაგეუარებით. ვიცო, მკითხავთ, კეთილხო კაცნო, ეგრე მაინც რამ  
გაგაჯანმრთელაო? რამა და, აი სრული პასუხი: ესეგვარია ნებასურვილი ყოვ-  
ლადმოწყალე და ყოვლადძლიერი ღვთისა, რომელსაცა ვმორჩილებ, რომელსა-  
ცა ვუჯერებ და ვის წმინდა ქადაგებასაც, ანუ სახარებასა, პატივსა მივაგებ,  
ხოლო ამა სახარებაში (ლუკასი, IV) გამჭირდაეად და გესლიანი დაციხვით ნათ-  
ქვამა ექიმზედ, რომელიცა არ უფროთხილდება საკუთარი ჯანისა სიმრთელესა:  
„მკურნალო, განიკურნე თავი შენი!“

კლავდიოს გალენოსი რამე გამორჩეული პატივისცემისა გამო კი არ უთ-  
ვალყურებდა თავის ჯანმრთელობასა, თუმცა წმინდა წერილზედ რაღაც წარ-  
მოდგენა ჰქონდა, თუმცა იცნობდა და ნახულობდა კიდევ იმა ღრის ღვთისმო-  
შიშ ქრისტიანთ, როგორც ვვიჩვენებ: lib. II, De usu partium, lib II, De dif-  
ferentiis pulsum, cap. III, et ibidem, lib. III, cap. II, et lib. De rerum  
affectibus\* (უკეთუ წიგნი ესე მართლა გალენოსს ეკუთვნის), არამედ იმიტომ,  
რომ შიშნეულობდა, სხვებისა არ იყოს, მეც მასხრად არ ამიგღონ და არ დამ-  
ცინონო, როგორაც მაგალითადრე,

Ιατρὸς ἄλλων, αὐτὸς ἔλασσι βρῦσιν.

სხვა კაცთ ექიმობ, გაგვარდნია სახელი მკურნალს,  
ოდეს კინაღამ, საცოდავო, შეგვჭამოს მუნმა.

\* წგნ. II „(სხუელისა) ასოთა დანიშნულებისა გამო“; წგნ. II „მაჯისცემა-  
ში განსხვავებათა გამო“, თავი III, და იქვე, წგნ. III, თავი II, და წგნ. „შთაბეჭ-  
დილებათა გამო“ (ღათ.).



იგი იკვეხნის და თავის დამსახურებად მიითვლის, რომ ოცდარვა წლისა შემდგომ ღრმად მოხუცებულობამდე ავად არ გამხდარა, უკეთუ რამოდენიმე ხან-სოკლე, თითოდლიან ციებ-ცხელებასა არ ჩაუთვლით, თუმცა სინამდვილეში დი-დი მაგარი ჯანმრთელობითა მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა და როგორცა ჩანს, არცა კიდევ კუჭი უვარგოდა. „ძნელი დასაშვებია, — უბნობს გალენოსი V წიგ-ნისა შიგან, რომლისა სახელწოდებაა Des anif. luenda, \* უკეთუ ვინმე ექიმი ყურადღებითა ექცეოდეს სხვათა ჯანმრთელობასა, როდესაცა მსჯელსა კუთარ-ზედ არა ზრუნავს“.

კვეხნა-ტრაბახი თქვენ ასკლეპიადესი უნდა ნახოთ: მეო ხელშეკრულება თვითონ ფორტუნასთან დავდეთ, რომელ ხელშეკრულებაშიაც ნათქვამი იყო, რომ სახელგანთქმული ექიმობა არ მეწერა, უკეთუ იმა დროიდან, რა დროიდა-ნაც პრაქტიკას დავიწყებდი, სიბერემდის თუნდაც ერთხელ მაინც გავზღებოდი ავადო; სიბერემდის ის მართლაც უვნებლად მივიდა და ფორტუნასა ზედა გა-მარჯვება იხეიმა. ბოლოსა და ბოლოს სიცოცხლესა სრულიად შემთხვევით გა-ეყარა, ვინაიდან ამა გაყრამდე თითქმის ავად არცა ყოფილა: თავისი დაუდეუ-რობითა და გაუფრთხილებლობით კიბიდან ჩამოვარდა, რომელ კიბესაც საფე-ხურნი დაღპოლეილი და მორყეული ჰქონდა.

უკეთუ, საუბედუროდ, თქვენთა აღმატებულებათ ჯანმრთელობა სადმე გა-გაგებართ: ზემოთ, ქვემოთ, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, გარეთ, შიგნით, შორს ანდა ახლოს თქვენი ადგილსამყოფელიდან, კურთხეული მაცხოვრისა ჩვე-ნისა წყალობითა მაშინვე შევიძლიათ, რომა გზაში გადაეყაროთ. რაკილა დრო-ულად გადაეყრებით, თვალისა დახამხამებაში ხელთ მოივდებთ, კვალად ყმად გაიხდით, დაიჭერთ და ისევ დაეუფლებით. კანონ-სამართალი ამისა ნებასა გრთავთ, მეფენი წინააღმდეგობას არ გაგიწევენ, მე კი ამისა ქმნასა გირჩევთ. სხვა ვინმე კი არა, თვითონ ძველნი სჯულისმდებელნი აძლეუდნენ მონათმფლო-ბელსა იმის უფლებასა, რომ თავისი ოტებული მონა სადაც არ უნდა დაეჭირა, კვლავ დაემონებინა. გულმოწყალო ღმერთო, და თქვენცა, კეთილნი კაცნი! განა ჩვენი ქველი, ძველი, მშვენიერი, აყვავებული და მდიდარი ფრანგთა სა-მეფოს უწინდელსა ზნე-ჩვეულებაში არ იყო ასახული, რომა მკვდარი ცოცხალსა ეგრევ სტაცებს ხელსა? დაგულისხმიერდით, დაგულისყურდით, ვითარ განმარ-ტა ამას წინათ ამბავი ესე პარიზის პარლამენტისა მკაცრ სამსჯავროში კეთილ-მა, განსწავლულმა, ბრძენმა, უადრესად კაცთმოყვარემ, ზრდილმა და სამართლი-ანმა ანდრე ტირაკომ, დიდი, ძლევაამოსილი და უძლეველი მეფის ანრი II. მრჩე-ველმა. ჯანმრთელობა იგივე ჩვენი სიცოცხლეაო, მშვენივრად ბრძანა არითრონ სიკიონელმა.<sup>2</sup> თუ ჯანმრთელობა არ ახლავს, ის სიცოცხლე აღარ არის, ცოცხა-ლი სიცოცხლე არ ეთქმის: ჰქვიც მხად, მხად მქვიოთაც. ჯანმრთელობას მოკ-ლებული სიცოცხლე ოდენ ტანჯვაა სულისა, სიკვდილისა მსგავსი რამ არის, რაღა გავაგრძელო, ოდეს ჯანისა სიმრთელესა დაკარგავთ, სხვაგვარად თუ ვი-ტყვით, უსიცოცხლო ვვაში დარჩებით, ცოცხალსა რასმე წასწვდით, სიცოცხლე-სა, ესე იგი ჯანისა სისაღესა სტაცეთ ხელი..

ვიძედუელობ, უფალი გვხედავს, რა ღრმა რწმენითაც მიემართავთ, ჩვენთა ლოცვათ ვაიგონებს და სურვილსა ჩვენსა შუგვისრულებს მით უმეტეს, სურვილი ესე ზომიერია. ზომიერება ძველთა ბრძენთაგან იქროდ, მანუ ღია ძვირფასად, ყოვლადსაქებლად და ყოველგან ერთობ გულსგასახარად იყო სახელდებული.

\* „ჯანმრთელობისა შინაარსებისთვის“ (ლაცი).



შორს წასვლა არ გინდათ, წმინდა წერილსა მიმართეთ: დარწმუნდებით, რომა იმათი ლოცვანი, ვინცა ვინ თაჲს მოლოდებასა შინა ზომიერებასა იცავდა, არც-როდის უარყოფილა. ამისა მაგალითად გამოდგება კოჭდაბალი, ბაჯაჯგუნა ზაქეი (ვინც კი სენტეელი მუსაფია,<sup>3</sup> ანუ ყურანისა მთარგმანებელი, რომელი სენტ-ი-ც ორლეანისა ახლოს არის, სუყოველნი ტრაბახობენ, ზაქეის წმინდა ნაწილნი და ნეშტი ჩვენთან განისვენებსო, და თვითონ მაქსიმენდელ ქილვენს უხმობენ). ერთადერთი, რაიცა ზაქეის სურდა, ის იყო, რომ ~~მეფეებმა~~ ~~მეფეებმა~~ მოეხილა, კურთხეული მაცხოვარი ჩვენი როგორ შედიოდა იერუსალიმსა შინა. სურვილი ზომიერია, ასეთი სურვილი სუყოველ კაცსა შეიძლება რომ გაუჩნდეს, მაგრამ კაცი იგი დია ტანმორჩილი, გოჯა იყო და ხალხნამოფარებული ვერც ვერას ხედავდა. საწყალი ხან ერთ ფეხსა ინაცვლებდა, ხან მეორესა. თანაც თითისა წვერებზედ დგებოდა, მთელი ტანითა მალლა იწევდა, თავიც იქედგორა, ეგების ვითარმე თვალი მოკვრაო, მაგრამ ამასოდ, მერმე კი წინ გაიქცა და ლელვისა ხეზედ ავიდა. ყოვლადსახიერი უფალი გულწრფელ ზომიერ სურვილსა მიუხვდა. და არა მაართო დაენახვა. არამედ თაჲსი სიტყვაც ასმინა. შინ ეწვია და ოჯახი დაულოცა.

ისრაელის წინასწარმეტყველთა ერთი ძეგანი ძდინარე იორდანეს ნაპირზედ შეშასა ჩებავდა, და ისე მოხდა, რომ ტარსა ცული გამოუძერა (ვითარ ესა მოთხრობილია მეფეთა IV წიგნსა შიგან, თ. VI) და წყალში ჩაუვარდა. ძემან მან ლოცვა აღუვლინა ღმერთსა, ცული მაპოვნინეო. თხოვნა ზომიერი იყო. და ღრმა რწმენითა და სასოებით ხელი კი არ ჩაუქნევია, როგორაც აღმამფოთებლად ამახინჯებენ აზრსა და ისერიგად განმარტავენ ეშმაკეულნი ცენზორნი,<sup>4</sup> ანუ აზრთაყლაპიები, არამედ ხელი გაიქნია, როგორაც სავსებით სწორად კი-იხულობს სუყოველი თქვენგანი, და ცულისა ტარიც ზედ მიაყოლა, ისიც წყალში ჩააგდო. მაშინ ორი სასწაული ერთბაშად მოხდა. ცული ზედაპირზედ ამოტივტივდა და თვითონ დაეგო ტარსა. ვთქვათ და, კაცსა ამასა ილიას მაგალითისამებრ ცაში ცეცხლოვანი ეტლითა აჭრა მოესურვებინა, ანდა ეთხოვა, შთამომავლობა მეცა აბრაამისა შთამომავლობასაებ გამიმრავლეო, ანდა მეცა სამსონსაებ გამამდიერეო, ან აბესალომსაებ ლამაზი გამხადეო, ვითომ გამოსთხოვდა ღმერთსა თაჲს გულისნადებსა? არავინ იცის.

ცულ-ნაჯახთან დაკავშირებულ ზომიერ სურვილთა გამო (ჩაღლევა თუკი მოგინდეთ, ნუ მოძერიდებით, მითხარით) ერთ-ერთი აპოლოგი უნდა ვიამბოთ ზრძენი ესოპე ფრანგისა, რომელ არს იგივე ფრიგიელი და ტროელი, ვითარ მაქსიმე პლანუდე ამტკიცებს, და, უდიდესი ნდობისა ღირს მემატიანეთა თანახმად, სწორედ რომ ამა ხალხისგან არიან წარმოშობილნი ქველნი ფრანგნი.<sup>5</sup> ელიანე ეარაუდობს, ესოპე თრაკიელი იყოო, აგათიან<sup>6</sup> პეროლოტეს კვალდაკვალ ამტკიცებს, კუნძულ სამოსადან იყოო, მე კი ესა სულაც არა მგამა.

იმის დროებაში, ესოპეს დროებაზედ მოგახსენებთ, იყო და არა იყო რა. იყო ერთი გრავოელი<sup>7</sup> გლეხი, სახელად შულიატრისი, შეშის მჭრელი კაცი, მეშეშე, რომელიცა ამა თაჲსი მდარე ხვედრისა გამო წელებზედ ფეხსა იდგამდა. ერთხელ სადღაც ტყიან ხეში საწყალსა ცული დაეკარგა. დაკარგულ ცულსა ლამის სულიც თან მიაყოლა; რამეთუ ის ცული იყო იმისი მარჩენალი და ლუკნისა მჭმეველი, იმა ცულისა გამო აფასებდნენ და პატივსა მიაგებდნენ ყოველნი პოენიერნი, მდიდარნი მეშეშენი, უცულოდ კი ნამდვილად მიმშილითა სიკუდილი ელოდა. და აი მეექვსე დღესა, სიკუდილმა იგი უცულოდ რომ მოიხელა, ცული მოუქნა და, ცოტას გაწყდა, ამა წუთისოფლიდან არ გამოცელა.



გაშავებულმა კაცმა თვალნი ცასა მიაპყრო, მუხლნი მოიყარა, თავი მოიშიშვლა, თითებგაფარჩხულნი ხელნი განაპყრო და ყვირილი მორთო. იუპიტერსა შესთხოვდა, ეკედრებოდა, ემუდარებოდა, დია დალაგებულად მიმართავდა (მოგეხსენებათ, მჭევრმეტყველება გაჭირვებამ გამოიგონა) და სუფიველი თხოვნისა შემდგომ ხაფად და უსუსტრად თაფშურმასაებ აყოლებდა: „ცული! ცული! სხვა არცრა მინდა, იუპიტერო, ოდენ ცული, რომელიცა ტფან ხვეში დაძეკარგა, ანდა რამდენიმე დენიე მაინც მომე სხვა ცულისა საყიდლად! ვაიბე! საწყალი ჩემი ცული!“ იუპიტერი ამ დროს რაღაც გადაუდებელ საქმეთა გამო ბჭობდა და იმ წუთას თავის აზრსა ბერდიაც კიბელას თუ ნორჩ სხივოსან ფებოსს მიუთხრობდა. შულიატრისის მწარე გოდება-კოკოცებამ თათბირად შეყროლი ღმერთების ყურამდე მიაღწია და დია შეაძრწუნა ისინი.

— ვინ ეშმაკია! — იხმამალლა იუპიტერმა. — ვინ არის, აგრე ველურად რომ დრიალებს იქა, ქვევით? სტიქსსა ვფიცავ, განა ოდესმე გვაკლდა ან აწ გვაკლია რთული და სამძიმო საქმენი?⁸ დიაღაც, ჩვენ გავაშველეთ ერთმანეთში შემუღლებულნი ხუცესი იოანე, სპარსეთისა მეფე, და სულთანნი სულეიმანი, კონსტანტინოპოლისა იმპერატორი. დიაღაც ჩვენ დავაცხრეთ და დავაშოშმინეთ ომი იათართა და მოსკოვიელთა შორის. ჩვენ დავაკმაყოფილეთ მარიკოს შკრიფისა⁹ თხოვნა. ჩვენ შევიწყნარეთ ვოლგით რაის<sup>10</sup> ქვეშევრდომული გრძნობანი. ჩვენ განვიხილეთ პარმისა საქმე, როგორაც მაგდებურგისა, მირანდოლასი და აფრიკისა (აგრე უხმობენ მოკვდავნი ამა ქალაქსა ხმელთაშუა ზღვაზედ, ჩვენ კი აფროდიასიად სახელვდებთ). ტრიპოლისი თავისი დაუდევრობითა გადავიდა სხვათა ხელში. ხვედრი იმისი გარდაწვევტილია. აქეთ უძლებნი შვილნი — გასკონელნი თავიანთ ზართა დაბრუნებასა იხვეწებიან.<sup>11</sup> იქით საქსონიელნი, განხველნი, ოსტგუთნი და გერმანელნი — ოდესღაც უძლეველი ხალხი, აწ კი aberkeids\*, ბუნჯუხა, ანუ პატარა მოკნუტულ-მოკრუნჩხულ კაცსა<sup>12</sup> დაუმონებია. ყოველნი ისინი ჩვენგან შურისგებასა, შეწვენასა, წინანდელი კეთილდღეობისა და ძველ თავისუფლებათა აღდგენასა ითხოვენ. მაგრამ რა უნდა ვუყოთ გალანსა და რანუსს,<sup>13</sup> ნამუსს რომ ეთამაშებიან და თავიანთი ხელქვეითი, თანამზრახველი და ერთგული ხალხისა მხარდაჭერითა დაუთრებიდან რევენ პარიზისა აკადემიასა? უკიდურესად დაბნეული ვარ. დღესაქამომდის ვერ გადამიწყვეტია, ვის მხარეზედ დაუდგე. ორივე კეთილ პურისმტედ და კეთილ მრუშად მყავს წარმოდგენილი. ერთსა ბლომად უჩხრიალებს მზეგამოხატული, ბღღვრიალა, სრული წონისა ეკიუები, მეორეს ფულისა შოვნის სურვილი კლავს. ერთ-ერთსა ამა ქვეყნისა რაღაცა გაეგება, და არცა მეორეა უბირი ვინმე. ერთსა შეძლებული ხალხი უყვარს, მეორე შეძლებულ ხალხსა უყვარს. ერთი იმათგან ეშმაკი და გაიძვერა მელაა, მეორე, ეშმაკმა უწყის, რას უბნობს და რასა წერს ძველთა სიბრძნისმეტყველთა და რიტორთა გამო და ვითარცა ნავაზი, ისე უყუფს. რა აზრისა ბრძანდები ამა საგანზედ, ავხორციო ულაყო პრიაპე, კარგა გრძელი საოხრო რომ ვაბია? აღრეც მრავალჯერ დაგირწმუნებივარ შენთა რჩევა-დარიგებათა სიბრძნე-სისაღეში: *et habet tua mentuia mentem.*\*\*

— მეფეო იუპიტერო! — წართქვა პრიაპემ, თან კაპიუშონი მოიხადა, ზეასწია წითელი, დაჟღაჟა პირისახე და იუპიტერსა თვალი თვალში გაუყარა. — რახან ერთსა აყეფებულ ნავაზსა ადარებ, ხოლო მეორესა გაიძვერა მელასა, ჩე-

\* ხელიდან წასული, არაფრის მაქნისი (კერმ.).

\*\* რამეთუ ასო შენი გონებითა დაჯილდოებულია.



მის დასკვნით, რათა მეტად აღარცა იჯავრო და აღარცა იდარღო, ორივეს ზუსტად ისევე უნდა მოვექცეთ, როგორაც ოდესღაც ნაგაზსა და მელასა მოვექცით.

— როგორ? როდის? — დაეკითხა იუპიტერი. — რომელ ნაგაზზედ და მელაზედ მელაპარაკები? სად მოუხდათ ეგ ამბავი?

— მახსოვრობა მაქვს, ტყუილია! — შესძახა პრიაპემ. — სახელმორტუმელმა მამა ბაზუსმა, ანუ ბაკქოსმა, — აგერ იმ სახეწამოჭარხლებულმა მკვლელთა ზედა შური რომ ეძია, გრძნეული, ანუ ეშმაკურობისა მოქმედმა მკვლამ მკვლამ, რომელიცა ბევრსა ცელქობდა და ანცობდა კიდევ, მაგრამ არც ერთი ცხოველი იმას არასა ერჩოდა. ქველმა ვულკანუსმა კი მონეზიური<sup>14</sup> ბრინჯაო-მაფრახისგან ნაგაზი გამოჭედა, სული შთაბერა და გააცოცხლა. იმან ის შენ მოგართვა, შენ კი შენს გულის ვარდსა — ევროპას მიართვი. ევროპამ მინოსს შესძლენა, მინოსმა — პროკრიდას;<sup>15</sup> ბოლოს, პროკრიდამ კუფალეს გადაულოცა. ნაგაზიც აგრეთვე გრძნეული იყო, და, აწინდელ მოსამართლეთა დარად და მსგავსად, სუყოველ ცოცხალ არსებასა განურჩევლად ეგრევე ზედ ვარდებოდა, ვერავინ იმას ვერ უსხლტებოდა. ერთხელაც ისე მოხდა, რომ მელა და ნაგაზი ერთმანეთსა გადაეყარნენ. რა უნდა ექნათ? ნაგაზი, ბედისწერისა ძალით, მელას უნდა სცემოდა; მელა, ბედისწერისა ძალით, უნდა დასხლტომოდა.

შემთხვევა ესე შენსა ნება-სურვილსა მოანდეს. არაო, განაცხადე, ბედ-იღბალთათვის წინააღმდეგობისა გაწევა არა მსურსო. ორივე ბედ-იღბალი კი ერთმანეთისა საწინააღმდეგო იყო. არსებითად გადაუწყვეტელი ამა ორი წინააღმდეგობის ჭეშმარიტი გადაჭრა-გადაწყვეტისა პოვნა შეუძლებელი და მიუღწეველი ჩანდა. ის კი არა, ცივი ოფლი დაგასხა. შენი ოფლიდან, რომელიცა მიწასა ეწვეთებოდა, კომბოსტო ამოვიდა. დარბაისული შეკრებილობა, რომელნაც გარკვეულად ვერცრა გადაწყვიტა რა, დია ლელაუდა, და ამა გარემოებისა გამო მთელი ბჭობისა მანძილზედ სამოცდათვრამეტზედ მეტი ბიუსერი ნექტარი შეისვა. ბოლოსა და ბოლოს, ჩემის წინადადებითა, ნაგაზიცა და მელაც ორივე ქვებად აქციეთ. ამისი ქმნა იყო, და ყოველთ გული მოგეცათ, ყოველნი გამხნეველით და სრულიად დიდმა ოლიმპმა განაცხადა, მეტი სმა არღა გვინდაო. ლაყვი სარცხვინელ წყვილთა წელიწადი რომ იდგა, ეს ამბავი აი მაშინ მოხდა, ტევმესოსის ახლოისად, თებესა და ქალკიდიკეს საშუალ.

ამისა გათვალისწინებით გირჩევ ამა ნაგაზისა და მელას აგრეთვე ქვებად გადაქცევას. ესეგვარი მეტამორფოზა თუ სახეცვალება სრულიად შეესაბამება შემთხვევასა. ერთიცა და მეორეც პეტრედ<sup>16</sup> სახელდებულია. ლიმუზენური ანდაზისა მიხედვით კი: ლუმლისა შესართავისთვის სამი ქვაა საჭირო, ადექი და მიაერთე ესენი პეტრე ქვაკუთხედსა,<sup>17</sup> რომელიცა შენ თვითონ და იმავ მიხეზითა ქვად აქციე. ბრძანე ამა სამი მკვდარი ქვისა ტოლგვერდა სამკუთხედად დაღვმა მთავარ პარიზულ ტაძარში ანდა გალაფანშიგან პორტალისა წინარე და ესეგვარი რამ საქმე დააკისრე: ვითომ „შეუბერეს“ თამაშიაო, სულ ცხვირითა აქრონ ქონისა და ცვილისა დიდნი და მცირე ანთებულნი სანთელნი, ანუ კერეონები, კელატრები, კერასები, აგრეთვე მამხალეები და ლამპრები, ყვით, რაც რომ სიცოცხლეში მაგათ, ბილწთა და მურდალთ, შფოთის, ვერაგობის, ყველაგვარი უწმინდურობისა ცეცხლი ანთეს და არცა კიდევ უსაქმურ შეგირდთა შორის შურის ცეცხლისა დანთება დაჰკლებიათ. ამა წვრილფეხა, ქეციან პატივ-ლოყვარეთ ნუკი დასჯი, სამარადყამოდ თავსლაფი დაასხა, ისა ჯობს. მე ჩემი ვთქვი.

— რაღაც, ბატონო პრიაპე, ცოტა არ იყოს, ხელსა აფარებ. — მიუთხრო



იუპიტერმა. — ყოველთა მიმართა აგრევიად შემწყნარებელი არა ხარ, რახან ეგენი ესეგვარად ესწრაფოდნენ სახელთა თვისთა და ხსოვნისა უკვდავყოფასა, ცხადია, ქვებად ქცევა, ანუ გასაღვლდევება ურჩევნითო გაცამტვერებასა. აწ კი მიმოიხედე და თვალი მოავლე ტირენის ზღვასა და აპენინის მისადგევარსა. მანდ დატრიალდა თუ დატრიალდა პასტოფორთა მიზეზითა ტრაგედიათ ქარიშხალი ესე კიდევ რამდენსამე ხანსა გავრძელდება, მერმე ჩაცხრებუნი მყვრნი უწყითო მალე. გართობა მანდა არ მოგვაკლდება. უბელურება ის არის, რომ არ გვეყოფა, რამეთუ ჩემთა თანაღმერთებმა ფუჭი გართობისთვის სულ ახალ ანტიოქიას დაახარჯეთ ჩემგან ბოძებულა მარაგი. მერმე თქვენმა შუამურე დაუდგარმა, ყაჩაღანა ხალხმა, რომელმაც ციხე-სიმაგრე დინდენარიის დაცვა იღო თავსა,<sup>18</sup> ბელურებისა სროლაში გაფლანგა და გაანიავა მთელი საბრძოლო მასალა; მტერი მიაღვა ციხესა, ციხისა დამცველთ კი თავის დასაცავა აღარცრა ჰქონდათ, და უკეთესი სხვა ვერც ვერაფერი მოიგონეს თვინიერ იმისა, რომ ციხეც მტერს ჩააბარეს და თავადაც იმას დანებდნენ, მტერი კი ამ დროს ისე იყო გასაგათებული და მისიკვდილებული, არცა არაფრის თავი არდა ჰქონდა, ერთი ეგ იყო, ოდენ მძვინვარებადა შერჩენოდა, ისე უკვე ალყის მოხსნაზედ და კუდისა ამოძუებაზედ ფიქრობდა. განკარგულება მოახდინე, ძეო ჩემო ვულკანუსო, გამოაღვიძე სუფოველი მძინარე შენი ციკლოპი: ასტეროპე, ბრანტესი, არგესი, პოლიფემე, სტეროპესი და პირაკმონე, დასხი და დაუსხი, ერთი კარგად წააქეიფე. ღვინო მარტო სასმელად კი არა, თავზედ სასხმელადაც უნდა ჰქონდეთ. აწ, ახლა, იმა მყვირალი, ჭახვანა კაცსა მივხედოთ. ქვევიდან რომ გვივირის. მერკური! ჰკითხე ერთი, ვინ არის, და გაიგე. რა უნდა.

მერკურიმ ციური ასაწყეუ-დასაწყევი ელამონ-კარიბჭე შეალო, საიდანაც ღმერთნი ჩვეულებრივ ისმენენ, რასაცა დედამიწაზედ ლაპარაკობენ, და რომელიცა ძალიან ჰგავს ხომალდის სანათურსა (თუმცა, იკარიმენიპეს<sup>19</sup> იგი ჭისა გვიმ-ჩასასვლელად ეჩვენებოდა), და რაკი დარწმუნდა, რომ შულიატრისი ტყიან ხევში დაკარგული ცულისა პოვნას ითხოვდა, ამბავი ესე ღმერთებისა საბჭოსა მოახსენა.

— ეგლა გვაკლდა! — შეჰყვირა იუპიტერმა, — დაკარგული ცულების ძებნადა გვაკლდა! არადა, უნდა ვაპოვნინოთ. ბედისა წიგნშია ჩაწერილი, — გესმით? — როგორაც მილანის საჰერცოგოს ბედია განსაზღვრული,<sup>20</sup> ესეც ისეა. მეშეშის-ცივის ნაჯახი ისეთივე რამ განძი და საუნჯეა, ვითარცა მეფისთვის სამეფო. მაშ აბა, აპოვნინეთ! ლაპარაკი არ იყოს. აწლა ლანდეროსულ სამღვდელეობასა და თხუნელობას შორის დავა გადავწყვიტოთ.<sup>21</sup> რა იყო, რაზედ შევჩერდით?

პრიაპე ამ დროს ბუხარსა იყო მიფიცხებული. მერკურისა მოხსენებული რომ მოისმინა, ახლა თვითონ აძრახდა, დია ზრდილად და კეთილშესაბამად გაწოაგო ენა:

— მეუფეო იუპიტერო! შენგან სახელდებული ბრძანებითა დედამიწაზედ წალკოტ-მტილთა მეველედ რომ ეიდექი,<sup>22</sup> რომელი წალკოტ-მტილნიცა საუფლისწულო მამულად გამომიყავი, მაშინ ჩავხვდი, რომ ცულსა, იგივე ნაჯახსა, ორმაგი რამ აზრი აქვს. ხეთ საჭრელ, შეშათ საპობ და ეგევითარად სახმარკინისა იარაღსაც აღნიშნავს და ანჯახ ცოლსაც ნიშნავს (აწ თუ არა, ძველად აგრე ნიშნავდა), საყინტრაოდ მიწყვიტარისა ძებნელსა. უტაროდ თავის დანიშნულებასა ვერც ერთი ვერ ასრულებს. ორივეს ტარი უნდა. ტარიანი კი რომელი მოსჭრის კაცსა თავსა — ცოლი თუ ცული, სულ ერთია (აქა პრიაპემ თავისი ცხრამტკავლიანი ტარი, ანუ საოხრო-საწულო გამოიჩინა). დააცო დია უყ-



ვართ, ოდეს კაცთა საოხრო ესე ცოცხლდება, ხურჯინსა მხრებზედ გადივდებს და შუა ხევში ცოცდება, ავი თქმულია, აქეთ-იქითვან შავი ტყეაო, შუაში ხევისებრიაო. დიაცი სწორედ ამ დროს დიაცობს, ცულიცა მაშინ ცულობს და ნაჯახობს, ოდეს ტარი დაუგება, გავერება და შეეცმება, საოხრომონწიურებელი ცოლი კი ანჯახია და ჭირვეული. მახსოვს (მახსოვრობა, იცოცხლე, არ მაკლარა. ვითარცა ჭანჭალში კვერცხნი და საწულოში ცეცხლი), ტუბიძუსტრუსტლეხა, ხვენი კეთილი ვულკანუსის პატივმისაგებულ ვარდობისთვის მღვდელსა მსესტელზედ, ვითარ ჩამოსხდნენ ყვავილნარში ყოკინ დე პრე, ოკეკემი, პობრუხტი, აგრიკოლა, ბრიუმელი, კამლენი, ვიგორისი, დე ლა ფაჟი, ბრიუიე, პრიორი, სეგენ დე ლა რიუ, მიდი, მულიუ, მუტონი, გასკონი, ლუაზე, კომპერი, პენე, ფებენი, რუზე, რიმარფორი, როსელი, კონსილიონი, კონსტანციო ფესტი, ჟაკე ბერპემი და შეხმატკბილებულად დაამღერეს:

ტიბომ ლამაზსა გამოჰკრა ხელი  
და როცა ლამით ჩაუწვა ქალსა,  
თან ჩაიტანა სოლი და კვერი, —  
შიშისა ზარი სცა პატარძალსა,  
რომელმან ბოლოს შეჰბედა ქმარსა:  
— ევ რისთვის გინდა, მოთხარი სწორი.  
— ეს შენთვის მინდა, ძვირფასო, სოლი,  
ხანდახან აგრე ვინახავ ჯანსა.  
— ჩანს, არ გივარგა საწყალსა შორი.  
ვერ დაედრები ყოჩაღსა ჟანსა.

ცხრა ოლიმპიადისა და ერთი ნაკიანი წელიწადის შემდეგ (ავი ვითხარით, მახსოვრობა არ მაკლია-მეთქი, ვითარცა ჭანჭალში კვერცხნი და საწულოში ცეცხლი, — როგორაც გვჩვენებთ, ისე გაიგეთ) ჩემის ყურითა მესმოდა, რა საყვარლად აჰყვანენ ერთმანეთსა აღრიან ვილარი, კომპერტი, ჟანკენი, არკადელი, კლოდენი, სერტონი, მანშიკური, ოქსერი, ვილიე, სანდრენი, სოიე, ედენი, მორალესი, პასერო, მაიე, მაიარი, ჟაკოტენი, ერტერი, ვერდელიტი, კარპენტრა, ლერიტაე, კადეაკი, დუბლე, ვერმონი, ბუტელიე, ლიუპი, პანიე, მიიე, დიუ მოლზნი, ალერი, მარო, მორპენი, ჟანდრი და სხვა ხოხნიკ-მხიარულნი მყუდრო, ბაღსა შინა, ფანჩატურქვეშე, სად ციხისა მიწაყრილსაებ ეყარა პურმარილი, არცრა სასმელი აკლდათ და არცრა საჭმელი: ეს საწდე-სადვინე-ჭინჭილებიო, ეს ღორის სუკებიო, ეს ფხლივანებიო, ეს ღვინოში ამოვლებული მწყრებიო, ახლაც ჩამესმის:

ვით მშიერ მუცელს უნდა საჭმელი,  
უტარო ცულსა ტარი სჭირდება,  
ვით არ სწყინდება ღოთსა სასმელი,  
ისე დიაცსა ის არ სწყინდება.

მაშ, აბა ძნელი გასაგები არ უნდა იყოს, რა ცულსა და ნაჯახსა ამოსტირის ჩვენთა გასაგონად ეგ შუღლიატრისი.

ამისი თქმა იყო, და ყოველნი ღმერთანი და ღმერთქალნი ლამის სიცილითა გაიგუდნენ, ცისა კამარას გუგუნმა გადაუარა, თვით ჩლახუნა, ფეხნაკლული



ველკანუსიც კი, თავისი გულისა სწორის თავშესაქცევად, რამდენჯერმე მარჯვენდ შეხტა და შემოტრიალდა.

— იცი, რა, — მიმართა იუპიტერმა მერკურის, — დაეშვი ძირსა და შულიატრისსა ფერხითთ სამი ნაჯახი დაუგდე: ერთი — თავისდ, მეორე — ოფაზისა, წმინდა ოქროსი, მესამე — წმინდა ვერცხლისა, სამივენი — ერთი სიდიდისანი. ასარჩევად შესთავაზე, და უკეთუ თავისი აიღო და იმითი დაკნაწყოფილდა, მაშინ დანარჩენი ორიც მიეცი, ალალი იყოს. ხოლო თავისი შეუკნაწყოფილადეცი და თავისით წააგლებინე თავი. საკვლოდ აგრერიგად მოექეცი სუყოველ ცულდა-კარგულსა.

აქა იუპიტერმა თავი ისეგვარად მიატრიალ-მოატრიალა, თითქოს მაიმუნია და აბებსა, ანუ ქაშთაჯთ ვლაპავსო, მერე კი იმნაირად დაიმანჭა, მთელი დიდი ოლიმპი შემრწუნდა. მერკური ისევე, როგორც იყო, ჩაჩლაქუდიანი, ჩაფხუტიანი, ქუსლებზედ ფრთებგამოსხმული და ხელკალუკვესიანი,<sup>23</sup> ციური ასაწევ-დასაწევი ელამონ-კარიბჭითა ჰაერისა სივრცეში გაიჭრა. გადასერა, მსუბუქად დაეშვა მიწაზედ, შულიატრისსა ფერხითთ სამი ცული დაუგდო და პრქვა:

— კარგი, გეყოფა ყვირილი! იუპიტერმა შეიწყნარა შენი ხვეწნა-მოქენეობა. დახედე, რომელია ამა სამიდან შენი და ინებე.

შულიატროსი ოქროს ცულსა დასწვდა, აიღო, შეათვალიერა, დარწმუნდა, რა მძიმეც იყო, და მერკურის მიუთხრო:

— რაიცა ჩემი არ არის, არცა მეჩემება, არ მინდა!

მეორე ცულისა გამოც იგივე ქნა და უთხრა:

— არცა ეს არის ჩემი. გამომართვი, დაიბრუნე.

მესამე ხისტარიან ცულსა დასწვდა, აიღო, ტარისა ბოლოში თავისი ჭდენიშანი იცნო და სიხარულითა მთლად აკანკალდა როგორაც მელა, გზაკვალარულ ქათამთ გადაყრილი, მერმე ჩაიციხა და წართქვა:

— მიწამ მიყოს პირი, უკეთუ ესა ჩემი ცული არ იყოს! თუკი მომცემ, მაისისა იღებში (ესე იგი თხუთმეტსა რიცხვში) ერთ დიდ კოჭობ მარწყვისა მოგართმევ.

— კეთილო კაცო! — მიუგო მერკურიმ. — შენი ცულია, აიღე, ხოლო იმისა გამო, რომ არჩევაში სურვილისა ზომიერება გამოიჩინე, იუპიტერის ნებისა აღსასრულებლად დანარჩენ ორსაც გძღვნი. ესა მთელი სიმდიდრეა. ოლიონდ, იცოდე, პატიოსან, მართებულ კაცად დარჩა.

შულიატრისმა თავაზიანად მადლი შესწირა მერკურის, სთხოვა, დიდი იუპიტერი მომიკითხეო, თავისი ძველი ცული უკან ქამარზედ მიიბა, როგორაც კომკურაზედ შემდგარმა მზირმა, ხოლო ორი დანარჩენი, მძიმენი, მხარზედ გაიღო. მთელი ქვეყანა თავისი ეგონა და აგრე გულში ჩიტაფრთხიალებული მისდევდა შულიატრისი თავისი მშობლიური წყალ-ჭაღისა მისადევარსა. ხან რომელ თავიანთებურს ჩაუკრავდა თვალსა და ხან რომელ მეზობელსა, ხანაც ვითომ პატლენი იყო, ისე ეკითხებოდა: „აბა, რა მაქვს, თუ იცი?“<sup>24</sup> მეორე დღესა ტანთ თეთრი ტილოს პერანგი შეიმოსა. ის ორი ძვირფასი ცული ზურგზედ მოივლო და შინონს გაემართა, სახელგანთქმულ ქალაქსა, ღირსად ქებულსა ქალაქთა შორის, ძველთუძველესსა ქალაქსა, რაღა გავაგრძელო და, ვითარ მასორეტთაგან ღია განსწავლულნი ასკენიან და ირწმუნებიან, მსოფლიოს უპირველეს ქალაქსა. შინონსა შინა ვერცხლისა ცულში სულ კანკანის ტესტონები და ვერცხლისა ფული ვადაუხადეს, ოქროს ცულში კი კანკანის სალიო, კანკანის გრძელმატყელიან-სა-გაჭი, კანკანის რიღები, კანკანის რუაიო და კანკანის



მზეგამოსატული ეკიუ. იმა აღებული ფულითა რაღა არ იყიდა — არცრა სახლ-  
კარი დაუკლია, არცრა მამულნი, სოფელნი, არცრა სასახლე-ბლისტ-აგარაკნი,  
არცრა მდელონი, ბაგა-ვენახნი, ტყენი, ხოდაბუნ-მინდორნი, საძოვარნი, ტბორ-  
პალაურნი, წისქვილნი, ბაღნარნი, ტირიფნარსა, არცრა ხარნი, ძროხანი-ცხვარ-  
ნი, ვერძ-ერკემალნი, არცრა ქათამნი, მამალნი, ყვერულნი, წიწილნი, ბატნი,  
დერღეტნი, დედალნი იხვნი, მამალნი იხვნი, არცა კიდევ სხვა-მსხვერპნი ფრინ-  
ველნი. და სულ ცოტა ხანში სრულიად იმა მხარისა პირველი შემდეგული, ანუ  
მრავლისა მქონიარე კაცი გახდა, თვითონ კოჭლაუხა მოღვევრიეზედ<sup>25</sup> უფროი-  
სად მდიდარი.

ყოველნი იმსოფლელნი, იქაური მეტყვეე ხალხი, სუყველა, ვინცა კი შე-  
იტყო შულიატრისის გამდიდრებისა ამბავი, სახტად დარჩა და, ვისაც ადრე სა-  
წყალი შულიატრისის სიბრალული ჰქონდა, აწ იმისი გაუგონარი სიმდიდრე-  
აფალისა მიმართ შურითა შეეცვალა. აქოთქოთდნენ, აჩოჩოლდნენ ყოველნი,  
ზოგმა აქეთ გაიკთხა, ზოგმა იქით იკითხა, რა გზით, რა ადგილას, რომელ  
დღესა, რომელ საათზედ, როგორ და რასთან დაკავშირებით ჩაიგლო ამდენი სიმ-  
დიდრეო. რასთან და იმასთან დაკავშირებითო, უხსნიდნენ ვიეთნი, რომ ცული  
დაკარგაო, ნაჯახიო.

— აბა, მაშ ჩვენც თუ დაკარგეთ ცული, გავმდიდრებულვართ და ეგ არი! —  
უბნობდნენ ისინი. — იაფი და იორღაო, დიაღაც ამაზედ თქმულა. ალბათ ესე-  
გვარია ამჟამად ზენაარსისა ნება-სურვილი, მნათობთა განლაგება და ცლომილ-  
თა ასპექტი, რომ ცულისა დაკარგვა და გამდიდრება ერთი ყოფილა! ჰა-ჰა-ჰა!  
ნება თქვენია, ცულებო, მაგრამ ჩვენგან რომ დაკარგვა გიწერიათ, ამას თქმა არ  
უნდა!

და ყოველთ ვერევე მაკარგ-მოკარგეს თავთავიანთნი ნაჯახნ-ცულნი, კაცი  
ღარ დარჩა ნაჯახიან-ცულიანი! ეშმაკეული თუ დაიტოვებს ცულსა და ნაჯახ-  
საო, უბნობდნენ. უცულობისა და უნაჯახობისა გამო ერთი ხე რა არის, ერთი  
ხეც აჯარსად მოჭრილა და არ გაკაფულა მთელსა იმა არემარეში.

ბეოშე ესოპეს იგავსა შინა იმაზეა უბნობა, რომა ზოგ-ზოგ ცალმოგვ აზნა-  
ურთ, რომელთაც ხალხისა თვალში თავმოსაწონებლად ვინ მინდორი მიჰყიდა  
შულიატრისსა და ვინ წისქვილი, შეიტყეს თუ არა, რა გზითა და რა საშუალე-  
ბათაც ის გამდიდრებულიყო, უმალ დაყიდეს მზეველ-დაშნები, რათა ცულებსა  
კიდრათ, შემდეგ დაეკარგათ ისინი, ვითარცა გლეხკაცთ დაკარგეს, და აგრე და  
შრიგად ოქრო-ვერცხლისა მთები დაედგათ. მავანი იფიქრებდა, უცილოდ სა-  
ლოცავად მავალნი საწყალობელნი კაცნი არიან, ცოტაოდენი ფულისა საშოვნე-  
ლად დარბიან, რა არი ახალგამომცხვარი ჰაპისგან რაც შეიძლება რომ მეტი და  
მეტი ინდულგენცია იყიდონო. ძახილსა, ყვირილსა, ვედრებასა ნულა იტყვიო,  
სუყველა იუპიტერსა მიმართაუდა:

— იუპიტერო! ჩემი ნაჯახი, ჩემი ნაჯახი! სად არის ჩემი ნაჯახი? სად არის-  
ნეთქი ჩემი ნაჯახი? ვაი, ვაი! უი, უი! იუპიტერო! ნაჯახი-მეთქი, ჩემი ნაჯახი!

ირველივე ოდენ ცულ-ნაჯახისა დამკარგველთა ვაი-ვიშისგან და გოდების-  
გან თრთოდა ჰაერი.

მერკურის არცროდის დაუყოვნებია იმათი თხოვნისა შესრულება და სუყვე-  
ლას ასარჩევად სთავაზობდა: ერთსა — იმის საკუთარსა, მეორესა — ოქროსას,  
მესამესა კი — ვერცხლისასა. სუყოველნი ოქროსას ირჩევდნენ და მადლსა სწი-  
რავდნენ ყოვლადსიკეთემოიფე იუპიტერსა, მაგრამ იმწამსვე, რაწამსაც ისინი  
ცულისა ასაღებად იხრებოდნენ და იკუზებოდნენ. მერ — რა — ნახმად იუპიტე-



რის ბრძანებისა, სუყველას თავსა აცლიდა. ამრიგად, მოკვეთილი თავებისა რაოდენობა ზუსტად უდრიდა და შეესაბამებოდა დაკარგულ ცულ-ნაჯახთა რაოდენობასა. აი, როგორი იყო საქმისა ვითარება. აი, ვითარ ჯილდოდება სუყოველი კაცი, ვინცა თავის სურვილსა და არჩევანსა შინა ზომიერებასა არ იჩენს.

გაიმაგალითეთ კაცი ესე მეშეშე, ცხოვრებისა მანანხალეებელი /გაგრიებო, რომელნიცა აცხადებთ, ჩვენთა სურვილთ რენტისა ათი ათას-ფრანკად ვერ შეველევითო, და არღა გამაგონოთ თქვენგან ყადაყბად თქმულნი ღმერთმა ერთი ას სამოცდათურამეტა მილიონი ოქროთი გამომიგზავნოს! აი ჩემი სიხარული მაშინ ნახეთო!“ აი, თქვე გაგრიებო, თქვენა! მაშ, აბა, მეფემ, იმპერატორმა და პაპმა რაღა ქნან, რაღა ინატრონ?

მგონი, საკუთარი ჭირნახულობითა უნდა უწყოდეთ, თქვენი სუყოველი ესეგვარი ნატვრისა გამო ოდენ ქეცი და მუნი თუ შეგყრიათ, თორემ არცოდის გაფულიანებულხართ. სხვა წყალობა თავსა თქვენსა არცა გარდმოვლენილა. ზუსტად ეგევე საზღაური მიეზლო იმა ორსა ვიგინდარასა, პარიზულ ყაიდაზედ რომ მიეცნენ ოცნებასა: ერთმა იმათგანმა ინატრა, ნეტავი იმდენი სრული წონისა მზეგამოხატული ეკიუ მაშოვნინა, რაოდენიცა პარიზსა შინა იმა დროიდან დღე-კანდლამდის დახარჯულა, გაყიდულა და შესყიდულა, რა დროშიაც ის იყო ქალაქსა საფუძველი ეყრებოდაო, და თანაც ყოვლისა უფრორე მაღალი კურსითა და ნომინალითაო, როგორიც კი ოდესმე ყოფილაო. მადა ნახე კაცისა! მეტი სიხარბე რა გინდა! ახლა მეორემ რა ინატრა არ იკითხავთ? რა და, ნეტავი პარიზისა ღვთისმშობლის ტაძარი, ძირიდან, ანუ ქვანაგიდან, სულ ზედა გუმბათამდე, წვერალმასი ნემსებითა ააქსოო, მე კი იმდენი მზეგამოხატული ეკიუ მომცა, რაოდენიცა იმდენ ტომარაში დაეტეოდა, რა ოდენობისა ტომარაც იმა ნემსებითა შეიკურება, სანამ თითოეული ის ნემსი არ დაჩლუნგდება და არ გაუკარგისდებაო. აბა, ნატვრაც ამასა ჰქვია, აი! რა, არ მოწვონთ? მერჯდა, რა გამოვიდა ან ერთისა და ან მეორის ნატურიდან? იმავე საღამოს ორივეს დაუსივდათ ფერხნი.

დაუსკდათ ტუჩ-ბაგენი,

დაუჩირქდათ ხელნი,

გულ-მკერდმა ტეხა დაუწყით,

ის ერთი ძირა აღვილი კი, კაცსა მუდამ მაგარი რომ უნდა ჰქონდეს, სულ ბირმაგარებითა აევისოთ, და დარჩნენ ხახამშრალნი!

მაშ, გაიზომიერეთ სუყოველი თქვენი ნატვრა თუ სურვილი, და ზომიერება იამაგიეროსა მოგაკვებთ, მეტადრე თუ საქმისთვის წელი არ მოგწყდებათ, არ იზარმაცებთ და ხელგაუძრაობასა ხელსა ჰკრავთ, თუ ირუდუნებთ, ხომ მით უმეტესად. „მართალსა ბრძანებო, — მეტყვიოთ, — მაგრამ ღვთისთვის ისეთივე ადვილია სამოცდათურამეტა ათასის მიცემა, ვითარცა ბისტის მეცამეტე ნაწილისაო. აბა, ყოვლადშემძლე ტყუილად ხომ არ არისო! იმისთვის რა მილიონი ოქროთი და რა ერთი ობოლოსი — სულ ერთიაო!“ ვაი-ვაი-ვაი! ვინ გასწავლათ, თქვე ვაი ხალხო, ღვთისა ყოვლადძლიერებისა და განჩინებისა აგრე განსჯა და განკითხვა. ჩუმად! სუ! სუ! სუ! დაიმდაბლეთ თავი უფლისა წმინდა სახიერებისა წინაშე და შეიგნეთ თქვენი არასრულქმნილობა.

აი სწორედ ამასა ეფუძნება და ემყარება, აუქარცემულნი, ჩემი სასო-იმედი, და მტკიცედ მჯერა, რომა, უკეთუ მაღალი ღმერთი მოისურვილებს, ჯანმრთელობასა არ მოგაკვლებთ, ოღონდ, თვინიერ ჯანმრთელობისა, აწ სხვა არცრა სთხოვით. კიდევ ცოტა მოიცადეთ, ნახევარუნციისა მოთმინება იქონიეთ! გენუ-



ვლთ ნუ უყურებთ, რომელნიცა პირდაპირ დილიდანვე თავიანთ სენაკთა და განგარანთა შინა ყველაფერსა წინახწარ განიხილავენ, განსჯიან, აწონ-დაწონიან, იმა დღეს რა უნდა იმამამადლონ. ვინ უნდა გააბრიკონ, გააცურონ, გააკამპულაონ და მოალორონ, მერმე შინიდან გარეთ რომ გამოდიან და ერთმანეთსა სჯობიან, მიმშვიდობებისას ეუბნებიან: „Sanita el guadain, messer!“<sup>1</sup> ისინი მარტივ ჯანმრთელობასა არა სჯერდებიან, ერთმანეთსა შემატებასა, აგრეთვე გულწრფელსა სიმდიდრესა<sup>26</sup> უსურვებენ და არცთუ იშვიათად ერთსაცა კარგაჯერსა მისივესა ცამამ, აბა, სულ საჯანმრთელოდ ამოგებხველებინოთ, სამგზის ჩაღლიეთ, წვეთი არ დაიკლოთ, უკეთუ ხალისი გაქვთ, ყურნი დაცქვიტეთ, დამიყურადეთ, ქველი და კეთილი პანტაგრუელისა სასწაულებრივ ამბავთ მოვასმენინებთ.

თავი I

პირველი ბაპილა პანტაგრუელი ზღვაში, რათა  
ღმთამბრივი ბაპბუკისა ორაკული მოენახულეპინა

თიბათვეში, ვესტალთა დღესასწაულის ჟამსა, სწორედ იმა დღისით, ოღეს ბრუტუსმა ესპანეთი დაიპყრო და ესპანელნი დაიმორჩილა და კუნწრაკ-წუნწრაქი კრასი პართიელთ სძლიეს და გაანადგურეს, პანტაგრუელი დაემშვიდობა თავის საყვარელ მამასა გარგანტუას (რომელმან, ქრისტიანობისა პირველ საუკუნეთა სანაქებო წესისა თანახმად, ილოცა, ძე ჩემი თავის ამალიანად მშვიდობითა ამგზავრეო) და თალასის ნაესადგურიდან გავიდა, თანამეგზავეებად იახლა პანურგი, ძმა ჟანი ბღვირისმდენელი, ეპისტემონი, გიმნასტი, ევსთენი, რიხოტომი, კარპალიმი და სხვანი თვისნი მსახურნი და შინამოსამსახურენი, აგრეთვე ქსენომანი, დიდი ეტიკი და ფათერაკიან მოგზაურობათა გიჟი, პანურგისა განკარგულებით გასვლამდე რამოდენიმე დღითა ადრე რომ ჩამოვიდა. ქსენომანმა, სავსებით გასაგები და კეთილშობილური სურვილითა აღძრულმა, გარგანტუას მხოფლით სახლვით რუკაზედ ხაზად ის გზა გაავლო, რომელი გზითაც ისინი დვთაებრივი ბოცა-ბოთლისა, ანუ ბაკბუკისა ორაკულთან წასვლასა ეპირებოდნენ.

ხომაღდთა რიცხვი მესამე წიგნთა შინა უკვე ვითხარით, იმათ მიჰყვებოდნენ ფარდი რიცხვისა ტრირემები, რაუბარჯები,<sup>2</sup> გალიონები და ლიბურნები,<sup>3</sup> კარგად აღჭურვილნი, გაგოზილ-გახიზულ-დაგმანულნი და თუ რამ აუცილებლად საჭირო იყო, იმა ყველაფრითა დატვირთულნი, — კერძოდ, პანტაგრუელიონი ნაჭარბევადაც კი წაიღეს. ყოველნი ნავკოსალარნი, ოფიცერნი, მოუნე-მგარდ-მოუნებულნი, ლოცმანები, კაპიტნები, მხერვალ-მესაჭენი, იუნგნი, მენიჩბე-მუხოფენი და ზღვიერ-მატროსნი „თალამეგაზედ“<sup>4</sup> შეკრბნენ. აგრე იწოდებოდა პანტაგრუელის ყოვლისა უფრო დიდროვანი და ყოვლისა უფრო მთავარი ხომალდი, რომლისა უკანხე-კიჩოხედ დროშისა მაგიერ ლამაზად მოჩანდა კარგა ძალზედ მოზრდილი და ღია დამტეხელი ბოცა-ბოთლი, ნახევრად გლუვი პრილა ვერცხლისა, ნახევრად ალისფერმინანქრიანი ოქროსი. დიდი მიხეედრა არა სჭირდებოდა, რომ თეთრისა და ალისფრის შეხამება ესე ჩვენთა კეთილშობილ

<sup>1</sup> ჯანმრთელობა და შემაჯ ბა, ბატონო (იტალ.).



მოგზაურთა ემბლემა იყო და ისინი იმა ბოცა-ბოთლისა გზასა აღგნენ, რომლისა მისწობა-წინასწარმეტყველებაცა უნდა მოესმინათ.

მეორე ხომალდისა კიჩოზედ აღემართათ ძველებური ფარანი ლიფლიფა, ოსტატურად ქმნილი მჭვინვარე მინისგან და იმის მაუწყებელი, რომ ფარანეთისა ქვეყანა, ანუ ლიფლიფეთი უნდა გაეკლოთ.

მესამისა კიჩოზედ გამოედგათ ლამაზი და კარგა დიდძალი ფრანგული თასი.

მეოთხისა კიჩოზედ დონჯიანი, ანუ ორყურიანი ოქროს დიქი, რომელიცა ანტიკურ ლარნაკსა ჰგავდა.

მეხუთისა კიჩოზედ — საუცხოო კათხა, წვრილი, ჭიჭმატა ზურმუხტითა მოჭვილი.

მექვსისა კიჩოზედ — ბარძიმი, ფეხიანი მაღალი სასმისი, საეკლესიო სიწმინდისა ჭურჭელი, ოთხთა ილეკროთა შენადნობისგან ქმნილი.

მეშვიდისა კიჩოზედ — აბანოზის, ანუ ეკალმუხისა ძაბრი, ოქროთი შემკული.

მერვისა კიჩოზედ — დამასკოური ჭედურობისა დიდფასიანი ოქროს სირჩა, იგივე ჭაშაკი, ანუ კონჩხა.

მეცხრისა კიჩოზედ — ცეცხლში გამოყვანილი ბაჯაღლო ოქროს მამრავა.

მეათისა კიჩოზედ — კულა, ხმიანი სასმისი, სურნელოვანი სამოთხის ხისა (სხვაგვარად ალოე, ანუ აზუა რომ ჰქვია), კიპროსული ოქროს ბუდე-ქულიჩაში წასმული, რომელი ბუდე-ქულიჩაცა სპარსული ნახელავ-ნამუშევარი იყო.

მეთერთმეტისა კიჩოზედ — ოქროვანი გოდორი, შეწყობილი კენჭებითა მოხატული, ანუ საროთიანი.

მეთორმეტისა კიჩოზედ — მქრქალი, გვიმსი ოქროს მომცრო კასრი, იგივე კასრულა თუ საგომელა, ინდური მარგალიტითა დამშვენებული.

ამრიგად, სუყოველსა კაცსა, რაგინდ ჭუნვიერ-მჭმუნვარესა, გაჯავრებულსა, შეურვებულსა, დაღვრემილსა, თვისთ მტირალა პერაკლიტესაც კი, შეუძლებელია, რომ გულთა არ გაეხარა და სრულად სახე არ გაჰლიძილიანებოდა, უკეთუ თვალსა შეავლებდა ამა მხნე ფლოტილიასა, ესეგვარ განსხვავებულ ნიშნებითანსა, და არ ესიტყვა, უკლებლივ სუყველანი ეგენი პურისა მჭამელნი და კაცურნი კაცნი არიანო, თანაც კიდევ სრული რწმენითა არ ეწინასწარმეტყველა, ნავათი მოგზაურობა ორსავე მხარესა, იქითობასაც და აქეთობასაც, მხიარულად და მშვიდობიანად ჩაივლისო.

როგორაც უკვე ვთქვი, სუყველამ „თალამეგაზედ“ მოიყარა თავი. პანტაგრუელმა მოკლე, ღვთისმოსაობითა აღსავსე დარიგება წარმოთქვა, წმინდა წერილისა იმა ამბავთა დამოწმებით განმტკიცებულა, ზღვაოსნობასთან რომ კავშირი აქვთ, რისა შემდგომაც ხაფად და მკაფიოდ წაიკაოხეს ლოცვა, რომლისა იტყვიანც ცხადად ჩაესმოდათ ყურში ყოველთა თალასელ მსახლობელთ, ზღვისპირ ხომალდთა გასელისა საყურებლად შეყრილთ.

ლოცვისა შემდგომ ყოველთ მწყობრად იხმატკბილეს მეფე დავითისა ფსალმუნი, რომელიცა აგრე იწყება: როდესაც გამოვიდა ისრაელი ეგვიპტით... მერმე ეგვიპტისა ერდოზედ ტაბლა ტაბლასა მიადგეს და უმაღ საზრდელი მოიღეს. თალასელნი ხმასა აყოლებდნენ გზად წარმავალთ, ოდეს ისინი ფსალმუნსა გალობდნენ, აწვი სუყოველნი გაციოდნენ და შინიდან კარგა ბლომად საჭმელ-სასმელი მოარბენინეს. მერმე დადგნენ და ზღვაოსანთა სადღეგრძელო დალიეს. ზღვამშვიდობისა, წყალმშვიდობისა უსურვეს. ზღვაოსანთ იმათი სადღეგრძელო შესვეს.



აი, მთელი გზისა მანძილზედ სრულად ფლოტილიიდან რატომ არცვის დაუც-  
დია ზღვასა, არცა უკნიდან გამხიარულებულა ვინმე და არცა თავი წამოსტკივნია  
ვისმე, არადა, ნამდვილად ვერ აიცდენდნენ ვერცერთ ამა უსიამოვნებასა, უკეთუ  
ზღვაში გასვლამდისა რამოდენიმე დღე ზღვისა წყალსა იხმევდნენ, სულ ერთია,  
წმინდასა თუ ღვინონარევსა, კომშსა დაუწყებდნენ ჭამასა, ლიმონისა ქერქსა გამო-  
სწუნებდნენ, მზე ბროწეულისა წენისა წრუპასა მოჰყვებოდნენ, დღეებია, ანუ  
საღბილობელ-სალოკელსა მიჰყოფდნენ პირსა, მუცელსა ჰედა ქერქსა ანუ  
ქალაღსა შემოიფენდნენ ანდა კიდევ სხვა რასმე ისეთსა იზამდნენ, რასაცა  
ბრიყვნი მკურნალნი ყოველთა ზღვაში გამსკლელ კაცთ ურჩევნ.

მრავალგზის ჩაღლევისა შემდეგ სუყოველნი ბოლოს თავთავიანთ ხომალ-  
დთა ზედა ავიდნენ და შესაფერის ჟამსა აფრა-იალქნები აღმოსავლეთიდან და-  
ბერილ ბერძნულ ქარსა დააბერინეს, რომელი ქარისა მიხედვითაც უფროსმა ლო-  
ცმანმა, იგივე ხომალდისა მავლინებელმა ჟამე ბრეიემ<sup>6</sup> გზა-სავალი მონიშნა და  
სუყველა ბუსოლისა ისარნი გაამიმართულა. ის და ქსენომანი შეთანხმდნენ, რა-  
ხან ბაკბუკისა ორაკული ჩინისა<sup>7</sup> ქვეყნისა ახლოსად, ზემორე ინდოეთშიაო,  
პორტუგალიელთა ჩვეული გზა ჩვენ არ გამოგვადგებაო, ისინი ცხელ სარტყელ-  
სა, კეთილი იმედის კონცხსა და ეკვატორის მიღმა აფრიკისა სამხრეთ კიდე-  
ნაპირსა რომ გადიან, თვალთაგან კარგავენ ჩრდილოეთ პოლუსსა და ძალზედ  
შორი გზითა ვლიანო; უკეთესია, რაც შეიძლება რომ ახლოს მივყვეთ ინდოეთის  
პარალელსა და ჩრდილოეთ პოლუსს დასავლეთიდან შემოვუაროთ,<sup>8</sup> ხოლო ამა  
აღნიშნულ პოლუსსა წრეს რომ დავარტყამთ, ოლონის ნავსადგურისა სიმაღლე-  
ზედ უნდა დავრჩეთ და არაეითარ შემთხვევაში არ უნდა მივვახლოოთ, რათა  
ყინულოვან ზღვაში არ აღმოვჩნდეთ და იქ არ გაუიჩხიროთო. და აი უკეთუ ერთი  
და იმავე პარალელისა გასწვრივ მკაცრად მივყვებით ამა გარშემოსავლელ გზა-  
სა, პოლუსი ჩვენგან მარჯულ, ანუ ხელმარჯვნივ, აღმოსავლეთით დარჩება,  
ზღვაში გამოსვლისას კი ის ჩვენგან მარცხულ, ანუ ხელმარცხნივ იყო. აქა  
ჯერ არს იმის აღნიშვნა, რომ გზა საოცრად ბედნიერ ვარსკვლავზედ აირჩიეს.

მართლაც, არცრა მარცხი, არცრა ვაგლაზი და არცრა დანაკლისი არ გა-  
ნუცდიათ, სულ უღრუბლო ცისა ქვეშე იარეს, ერთ დღესა თუ არ ჩავთვლით,  
ოდეს მაკრეონთა კუნძულთან იდგნენ, და სამ თვეზედ ცოტა მეტი დრო მოანდო-  
მეს ზემო ინდოეთში მისვლასა, პორტუგალიელნი კი ამა გზასა სამ წელიწადსა  
უნდებთან, თანაც ათას უბედურებასა და ურიცხვ განსაცდელში ცვივიან. ვინემ  
არ გადამარწმუნებენ, მიწყვი იმის მტკიცებაში ვიქნები, რომ დიახაც ამა მარ-  
ჯვე გზასა აღგნენ ის ინდოელნი, გერმანიაში რომ ჩავიდნენ და მერმე დიდის  
პატივითა რომ მიიღო შვედთა მეფემ. იმხანად ვალიასა შინა პროკონსული იყო  
კვინტუს მეტელუს ცელერი, ვითარ ამასა მოწმობენ კორნელიუს ნეპოტი და  
პომპონიუს მელა, ხოლო ამათ კვალდაკვალ აგრეთვე პლინიუსი.

## თავი II

### ვითარ მოივაჭრა პანტაბრუელმა კუნძულ მელამოტიზიმ უამრავი ჩინებული რამ

არცა იმა დღესა, არცა მეორე, არცა მესამე დღესა ზმელეთისთვის თვალი  
არ მოუკრავთ და არცრა ახალი არა შეუმჩნევიათ რა, ვითარმედ ამა გზასა ყო-  
ველნი კარგად იცნობდნენ. მეოთხე დღესა კუნძული მოიხილეს სახელად მელა-



მოტი,<sup>1</sup> რომელსაცა უსაჩუთრესად მამზიდველსა და თვალწარმტაცსა ხდიდნენ უამრავნი ზღვასა ზედა გზასა მაჩვენებელნი შუქურა-სვეტნი და მალაღნი მარ-მარილოს კოშკნი, კუნძულისა მთელ სანაპირო ზოლსა რომ ამწვენიებდნენ, ისეთ-სავე სიგრძისასა, როგორცა კანადისა სანაპირო ზოლია.

პანტაგრუელმა მოიკითხა, კუნძულსა ამასა ვინ განაგებსო, ვინა და მეფე ფილოფანიო,<sup>2</sup> უთხრეს, მაგრამ აწ აქ არ არისო, იმისი მმართველობის<sup>3</sup> ენგისის სამეფოს<sup>4</sup> ინფანტას ირთავს და ისიცა იქ არის, ქოჩნის<sup>5</sup> მმართველნი პანტაგრუელი ნავსადგურში ჩამოვიდა და, ვიდრე კანჯოები მტკნარ წყალსა იმარაგებდნენ, იმან სურათების, მხეც-ნადირის, თევზ-ფრინველისა და ათასგვარი ვეზოტიკური და უცხოური საქონლისა თვალთერება დაიწყო, რითაც კი იქავ სანაპირო-ზედ და ნავსადგურში ვაჭრობდნენ. ეს იყო მესამე დღე ხმაურიანსა და ხალხმრავალი ადგილობრივი ბაზრობისა, სადაც ყოველწლივ აფრიკისა და აზიის ყოვლისა უფრორე მდიდარნი და სახელგანთქმულნი ვაჭარნი ჩამოდრიდნენ.

ძმა ჟანმა ამა ბაზრობაზედ ორი იშვიათი და დიდფასიანი სურათი მოივაჭრა: ერთ-ერთზედ ღია ცოცხლად იყო გამოხატული სასამართლოში საქმეწაგებული კაცო, მეორე კი ბატონისა მძებნელი მსახურის პორტრეტსა წარმოადგენდა, ამასთანავე საქმეწაგებული კაცოცა და მსახურიც მთელი თავიანთი თვითება-თავისებურებით იყვნენ გამოყვანილნი, რაიცა ცხადად ჩანდა იმათ მოძრაობაში, თავისა დაჭერაში, გარეგნობაში, მიხრა-მოხრაში, სახისა ნაკვთებსა და გამოძეტველებაში. ორივე სურათი ჩაუფიქრებინა და შეესრულებინა მეფე მევისტეს კარისა მხატვარსა მეტრ შარლ შარბუას;<sup>6</sup> დადათუმცა, ძმა ჟანმა გამყიდველთ სიტყვა ბანზე აუგდო, აქეთურიო, იქეთურიო, თვალი აუხვია და საფასურისს გადაუხდელად დასციცლა ისინი.

პანურგმა დიდი ტილო იყიდა; ეს იყო პირ-ასლი ნაქარვისა, რომელზედაც იდინდელ დროებაში ფილომელამ გამოსახა და თავის დასა პროკნეს თვალცხად-ლივ ამცნო: აი, ვითარ დამაკარგვინა უბიწოება სიმე-ბატონმა ტერფესმა და, დანაშაული რათა არ გაჰქვეყნებოდა, ენაც მომაჭრაო. ამა არამზადა სიძისა აღ-სასრულსა ვფიცავ, მართლა საოცარა რამ ხამუშაკვევი იყი. ერთი წუთითაც არ აფიქროთ, რომ სურათი გამოხატაუდა მამრსა, რომელიცა მდედრსა აუპატიურებს. ეს ნამდვილად დიდი უგუნურება და სიტლანტე-იქნებოდა. სურათი სულ სხვა აზრისა იყო და ფრთად დახვეწილი. თელემსა შინა შეგიძლიათ იმისი ნახვა, — როგორაც კი ზედა გაღერეაში შეხვალთ, იქავუ მარცხნივ.

ეპისტემონმაც იყიდა სურათი, რომელზეც ღია ცოცხლად იყო წარმოდგე-ნილი პლატონისა იდეები და ეპიკურეს ატომები.

რაზოტომმა ნატურიდან დახატული ნიმფა ექოს სურათი იყიდა.

პანტაგრუელმა გიმნასტსა სთხოვა, რომ აქილევსის ცხოვრებისა და საქმე-თა საგმიროთა ამსახველი სამოცდათურამეტი ჩალიჩა ეყიდნა, თითოეული სიგ-რძითა ოთხი ტუაზი, სივანითა კი სამი, სულ ფრიგიული აბრეშუმისგან ნაქსო-ვი და ოქროსა და ვერცხლის სირძითა ნაქარგი, პირველი ხალიჩა პელევსისა და ფეტიდას ქორწინებასა ასახავდა, მერმე მოდიოდა აქილევსისა დაბადება, იმისი ყრმობა, როგორაც ეს სტაციუს პაპინიუსმა აღწერა, მექმეობა იმისი და საბ-რძოლო გმირობანი, პომპროსისგან ქებაშესხმული, იმისი სიკვდილი და დაკრ-ძალვა, როგორაც ამასა აღწერენ ოვიდიუსი და კვინტუს კალაბრიელი, სულ ბოლოს ასახული იყო იმისი აჩრდილისა გამოჩენა და პოლიქსენეს მსხვერპლად დაკვლა, როგორაც ეს ვერიპიდესა აქეს აღწერილი.

გარდა ამისა, გიმნასტმა პანტაგრუელისთვის იყიდა სამი ლამაზი ახალ-



გახრდა ცალრქა ცხენი: წაბლა ვაყა და ორიცა აბრაში ჭაკი, და კიდევ გელონ-  
თა მხრიდან ჩამოსული სკვითისგან ერთი ხარვერძსაებ რამ ტარანდი მოი-  
ვაჭრა.<sup>6</sup>

ტარანდი სიდიდითა მოზერისა ხელა პირუტყვია; უცხოდ რქანაყარი თავი  
ირმისას მიუგავს, ოღონდ ცოტა უფრორე მოდიდო უჩანს, ჩლიქნი ორად გაპო-  
პილნი აქვს, ბალანი, ვითარცა ბრანგვ დათვსა, ვრძელი, ტყაჭრ ჩიღნაჭ უჭროი-  
ხად იმაზედ რბილი, ვიდრე ბაკნისა ტყავია. გელონელი ირწმუნებოდა, ტარან-  
დისა დაჭერა არცათუ იოლი საქმეა, რამეთუ იმა ადგილმდებარეობისდა მიხედ-  
ვით იცვლის შეფერილობასა, სადაცა ცხოვრობს და ბალახობსო: რასაცა მიეახ-  
ლოება, ბალახი იქნება თუ ხენი, ბუჩქნარი თუ ყვავილნი, საძოვარნი თუ კლდე-  
ნი, საერთოდ რაც კი იქნება, უმაღლ ისეთივე შეფერილობისა ხდებაო. ესა ამს-  
გავსებს ტარანდს ზღვისა პოლიჰსა<sup>7</sup>, ტოიებსა, ინდურ ლიკაონებს, ქამელეონსა,  
რომელიცა ხელიკისა, ანუ მსვლიეისა იმოდენად თავისებურ სახეობასა წარმო-  
აღგენს, რომ დემოკრიტემ აკი მთელი წიგნიც კი მიუძღვნა, სადაცა აღწერა იმ-  
ისი გარეგნული სახე, შინაგან ასო-ორგანოთა მოწყობილობა, აგრეთვე სასწა-  
ულებრივი თვითება-თვისებანი იმისნი და თავისებურებანი. მე ჩემის თვალ-  
ითა მომიხილავს, ვითარ იცვლის ტარანდი ფერსა არა მარტო შეფერილ რამეს-  
თან მიახლოებისას, არამედ თავისითაც, შიშისა ან სხვა ძლიერ ვრძნობათა ზე-  
მოქმედებისა გამო. მოვიხილე, ვითარ თვალისთვის შესამჩნევად მწვანდებოდა  
მწვანე ძოლო-ხალიჩაზედ, ხოლო მერმე, ცოტა ხანსა ზედ რომ დაყოფდა, ხან  
ყვითლდებოდა, ხანაც ცისფერი, წაბლისფერი ანდა იისფერი ხდებოდა — ზუს-  
ტად როგორაც მამალი იდნაურისა ჭინჭორი, ანუ ლაჯაჯი, რომელსაცა ფერი  
იმისდა მიხედვით ეცვლება, რასაცა ინდაური ვრძნობს. მეტადრე მაინც საოცარი  
ის იყო, რომ ტარანდისა ოდენ დრუნჩი და ტყავი კი არა, მთლიანად ბალანიც  
იმა შეფერილობისა ხდებოდა, რა შეფერილობისა რამესთანაც ის უახლოესად  
იღვა. პანურგსა ნაცრისფერი ტოვა ეცვა და იმის ახლოსად ისიცა ნაცრისფერ-  
დებოდა; აღისფერმოსასხამიანი პანტაგრუელისა ახლოს ტარანდსა ბალანი და  
ტყავი უწითლდებოდა; ლოცმანისა ახლოსად, რომელსაცა ისევე ეცვა, ვითარ-  
ცა ანუბისისა ქურუმთ, ტარანდისა ბალანი თოვლსაებ თეთრი ჩანდა. აქავე უნდა  
შევნიშნო, რომ ბოლო ორი ფერი ქამელეონისთვის უცხოა. ოდეს არცა შიშსა  
ვრძნობს და არცა დამფრთხალია, ტარანდი თავის ბუნებრივ შეფერილობასა  
ინარჩუნებს და ბალნისა ფერთა მენურ სახედარსა გვაგონებს.

### თავი III

ვითარ მოუტანეს პანტაგრუელსა თავისი მამისა  
ბარბანტუას უსტარი, და უორიელი ქვეყნებიდან  
სასურველ ცნობა-ამბავთა მიღების უჩვეულო  
ხერხისა გამო

პანტაგრუელი ჯერეთ ისევ ღრსადსაკვირველ, ანუ უცხოურ მხეც-ნადირ-  
თა სყიდვით იყო გართული, როს ზღვისპირ, მოლოზედ, ექვსჯერ გაისროლა  
ქვემეხმა, რისა შემდგომაც სუყოველი ხომალდიდან მქუხარე, აღტაცებულნი  
შეძახილნი გაისმა, პანტაგრუელი ნავსადგურისკენ მიბრუნდა და თავისი მამისა  
გარგანტუას სწრაფმავალი გემი მოიხილა, რომელიცა „ქალიდონად“<sup>1</sup> იმისა  
გამო იყო წოდებული, რაკი კინოზედ „ზღვისა ლეგუტა, ანუ მერცხალი“ ესკუ-



პა, კორინთული მაფრახ-ბრინჯაოსგან ქმნილი. „ზღვისა ლეგუტა, ანუ მერცხალი“ ლუარას ნაფოტას ხელა თევზია, ძალზედ ხორციანი, უქერცლო, ფრთანი, ვითარცა ღამურასა, იგივე ღამისა მხმობელსა, გრძელი და ფართოაქიანნი აქვს, რომელთა საშუალებითაც წყალზედ ერთ ტუაზ მანძილსა ისრისა უმაღლესად დაფრინავს, რისა მოწმეცა მე თავად მრავალჯის ვყოფილვარ. მარსელში თევზსა ამასა „ლანდოლს“ ეტყვიან. რაღა გავაგრძელო, გემი ესე მერცხალებსაებრ დია მნატე იყო და იმისა შემხედვარესა გეგონებოდა, კი არც ვერცხვასა ზედაფრინავსო. გემზედ იმყოფებოდა გარგანტუას მატაკარანი, ანუ მეტაბლე მალიკორნი, რომელიცა მეფე-ბატონსა იფრინდად გამოეგზავნა თავისი ძისა, ქველი პანტაგრუელის ასავალ-დასავლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობისა გასაკებად, და თანაც უსტარი გამოეტანებინა.

პანტაგრუელმა მალიკორნის თავაზიან მოკითხვასა თავაზიანადვე უპასუხა, აღერსიანად ჩაიკრა გულში და ვინემ უსტარსა გახსნიდა, უწინარესად ჰკითხა:

— ციური მაცნე „გოზალი“<sup>2</sup> ხომ თანა გყავს?

— დიახ, — მიუგო მალიკორნმა, — აი, ამა კალათაშია.

ეს იყო გარგანტუას სამტრედისა ღედა მტრედი, თავის ხუნდთათვის უკანასკნელ წუთსა განემორებინათ, როს სწრაფმავალი გემი ცოტაც და დაიძვროდა. უკეთუ პანტაგრუელი შავ ღღეში იქნებოდა, მაშინ მტრედსა ფეხზედ შავ ბაფთასა შეაბამდნენ, მაგრამ რადგან წარმართებული იყო და საქმე კარგად მისდიოდა, მტრენიშვილმა, დრო ტყუილად არ დაუკარგო, უმაღ ამოიყვანა კალათიდან მტრედი. ფეხზედ თეთრი აბრეშუმისა ბაფთა შეაბა ეგრევე და გაუშვა, გააფრინა. მტრედმა გაუგონარი სისწრაფითა გააპო ჰაერი და წამერთ გაუჩინარდა. მოგვხსენებათ, არცრა ისე სწრაფად არ დაფრინავს, როგორაც ღედა მტრედი, როცა გრუხავს ანდა, უკვე გამოჩეკილნი ჰყვანან ხუნდნი, ვითარმედ იმას თვითონ ბუნებისგან აქვს ჩანერგილი შეუპოვარი სწრაფვა თვისთა ნაშიერთა გასაფრთხილებლად და დასაცავად. ბევრი იფრინა თუ ცოტა იფრინა, ღედა მტრედსა ორი საათიც არ დასჭირვებია, რომ უზარმაზარი სივრცე გადაეკვეთა. სწრაფმავალი გემი კი, რომელიცა უმაღლესი სიჩქარითა მოძრაობდა, თანაც ზურგისა ქარში, ჩინაბ-ხოფთა და აფრა-იალქანთა შემწეობითა, იმავე მანძილისა გაელასა სამი ღღე და სამი ღამე მოუნდა. ხალხმა თვალი შეასწრო, ვითარ შეფრინდა ღედა მტრედი სამტრედსა შიგან, შვილებთან, და სახელოვანმა გარგანტუამ შეიტყოს თუ არა, თეთრი ბაფთა აბიარ და, მაშასადამე, მე ჩემი საღ-საღამათიარ. დამშვიდა და გამხიარულდა.

ამა საშუალებასა ქველნი გარგანტუა და პანტაგრუელი სუყოველჟამსა მიმართობენ, თლეს ერთი სული ჰქონდათ იმის გასაკებად, სად როგორ გასრულდა მტრედი თუ სახმელეთო ბრძოლა, დახებდა თუ ჯერეთ კიდევ თავსა იცავდა რომელიმე ცხენ-სიმეურე, ჩაცხრა თუ არა ნიადაგ უგვანო შუღლი, რომელსაცა ვაი-სტენა რამ ამბავი მოჰყოლოდა, მშვიდობიანად მოილოგინა თუ არა მან-ვან-საღამოვანმა ღედოფალმა ანდა ვინმე დიდგვაროვანმა ბანოვანმა, აღესრულნენ თუ მოძვობინდნენ სნებაშეყრილნი მეგობარნი ანდა მომხრე-მოკავშირენი და ყველაფერი არა ჩამოთვლის. აიყვანდნენ ისინი გოზალსა და განკარგულებასა მოახსენებდნენ, რომ ძაღუმსრბოლი, ანუ ჭენებითა მავალი ხელიდან ხელში გადაეცათ იგი იმა კალიამდისინ, საიდანაც ისინი ცნობა-ამბავსა ელოდნენ. გოზალი ერთ საათსა სულ მანძილსა მიფრინავდა, ვიდრე ერთმანეთისა მონაცვლე ოცდაათი მდგომარეობილი ერთ ღღეში გადიოდა, და ძალიად შინ დაბრუნებული. ვითარე-ნადა ღედად შევაფთიანი თუ თეთრბაფთიანი, მლოდნულთ გასაკებასა აგები-ნადა ღედად ზოგავდნენ და იგებდნენ ისინი უამრავ დროსა. და არცრასა წა-



გებთ, უკეთუ დაძიჯერებთ: სადაც კი იმათ სოფლად სამტრედენი ჰქონდათ, დედა მტრედენი წელიწადის ყოველ დროსა ხუნდთა ჩეკა-ზრდაში იყვნენ, რისა მიღწევაც საფრინველესი გვარჯილისა და წმინდა მცენარის — ვერბენას წყალობითა სულ ადვილი საქმეა.

ვოხალი გაუშვა თუ არა, პანტაგრუელმა თავისი მამის, გარბანტუას უსტარი წაიკითხა, რომელსა შიგან შემდეგი რამ ეწერა:

ეროვნული  
გონიერებისა

„სულთუტკბესო მოძირე ძეო! მამისა ბუნებრივი სიყვარული სათაყვანებელი შეილისა მიმართ ნამეტნავად გაძლიერდა ჩენში, რაიცა შენთა საგანგებო თვისებათა გამო მოძვიდა, რომელნი თვისებანიცა შენში ჩანერგილია ღვთისა განგებულებისგან, და აწ, შენი წასვლისა შემდეგ: ერთადერთი ფიქრი არ მასვენებს, გულსა ჩემსა შიგან შიშისგან წარმოშობილი ოდენ ერთი საზრუნავი ჩაბუდებულა: ხლვაში გასვლისას ხომ არაფერ უბედურებასა და განსაცდელსა გადაეყარეთ, მოგეხსენება, დიდსა და გულწრფელ სიყვარულსა მიწყივ ზარი ახლავს. და, პესიოდესი არ იყოს, ვინაიდან რისამე დასაწყისი უკვე ნახევარი საქმეა, ხოლო ცნობილი ანდაზისა მიხედვით, რასაცა დავთესავთ, იმასა მოვიძვით, მეცა ავღექი და, რათა შავნი აზრნი ჩამომეწორებინა, იფრინდალ მალიკორნი გამოგიგზავნე, რა არი სუყოველივე შეეტყო და უტყუარი ამბავი ჩამოეტანა, უთხარ ჩაიარა შენი მოგზაურობისა პირველმა დღეებმა, რადგან თუ კეთილად დაიწყოს, სწორედ ისე, როგორცა მე გისურვე, მაშინ ჩემთვის ადვილი გამოსაცნობი და ადვილადვე საწინასწარმეტყველო იქნება, რარიც წაგივა შემდეგში საქმე.

რამოდენიმე მხიარული წიგნი გიშოვნე და ამა უსტარისა მომტანსა ეატან. წაიკითხე, ოდეს შენთა ძნელთა საქმეთაგან დამაშვრალსა განსვენება მოგესურვოს. მომტანი ესე წვლილად მოგიტხრობს ჩვენი კარისა ამბავთ. ნუმცა მოგკლებია მარადის მყოფისა ლოცვა-კურთხევა. თავი დაუკარი პანურგსა, ძმა ჟანსა, ეპისტემონსა, ქსენოძანსა, გიმნასტსა და სხვათა შენთა მსახურთ, ჩემთა კეთილ მეგობართ.

შენი მამა და მეგობარი  
გარბანტუა.

დაწერილია მამისა შენისა სახლსა შინა თიბათვისა, ანუ იენისის 13 დღესა“.

#### თავი IV

ამა პანტაგრუელი უსტარსა სწერს თავის მამასა გარბანტუას და უამრავ ლამაზსა და უიშვიათეს რამესა უგზავნის

მამისა ნაბარათე-უსტარი რომ წაიკითხა, პანტაგრუელი გამოემუსაიფ მატაკარან მალიკორნს და ისე დიდხანს ეუბნა, პანურგმა ვეღარ მოითმინა და სიტყვა შეაწყვეტინა:

— როდისღა უნდა ჩაღლიო? როდისღა უნდა ჩავღლიოთ? როდისღა უნდა ჩაღლიოს უფალმა მატაკარანმა? განა არა კმაა ლაპარაკი და ჩაღლევისა ჟამი არ დადგა?

— მართალი ბრძანდები, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — უახლოეს სამიკიტ-



ნოში ბრძანე სუფრისა გაშლა — აგერ იმაში, სად აბრისა ნაცვლად შესაელოსა, თავზედ ცხენსა ზელა ამხედრებული სატირია გამოხატული.

მერმეთ დაჯდა პანტაგრული და გარგანტუას უსტარი მისწერა, რომელიცა მატაკარანსა ერთგვარ გასამართლებელ საბუთად უნდა გამოსდგომოდა.

„უგულკეთილესო მამავ! ამა დროებითი ცხოვრებისა რაგინდარა შემთხვეულობა, რომლისა წინასწარ გამოცნობასა ვერ ვახერხებთ, ვნდომ არცა ვუფროსით, უფრორე მძიმე და დამღუპველია ჩვენთა საარსებო მალსათვის (ის კი არა, ზოგჯერ სული ხორცსა ვერება, თუმცა ანაზღუულად ცნულ-შეტყობინებული ცნობა საკეთილო და სასურველია ხოლმე). ვინემ წინასწარ თუ განვჭვრეტდით და გავითვალისწინებდით ჩვენსა მოსალოდნელ მოსავალსა, ამიტომაც ამაღელვა და შემძრა შენი მატაკარანისა იჩქითად მოსვლამ, რამეთუ ჩვენი ნაუთმავლობისა დამთავრებამდის არცა შენთა შინაკაცთაგან ვისმე ნახვასა ვულოდი და არცა კიდევ შენი ამბისა შეტყობასა. თავსა ოდენ იმით ვინუგეშებდი, რომ რაც რამ შენსა უავგუსტოეს დიდებულებასა ნათლად მაგონებს, ღრმად ჩაბეჭდილია, უფრო სწორად, ამოჭრილი და ამოკვეთილი ჩემა ტვინისა უკანა პარკუჭსა შიგან, სულაც არ გამწვანდება და ცოცხლად ვხედავ შენსა გულმართად და სათნო ხატსა.

„გარნა, რახან დამასწარი, ესდენ ალურსიანი ნაბარათევ-უსტარი გამომიგზავნე და შენი მატაკარანისა პირითა იმდენი რამ ახალი მაუწყე როგორაც შენი ჯანმრთელობისა და კარგად ყოფნისა, ისე შენი სამეფო სახლისა შესახებლად, რომ ისლა დამრჩენია, დაეღვე და ვითარ აქამომდე, აწ კი განახლებული სულისკვეთებითა, ჯერეთ ერთი, ვადიდო კურთხეული მაცხოვარი ჩვენი, რომლისა უსაზღვრო გულმოწყალებისა ამბავია შენი ეგზომ გრძელჟამიერი სიმრთელე; შეორეც, მიწყვიტ მადლი გწიროთ იმა მხურვალე და ურყევი სიყვარულისა გამო, რომელი სიყვარულისა ღირსად მხდი შენსა მორჩილსა ძესა და დაუღვევარ მსახურსა. ძველსა დროებაში ფურნიუსად სახელდებულმა მავანმა რომაელმა სიტყვა ჰკადრა კვისარ ავგუსტუსს, რომელმან ანტონიუსის შეთქმულებაში მონაწილე მამამისსა მიუტევა და შეუნდო: „დია მადლი კი მიქენი, მაგრამ ამასთანავე შემარცხვინე კიდევ, რამეთუ ნაცვალგებისა, ანუ სამაგიეროს გარდახდისა თავი არა მაქვს, და სიცოცხლეცა და სიკვდალიც აგრე უმაღურ კაცად დადღაკრულსა მიწერიან“; იმისდა კვალად უნდა ვითხრა, რომ უჩვეულო მამობრივი სინაზე შენი მეცა შავ ღღეში მაყენებს, რადგანაც შენთვის სამაგიეროს გარდუხდელად უნდე ვიცოცხლო და მოვკვდე. თავისა გასამართლებლად თუ ვისმე დავიმოწმებ, სტოელნი უნდა დავიმოწმო, რომელნიცა მადლისა ქმნაში სამ მხარესა ხელადღენ: გაცემსა, აღება-გამორთმევასა და მიგება-ნაცვალგებასა, ამასთანავე იმით მიაჩნდათ, რომ ამლებ-გამომრთმევმა დია მიაგო მბომბებელსა, უკეთუ იმისი ნაწყალობევი გულითა იწყალობა და მთელი სიცოცხლე არ დაუვიწყე კეთილს, და პირიქით: ამლებ-გამომრთმევი იგი, ვინაც მისთვის ქმნილი მადლი არად ჩაავლო და დაივიწყა, ყოვლისა უფროისად უმაღური კაცია ქვეყანაზედ.

ამრიგად, შენი უსაზღვრო სიკეთიდან გამომდინარე უზღვაოი ვალდებულებითა დათრგუნვილსა შენთვის მცირედისა მოზღვაც კი არ ძალმძის და, თუ ოდნავ რამე შევიძელი, იქნებ წინასწარ ის ცრუ პრალდება მაინც ავიცილო, რომ შენი ხსოვნა ოდესმე წაიშლება ჩემში; პირიქით, ენა-პირი არცროდის დაშლდება იმის თქმა-ადიარებითა, ვითარმედ შენთვის ტოლფარდი სამაგიეროს გარდახდისა არცა თავი მაქვს და არცა კიდევ შესაძლებლობა.



სხვებზე, დამბადებლისა კეთილმოწყალებასა და შეწვევასა ვარ მინდობილი და ვიმედულობ, რომ ჩვენი მოგზაურობისა ბოლო დასაწყისისა შესაბამი იქნება და ყოველნი მხიარულნი, უჭირველ-უტკივარნი, საღ-საღამათნი დავერუნდებით. გზიდან კომენტართ და ეფემერიდებსა! არ გამოგიგზავნი; ოღეს კვლავ მოვიხილავთ ერთმანეთსა, მთელი ჩვენი ნათმავლობისა თუ ცურვა-მგზავრობისა უტყუარ ანგარიშსა მოიბოძებ.

ერქუნული

აქა ერთი სკვითური ტარანდი მოვიშოვე, რომელიცა უჭირველ-უტკივარ-რი პირუტყვია: ტყავისა და ბეწვ-ბაღნისა ფერსა იმისდა მიხედვით იცვლის, რისა ახლოსადაც უზდება ყოფნა. ვიცი, სიამოვნებასა მოგგვრის. ბატკანსაებ მშვიდი და უწყინარია. კიდევ სამ გერვე, ანუ ასაკმცირე ცალრქა ცხენსა გიგზავნი, კნუტებზედ მეტად დახელისებულთ და მოშინაურებულთ. მატაკარანსა ყველაკა ავუხსენი და ვუთხარი, ვითარ უნდათ მოქცევა. მინდვრად მოვა არა ძალუძთ, რამეთუ შუბლზედ ამოსული გრძელი რქა უწლით ხელსა. ხეთა ზედა თვითონ წყვეტენ ნაყოფთ, ანდა საგანგებო რამ ბაგასა შიგან უნდა ჩაუყაროთ ნაყოფი, თუგანდ ხელითა აჭამეთ ბალაბურდა-ბალახბულახი, თაველ-თავთაუი, ვაშლი, მსხალი, ქერი, შვრია, საერთოდ ყოველგვარი ნაყოფი და ბოსტნეული. მიკვირს და გამკვირვებია, ძველნი მწერალნი რად ჰგონებენ, ველურნი, მძვინვარენი, საშიშნი არიანო და ცოცხალნი არცვის აროდეს უნახავსო. თუ მოინებებთ, გამოსცადეთ, და საწინააღმდეგოსა დაინახავთ: ესეგვარნი პირუტყვნი დედაშიწისა ზურგზედ არ იპოვებიან, ოღონდ არ უნდა მოატყუო და არ უნდა გააბრაზო. კიდევ გიგზავნი აქილევსისა ცხოვრებასა და მექმეობასა, ასახულ-გამოყვანილსა ჩინებულ, იკლიკანტურ, შესაქცევრად ნაქარვ ხალიჩათა ზედა. გპირდები, რომ ყველაფერსა მოგართმევ, მთელი ჩვენი მოგზაურობისა მანძილზედ რაც კი რაიმ იშვიათი ცხოველი, მცენარე, ფრინველი თუ სპეკალი შემხვდება; ვიმედობ, ამა საქმეში ხელსა აღმიპყრობს უფალი ღმერთი, რომელსაცა მიწყვი ვაკედრებ თავსა შენსა.

დაიწერა კუნძულ მედამოტიზედ, ივნისის 15 დღესა. პანურგი, ძმა უანი, ეპისტემონი, ქსენომანი, გიმნასტი, ევსთენი, რიზოტომი და კარპალიმი კრძალვითა გეამბორებიან ხელთ და ათასჯერ გიზრიან თავსა.

**შენი მორჩილი ძე და მსახური  
პანტაგრუელი.**

ვინემ პანტაგრუელი ზემორე უსტარსა კალმავედა, სუყოველნი მალიკორნის პატივისცემაში იყვნენ, ეხვეოდნენ, გულში იკრავდნენ. ძნელია აღსაწერად, რა გნიასაც იქ იდგა, ერთმანეთსა არლა აცლიდნენ, ზოგი რასა სძლვნიდა და ზოგი რასა. უსტარი რა გაასრულა, პანტაგრუელმა დია მოაღბინა სტუმარი და რვაას ეკიულ ღირებული მძიმე ოქროს ძეწკვი მიუბოძა, რომლისა ყოველსა მეშვიდე რგოლსა შიგან ჩასმული იყო არაერთი მსხვილი ბრილიანტი, ლალი, ზურმუხტი, მარგალიტი, ხოლო იმის მეზღვაურთ ხუთას-ხუთასი მზეგამობატული ეკიუ დაურიგა თითოეულსა. თავის მამასა გარგანტუას მან გაუგზავნა სირმითა გაწყობილი ასალ-ყაჯრიანი ტარანდი, ხალიჩები, რომელთა ზედან ამოქარგული იყო აქილევსისა ცხოვრება და მექმეობა, და სამი ოქროქსოვილი ფარჩის ჩულიანი ცალრქა ცხენი. უკანასკნელ მალიკორნმა დააგდო კუნძული მედამოტი, რათა გარგანტუასთან დაბრუნებულიყო, და პანტაგრუელიც დაიძრა, განავრძო თავისი გზა. გამლილ ზღვაში რომ გავიღწენ, ეპისტემონმა სთხოვა, მიდი, მატაკარანისა მიერ ჩამოტანილი წიგნები ხმამაღლა წაიკითხო. სუყველა ის წიგნი



ისეთი მხიარული და თავშესაქცევი გამოდგა, უკეთუ გულიანად მოხვოთ, იმით პირ-ასლთ სიამოვნებითა მოგიბოძებთ.

## თავი V



ეროვნული

პითარ შახვლა კანტაბრული სომეხლენი  
 მოგზაურებითურთ, რომელნიცა ფარანელთა  
 ძვენიდან, ანუ ლიფლიფეთიდან  
 ბრუნდებოდნენ

მეხუთე დღესა, უკვე თანდათან პოლუსისა შემოვლა და ბუნიობისა ხაზი-დან დაშორება რომ დავიწყეთ, სავაჭრო გემსა მოვატანეთ თვალი: აფრა-იალ-ქანგაძლილი ჩვენდა შესახვედრად მარცხენა პალსით მოდიოდა. სუყოველნი გავმხიარულდით, ჩვენცა და ვაჭარნიცა: ჩვენ — იმიტომ, რომ ზღვისა ამბისა გაგება გვწყუროდა, ისინი — იმიტომ, რომ ხმელეთისა ამბისა გაგება სწყუროდათ. რა შევიყარენით, ვიცანით, რომ ფრანგნი აყვნენ, სენტონჟელნი.<sup>1</sup> პანტაგრუელმა ლაპარაკი გაუბა. ფარანეთიდან, ანუ ლიფლიფეთიდან მოვდივართო, უთხრეს. აქ, პანტაგრუელიცა და მისნი მოყმე თანამგზავნიც კიდევ უფროისად გახალისდნენ. დაუწყეს გამოკითხვა, რაგვარი მმართველობაა ფარანეთშიო, ვითარი ზნე-ჩვეულება აქვს იქაურ ხალხსაო, და იუწყეს, ამა წლისა მკათათვის, ანუ ცვლისისა ბოლოს მუნ ყოველთა ფარანელთა კრება უნდა გაიმართოსო<sup>2</sup> და თურომ დროულად მიხვალთ (რაიცა ჩვენთვის სამხელო საქმე არ იყო), ფარანელთა მშვენიერ, პატივსაცემ და ნიშატიან საზოგადოებასა მოიხილაეთო. ძალიან დიდსა სამზადისში არიან, ჩანს, თავიანთი ფარანელობისა სრულად გამოჩენასა ეპირებიანო. წინასწარ კიდევ ისიც გვამცნეს, ოღეს გიბორიმის<sup>3</sup> დიდ სამეფოსთან ჩაივლით, მეფე ოჰაბე,<sup>4</sup> იმა მხარისა მმართველი, შეგხვდებათ და დიდის პატივითა მიგიღებთო; თავადაც და მისნი მოყმე-ქვეშევრდომნიც ფრანგულად ლაპარაკობენ, ტურენულ კილოკავზედაო.

ვინემ ამა ახალ ამბავთ გვიკაკლაუდნენ და გვიწიგნავდნენ, პანურგმა ჭუკი-ად სახელდებულ ტაიბურგელ<sup>5</sup> ვაჭართან კრტიმლობა — კინკლაობა მოასწრო. წაკანკლაუებით კი, ვეტყვით, რაზედ წაკინკლავდნენ. დაინახა რა, რომ პანურგსა საბიძალი არა ჰქონდა და სათვალე ქუდსა ზედა ეკეთა, ჭუკიამ თვისთა თანამგზავრთ პრქვა:

— პირწავარდნისლი რქაბმულიაო!

პანურგსა სათვალისა წყალობითა კიდევ უფრო უკეთესად ეყურებოდა, ვიდრე ადრე. როგორაც კი ამა თქმულმა იმის სმენასა უწია, მან მკვირცხლად მიმართა ვაჭარსა:

— რქაბმულობისასა, შე ეშმაკისა კერძო, რასა მატყობ, როს ჯერეთ კიდევ სალთი და ლევანდი ვარ, უცოლო? შენ კი, ბევრი ფიქრი არ უნდა, მაგ შენი არცთუ ძალიან სანდომიანი სიფათისდა მიხედვით ნაღდად ცოლიანი ხარ, დიდცომიანი, საფანელსა რომ თავი დავანებოთ.

— ბატონი ბრძანდები, — დაუდასტურა ვაჭარმა. — და რაც ევროპაში სათვალეა და რაც აფრიკაში ოკულარი, სულ რომ მომცენ, ჩემსა ცოლში მაინც არ გავუცვლი. სხვათა საწყენად არ ვამბობ და ჩემი უღელტოლი მთელ სენტონჟში ყოვლისა უფრო კობტა, ყოვლისა უფრო ზრდილი, ყოვლისა უფრო პირისწყლიანი და ყოვლისა უფრო უმწიკვლოა. ხელცარიელი არ მიუვალ, საჩუქარი



მიმაქვს: წითელი მარჯნისა ლამაზი შტო, თერთმეტდიუმიანი სივრძისა. არა, მაინც რა გინდა ჩემგან? რას გადამეკიდე? ვინა ხარ? საიდან მოსულხარ? მიპასუხე შე სათვალისა ანტიქრისტევ, მიპასუხე, თუ ღმერთი გწამს!

— მე კი შენ გეკითხები, — მოუთხრო პანურგმა. — რასა იტყვი, უკეთუ ყოველთა სტიქიათა შეწევნითა კარგა გვარიანად ეაყინტრავე ის შენი დია კობტა, დია ზრდილი და დია პირისწყლიანი, დია უმწიკვლო ცოლი, რასა იტყვი, უკეთუ წალკოტ-ბაღნართა კირკიტი ღმერთი პრიაპე, რომელიცა მისივესა მკვლად მყავს გაშვებული და უსაბიძლოდ დაიარება, ეგრევე შიგ შეუძვრა იმა შენსა მოგვირგვინესა და მერმე, ღმერთმა დაგიფაროს, უკან არღა გამოვიდა, სამუდამოდ იქ იდგომილა? ახრ, მაცოდინა, რასა იზამდი მაშინ? თავსა გაანებებდი და შიგან ჩატოვებდი? თუ კბილებით დაუწყებდი ჯაჯგურსა გამოსათრევად? მიპასუხე, შე ცხვარ-ბატკნისა მაჰმადო, შე ღვთისგარეგანო და კაცთ არამსგავსო!

— რას ვიზამდი კი არა, ახლავ დაშნითა ჯერეთ მაგ სათვალისა ყურთ დაგათლი და მერმე ცხვარსაებ წაგასაკლავებ! — იხმამაღლა ვაჭარმა და მართლაც დაშნაზედ გაიკრა ხელი. მაგრამ ქარქაშიდან ვერასგზით ვერ ამოიწვავდა, — მოგეხსენებათ, ზღვაში ყველაგვარი იარაღა სულ ადვილად იკიდებს ჟანგსა, რადგან ჰაერი ტენიანაა და აზოტითა გაჯერებული. პანურგმა მეოხედ პანტაგრუელსა უხმო. ძმა ჟანმა თავისი ცოტა ხნის წინათ ალესილი მახვილი მოივარგა და ვაჭარსა სასტიკი სიკვდილი არ ასცდებოდა, თურომ მეზომალდე და ყოველნი ნავითმავალნი, ანუ მგზავრნი ყელგადაგდებითა არ შეხვეწნოდნენ პანტაგრუელსა, ხოცვა-ფლეთა არ გაამართვინო. ამრიგად, შიხტალი ესე, იგივე შეხლა-შემოხლა, შეწყდა. პანურგმა და ვაჭარმა ერთმანეთსა ხელი ჩამოართვეს და სრული შერიგებისა ნიშნად ღოთიანად ჩაღლიეს.

## თავი VI

### ამა პანურგი შერიგებისა შემდგომ ქუპიასა ერთი ცხვარსა ევაჭრება

საბოლოო შერიგებისა შემდგომ პანურგმა ეპისტემონსა და ძმა ჟანსა წახურჩულა:

— გვერდზედ გადექით, უცხო რამ სეირი გელით. თურომ ქრანდუკელა-საქანელისა გვარლი-ალიქაში, ანუ თოკი არ ჩაგვიწყდა, ერთი მაგრა ვიქანავებთ.

მერმე ვაჭარსა მიუბრუნდა, კარგად იყავიო, ადღევრძელა და კვალად გამოცალა თავანკარა ფარანული ღვინითა სავსე ჯამჭიქა. არცა ვაჭარი ჩამორჩა პანურგსა და ახლა იმან დალია იმისი სადღევრძელო. ამისა შემდგომ პანურგმა თხოვნითა მიმართა ვაჭარსა, პატივი დამდე და ერთი ცხვარი მომეციდეო. ვაჭარმა კი აგრე მიუგო პასუხად:

— ჰეჰეე! ძმაილავ, მეზობელი, როგორც გატყობ, საწყალი ხალხისა ანკეზზედ წამოგება გვევარება! მყიდველიც შენისთანა უნდა! მაგარი მეცხვარე ჩანხარ! ისე, კაცმა რო თქვას, ჯიბის ქურდსა უფრორე მაგონებ, ვინემ მეცხვარესა. ნიკოლოზ სათნომყოფელისა მაღლმან, სუყველას მშრალზედ დასვამ, ვინცავინ ქისასქელი გვერდზედ დაგიდგება. შენსა გადამკიდეს ასი ყურისა გამობმა მართებს. ერთი თვალი შეავლეთ, კეთილო ხალხო, ჰირწავარდნილი ჟამთააღმწერელი ხოა?



— დაიცა! — უთხრა პანურგმა. — თუ კაცი ხარ, წყალობა მიყავ: ბევრსა არა გოხოვ, ერთი ცხვარი მომყიდუ. რამდენი გინდა?

— რამდენი მენდომეობა, შენ როგორა ჰგონებ, ძმაილავე, მეზობელი? — წართქვა ვაჭარმა. — ჩემნი ცხვარნი, ანუ სადგამნი, გრძელმატყელოიანი არიან.<sup>2</sup> იასონმა ამათ გააძრო თავისი ოქროს საწმისი. ამათგან წარმოდგება ბურგუნდთა სახლისა ორდენი.<sup>3</sup> აღმოსავლური ჯიშია. არცა სიდიდე აქვთ, მაგრამ მიმსუქნენ, ამად ფუნხსა ეტყვიან.

— არ ვედავები, — მიუთხრო პანურგმა. — ერთი მომყიდუ, ქენი სიკეთე, და გაეათავოთ. აქვე სულ კეწკეწ თეთრსა ჩავიხზრიალებ. დასავლურსა, მძიმესა, წკრიალასა, რამდენი გინდა?

— მეზობელი, ძმაილავე, ცოტა ახლა მეორე ყური მომაპყარ, — უთხრა ვაჭარმა.

პანურგი — მიმსახურე, ბატონო.

ვაჭარი — ფარანეთსა, ანუ ლიფლიფეთსა მიეშურებით?

პანურგი — დიახ.

ვაჭარი — ქვეყნიერებისა მოსახილველად?

პანურგი — დიახ.

ვაჭარი — და გასამზიარულეებლად?

პანურგი — დიახ.

ვაჭარი — სახელად ბოქა ყოჩი რობენი ხომ არა გქვია?

პანურგი — უკეთუ შენა გნებაეს.

ვაჭარი — ოღონდ არ იწყინო.

პანურგი — სულაც არა მწყინს.

ვაჭარი — ალბათ მეფისა ტაკიმასხარა ხარ, არა?

პანურგი — დიახ.

ვაჭარი — მოიტა ხელი! ჰა-ჰა-ჰა! მაშ, აბა ქვეყნიერებისა მოსახილველად მიდიხართ, მეფისა ტაკიმასხარა ხარ და ბოქა ყოჩი რობენი გქვია? შეხე, აიმ ერკენალსაც რობენი გქვია. რობენ! რობენ! რობენ! ბე-ე-ე-ე! ო, რა ხმა აქვს!

პანურგი — ძალიან კარგი, საამო.

ვაჭარი — მოდი, პირობა შევკრათ, მეზობელი, ძმაილავე. შენა, ბოქა ყოჩი რობენი, სასწორისა ერთ პინაზედ დადექი, ჩემს ცხვარსა რობენს კი მეორეზედ დავაყენებ. ას ბიუშურ ხამანწკაზედ გენიძლაუები, რომ თავისი წონითა, ხარისხითა და ფასითა ჩემი რობენი წაშერთ გადავწონის და ისევე დაგასიმაღლებს, რა სიმაღლეზედაც იმა დღეს აღმოჩნდება, ოღეს სახრჩობელაზედ ავიყვანენ და ჩამოგაკონწიალებენ.

— დაიცა! — უთხრა პანურგმა. — თქმა არ უნდა, მეცა გამაბედნიერებ და შენსა შთამონავლობასაცა, უკეთუ მაგ ცხვარსა მომყიდი, თუგინდ სხვა იყოს, მაგას ბევრად რომ ჩამოუვარდება, სულა მახვეწნიხებ, მოწყალეო ხელმწიფე!

— ძმაილავე, მეზობელი! — წართქვა ვაჭარმა. — ჩემთა ცხვართა მატყელისგან ფარსავ რუანულ მაუდსა მოქსოვენ, რომელთანაც შედარებით ლაისტერული მაუდიც კი უბრალო ჯვალაა. ჩემთა ცხვართა ტყავისგან ჩინებულ ტარსიკონსა, ანუ სამოკვესა ვამოქნიან, რომელსაც ვერცა თურქულისგან გამოარჩევ, ვერცა მონტელიმარულისგან ანდა, უარეს შემთხვევაში, ვერცა ესპანურისგან. ნაწლავნი ვიოლინოთა და ქნართა ალფა-სიმით მოხმარდება, და ის ალფა-სიმნი ისევე ძვირი ეღირება, ვითარცა მიუნხენურნი ან აკვილეიურნი, ამაზედ რას იტყვოდი?



— მომყიდე-მეთქი ერთი ცხვარი, — უთხრა პანურგმა, — ნუ ჩინჩობ, მეც გამოვადგები. რამდენი გინდა?

ამისა თქმა იყო, და მან ვაჭარსა კაჭალი, იგივე კეწკეწა აწრიკუსებოა! პირთამდე მოყრილი ქისა დაახახუა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი VII

პანურგსა და ჭუკიას შორის  
პაჭრობისა გაბრძობება

— ძმაილაჲ, მეზობელო! — წართქვა ვაჭარმა. — ამა ცხვრისა ზორცსა მეფენი და უფლისწულნი მიართმევენ. ნაზი, ცერიანი, გემრიელი ხორცია, სულ თითებს ჩავაკვნივტიხებს. ცხვარი ესე ისეთი ქვეყნიდან მომყავს, სადაც ტახთაც კი, უფალო, შემინდე, ოღუნ ქლიავითა ასუქებენ. ხოლო, უკაცრაული პასუხია, პავე ღორთ, ვარემე ფორთოხლის ყვაეილისა არას აჭმევენ.

— კარგი, მომყიდე ერთი ცხვარი, — მიუთხრო პანურგმა, — მაწანწალისა პატიოსნებასა გეფიცები, მეფურად ვარდაგიხდი. რაერთა გინდა?

— ძმაილაჲ, მეზობელო! — წართქვა ვაჭარმა. — ჩემნი ცხვარნი იმა ცხვრისგან არიან წარმომობილნი, ფრიქსე და ჰელე ჰელესპონტად საზელღებული ზღვისა წიაღ რომ გაყვანა.

— ჯანდაბას შენი თავი! — შეუყვირა პანურგმა. — გამაგებინე ეანა ხარ: clericus vel addiscens?\*

— ლათინურზედ არცა ჩვენა ვართ მწყურალად. *Ha* კომბოსტოა, *vere\*\** — პრასა, — უპასუხა ვაჭარმა. — თუძცალა, თავიანთ ენაზედ ვეტყვი: თრ, თრ, თრ, თრ! რობენ, რობენ, თრ, თრ! შენა, რასაკვირუელია, ამა ენისა გაგებაში არა ხარ. ბარემ აქვე გამცნობ: სადაც კი ჩემნი ცხვარნი შარღსა დაათხევენ, იმა მინდორთა ზედა ისეთი მოსავალი მოდის, თითქოს თვითონ უფაღსა მოეშარღოს. არცა მერგელი და არცა ნეხვი საჭარო არ არის. ეს კიდევ არაფერი! ამათი ფსლისგან შეგვინტესენციენი! საუკეთესო გვარჯილასა იღებენ. ამათი, უკაცრაულს პასუხია, ღრემლითა მკურნალნი ჩვენნი სამოცდათვრამეტ სხვადასხვაგვარ სენსა შევლიან, რომელთაგან ყოვლისა უფრო იოლია წმინდა ევტროპი სენტელისა სნება,<sup>3</sup> დაგვიფარე, უფალო, და შეგვიწყალებ! ამაზედ რასღა იტყოდი, მეზობელო, ძმაილაჲ? ამად ფასიც საკმაოდ დიდი სძევთ.

— ფახისა არ მეშინის, — უთხრა პანურგმა, — ერთი მომყიდე, არ წაიგებ.

— ძმაილაჲ, მეზობელო! — წართქვა ვაჭარმა. — დაუფიქრდი ერთი, ბუნებისა რა სასწაული იმალება სუყოველ ამა ცხვარში. აიღე აი თუნდაც რქანი, დანაყე გინდა რკინისა და გინდა ხისა კურჩითა, სულ ერთია, მნიშვნელობა არა აქვს, დამარზე, სადაც გენებოს, ოღონდ, რაც შეიძლება ხშირად რწყე: რამოდენიმე თვისა შემდგომ ნახავ, იმა ადგილას რა ყლარტა, ანუ რა თეთრი სატაცური ამოხუნხუნდება. მხოლოდ რავენუღსა თუ შევადარებ. ნეტავი მაცოდინა, უფაღსო

\* კლირიკოსი თუ შევირდი? (ლათ.).

\*\* და... უფრო სწორად (ლათ.)—ვაჭარს, პანურგის შეკითხვის პასუხად, თავი მოაქვს ლათინური ენის ცოდნით, თავისებურად განმარტავს იმ ორი სიტყვის მნიშვნელობას, რომელთაც საუბარში მუდმივ იმეორებდნენ სახულიერო პირნი და სქოლარ-შევირდნი.



რქაბმულნი, თქვენთა რქათაც თუ აქვთ ზუსტად ესეგვარნი ღირსებანი და ისინიც ზუსტად ესეგვარი სასწაულებრივი თვითება-თვისებითა თუ გამოირჩევიან?

— კარგი, კარგი! — ღიუხროს პანურგმა.

— არ ვიცი, სწავლული კაცი ხარ თუ არა, — განაგრძობდა ვაჭარი. — ბევრნი შემხვედრიან სწავლულნი, ის კი არა, უგანსწავლულნი. სწავლულნი რქაბმულნი. ღმერთია მოწმე! მაშ, აბა, თუ სწავლული კაცი ხარ, უნდა შეწყვიდე, ამაღვთაებრივ მბღაჟანთა ქვედა კიდურთა, ანუ ფერხთა შიგან, არის ესევეითარი ძვალი: სხვაგვარად თუ ვიტყვით — ვეგი, გნებავთ ასტრაგალი.<sup>3</sup> და აი სწორედ ცხვრისა — ანდა კიდევ ინდური სახედრისა და ლიბიური ქურციკის ამა ძვლითა მღერდნენ უძველეს დროებაში სამეფო თამაშსა, რომელსაცა „ტალებს“ ეტყოდნენ. ოქტავიანე ავგუსტუსი სწორედ „ტალებსა“ ამღერებდა, ერთ საღამოს ორმოცდაათი ათასი ვკიუ რომ მოიგო. აბა, რქაბმულნი, თქვენ სცადეთ ესოდენისა ნოგება!

— კარგი, კარგი! — უთხრა პანურგმა. — საქმეზედ იუბნე!

— სად ვიპოვნო სიტყვანი, ძმაილავ, მეზობელო, რომ საკადრისად შევამკო ამათი შინაგანი აგებულება, ბეჭნი, ზურგი, უკანა ფერხნი, ბარკალნი, მკერდი, ღვიძლი, ელენთა, ნაწლავნი, გუჯაბი, ბუშტი, რომლითაც ბურთსაებ თამაშობენ, ხეკნი, რომელთგანაც ჯუჯათა ქვეყანაში წკიპურტანათ, ანუ ბზაკალ-წიწკიტელათ აკეთებენ, რათა წეროთ ალუბლისა კურკანი დაუშინონ,<sup>5</sup> თავი, რომელსაცა ერთ შწიკვ გოგირდთან ერთად აგებობენ და ძაღლთ ყაბზობისას სასწაულმოქმედ ნახარშად ასმევენ?

— კუკუ გინდა კუკუხნაქში, — მიუთხროს აქა ვაჭარსა მეხომაღლემ, იგივე მენავეთმოძღვარმა. — მაგ შენი ქებითა თავ-პირი ნუ წაგვჭამე! თუ ჰყიდი, მიჰყიდე, თუ არადა, ნუ დატანჯე კაცი.

— მივეიდი, — წართქვა ვაჭარმა, — ოღონდ შენი ხათრითა. სამი ტურული ლივრი გარდამიხადოს და რომელიცა უნდა, აირჩიოს.

— ძვირია, — წართქვა პანურგმა. — ჩვენსა მხარეში სამ ლივრად ხუთი ან სულაც ექვსი ცხვარი მომივიდოდა. დაცხრი, დაოკდი. შენისთანა ბევრი მინახავს, მარტო სარფა-გამორჩენაზედ მიჩინებულნი, გამდიდრებისა მაგივრად კი რომ გამათხოვრდნენ და ზედ კიხერიც წაიმტკრიეს.

— ციებ-ცხელებამც შეგყრია, შე შლუ, შენა! — შეჰყვირა ვაჭარმა. — შარუს სიწმინდესა ვფიცავ,<sup>6</sup> ამა ცხვართაგან ყოვლის უფრორე უხეირო ოთხჯერ ძვირია, ვიდრე ყოვლის უკეთესი იმათგან, რომელთაც კორაქსნი<sup>7</sup> ძველად ცალსა ოქროს ტალანტად ჰყიდდნენ ტურდეტანიაში, ესპანეთსა შინა პროვინცია რომ არის. როგორა ჰკონებ, შე შლუ, შენა, რამდენი ღირდა მაშინ ოქროს ტალანტი?

— მოწყალეო ხელმწიფევ! — უთხრა პანურგმა. — ვხედავ, დაუკრეფავში გაღადიხარ. აჰა შენი სამი ლივრი.

პანურგმა ვაჭარსა ანგარიში გაუსწორა, ლამაზი, კარგა მოზრდილი ერკემადი აარჩია, სტაცა ხელი და ვაათრია. ერკემადი ბღაოდა, ცა ძირსა ჩამოჰქონდა. დანარჩენთაც უმაღ ბანი მისცეს, აბღავლდნენ და იქით დაიწყეს ცქერა, საითაც იმათ ამხანავსა მიათრეუდნენ. ვაჭარი კი ამაობაში თავის მეცხვარეთ ეუბნებოდა:

— მყიდველიც ეგრეთი უნდა, არჩევა სცოდნია! საქმე ესმის მამამაღლსა! ექვ, ღმერთმან იცის, მაგ ერკემადსა სენიორ კანკალელსა ვუნახავდი, რამეთუ



კარგად ვუწყვი იმისი ზნე-ხასიათი: ვიფიქრებ, რომ მარცხენა ხელში ხაჩ-ჭაკუნ-საუბ კოხტა ცხვრისა ბეჭი უჭირავს, და რის მოფარიკავე, რა მოფარიკავე, ტყუილია, ის რომ სამჭრელოსა რასმე ანდა სათულესა მარჯვედ ხმარობს.

თავი VIII



პირველი კანონიკა ზღვაში  
კატარი და ცხვარნი

უეცრად — თავად არა ვუწყვი, ვითარ მოხდა: მოულოდნელობისგან თვალი ვერ მივაღვენე — პანურგმა, ერთი აუი სიტყვა რომ არ დასცდენია, პირდაპირ ზღვაში გადაუშვა აბლაღლებული და გაურჩეული ცხვარი. იმის კვალსა სხვა აბლაღლებული ცხვარნიც მიჰყვნენ, სულ თათო-თითოდ იწყეს ხომალდიდან ხტომა. ატყდა ჯგლეთა, სუყველა იმის ცლაში იყო, რომ პირველი გადაჰყოლოდა ამხანაგსა. იმათი დამჭერი არცრაგვარი ძალა არა ჩანდა, — მოგეხსენებათ ცხვრისა ზნე: საითაც ერთი წავა, დანარჩენთაც იქითა აქვთ გზა. ტყუილად როლი უწოდებს არისტოტელე (De Histo. animal, IX წკნ.) ცხვარსა ყოვლისა უფრორე ბრიყვსა და ჩერჩეტ მბლავანსა.

ვაჭარი თავხარდაცემული იყო, რამეთუ ცხვარი თვალწინ ეღუპებოდა და ეხრჩობოდა. არღა იცოდა, რა ექნა, ძალასა არა აკლებდა, იქნებ ვიეთმე შევაჩერო და არ გაუშვაო. მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ცხვარნი ერთმანეთისა მიყოლებითა ცვიოდნენ ზღვაში და იღუპებოდნენ. ბოლოს ის ერთ დიდროვან, ფუნჩ ვერძსა ჩააფრინდა მატყლისა ჭავლში და გემბანზედ ამოათრია, — იმედოვნებდა, ამასაც გადავარჩენ და ამისა მიმყოლ დანარჩენთაცაო. გარნა ვერძი ისეთი ღონიერი გამოდგა, ვაჭარი საცოდავად აითრია, თან გადაიყოლა ზღვაში, და ვაჭარი იგი დაიხრჩო, — აგრე ოდესღაც ცალთვალა კიკლოპ პოლიფემეს ცხვართ მღვიმე-ეხიდან თრევა-თრევითა გამოასხეს ოდისევსი და მისნი თანამავალნი. სად იყვნენ, სად არა, ამაობაში მწყემს-მეცხვარეთაც გამოიღეს ხელი: ვინ რქებში სწვდა ცხვართ, ვინ ფეხებში, ვინ მატყლში, მაგრამ ცხვარნი მაინც ზღვაში აღმოჩნდნენ და დაიღუპნენ.

ხელნიზიანი პანურგი კამბუხისა შორიახლო იდგა, ოდისდ იმისთვის კი არა, რომ მეცხვარეთათვის ხელი აღეპყრო, პირიქით, — ხომალდზედ რომ არავინ არ ამომძვრალიყო და ზღვაში დახრჩობას არ გადარჩენილიყო, და თითქოს მჭვერმეტყველებისა ყვავილთ წნაუდა, ისე აღწერდა ამა სოფლისა ჭირ-ვარამსა, მარადიული ცხოვრების სიხარულსა და ნეტარებასა, ამტკიცებდა, მეორე სოფელსა შინა გარდასულნი უფრორე ბედნიერნი არიან, ვინემ აქა, ამქვეყნად მყოფნიო, და აღუოქვამდა, ფარანეთიდან მობრუნებული თითოეულ თქვენგანსა უსაკუთრესი პატივისცემისა ნიშნად სენის მთისა<sup>2</sup> წვერზედ კენოტაფსამ<sup>3</sup> და აკლდამასა ავუგებო, ხოლო იმათ, ვისაც სხვა კაცთა გვერდით ჯერეთ ცხოვრება არ მობეზრებოდა და არცა დახრჩობისა დიდად მნდომელი იყო, უსურვებდა, ბედმა გიპრიანოთ და ვეშაპსა შეგახვედროთ, რომელიცა მესამე დღეზედ, ვითარცა იონა ამოაგდო, თქვენცა სადმე ატლასისა ქვეყანაში მთელთა და უვნებელთ ამოგყრიოთ.

\* „ცხოველ [თა სამყაროს] ისტორიისთ [ვის]“ (ლათ.).



როს ხომალდი უკაჭროდ და უცხვროდ დარჩა, პანურგმა ხმა გაიხაფა:  
 — ერთი ცხვრისა სული თუ მაინც სადმე წამლად ტრიალებს? სად არის აწ  
 ფარა ტიბო კრავისა? ანდა რენიო ბატკნისა ფარა, რომელსა სწორედ მაშინ უყ-  
 ვარდა დაყრა და მიძინება, ოდეს სხვათა ცხვარი საბადაბლოდ იყო გამლილი?  
 რაც არ ვიცი, არ ვიცი. ძველი სამხედრო ეშმაკობაა. რასა იტყვი აქაზედ, ძმაო  
 ჟან?

— ძალიან მარჯვედ კი გამოვივიდა, — მიუგო ძმა ჟანმა. — საქციელ-  
 ში ვერცრასა ცუდსა ვერა ვხედავ, ოღონდ ერთი კია: უწინდელსა დროსა ომში  
 ბრძოლისა ანდა შეტევისა დაწყების წინ ჯარისკაცთ ამა დღისთვის ჩვეულებ-  
 რივ ორმაგ როქსა, ანუ გასამრჯელოსა ჰპირდებოდნენ; უკეთუ ისინი ბრძოლასა  
 მოიგებდნენ, გასამრჯელოსა არავენ არ დაამუნათებდა და დაამადლიდა, ხოლო  
 თუ წააგებდნენ, იმათ თვითონვე სცხვენოდათ როქისა მოთხოვნა, როგორაც  
 რომ კუდამოძუებულ გრიურიერულთ დაირცხვინეს სერიზოლთან საგრობისა  
 შემდგომ. ამით ამის თქმა მინდა, რომ შენც თავი უნდა შეგეკავებინა ანგარიში-  
 სა გასწორებისგან და შენი ფული შენვე დაგრჩებოდა.

— ფულისთვის მიმიფურთხებია! — წართქვა პანურგმა. — ღმერთსა ვფიცავ;  
 სულ ცოტა, ორმოცდაათი ათასი ფრანკისა მაინც ვისიამოვნე! აწლა, რახან ზურ-  
 გისა ქარმა დაგვიბერა, უნდა დავიძრათ. ყური მომაპყარ, ძმაო ჟან: ქვეყანაზედ  
 კაცი არ არის, ვისაც ჩემთვის ოდნაე რამე ესიამოვნებინოს და სიკეთითა არ  
 გადამეხადოს ანდა მადლობა არ მეთქვას. სიკეთე მიწყვიე მახსოვდა, მახსოვს და  
 ძეხსომება. არცა ისეთი ვინმეა ქვეყანაზედ, ვისაცა ჩემთვის რამე ეწყენინებინოს  
 და ბოლოსა არ ენანოს — თუ სააქაოს არა, საიქიოში მაინცა. ჩემთან ხუმრობა  
 არცვის არგებს.

— სულსა დაიღუპავ, შე შეჩვენებულო, შე ეშმაკისა საღვურო, შენა! —  
 მიუთხრო ძმა ჟანმა. — ჩვენსა კონდაკსა შინა თქმულია: *Mihi vindictam\**  
 და აგრე შემდეგ.

## თავი IX

პითარ მივიდა კანტაბრუელი კუნძულ

ენაზინზედ, და კიდევ შესახებ იმისა, რა

უცნაურ ნათესაურ ურთიერთობაში არიან იქაველნი

სამხრეთ-დასავლეთისა სუსტი ნიავექარი უბერაედა, და მთელი დღისა გან-  
 მავლობაში ხმელეთი: არა მოგვიხილავს. მოგზაურობისა მესამე დღესა, ეგრევე,<sup>1</sup>  
 შუადღისა უკან, თვალწინ გადაგვეშალა სამკუთხა კუნძული, თავისი მოყვანი-  
 ლობითა და მღებარეობით სიცილიას მიმსგავსებული. კუნძულსა სანათესავო  
 ერქვა. ადგილობრივნი მსახლობელნი წათელ პუატუელთ ჩამოჰგავედნენ,<sup>1</sup> ოღონდ  
 ერთი განსხვავებითა: სუყველას, მამრთაც, მდედრთაც, ბაღლთაც, ცხვირი ჯვრი-  
 სა ვიკოსნაირი ჰქონდა. ღი უწინ კუნძული ესე რად იყო ენაზინად<sup>2</sup> სახელდე-  
 ბული. და სუყაველნი იქა ერთმანეთისა ნათესაენი და მოყვარენი იყვნენ და ძა-  
 ლიანაც ვამაყებოდათ ეს ამბავი, იჭაველმა მთავარმა, კუნძულისა თავმა, აკი პი-  
 რდაპირ ყიფად გვითხრა:

— უცხოქვეყნელნი გაკვირვებულნი და გაოცებულნი ხართ, რომ ერთა რო-

\* ჩემია შურისგება (ლათ). „მეორე ხელე“, XXXII, 35.



მაული გვარიდან (ფაბიუსნი იყვნენ), ერთსა და იმავე ღღესა (ცამეტი თებერვალი იდგა), ერთი და იმავე ჭიშკრიდან (კარმენტალის ჭიშკარზედ მოგახსენებთ, კაპიტოლიუმის ძირას რომ არის, ტარბეას კლდესა და ტიბრს შუა მერმე აკაცთა ჭიშკრად სახელგადარქმეული), რომისა მტერ-მოძულეთა წინააღმდეგ (ისინი ეტრუსკები გახლდნენ) სამას ექვსი მეზობლი გამოვიდა, სულ ერთმანეთისა ნათესავნი, და კიდევ ხუთი ათასი მოსაგრე, სუყველა ეჭყფუფუხადა, და ცოცხალი არცვინ გადარჩენილა, უკლისად დაიხოცნენ (ეს შინააღმდეგ კრეწერასთან, რომელსაცა სათავე ბაკანისა ტბაში უძევს). ჩვენი ქვეყნიდან კი საჭიროებისა შემთხვევაში ერთდროულად სამასი ათასი კაცი გამოვა, სუყველანი ერთმანეთისა ნათესავნი და ერთი ოჯახიდან იქნებიან.

ეს ნათესაობა და მოყვრობა იმათი დია უცნაური იყო: მართალია, ისინი ერთმანეთსა ნათესავად და მოყვრად ერგებოდნენ, მაგრამ, როგორაც შევიტყვეთ, არავინ იმათგან არცვის არცა მამად ეკუთვნოდა, არცა დედად, არცა ძმად, არცა დად, არცა ბიძად, არცა დეიდა-მამიდად, არცა ბიძაშვილად, არცა ძმისწულდისწულად, არცა სიძედ, არცა რძლად, არცა ნათლიმამად, არცა ნათლიდედად, ის კი არა, თავად გავხდი მოწმე, ვითარ ეძახდა ერთი უცხვირო ბერიკაცი ასე სამი-ოთხი წლის პატარა ვოგუცანას „მამასა“, ხოლო ის პატარა ვოგუცანა იმას — „შვილისა“.

იმათი ნათესაობა და მოყვრობა, მაგალითადრე, იმაში გამოიხატებოდა, რომ მამრი ვინმე მავან და მავან მდედრსა „მელანთევზას“ ეძახდა, ხოლო მდედრი იგი კი იმას — „ჩემო დელფინუკასა“.

— წარმომიდგენია, რა ღღესია წყალი, ოდეს ეს ორნი წყლიურნი ერთმანეთსა ეფართხალებიან! — წართქვა ძმა ჟანმა.

მავანმა წამოყვო მავან კოხტაპრუწასა და მიუთხრო: „ჩემო გემრიელო ცერცოლო!“ ქალსა შესწბა, თავი დახარა და ინატრა: „ნეტამც ცხოვრებაში ჩემსა კედლად გნახოლო!“

— ჰა-ჰა-ჰა! — გაეცინა პანურგსა. — შეხეთ ამა ცერცუსა და ამა კედელსა. დიაღაც ამათზედ თქმულა, შეაყარე კედელსა ცერცვიო.

მესამე ვილაცამ პირი ყურთან მიუტანა თავის ნანდაურსა და უთხრა: „მშვიდობით, ჩემო კროჭოლო!“ ქალმა კი მიუგო: „კარგად მეყოლე, ჩემო სიგელ-გუჯაროლო!“

— წმინდა ტრენიანსა ეფიცავ, — აძრახდა ვიმნასტი, — ეს სიგელ-გუჯარი ნამდვილად ამა კროჭში ჩაკარგულია!

კიდევ ერთმა ვილაცამ ვილაც დიაცსა უთხრა: „ჩემო მტილოლო!“ ქალმა მან კი — „ჩემო ბეკეკაო!“

— აი ეს ბეკეკა ამა მტილში რომ შევა, სეირი მერე ნახეთ! — ჩაურთო ევსთენმა.

კიდევ ერთი ვილაცა თავის ნათესავ მდედრსა მიემშვიდობა და უთხრა: „გამარჯობა, ჩემო ბედოლო!“ ქალმა მან კი — „გავიმარჯოს, ჩემო ჩარხოლო!“

— მე და ჩემმა ღმერთმა, — წართქვა კარპალიძმა, — ამათი ბედისა ჩარხი, ნახავთ, წაღმა თუ არ დატრიალდება! საქმე სულ გაჩარხული ექნებათ.

ცოტა წინ წავდექი და ჩემის ყურათა ვავიგონე, ვითარ მიემშვიდობა ერთი ვინმე მსიძავი თავის ნათესავ დიაცსა და „ჩემო ვობანოლო!“ უთხრა, ქალმა მან კი: „ჩემო საბანოლო!“ მოაყოლა. კაცი იგი მართლაც რაღაცით ჰგავდა მძიმე მატყლის საბანსა. მავანი თავის კულის მურახსა „ჩემო პურის გულოლო!“ უთხ-



რობდა, ქალი კი: „ჩემო პურისა ქერქო!“ უპასუხებდა. მავანი თავის გულის სწორსა ეუბნებოდა: „ჩემო საკლიტეო!“ ქალი კი: „ჩემო კლიტეო!“ — მიუგებდა. მავანი თავის მხრივ ეუბნებოდა: „ჩემო წაღაო!“ ქალი კი: „ჩემო ხამლოო!“ — უპასუხებდა. მავანი თავის მხრივ მიმართავდა: „ჩემო ხელსაცვამო, საბუხაროო!“ ქალი კი: „ჩემო ხელთაიმანოო!“ — მაუთხრობდა. მავანს თავის მხრივ მიმართავდა: „ღორის ტყავიო!“ ქალი კი: „ქონოო!“ — უპასუხებდა. მათ ერთმანეთსა შორის ისეთივე ნათესაური ურთიერთობა ჰქონდათ, როგორც ტყავსა და ქონსა აქვს.

ნათესაობისა ამა უფლებიდა მიხედვით მავანი თავის ცალსა ეუბნებოდა: „ჩემო ერბო-კვერცხოო!“ ქალი კი: „ჩემო კვერცხოო!“ — პასუხსა არ უყოვნებდა და ისინი ისევე იყვნენ დაკავშირებულნი, ვითარცა კვერცხია ერბო-კვერცხთან კავშირში. ამავე უფლებითა კიდევ ერთი ვიღაც თავის გულისა ტოლსა ეუბნებოდა: „ჩემო თოკოო!“ ქალი კი: „ჩემო გუდურაო!“ — მიუგებდა. თუმცა ბევრი გვიმტკიცეს: „ეს ქალი ამა გუდურისა თოკიაო“, ჩვენებური სანათესაო გაგებითაც ბევრი ვუკირკიტეთ, მაგრამ მაინც ვერ ჩაეხვდით, რაგვარნი მოყვარენი და რაგვარნი ნათესავნი იყვნენ ერთიმეორისა, ახლობელნი თუ შორეულნი, პირდაპირნი თუ ირიბნი. მავანი და მავანი გულისა ვარდსა ავრე მიემშვიდობა: „კარგად მყავდეს შენი თავი, ჩემო აღისკბილო, ჩემო ნიჟარაო!“ ქალმა კი მიუგო: „არცა შენი თავი მომშლოდეს, ჩემო ხამანწყაო!“

— ეგენი ერთმანეთში ისე არიან, როგორაც ხამანწყა ნიჟარაში, — განმარტა კარპალიმმა.

კიდევ ერთი ვიღაც მიემშვიდობა თავის ნანდაურსა და უთხრა: „ჯანმრთელად მყოფლე, ჩემო კურჩხ-პარკოო!“ ქალმა კი მიუგო: „შენც კარგად მყოფლე, ჩემო ბარდაო!“

— ეგენი ერთმანეთში ისე არიან, როგორც ბარდა კურჩხ-პარკში, — ახსნა ვიმნასტმა.

ერთმა ვიღაც ჩიხამ, ანუ თვალად სახიჩარმა აჩაჩულ-აბრანძულმა საფეთარმა კაცმა, რომელსაცა ფეხთ მაღალი ხისა მაშიები ეცვა, გზად ერთ დონცხი გომბიოს გასძახა: „შუადლე მშვიდობისა, ჩემო ბზრიალავ, ჩემო ჩიკოროო!“ პასუხი არცა ქალსა დაუხშია: „ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, ჩემო შოლტი და საწყეპოო!“

— ისეც რა ვუთხარი! — იხმაძაღლა ქსენოიმანმა. — ვითომ ესეგვარი ჩიკორის დაბზრიალებისა თავი აქვს ამა შოლტ-საწყეპსა?

მავანი სადად თმადავარცხნილ-გადასლექილი სწავლული კაცი ჯერეთ კარგა ხანსა ეუბნა-ემუსაიფა მავან პობოლა ბანოვანსა და მერმეთ როს დაემშვიდობა, უთხრა: „შენი დიდად მაღლიერი ვარ, ჩემო წაგებულო თამაშოო!“ — „შე კი შენი, ჩემო გაუტეხელო იხტიბაროო!“ — მიუგო ქალმა.

— წაგებულო თამაშისა კავშირი გაუტეხელ იხტიბართან სავსებით შესაძლებელია, — იხიბრძნა პანტაგრუელმა.

ერთმა ვიღაც დამყაყებულმა ბაკალავრმა მავან თვალცქირილა ვოგოსა ჩაუარა და მიუთხრო: „ოჰ, ოჰ, ოჰ, პირდაპირ სილაძაზისა ვუდა ხარო!“ — „შენ კი ჩემი სასტვიინავი ხარო!“ — უპასუხა ქალმა.

— შეაუღლეთ ეგ ვუდა და სასტვიინავი, ერთი მშვენიერი ვუდა-სტვიირი გამოვა, — ურჩია პანურგმა.

ვიღაც თავის თვალდადგმულსა თუ სწორფერსა „ჩემო ნემსოო!“ ეძახდა, ქალი კი: „ჩემო ძაფოო!“ — უპასუხებდა. აქ ჩემდაუნებურად გავიფიქრე, ეს მა-



ფი ამა ნემსისგან განუყრელია-მეთქი. ჩვენგან იქავ შორიახლო მავანმა ქარაფ-  
შუტა კუზლარამ თავი დაუკრა თავის ნათესავ ქალსა და უთხრა: „ჩემო ქოთა-  
ნო!“ ქალმა კი: „ჩემო სარქველო!“ — მიუგო.

— ქოთანი დაგორდა, სარქველი იპოვნაო, ამათხეა ზედგამოჭრილო, — წა-  
უანდაზა ძმა ჟანმა.

მავანმა გულის მურაზსა თუ წაწალსა ჩაუფურჩუნა: „მშვენიერად ჩემო გაბ-  
ზარულო!“ — „შენი თავი ნუმც მომშლოდეს, ჩემო ნანიანაჭრო!“ — მიუგო ქალმა.

— სოლი დიაღაც გაბზარულ მორგვსა აპობს, — ისიტყვა პონოკრატემ.

მავანმა გვერდით ჩაველილ მღედრსა მიმართა: „გამარჯობა, ჩემო ვაღიო!“ —  
„გავიმარჯოს, ჩემო სირახოხა ჩიტო!“ — მიუთხრო ქალმა.

მავანმა მსიძავმა ერთ ახალგაზრდა კახპასა მიმართა: „არ დაგავიწყდეს,  
ანაცუაო!“ — „ნუ გეშინია, ბანაკუაო!“ — სიტყვა შეუნაცვლა ქალმა.

— ესენი არიან თქვენში ერთმანეთისა ნათესავნი? — დაეკითხა მთავარსა,  
კუნძულისა თავსა პანტაგროუელი. — რაღაც პირიქით, წინაუკმო მგონია. უფ-  
რორე მტერნი არიან და არა მოზავე-მოყვარენი, რახან ამან ქალსა ანაცუობითა  
მიმართა. ჩვენში ეგ სიტყვა კარგა ძალზედ საბასრობელ-საგიობელი და შეურა-  
ცხმოფელია, რომელიც კი შეიძლება რომ კაცმა ქალსა აკადროს.

— უცხოქვეყნელნი, გარმიანულნი კეთილნი კაცნი! — მიუგო მთავარმა. —  
დედამიწისა ზურგზედ არ არიან უფროისად ახლო ნათესავნი, ვინემ ეს ანაცუა  
და ბანაკუაა. ისინი ორივენი უხილავად გამოდიან ერთი და იგივე ხვრელიდან  
ერთსა და იმავე წამსა.

— ჩანს, მაგათ დედასა მაგარი ქარი უბერავს, — ჩაურთო პანურგმა.

— რომელ დედაზედ მელაპარაკები? — ჰკითხა მთავარმა. — ეგ ნათესაური  
კაეშირი თქვენთან არის. მაგათ კი არცა მამა ჰყავთ და არცა დედა. მამა-დედანი  
ზღვისა ვაღმა არიან, ისინი ჩვენზედ მდიდარ, აფალიან ხალხსა ჰყვანან.

ქველი პანტაგროუელი ყველაყასა ცნობისმოყვარეობითა უცქერდა და სუ-  
ყველას უსმენდა, მაგრამ მსგავსმა რამ ნაუბარმა ბოლოს მაინც უხერხულობაში  
ჩააგდო.

მავანმა გვერდით ჩაველილ მღედრს მიმართა: „გამარჯობა, ჩემო ვიღიო,  
კუნძულისა ადგილმდებარეობა გულისყვრით რომ მივათვალიერ-მოვათვალიე-  
რეთ და უცხვიროთა ზნე-ზასიათსაც გავეცანით. მერე ავღექით და დუქანში შეველ-  
ით, რათა წავნათლულიყავით, გასამხნევებლად ცოტა გადაგვეკრა. დუქანში ამ დროს  
იქაური წესჩუულებისამებრ რამდენიმე ქორწილსა იხდიდნენ. სუფრა სუფრასა  
სჯობდა. ჩვენ მსხლისა და ყველისა ქორწილს შევესწარიით. დავესუფრეთ კიდევ-  
მსხალსა, ორღვიან ქალიშვილსა (თუმცა, ვისაც კი გაესინჯა, სუყველა იმას  
ამბობდა, ცოტა რბილიაო) ახალგაზრდა მწითურწვერიან ყველსა აყოლებდნენ.  
ესვეგარი ქორწილებისა ამბავი ადრეც გამეგონა, მსგავს ქორწილო სხვაგანაც  
იხდიან ხოლმე. ტყუილად კი არ უბნობდნენ ჩვენსა სოფელში, მსხლისა და  
ყველის შეუღლება დია კარგი საქმეაო. მეორე ოთახში ძველი ჩექმისა და ნორ-  
ჩი კოხტა წადის ქორწილი იყო. პანტაგროუელსა აუხსნეს, ეგ ნორჩი წადა იმად  
მისდევს ძველსა ჩექმასა, მარჯვე და მოხერხებულა, მკვიდრია და ზუსტად მა-  
გაზეა მორგებულ-ზედგამოჭრილიო. ქვემოთ განრღვეულ მაშიასა და ძველ სარ-  
მუზას ქორწილსა იხდიდნენ. ეგ მაშიაო, გვითხრეს, დიდი ხარბი და სვაფი ვინ-  
მეაო, და მაგ სარმუზას სილამაზისა და ზნეკეთილობისა გულისთვის კი არ ირ-  
თავს, არამედ იმად მოჰყავს, რაკი სულ ერთიანად ოქრომკედლითა ნაქარგიაო.



თავი X

პითარ გაღავილა კანურბი კუნძულ შელიხედ,  
რომელსაცა მართავდა მუჟა  
შმ. ნაზუმა



ეროვნული

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი პირდაპირ კიჩოშს [გაბრუნდა] ქროს ეს არცთუ დია მიმზიდველნი შემსიტყვებელნი, ანუ სიტყვათა შემაერთებელნი დავუტყუოთ და გაშლილ ზღვაში გავედით. მზისა ჩასვლისას კუნძულ შელის მივადექით, ვრცელსა, ნაყოფიერსა, მდიდარსა და მრავალხალხოვანსა, რომელსაცა მეფე წმ. ნაზუქა მართავდა; და სწორედ მეფე ესე თვისთა ძეთა და შინაკაც-კარისკაცთა თანა მოვიდა ნავსადგურში პანტაგრუელისა შესახვედრად და იგი თავის ციხე-დარბაზში წაიყვანა. ციხე-დარბაზის კომკისა კარიბჭესთან დედოფალი შემოგვეგება ქალიშვილთა და ზეფექალთა თანა. ნაზუქამ მოისურვილა, რომ დედოფალსაც და მთელ იმის ამაღლსაც დაეკოცნათ პანტაგრუელი და მისნი თანამეგზავნი. თავაზიანობისა ესეგვარი წესი ჰქონდათ ამა ქვეყანაში. ყოველთ ერთმანეთი გადაკოცნეს, კიდევან ძმა ჟანისა, რომელიცა თვალსა მიეფარა და მეფისა მოხელეთა ღიანგსა შეერია. ნაზუქამ დაფიქრება დაუწყო პანტაგრუელსა, დღესა და ხვალ აქა დარჩიო. პანტაგრუელმა ის მოიმზიხა, კარგი ტაროსია, წარმართებული, ანუ ზურგისა ქარი ქრისო, მოგზაურთათვის ესდენ სანატრელიო, და სანამ უბერავს, უნდა გამოვიყენოთ, თორემ ჩადგება და მერე დადექი და უყარე კაკალი, ელოდე, ისევ როდის ამოქროლდებავი. რაკილა პანტაგრუელის საბაბი ესე ისაფუძვლიანა, და ერთმანეთისა სადღეგრძელონიც ოცდახუთჯერ და რატო ოცდაათჯერაც არ დავლიეთ, ნაზუქამ ბოლოს გამოავიშვა, აწლა წადითო, გვითხრა.

ნავსადგურში რომ დაებრუნდით, და ძმა ჟანი თვალში არ მოხვდა, პანტაგრუელმა წამისყოფითა მოიკითხა მოსაკლისებული, ნეტავი სად უნდა იყოს და რატომ ჩამოგერჩაო. პანურგმა არა უწყოდა, რა ეპასუხნა, და ის იყო უკან სასახლეში გაქცევა დააპირა, თუ იქნება, ძმა ჟანი აღბათ იქ იქნებაო, რომ ზედდატანებაზედ აღტაცებული და აღფრთოვანებული ძმა ჟანიც გამოჩნდა და გახმამყივარდა:

— გაუმარჯოს ქველ ნაზუქასა! ზვარაკ-მოზვრისა მადლმან, მაგის სამზარეულოსთან ვერავისი ვერ მოვა! პირდაპირ იქიდან მოვდივარ, არლა ეტევა, იმდენი ხორაკია. ჩვენებური სამონასტრო წესითა და რიგითა კარგა გვარიანად ამოვიყორე ფაშვი.

— შენა, ძმაო, ჭიპი სამზარეულოში გაქვს მოჭრილი! — მიუთხრო პანტაგრუელმა.

— შიგანსა ვფიცავ, — განაგრძობდა ძმა ჟანი, — სასამზარეულო საქმისა მეტი გამეგება, ვინემ მდედრთა კუღში დევნისა, რაც მართალია, მართალია, რა ვქნა, არ მეხერხება ეს აშიკ-მაშიკობა, ჩურჩულ-კურკური, წმახნა-გრეხა, ტრელობა, თავსა ვლება, თავსა ტრიალი, შეტრფობა, შეუუყუნება, ფოფინი, „მოძე ხელი, შენ გენაცვალე!“ „აჰა, ჩემი გული, შენ შემოგვევლე!“ „ღირსი გამხადე შენი ამბორებისა!“ ეს ყველაკა დასტურ სისულელეა და მეტი არაფერი! ზედან დაფუნება და დასკორება მოგინდება კაცსა! კი, როგორ არა, საქალეთსა მეც ჩავუთრევივარ, ლაჯაღებული დიაცისთვის მეც მიდევნია, გარნა მე საწყალსა, ბედშავ ბერ-მონაზონსა, მარხვისა არ იყოს, უფრო სწორად, დიდმარხვისა, ეს კოცნა-პროშტნა და კრძალვა-მოწიწება ყელში მაქვს ამოსული. წმინდა



ბენედიქტე<sup>2</sup> ამ მხრივ, ალბათ, მხარსა დამიჭერს. ქალიშვილ გოგოთ აკოცე და აკოცინეო, მეუბნები. ჩემსა საპატიო და წმინდა წოდებასა ვეიცავ, კაცნი ვართ, მეშინის, მეცა ისე არ დამემართოს, როგორაც სენიორ გერშარუას დაემართა.

— რაო, რა მოუვიდა? — დაეკითხა პანტაგრუელი. — კარგად ვიცნობ, ჩემი სათანადო მოყვასი კაცია.

— რა მოუვიდა და, ერთხელ ერთმა ნათესავმა და მეზობელმა მძულვან დიდ ნადიმზედ ისტუმრა, მიწვეულნი იყვნენ აგრეთვე ყოველნი მსახურნი ცოლებითა და ქალიშვილებითურთ, — განაგრძობდა ძმა ფანი. — სანამ შენი მეგობარი იქ მივიდოდა, ბანოვანთ თავიანთნი პაჟნი ქალიშვილებსაებ გამოპრანჭეს და ეს გაქალიშვილებულნი პაჟნა იმას ასაწევ ხიდთან შეაგებეს. იმან, ვითარცა უმაღლესად თავაზიანმა კაცმა, სუყოველნი ისინი გადაკოცნა და სუყოველთ ზრდილად დაუკრა თავი. ბოლოსა და ბოლოს ბანოვანთ, გალერეაში რომ უცდიდნენ, სიცილი აუტყდათ და პაჟთ ანიშნეს, გეყოფათ, თავი გამოიმჟღაზნეთო. იმათ კი გამოიმჟღავენეს თავი, მაგრამ შერცხვენილმა და ნაწყენმა კეთილმა სენიორმა აწ უკვე უარი თქვა ნამდვილ ბანოვანთა და ქალიშვილთა დაკოცნაზედ: უკეთუ ისინი გადაცმულნი პაჟნი გამოდგნენ, რა ვიცი, ძაღლსაც შეუჭამია ამათი თავი, ხომ შეიძლება რომ ახლა უფრო ეშმაკურად გამოწყობილ-გამოპრანჭულნი მსახურნი დამაკოცნინონო?

ღმერთო ძაღლო, da Jurandi,\* სადმე ერთ კარგ სამზარეულოში ამოგვაყოფინე თავი, მოგვახილვინე, ვითარ ტრიალებენ შამფურნი, ვითარ გააქვს ტკატკუცი შეშასა, დაგვანახვე, ვითარ ტენიან კუპატსა, ვითარ კაზმავენ და ანულებენ შეჭამანდსა, ვითარ ამზადებენ ყელისა ჩასაკოკლოზინებელსა რასმე, ვითარი წესითა მიირთმევენ ღვინოსა! ჩვენსა კონდაკში თქმულია: Beati immaculati in via.\*\*

## თავი XI

### რად უყვართ ბერ-მონაზონთ სამზარეულოში ყურყუტი

— ეგ ჭეშმარიტად ბერმონაზვნური ნათქვამია, — ჩაურთო ეპისტემონმა. — მე ისეთ ბერმონაზონსა ვგულისხმობ, რომელიცა მართლა ბერმონაზვნობს და არა იმასა, ვინცა თავსა იბერმონაზვნებს. მაგ შენმა ნაუბარ-ნაზრახმა ყველაყა გამახსენა, რაც რამ ამა ოცი წლისა წინათ ფლორენციაში ჩემი თვალთა მოვიხილე და ჩემი ყურითა გავიგონე. ძალიან კარგმა გუნდმა მოვიყარეთ მაშინ თავი: სუყოველნი ცოდნისმოყვარულნი, ფიცხნი მოგზაურნი, მარად დღე მწიგნობარ ხალხში მოტრიალენი, იტალიის სიძველეთა და ღირსშესანიშნაობათა ტრფიალნი ვიყავით. დია გულისყურითა ვსინჯავდით ფლორენციის ადგილმდებარეობასა, ვტკებბოდით იმისი სიტურფითა, იმისი მთავარი ტაძრისა ხუროთმოძღვრებითა, იმისი დიდებული საყდრებითა და ბრწყინვალე სასახლეებითა, ის კი არა, ერთმანეთსა გაჯიბრებაც დაუწყეთ, ვინ უფროისად შესაფერის სიტყვათ მოიძიებდა, რათა ჯეროვნად შეგვემკო ყოველივე თვალწინ გადაშლი-

\* ჯავრი ამომაყრუვინე (ლათ.).

\*\* ნეტარ არიან უბიწონი გზასა. (ლათ). — CXVIII ფხალმუნის დახაწვისი.



ლი, და უცებ, სად იყო და სად არა, ერთმა ამიენელმა ბერმა, სახელად ბერნარდ კანტიელაპიამ, ცოტა არ იყოს, გულფიცხად შეგვიძახა: „ვერ გამოვიცა, რა ეშმაკმა ავითქვხათ ეგ ქებისა საღერღელისო! თქვენზედ ნაკლები ყურადღებითა არ მიხრევიან ქალაქი ესე და არცა თქვენზედ უარესი მხედველი ვარო. რა მოხდა, რა იყო, ღამაზნი სახლნი არ გინახავთო? თვითონ ღმერთი და ჩემი მფარველი წმინდა ბერნარდი არიან მოწმენი, ერთი რა არის, ჯერეთ ურთივედ უკან არ შემხედრიან წამლად, არადა, კარგ მაძებარსაებ თვალგაფაცდებნი სქემებდი, დათვლა მიწოდდა, რა არი არ გამოძპარვოდა, მარცხნივ რამდენია და მარჯვნივ რამდენი, თანაც საით უფრო მეტიაო. უკვე დავიღალე, იმდენი ხანია დავდივართ, ვათვალიერებთ, ამიენში კი სამჯერ, ოთხჯერ ნაკლებსა ვივლიდით და, სულ ცოტა, თხუთმეტ ძველისძველ დუქანსა მაინც გიჩვენებდითო. დუქნობა აბა იმათ ეთქმითო. უკლებლივ მაღისა აღმძვრელ სურნელსა აღაკმევენო. ვერ გამოვიცა, ვითომ რა სიამოვნებაა სენიორ ფილიპო სტროცის! სრა-სასახლეში კოშკისა ახლორე ღომითა და აფრიკანთა (თქვენა, მგონი, აგრე უხმობთ, აქ კი იმათ ვუფხვთ ეძახიანო)? ანდა მაჩვ-ზღარბთა და სირაქლემათა ყურებაო? თუ დამიჯერებთ, ძმანო, შამფურზედ წამოგებული კაი ნასუქი ბატისა დანახვასა არცრა ხჯობსო. კი, ბატონო, არ გელავებით, ეს მეწამული ქვაც მშვენიერია და ეს მარმარილოც, მაგრამ, ჩემის გემოვნებითა, ამიენური ხაჭაპური უკეთესიაო. კი, თქვენი ჭირიმე, გენდობით, მართლა ჩინებულად გამოძერწილია ეს ანტიკური ქვაკაც-აღალმანი, მაგრამ, წმინდა ფერეოლ აბევილელისა მზემან, ჩვენი გოგონები ათასჯერ უფრო თვალმზენი და ასლამაზნი არიანო.“

— რისი ბრალია და რითი უნდა აეხსნათ, — აძრახდა ძმა ჟანი, — რომ სამზარეულოში ბერ-მონაზონთ ყოველთვის ნახავთ, ხოლო მეფეთ, პაპთ და იმპერატორთ ვერასოდეს?

— თვითონ ქვაბთა და შამფურთ ხომ არა აქვთ, — ჩაურია რიზოტომი, — რაღაც ფარული თვისებანი და თავისებურებანი, აგრე, როგორაც ანდამატი რკინასა, რომ იზიდავენ ბერმონაზონთ, ხოლო ვერ ზიდავენ ვერცა იმპერატორთ, ვერცა პაპთ და ვერცა მეფეთ? თუ ეს ბარტყულა-კუნკულა-ანაფორათა ბუნებრივი სწრაფვა და ბუნებრივი მიდრეკილებაა, და ამა ბარტყულა-კუნკულა-ანაფორათ თავისთავად მიჰყავთ პატიოსანი მოწესენი სამზარეულოს კართან, თუმცა იმათ აზრადაც არ ჰქონიათ იქ მისვლა და დაყუდება?

— სხვაგვარად თუ ვიტყვით, ფორმა მატერიიდან გამომდინარეობს, — განაცხადა ეპისტემონმა. — ამაზედ ავერეოსი უბნობს.

— ეგრეა, ეგრე, — წართქვა ძმა ჟანმა.

— ამა საკითხისა გადაწყვეტასა თავი უნდა დავანებოთ, — ჩაურია პანტაგრუელი. — ცოტა საჩოთიროა და ვაითუ დაგვაბნიოს. მოდით, ერთ ამბავსა ვიამბობთ, უმჯობესია. მახსოვს, წაკითხული მაქვს: მაკედონიისა მეფემ ანტიგონემ ერთხელ თავის საველე კარავსა შიგან რა შეიხვდა და დაინახა, რომ პოეტსა ანტაგორსა ყვერბ-ღუმელი დაენტო და გველთევზასა წვავდა, მხიარულად ჰკითხა: „ოდეს პომეროსი აგამემნონისა გმირობასა აღწერდა, ისიც გველთევზასა წვავდაო?“ — „შენ, როგორა ჰკონებ, — კითხვა შეუნაცვლა ანტაგორმა მეფესა, — ოდეს აგამემნონი თვისთა საქმეთა საგმიროთა სჩადიოდა, ვითომ რა, ისიც იტყვიტებოდა, აბა, ჩემსა ბანაკში გველთევზას ვინა წვაესო?“ მეფემ ურიგოდ მიიჩნია, რომ სიტყვისშემოქმედი თვითონ იწვავდა თევზსა იმის სამზარეულოში. პოეტმა კი გადაჰკრა, მეფესა სულაც არ ეკადრება სამზარეულოში შეჭყეტაო.

— ეგ არაფერია! — წართქვა პანურგმა. — აბა, ახლა მე ვიამბობთ, რა უპასუხა ერთხელ ბრეტონ ვილანდრიმ მის ბრწყინვალეებს პერცოვ დე ვიხსა. ის-



ინი იმაზედ საუბრობდნენ, რომ ბრძოლისა ჟამსა, რომელი ბრძოლაც ფრანსუა მეფემ იმპერატორ შარლ მეხუთეს გაუმართა, ეს ვაჟბატონი ბრეტონი, ფრიალ შეჭურვილ-ჩასილაღებული, საბარკულ-საწვივიანი და სინიბზედ, ანუ ფეხმაგარ და მაჯაგ ცხენზედ ამხედრებული, უცრად სადღაც გაქრა, თირქოს მიწამ უყო პირი. „კაცობასა ვფიცავ, არსად არ წავსულვარ, იქ ვიყავი და სულ აღვილადაც დაგიმტკიცებო, — განუცხადა ბრეტონმა. — ოღონდ ვიქნეთ ლადვილას შევიკუნჭუ, სადაცა შენა თავსა არც შემოჰყოფდიო.“ ჰერცოგს მსოფთაჟსუხი ესე არ მოეწონა: ნამეტურ კადნიერად და თავხედურად ეჩვენა, და ის იყო ბრეტონისთვის თავზედ კაკალი უნდა დაემტვრია, რომ მან მყის თავი შეაცოდა და სიცილითა ლამის მუცელი ხელთ დააჭვრინა: „აღალსა შევერიე, ცხენისა ურმისა ქვეშე შევძვერიო, — უთხრა. — შენი ბრწყინვალება კი იქ დამალვასა და თავისა შეფარებასა არ იკადრებდაო.“

ამა იყო და არა იყო რას ლაპარაკ-ლაპარაკში ისინი თავიანთ გემ-ხომალდთ მიეახლოვნენ და მეტი არღა დაუყოვნებიათ, უმაღ დააგდეს კუნძული შელი.

## თავი XII

### ვითარ მოინახულა პანტაგრუელმა პროკურაცია, და დავაქართა, ანუ ცრუმომჩივანთა ცხოვრების უჩვეულო ფესისა გამო

გზა განვაგრძეთ და ხვალისა, ანუ მეორე დღესა პროკურაციას მივაღქით, ერთიანად აზინზლულ, ბინძურ მიწა-წყალსა, რომლისა შესახებ აღრე არცრა გამეგონა. იქა ყველანაირნი პროკურორნი და დავაქარნი მოვიხილეთ. კაციშვილსა ჩვენთვის არცა საჭმელი მოუწვდია და არცა სასმელი. ერთი ეგ იყო, განუწყვეტლივ იკლიკანტურად გვიკრავდნენ თავსა და, თუ გასამრჯელოს გადაგვიხდით, მზად ვართ სამსახურადო, გვეუბნებოდნენ. ერთმა ჩვენმა მგადმოენებელმა პანტაგრუელსა უამბო, რა უჩვეულო ხერხსა მიმართავენ იქაურნი სარჩო-საზრდელისა მოსაშოვებლად: სავსებით საწინააღმდეგოსა იმისას, რომაენი რომ იყენებენო. რომში უმეტესობა იმით ცხოვრობს, რომ სხვათ წამლავს, სცემს ხოცავსო, დავაქარნი კი იმით ცხოვრობენ, თვითონ აცემინებენ და აბეგვინებენ სხვათ თავსაო, და აგრე წამსა და წარამარა რომ არ იცემებოდნენ და არ იბეგვებოდნენ, აქამდე თავიანთ დედაწულიანად შიმშილითა ამოსძვრებოდათ სულიო.

— ეს დავაქარნი მე იმა კაცთ მაგონებენ, — წართქვა პანურგმა, — რომელთაც, ვითარ გალენოსი ამტკიცებს, ის ერთი რამ საოხრო ისარ-ბოძალი, ანუ აღრეკილა ზე მანამ არ წამოეწევათ, სანამ კარგა გვარიანად არ გაიჯობებიან. მე პირიქითა ვარ, წმინდა ტიბოსა ვფიცავ, თურთმ გამჯობეს, აღარაფრისა თავი არ შექნება და ჩანთა-იარაღი დასტურ მიმტყუნებს.

— ამათი ხერხი ესეგვარია, — განავრძობდა მგადმოენებელი. — უკეთუ მან და მავან ბერსა, მღვდელსა, მევახშესა ანდა ვექილსა ვინმე აზნაურისა ჯავრი სჭირს, ადგება და ამა დავაქართაგან ერთ-ერთსა მიუსხვეს, განაზრახებს. დავაქარი აზნაურისა წინააღმდეგ საქმესა აღძრავს, სასამართლოში წაათრევს, და როგორაც დარიგებულია, უტიფრად ლანძღავს და ათრევს, სანამ ბოლოსა და ბოლოს აზნაური, თუკი ღონემიხდილი და თავკომბალაზედ ჩერჩეტი არ არის. კეტსა ან დამნა-მხვეელსა არ წამოაველებს ხელსა და თავში არ დაუშვებს, ან



ფეხთ არ შემოამტკრევს, ან ფანჯრიდან არ გადააგდებს, ანდა კიდევ თავისი ქავციხისა ღურო-სათოფურიდან ყირამალა არ გადაუშვებს.<sup>2</sup> აწლა დავაქარსა რამდენიმე თვე არხეინად ცხოვრება შეუძლია: კეტითა ცემა იმისთვის ყოვლისა უფრო უხვი მოსავალია, რამეთუ ბერსა, მევახშესა, ვინდ ვეჭილბა, კარგა ბლომად ქრთამსა, ანუ საცოდავ ძღვენსა წაართმევს და თავის მხრივ არცა აზნაური დაუჭერს ცემისა სანაცვლოდ საუდიერო საზღაურსა, ხან ეძღვრება და ისე უზომოსა, რომ თავად მშრალზედ რჩება და თანაც კიდევ სულ დიქს მწეშშია, ემანდ ციხეში არ ამომალბონო, თითქოს თვითონ მეფე ეცემოს და მიებერტყოს.

— მაგ უბედურებისა მოსარჩენად ერთი კარგი საშუალება ვიცი, — წართქვა პანურგმა. — სენიორ დე ბაშემ დია მარჯვედ გამოიყენა.

— ეგეთი რა საშუალებაა? — დაეკითხა პანტაგრუელი.

— სენიორ დე ბაშე, — განაგრძო პანურგმა, — დიდი გულადი, სათნო, სულგრძელი, ვაჟკაცი კაცი იყო. ოდეს შინ დაბრუნდა იმა ხანგრძლივი ომიდან, რომლისა დროსაც პერცოვი ფერარელი ფრანგთა მხარდაჭერითა მამაცურად იცავდა თავსა და პაპ იულიუს მეორის ფიცხელ იერიშთ იგერიებდა,<sup>3</sup> სენ-ლუანის მონასტრისა გათხვირულ-ჩაკურატებულმა წინამძღვარმა საკუთარი სიამოვნებისა და გართობისა გულისთვის ბეზლობათა წერა და სასამართლოში თრევა დაუწყო.

ერთხელაც ბაშემ, თავის მსახურთა თანა დილის პურსა რომ მიირთმევდა (კეთილი, უბრალო კაცი იყო), თავისი მეპურე, სახელად ლუარი, ცოლიანად მიაყვანინა, მიიხმო აგრეთვე თავისი სამრევლო მღვდელი, სახელად ზაპაზუპა, რომელიცა იმჟამინდელი ფრანგული ჩვეულებითა შეკუჭნავედაც ედგა, და აზნაურთა და მსახურთა თანდასწრებით მიმართა: „შვილნო ჩემნო! კარგად ხედავთ, ყოველდღე რამდენ საწყენსა მახვედრებენ ეს უნამუსო დავაქარნიო. უკეთუ მხარში არ ამომიღვებით და ხელსა არ აღმიპყრობთ, ავდგები და სულ გადავიკარგები, ეგვიპტისა ფაშას მივადგებიო. ჯანდაბამდისა ვივლიო. ამიტომ, როგორც კი ის დავაქარნი მოგვივლენ, თქვენ, ლუარ, შენა და შენი დედაკაცი, საქორწილოდ გამოწყობილი გამოხვალთ სეფედარბაზშიო, ვითომ ჯვარსა იწერთო. აჰა, თქვენ ასი ეკიუ ოქროთი, ტანსაცმელი განიახლეთ, არცრა სამკაული არ დაიკლოთო. შენ, უფალო ზაპაზუპა, არ დააყოვნო იქ მოსვლა, შესამოსელიცა და გინგილა-ოლარიც ახალი მოიძიე, ნაკურთხი წყალი, აიაზმა არ დაგაკვიწყდეს, ვითომ ამათი ჯვრისა დასაწერად ხარ მოსულიო. ტრიუდონ (აგრე ერქვა იმის მუდოლე-მედალაბანდეს), შენც მოდი, თან ბობლან-დოლი და ფლეიტა იქონიეო. ვითარ მექორწინენი ერთმანეთსა თანახმანი გაუხდებიან, ბეჭდებსა შეცვლიან და ნეფე დოლისა ხმაურში დედოფალსა აკოცებს, მაშინვე, ვითომ ქორწილისა სამახსოვროდ, საოხუნჯო აღერსი, ანუ ბლიკუნა, ქიშტის, მუჯღუგუნის, მჯილისა კერა დაუწყეთ ერთმანეთსაო. ესეგვარად ნამოძრავებელნი უფრო მაღიანად ივახშებთო. ხოლო ხელთ დავაქარი რომ მოგხვდებათ, აბა მოხვედრა იმას არ დააკლოთ, არ დაინდოთ, უთავაზეთ და უთავაზეთ, სულ ბეგვა-ბეგვითა გაუარეთ და გამოუარეთ, როგორაც ჭანარ ჭვავსაო. ურტყით, შეჟეთ, ღდინი გააგდებინეთო. აჰა, თქვენ თხისურშემოვლებულნი ახალი ჯაჭვისა ხელჯაგნი, დედა უტირეთ იმა დავაქარსა, თავ-პირი დაამტკრიეთ, არცრა მთელი არ შეარჩინოთ, ფეხქვეშ გაიგდეთ, თმითა ათრიეთ, გაანიორწყლეთო. ვინცა ყველაზედ მეტად იმარჯვებს იმისა ცემა-ტყეპაში, ჩემი ყველაზედ ერთგული კაციც ის იქნებაო. სასამართლოსი ნუ გეშინითო, სუყველას დაგიხსნითო. ქორწილის წესია, ხუმრობითა ვურტყამდითო, ვეტყვითო. — „კი, ბატონო, მაგრამ ის დავაქარი რით გავარჩინოთ, — იკითხა ზაპაზუპამ, — შენთან ყოველდღე უღანდარი, ანუ ზღვა ხალხი



დადისო.“ — „ეგ ყველაფერი გაუითვალისწინეო, — მიუგო ბაშემ. — უკეთუ ჭი-  
შკარსა ქვეითი ან ჯავლაგ ცხენზედ ამხედრებული კაცი ვინმე მოადგა, და ცერ-  
ზედ მომსხო და ფართო ვერცხლისა ერქეფშ-ბეჭედი ეკეთება, წყალე არ გაუ-  
ვა, დავაქარი იქნება, მეჭიშკრე თავაზიანად შეხვდება და ზანზალაკსა ჩამოჭ-  
კრავს, დააზარუნებსო. თქვენ უკვე მზად იქნებით და იმწუთას დარბაზსა მია-  
შურებთ იმა ტრაგიკომედიისა გასათამაშებლად, რომლისა შესახებეფს წინასწარ  
გაუწყეთო.“

ბიზლირთქა

ჩანს, ღმერთსა აგრე უნდოდა, ვითარმედ ბაშეს იმავე დღესა მიადგა მავა-  
ნი და მავანი ხნიანი, სქელე, მწითურსიფათიანი დავაქარი. ზარი ჩამორეკა თუ  
არა, მეჭიშკრემ მაშინვე იცნო იგი ტლანქწალებიანი, გაუბედურებულჯავლაგი-  
ანი, ჯვალოს ტომრიანი, რომელიცა ქამარზედ ჰქონდა მიბმული და სასამართ-  
ლოს უწყებებითა იყო გამოტენილი, და, რაიცა მთავარია, მომსხო ვერცხლისა  
ერქეფშ-ბეჭდითა, მარცხენა ხელისა ცერზედ რომ წამოეცვა. მეჭიშკრე თავა-  
ზიანად შეეგება, სტუმართმოყვრულად განუხვნა კარნი და სახეგაბადრულმა ააწ-  
კრილა ზანზალაკი. ნიშანი ესე რა ინიშნეს, ღუჯარი და იმისი უღელტოლი  
ფიცხლად გამოიკვანწნენ და, ვით მექორწინეთ, ამაყად თავაწეულთ დარბაზის-  
კენ გასწიეს. ზაპაზუპამ ამასობაში თავისი სამღვდელთ ტალაუარი და ვინგილა-  
ოლარი შეიმოსა. სამოსსაცავიდან რომ გამოდიოდა, იმა დავაქარსა გადაეყარა,  
ჩასჭიდა ხელი, თავისთან შეიყვანა და, ვინემ სხვანი ხელჯავთ იცვამდნენ, კაი  
ჩანსა ღვინო ასვა. „რა კარგ ფეხზედ მოხვედიო, — უთხრა ზაპაზუპამ დავა-  
ქარსა, — დღესა ჩვენსა ბატონსა ღვინო აქვსო. წავუქეიფოთო. მე შენ გეტყვი,  
პურ-მარილი შემოგვაკლდება: ქორწილია, ქორწილი. დალიე და გამხიარულ-  
დიო.“

დავაქარი ყლურწავდა და ყლურწავდა, ხან მექორწილენი ადღეგრძელა,  
ხან ქორწილი დალოცა, ხან ესაო, ხან ისაო, და მეტი რა უნდოდა, გამოიბ-  
რეჯა.

ბაშემ აყოვნა, ხანი დაყო, დაბოლოს, რა დარწმუნდა, საბრძოლველად ყვე-  
ლა და ყველაფერი მზად არისო, ზაპაზუპას მოსაყვანად გაგზავნა კაცი. მოვიდა  
ზაპაზუპაც და მოიტანა ნაკურთხი წყალი. დავაქარიცა ფეხდაფეხ მოჰყვა.  
დარბაზში შემოვიდა თუ არა, ჯერეთ აქეთ-იქით უმორჩილესად დაუკრა ხალხსა  
თავი, მერმე არცა აცივა, არცა აცხელა და ბაშეს სასამართლოში გამოძახებისა  
უწყება მიაჩენა. ბაშე გულითადად შეხვდა, ერთი ოქროს ანგელოტიც მიუბოძა  
და სთხოვა, დარჩით, ჯვრისწერაზედ დაგვესწართო. ჯვრისწერა გაიმართა თუ  
არა, წამერთ ამუშავედა მუჯღუგუნი, ქიშტი, მუშტ-ხურთი. საქმე დავაქარამდე  
რომ მივიდა, იმისთანები უთავაზეს, მალე სანახავი არღა იყო; ეგრევე ხელდა-  
ხელ ცალი თვალი ჩაულურჯ-ჩაულილავეს, რვა ნეკნი ჩაულეწეს, გულისფიცარი  
ჩაუდრიკეს, ბეჭნი ოთხად გაუპეს, ქვედა ყბა კი — სამად, თანაც სულ ხუმრობა-  
ხუმრობაში. ერთმა ღმერთმა უწყის, რარიგ ხმართბდა ის ოყრაყი, ატონტყილი  
ზაპაზუპა ყარყუმისა ტყავადაკრულ ვეება ჯაჭვისა ხელჯავსა, რომელსაცა  
სამოსლისა სახელოში მალავდა.

იღ-ბუშარსა დავაქარი ისეგვარად დაბუზნილი დაბრუნდა, კაცი იფიქრებდა,  
ვეფხისა ტორთ დასხლეტიაო, მაგრამ სენიორ ბაშეს მასპინძლობითა მაინც დია  
კმაყოფილი და გულშეჯერებული იყო, და იქაურ კეთილ მკურნალთწინამძღვარ-  
თა წყალობითა კიდევ დიდხანსა ედგა პირში სული. ამბავი ესე არ გახმაურებუ-  
და, კრინტი არცვის დაუძრავს, სუფველამ ყმუნვა, ანუ გაჩუმება ამჯობინა, და-  
ვიწყებითა კი მართოდენ მაშინ დაივიწყეს, როდესაც იმა დავაქარისა საფლავეში  
დაფვლისა გამო ატეხილი ზართა რეკვა მიწყდა.



თხზი XIII

პითარ აქებს სენიორ და ბაჟე ფრანსუა  
პიიონისა მაგალითისამებრ  
თვისთა კაცთ



ერქუენული

როგორც კი დაუქარმა ციხე-დარბაზი დაუტევა დიქსიუსის მტრულობაგანე-  
ნილ, ანუ ზადიან (აგრე ეძახდა იგი თავის ცალთვალა ცხენსა) ფაშატსა ზედან  
გამოიჭიმა. ბაჟე იქავ მყუდრო მტილ-ბაღში გავიდა, ფანჩატურისა ქვეშე ჩა-  
მოჯდა, უხმო ცოლსა და ქალიშვილთ, ყოველთა შინაკაცთ, მოატანინა თავან-  
კარა ღვინო, მეტი და მეტი სულ ცხელ-ცხელი ღვეხელი, ღორი, ხილი, ყველი,  
ღია კმაყოფილმა დაისხა და დალია, სუფრა-ტაბლისა მტეთაც შეასვა და ესეგ-  
ვარად აძრახდა:

— სიცოცხლისა დასალიერსა მეტრი ფრანსუა ვიიონი! სენ-მაქსენისა სა-  
ვანეში გადავიდა. პუატუში, მუნებური წესიერი, კეთილზნინი წინამძღვრისა  
კალთასა შეაფარა თავით. ერთხელაც, ახლომახლო ხალხისა საკამათებლად, ანუ  
გასართობად და შესაჭცევად, ვიიონმა უფლისა ვნებათა მისტერიისა წარმოდ-  
გენა განიზრახაო. მსახიობ-მახიობელთ რომ მოუყარა თავი, როლნი გაანაწილა  
და შენობა მოიძია, მერსა და ქალაქისა ქვეხა-მამასახლისთ აუწყა, მისტერია  
მზად იქნება ნიორის ბაზრობისა ბოლოსთვისაო; მოქმედ პირთათვის შესაფერი-  
სი ჩასაცმელ-დასახურისა შერჩევალა დაგვრჩაო! მერმა და ქვეხა-მამასახლისთ  
სათანადო განკარგულებანი მოახდინესო. თვითონ ვიიონი ძმა ეტიენ კუდელსა  
შიადგა, ფრანცისკელთა მონასტრისა მოღარესა: ერთი ვინმე ხნიერი ვლუხკაცი  
მამა ღმერთად უნდა გამოეწყო და იმისთვის შესამოსელი და ოლარი სთხოვაო.  
კუდელმა ქვა დაკვიტა, ციე უარზედ დადგა, არა, არ შემძლიანო, ადგილობრივი  
სამონასტრო წესდება უმკაცრესად გვიკრძალავს მეჩრდილე და მოთამაშე კაც-  
თათვის ჩვენს საღაროდან რამისა მიცემასაო. ვიიონმა სიტყვა გაუტრიზაეა, ეგ  
ოქვენს წესდება ფარსსა, პანტომიმასა და ყოველგვარ უხამს სანახაობასა გუ-  
ლისხმობსო, სწორედ აგრე განმარტავენ მაგ წესდებას ბრიუსელსა და სხვა ქა-  
ლაქთა შინაო. კუდელმა უსმინა, უსმინა და პირდაპირ მიახალა, კეთილინებეთ  
და სხვა გზა ნახეთ, ჩემი საღაროს იმედი ტყუილად ნუ გექნებათ, ჩემგან ვერა-  
ფერს მიიღებთო. ფრიად აღმყოთებულმა ვიიონმა ეს ამბავი თავის მსახიობ-  
მახიობელთ აცნობა და იქავ დასძინა, აი ნახავთ, ღმერთმა რა უყოს მაგ კუდელ-  
საო, სულ მოკლე ხანში ბერაში თუ არ გაატაროსო.

შაბათსა ვიიონმა იუწყა, მონასტრისა ჭაკზედ ამხედრებული კუდედი სენ-  
ლიგერს საკალმასოდ გაეშურა და შუადღისა ორი საათისთვის დაბრუნდებაო.  
ადგა მაშინ ვიიონი და ის თავისი მოთამაშე ბერიკა კაცნი, ვითომდაც ეშმაკ-ქა-  
ჯნი, ქალაქში სასეიროდ გაიყვანა, ჯერეთ ქუჩა-ქუჩა ატარა, მერმეთ ახლა ბა-  
ზარსა შეასიაო. ზოგ ბერიკა-ეშმაკსა მგლისა გადმობრუნებული მოკლე ტყავი  
ეცვა, ზოგსა კრაეისა, ვის ცხვრისა თავი წამოეცვა, ვის ხარისა რქანი დაეკო-  
სებინა, ვის გელა-მაშა-საჩხრეკი გადაეგდო მხარზედ, წელსა შემორტყმულ სქელ  
ქამარ-ზოსტერზედ კი ვის ძროხისა საყელოდან ჩამოხსნილნი ეფვან-საუღერნი  
ეკიდა, ვის კიდეც ჯორთაგან ჩამოხსნილნი ხარაზინ-ზანხალაკნი, და გარშემო  
ყურთწამლები წკარაწყური, წკარუნნი და რიწკინი იდგაო. ვიეთნი თოფისწამ-  
ლითა გატენილ შავ ჯოხთ ატურტურებდნენ, ვიეთნი გრძელ ანთებულ მუგუ-  
ზალთ აქნევდნენ და რამდენჯერაც მებოძირი, ანუ გზაჯვარედინი შეხვდებოდათ,  
მუგუზალთ იმდენჯერ ზედ დანაყილ ფის-დღვილსა აყრიდნენ, რისა გამოც იმ-



წამსვე აღი ავარდებოდა ხოლმე და უამური რამ ბოლი დგებოდაო. ქალაქი სრულად რომ მოატარა, ხალხისა სასეიროდ და ბაღდათა თავზარდასაცემად, ვიიონმა ბერიკა-ეშმაკნი დუქანში მიიპატიჟა ქალაქისა კედლისა გარეთ, სადაც სენლიგერის გზა იწყებოდაო. როგორც კი დუქანსა მიეახლნენ, ვიიონმა შორიდან თვალი მოჰკრა შინ მომავალ ნაკალმასარ კუდედსა, და ბერიკა-ეშმაკთ/ლექსად წაუმაკარონიკულაო:

ეროვნული  
გინგლიცხეა

ჩვენებურარე, სხვას სჯობიანუს,  
გუდაში პური აქვს ობიანუს.

— ოჰ, ეგ შეჩვენებულსო! — აყაყანდნენ ბერიკა-ეშმაკნიო. — მამა ღმერთსა დროებითად ერთი უბრალო შესამოსელი დაუჭირაო! აწლა სეირი უნდა ვაჩვენოთო!

— კარგი აზრიაო! — დაეთანხმა ვიიონსო. — ჯერჯერობით კი მოდიო, თვალსა მიკეფაროთო! სუყველა შუშხუნა და მუგუზალი მზად იქონიეთო!

მოადგათ თუ არა კუდედი, გამოცვიუნდნენ გზაზედ ყოველნი ეს საფრთხულნი და დააყარეს, მაგრამ რა დააყარეს იმასაც და იმის ჭაკსაც ცეცხლისა ჩინჩხალ-ნაპერწყალნი, თან ეუყან-ზანზალაკთ აქლარუნებდნენ და, როგორაც ნამდვილნი ეშმაკნი, ისეგვარად აკივლდნენ და აყმუვლდნენო:

— უ-უ-უ! ჰაუ-უ-უ-უ! ვაი-ი-ი! ვუი-ი-ი! ჰაუ, ჰაუ, ჰაუ! ჰა, რასა იტყვი, ძმაო ეტიენ, ვითარ ვთამაშობთ ეშმაკთაო?

ჭაკი დაფრთხა, აფრუტუნდა, აჭიხვინდა, ჯერეთ ჩორთით გაეშვა, მერმეთ დაოთხდა, თან ტლინკთ ისვროდა, ყალყზედ დგებოდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, მთლად გაგიჟდა, გადაირია და, ბევრი კი ებლაუჭა კუდედი უნაგირისა ტახტასა, მაგრამ ბოლოს მაინც გადმოიავლო ცხენმაო. აუყანდ-უზანგნი ჭაკსა თოკისა ჰქონდა, და მარჯვენა სანდალი საწყალ კუდედსა ისეთნაირად გაეხლართა თოკში, ველარაფრით ვერღა გამოიღოო. დაფეთებულმა ჭაკმა სულ საჯდომითა ათრია ის შავ დღეზედ დაბადებული და ორივე ფეხისა ტლინკვა-ტლინკვითა ხან ღობე-სხლტესა გადაეველო, ხან ბურქთ და ხნარცვ-მთხრებლსაო. რაღა გაეავრძელო, იმდენი ათრია ჭაკმა თავისი ნამხედრალი და იმდენი წიხლი მოახვედრა, თავი სულ მთლად გაუჩქქვა, და ის კი არა, გზისპირა ოსანას ჯვართან<sup>2</sup> თავის ქალადან საცოდავსა ტვინი გადმოუვარდა, განიტვინაო; მერე ახლა ორივე ხელი მოაწყვიტა განტვინულსა, ერთი იქით გადაეარდა, მეორე აქეთ, მერე ორივე ფეხიც მოაწყვიტა, მერმე ნაჭყაპურტნი გამოადინა და, როს ჭაკი მონასტერში მიიჭრა, კუდედისა მარჯვენა ფეხიღა მიიტანა, თოკისა უზანგსა შიგან გახლართულ სანდალში ჩარჩენილიო.

რა დარწმუნდა, წინასწარმეტყველება ახდაო, ვიიონმა ბერიკა-ეშმაკთ მიმართაო:

— აი ნახავთ, უფალნო ეშმაკნო, თუ დიდებულად არ ითამაშოთო, დასტურ თამაშისა უნახავთ გაგვხდითო; დაგენამღევეებით, ყოველთა ეშმაკთ ჯიბეში ჩაისვამთ, სომიურელთაც, დუელთაც, მონმორიიონელთაც, ლანყეიელთაც, სენტესპენელთაც და ღმერთსა ვენაცვალე, პუატუელთაც კი თავიანთ სათავგრილობო ჩინებულ დარბაზიანადო.<sup>3</sup> თქვენმა სიცოცხლემ, დიდებულად ითამაშებთო!

— არცა მე მეპარება ეჭვიო, — დაასკვნა ბაშუმ, — ჩემო ძვირფასო ხალხო, ოჩხუნო, რომ ამიერიდან თქვენცა დიდებულად ითამაშებთ თქვენსა სათამაშებულ ტრაგიკულ ფარსსა, რამეოუ პირველივე საცადისითა მართლა გემრიელად



მიტყვიპეთ და მიაგდეთ ის მამამაღლი დავაქარიო. დღეისა წაღმართ სუყოველ თქვენგანსა ორმაგ ჯამაგირსა გადაუხდით. ჩემო სიცოცხლევ, — მიუბრუნდა ბაშე თავის თანამესარეცლესა. — როგორაც მოგენებოს და როგორაც მოგეპრიანოს, ისე დაასახუქრე ეს ჩვენი ხალხიო. მთელი ჩემი საუნჯე შენს ხელშია და შენსა განკარგულებაშიაო. მე კი, ყოვლის პირველად, თქვენსა სადღეგრძელოსა დავლევ, ჩემო ძვირფასო ხალხო, უპ, რა ღვინოა, რა კურგეცვიდაო! მეორედ, შენა, სახლოუხუცესო, ეს ვერცხლისა ფილ-კოტრილ-ტეშტლ-ჩიფჩიფეუ შიბოძე-ბიაო. თქვენა, საჭურველთმტვირთველნო, ორსა ოქროთი დაფერილ ვერცხლისა თასსა ვიძღვნიოთ. თქვენა, პაუნო, სამი თვისა განმავლობაში არ გაიწკეპლებითო. ჩემო სიცოცხლეო! ამათ ჩემი თეთრი, ოქროსკილიტებიანი თავსარჭობნი, ჯიღანი მიეციო. შენა, უფალო ზაპაზუპა, ვერცხლისა მათარასა ვიძღვნიო. ამა მეორესა მზარეულთ მიუბოძებო; კამერდინერთ ვერცხლისა კალანჩხა-კალათასა ვაძღვევო; მეჯინიბეთ, იგივ ბაგათმთავართ, ამა ნავისნაირსა ვიძღვნი, ამასაც ვერცხლისასა, ოქროს ვარაყიანსაო; მეკარე-მეჭიშკრეთათვის ორი თეფში მიჩუქებიაო; მეჯორეთათვის — ათი შეჭამანდისა კოვზიო. ტრიუდონ! ვერცხლისა კოვზნი და ეს მაშრაფა მიირთვი, შენი ფეშქაში იყოსო! თქვენა, ფარეშნო, დიდი სამარილე იბოძეთო. ერთგულად მემსახურეთ, ოჩხუმნო ჩემნო, და ვალში არ დაგრჩებით, სამუდამოდ დაიხსომეთო: ღმერთსა ეიფიცავ, მირჩევნია, რომ ჩვენი ქველი მეფისა სამსახურად ომში წასულსა ჩაფხუტ-მუზარადხედ რომახტური ასჯერ მომხვდეს, ვინემ თუნდაც ერთხელ სასამართლოში გამოვცხადდე მამა-ოხერ დავაქართა გამოძახებითა, აიმ ჩაკურატებული წინამძღვრისა გულისა გასახარადაო.

## თავი XIV

### და ბაშეს სახლსა შინა დავაქართა გვემა ბრძელდება

რამოდენიმე დღისა შემდგომ ახლა სხვა დავაქარი, ამხელად დღემოუჭმელი, ანუ ახალგაზრდა, სარიყუდა-აწოწილი და ხმელ-ხმელი, მიადგა ბაშესა იმა ღაბუა, ჩაკურატებული წინამძღვრისა საქმისა გამო სასამართლოში დასაძახებლად. მეჭიშკრე უკანასკნელ წამსა გაერკვა, რომ წინ დავაქარი ედგა, და ზან-ზალაკი ააწკრიალა. ზანზალაკმა ციხე-დარბაზისა ყოველთა მკვიდრთ აუწყა დავაქარისა მოსვლა. ლუარი ამ დროსა ცოლსა უტრიალებდა, ცოლი სასაფანლე ფქვილსა უტრიდა, ზაპაზუპა რაღაცას ითვლიდა. კარისკაცნი ბურთსა თამაშობდნენ. თვითონ სენიორ დე ბაშე ცოლსა სამას სამსა ეთამაშებოდა. ბატონისა ასულნი კამათელსა ამღერებდნენ. მსახურნი იმპერიალობანათი ერთობოდნენ. პაუნი წკიპურტობანაზედ შლიდნენ ქაღალდსა და უცვებ სუყველამ მოტყინა, რომ ჩერხულ ჭიშკართან დავაქარი იდგა. უფალი ზაპაზუპა უმაღლ შესამოსად გავარდა, ლუარი ცოლთან ერთად ნეფე-პატარძლად ჩაცმა-დახურვის თადარიგსა შეუდგა. ტრიუდონმა ფლეიტას ჩაჰპურა, დოლი ააბრაგუნა. სუყოველნი ჩაკუჭკუჭდნენ, აფუსფუსდნენ და ხელჯაგნი მოიძიეს.

ბაშე ეზოში გამოვიდა. დავაქარმა თვალი შეავლო თუ არა, მუხლი მოუყარა და შესთხოვა. მე ნუ გამიბრაზდები, რამეთუ სასამართლოში ჩემი საქმისა გამო კი არა, ჩვენი ღაბუა, ჩაკურატებულ-გათხვირული წინამძღვრის საქმისა გამო გეძახიო, და დახვეწილი სიტყვა-პასუხითა თავი გააცნო: მეო ხელწამოსაკრავი ვინმე არ ვარო, მონასტერსა შინა სააბატო მიტრისა მცველობა მამარი-



აო, მარტო შენივის კი არა, შენთა წვრილთა შინაკაცთათვისაც ბევრი რამ კარგისა ქმნა შემოდლია, რასაც მოინებებ და მოიპრიანებო.

— ვერა, — მიუთხროს დე ბაშემ, — სასამართლოში ვერ გამოვიძახებ, სანამ თავანკარ კენკენეიურ ღვინოსა არ გაგვისინჯავ და ქორწილსა არ დაგვიფასებ, რომელსაცა დღესა ვიხდითო. უფალო ზაპაზუპა! მიდი, ცოტა გასაყოჩალებლად ჩააღლიე და მერმე დარბაზსა მოიყვანეო. აგრე აჯობებსო. ურჩუნულე!

კარგა რომ დანაყრდნენ და ჩაღლიეს, დავაქარი და ზაპაზუპა მუხუჭებსა შევიდნენ, იქ კი უკვე თავი მოეყარათ ფარსისა მონაწილეთ, საბრძოლველად გამზადებულთ და შემართულთ. დავაქარისა გამოჩენაზედ სუყველას გაელიმა, იმათ შემყურეს დავაქარსაც ჩაეცინა, უფაღმა ზაპაზუპამ კი ლოცვა წაიკითხა, ნეფე-პატარძალსა ხელნი გადააჭდობინა, ნეფესა პატარძლისთვის აკოცინა და ყოველთაიაზმა ასხურა. ვიდრე ღვინო და ტკბილეულობა მოჰქონდათ, ქორწილისა ხალხმა მძიმე-მძიმედ ერთმანეთსა წაჯგვლემა დაუწყო. აღვა დავაქარიცა და ზაპაზუპას რამდენჯერმე კარგა მაგარი ქიმუნჯი წაჭკრა. ზაპაზუპა შესამოსლისა სახელისა შიგან მალავდა საბუხარსაებ წამოცმულ ჯაჭვისა ხელჯაგსა, და ქიმუნჯი აბა შენ ჩემი ნახეო, მისცხო და მისცხო ხელჯაგი დავაქარსა, აქ სხვათაც გამოიღეს ხელი, ზოგი მუჯღუგუნსა და ქიშტსა სცემდა, ზოგიცა თავ-პირში ურტყამდა. „ქორწილია, ქორწილია, ქორწილი, სამახსოვრო წეს-აღათია!“ — ყვიროდნენ მექორწილენი და ისეთ დღეში ჩააგდეს ბედმლაშე დავაქარი, რომ შეგვეცოდებოდათ: სისხლი სდიოდა პირიდან, ცხვირიდან, ყურთაგან, თვალთაგან. მოკლედ თუ ვიტყვით, მრთელი არ შეარჩინეს არცა თავი, არცა კეფა, ზურგი, მკერდი, ორიც ხელი, სულ დაუმტკრიეს, დაცაულეწეს, შეუმუსრეს, სანახაყი არღა იყო. მერწმუნეთ, ავინიონში ჩარბუხანა-კარნავალისა ჟამსა ბაკალავრთ თულობანა არცროდის ისე მზიარულად არ უთამაშიათ, როგორაც ბაშეს ხალხმა დავაქარისა ცემა-ტყეპითა შეიქცია თავი. ბოლოსა და ბოლოს ეგრევე მოწყვეტილმა ძირსა ბრაგვანი მოადინა. არ დააკლდესო, ცოტა ღვინო კიდევ ჩაასხეს, ქურთუკისა სახელოთა ზედან ყვითელი და მწვანე ბაფთანი შეაბეს და თავის დრიჭინაზედ შესკეს. დავაქარი იღ-ბუშარსა დაბრუნდა, იქ კი მეარტამსუ-მეარტახეთ რა უპეიტრეს და ცოლმა ვით მოუარა, ვერ ვეტყვით, არა ვუწყია რა. ამა დათეთქვილი ცრუმომჩივნისა გამო სიტყვა მეტად არ დაძრულა.

მასე იყო თუ ისე, ხმელ-ხმელმა დავაქარმა მიზანი ვერ შეისრულა და ნაცარში კოვზჩავარდნილი დაბრუნდა შინა, ამიტომ ყველაფერი მეორე დღესვე კვალად განმეორდა. გაოჩვირულ-ჩაკურატებულმა წინამძღვარმა კიდევ ერთი დავაქარი გაგზავნა სენიორ დე ბაშეს სასამართლოში გამოსაძახებლად და მცველად თან ორი მოწმეც გააყოლა. მეჭიშკრისა ზარმა სრულად მთელი სახლი გაახარა და ყოველთ მოუთმენლად დაუწყეს ღოდინი დავაქარსა. ბაშე თავის ცოლთან და ახლობლებთან ერთად ამ დროსა სადილობდა. მოაყვანინა დავაქარი და გვერდზედ მოისვა, მოწმენი ასულთა გვერდით დასხა, და სუყველანი მზიარულად შეექცნენ სადილსა. ყველისა ჩასაკოვლოზინებელი რომ მოიღეს, დავაქარი ფეხზედ წამოდგა და მოწმეთა თანდასწრებით მალლად გამოუძახა ბაშესა სასამართლოში. ბაშემ თავაზიანად სთხოვა, სამსახურებრივი საბუთი რამ მიჩვენეო. დავაქარმა საბუთიც უჩვენა და უწყებაც ზედვე მოაყოლა. დავაქარმა და მოწმეთ სენიორ დე ბაშესგან თთხ-თთხი მზუგამოხატული კვიუ იბოძეს.

მას უკან ფარსისა მონაწილენი წავიდ-წამოვიდნენ და წარმოდგენისთვის მზადებასა შეუდგნენ. ტრიულონმა ბობღან-დილისა ბრაგუნი ატეხა. ბაშემ აჯა ასმინა დავაქარსა, ერთი ჩემი მსახურისა ქორწილზედ დაგვესწარიო და საქორწინო ხელშეკრულება შეგვიღვინეო, რისთვისაც კარგად დაგაჯილდოებო და



გულსაქსედ გყოფთო. დავაქარი ზრდილი კაცი იყო, ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს, ისე ამოიღო საწერ-კალამი და ქალაღი, მოწმენი გვერდიდან არა შორდებოდნენ. ლუარი დარბაზისა ერთი კარიდან შემოვიდა, ცოლი მდაღეთა თანა მეორე კარიდან შემოჰყვა, ორივენი საქორწილოდ იყვნენ შორთულნი. მღვდელმსახურად შემოსილმა ზაპაზუპამ ხელი ჩასჭიდა ნეფე-პატარძალსა, თანაზმან ხართ თუ არაო, უთხრა, დაამწყალობნა და აიაზმა არ ლეჟმურებოდა; ხელშეკრულებასა ხელი მოაწერეს. ერთი კართა ღვინო და ტკბილეული შესიდა, მეორეთი — ერთი ბლუჯა თუთრი და ყავისფერი ბაფთა, მესამეთი კი ნაცქაფად, ანუ ფარულ-ნამაღვკად ღაჯია-ხელჯაგნი შემოიტანეს.

## თავი XV

### პითარ აღაღბინა დავაქარმა კველუბური საქორწილო ჩვეულება

იხმია რა უღანდარი, ანუ დიდროვანი ჯამფილა ბრეტონული, დავაქარმა სენიორსა მიმართა:

— მოწყალეო ხელმწიფეო! რა ამბავია, რა ხდებაო? ეს რანაირი ქორწილი გაქვთო? რაც რამ კარგი წეს-ჩვეულება იყო, ყველაფერი იშლება და ისპობათ! დღესა კურდღელსაც ვერ იპოვნე სოროში, მეგობრისა ძებნა ხო სულ ტყუილიაო. ის კი არა, ბევრმა ეკლესიამ სმაც აკრძალა, საშობაო ძლისპირთა გალობასა თან რომ ახლდაო. ქვეყანა შეიშალაო. უკანასკნელი ჟამი ჩამოღვაო. დაასხით, მაგის დედაც რა ვთქვი, დავლით, ქორწილია, ქორწილია, ქორწილიაო!

ენა რა მოიქავლა, დავაქარმა წაუტიალ-წაუქიმუნჯა ბაშესა და იმის ცოლსა, მერმე ახლა იმის ასულთ და ზაპაზუპასა.

აქა ბრძოლაში ჯაჭვისა ხელჯაგნი და ღაჯიანი ჩაებნენ, და დავაქარსა ცხრაგან გაეზხარა თავი. ერთ-ერთ მოწმესა მარჯვენა ხელი მოსტეხეს, მეორესა კი ზედა ყბა ამოუგდეს, რისა გამოც ყაპო-ღაბაბი ნახევრადლა უჩანდა. ენაც გარეთ გადმოუვარდა, კბილთ ხო ნულა იტყვიო, კარგა ბლომად დასცვივდა, როგორაც უკანანი, ისე საკბეჩნი და ღოჯ-ეშენი. მერმეთ მელოლე-მედალაბანდეთ დოღნი შეცვლილი სისწრაფითა ააბრაგუნეს და ამა ნიშანზედ სუყოველი ღაჯია და ხელჯაგი უცხო თვალისთვის შეუმჩნევლად გაუჩინარდა. ამ დროს კიდევ მოიღეს ტკბილეული, და კვალად გაგრძელდა მხიარულება. მოღბენილნი პურის-მტენი ერთმანეთსა აღდეგრძელებდნენ, დავაქარისა და ორივე მოწმისა ცალკე შესვეს, ზაპაზუპა კი ქორწილისა ძვირსა უბნობდა და ერთ მოწმეთაგანსა ავინებდა, მხარი მომაგდებინა მაგ გამჩენძალმა, კაცად არღა ვარგივარო, მაგრამ ამა მოწმისა სადღეგრძელო მაინც კიდევ დალიეს. გაუყბოებული მოწმე გულხელსა იკრეფდა და მღუმარედ ითხოვდა პატიებასა, რამეთუ ენასა ვერღა ძრავდა. ლუარი თავისას ჩიოდა, გაუხელოებულმა მოწმემ ერთი ისრე ჩამცხო მუშტ-ხურთი იდაყვში, სულ ჩამინაფხვენფხვნილნაფშვნეტაო.

— არა, ამისთანა მაინც რა დავაშავეო? — აძრახდა ტრიუდონი, თან მარცხენა თვალზედ ცხვირსახოცსა იფარებდა და თავის ცალ მხარეს ჩაგლეჯილ დოღსა საჩვენებლად წაღმა-უკულმა ატრიალებდა. — საწყალი თვალი ხო ჩამიღობრღურჯლიღავეს, ეს დოღიც ჩამიგლიჯესო. დოღსა ქორწილში ყოველთვის ურტყამენ, მელოლეს კი პატივსა სცემენ, დარტყმითა არცროდის ურტყამენ, არა სცემენო. რას არ მოესწრება კაციო!







ტულუზისა ოქრო და სევას ცხენი' იყო თავიანთ მფლობელ-პატრონთათვისაო. სენიორ დე ბაშე იმა დღიდან აღარცვის შეუწუხებია, იმისგან გარდახდილ ქორწილთა ამბავი კი გაანდაზდა.

თავი XVI



პითარ ცღის კმა ჟანი  
დავაქარ-ცრუმოზნივანთა ბუნებასა

— თავისთავად საკამათებელ-თავშესაქცევი ამბავია, — შენიშნა პანტაგრუელმა, — დაღათუმცა, ღვთისა შიში მიწყვი თვალწინ უნდა გვედგას.

— მე ეგ ამბავი კიდევ უფრო მომეწონებოდა, — წართქვა ეპისტემონმა, — თურომ ჯაჭვისა ხელჯაგთა თავსხმაში თავად დაბუა წინამძღვარი მოხედებოდა. ის ფულსა საკუთარი სიამოვნებისთვის ხარჯავდა: იმისთვის, რომ ბაშე გულზედ გაეხეთქა, ნაწილობრივ კი იმისთვის, რომ დავაქართაც ხეირი ენახათ. მუშტ-მჯიღ-მუსტი იმისი გადაპარსულ-გარდატევებული თავისთვის შექმნილია, მეტადრე თუ მნიშვნელოვნად მივიჩნევთ იმა მოხეტიალე ბრჭე-მოსამართლეთა შემზარავ მექროთამეობასა, თელისა ჩრდილში რომ განიკითხავენ. არა, მაინც რა დააშავეს საწყალ დავაქართ?

— ერთი ძველრომაული კეთილშობილი კაცი მომაგონდა, — ენა გამოავო აქ პანტაგრუელმა. — სახელად ლუციუს ნერატიუსი. წარმოშობითა ცნობილი და იმა დროისდა მიხედვით მდიდარი ოჯახისა შვილი იყო. თუმცა კი გვარიანად ახირებულნი გაეჩინა ღმერთსა: სადმე როს მიდიოდა, თვისთა მსახურთ ტავარჯუხხალთა-გუდასა ოქრო-ვერცხლითა ავსებინებდა, და ქუჩაში ვინმე ჩიტირეკია თუ შეხვდებოდა, სრულიად უსაბაბოდ, ისე, ხუმრობისა გულისთვის, სახეში მუშტსა ჩააფარებდა, ხოლო მერე, რათა მოეთაფლა ის ჩიტირეკია, რა არი იმას სასამართლოში არ ეჩივლა, ფულსა აძლედა. ესეგვარად რომ ასაჩუქრებდა და აკმაყოფილებდა დაშავებულსა, იგი თორმეტი ტაბულისა კანონთა თანახმად მოქმედებდა. აგრე გაანიავა მან მთელი თავისი ქონება, ანუ აფალი, და მაინც არ იშლიდა ხალხისა ცემა-ტყეპასა, ხარჯსა არ ერიდებოდა.

— წმინდა ბენედიქტეს თავყანსაცემელ სანდალსა ვფიცავ, ახლავ გამოვიძიებ და გამოვარკვევ, სად არის სიმართლე! — შესძახა ძმა ჟანმა და ხანი არდა დაუზშია, ხმელეთზედ გადავიდა, ამოიღო ქისა, გადმოყარა იქიდან ოცი მზევამოხატული ეკიუ და იქავ ბლომად თავმოყრილ დავაქართა გასაგონად ხმამაღლა ისიტყვა:

— ვის ვინდათ ოცი ოქროს ეკიუ ერთი ძალზედ კარგი ცემისა ფასად?

— მე! მე! მე! — აღრიალდა სუყველა ერთად. — ვიცით, მიგვასიკვდილებ. მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, სამაგიეროდ გვარიან, უხვავ გასამრჯელოსაც არ დაიშურებ.

და ეგრევე მისცივდნენ ძმა ჟანსა: არა, ჯერ მე მცემე ვერე მაღალ ფასად, არა, ჯერ მეო. ჟანმა თვალი მოავლო საცემრად გამზადებულ ბრბოსა და ერთი მწითურთავიანი დავაქარი შეარჩია, რომელსა მარჯვენა ხელისა ცერა თითსა დია მსხვილგომბეშოსქვიანი თოქმა ერქეფშ-ბეჭედი უმშვენებდა.

არჩევანი მოხდა თუ არა, დუნდგოს ერთსულოვანი დრდვინვა შემომესმა, ერთმა ყმაწვილმა დავაქარმა კი, მაღალმა, გამხდარმა, ყველას აზრითა, ფრიად ტრუბუცა-გაქნილმა და ხერხიანმა, საეკლესიო სასამართლოში წონიანმა, ჩივილი და ბუზღუნი დაიწყო. ეგ მწითურსიფათიანი პირიდან ლუკმას გვაცლისო და



ჩვენსა მხარეში ჯოხისა მარტოდენ ოცდაათი დარტყმითა რომ შეიძლებოდეს ფულისა შოვნა, ოცდარვანახევარსა ის დაირტყამდაო. ისე, მთელი ეს ჩივილ-წუწუნის შურისა ამბავი იყო და მეტი არაფერი.

ადგა ძმა ჟანი და თავის გემოზედ, როგორაც თვითონ სდამოუხებდა, დაუშინა მწითურთავიანსა კვერთხი, ანუ გრძელი ჯოხი, უთავო, საგვემელი შემცოდეთათვის, და კვერთხმოუხვედრელი არა დაუტოვა რა, არცა ზურვი, არცა მუცელი, ხელ-ფეხი, თავი, რა ვიცი, სადღა არ ურტყა და დასველდა, და დაავადდა, მომეჩვენა კიდეც, სასიკვდილოდ გაიშეტა და ეგ არის-მეთქი. მას უკან აღოქმული ოცი ეკოუ გაუშვირა, და უნდა გენახათ, რა ბედნიერი, რა სახევაბრწყინებული წამოვარდა ის ძალღიშვილი, თითქოს მეფე ყოფილიყოს, და ერთი კა არა, მრჩობლი, წყვილი მეფე ერთდროულ-ერთჟამიერად.

ამასობაში სხვა დავაქარნიც შემოეხვივნენ ძმა ჟანსა და ყელთაწვევა, ხეწნა-მუდარა დაუწყეს:

— მამაო ეშმაკო! უკეთუ ჩვენგან კიდეც ვინმეს მიხეგვასა აპირებ, სულ იაფსა დაგისვამთ. მზად ვართ შენსა სამსახურად ჩვენი ტომრებიანად, ქალაღღებნიანად, საწერ-კალმიანად, ყველაფრიანად!

მწითურსიფათიანმა ხაფად დაჰყვირა:

— აი, თქვე უნიფხონო, თქვენა, ჩემსა ბაზარში მეჭრებით არა? ჩემი მუშტრისა გადაბირება და წართმევა გინდათ? დედასა გიტირებთ, როდინობისა კვირაში ხუთშაბათსა საეკლესიო სასამართლოში გეძახით, სულ ეშმაკ-ქაჯთ და მლაღაეთ დაგახვევთ, სუყველას სასჯელსა დაგადებთ, ვოვერელ ეშმაკსა დავაჭმევინებ თქვენსა თავსა!

მერმე ახლა ძმა ჟანსა მიუბრუნდა და მხიარული, სახევაბადრული ამრახდა:

— წმინდაო მამაო ეშმაკო! უკეთუ კიდეც ცოტასა შეიქცევ თავსა და კიდეც მეცმ, ნახევარ ფასად გეცემინები, ზედმეტსა არ გამოგართმევ. არ დამინდო. როგორაც გენებოს, ისე გამომიყენე, უფალო ეშმაკო, თავიანად, ფილტვებიანად, ფაშეფუშიანად, ყველაყასა გულითა გეუბნები!

ძმა ჟანმა სიტყვა შეაწყვეტინა და განშორდა. დანარჩენი დავაქარნი პანურგსა, ეპისტემონსა, გიმნატსა და სხვათ შიაწყდნენ, ენად გაიკრიფნენ, უმორჩილესად ეაჯნენ, სულ მცირე საფასურზედაც კი თანახმანი ვართ, ოღონდ უცემარნი არ გაგვიშეათო, თუ არა გვცემთ, უსმელ-უჭმელნი დავიხიცებითო. ყური არცინ დაუგლო.

მერმე მეხომაღღეთათვის, ანუ გემისა ყოველთა კაცთათვის თასუნითა მტკნარ წყალსა რომ ვეზიდებოდით, ორ ხნიერ დავაქარ დედაკაცსა გადავეყარეთ, ორივენი მწარედ მოთქვამდნენ და ვიშვიშებდნენ. პანტაგრუელი გემზედ იდგა და სწორედ ამ დროს გვანიშნა, მერწყულნი, მეთასუნენო, გავდივართო. რა იყოთ, რა თავს იხოცავთო, კვითხეთ ვაგლახიან, მოვალაღე დედაკაცო, ერთი გაფიქრებითა იმა დავაქარისა ნათესავნი გვეგონნენ, ძმა ჟანმა რომ მიასიკვდილა. აბა, როგორ არ ვკოდებდეთო, გვითხრეს, ეს-ეს არის სახრჩობელაზედ აყვანილ დავაქარის ორ პატივცემულ მოქალაქესა ყელზედ მონაზონი დაახვიესო.

± მსახურნი ჩემნი თავიანთ მძინარ ამხანაგთ ფეხებზედ გასართობად ახვევენ მონაზონსა, რომელ არს თოკი, — წართქვა ვიმნასტმა. — ყელზედ მონაზონისა დახვევა კი ნიშნავს ვინმეს ჩამოკიდებასა და ჩამოხრჩობასა.

— ეგრეა, ეგრე, — დაუდასტურა ძმა ჟანმა. — ნამღვილ როგორაც წმინდა ჟან დე და პალისი,<sup>2</sup> ისე მსჯელობ.

იმა ორ მოქალაქეზედ კვითხეთ, რისთვის ჩამოახრჩესო, კვიპასუნებს, წირ-



ვისა აკაზმულობა (გაიგე — შესამოსელი) აწაპნესო და საეკლესიო მრევლისა სახელოსა ქვეშე (გაიგე — სამრეკვლოსა ქვეშე) დამალესო.

— ნამეტანი ბუნდოვანი ალევორიებია! — წართქვა ეპისტემოსმა.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი XVII

პითარ გაიარა პანტაგრუელმა კუნძული თოპუ,  
კუნძული ბოპუ, და აბრეთვე ქარისა  
წისქვილთა ყლაპია ბრენგნარიილის  
უჩვეულო სიკვდილის გამო

იმავე დღესა პანტაგრუელმა გაიარა ორი კუნძული — თოპუ და ბოპუ,<sup>1</sup> სად არცრისა შეწვა და მოხრაკვა არ შეიძლებოდა: უზარმაზარმა დევკაცმა ბრენგნარიილმა ქარის წისქვილთა უქონლობისა გამო, რითაც ის ჩვეულებრ საზრდოობდა, სულ შესანსლა, რაც კი იქ ტაფა, ტაფაკი, ქოთან-კავლონი, ქვაბ-კარდალი და თუჯისა ღუმელი იყო. შესანსლა და კარგი დღეც დაადგა, — ძაღლის ძილისა დროს, ანუ გამოეჩინისას, საჭმლისა მონელების ჟამსა კუჭისა მოუნელებლობა დაეძართა, რაიცა იმით იყო გამოწვეული, როგორაც მკურნალნი ირწმუნებოდნენ, რომ იმისი კუჭისა თანდაყოლილი მონელებისა უნარი, რომლისა წყალობითაც მთელ-მთელ ქარისა წისქვილთ ინელებდა, სრულიად ვერ ერეოდა ტაფა-ტაფაკთ და ქოთან-კავლონთ; ხოლო ქვაბ-კარდალთ და თუჯისა ღუმელთ გვარიანად ინელებდა, რასაცა მოწმობდა სკორე-განავალი და ის ოთხი ლადუკასრი შარდი თავის წრბოლ-ლორწო-ნალექიანად, მან დილაადრიან ორ ჯერზედ რომ გამოეშვა. რაღა არ დააღუეინეს, რა სამკურნალო საშუალებას არ მიმართეს, მაგრამ სატკივარი წამალთა ზედან ძლიერი გამოდგა. და ქველი ბრენგნარიილი იმავე დილასა მიიცივალა, თანაც ისე უჩვეულოდ აღესრულა, ამისა შემდეგ თვითონ ესქილეს სიკვდილიცა არღა გაგიკვირდებოდათ; ესქილე კი, რომელსა ბედისა მწერალთ უწინასწარმეტყველეს, ამა და ამა დღესა თავში რაღაც დავეცემა და ის მოგვლავსო, მინიშნებულ დღესა ქალაქითგან გავიდა, პიწკად, მომეტებული სიფრთხილითა აუარა გვერდი ყველაგვარ ნაგებობასა, ხეთ, კლდეთ და ყველაფერსა, რაიც კი ვაითუ დასცემოდა და მოეკლა. ქალაქითგან გასული ერთ ტრიალ შუა მინდორში გაჩერდა. თავი გაშლილ, მოკრიალებულ-მოწმენდილ ცასა მიანდო და გადაწყვიტა, აქა არცრა საშიშროება არა მომელის, თუკი ცისა თალი არ ჩამოინგრაო, ეს კი შეუძლებლად ეჩვენებოდა. როგორაც შევიტყვეცისა თაღისა ჩამონგრევა ტოროლათაც ძალიან აშინებთ, სულ იმის შიში აქვთ, ემანდ ცა თავის თაღ-გუმბათიანად არ ჩამოინგრეს, თორემ დაუჭერელი ვერც ერთი ვერ გადავრჩებიოთ, სუყველას შუგვიპყრობენო. აბა, ტოროლას ცასწავალას ტყუილად კი არ ეძახიან!

ამასვე უფროხოდნენ ოდესღაც რაინისპირელნი კელტნიც, ანუ ქველნი, მამაცნი, ლომგულნი, გმირთა გმირნი და ძლევაძმოსილნი ფრანგნი, და როს ალექსანდრე დიდი დაეკითხა, დედაძიწისა ზურგზედ ყოვლისა უფროისად რისა გეშინიათო, ის კი სრულიად დარწმუნებული იყო, ჩემსა არაერთ დიად საგმირო საქმესა, ძლევა-გამარჯვებასა, მონაპოვარსა და ტრიუმფსა გაითვალისწინებენ და დიახაც მე დამასახელებენო, — იმათ მიუგეს, არცრა გვაშინებსო, თვინიერ ცისა თაღ-კამარისა ჩამონგრევისაო, დაღათუმცა, ამასა ხელი არ შეუშლია, უკეთუ სტრაბონსა (წგნ. VII) და არიანეს (წგნ. I) ვერწმუნებით, რომ ამა ლომგმირ და სულგრძელ მეფესთან მეგობრულ კავშირში გაერთიანებულიყვნენ.



პლუტარქე თავისა წიგნში, რომლისა სათაურია იმა კაცისა გამო, მთვარისა ზედაპირზედ რომ გამოჩნდება ხოლმე, გვიამბობს, ვითარმედ იყო ერთი ვინმე კაცი ფენაკი, რომელსა ძალიან უშინოდა, რომ მთვარე დედამიწაზედ არ ჩამოვარდნილიყო და სუყველანი ეცოდებოდნენ და ებრალებოდნენ, ვინცთუ მთვარისა ქვეშე ცხოვრობს, ანუ ეთიოპელნი და ტაპრობანელნი: საწყალო ვასრესა არ ასცდებათო! შიში ჰქონდა აგრეთვე ცისა და მიწისა, რამეთუ ვერცხედ ეყრდნობიან, ის ატლანტისა სვეტნი მყარად ვერა დგანანო, რომელსა სვეტნი მსხტებობაც, არისტოტელეს (Meta ta phys.\* წგნ. V) დამოწმებით, სწამდა და სჯეროდა ძველ ხალხსა.

ესქილე, თუმცა ძალიან კი ფრთხილობდა, იმისა გამო დაიღუპა, რომ თავზედ კუ დაეცა: ცასა შიგან შონავარდე არწივსა ბრჭყალთაგან გაუვარდა, პირდაპირ იმას დაეკვეთა თავსა ზედან და თავისი ბაკნითა კენჩხა შუაზედ გაუპო.

კიდევ მაგალითი: პიეტი ანაკრეონტი ყურძნისა წიპწამ, ანუ ხუნწკალმა დაახრჩო. კიდევ მაგალითი: რომაელი პრეტორი ფაბიუსი იმის გამო მოსწყდა მზესა, რომ თხისა ბალანი გადასცდა, რძიან ჯამში ჩავარდნილი. კიდევ მაგალითი: მავანი და მავანი კაცი, ქართ რომ იკავებდა და რომისა იმპერატორის კლავდიუსისა თანდასწრებითა თავის გემოზედ გაჭაჭუნებისა ერცხვინებოდა, უეცრად აღესრულა. კიდევ მაგალითი: ვინმე რომაელი, ფლამინიუსის ვზისა პირას დამარხული, თავის ეპიტაფიაში ჩივის: კატამ ნეკზე მიკბინა, და იმის გამო გამიშავდა დღეო. კიდევ მაგალითი: კვ. ლეკანიუს ბასუსმა უღუმელად წაიღო წერილი იმის გამო, რომ მარცხენა ხელისა ცერა თითზედ ნემსი იჩხვლიტა, თუმცა ნაჩხვლეტი არც კი ეტყობოდა. კიდევ მაგალითი: ნორმანდიელი მკურნალი კუნლო ერთბაშად გათავდა, გადაპარჭიკდა მონპელიეში იმის გამო, რომ ჯიბისა დანითა უხეიროდ ამოიჭრა ხელზედ ხორცში ჩამკვდარი ტკიპი.

კიდევ მაგალითი: ფილემონეს მსახურმა, რათა ბატონსა სადილობისას სასმელისთვის მიეტანებინა და ესიაპოვნა, ლელვი მოიტანა, თვითონ კი ღვინისთვის წავიდა, მაგრამ სწორედ ამ დროს, სად იყო, სად არა, იქა ერთმა ირათ ვირმა ამოყო თავი, მისდგა და მიჰყო ლელვისა ჭამასა პირი. მოვიდა ფილემონე, უყურა, უყურა ლელვისა ჭამითა გართულსა ვირსა და უკან მობრუნებულ მსახურსა მიუთხრო: „ვითარ ვირი ლელვისა ტკბილად ჭამასა მორჩება, ეგ შენი აწ მოტანილი ღვინო დააყოლებინეო“. ამის თქმა იყო და უჩვეულოდ გამზიარულებულ ფილემონესა ხარხარი აუტყდა და იმდენ ხანსა იხარხარა, ელუნთისა უკიდურესა დაძაგურისა გამო სუნთქვა შეეკრა და უეცრად გარდაიცვალა, პარჭიკისა ჩოხა ჩაიცვა.

კიდევ მაგალითი: სპურიუს საუფეი იმის გამო მოკვდა, რომ აბანოდან დაბრუნებულმა თოხლო კვერცხი შეჭამა. კიდევ მაგალითი: ვითარ ბოკაჩო გვიამბობს, მავანი და მავანი კაცი იმის გამო გარდაცვლილა, რომ კბილნი საღბისა ღეროთი გამოუჩიჩნია. კიდევ მაგალითი: ფილიპო პლაკუტმა, რომელიცა მხნედ და ყოჩაღად იყო, წინასწარ არცრასა იტკივებდა, ძველი ეალი გაისტუმრა და ეგრევე ზედ მიჰყვა, განუტევა სული. ფერმწერელი ზევქსისი სიცილითა გარდაიცვალა თავის მიერ დახატული დედაბრის პორტრეტისა ცქერისას. ათასობით მსგავს მაგალითსა უპოვნით ვერიუსს, პლინიუსს, ვალერიუსს, ბაპტისტ ფულვოზეს, ბაკაბერი-უფროსსა.

ქველი ბრენგნარიილი კი, ღმერთმა აცხონოს იმისი სული, ყელზედ დამდ-

\* „მეტაფიზიკა“ — სიტყვახიტყვით: „ბუნებისა შესახებ მოძღვრებისა მომდევნო [იხზულება]“ (ბერძ.).



გარმა ერთმა ლუკმა ახალშედღეებილმა კარაქმა დაახრჩო, რომელსაცა მკურნალთა რჩევითა ზედ აგუზგუზებულ ყვერბ-ლუმელთან ყლაპაუდა.

კიდევ ისიც შევიტყვი, რომ კელანისა მეფემ<sup>2</sup> კუნძულ ბრბუზელ გაანადგურა მეფე მქლოთის<sup>3</sup> სატრაპნი და მიწასთან გაასწორა ბელსმას<sup>4</sup> ციხე-სიმაგრენი. მერმე გავიარეთ კუნძულნი ფხვებზედ<sup>5</sup> კი დია და არამგამა, შემდეგ კუნძულნი ტელენიაბინი და გენულიაბინი,<sup>6</sup> ძალზედ ლამაზნი და მრავალსახეანი დაბოლოს, კუნძული ევიგი და ენიგი, რომელთა გულისთვისაც ოდეს<sup>7</sup> მკურნალნი პესელსადია ავი საქმე დამართეს.<sup>8</sup>

## თავი XVIII

### პითარ მოუსწრო პანტაგრუელსა ზღვაში კლიერმა ქარიშხალმა

მეორე ღღესა მარჯვენა მხრიდან ცხრა ხომალდი წამოგვეწია, ზედ სულ ბერ-მოწესენი შეყრილიყვნენ: იაკობიტნი, იეზუიტნი, კაპუცინები, ერმიტნი, ავგუსტინელნი, თეათინელნი, ეგნატინელნი, ამედეიელნი, კორდელიურნი, კარმელიტნი, ფრანცისკელნი და სხვა წმინდა მამანი, რომელნიცა კესილისა კრებაზედ<sup>1</sup> მიემშურებოდნენ, რათა ჭეშმარიტი რწმენისა დოგმატნი ახალმოვლენილ ერეტიკოსთაგან დაეცვათ. მოიხილა რა ისინი, პანურგი ცასა დაეწია: იფიქრა, ესეგვარი შეხვედრა კარვისა მომასწავებელი ნიშანია არა მარტო ღღესთვის, არამედ ბევრი უახლოესი ღღესთვისაცაო, ამიტომაც პატიოსან მამათ თავაზიანად მიემშვიდობა, თავის სულისა ცხონება იმათ წმინდა ლოცვათ მიანდო და ქვეშევრდომნი დასაქმა, აწვე აღექით და მაგათ ხომალდთა ზედან გადაიტანეთ სამოცდათვრამეტი დუჟინი ფელიკი, ანუ ღორისა უკანა ბარკლისა შაშხი, უდანდარი, ანუ დიდძალი ხიზილალა, ასეულობით დამარილებული კეფალი და ორი ათასი ღუკატი გარდაცვალებულთა სულისა მოსახსენებლადაო.

პანტაგრუელი ამხანობაში დია ჩაფიქრებული და დანალელიანებული ჯდა საკარცხულზედ. უყურა ძმა ეანმა, უყურა და, ბოლოს, დაეკითხა, რა იყო, რა მოგივიდა, რას უნდა მივაწუროთ შენთვის ეგზომ უცხო და უჩვეულო ცუდი გუნება-განწყობალებათ, მაგრამ ზედდატანებაზედ ლოცმანმა თვალი მოჰკრა, ვითარმედ კიჩოზედ აფქო, ანუ საქარე დატრიალდა, და მიხვდა, უცილოდ ოხერი რამ ქარიშხალი და სელგა-ქარშეთი ამოვირგილდება, ამოვარდებაო, მიხვდა და უმაღვე მზადყოფნა გვიბრძანა ყოველთ — უმცროს მატროსთაც, იუნგათაც და ჩვენც, მგზავრთ, თან იმის ბრძანებაც მოაყოლა, რომ ეგრევე აეკეცათ რაერთიც აფრა და იალქანი ფრიალებდა: ფოკ-ანძაზედ თუ ვროტ-ანძაზედ, თვითონ მარსელი, უპირველესი და მთავარი აფრა, ბიზან-ანძაზედ თუ ბუმპრიტზედ, ზედვე დაშვება ბრძანა ბულინთა, დიდ და მცირე სტენვთა, აგრეთვე ბიზან-ანძისა, ქანდარათა ზედან კი ოდენ ნასკვა კიბენი და ვანტნი დატოვეთო.

ანაზდეულად ზღვა აფუვდა, აიქონრა, და აბობოქრდა, თითქოს უფსკრულიდანვე ამოდუდდაო; ადევებულ-ამთავორებულნი ჭრელთავე ტალღანი გემო ჩასანთქმელად აწყლებოდნენ; მძვინკარე გრიგალსა და ქარაშოტში, მომაკვდინებელ ჭარკონტ-შკვალსა და ქარტეხილში არეული მისტრალი ქანდარათა შიგან ახუზუნდა; ცა ჩამოქცევაზედ იყო, ქუხდა, ელავედა, ხან სად გატყვრებოდა ჭექა, ხან სად, ყურთასმენასა ახშობდა გრგვინვა-გრიალი, დედგმა-ღვარსა კოხშინშხალი მოჰყვა; ჰაერმა გამჭვირვალება დაკარგა, თვალშეუკვალი, ყურფუმი და კუნაბუტი გახდა, მხოლოდ ელვა-მეხისა ნაპერწკალნილა თუ აციაგებდნენ ნადელებულ უკუნეთსა; განუწყვეტლივ გვიტევენ კატევიდნი, ტიელნი, ლელაპნი და პრეს-



ტერნი;<sup>2</sup> ჟამ-ამად გარშემო ყველაფე ნათლებოდა ფსოლოენტთა, არგთა, ელიკთა<sup>3</sup> და ნამაშრი ეთერიდან სხვა გამონადენ-გამოჭიატებულ შუქზედ; შემცბარნი და გლახ ზარხლომილნი ვადევნებდით თვალსა, ვითარ თან-თან უფროისად საკრათ-ოლ-საშიშარი ხდებოდა შავდრუბლებდამხობილი, საზარელ ქარბორბალათაგან აღბორგებული, ფაფარაყრილი ზღვა. არ ვიცი, მერწყუნებით არა, ისეთი გრძობა გვექონდა, თითქოს ძველ, პირველ-ჟამინდელ ქაოსსა, შევესწარიო, რომელ ქაოსშიაც ერთად იყო შერწყმული სუყოველი სტიქიჲ: ზეცხელჲ, ქაერი, ზღვა, მიწა.

პანურგი გემბანზედ ჩაცუცქულიყო; სკორემჭამელნი თევზნი თავისი ნასტო-მაქარ-ნაფაშვარ-ნაკუჭარითა გვარიანად რომ დაადლო, ილაჯვაწყვეტილმა, გულ-დამძიმებულმა და თითქმის ცოცხალმკვდარმა ყოველთა წმინდანთ, მამათაც და დედათაც, საიზად უხმო, აღუთქვა, მოუნახიებელსა არცერთ ცოდვასა არ შევირ-ჩენო და, ბოლოს, თავზარდაცემულმა ცა ვახვრიტა, ისეგვარად შეჰყვირა:

— ჰეი, მზარეულო, ძმაკაცო, მამაჩემო, ბიძაჩემო, მიდი, მარილიანი რამ მოიტა! ვატყობ, ძალე კარგა მაგარი ყლაპვა მოგვიწვეს. ცოტა ჭამა და ბლომად ღლევა დღეიდან ჩემი ღვევი იქნება. სხვას არცრასა ვინატრებდი, ნეტავი ერთი უფალმა ღმერთმა და ყოველადწმინდა, მარადისკურთხეულმა ღვთისმშობელმა აწ-ვე, აწვე კი არა, ამწუთასვე მყარზედ დამადგმევისონ ფეხი, ოჰ, რას ამოვისუნთ-ქავდი!

ო, სამგზის, ოთხგზის ნეტარნი არიან ყოველნი, ვისაც კომბოსტო მოჰყავს! ო, პარკნო, რა იქნებოდა, რა მოხდებოდა, ისე დაგერთათ ჩემი ბედ-იღბალი, მე-კომბოსტოე გამოგეყვანეთ! ო, რა მცირედნი არიან ისინი, იუპიტერმა კომბოსტოს მოყვანა რომ არგუნა წილად! იმათ ერთი ფეხი მიწყვი მიწაზედ უდგათ და მეორეცა იქვე აქვთ იგვრდივ. რაერთიც კაცია, იმდენი აზრია ბედისა მქონებლობა-ზედ და სვიანობაზედ, ჩემის გაგებითა კი, ყოველისა უფროისად ბედსვიანი ის არის, ვინცა ვინ მეკომბოსტოეობას მისდევს, და მე ბევრად მართალი ვარ, ვინემ პირონი, რომელმან მსგავსი საშიშროებისა ჟამსა ნაპირზედ ბურვაკი დაინახა, ძირსა დაპნულ ქერსა რომ ჭამდა, და ყველაზედ ბედსვიანდ ის მიიჩნია, ჯერეთ ერთი, იმიტომ, ქერი თავზედ საყრელი აქვსო, მეორეც, იმიტომ, მიწაზედ დგასო.

ოჰ, ნეტავ, კიდევ მოვესწრებოდე ხმელეთსა, თავსა დავაღწევდე ამა ელეო-მელეთსა! ღმერთო, მაცხოვარო, ვენაცვალე შენსა ძალასა, ეს ჭრელთავე ტალღა ნამდვილად წაკვლევას! ხალხი არა ხართ, ცოტა ციხისა ძმარი მოიტათ! შიშისა ოფლი მასხამს, გასაწური ვარ. ვაი, ვაი! რაერთიც გვარლი იყო, სულ დაწვდა. არცარა საცხვირე ბაგირისგან დარჩა რამე, სუყოველა კოუში დატყდა და დაიგრი-ხა, ბრამ-სტენგა ზღვაში ცურავს, წყ-ლქვეშა ნაწილი უკვე პირდაპირ მზისკენ იყურება, ღუხისა ბაგირნიც თითქმის მილად დაიგლიჯა. ვაი, ვაი, ჩვენთა ბუ-ლინთ რაღა მოუვიდა? დედა გვეტირა, დედა! ფოკ-ანბა წყალშია ჩაუარდნილი. ვაი, ვაი, ნეტავი ვის დარჩება ეს ნამუსრეეა? გამიშვით, მოაჯირსა უნდა ამო-ვეუფარო! ბიჭებო, ფარანი ჩამოვარდა! ღმერთო ჩემო, ხელიდან არ გაუშვათ არცა რუმპელი, არცა ტალები! რაღაც საჭე-ხერვალი ცუდად ჭრიალებს, ხო არ გა-დაიმტერა? ღვთისა გულისთვის, ბრუკი გადაარჩინეთ, ბეიფუტი ჯანდაბას! ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ! ვარსკვლავთმრიცხველი! დახედე ერთი მაგ შენსა კომპასსა, ჩვენებუ-რად ფურუსულსა, საიდან უბერავს ეს ოხერი დევქარია თუ ქარიშხალი? ისე ვარ შედრეკილ-შეშინებული, ცოტაც და გავვიფლები! ბუ-ბუ-ბუ-ბუ-ბუ! დადგა ჩემი აღსასრულისა დღე! ის კი არა, შიშითა ჩავისვარე და ჩავისველე კიდევ. ბა-ბა-ბა-ბუ-ბუ-ბუ! უჰ-უჰ-უჰ! ბუ-ბუ-ბუ-ბუ! ვიხრჩობი, ვიხრჩობი, ვიხრჩობი, სუ-ლი ამომდის! ხალხი არა ხართ, ვიხრჩობი-მეთქი!



თავი XIX

პითარ იძვროდნენ ქარიშხლისა ჟამსა  
პანურბი და ძმა ჟანი



პანტაგრუელმა შემწედ მაცხოვარსა უხმო და ხმამაღლა უმხუტველედ და გულმოდგინედ ილოცა, შემდგომ კი, ვითარ ლოცმანმან მსახრომს, სიხარულით მოიქცა: ორივე ხელი შეუბიჯგა ნაქვს-ანძასა, არ წაიქცესო. ქურთუკისა ამარა დარჩენილი ძმა ჟანი ბოლოთკერძოს, ანუ კიჩოს მოსამსახურე მატროსთა მისაშველებლად გაეჩქარა. ეპისტემონმა, პონოკრატემ და სხვათ იმის მაგალითსა მიბაძეს, ერთი ოდენ პანურბი ჯდა კუტსაებ გემბანზედ და კოკოცებდა, ტირილითა გოდებდა, დრტვინავდა. ძმა ჟანმა, მენიხბეთათვის გამართულ ყვერნა-ორმით, ანუ მერხთ რომ ჩაუარა, თვალი შეასწრო და შეუძახა:

— ჰაი, შე ბოჩოლაჲ, შე ზღუქუნავ და სლუკუნავ შენა! ღვთისა მადლმან, ნამდვილად გიჯობს, რომა ადგე და ხელი წაგვაშველო, ვიდრე ეგრე საკუთარ ყვერთა ზედა ჯდე, ვითარცა მაიმუნნი, და ძროხასაებ ბლაოდე.

— ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ! — თრთოლა-ბაბანიითა მიუგო პანურბმა. — ძმაო ჟან, ჩემო მეგობარო კაცო, ჩემო ღვიძლო ძამაო, ვიხრჩობი, ვიხრჩობი, გაიგე, ვიხრჩობი! მორჩა, დაღუპული ვარ, ჩემო სულიერო ძამაო, ჩემო მეგობარო კაცო! შენა მახვილი ვედარ მიშველის. ვაი ჩვენს თავსა, ვაი! მთელი გამა უკვე გავიარეთ, ზედა „დო“ ზევით დარჩა. ბა-ბა-ბა-ბუ-ბუ! ვაი ჩვენს თავსა, ვაი! აწ უკვე ქვედა „დო“-ს ქვევითა ვართ. ვიხრჩობი! ძამაო ჩემო, ბიძავ ჩემო, ჩემო ძვირფასო კაცო! წყალი საყვლოდან ფეხსაცმელში ჩამივიდა. ბა-ბა-ბა, უჰ-უჰ-უჰ-უჰ-უჰ! ბა-ბა-ბა-ბა, აუჰ-აუჰ!.. ვაი, ვაი! აწ ზედგამოჭრილი ორყვეფერი ვარ, ორკაპი, ორტოტი ხე: ფერხნი მალლა მაქვს, თავი დაბლა. ოჰ, ერთი ღმერთსა იმა ღირს და ნეტარ მეკრებე ძამათა ხომალდზედ გადავეყვანე, რომელთაც ამა დილითა შევხვდით, — მერე რა ღვთისმოსაენი არიან, რა ნაპატივარნი, რა მხიარულნი, რა გულთბილნი, რა მოსიყვარულენი! ვაგლახ, ვაგლახ, ვაგლახ, ვაი, ვაი! ეს ეშმაკეული ტალლა (mea culpa, Deus!)\*, ღვთისნიერი ტალლა-მეთქი, უნდა მეთქვა, ზედ გადაუვლის ჩვენსა ხომალდსა! ვაი შენ, ჩემო თავო! ძმაო ჟან, ძამაო ჩემო, მეგობარო კაცო, მოდი აღსარება მათქმევინე! ხო მიყურებ, დაჩოქილი ვარ! Confiteor!\*\* დამამწყვალობნე!

— ჰაი, შე ეშმაკისა დაგდებულო! ადე, მოგვეშველე, ადე, ოცდაათ ლეგიონ ეშმაკსამც უხმარიხარ!.. ჰა, რაღას უყურებ?

— ძამაო ჩემო, ჩემო მეგობარო კაცო, დასტურ სცოდავ, ესეგვარ ჟამსა პირსა რომ იმყრალებ! — მიუთხრო პანურბმა. — დაიცა, გათენდება და ხვალ რამდენიც ვინდა, იმდენი იავსიტყვე, იგინე და ილანძღე. ვაი ჩვენს თავსა, ვაგლახ, ვაი! წყალი ზედ ამოვიდა. ვიხრჩობი! ვაი, ვაი! ბა-ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ-ბუ! უკვე ფსკერზედა ვართ! ვაი ჩვენს თავსა, ვაი! ჩემგან წლიურ შემოსავლად მილიონ რვაას ათასსა ვპირდები, ვინცავინ ეგრევე გადამიყვანს ხმელეთზედ ჩასვრილ-ჩასველებულსა, ოღონდ ესევითარი კაცი თურომ მოიძებნა ჩემსა აფუნებულ ქვეყანაში. Confiteor! ვაი! სხვას არცრასა გთხოვ, სულ მოკლე ანდერძი რამ შემადგენინე, გინდ ერთი მუხლი.

— ათასი ქაჯიმც ჩასძრომიან სტომაქში ამა რქაბმულსა! — იყვირა ძმა

\* ცოდვილი ვარ, ღმერთო (ლათ.).

\*\* ვინანიებ (ლათ.).



ჟანმა. — ღმერთმა დაგვიფაროს! ხო ხედავ, ვიღუპებით, თურომ არ ვიფიჩალები, არცრა გვეშველება, შენ კი ანდერძულ მელაპარაკები? მოდიხარ თუ არა, შე ეშ-მაკისა კერძი? გაღერათა მეუფროსევე, ძვირფასო, ნაეკოსალარისა, თანაშემ-წევ, კარგო კაცო, აქ მოდიო, გენაცვალეთ, აქა! გიმნასტო, შენცა აქერ მოდექი, ესტანტეროლზედ! ჩვენი საქმე წასულია. ფარანიც ჩაქრა. აწლა ყველაყასა წყალი წაიღებს.

— ვაი ჩვენს თავსა, ვაგლახ, ვაგლახ! — იცინებოდა <sup>ერქუნული</sup> ბუ-ბუ-ბუ! ვაგლახ, ვაგლახ, ნუთუ სუყოველნი უნდა დავიღუპოთ? ვაიმე, კეთილო ხალხო, ვიხრჩობი, სული ამომდის. Consummatum est.\* ჩემი აღსასრული და-დვა!

— დაბ-ღურო, დონდ-ლოე! — მიუთხრო ძმა ჟანმა. — ფუ, შენი დანახვაც არ მინდა, ძაღლისა ძჩორევე ვაგლახიანო! ჰეი, იუნგავ, გაუფროთხილდი, ბიჭო, მაგ ტუმბოსა! რა იყო, ხო არაფერი დაიშავე? ღმერთო დიდებულო! ღუზისა ბი-ტენგს მიაბი! ემანდ, ემანდ, ეშმაკმა დალაზვროს! ეგრე, ეგრე, ბიჭო, ეგრე!

— აჰ, ძმაო ჟან, ჩემო სულიერო ძამაო, ჩემო მეგობარო კაცო, ნუ ივინები! — შეჰყვირა პანურგმა. — ნუ სცოდავ. ვაი ჩემს თავსა, ვაი! ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ! ვი-ხრჩობი, ხალხო, სული ამომდის! ყველასთვის ყველაფერი მიპატიებია. კარგად შეყოლეთ! In manus... ბუ-ბუ-ბუ-უ-უ-უ! წმინდაო მიქაელ ორელო და მღვდელ-მთავარო ნიკოლოზ! უკანასკნელად გიხმობთ! აღვითქვამთ თქვენცა და უფალსა ღმერთსა ჩვერსა: უკეთუ ხელსა აღმიპყრობთ, ესე იგი ამა უბედურებასა გადამა-რჩენთ და ხმელეთსა ზედა გამიყვანთ, ერთ კობტა უდანდარ კოკროჭინა კაპელა-სა ავიგებთ, ან ეგებ ორსაც,

სად მონხთრო და კანდია,  
სად ნახირნი არ დადიან.

ვაი ჩემს თავსა, ვაი! თურამეტ კოკაზედ მეტი წყალი ვყლაპე. ბა-ბა-ბა-ბა! მერე ახლა რა მწარეა, რა მწუთხე!

— სისხლსა, ხორცსა, მუცელსა და თავსა ვფიცავ, — მიუთხრო ძმა ჟან-მა, — მაგ წუწუნსა თუ არ მორჩები, თავსა შენსა ზღვის მგელსა შევაპატიებ. ან აქამომდე რად არ გადავაგდეთ გემიდან ეს ოხერი? აბა, მენიხბევ, ვაჟკაცო, მიდი, მიაწე ერთი! ეგრე, ეგრე, ყოჩაღ! ჰეი, მანდ მალლა, გამაგრდით! ოჰო-ჰო! რა გაიელვა, რა დაიქუხა! ან სუყველა ეშმაკმა ერთად აიწყვიტა, ანდა პროზერ-პინა მშობიარობს, მუხლსა იყრის. ჯოჯოხეთსა შინა საერთო ფერხულია ჩაბ-მული.

## თავი XX

### ვითარ დაუთმვეს მატროსთ ბედისა პანაბარად სომალდნი მძვინვარე ქარიშხალში

— ერიჰაა! — შეჰყვირა პანურგმა. — სცოდავ, ძმაო ჟან, მეგობარყოფილი ჩემო! ყოფილო-მეთქი, იმად დავაყოლე, რაკი ამჟამად შენცა არარა ხარ და მეცა-გული არ მიშვებს, რომ გაგაჩერო: ვკონებ, ვინება-განხასრვა ღია რგებს შენსა ტყირპსა; ზუსტად ეგრევე შეშისა მჭრელი დიდსა შეებასა გრძნობს, უკეთუ იქ-

\* მორჩა, აღსრულდა (ლათ.). ჯვარზე გაკრული იესოს ბოლო სიტყვა.



ავ ახლოსრე ვინმე დგას და ყოველი დარტყმისას „ჩახ!“-სა გაიძახის; და ზუსტად ეგრევე ეშვება გულსა კეგლისა მოთამაშესა, უკეთუ ვინმე საზრიანა კაცი ხელავს რა, რომ ქოგური, ანუ ხისა ბურთი, მიზნისკენ არ მიგორავს, თავსა დახრის და მთელი ტანითა იმა მხარესა მიბრუნდება, საითაც რომ მარჯვედ ვაკორებული ქოგური კეგლთ უცილობლად წააქცევდა. რა ბევრი გაეაგრძელო, სცოდავ, ჩენო საყვარელო მეგობარო კაცო. რა იქნებოდა, რომ ავმდგარიც ვინმე მცირედი კაბირული რამ შეგვეჭამა, — იქნება სულაც იმას გადაჭრისწინა ქუხილისგან? წამიკითხავს, ზღვაში ქარიშხლისა ჟამსა არცროდის უშიშნეულიათ და მიწვივ სამშვიდობოსა გრძნობდნენ თავსა ორფევის, აპოლონის, ფერეკიდეს, სტრაბონის, პავსანიას და ჰეროდოტეს მიერ ქება-აზმაშესხმულ კაბირთა! ქურუმნი.

— ვაი ამის თავსა! რასა ჩმახავს, თავადაც არ იცის ამა ეშმაკისა კერძმა! — წართქვა ძმა ჟანმა. — უშქარმა, უშტმა და უშტისა უშტმა ეშმაკმა დალახვრის ეს ეშმაკეული რქაბმული, ესა! ჰეი, სრელ-სრელიანო, ზოლიანო ეეუხეო, ადგ, ხელი წაგვახმარე. ადგები თუ არა? ყველანი ბაკბორტზედ! ნეტავი მაცოლინა, რა მაიმუნურ ლოცვათ ჯუჯღუნებ? წელან სწორედ ამა ეშმაკეულ ვაი-მეზღვაურსა უყივლა ენამ, ქარიშხალი ამოვარდებო, და აწ მთელ გემზედ ეს ერთია, ვინაც დანარჩენთ არ გვეშველება. იცოდე, ეგრე ერთ ადგილას თუ იჯექი და საჩვენო ზელი არ გამოიდე, როგორაც თავად ქარიშხლისა თუ დელვადგომილისა დემონი, ისე ვაგისწორდება. აქეთ, იუნგა, აქეთ, საყვარელო! მაგრად გეჭიროს, აწვე გამოვკვანძავ ბერძნულ მარყუჟსა! ოჰ, რა კარგი ბიჭი ხარ! ღმერთმა ქნას, აბა-ტიმც გამხდარიყავა ტალემუხსა შინა, ხოლო ვინაც იქ დღესა წინამძღვარია, კრულვილი კრულში გადაეყვანოთ! პონოკრატე, ძმაო, ფროთხილად იყავი, არა-ფერი დაიშავო! ეპისტემონ! მანდაურობასა მომორდი, ჩემი თვალითა დავინახე, ვითარ დაეცა მეხი მაგ ადგილსა.

— ნიჩბე მხიარულად!

— ჩინებული ნათქვამია! მხიარულად, მხიარულად, მხიარულად! კანჯონი მზად იქონიე! მხიარულად! ღმერთო გულმოწყალე, ამას რასა ვხედავ? ცხვირი მთლად დანაფოტებულია! რას იზამ, აჭაჭუნეთ, ეშმაკნო, აჭაჭუნეთ, არცა ქვეშეთ ბერვა დაიკლოთ! მიმიჭურთხებია მაგ ჭრულთავა ტალღისთვის. მადლობა ღმერთსა, ვერ ამლოკა. აგრე მგონია, რაც ქვეყანაზედ ეშმაკია, სულ კაპიტულზედ მოგროვალან, ანდა ახალი რექტორისა არჩევნებზედ ყაყანებენ.

— ბაკბორტზედ!

— ჩინებული ნათქვამია! ჰეი, იუნგა! მიდი ჭოჭონაქი უფრო მალლა ასწი! ჯაახიმალლე! ბაკბორტზედ, ბაკბორტზედ!

— ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ! — კბილთ აკაწკაწებდა პანურგი. — ბუ-ბუ, ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ, ვიხრჩობი! არდა ჩანს არცა ცა, არცა მიწა. ვაი ჩვენს თავსა, ვაი ოთხთა სტიქიისგან აქა ოდენ ორილა დარჩა: ცეცხლი და წყალი. ბუ-ბუ-ბუ, ბა-ბა! ეჰ, ერთი უფალსა ჩვენსა მოწყალესა ავეყვანე და სადმე სეს შინა დავესვი, პირდაპირ ვენახში, ანდა შინონში, მეღვეზელე ინოკენტისთან, ჯანდაბას, მკლავთ დავიკაპიწებდი და მეღვეზელეობასა მივეყოფდი ხელსა! გალერათა მეუფროსის თანაშემწე! ახლომახლო ხმელეთზედ ვერ გადამაგლებდი? მერედა, რამდენი რამ კარგი მსმენია შენზედ! ჩემსა სამადოსა ეგრევე შეგძღვნიდი და საერთოდ მთელ ჩემსა სალოკაკინეთსა ზედვე მოვაყოლებდი, უკეთუ შენი ხერხიანობისა წყალობითა მყარ მიწაზედ დამადგმევიინებდი ფეხსა. ვაი ჩემს თავსა, ვაი, ვიხრჩობი! ქური დამიგდეთ, მეგობარო ხალხო! თუ რომ წყნარ ნაცსაყუდელსა რასმე ვერა და ვერ მივადექით, სადაც მოგვხვდება, იქ დაუღვეთ რეიდზედ. ღუზანი ჩაუ-



შეით. ხიფათსა ავარიდოთ თავი, გემუდარებით! უფალო მეუფროსევი! თუ კაცი ხარ, ჩაუშვი თოკი და ლოტი! სიღრმე გავზომოთ, დავასვინაღროთ! უფალო მეუფროსევი, მეგობარო კაცი! დამბადებლისა გულისთვის. ნუ დამზარდები! გავივით ერთი, აქა დგომელა, წაუკუზავად შეიძლება თუ არა დღევა. ამა ამბისა გამო მე ჩემი საკუთარი აზრი მაქვს.

— ქანდარა ძირს, ჰეი! ქანდარა ძირს! — დაიყვირა ლეკვანძულები დასწითოვსა! ქანდარა დაუშვი! ქანდარა დაუშვი-მეთქი, იალქანთ გვაუფროსნენ! პალსნი უფრო დაბლა, უფრო ქვევით, ჰეი! ქანდარა დაუშვი, რამდენჯერ უნდა გიბრია, კუმ-ტალდა ცხვირსა გააპობინე! რუმპელი ამოიღე! დრეიფზედ დადექი!

— სადა ვართ? — იკითხა პანტაგრუელმა. — ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, აღვიპყარ ხელი!

— დრეიფზედ დადექი, ჰეი! — განკარგულება მოახდინა უფროსმა ლოცმანმა ჟამე ბრაიემ. — დრეიფზედ დადექი! სუყოველმა კაცმა თავის სულზედ იფიქროს, ილოცოს, სასწაულისა იმედი არ მოიძალოს!

— ღვთისა წინაშე ერთი კარგი რამ საზეიმო აღთქმა დავდოთ! — წართქვა პანურგმა. — ვაგლახ, ვაგლახ, ვაგლახ, ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ-ბა-ბა-ბა! ვაი ჩვენს თავსა! ერთი ვინმე ჩვენგანი სალოცავად გავვზავნოთ! წუწურაქობასა მოუკვდა პატრონი, ცოტა-ცოტა სუყველა ჩამოვიდეთ. აბა, როგორ გინდათ!

— ჰეი, იქით, იქით, ეშმაკმა ამოგხადოთ სული! — შეჰყვირა ძმა ჟანმა. — ჰეი! დრეიფზედ დადექი, დრეიფზედ დადექი! ჰა, მოდი, ჩაეღლიოთ! ოღონდ ყოველისა უკეთესი, რაც კი მოიპოვება, კუჭისა მარგებელი. ჰეი, მზარეულო, მესაჭმელევი, გვეურება? მალე ქენი! სულ ერთია, მაინც წყალმა უნდა წაიღოს. ჰეი, პაჟო! მოიტა აქა ის ჩემი პირიდან სასაქმებელი! (აგრე უხმობდა ის თავის კონდაკსა, ანუ წირვისა წიგნსა) დაიცა! საცობნი დაადრე, ძმაილაკ, აი, ეგრე! ღმერთო, შენი სახელისა ჭირიმე! აუ, რა სეტყვაა, აუ რას ელავს! ჰეი, მანდ, ზევით, ვინა ხართ? გამაგრდით, კაცნი არა ხართ! ყოველთა წმინდანთა დღესასწაული როდისა გვაქვს? ამხელად, ჩემისა ფიქრით, დღედათვილითა სასწაული დღე და ჯანდაბა უფრო გვაქვს, თანაც ყოველთა წმინდანთა კი არა, ყოველთა ეშმაკთა.

— ვაი, ვაი, ვაი! — იხმამაღლა პანურგმა. — ძმა ჟანი ტყუილუბრალოდ იღუპავს სულსა, მერე რა მეგობარსა ვკარგავ! ვაი ჩვენსა თავსა, ვაგლახ, სულ უარ და უარ დღეში ვართ. ვაგლახ ჩემსა თავსა, ვიხრჩობი! Confiteor! ძმაო ჟან, ძმაო ჩემო! ოდენ ერთი სიტყვა მათქმევინე ანდერძისა მაგიერად! უფალო კვიტენსენციისა გამომხდელი, ოჩხუმო ჩემო, აქატევ ჩემო! ქსენომან, ძვირფასო! ვაი, ვაი, ვიხრჩობი, ორიოდ სიტყვასა გთხოვ ანდერძისა მაგიერად! აი, აქავ, ამა ჭილობსა ზედა!

## თავი XXI

### ქარიშხლისა გაბრძელება და მოკლე საუბარი ზღვაში შედგენილ ანდერძთა გამო

— ანდერძისა შედგენა ესეგვარ ჟამსა, — წართქვა ეპისტემონმა, — ოდეს ძალ-ღონისა მოკრება გემართებს, რათა გემი დაღუპვასა გადავარჩინოთ, ძალზედ უადვილო და უდროისო საქმედ მეჩვენება, და კეისრისა ლეგიონერთ და გამორჩეულ პირთ მაგონებს, რომელთაც გალიაში შესვლისა შემდგომ ანდერძთა



შედგენა დაიწყეს ათასგვარი რამ მინაწერითა, თანაც კიდევ უკლებლივ სუფველანი ბედსა ემდუროდნენ და ცილთაგან და რომაელ მეგობართაგან განშორებასა თვალაცრემლებულნი ჩიოდნენ; იმის მაგივრად, რომ ხელთ საჭურველი მოევარგებინათ და რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ, თავიანთი მოწინააღმდეგე არივისტუსი გაენადგურებინათ. ამდაგვარივე სისულელე დაემართა იმა მეფორნესაც, მინდორში მძიმედ დადებული ფორანი რომ გადაუბრუნდა და თვითონ კი არ იღონა რამე თავის თავის საშველად, თვითონვე კი არ განმტკიცებულა ხელი, ჰერკულესს უხმო მეოხედ. აბა ანდერძმა რა უნდა გიყოს? რა დიდი გამოცნობა უნდა: ან გადავრჩებით, ან ჩავიძირებით. თუ გადავრჩით, ის ქალაღი მაინც არაფერში გამოგადგება. ანდერძი ნამდვილია და ოდენ იმა შემთხვევაში აქვს ძალა, თუ მოანდერძე მოკვდა. თუ ჩავიძირეთ, შენსა ანდერძნამაგსაც იგივე მოუვა. ვინ მიუტანს მაშინ ანდერძსა აღმსრულებელსა?

— რომელიმე კეთილი ტალღა გარიყავს ნაპირზედ, ვითარცა ოდისევსსა, — მიუგო პანურგმა, — ვინმე მეფისა ასული, წყნარ ამინდში ზღვის პირსა მოსეირნე, იპოვის, წმინდად აღასრულებს ჩემსა უკანასკნელ ნება-სურვილსა და ნაპირზედ დამიდგამს ძეგლსა,<sup>1</sup> თავისი სიდიდითა სულაც არა იმაზედ ნაკლებსა, დიდომ რომ დაუდგა თავის თანამეცხედრუსა და უღელტოლსა სიქევსს; ენეასმა — დეიფობუსს, ტროას პირას, რეტას ახლოისად; ანდრომაქემ — ჰექტორს, ქალაქ ბუტროტში; არისტოტელემ — ჰერმინუსა და ვებულეს; ათენელთ — პოეტ ვერიპიდეს; რომაელთ — დრუზუსსა გერმანიაში და ალექსანდრე სევერუსსა, თავიანთ იმპერატორსა, გალიაში; არიფროპლასტისმა — კალაკოქროსს; ქსენოკრიტემ — ლისიდიკეს; ტიმარემ — თავის ძესა ტელევთაგორეს; ევბოლიდემ და არისტოლიდემ — თავიანთ ძესა ტეოთიმეს; ონესტემ — თიმოკლეს; კალიმაქემ — სოფოლიდეს, დიოკლიდეს სამოძირო ძესა; კატულუსმა — თავის ძმასა; სტატიუსმა — თავის ძმასა, ხოლო ფერმენ დე ბრიმ — ერვეს, ბრეტონელ მესაჭესა.<sup>2</sup>

— რასა ატრაკუნებ? — შეუფვირა ძმა ჟანმა. — ხელი აღგვიპყარ, ხუთასმა მილიონმა ეშმაკმაც გაგგლიჯოს, მოგვეშველე, შე უღვაშდასაცვივნო, ვაი რა ტყუილად გაცვია ეგ ახალსაბიძლიანი შარვალი! გემი გვეღუბება, შე ყარყუმო, შენა! ღმერთო დიდებულო; იქნებ როგორმე გადაგვარჩენინო! რაც ზღვისა ეშმაკია, სულ აქ შეუკრავთ ქოჩი! არა მგონია, რომ ამა უბედურებასა თავი დავაღწიოთ.

აქა პანტაგრუელის შესაბრალისი ხმა გაისმა.<sup>13</sup>

— ღმერთო გვიშველე! ვიღუპებით! ჯანდაბას წადილი ჩვენი, დაე აღსრულდეს შენი წმინდა ნება.

— ჩვენთან არს ღმერთი და ყოვლად უწმინდესი ქალწული! — შესძახა პანურგმა. — ვაი ჩემს თავსა, ვაი, ვიხრჩობი! ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ, In manus! ღმერთო სამართლიანო! ნახე, ერთი დელფინი გამომიგზავნე, რომ ხმელეთზედ გადამიყვანოს, ვითარცა ბიჭუნა არიონი! მშვენიერად ავახშიანებ ქნარსა, უკეთუ მთელია!

— ეშმაკმა მინაცვალოს, — წართქვა ძმა ჟანმა („ჩვენთან არს ღმერთი!“ — წაიდუღუნა პანურგმა), — თუ აწვე მანდ არ ჩამოვიდუ და ცხადად არ დავიმტკიცო, რომ ეგ შენნი ყვერნი, რქიან, რქოსან, რქაბმულ ბოჩილასა ჰკიდია გავაზედ! მუ-უ, მუ-უ, მუ-უ! მოდი, მოგვეშველე, შე აზმუველებულო მოზვერო, ოცდაათი მილიონი ეშმაკიმც ჩავიძვრეს მაგ ყრონტში! ჰა, მოდიხარ თუ არა, შე წელმოწვეტილო? ფუ, მართლა სატირლად გაჩენილო!

— შენგან მეტს არცრას გაიგონებს კაცი.

— აბა, მომიტათ ჩემი საყვარელი სასაქმებელი — უკულმა უნდა გავუსვა



სავარცხელი, ბოლოდან უნდა წავიკითხო. Beatus vir qui non abiit\*... ეს ზეპირად ვუწვი. მღვდელმთავარ ნიკოლოზისა ცხოვრებასა მივმართოთ...

Horrida tempestas montem turbavit acutum.\*\*

„ღვთის რისხვად“ უხმობდნენ მონტეგიუს კოლეჯში სქოლარ-შეგირდთა ერთ დიდ მწკეპლავსა. უკეთუ მოძღვართ, საწყალ ყრმათა, უდანუჭაუდოე უბრალოეულო შეგირდთა მწკეპლაეთ, მარადიული ტანჯვა და ჯაჯა აქეთ დასწყევლეთ მამინ, აბა, პატიოსნებისა მადლმან, ის ნამდვილად ოქსიონის ბორბალზედ არის მიბმული და კუნდა ფინიას შოლტავს, რა არი მან უფრო ციმციმ ატრიალოს იგი; ხოლო უკეთუ უბრალოეულო-უდანაშაულო ბაღლთა გაწკეპისთვის ოსტატ-მწვრთნელთ მარადიული ნეტარება ელით, დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, რომ ის აწ ცხრაგზის უმეტესად ნეტარებს...

## თავი XXII

### ქარიშხლისა დასასრული

— დედამიწა! დედამიწა! — შეჰყვირა პანტაგრულმა. — დედამიწასა ვხედავ! გული არ გაიტეხით, ძმანო! ნავსაყუდელთან ახლოსა ვართ! ვხედავ, ჩრდილოეთით ცა მოიწმინდა. სიროკოსა გრძნობთ?

— ყოჩაღად, ბიჭებო, ქარი ჩადგა! — დაიყვირა ლოცმანმა. — დიდ სტენგას მიხედე! მხიარულად, მხიარულად! გროტ-ნაქვს-ანძისა ბულინთ უმარჯვე! აბა, ჰე, კაბესტანის ბაგირი დასწი! ატრიალე, ატრიალე, ატრიალე! ფალსა ხელი არ გაუშვა! მხიარულად, მხიარულად, მხიარულად! რუმპელი გაასწორე! ლოპარი მაგრა გეჭიროს! თავკავნი მზადა გქონდეს! შკოტნიც მზად იქონიე! ბულინთაც გამზადება უნდა! ჰალსნი ბაკბორტზედ დაჭიმე! რუმპელი ქარსა უმარჯვე! შტირბორტისა შკოტსა გასწი, შე ძაღლისა შვილი!

— აწ ხო გაიგე, ეისი შვილიცა ყოფილხარ, კარგო კაცი, — გააგონა მატროსსა ძმა ჟანმა.

— ბეიდევინდით იარე! ყველა აფრა გაშალე! რუმპელი ზევითკენ!

— არის რუმპელი ზევითკენ! — გაეპასუხნენ მატროსნი.

— გზა შეამოკლე! ცხვირითა რეიდისკენ! ჰეი, კრენგელსნი! ლასელები გამართე! მხიარულად, მხიარულად!

— ჩინებული ნათქვამი და მოგონებაა, — შენიშნა ძმა ჟანმა. აბა ჰე, აბა ჰე, აბა ჰე, ბიჭებო, ცოცხლად! ეგრე! მხიარულად, მხიარულად!

— შტირბორტზედ!

— ჩინებული ნათქვამი და მოგონებაა. ჩემისა ჭკუით, ჭეკა-ჭუხილი ატყდო-

\* ნეტარ არს კაცი, რომელიც არ მისდევს [უღმრთოთა რჩევასა]... (ლათ.).

\*\* რისხვად დაატყდა ქარიშხალი წვეტიან მთასა (ლათ.). ამ სტრიქონით იწყებოდა ლექსი, რომელშიც მონტეგიუს (სიტყვასიტყვით: წვერწვეტა, წვეტიანი მთის) კოლეჯის მოწაფენი თავს ეხმობდნენ თავიანთ სასტიკ და მრისხანე თეოლოგ პროფესორს, პიერ ტამპეტს (სიტყვასიტყვით: ქარიშხალს, ღვთის რისხვას), რომელიც გაწკეპულისა და გაჯოხვა-გაშოლტვის თავგამოდებული მომხრე იყო.



მითაც დროულად ატყდა და დასრულებითაც დროულად დასრულდა. დიდება შენ-  
და, ღმერთო! ეშმაკნი ჩამოგვრჩნენ.

— მოაბოშე!

— ჩინებული ნათქვამია, საქმისა სრული ცოდნით. მოაბოშე, შობოშე! ძვირ-  
ფასო პონოკრატი! ღვთისა გულისთვის, აქეთ წამოდი, დაუშრობელი მსიძავო!  
ესა ძხეთი ოხერია, სულ ბიჭთ მოამრავლებს! საყვარელუ, ექსტენსი, მცირე სტენ-  
გასთან მიდი!

ბიზლიქოშეკა

— მხიარულად, მხიარულადა!

— ჩინებული ნათქვამია! მხიარულად, მხიარულად! ღვთისა გულისთვის, მხი-  
არულად!

— მთავარი მტრობა კი არა, ძმობაა: დღესა შობაა, შობაა, შობაა!

— მომწონს ეგ თქმული კელევი,<sup>2</sup> მესათხოება. — წართქვა ეპისტემონმა. —  
ამხელად ზედგამოჭრილია, აწ აკი მართლაც დღესასწაულია.

— მხიარულად, მხიარულად! კარგია!

— ყოველთ ვიბრძანებთ იმედოვნებას! — იყვირა ეპისტემონმა. — მარჯვნივ  
კასტორის ვარსკვლავი გამოჩნდა.<sup>3</sup>

— ბა-ბა-ბა, ბუ-ბუ-ბუ, — აბუტბუტდა პანურგი. — ვშიშნეულობ, ვაითუ კა-  
სტორი კი არა, კახპა ელენეა.

— ეგა ნამდვილად მიქსარჰაგეტია, ვითარცა არგიველნი უხმობენ. ვგონებ,  
სახელი ესე უფრორე მოგეწონოს. — მიუთხრო ეპისტემონმა. — ჰეჰეე, ჰეჰეი,  
ღელამიწასა ვხედავ, ნავსაყუდელსა ვხედავ, ნავსადგურში თავმოყრილსა ხალხსა  
ვხედავ! შუქურისა სინათლესა ვხედავ!

— ჰეი, ჰეი! — შეჰყვირა ლოცმანმა. — მოლოსა და თავთხელს შემოუარე!

— არის! — გაუპასუხნენ მატროსნი.

— ესეც ესე, — წართქვა ლოცმანმა. — სადარაჯო ხომალდნი გამოუგზავნიათ  
სვენდა შესახვედრად, დახმარებამ დროზედ მოგვისწრო.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა ზუსტად ნათქვამია! — შესძახა პანურგმა. — ოქროს  
სიტყვებია.

— მუ-მუ-მუუ! — მიუთხრო ძმა ჟანმა. — უკეთუ ჩემსა ღვინოსა გემოს გა-  
უსინჯავ, თუნდაც ერთ წვეთსა, მერმეთ მე ეშმაკმა დამიგემოვნოს, გეფურება, ეშ-  
მაკისა ნაბუშარო? უფალო მეუფროსეე, ნაკვალალო! აჰა, პირთამდე სავსე,  
პილთუმი ჭაშაკ-თასი, ამისთანა ღვინო ალბათ არცა დაგილევია. ჰეი, გიმნას-  
ტო! მიდი, ერთი ხელადა კიდევ მოიტა, თან ცოტა ღორი და მისაჭმელი რამ  
მოაყოლე. თღონდ გზამი ფეხი არაფერსა წამოჰკრა.

— გამაგრდით, ძმანო, გული გაიმაგრეთ! — ხაფად შეჰყვირა პანტაგრუელ-  
მა. — ძალ-ღონე მოიკრიბეთ! აგერ, ჩვენსა ხომალდსა ზედ მოადგნენ ორი ნავი,  
სამი მომცრო რაუბარჯი, ხუთი შიპი,<sup>4</sup> რვა კაპერი, ოთხი გონდოლა და ექვსი ც-  
ფრეკატი. აიმ ახლო კუნძულისა კეთილ კაცთ ჩვენდა მეოხებად მოუვლენიათ.  
ვარნა ეს უკალევონინ<sup>5</sup> ვინ არის, მიწყვიე აგრე რომ ვალალებს და სასოწარკვეთი-  
ლია? განა მე ერთსა კაცსა უფრორე მაგრად და უფრორე სწორედ არ მიჭირავს  
ანმა, ვიდრე ორას ბაჯირსა?

— ეგა საწყალი პანურგია, — მიუგო ძმა ჟანმა. — ბოჩოლას ცხრო სჭირს.  
შებრუებულსა ნიადაგმცა შიშისა კანკალი უტყდება ხოლმე.

— უკეთუ ცხოვრებისა სუყოველ შემთხვევაში თავი ყოჩაღად უჭირავს,  
ხილო შიშმა თღენ ამა საშინელი ქარიშხლისა და მძვინვარე გრიგალისა ჟამსა  
აიტანა, ბეწვისა ოდენადაც იმაზედ ნაკლებ პატივსა არა ვცემ, ადრე რომ ვცემ-



დი, — განაცხადა პანტაგრული. — როგორაც ნიადაგ შიშნეულობა ტლანქ და სულმოკლე კაცთა განმასხვავებელი ნიშანია, ესევეთარი იყო, მაგალითებრ, აგა-  
 იმნონი, რომლისა გამო მწყრომარე აქილეესმა წართქვა, ძაღლისა თვალი აქვს  
 და ირმისა გულიო. — ზუსტად ეგრევე უშიშრობა აშკარა ბიფათისა ჟამსა გო-  
 ნებრივი სინღუნვისა, ანდა იქნებ სულაც სინერჩეტისა ნიშანია. არცოდის ჩე-  
 შსა დღეში არ მიფიქრია, ღვთისა გმობისა მერმე. ყოელისა უწყრეფუღლქაშინე-  
 ლი სიკვდილია-მეთქი. და არამცა და არამც არ ვეპირები, რომსადაცა მსგავსადო  
 სოკრატესა და აკადემიკოს კაცთა აზრი: სიკვდილი თავისთავად არცრა ბოროტე-  
 ბაა და დასტურ არა ღირს სიკვდილისა შიშიო. გარნა სიკვდილი ღელვაგვემული  
 ვემის დანთქმისა ჟამსა ფრიად საზარელი რამ არის და მერე ახლა როგორი სა-  
 ზარელი! პომეროსი ტყვილად როდი უბნობდა, ზღვაზედ სიკვდილი მძიმე, სა-  
 ზიზღარი და არაბუნებურიად. პითაგორელნი იმა აზრისანი იყვნენ, რომ სული  
 ცეცხლსა წარმოადგენს და ცეცხლისგან წარმომდგარია; აგრე და ამრიგად, უკუ-  
 თუ კაცი წყალში დაიღუპა (ცეცხლისა საწინააღმდეგო სტიქიაში), მაშინ იმისი  
 სული ერთიანად შრტება და ქრებაო, ასკვნიდნენ პითაგორელნი (დაღათუმცა, სა-  
 ვსებით საფუძველგამოცლილად), ენეასმა, რომლისა ზომალდთა ქარავანსაც  
 სიცილიასთან მოუსწრო ქარიშხალმა, დიდად შეინანა, რატომ ძალგულოვანმან  
 დიომედემ არ გამგმირაო, და ზედვე მოაყოლა, სამგზის და ოთხგზის ნეტარნი  
 არიან ისინი, ტროას ხანძრისა ჟამსა რომ დაიღუპნენო. ჩვენგან კი არცეინ და-  
 ღუპულა. დიდება შენდა მაცხოვარო ჩვენო, უკუნითი უკუნისამდე! აი, ზომალდ-  
 ნი, რაც მართალია, მართალია, სუყველა გვარიანად შეგვეფერთხა. არა უშავრს  
 რა, შევაკეთებთ! ოღონდ ფროთხილად, თავთხელზედ არ დავრჩეთ!

თავი XXIII

პითარ გახდა პანურბი ქარიშხლისა  
 უმედვ კვალად კაი ყმა

— უჰ, უჰ! — წამოიძახა პანურგმა. — საუცხოოა, ქარიშხალი ჩადგა. თუ კა-  
 ცნი ხართ, გამიშვით, პირველი მე ჩავიდე, ქვეყნის საქმე მაქვს. კიდეც ხომ არა-  
 ფერში წამებმარებიანა ხელი? მოიტათ, მაგ თოკსა ავიხვევო. სხვა არ ვიცი, მაგ-  
 რამ ვაფკაცობა ნამდვილად არ მაკლია. არასდროს არცრისა მშინებია. აბა, ჰე,  
 აბა, ჰე, მეგობარო! ჩემზედ კაციშვილი ვერ იტყვის, ჯაბანიად. დიად, თუმცა,  
 მართალი გითხრათ, მეცხრე ტალღამ ცხვირიდან კინომდე რომ გადიგრიალა,  
 ცოტა შეეფიქრიაინდი.

— იალქანი აკაცე!

— სწორია! რა უსაქმურად გატოქილხარ, ძმარ ჟან? რა დროს ხმაა? რა იცი,  
 იქნებ წმინდა მარტინისა მწვალეებელმა! სულაც ახალი ქარიშხალი მოგვივლი-  
 ნოს? ხომ არაფერში ვარ საჭირო? ჩემი თავი რა ვთქვა! აწლა ვნანობ. უკვე ვვი-  
 ან: რად არ მივდიე იმა კეთილ სიბრძნისმეტყველთა სწავლასა, რომელნიცა ამ-  
 ტკაცებენ. ზღვისა პირას ყიალი და ხმელეთისა შორიახლო ცურვა იმგვარადვე  
 კარგა და საამო რამ არის, ვითარ ქვეითად სიარული, ოდეს ცხენი აღვირითა  
 უჭირავთ და ისე მიჰყავთო. უჰ, უჰ, უჰ! ღმერთმანი, გულსა უხარია. კოდევ  
 რაიმეში ხომ არ წავშველებოდით? აბა, ჰე, აბა, უე! ეშმაკმა თუ არ მაცდუნა,  
 ხელად დამში მოვიყვან საქმესა.



ეპისტემონი ამასობაში, ემანდ არ გამეშვასო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჭაბანსა ჩაბლაუჭებოდა და მთელი ხელი გადაიყვლიოდა, გაისისხლიანა, და როგორც კი პანტაგრუელმა სათქმელი გაასრულა, მან ეგრევე მიმართა:

— სულქვემ თუ ვიტყვით, ხელმწიფეო, ქარიშხალმა თავხარა ქართო პანურგსა კი არა, მეც დამცა. მერე რა ვუყოთ? ფეხთ მაინც წელლებზედ ვიდგამდი. ვგონებ, სიკვდილი საბედისწერო და გარდაუვალი აუცილებლობაა. მაგრამ ამათუ იმ სიკვდილითა აღრე რომ ვიხოცებით ანდა გვიან, ეს ამხავეი ნაწილობრივ ზეციურ ძალებზედ და ნაწილობრივ თვითონ ჩვენზეა დამოკიდებული. სხვებ არ იქნება, უნდა დაულალავად მივმართავდეთ იმა ზეციურ ძალთ, ანუ ზენაარსთ, ვუხმობდეთ, მოვუწოდებდეთ, ვევედრებოდეთ, ვეაჯებოდეთ, მაგრამ ამასა არ უნდა დავეჯერდეთ და ამან არ უნდა დაგვამშვიდოს; სუყოველ კაცსა გვმართებს აგრეთვე, რომ ყველაყა მოვიღონისძიოთ და ყველაგვარი ხერხითა, ყველაგვარი საშუალებითა ხელი შევუწყოთ იმათ. მომიტევეონ ფუჭმეტყველთ, ესე იგი ღვთისმეტყველთ, რამეთუ არცრა მაგათ განჩინებასა არ მივღევ და უშეშვეოდ წმინდა წერილსა ვეფუძნები. იცი, რა წართქვა კონსულმა გაიუს ფლამინიუსმა, ოდეს პანიბალისგან დარწყმულ მახეში გაება და გარსა შემოადგნენ პერუჯაში, ტრაზიმენისა ტბასთან? „შვილხო ჩემხო! — მიმართა მან ჯარისკაცთ, — არცა იფიქროთ, რომ აქედან ლოცვისა და ზეცისა მიმართ რამისა შეთქმისა ფასად გავაღწევთ. ჩვენი ხსნა ჩვენსავ ძალასა და ქველობასა შესწევს. გზა მტერ-მოავეთა შუა მახვილსა უნდა გავაკაფვიხოთ.“ როგორაც სალუსტიუსი ბრძანებს, ზუსტად ეგვეს უბნობდა მარკუს პორციუს კატონიც — ზეციერთა მეოხებასა უქმი რამ აღთქმითა და ღიაცური გოდებითა ვერ მიაღწევო. რავინდარა საქმეში სასურველი და კეთილი ბოლო მღვიძარებასა, გარჯასა, ანუ მოუსვენებელ შრომასა და ქველობასა მოხდევს. უკეთუ კაცი ჭირისა და განსაცდლისა ჟამსა დაუდევრობასა, უძღურებასა და სიზანტესა იჩენს, აძაოდ შეევედრება შეწევნასა ზეციერთ, რამეთუ ისინი თავისი საქციელითა უკვე გაჯავრებულნი და განრისხებულნი ჰყვანან.

— ღიამც ეშმაკმა დამლახვროს... — სიტყვა გამოაგო ძმა ჟანმა.

— მე უკვე ნახევრად დამლახვრა, — ჩაურთო პანურგმა.

— ...გარნა სვეური ვაზისგან არცრა გადარჩებოდა, ლოცვანი რომ დამეჭირა, სხვა ეშმაკეულ ბერთა თანა Contra hostium insidias მემღერა და ვენახზვრისა გადასარჩენად ღერნეელ მარბაელთ ჯვრისა ძელითა არ დავრეოდი.

— საუცხოოა, წავედით წინა, — წართქვა პანურგმა, — ეს ყალღანა ძმა ჟანი თავისი თვალითა მხედავს, ვითარ არა ვიზოგავ თავსა და მხარში ვუღვაკარ ამა პატიოსან კაცსა. უფალო პირველო მატროსო! უფალო მეუფროსევე! არ გამიბრაზდე, მაპატიე, ერთ რასმე შეგეკითხები. ჩვენსა ხომალდზედ რა სისქისა ცალფიცარი ავია?

— ნუ შიშნეულობ, — მიუგო ლოცმანმა. — ბარე ორი თითისა დადება გამოვა.

— ღმერთო, შენი სახელისა ჭირიმე! — შეჰყვირა პანურგმა. — მაშ, აბა, სიკვდილისგან სულ მუდამ ორი თითისა დადებაზედ ვყოფილვართ. ეს რა, შეუღლებისა ცხრა სიხარულიდან ერთ-ერთია?² დასტურ სწორსა იქმ, უფალო მეუფროსევე, რომ ხიფათსა და განსაცდელსა შიშისა წყრთითა ზომავ. მე რაც შემეხება, შიში არც ვიცი, რა არის. მამლაყინწაობასა მოუკვდა პატრონი, ლომი ვარ, ლომკაცი, რაღა მკვლელისა უშიშრობა და რაღა ჩემი, არცრისა მეშინის... თუ-ნიერ ფათერაკისა



თავი XXIV

ვითარ აცხადებს ემა ჟანი, პანურგმა  
ქარიშხლისა შამსა ტყუილად  
იშიშნეულად



ქარიშხალი

— სიძრთლე მისურვებია, უფალნო! — წართქვა პანურგმა ქარიშხალს კეთილად ბრძანდებოდეთ! თავსა ვითარ გრძნობთ? მაღლობა ღმერთსა. შენ, შენ როგორღა ხარ, ბატონო? გთხოვ, წამობრძანდი, კეთილი იყოს შენი ფეხი! ნაპირზედ ჩავიდეთ. ეი, მენიზბენო, ის საბიჯელად ხმობილი წყლისა კიბე მოიღეთ! კანჯო ახლოისრე მოაყენეთ! ხომ არაფერში დაგეხმართო? კაცურად, პატიოსნად ვიშრომე. ოთხი ხარისა მაგივრობა გავწიე და გამგვლებული ვარ, არცრა ძაღლისა ყეფა არ მესმის, ისე მშია. აქაურობა მართლაც ლამაზია და ხალხიც კარგია. ბიჭებო! ჩემი რამ შეშველება კიდევ გინდათ? ღვთისა ვულისთვის, არ დაინანოთ ჩემი ოფლი. ადამი (ესე იგი ძე-ადამიანი) იმისთვის გაჩნდა, რომ მიწა დაეშუშაუბინა და ეშრომა, როგორაც ჩიტა გაჩნდა იმისთვის, რომ ეფრინა. უფალსა ნებაჲს — გეყურებათ რასაცა ვუბნობ? — რომ ჩვენი ოფლითა ვჭამდეთ პურსა და არა ვცუღაობდეთ, ვითა ეს ბერისა ტრიკი, ძმა ჟანი, რომელიცა ხელადასა იყუღებს და შიშისგან ხელად სული ეპარება. იშვიათი ამინდია. აწლა ჩავხვდი, რა მართალი და ათასჯერ სწორი იყო ასაქარსისი, ის დიდგვარი სიბრძნისმეტყველი კაცი: როს ჰკითხეს, ყოვლისა უფრორე საიმედოდ რომელი ხომალდი წარმოვიდგენიაო, მან უპასუხა, რომელიცა რომა ნავსადგურშია დადგრომილიო.

— ეგ არაფერი! — წართქვა პანტაგრუელმა. — აი, როს იმას შეეკითხნენ, რომელი მეტია — მკვდარი თუ ცოცხალიო, იმან თავის მხრივ ჰკითხა: „იმათ რაღას უშვრებით, ვინცა ზღვაში ცურავსო?“ ანუ სხარტად უქარაგმა, რომ ზღვაში მცურავთ ყოველ ნაბიჯზედ სასიკვდილო რამ ხიფათი უდარაჯებთ და ისინი მიწყვიც სიცოცხლესა და სიკვდილსა შუა არიან. აკი პორციუს კატონიც უბნობდა, სინანულითა მხოლოდ სამ შემთხვევაში ვინანებდიო, სახელდობრ: უკეთუ ოღესმე დიაცსა საიდუმლოს გავანდობდიო, უკეთუ თუნდაც ერთ დღესა ცუდაობაში გავატარებდიო და უკეთუ ზღვითა წავიდოდი სადმე ისეთსა ადგილსა, სად ხმელეთითაც ძალმედვა მისვლაო.

— ჩემსა პატივსაცემ ანაფორასა ვფიცავ, — მიმართა პანურგსა ძმა ჟანმა, — სულ ტყუილუბრალოდ იშიშნეულე, ჩემო მემრუშე მეგობარო, რამეთუ წყალში დაბრჩობა არამცა და არამც არ გიწერია. შენა, დასტურ, მაღლა ჰაერში ჩამოგკიდებენ ანდა სულაც კოცონზედ შეგბრაწავენ, ვითარცა მთავარ მოწამესა. ხელმწიფეო, კუხა, ანუ საწვისმარი ხომ არა გნებაჲს? არცა მგლისა, არცა მაჩვისა ტყავისა არ გამოგადგება. პანურგისა გატყაუება ბრძანე და ის ტყავი მოისხი. ოღონდ, ღვთისა ვულისთვის, არცა ცეცხლსა მიეკარო და არცა სამჭედლოსა: მაგისი ტყავი ეგრევე შემოგადნება, სამაგიეროდ წვიმაში მისწრებაა, აგრეთვე თოვლშიც და სეტყვაშიაც. ესეგვარსაწვიმრიანი წყალშიაც რომ ჩახტე, ერთი ბუწითიც არ დასველდები. პანურგისა ტყავისა ზამთრისა ჩექმა-მოგვიც, ანუ ბანდულ-ბაგვიც კარგა გამოგვივა, ფეხსა მშრალად შეგინახავს. ანდა ადექი და მაგისი ტყავისგან სულაც ყმაწვილთათვის ტიკნი დააშხადე, რათა ცურვა უხიფათოდ ისწავლონ.

— მაშ, აბა, რაღა პანურგისა ტყავი და რაღა ვენურას თმა, ანუ კლდისქორა: მცუნარე ესე არახდროს სველდება და არცროდის ტენიანდება. რაოდენი







ხომალდთა შეკეთება სრულიად არ გაძნელებულა, რამეთუ კუნძულელნი ერთობლივ ხითხურონი და ისეგვარნი ხელფურჩნი ოსტატნი გამოდგნენ. როგორთაც მხოლოდ ვენეციისა ნავსაშენ-თერცხანეში თუ შეხვდებოდა კაცი. მოუღსა ამა ვრცელ, კარგად მოზრდილ კუნძულზედ სამი ნავსადგური და ათი უბანი იყო დასახლებული, ხოლო დანარჩენი სივრცე, ატეხილი, სამასაღვლე ტყეა და ფარული, უკაცრიელი იყო, ვითარცა არდენები.

უხუცესმა მაკრობიოსმა ჩვენის თხოვნითა კუნძულისა სუყოველი ღირსშესანიშნავი ადგილი მოგვატარა, უღრან, უდაბურ ტყეში რომ შეგვიფვანა, არა ერთი და ორი მოვიხილეთ ძველი, დანგრეული ტაძარი, ობელისკი, პირამიდა, უხსოვარდროინდელი ძეგლი და აკლდამა, სულ ნაირ-ნაირწარწერიანი, რომელთაგან ზოგი იეროვლიფებითა იყო ნაწერი, ზოგი იონიურ კილოკავზედ, დანარჩენი არაბულად, აგარულად,<sup>3</sup> ანუ მავრულად, სლავურად და ა. შ. ეპისტემონმა ხან ერთსა შეაველო თვალი, ხან მეორესა და, ვითარ ცოდნისმოყვარე კაცმა, რამდენიმე კიდეც გადმოიწერა. ამასობაში პანურგმა ძმა ჟანსა მიუთხრო:

— ესა მაკრონთა კუნძულია. მაკრონი ბერძნულად „მოხუცსა“, ანუ ხანმრავალსა ნიშნავს.

— მერე მე რა ვქნა? — წართქვა ძმა ჟანმა. — გადავაკეთებ თუ რა? აი, ოდეს ამა სახელსა არქმევდნენ, რომ დავსწრებოდი, კიდეც მესმის.

— რახან სიტყვამ მოიტანა, — განაგრძო პანურგმა. — ვგონებ, აქედან უნდა წარმოდგებოდეს სიტყვა „მაკრელი“, რომელი სიტყვაც, ვითარ ცნობილია, ჩვენებურად არა მართო თევზ „მაკრელსა“, არამედ „მაჭანკალსაც“ აღნიშნავს. მართლაც, მაჭანკლობა ბერდიაცთა საქმეა, ახალგაზრდა ხალხსა კოტრიალი და ცელქობა ხამს. თქმა არ უნდა. ესა ნამდვილად კუნძული მაკრელია, ჩვენი პარიზული კუნძულისა პირველსახე და ჯალდა-ნიმუში. წამო, ხამანწკაზედ წავიდეთ.

უხუცესმა მაკრობიოსმა იონიურ კილოკავზედ პკითხა პანტაგრუელსა, ვითარ მოახერხეთ ნავსადგურში სწორედ დღესა შემოსვლა, ოდეს ესდენ ძალუმად ირეოდა პაერი და ზღვაზედ კი საშინელი ქარიშხალი მძვინვარებდაო. პანტაგრუელმა პასუხად მიუგო, მამაზეციერმა ისმინა უზაკველი და მხურვალე აჯა-ვედრება ჩემთა ზღვიერ-მეზღვაურთა, რომელნიცა არცა რამისა მოსანაგრებლად და არცა კიდეც სავაჭროდ მოგზაურიბენო; ხოლო ზღვაოსნობა იმისმა მძაფრმა სურვილმა დაგვაწყებინა, რომ ორაკული ბაკბუკი მოგვენახულებინა, გვეუბნებინა, გვემისნებინა და ბოცა-ბოთლისგან შეგვეტყო, რარიგ დაეხსნა ეჭვთაგან თავი და რარიგ გადევწვიტა გადასაწყვეტი ერთ-ერთ ჩემსა მოყვას-მეგზავესაო; ბევრი ვიცურეთ თუ ცოტა ვიცურეთ, ათას რასმე უბედურებასა გადავაწყდით და, ცოტას გაწყდა, არ დავიღუპენითო. მერმე ახლა პანტაგრუელი დაეკითხა თავის მხრივ უხუცესსა, ვითხარი ერთი, რითა ხსნი ამა სასტიკი ქარიშხლისა ამოვარდნასა, და ახლომდებარე ზღვათათვის ესეგვარი რამ ნიშანდობლივი და დამახასიათებელი ხომ არ არის, როგორაც ეს შესამჩნეველია ოკეანურ ზღვაში, წმ. მათეს სრუტეში და მომიუსონში, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში, სატალიისა სალუპელაში, მონტარჯენტანოში, პიომბინოში,<sup>4</sup> ძალღის კონცხთან ლაკონიაში, ვიბრალტარისა სრუტეში, მესინოსა სრუტეში და<sup>5</sup> ზუაგანაო



თავი XXVI

ამა კეთილი მაკრობიოსი უყვება  
პანტაგრუელსა გმირთა აღბილსაყოფლისა და  
სიკვდილის ამბავსა

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კეთილმა მაკრობიოსმა წართქვა:

— კეთილხო მეგზავენო! ესა ერთი სპორადთაგანი კუნძულია, თლონდ კარპათიის ზღვაში! მდებარე სპორადთაგანი კი არა, ოკეანური სპორადთაგანი: უწინ იდიდარი, ვარძიანელ-უცხოქვეყნელთა მიმზიდველი, ბარაქიანი, სავაჭრო, კაცთ-მრავალი, ბრიტანეთისა ხელღებული იყო; აწ კი, დრო-ჟამისა მოქმედებისა და ქვეყნიერების დასასრულის მოახლოებისა გამო, როგორაც ხედავთ, დაკნინდა და გაუკაცრიელდა.

— აი ამა ტყეში, სამოცდათვრამეტი ათას და ცოტა მეტ ფარანგზედ რომ გადაჭიმულა, ბინა დაუდვიათ დემონთა და გმირთ, ამყამად უკვე დაბერებულ-დამხცოვანებულთ, და, ვგონებ, კუდიანი ვარსკვლავი, რომელსაცა ბოლო სამი დღისა განმავლობაში ვუთვალთვალებდით, უეცრივ იმად ჩაქრა, რომ გუშინ ერთი გმირთაგანი აღესრულა და სწორედ იმისმა სიკვდილმა გამოიწვია ქარიშხალი იგი, რომლისგანაც ეგზომ დაზარალდით. ოდესცა სუყველანი ეგენი საღ-საღამათნი არიან, მაშინ აქაც და მეზობელ კუნძულ-ჭალაკთა ზედან ყველაფერი რიგზეა, ზღვაზედ მყუდროება და სიმშვიდე სუფევს, ხოლო როს ვინმე მაგათგანი გარდაიცვლება, ტყიდან ჩამაღალი და გულსაკლავი გოდება მოგვესმის, ხმელეთზედ ათასგვარი რამ სნება, უბედურება და ნადველი მეუფდება, ჰაერში — ქარტყხილი და წყვდიადი, ზღვაზედ — სელგა-ქარიშხალი და გრივალი.

— შენსა თქმულობაში არის ჭეშმარიტებისა მარცვალი, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — მაშხალა ანდა სახთელიც ეგრეა: სახამ ცაცხლი უკიდიათ, სუყოველთნათელსა ჰფენენ, გარშემო ყველაკასა ანათებენ, ყოველსა თავიანთი შუქითა მსახურებენ, მაგრამ ჩაქრებიან თუ არა, ხრჩოლვასა იწყებენ, ჰაერში ავ სუნსა აყენებენ, ყველასა და ყოველსა აზნევენ, ზიზღსა აღუძრავენ. ეგრევე არიან ეგ უზაკველნი და ჩინებულნი სულნიც: ვარემ სხეულსა არ გაყრილან, მაგათი მეზობლობა მშვიდობიანი, გამოსადეგი, საამო და საპატიოა, ხოლო სხეულსა როგორც კი გაეყრებიან, კუნძულთა და მატერიკთა ზედან უმაღლ ერთურთსა ზედიზედ წაეწყობა: ჰაერის ძლიერი შერყევა, წყვდიადი, ჭექა-ქუხილი, სეტყვა, მიწის-ქვეშა ბიძგნი, მეხთა ტყბა, ზღვაზედ — ქარიშხალი და გრივალი, და ყოველივე ამასა თან ახლავს ხალხთა ვაება, რელიგიითა ცვალება, სამეფოთა დამხობა და რესპუბლიკათა დაცემა.

— მაგ ამბავში ახლახან თვალცხადლივ დავრწმუნდი ქველი და განსწავლული რაინდის — გაიომ დიუ ბელეს მაგალითზედ, — აძრახდა ეპისტემონი. — ვიდრე ის ცოცხალი იყო, საფრანგეთი მართლა ბედნიერად ცხოვრობდა, სუყველანი იმას შენატროდნენ, სუყველანი იმასთან კავშირსა ეძებდნენ, სუყველანი იმას ეშიშოდნენ. ხოლო ის რომ გარდაიცვალა, მერმე, მრავალი წლისა განმავლობაში, არცვინ რამედ აგდებდა.

— ზუსტად ეგრევე, ოდეს ანქიზე სიცილიისა დრეპანუმში კვდებოდა, ენეასი დიდსა განსაცდელში ჩააგდო ქარიშხალმა, — კვალად აძრახდა პანტაგრუელი. — აღბათ ეგევე მიზეზი იყო, რომ იროდემ, უღმობელმა ტირანმა, იუდეისა მეფემ, რაჟამსა საშინელი და ამაზრზენი საკვდილისა მოახლოება იგრძნო (იგი ციტირიაზისგან დაიღუპა, ცოცხლად შეჭამეს მატლთ და ტილ-მკებნართ, რო-



გორაც იმამდე დაიხოცნენ ლუციუს სულა, ფერეკიდე სირიელი, პითაგორას მოძღვარი, ბერძენი პოეტი ალკმანი და სხვანი) და განჭვრიტა, ჩემი სიკვდილისა შემდეგ გახარებულნი იუდეველნი ძამხალა-ვინკლილო დაანთებნო, მცის თავისთან სასახლეში უხმო ყოველთა წარჩინებულ და ხელისუფალ კაცთ რუდვის სუყოველი ქალაქიდან, სოფლიდან და საბატონოდან, თან ეშმაკობა მძარა, იმა საბაბითა უხმო, ვითომ ფრიად მნიშვნელოვანი რამ უნდა შევტყუებინებო პროვინციისა მარავა-გამგებლობისა და აგრეთვე ღაცვისა გამო-გვედრე მწიფრფულნენ ისინი და პირადად გამოცხადდნენ. მან უყოვნებლად ბრძანა, სუყველანი სამეფო კარის იპოდრომისა, ანუ ცხენთსარბიელის სადგომსა შინა დაამწყვდიეთო. მერმე კი თავის ცოლისდასა სოლომეს და იმის ქმარს ალექსანდრესა ესეგვარად მიმართა: „დარწმუნებული ვარ, ებრაელთ ჩემი სიკვდილი ვაახარებთ, დაღათუმცა, უკეთუ ჩემი მოსმენისა სურვილი გაქვთ და რასაცა გეტყვით, შეასრულებთ, არცა საბატიო დაკრძალვა ამცდება და არცა კიდევ ხალხისა ცრემლი დამაკლდებაო. სულსა დავლევ თუ არა, მშვილდოსანთ უბრძანუთ, ჩემთა გვამისა მცველთ, რომელთაც სათანადო თადარივი წინასწარ უკვე დავატყერინე, სულ ერთიანად ამოწყვიტონ, ვინც კი წარჩინებული და ხელისუფალი კაცი დამწყვდეული მყავსო. ამისა შემდეგ სრულიად იუდეა თავისდაუნებურად დამწუზრდება და ტირილითა გულსა ამოისკვნის, უეხოქვეყნელნი კი იფიქრებენ, რომ ხალხი მე დამტირის, ვითარცა ერთ-ერთ სულგ ნათლებულ ღირსეულ გმირსაო“.

ეგვეს ესწრაფვის სუყოველი მტარვალი. „ჩემს შემდეგ, — უბნობს იგი, — დედაპიწა ცეცხლსამც გადაუბუგიაო!“ სხვაგვარ თუ ვიტყვით: „ღიამც მთელი სამყარო დაღუპულაო!“

ვიგინდარა ნერიონმა კი, სვეტონიუსისა მოწმობით, თავისებურად შეასწორა: ის ამბობდა, არა „ჩემს შემდეგაო...“ არამედ „ჯერეთ კიდევ ჩემსავ სიცოცხლეშიო“. ამა უმსგავს თქმულსა, რომელსა ახსენებენ ციცერონი (De finibus, III წგნ.) და სენეკა (De clementia, II წგნი),\*\* ღიონ ნიკეიელი და სვიდა<sup>2</sup> იმპერატორ ტიბერიუსსა მიაწერენ.

## თავი XXVII

ამა პანტაგრუელი ბჭობს, ვითარ გაღადიან  
გვირთა სულნი შავითში, და იმა შიშისა  
მოგვკრულ ნიშანთა გამო, სენიორ დე ლანჟეს  
მიცვალებასა ვინ რომ უკლოდა

— თუმცა ქარიშხლისა ჟამსა ზღვაზედ ბევრი უბედურება ვნახეთ და ჯაფაც დიდი დაგვადგა, მაგრამ მაინც მოხარული ვარ, რომ ქარიშხალმა მოგვისწრო, — განაგრძობდა პანტაგრუელი. — სწორუდაც იმისი წყალობაა, რაც რამ აწ კეთილი მაკრობიოსისგან მოვისმინეთ. სრულიად ვეთანხმები, ყველაკა მართალი ბრძანა კუდიან ვარსკვლავზედ, რომელიცა ამათ გმირისა მიცვალებამდე რამოდენიმე დღითა ადრე მოიხილეს. სუყოველი ესეგვარი კაცისა სული ისერიგად ამაღლებული, კეთილშობილი და გმირულია, რომ ზეცა რამდენიმე დღითა წინასწარ გვატყობინებს ამა კაცისა სამზეოდან წასვლისა და მიძინების ამბავსა; აგრევე

\* [კეთილისა და ბოროტის] ზღვართა გამო“ (ლათ.).

\*\* „თვინიერებისა გამო“ (ლათ.).



იქცევა კეთილგონიერი ექიმი: როგორც კი ყველაფრისა და მიხედვით დარწმუნდება, რომ სნეულსა ცალი ფეხი სამარეში უდგას, აღსასრული შორს აღარ არის, რამოდენიმე დღითა ადრე აფრთხილებს ცოლსა, შვილთ, მეგობართ და ნათესავთ ქმრის, მამისა და ახლობელი ადამიანისა გარდაუვალი სიკვდილისა გამო, რათა დარჩენილ მოკლე დროში მოსასწრები მოასწრებინონ, მოსასწრები კი მომაკვდაუსა არცთუ ცოტა აქვს — ქონებისა საქმე უნდა გაარიგოს, შვილთ უნდა დაელოპარაკოს და დაამწყალობნოს, დაქვრივებულ ცოლზედ უნდა დაეხმარებოდეს, თბილისა ანაბარად არ უნდა დაყაროს, რაღა ბევრი გაუაგრძელო, სიკვდილი უცაბედად არ უნდა წაადგეს თავსა, სულზედ ფიქრიც უნდა მოასწროს და თავისი სარჩო-საბადებლის თადარიგისა დაჭერაც. კეთილისმყოფელი ზეცაც, თითქოსდა შეჰხარისო ახალ ნეტარ სულთ, გულში ჩასაკვრელად რომ მოელის, კუდიან ვარსკვლავთ და ტატან-ცისიერთ ანთებს. ვითარცა მაშხალათ, და იმათი მეშვეობით კაცთ წინასწარ შეუმცდარად მიანიშნებს, სულ მალე ეგ კეთილშობილნი სულნა თავიანთ სხეულთ გაეყრებიან და დედამიწას დაუტევებნო.

ბრალეულ-დამნაშავეთათვის განაჩენი, მსჯავრი რომ გამოჰქონდათ, ოდესღაც ათენში არეობაგისა მსაჯულნიც სუყოველი ცალკე შემთხვევისა მიხედვით ნიშანთ რასმე იყენებდნენ. ასო Ø სასიკვდილო განაჩენსა აღნიშნავდა, T — გამართლებასა, A — გაურკვევლობასა, უკეთუ საქმე ჯერეთ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. ამა ნიშანთ სათვალდათვალოდ გამოდგამდნენ ხოლმე და პატიმართა დასულწუხებულნი ნათესავნი, მეგობარნი თუ სხვანი წინდაწინ იგებდნენ, ვისთვის რა გადაწყვეტილება იყო გამოტანილი. ესეგვარადვე ზეცაც თითქოს ეთეროვან ნიშანთ მიმართავს კუდიან ვარსკვლავთა სახისას და უსიტყვოდ გვეუბნება: „სიკვდილისა შვილნო! უკეთუ გსურთ, რომ მაგ ბედნიერ სულთავან კიდევ რამე გაიგოთ, რამე ისწავლოთ, ყური დაუგდოთ მაგათ, შეიცნოთ ეგენი, სუყოველივე წინასწარ შეიტყოთ მაგათგან, რაც კი რამ საზოგადოებრივ ანდა კერძო სიკეთესა და სარგებლობას ეხება, დაეჩქარეთ და პასუხი ათქმევინეთ, თორემ კომედიისა დასასრული და კვანძისა გახსნა ახლოა, მერმე ინანებთ, მაგრამ გვიანდა იქნებაო.“

ჯერეთ სადა ხართ. რათამც დედამიწისა მსახლობელთ დაანახვოს, სულაც არა ხართ ღირსნი, რომ მაგისტანა უჩვეულო სულთა გვერდით ცხოვრობდეთო, მაგათთან ურთიერთობა გქონდეთ და მაგათი წყალობითა სარგებლობდეთო. ზეცა კაცთ ათასნაირი სასწაულითა, საკვირველებითა და საოცრებით, ათასგვარი საფრთხულით, სხვადასხვა ზებუნებრივი რამ მომასწავებელი ნიშნით აცვიფრებს და აშინებს, რაიცა ჩვენი საკუთარი თვალითა ვიხილეთ, ვინემ იმა ქვეყნად გადავიდოდა ჩინებული, ამაღლებული და გმირული სული ფრიად განათლებული და ქველი რაინდისა დე ლანჟესი, რომელზედაც ეპისტემონი უბნობდა.

— დღეს აქამომდის გული მიკანკალებს, როს მაგონდება ის ნაირ-ნაირი და შიშისა მომგვრელი სასწაული, იმის სიკვდილამდე ხუთი-ექვსი დღითა ადრე რომ მოვიხილეთ, — სიტყვა ჩამოართვა ეპისტემონმა. — უფალნი დასიე, შემანი, ცალთვალა მაი, სენტ-ი, ვილნეკ-ლა-გიუიარი, მეტრი გაბრიელი, სავიანელი ექიმი, რაბლე, კაიუო, მასიუო, მაიორიჩა, ბიულუ, სერკიუ, ზედმეტსახელად „ბურგომისტრი“, ფრანსუა პრუსტი, ფერონი, შარლ ჟირარი, ფრანსუა ბურე და განსვენებულისა სხვა მრავალნი ძმაკაცნი, დედაწულნი და მსახურნი შიშატანილნი ერთმანეთსა მღუმარედ უცქერდნენ, კრინტსა არა ძრავდნენ და ღრმად ჩაფიქრებულთ გული ეუბნებოდათ, რომ მალე საფრანგეთი დაკარგავდა უძწიკვლი რაინდსა, თავის მასახელებელსა და მეღვარ დამცველსა, და ამასვე იუწყებოდა ზეცაც — როგორაც ზეცასა სჩვევია და შეეფერება, ისე იუწყებოდა.



— ამა ჩემი კაპიუშონის ჭიჩრისა მადლმან, — წართქვა ძმა ჟანმა, — სულაც არა მწადს უბირად დაბერება. მიხვედრისა უნარი არ მაკლია. გამაგებინეთ, მათხარით,

ვითარ ერთხელ, ერთ ადგილას  
მეფემ უთხრა თავადიშვილთ,  
დედოფალმა კი — ვაჟიშვილთ, —



ვგვირნი და ნახევარდმერთნი, რომელთა გამოც უბნობთ, როგორ, მაინც იხოცებიან? დედაო დვთისავ! მე კი მეგონა, შემიხედ, უფალო, უკვდავნი არიან-მეთქი. აწ აგერ დირსად პატივცემული მაკრობიოსიც ბრძანებს, ბოლოსა და ბოლოს იხოცებიანო.

— ყველანი არა, — სიტყვა შეუქცია პანტაგრუელმა. — სტოელნი ირწმუნებიან, მოკვდავი სუყველაა, თვინიერ ერთისა, და იგია უკვდავი, ვნებათაგან თავისუფალი და უხილავიო. პინდარე პირდაპირ უბნობს, რომ ღმერთქალ ჰამადრისადებს ბედისმწერალთა და პარკთა ფთილა-ნართიდან უფრო გრძელი ძაფი არ ერგოთ, ესე იგი უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე, ვინემ ხეთ, რომელთაც ისინი იცავენ, ანუ ლაპრ-მუხათ, მუხათაგან კი, ვითარ კალიმაქე და პავსანია ამტკიცებენ ფოკიდახედ დაწერილ წიგნსა შიგან, წარმოიშვნენ დრიაღნი, და ამა აზრსა უერთდება მარციან კაპელა.<sup>2</sup> რაც შეეხება ნახევარდმერთებსა: პანებსა, სატირებსა, სილვანებსა, ფუძისა ანგელოზთ, ეგიპანებსა, ნიმფებსა, გმირთა და დემონთ, ბევრი იმათგანი, თუ ჰესიოდესგან გამოთვლილ სიცოცხლისა სხვადასხვა ვადას დაეყმარებით, საერთო ანგარიშითა ცოცხლობს ცხრა ათას შვიდას ოც წლამდე, რომელი რიცხვიც შემდგარია შემდეგნაირად: ერთიანი ემატება გათხვეცებულ ოციანსა, და ჯამი ესე მრავლდება სამზედ და მესამე ხარისხში აყვანილ გახუთკეცებულ ორიანზედ. სუყველა ესა უწერია პლუტარქეს „ორაკულთა დამცრობად“ სახელდებულ თავის წიგნში.

— ჩემსა წირვისა კონდაკში ამა ამბისა გამო არცარა თქმულია, — განაცხადა ძმა ჟანმა. — ეგრე იყოს შენი სიტყვისა მჯერა.

— ვკონებ, — წართქვა პანტაგრუელმა, — არც ერთი გონიერი სული ატროპეს<sup>3</sup> მაკრატელსა არ ემორჩილება. სიკვდილი არ ეკარება არცა ანგელოზთ, არცა დემონთ, არცა კაცთ. ამისა გამო აწ ერთ უცნაურ ამბავსა მოგახსენებთ, ბევრ სწაულულთაგან და მცოდნე მემატიაზეთაგან ჩაწერილსა და დადასტურებულსა.

## თავი XXVIII

### ამა პანტაგრუელი ჰყვება ნაღვლიან ამბავსა პმირთა მიცვალებისა გამო

— ეპიტერსი, ემელიანე-რიტორისა მამა, ათასგვარი რამ საქონლითა დადებულ-დატვირთულ ხომალდსა, სხვა მოგზაურთა თანა, საბერძნეთიდან იტალიაში გაჰყვა, და ერთხელ საღამო ხანსა, ექინის ჭალაკთა შორიახლო, მორეიასა და ტუნისს შორის, ქარი უცაბედად ჩადგა და ხომალდი პაქსოსის კუნძულსა მიადგა. ოდეს ხომალდი ნავსადგურში დადგა, ზოგ-ზოგ ვჩისა ზიართ, ანუ მოგზაურთ, დაიძინეს, ზოგ-ზოგნი კვალად ფხიზლობდნენ, ზოგ-ზოგთაც ჭამა-სმასა მიჰყვეს პირი, და სწორედ ამ დროს კუნძულ პაქსოსზედ ვილაცის ხმამ ხაფად წარმოთქვა



სახელი — თამუსი. ამა ხაფნა ხმამ სუყველა გააოგნა. თუმც ეგვიპტელი თამუსი იმათი ხომალდისა მესაჭე იყო, ანუ მხერვალი, ნავისა მატარებელი, მაგრამ, თინიერ რამოდენიმე მოგზაურისა, არაუინ იცოდა იმისი სახელი. მალე მეორედ გაისმა გულშემზარავი ძახილი: ვიდაც კვალად თამუსს უხმობდა. პასუხსა კი არაუინ იძლეოდა, ყველანი დუმდნენ, ყველას გული უფანცვადებდა. მაშინ მესამედ გაისმა იგივე, ოღონდ კიდევ უფრო საზარელი ხმა: **ხეჩქუკუნჯახუნჯელ თამუსი გაეპასუხა:** „აქა ვარ. რა გინდა ჩემგან? რაში დაგჭირდებოდა?“ **მეჩქუნჯახუნჯელ ხმამ** კიდევ უფრო მეხიანად მოუწოდა და უბრძანა, ვითარ პალოდაში მიხვალ, ყოველთა კაცთა გასაგონად გამოაცხადე, პანი, დიდი ღმერთი, მოკვდა-თქო.<sup>1</sup>

ამა თქმულობამ, როგორაც მერმე ეპიტერსი ჰყვებოდა, სუყველა მეზღვაური და მოგზაური განაცვიფრა და სუყველას თაეზარი დასცა. და ერთმანეთში ბჭობა გამართეს, რა აჯობებს, გაეჩუმდეთ თუ გამოვაცხადოთო, რაიცა გვებრძანათ. დადათუმცა, თამუსი თავისაზედ დადგა: უკეთუ შემწედ ზურგისა ქარი იქროლებს, ხმისა ამოუღებლად ავუქცევ გვერდსაო, ხოლო თუ ზღვა მშვიდი და გვიხვდა, გამოვაცხადებ ამ ამბავსაო. მართლაც, პალოდას რომ მიუახლოვდნენ, არცა ქარი ქროდა და არცა ზღვა ფროთნაჟდა. ადგა მაშინ ციმციმ თამუსი, ხომალდისა ცხვირზედ ავიდა, პირი ნაპირისკენ ქნა და, ვითარცა ნაბრძანები ჰქონდა, წართქვა, დიდი პანი მოკვდაო. ჯერეთ ბოლო სიტყვა არცა დაეთაყებინა, რომ ნაპირზედ პასუხად შიშის ზარისა ოხერა, ვაება და გოდება გაისმა, და ეს იყო არა ერთი ხმა, არამედ აურაცხელი.

ამბავი ესე, სწრაფად მოედო რომსა, რამეთუ ბევრმა გაიგონა.

კეისარმა ტიბერიუსმა, იმჟამად რომისა იმპერატორმა, მყის კაცი აფრინა თამუსისა მისაყვანად. და რა მოუსმინა, ყველაკა დაუჯერა. მერმე ახლა სწავლულთ დაეკითხა, რომელნი სწავლულნიცა მაშინ ბევრნი იყვნენ სამეფოსა კარზედ და რომშიაც; ვინ არის ეს პანიო, და დაასკენა, რომ მერკურისა და პენელსებს ძე იყო. ამასვე ამტკიცებდა ჯერეთ კიდევ ჰეროდოტე, ხოლო შემდეგ ციცერონიც ღმერთებისა ბუნებისთვის დაწერილ მესამე წიგნში. მე კი ამა პანში მორწმუნეთა მაცხოვრისა დანახვა მწადს, სასიკვდილოდ რომ გაიმეტეს მდაბალ გულის წადილსა აყოლილ, მოშურნე და უწმინდურ იუდეველ მღვდელთ-მოთვართ, მწიგნობართ, ხუცესთ და ბერთ. ესეეითარი განმარტება ნაილაჯვენაძალადევი სულაც არა მგონია. მაცხოვრისთვის ბერძნულად პანისა დარქმევითა არცრა შედეგა, რამეთუ იგია ჩვენი ყველაფერი — რასაც წარმოვადგენთ, რითაც ვცხოვრობთ, რისა მქონებელნიცა ვართ, რაიცა გვაიმედებს; ყველაფერი მაცხოვარშია, მაცხოვრისგან და მაცხოვრისა შემწეობითა ხდება. ის იგივე კეთილი პანია, დიდი სულიერი მწყემსი, რომელმან, ფიცხელი მამოვრისა კორიდონის<sup>2</sup> თქმულისად, მოელის გულითა შეიყვარა არა მართ ოდენ ცხოვარნი, არამედ მეცხვარნიც, და რაჟამსა აღესრულა, ვალალებამ და ეაგლახმა, შიშისა ზარმა და ვაებამ მოიცვა სამყაროს მოელი განუზომლობა: ცა, დედამიწა, ზღვა, ქვესკნელი. დროისდა მანებდვითაც ზუსტად უდგება ჩემი განმარტება, რამეთუ ეს ყოველად კეთილი, ყოველად დიადი პანი, ერთადერთი ჩვენი მხსნელი და მაცხოვარი, იერუსალიმსა მიიტვალა რომაელი კეისრის ტიბერიუსის ზეობისა ემისა.

ამისა თქმა იყო, და პანტაგრუელი დადუმდა, ღრმა ფიქრმა წაიღო. ცოტა ხნისა უკან დავინახეთ: რომ თვალთაგან სირაქლემას კვერცხისა ოდენი ხორხოშელა კურცხალნი გადმოსცვივდა. ღმერთმან მაგებინოს პასუხი, უკეთუ ერთ სიტყვაში მაინცა ვტყუოდე.



თავი XXIX

პითარ ჩაუარა პანტაგრუელმა  
გვირღვინ კუნძულ უბადრუკსა,  
სად მამარხულე მეზობლა



ჩვენი მზიარული ქარავნისა ხომალდნი სუყველა შეაკეთეს და შეასწორა-შე-  
მოასწორეს, სურსათ-სანოვაგისა მარაგი შეავსეს, მაკრეონელთაგან არცვის უკ-  
მაყოფილო და გულნაკლული არ დარჩენილა, რამეთუ პანტაგრუელი ყველას  
ყველაფრისთვის გაუსწორდა, ჩვენი ხალხი ჩვეულებრივზედ გახარებული იყო,  
და მეორე დღესა დავიძარი, დიდის აღმაფრენითა მივენდეთ წყნარ და საამო  
ნიაგ-ქარსა. შუადღისას ქსენომანმა შორით დაგვანახვა კუნძული უბადრუკი, სად  
მემარხულე მეზობლა; პანტაგრუელსა ბევრი რამ ჰქონდა გაგებული იმაზედ და  
აწ უკვე ნახვაც მოუნდა, მაგრამ ქსენომანმა არ ურჩია, ჯერეთ ერთი, შორი გზი-  
სა მოვლა მოგვიწვეს და თანაც კიდევ, როგორაც თვითონ კუნძულზედ, ისე სა-  
მეფო კარზედ, ძალიან საწყლად ცხოვრობენო.

— ნახვით კი იქა ნახავ, — განაგრძობდა ქსენომანი, — მარტოოდენ დიდსა  
ბარდისა მთქელეფელსა, დიდსა ქაშაყისა ტურტლისა ტრფიალსა, დიდსა თხუ-  
ნელისა მსანსვლელსა, დიდსა თივისა მცობნელსა, ფარანულ მოდაზედ დაყენე-  
ბულ ორმაგ ტონზურთან მტიერ ნახევარბუშბერაზსა, დიდსა, იგივე ბოდრა ფარა-  
ნელსა, ანუ ლიფლიფელსა, იქთიოფაგთა<sup>1</sup> მედროშესა, მდოგვისა მჭამელთა  
მბრძანებელსა,<sup>2</sup> ყრმათა მწკეპლავსა, ნაცრისა ამფშრუკველსა,<sup>3</sup> მკურნალთა მა-  
შასა და კეთილისმყოფელსა. ცოდვათა უხვად მიმტევებელსა, ჭკუისა და ინდუ-  
ლგენციათა უხვად დამრიგებელსა, კეთილშობილ კაცსა, თავგამოდებულ კათო-  
ლიკესა და ფრიად კეთილმსახურსა. დღისა სამ მეოთხედსა დგას და ვიშვიშებს,  
არცროდის სადმე ქორწილში არ დადის, ამასთან ორმოც სამეფოშიც ვერ იპოვ-  
ნი იმნაირ ქონსატენ ხალინჯ-ჭოროლ-ნემსმახათთა და შამფურთა ხელფუნჩ ოს-  
ტატსა. ექვსი წლისა წინათ ეიყავი კუნძულ უბადრუკზედ, იქიდან იმა ხალინჯ-  
ჭოროლ-ნემსმახათთა მოვლი გროსი, ანუ თორმეტი დუჟინი წამოვიდე და კან-  
დელ ყასაბ-ქონდაქართ ჩამოვურიგე. სუყველა აღფრთოვანებული დარჩა. რო-  
გორც კი დავბრუნდებით, ორსა გიჩვენებ პორტალისა თავზედ ამოშვერილსა. ჭა-  
მითა მემარხულე დამწნილებულ სამანქანთ, ჯაჭვისა პერანგთ, მუზარადთ, ჩა-  
ჩქანთ და ზუჩ-აჩხაბურთ, ანუ ხოჯევთ ნიირთმევს, რისა გამოც ჟამ-ჟამად ძლი-  
ერი ჭყურტითა იტანჯება, შარდვასა ვერ აუდის. გამოჭრილობისა და ფერისა  
მხრივ სამოსელი იმისი ღია ამზიარულებს თვალსა: რუხი და ცივია, არცა წი-  
ნიდანა აქვს რამე. არცა უკნიდან, და უსახელოებოა.

— გულსა ნუ დამაკლებ, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — და ვითარ სამო-  
სელი აგვიწერე იმისი, ჭამა-სმა და ზნე-ჩვეულება, კარგსა იზამ, თუ იმის გა-  
რეგნობასაც, აგებულებასაც და ასოთაც აგვიწერ.

— მიდი, ჩამოარაკრაკე, ხონჯარშეხსნილო, — პრქვა ძმა ჟანმა, — თორემ  
ჩემსა წირვისა კონდაკში უკვე ვიპოვნე; ისა მოძრავ დღესასწაულთა შემდეგ  
მოდის.<sup>4</sup>

— სიამოვნებით, — მიუგო ქსენომანმა. — ისე, ვგონებ, იმის ამბავსა უფრო-  
რე წვრილად იქ მოვისმენთ, კუნძულ უდაბურზედ, სად მსუქანნი ძეხვისა განა-  
გებენ, იმისნი დაუძინებელნი მტერნი, რომელთაც ის მიწყვი ეომება. თუ არა  
ქველი აღებლამე, იმათი დამცველი და კეთილი მეზობელი, ის დიდი, ბოდრა  
ფარანელი მემარხულე კარგა ხნისა წინათ მოსპობდა იმა საწყალოთ.



— რა კბილისანი არიან, ვინ არიან ეგ ძეხვნი — ხვადნი არიან თუ ძუნი, ანგელოზნი თუ უბრალო მოკვდავნი, ქალნი თუ ქალიშვილნი? — დაეკითხა ძმა უანი.

— სქესისა მხრივ მდებარნი არიან, — უპასუხა ქსენომანმა, — თავიანთი ხარისხისდა მიხედვით მოკვდავთ ეკუთვნიან, ზოგ-ზოგი უგვარძნიდოა/ ქალწული, ზოგიც არა.

— ეშმაკმაც მინაცვალოს, უკეთუ იმათ მხარეზედ <sup>ეროვნულნი</sup> ~~ქრისტიანული~~ განაცხადა ძმა უანმა. — ეს რაღა სისაძაგლეა — დიაცთა წინააღმდეგ ბრძოლა? აწვე უკან! პირისაგან მიწისა აღვგავით ის არამზადა!

— ვისა, მემარხულეს შეეება? — შეჰყვირა პანურგმა. — თავში ქვა უხლია, მე არცა ისე ბრიყვი ვარ და არცა ისე ვაჟაკი. Quid juris,\* უკეთუ მემარხულესა და ძეხვთა შუა მოვხვდით? იმათი დიაცმაცუნა დედაც რა ვთქვი! შორს აქედან! მალე, მალე მშვიდობით, უფალო მემარხულევ! ღმერთმა შეგარგოს ის ძეხვნი, ოღონდ სისხლიანთაც ნუ დაივიწყებ.

### თავი XXX

#### პითარ აღწერს ძსენომანნი მემარხულისა გვამსა

— როცა შეეება მემარხულისა შინაგან ასოთ, — წართქვა ქსენომანმა, — იმისი ტვიანი სიდიდისა, ფერისა, სუბსტანციისა და ძალისა მხრივ კაცსა ავონებს (ყოველ შემთხვევაში, ჩემს დროსა ავონებდა) ტვიპის მარცხენა სათესლე ჯირკვალსა.

ტვინისა პარკუჭნი ეღუნ-მაყაშთ მიუგავს.

ჭიანაწლავი — ქოგურთა გასაკვრელ-გამოსაკვრელ ჩაქუნსა.

აპკნი — ბერისა კაპიუშონთ.

ტვინისა შუა ღრმულის ფოსონი — საკირე გეჯათ.

თავის ქალას გუმბათი — დიაცისა ბაბლისა ჩანსა.

ტვინისა ჯირკვალი — გუდასტვირსა.

ხიბლიხვანჯარა, ანუ ყალფალი — ცხენისა საშუბლესა.

ღვრილნი — წულათ.

დაფისა აპკნი — წისქვილისა ქვათ.

საფეთქელთა ძვალნი — ჯიღათ.

კეფა — ქუჩისა ფარანსა.

ძარღვნი — ბუკო.

ნაქი, ენისა კლიტე — გამოსაბერ მილსა.

სასა — მუფელისა ღუმელსა.

სანერწყვე ჯირკვალი — თაღამსა.

ნუშისებრი ჯირკვალნი — ერთმინიან სათვალესა.

ყირანჭა, ანუ საყლაპავი მილი — გიდელ-გოდრულასა.

ხორხი — გოდორ-გოგროხსა.

კუჭი — ყაწიმ-აშურმასა.

კუჭისა ქვედა ხერეღი — კინენსა, ანუ ორთითასებურ ბუნიკიან შუბსა.

\* როგორი [იქნება ჩვენი] სამართლებრივი მდგომარეობა (ლათ.).



სასულე — ცილესა, ანუ დასაკეც დანასა.  
 ხორხი — ერთ მუჭა ძენძსა.  
 ფილტვნი — ჩუღკეცთ, ანუ საკათედრო ტაძრისა მღვდელთა საპატრიარქოს-სარ-  
 ჩულიან წამოსასხამთ.



ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

გული — ომფორსა, ანუ ეპისკოპოსთა მხართ მოსახვევსა.  
 შუასაყარი — წყალსარინ მილსა.  
 პლევერა — სატეხ-ჩქუთსა.  
 არტერიები — ფაცახბეწვიან კაპიუშონიან ტოლამა-საკუხთ.  
 დიაფრაგმა, ანუ შუასაძგიდი — მამლისა ბიბილოსნაირ კაცის ქედსა.  
 ღვიძლი — ორლესულ ჩუგლუგსა.  
 ვენები — სარკმელ-ჭერიტინას ჩარჩოთ.  
 ელენთა — მწყერთა მისატყუებელ სტვირსა.  
 ნაწლაენი — სამფა სათევზაო ხოლიზ-ბადეთ.  
 ნაღვლისა ბუშტი — დაბალისა საფხეკელა-სადრესელასა.  
 გუჯაბ-შიგნეულობა — ხელჯავთ.  
 ჯორჯალი — აბათისა მიტრასა.  
 წვრილი ნაწლაენი — კბალთმძრობლისა გაზსა.  
 ბრმა ნაწლაენი — ფუტა-გულსაფარსა.  
 კოლინჯი — წკეპლისა ჭურჭელსა, ანუ მანეულსა კალათასა.  
 სწორი ნაწლაენი — გამოხარშული ტყავის ტიკსა, რომლიდანაც ბერნი მი-  
 ირთმევენ.

თირკმელნი — მებათქაშეთა ქაფნათ.  
 წელი — დასაკიდ ბოქლომსა.  
 შარდსაწვეთარნი — საათისა დაკბილულ ფირფიტათ.  
 თირკმლისა სისხლძარღვნი — ორსა ოყნისა ბუნისა.  
 სათესლე ძარღვნი — ფენოვან, ცხრაფურცელა ღვეზელსა.  
 წინამდებარე ჯირკვალი — ფროთოვან კოჭობსა.  
 შარდისა ბუშტი — არბალეტსა, ანუ სამალსა.  
 ბუშტისა ყელი — სარეკელასა.  
 მუცლისა ღრუ — ალბანურ ქედსა.  
 მუცლისა აკი — ხელნავ-სამკლაურსა.  
 კუნთნი — საბერველთ.  
 მყესნი — ბაზიერთა ტყავისა ხელსამფართ.  
 იოგნი — ქისა-ჩაზვთ.  
 ძვალნი — ნაზუქთ.  
 ძვლისა ტვინი — გუდა-შულდაკსა.  
 ხრტილნი — შამბნარსა.  
 ლიმფურნი ჯირკვალნი — ჭაჭუა-გველთ.  
 მაცხოვარნი ძალნი — ხელძალუძობასა, ანუ მუშტისა ძალუმ დარტყმასა.  
 სასიცოცხლო ძალნი — შუბლზედ წკიპურტისა კანტიკუნტად კვრასა.  
 ცხელი სისხლი — ცხვირზედ წკიპურტისა უსუსტრად კვრასა.  
 შარდი — ყვითელ მწვალებელსა.

საშვილიერო ასონი — ასეულობით წვრილ ლურსმანსა. მაგისი ძიძა მარ-  
 წმუნებდა, შუა მარხვასთან მაგისი ქორწინებითა მართ ოდენ უამრავი აღვილისა  
 ხვნისართი და რაძოდენიმე ორმაგი მარხვა გაჩნდებოდა.

მახსოვრობა — არტახსა.  
 საღი აზრი — არგანსა.



- წარმოდგენა — ზარუბისა რეკვასა, ანუ დაზარუნებასა.  
 აზრნი — აფრეხილ შოშიათ.  
 შეგნება — ბუდიდან პირველად გადმოფრენილ მართვესა.  
 დანასკვი — ტომარაში ჩაყრილ ქერსა.  
 სინდისისა ქენჯნა — ორმაგი ზარბაზნისა შემადგენელ ნაწილთ.  
 ზრახვანი — გალიონისა ბალასტსა, ანუ სამძიმსა.  
 ვაგებისა უნარი — დაბეულ-დაფლეთილ წირვისა ჯგუფისა.  
 ნიჭი — ლოკოკინათ.  
 ნებისყოფა — ერთ თევშზედ დადებულ სამ კაკალსა.  
 სურვილ-ნიაზი — ექვს ილღია ესპარცეტსა.  
 განსჯა — ფეხსამოსთ.  
 წინდახედულობა — საბუხარსა.  
 ვონება — ბობლან-დაფდაფსა.

თავი XXXI

მემარხულისა ასო-ნასხამთა  
 ანატომია

— რაიცა შეეხება მემარხულისა გარეგან ასოთ, ანუ ასო-ნასხამთ, — განაგრძობდა ქსენოქანი, — ისინი რამდენადმე უფრო თანაზომიერი აქვს, თვინიერ შვიდი ნეკნისა, — ნეკნი სხვა კაცთაგან განუსხვავდება.

- ფერხთა ცერა თითნი სპინეტო მიუგავს.  
 ფრჩხილნი — ბურღთ.  
 ტერფნი — გიტარათ  
 ქუსლნი — კეტთ.  
 ფერხისგულნი — ფარან-ლიფლიფათ.  
 ფერხნი — ფრინველისა ფიტულ-საფრთხულთ.  
 მუხლნი — მერხთ.  
 ბარძაყნი — ბოძაღღთ, ანუ კონდახიან მშვიღღთ.  
 თუძონი — ციბრუტთ.

მუცელი — ჭვინტიან წულასა, ანტიკურ ყაიდაზედ შეკერილსა; ზედა ნაწილში სარტყელგადაჭიმულსა.

- ჭიპი — ძველებურ ხემიან რამ საკრავსა.  
 ბოქვენი — ხინკალსა.  
 ივი, ანუ მამრისა სარტყვინელი ასო — ფოსტალსა.  
 ყვერნი — ბოთლთ.  
 სათესლე ჯირკვალნი — შალაშინთ.  
 შორისი, ანუ მცირე მუნჯისა გამოსავალი — ფლაკოლეტსა.  
 ყითა, ანუ უკანა ტანი — გაწმენდილ სარკესა.  
 ღუნდულნი — ფარცხთ.  
 გავისა ძვალი — ზეთისა ღერვსა.  
 კუდუსუნი — ბილიარდსა.  
 ზურგი — არბალეტ-სამაღსა.  
 მალეპი — ჭიანურთ.  
 ნეკნი — სართავ ჯარათ.





- გულმკერდი — გავალაკსა.  
 ბუჭნი — როდინთ.  
 მკერდი — ორგანსა.  
 ძუძუნი — მწყემსისა საყვირთ.  
 იღლიები — საჭადრაკო დაფათ.  
 მხარნი — საკაცეთ.  
 ხელნი — კაპიუშონთ.  
 ხელისა თითნი — რომელიმე ძმობისა ზედადგარ-სამფეხთ.  
 მაჯანი — ორსა ოჩოფეხსა.  
 იდაყვისა ძვალი — ნამგალთ.  
 ხელისა მტევნები — სამურველთ.  
 კისერი — ჯამსა.  
 ყელი — ავრუხთ, ანუ ღვინისა საწურავსა.  
 ხვინჩ-კვიკვირი, ანუ ყელთან სადა ხშიანობაში ჩაიდრიკება — ხელკასრსა, იგივე საგომელასა, რომელსა ორი სპილენძისა ჩიჩახვი ჰკიდია, ორივე ძალიან ლამაზი და თანაზომიერი; მოყვანილობითა ქვიშის საათსა ჩამოჰკავს.  
 წვერი — ფარანსა.  
 ყბათ შესაყარი, ანუ ნიკაპ-ღაპი — კვახსა.  
 ყურნი — ორსა თათმანსა.  
 ცხვირი — დაბალყელიან ფეხსაცმელსა, რომელსაცა ვიწრო და მაღალი, ამჟერილი ჭვინტი აქვს.  
 პინჩვ-ნესტოები — მონაზონთა ჩაჩთ.  
 წარბნი — შამფურზედ წამოგებული ხორცის წვნისა საწრეტ-სანაჟურე ჭურჭელსა.  
 მარცხენა წარბისა ქვეშე ნიშანი რამა აქვს, მოყვანილობითა და სიდიდით ღამისა ქოთანსა, ანუ ხალან-კავლონსა მიუგავს.  
 წამწამნი — სამსიმიან ვილინთ.  
 თვალნი — სავარცხელთა ბუდეთ.  
 თვალისა ნერვნი — თოფთ.  
 შუბლი — თახ-ჭაშაკსა.  
 საფეთქელნი — საწურავ-ძაბრთ.  
 ღაწვნი — ხისა მაშიათ, ანუ ჯადაგოთ.  
 ყბანი — ჭიქათ.  
 კბილნი — ოროლთ. ერთ-ერთი მაგის სარძევე კბილისა ნახვა<sup>1</sup> კოლენე-ღერუაიოში შევიძლიათ, პუატუში, ორისა კი — ბროსში, სენტოფსა შინა, სამიკიტნოს კარებზედ.  
 ენა — არფასა.  
 პირი — ჩულ-ასაღსა.  
 უშნო, კონჩხო-უგვანი სახე — პალან-კურტანსა.  
 გონჯი თავი — არყისა გამოსახდელი ჩუმა ქვაბის ზარფუშსა.  
 თავისა ქალა — მონადირისა ზინთა-აბგასა.  
 ნაყვავილარი — „მეთევზისა ბეჭედსა“.<sup>2</sup>  
 კანი — მოსასხამსა რასმე.  
 ებიდერმისი — ცხავსა.  
 სახეზედ ამოსული ბაღანი — ფეხსაცმლისა ჯაგრისთ.  
 ტანისა ბაღანზედ ზუსტად იგივე ითქმის.



თავი XXXII

მემარხულისა ზნე-ჩვეულება

— მემარხულე, — განაგრძობდა ქსენომანი, — ბუნებასა ზრეულო რამ მოკლენაა.

თურომ იფურთხება, მაშინ ეს არტიშოკითა სავსე კალათებია.

თურომ ცხვირსა იხოცავს, მაშინ ეს დამარილებულნი კურდღლებია.

თურომ ტირის, მაშინ ეს ხახვში მოხრაკული იხვევია.

თურომ კანკალებს, მაშინ ეს კურდღლისხორციანი დიდრონი დედობურებია.

თურომ ოფლიანდება, მაშინ ეს ვირთევზაა ახალკარაქიანი.

თურომ აბოყინებს, მაშინ ეს კეცტყავა ხამანწყებია.

თურომ ცხვირსა აცემინებს, მაშინ ეს მდოგვიანი კასრებია.

თურომ ახველებს, მაშინ ეს კომშის მურაბისა ქალებია.

თურომ ქვითინებს, მაშინ ეს რამოდენიმე იღლია, ანუ ხორომი წიწმატია.

თურომ ამთქნარებს, მაშინ ეს ბარდისა ხინკლიან-შეჭამანდიანი ქოთნებია.

თურომ ოხრავს, მაშინ ეს შებოლილი ძროხისა ენებია.

თურომ უსტკენს, მაშინ ეს ტყუილებითა გატენალი გუდებია.

თურომ ხვრინავს, მაშინ ეს მთელი დერგი გაჩურჩული ცერცვია.

თურომ კბილთ აკრაჭუნებს, მაშინ ეს ხიწიწ-ხორაეიჭია.

თურომ უბნობს, მაშინ ეს ფაცახი, მქისე, ოვერნული მატყლია და არა ის აღისფერი აბრეშუმში, რომლისგანაც პარისატიდამ ერთხელ თავისი ძისადმი, სპარსეთისა მეფის კიროსისადმი მიმართულ სიტყვათა მოქსოვა მოინდომა.

თურომ ქშინავს, მაშინ ეს ყულაბებია, სად ინდულგენციისა ფულსა ყრიან.

თურომ თვალი რამეზედ რჩება, მაშინ ეს ეაფლი და თაფლია.

თურომ ბუზლუნებს, მაშინ ეს მარტის კატებია.

თურომ თავსა აკანტურებს, მაშინ ეს ტრაკატრუკი, ჩმახვა და მიქარვაა.

თურომ იმანჭება, მაშინ ეს აბდაუბდა გადასკუბდაა.

თურომ სიტყვათ კბილქვეშ ცრის, მაშინ ეს წყლისა ნაყეაა.

თურომ ფეხსა აბაკუნებს, მაშინ ეს მახტის, ანუ ფულადი გადასახდელის ვადისა გადადებაა.

თურომ უკან-უკან ვლის, მაშინ ეს ზღვისა ხოჭოჭინა-ნიჭარები და აღის-კბილებია.

თურომ ნერწყვი ჩამოსდის, მაშინ ეს საზოგადო-სათემო თორნე-ფურნებია.

თურომ ხრიალებს, მაშინ ეს მავრული ცეკვა-შუშპარია.

თურომ ქარსა უშვებს, ყრცოლავს, მაშინ ეს კორდოვული, ანუ ტარსიკონის ფეხსაცმელია.

თურომ იქექება, მაშინ ეს ახალი სამეფო განკარგულებებია.

თურომ მღერის, მაშინ ეს პარკ-კურჩხიანი მუხუდოა.

თურომ უკან გამხიარულებული მოსასაქმებლად გარეთ გადის, მაშინ ეს გოგრები და ხარისფაშვა, ანუ ირმისტუჩა სოკობია.

თურომ ხვნეშის, მაშინ ეს კარაქში ჩაშუშული კომბოსტოა, ანუ caules amb'olif.

თურომ მსჯელობს, მაშინ ეს შარშანდელი თოვლია.

თურომ შფოთავს, მაშინ ეს მიმიფურთხებიაა.

თურომ ვისმე ანგარიშსა უსწორებს, მარტოდენ იმა სოფლად და იმასაც ნატარტუტას უხდის.



თურომ სძინავს, სულ დათარგულებული მაღლარი და დობილო ესიზმრება, კედელზედ აშკებული.

თურომ ოცნებობს, მხოლოდ ნამთავნზედ, ანუ თავნში ნარგებზედ სარგებელზედ.

უჩვეულო მაგალითია: როცა არცრასა იქმს, მაშინ ირჯება; როცა ირჯება, მაშინ არცრასა იქმს. ძილში ფხიზლობს, ფხიზელსა კეხმინჯებს, როცა იწილს თვალგახელილსა, ვითა შამპანურ კურდღელთ, და სულ იმას იშიძვიის, ეძინდ ღამით ის ჩვენი ოდინდელი მტრები — ძეხვები თავსა არ დაგვესხანო. იცინის, როცა იკბინება, როცა იკბინება კი — იცინის. ვითორ მიწყვი უნაწილოა, თუმცა მართ ოდენ შარხულობს, არცროს ცხრაწვენასა არ იკლებს, არადა, მიწყვი უნაწილო ჰგონიათ. ძეხვთ მხოლოდ ოცნებაში წუწნის და ძგნარავს, ღლეუთაც თავის წარმოდგენაში ღლევეს. საცა მაღალი სამრეკლოა, იქა ბანაობს, გომრობით კი ტბორთა და მდინარეთა შიგან შრება. ბადესა ჰაერში შლის და უსაზომოდ დიდსა კიბორჩხალთ იჭერს. ნადირობითა ზღვისა უფსკრულში ნადირობს და ხელიდან არ უსხლტება არცა ნიამორი, არცა არჩვი, არცა ირეში. ბუბერ ბელურათ ბზით იტყუილებს. შიშით ოდენ თავისი აჩრდილისა და მსუქანი შველების ხავილისა ეშინის. ხან არცა ცუდაობასა და ცუდმადობას ერიდება. უყვარს მუცლისა მალმერთებელთა არაწმინდა ნაწილთა გაქილიკება და გაქირღვა. ხტომითა საკუთარ ცხვირზედ მაღლა ხტება. თავისი მსხვილი სტილითა გლუვ პერგამენტზედ ნამისნართ და აღმანახო წერს. გინდა ესა თქვი, გინდა ისა, დიდი ჭამაფიცილა და სმაფიცილაა.

— ყოჩალი ვინმე ყოფილა, ვაჟიბედური! — წართქვა ძმა ჟანმა. — დასტურსა ჩემო ჩანს. სწორედ ეგეთი მჭირდება. აუღგები და დავლურში გამოვიწვევ.

— მართლაც უჩვეულო, შემზარავი რამ აღნაგობისა კაცი ჩანს. უკეთუ კაცობა ეთქმის. — ისიტყვა პანტაგრულმა. — მაგან გონჯიურასა და მახინჯაურას გარეგნობა და ზნე-ჩვეულება მომაგონა.

— ეგენი რაღა გარეგნობისანი იყვნენ? — იკითხა ძმა ჟანმა. — ღმერთი, რჯული, ჩემს ღლეში მაგათზედ არცრა გამიგონია რა.

— აწ ერთ ამბავსა მოგახსენებთ ძველთა იგავთა შიგან ამოკითხულსა, — განაგრძობდა პანტაგრული. — ფიზიხმა (ესე იგი ბუნებამ) ყოვლისა პირველად გააჩინა სიღამაზე და ჰარმონია, ისე გააჩინა, ზორციელი კავშირისთვის არ მიუძართავს, რამეთუ თავად არის უაღრესად ნაყოფიერი და მოსავლიანი. ანტიფიზიხმა, ბუნებისა უხსოვარდროინდელმა მტერმა, მყისვე შეიშურა ესეგვარი მშვენიერი და კეთილშობილი შთამომავლობა და ტელუმონთან შეუღლებულმა იყოლია გონჯაურა და მახინჯაურა. თავი იმათ სფერული და ბურთსაებ მრგვალი ჰქონდათ და არა ორსავე მხარესა ოდნავ შებრტყელებული, როგორაც სუფიკელ ძეხორციელსა; ყურნი — აცქვეტილნი და ვირსაებ გრძელნი; თვალნი — გადმოკარკლულნი, ჩიტისა დეზთა მსგავს ძეხლთა ზედან დაკიდებულნი, უწამწამონი, მაგარნი, როგორაც კიბორჩხალთ; ფერხნი — ძაფისა მორგვებსაებ მრგვალნი; ხელნი — უკან გადაგრეხილნი, სიარულითა კირწი-კორწა, ანუ თავდაყირა დადიოდნენ. განა არ მოგეხსენებათ, ძუ ყაბუზუნა-მაიმუნთ თავიანთნი ნაშიერნი ქვეყანაზედ ყოვლის უფრორე მშვენიერნი ჰგონიათ. ზუსტად ესეგვარადვე აღტაცებული იყო ანტიფიზიხის თავისებით და სულ იმას დამტკიცებას ცდილობდა, ჩემი შვილები ფიზიხისა შვილებზედ ღამაზნი და უამენი არიანო; სფერულნი ფერხნი და თავისი, უზნობდა, სავსებით კანონიერი მოყვანილობააო, ხოლო თავდაყირა სიარული მშვენიერი რამ არისო,



ყოველივე ამაში რაღაც ღვთაებრივიც კიაო, რამეთუ თვით ცა-მყარი და ხილუ-  
ლი სამყაროს სუყოველი მარადიული მოვლენა მრგვალიაო. თავდაყირა სა-  
რული თვითონ ქვეყნიერებისა შემოქმედის მიბაძვავაო; ძეხორციელისა თმა  
ფეხვთ მიაგავს, ფერხნი ტოტთ გვაგონებენო, ხეთათვის კი უფრო მოხერხებუ-  
ლია რომ ნიწაში ფეხვნი ჰქონდეთ გადგმულნი და არა ტოტნიო. ესეგვარად  
ანტიფიზისი იმა დასკვნამდე მიდიოდა, რომ შვილნი მუსხრქუღუჭაღად აზრდი-  
ლი ზისა მსგავსნი. უფრორე ლამაზნი და წარმოსადგენნი ჰქონემ ავი-  
რავეებული ზისა მსგავსნი ფიზისისა შვილნი. რაიცა შეეხება ხელთ, ანტიფიზი-  
სი შემდეგნაირად მსჯელობდა: ხელნი რომ უკანა აქვთ გადაგრებილნი, ეს  
თუნდაც იმად არის კარგი, რომ ზურგი დაუცველი არ უნდა დარჩესო, წი-  
ნიდან ადაშიანის შვილი საკმარისად შეიარაღებულია კბილებით, რომლები-  
თაც არა მარტო ლეჭვა ძალუძს ხელებისა დაუხმარებლად, არამედ ყველაგვა-  
რი მავნებელ-მაზნეუარისგან თავისა დაცვაცაო. აგრე და ამრიგად, მოწმეთ  
ჩვენებაზედ დაყრდნობითა და უვიც-უბირთა მხარდაჭერით, ანტიფიზისმა ბო-  
ლოსა და ბოლოს თავის მხარეზედ გადაიყვანა ყოველნი ტეინპეპელა-ობროდნი,  
ჭკუათხელნი და აღაფრთოვანა ყოველნი გამოტვიინებულნი, ყოველნი გაგებისა  
უნარისა და საღ აზრისა მოკლებულნი. ამისა შემდეგ კი დადგა და შვა ურჯუკნი,  
ქლესა-მლიქნველნი და მუხმუხელანი, არაფრისა მაქნისნი, ცუდმედიდნი, დაუცხ-  
რომელნი კალვინისტნი, ჟენეველნი ცუდლუტნი, ეშმაკეულნი პუთერბეიელნი.<sup>2</sup>  
ათაში ოხერი მსუნაგი, მუცელხორხოცა, თითლიბაზი სიწმინდისა მჩემებელი,  
კაციჭამია, ილაკუზა, ანუ უკუდო ამპარტაუანი და სხვა უმსგავსნი, უსაზურნი და  
დუხჭირნი, არაბუნებურნი არსებანი.

### თავი XXXIII

პითარ შეამჩნია პანტაგრუელმა კუნძულ უდაბურისა  
მახლობლად საშინელი, დუბტი ფიზიქარი,<sup>1</sup> ანუ გველეშაპი

შუადღისას კუნძულ უდაბურისა მიდამოში პანტაგრუელმა უშვერა, დუ-  
ბტი, მაჯლაჯუნა და საზარელი რამ გველეშაპი შეამჩნია: პირდაპირ ჩვენკენ  
მოდიოდა ქშენითა და ქმუტუნით, მთლივ გაფხორილ-გაფოფრილი, ჩვენთა  
ხომალდთა მარსთა ზედან აზეული და ხახიდან იმისთანა დგრიალითა გადმო-  
სდიოდა წყალი, თითქოსდა მთიდან დიდი მდინარე გადმომჩქერვალუბსო. პან-  
ტაგრუელმა ლოცმანსა და ქსენომანს დაანახვა, გაიხედეთ ერთი, აქეთ რა  
მოდისო. ლოცმანისა მინიშნებით „თალამეგაზედ“ საყვირთა ხმა გაისმა: „ფუ-  
რად იხვენ! მიიჯერ!“

ამა ნიშანზედ, მტკიცედ დადგენილი საზღვაო წესისდა თანახმად, სუყო-  
ველი ხომალდი, გალიონი, რაუბარჯი და ლიბურნი საბრძოლო მწყობრში ჩა-  
დგა და გამოვიდა ბერძნული ყ — პითაგრული ასო,<sup>2</sup> რომელსაცა, რაზომ  
თქვენთვის ცნობილია, ცაში წეროთგან გაბმული გუთნეული გამოხატავს და  
რომელიცა სხვა არა არის რა, თუ არა მახვილი კუთხე, და ესეგვარი კუთხისა  
წვერო „თალამეგამ“ შეადგინა, ხოლო მეზღვაურნი სამკვდრო-სასიცოცხლო  
ბრძოლისთვის განემზადნენ. სახეგაბადრული ძმა ჟანა მეჭურვეთა თანა გაბე-  
დული ნაბიჯითა ავიდა ბოგაზედ, პანურგი კი ავიშვიშდა და გულამოხვიანხვით  
ავად აძრახდა.

— ვაიმე, ვაიმე! — იტყებდა, ისე ყვიროდა იგი. — ვიღუპებით და ეგ არს!  
უნდა გავიქცეთ, თავსა ვუშველოთ! ცა დამემხოს, თუ ეგა ლევიათანი არ იყოს,



ქველმა წინასწარმეტყველმა მოსემ რომ აღწერა წმინდა იობისა ცხოვრებასა შინა. ეგა აბებსაებ გადაგველაპავს სუყველასა — ჩვენცა და ჩვენთა ხომალდთაც. მაგას ვეება ჯოჯობეთურ ხახაში იმდენსავე აღვილსა დავიჭერთ, რამდენსაცა წიწაკისა თესლი დავიჭერდა ვირისა ხახაში. აგერა, სად ამოყო თავისი მალე, მალე, ხმელეთსა მივაშუროთ! ჩემის ჭკუითა, ეგა ნამდვილად ის ზღისა უჯ-მაჯურია, რომელსაცა ოდესღაც ანდრომედე უნდა გადაეყლაპა უკვე დაფუჭებულ ქვედა ვაჭებს! ო, არა მინდა რა, ჩვენს შორის ერთი მამაცი პერსეუსი გვამოწყობას დედა უტიროს!

— ის პერსეუსი მე ვარ, — გაესიტყვა პანტაბრუელი. — ნუ გეშინის.

— ღმერთო, დავუიფარე! — შეჰყვირა პანურგმა. — ჯერეთ თვითონ შიშისა მიხეზი აღზოცე! აბა, როგორ არ შეშინოდეს, როცა ამკარა ხიფათისა წინაშე ვარ?

— უკეთუ იბდაგვარი ზედ-იღბალი გაქვს, ვითარ ამას წინათ ძმა თანმა აგ-იწერა, — მიუგო პანტაბრუელმა, — მაშ, აბა ღირსადქებულ ცეცხლისმფრქვე-ველ შზისა ცხენთ უნდა უფროთხოდე, რომელთაც პირთ, ეთ, ეთონი და ფლე-გონი ჰქეით და პინჩ-ნესტოთაგან სულ აღმური ამოსდით. გველუშაპთ კი, რომელნიცა ყურთაგან და ხახათაგან მართ ოდენ წყალსა ანთხვევენ, სულაც არ უნდა ეშიშვოდე. წყალი შენთვის მომაკვდინებულ საშიშროებასა არ წარმო-ადგენს. სტიქიაა ესე უმაღლ დაგიცავს და დაგიფარავს, არცრასა გავენებს.

— ეგ ჯერეთ კიდევ არავინ იცის, — სიტყვა გაუტრიზავა პანურგმა, — შე-კაი კაცო, განა წვლილად არ ჩავიწიგნე ყველაგვარი სწავლა სტიქიათა სახე-ცვალებისა გამო და ისიც არ გითხარი, შეგბობილ-მოხარშულიდან მოხრაკულა-მდის, ანუ მოხალინჯებულამდის სულ რაღაც ერთი ნაბიჯია-მეოქი? ვაი ჩემს თავსა! ავე, უკვე ზედ მოგვადგა! ჩავალ, ქვევით მივფანიერდები. სიკვდილი არ აგვედება. მარსზედ ვერაგ ატროპეს ვხედავ შემომჯდარსა: ახალგაზრდული მა-კრატლითა ჩვენი სიცოცხლის ძაფისა გადაჭრას ეპირება. ფროთხილად! ავე ისი-ცა. ფუ, რა საზიზღებელი ხარ, რა ამაზრზენი! ვინ მოთვლის, რამდენი ვინმე დაგიზრწვია, რომელთაც ამა ამბითა დატრაბახებაც ვერ მოასწრეს! ჯანდაბას, თუთრი ანდა წითელი, კარგი, სათავითათო ძელგი დვინო რომ გადმოსდიოდეს და არა ეს მწკლარტე, აეროლებული მლაშე წყალი, მაშინ კიდევ შეურიგდე-ბოდა და აიტანდა კაცი: იმა ერთი ინგლისელი მილორდისა არ იყოს, რომელსა სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა შემდეგ ნება დართეს, შენ თავად აირჩიე, როგორი სიკვდილი გინდაო, და რომელმან მალვაზიით, ანუ თუთრი დვინითა სავსე კასრში დაზრჩობა აირჩია. ავე! ჰაი, შე ეშმაკეულო, შე სატანავ, ლევია-თანო! დანახვაც არ მინდა შენი, ისე ბილწი და მურტალი რამა ხარ! წა სასა-მართლოში, მოსაჯულესთან, წა, დაეაქარნი მოიხილე!

### თავი XXXIV

#### ვითარ განგმირა პანტაბრუელმა საზარელი გველუშაპი

გველუშაპი ხომალდითა შორის შემოგვეჭრა და ახლომახლო ნავჭურჭელთ იმისთანა კოკურა და კასრისპირული მიუშვა, მიაქივლა და მიაქარახინავა, რაღა ისა და რაღა ეთიოპიაში რომ წილის ჩანჩქერ-ჩაბარუხია, და ყოველ-მხრივ ატყდა სრევა: ზოგი დახვარ-შუბსა სტყორცნიდა, ზოგი კინუნსა, ზოგი სათხედ-ლაბანდაქსა, ზოგი ზუფუნ-გეონსა და ზოგიც ჩუკლეუგსა. ძმა თანი ძალ-



ღონესა არა ზოგავდა. პანურგი შიშითა კვდებოდა, სული კოჭებში ეპარებოდა. ხომალდთა ზედან გაწყობილმა არტილერიამ, ანუ ცეცხლსასროლ საჭურველთა ჯოჯობხეთური ბათქაბუთქი აუყენეს გველეშაპსა, მაგრამ ვერა და ვერ ჩაკლეს შორით ისე ჩანდა, თითქოს ზღვისა უჯმაჯურ-ურჩხულსა მოხვედრილნი დიდ-დიდნი რკინისა და სპილენძისა ჭურვნი იმის ქიცვ-ტყავშიგან მყის დნებოდნენ, როგორაც ცვილისა რამ ლორფინი ანუ კრამიტე მხეხულ მაშინ პანტაგრუელმა, ჩახვდა რა მდგომარეობისა მთელ სიმძიმესსა მკვლამე გამოიღო და ყველას დაანახვა, რისი შემძლეც იყო.

გამიგონია და არაერთ წიგნშიც ჩაწერილია, რომ ვიგინდარა კომოლუსი, რომისა იმპერატორი, ფრიად მცოდინარე მოისარი იყო: ძალდა ხელემაწვდილ პატარა ბავშვთ ისართ თითებშუა გაუტარებდა და არცვის არას ავნებდაო.

გამიგონია ერთი ინდოელი მშვილდოსნისა ამბავიც: სწორედ იმჟამად, როს ალექსანდრე დიდი ინდოეთსა იპყრობდა, ის იმდენად გაწაფულა მშვილდისა სროლაში, კარგა მანძილიდან ნატყორცნ ისარ-ბოძალთ თურმე ბეჭედში აძვრენდა, დადასუმცა, სუყოველი იმისი ისარ-ბოძალი სამი წერთა სიგრძისა ყოფილა და სუფველას იმ სიდიდე და იმ სიგრძე რკინისა განპობილი პირი ჰქონია, რასაცა მოხედებოდა, ფოლადისა მახვილთ, დიდსა და მძიმე, ჯიჯვე ფარ-დარაკთ თუ სქელ ჯავშანთ, ეგრევე ხვრეტდა, ერთი სიტყვით, ვერა უძლებდა რა, რა მკვრივი და შეუვალი რამც გინდ ყოფილიყო.

ათას სასწაულსა ჰყვებიან ონარისა და ხერხიანობისა გამო ძველთა ფრანგთა, რომელთ ისართა ტყორცნაში ბადალი არა ჰყავდათ; თურმე ოდეს დღათა ანდა მცირე ნადირთ დასახოცად სდეედნენ, ნანადირევისა ხორცი უფრო ისად ნაზი, სასიამოვნო, უავადო და გემოიერი იყოსო, ისარ-ქეიბურთ შხამ ბალახსა, ანუ აბუტარატსა უსვამდნენ, ხოლო დაშავებულ ადვილსა გარეშე მოიანად ამოაჭრიდნენ და ამოარიდებდნენ.

უქიათ პართიელნიც: ისინი მიზნისკენ ზურგშექცეულნი უფრორე მარჯვედ ისროდნენ, ვინემ სხვანი, მიზნისკენ პირშექცეულნიო. თავიანთი მოხერხებულობითა ყოველთა კაცთ აღაფრთოვანებდნენ აგრეთვე სკვითნი: იმათა დესპანმა ოდესღაც კრინტდაუძვრელად მიართვა სპარსეთის მეფესა დარიოსს ჩიტი, ბაყაყი, თაგვი და ხუთი ისარი; როცა ჰკითხეს, რასა ნიშნავს ძღვენი ესე და სიტყვიერ გადმოსაცემად ხომ არაფერი დაუბარებიათო, მან უპასუხა არაო, რამაც დარიოსი კარგა ძალზედ განაცვიფრა და შეაცბუნა, ხოლო ერთმა იმა შვიდთა მისთა მხედართუფროსთაგანმა, რომელთაც მოგვნი ამოხოცეს, ვინმე გობრიაამ, ესეგვარად აუხსნა და განუმარტა მეფესა: „მაგ საბოძერითა და მოსაკითხითა სკვითნი როგორღაც გეუბნებიან: „უკეთუ სპარსნი ჩიტებსაუბცაში არ აფრინდებიან ანდა თაგვებსაუბ მიწაში არ ჩაძვრებიან, ანდა ბაყაყსაუბ ტბორთა და ჭაობთა შიგან არ ჩაიმალებიან, სუყოველთ სკვითურნი ისარნი მოუღებენ ბოლოსაო“.

ქველი პანტაგრუელი, ფიცი და მტკიცე არ უნდა, პირველი იყო ტყორცნისა ხელთუნებაში, რამეთუ თავისი საზარელი ზუფუნ-სათხედებითა და ლაბვარ-შუბებით (რომელნიც სიგრძით, სისქით, წონითა და რკინისა მოჭედდობით კაცთ იმა უშველებელ ჯირგვალთ, ანუ თავზე-კოჭთ ავონებდნენ, ხილნი რომ უჭირავთ ნანტში, სომიურში, ბერჟერაკში, აგრეთვე ზარაფთა ხიდი და მეწისქვილეთა ხიდი პარიზსა შინა) იგი ათასი ნაბიჯისა მანძილზედ ხამანწვიან ნიჟარათ გადაკუჭავდა, გადახსნიდა, საგდულთ არ წამოსდებდა, სანთელსა პატრუქისა ნამწვსა წააცლიდა, სანთელსა არ ჩააქრობდა, კაჭკაჭსა შიგ თუაღში გაართყამდა, ჩექმასა ძირსა გააძრობდა, თვითონ ჩექმასა არ გააფუჭებდა,



ქუდსა ძალარას, ანუ ბეწვსა გააცლიდა, თვითონ ქუდი მთელი რჩებოდა, ძმა  
 ენისა წირვისა კონდაკსა სულ ფურცელ-ფურცელ გადაშლიდა, ერთი რა არის,  
 ერთი ფურცელიც არ დაეხეოდა და არ დაეფლითებოდა.

ხომალდზედ ესეგვარი ლახვარ-შუბები პანტაგრუელსა საქმარისზედ მუ-  
 ტი ჰქონდა, და ერთ-ერთითა შეუტია თუ არა გველეშაპსა, მაშინვე შუბლი  
 შუაზედ გაუპო და ორივე ვბა ენიანად განუგშირა, აგრერივად განგშირულ-და-  
 კოდელ ურჩხულ-მაჯლაჯუნასა კი არცაღა ხახისა დაღება მძლედაც არცაღა  
 ფლაპეა, არცაღა წყლისა გამოშვება. მეორე შეტევაზედ მარჯვენა თვალი ამო-  
 უგდო, მესამეზედ — მარცხენა, და სახტად დარჩენილ ყოველთა კაცო გველეშა-  
 პსა შუბლზედ ოდნავ წინგადმოხრილი სამი რქა დაუნახეს, რომელთაგან ტოლ-  
 გვერდა სამკუთხედი წარმოქმნილიყო, თვისონ გველეშაპი კი, გაბურბუსაღე-  
 ბულ-დარეტიანებული, დაბრმავეებული, სასიკვდილოდ დაღახვრული საცოდა-  
 ვად ფართხალებდა, ხან ერთ გვერდზედ გადატრიალდებოდა, ხან მეორეზედ და  
 ძაგძაგსა აეტანა.

პანტაგრუელი ამით არ დაკმაყოფილებულა, ახლა კუდში სტყორცნა გველე-  
 შაპსა ლახვარი, რომელიცა უკან გადაიხარა; მერმე კიდევ სამი ლახვარი ისე-  
 თნაირად სტყორცნა ზურგში, რომ სამივე შვეულად დაღვა ერთმანეთისგან  
 თანაბარ მანძილზედ და მთელი სივრცე გველეშაპისა კუდსა და დინგს შუა  
 ესეგვარად ითხ ტოლ ნაწილად დაიყო. უკანასკნელ მან ერგასი ლახვარი ჩა-  
 ასო ერთ ფერდში და ერგასი მეორეში, რამაც გველეშაპისა ტანი სამანძიან  
 კალიონისა ხერხემალს დაამსგავსა, რომლისა კილო-ჭღუთა შიგან ეს თავზე-  
 კოჭისდა დარი უამრავი ლახვარი ესო, — ტყუილია, ის რომ სანახავი იყო.  
 ბოლომოდებული, სულამომდინარი გველეშაპი, როგორაც სუყოველნი ჩამ-  
 დრძვალნი წყლიერნი, გულადმა ამოტრიალდა, და აწ უკვე ამოყირავებული,  
 წყალქვეშ მოქცეული თავზე-კოჭებით დახუნძლული, სკოლოპენდრასა ჰგავ-  
 და, ანუ ასფეხა გველსა, როგორსაც იმას ძველი ბერძენი ნიკანდრე აღწერს.

თავი XXXV

პითარ გადავიდა პანტაგრუელი კუნძულ უდაბურზედ, კენკითა  
 კველთუკველეს საცხოვარზედ

ფარანელთა, ანუ ლიფლიფელთა ხომალდისა მენიჩბე-მეხოფეთ გაბო-  
 ჭილი გველეშაპი ხმელეთზედ, უდაბურად სახელდებულ კუნძულზედ გაათრიეს,  
 რათა გამოეწვლათ, გამოეშიგნათ და თირკმლისა ქონი ამოეცლიათ, რომელი  
 ქონიცა ნამეტნავად სავარგსაჭიროდ ითვლებოდა „უფულობის“, იგივე „ქესა-  
 ტობისა“ სახელითა ცნობილი მაყანი სენისა სამკურნალოდ. პანტაგრუელსა  
 გველეშაპისთვის მაინცდამაინც გამორჩეული ყურადღება არ მიუქცევია, ვი-  
 თარმედ ვალიისა თკეანეში უფროისად დიდნი გველეშაპნიც ენახა. კუნძულ  
 უდაბურზედ გადასვლა კი იმად მოინება, რა არი ყოველნი მისნი კაცნი, ვინცა-  
 ვინ ბილწ გველეშაპს გაეწუწა და ამოესვარა, გამშრალიყვნენ და დანაყრებუ-  
 ლიყვნენ, და ასე იყო თუ ისე, ისინი ერთ პატარა უკაცრიელ ნავსადგურსა მი-  
 აღვნენ, რომელიცა კუნძულისა სამხრეთ განაკიდეს მდებარეობდა ხშირი და  
 ატეხილი, ჩამყუდროებულ-ჩადეღებული ტყისა პირას, სად სათავე დაედო  
 თულწარმტყვევებელ, ნელიად მდინარ, ანკარა, ვერცხლებრივ მბრწყინავ ნაკა-  
 დულსა. სწორედ აქ დასცეს კარავნი, გამართეს საველე სამზარეულონი და



მოგეცათ ლხენა, იმათ შუშა დაუნახებლად შეუკეთეს ცეცხლსა, რის ყოველთ, ზოგმა რა და ზოგმა რა, გადაიცვ-გადმოიცვეს, საცმელი გამოიცვალეს, ძმა უანმა ზარსა ჩამოჰკრა, ამა ნიშანზედ ტაბლა ტაბლასა მიაღგეს და მკვირცხლად გაშალეს სუფრა.

მეორე ჯერისთაჲი რომ მოიღეს, თავის კაცთა თანა მხიარულად მოხადილუ პანტაგრუელმა შეამჩნია, რომ რამოდენიმე დახელისეჭულუ ქატერა შიგნითათი, ანუ ძეხვუნა, მაღალ ხეზედ უჩუმრად მიცოცავდნენ და მომდევნებისა ქვეშაც გეჯაში ღვინიანი ბოთლები და წაფურა-კათხები იყო თვალსა მოფარებულნი.

— ეს რა ნადირნი არიან? — ჰკითხა პანტაგრუელმა ქსენომანსა.

ის ჰკონებდა, ესენი უცილოდ ციყვნი, ქრცვიინნი, კვერჩხანი და ყარყუმნი არიანო.

— ეგენი ძეხვებია, — განუძარტა ქსენომანმა — ჩვენ კუნძულ უდაბურზედ ვიმყოფებით, რომელზედაც ამ დილითა გელაპარაკებოდით. ესენი და მემარხულე, ეშმაკი და ამათი ძველი მტერი, ოდითგან სამკუდრო-სასიცოცხლოდ ეომებიათ ერთმანეთსა. ვგონებ, გველემძაპსა სროლა რომ ავუტეხეთ, იმან დააფრთხო ძეხვნი, და ამათ წარმოიღვინეს. ის ჩვენი ძველი მტერი თავის ლაშქართა თანა თუ დაგვესხა თავსაო, რათა მოულოდნელად დავეპყართ ანდა კუნძული დაერბიაო, რაც ადრე არაერთხელ უცდია მემარხულესა, მაგრამ ვერ წარმართებულა, რამეთუ ძეხვთა გულმოღვინეობასა და სიფხიზლეს აწყდებოდა კინაიდან და რადგანაც (ვითარ ოდესღაც დიღო ეუბნებოდა ენეასის თანამგზავრთ, რომელთ არცრა ჰკითხეს, არცრა შეუთანხმეს და ისე აპირებდნენ კართაგენის ნავსაყუდელში შესვლასა) მოწინააღმდეგისა ძნაცვა-ვერაგობა და იმისი სამფლობელოს მომიჯნავეობა მიწყვიტ გუშაგად დგომასა და მზად ყოფნას გვაძულებს.

— ყური მივდე, ძვირფასო ფიცვერცხლნაჭამო, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — უკეთუ ამა ომისა შეწყვეტისა და მტერთა დაზავებისა რამე ხერხი უწყვი, მითხარი. ძალ-ღონესა არ დავიშურებ, ყველაყასა მოვიღონისძიებ, რომ მოწინააღმდეგენი დავაშოშმინო და ერთმანეთში ჩხუბისა მიხეზი მოვუსპო.

— ამჟამად ეგ შეუძლებელი საქმე მგონია, — წართქვა ქსენომანმა. — თხთხის წინათ აქეთ, კუნძულ უდაბურზედ და კუნძულ უბადრუკზედ გზად ვიყავი და ჩემსა მოვალეობად ჩავთვალე ამათ შორის უშვიდობიანობისა ჩამოგდება, ყოველ შემთხვევაში ხანგრძლივი დაზავება მაინც, და, თქმა არ უნდა, იმის მერე კეთილად იმეგობრებდნენ და იმეზობლებდნენ, მაგრამ ერთ მუხლში ვერა და ვერ შევთანხმე, და არცა კიდევ თავ-თავიანი მოთხოვნაზედ ამბობდნენ უარსა. მემარხულე ვირზედ შეჯდა, არაფრით არ ინდომა საზავო ხელშეკრულებაში ამა ძეხვთა ძველთა მეგობართა და მოკავშირეთა, ანუ ტყვეში მცხოვრებ სისხლიან ძეხვთა და მთისა სოსისთა ჩართვა. ძეხვნი კი თავს იხიციავდნენ, განდა თუ არა, ციხე-სიმაგრე ყაყეთი და ციხე-დარბაზი მლაშეთი ჩვენს სრულ განკარგულებაში უნდა გადმოგვეცესო, თანაც ყველას გამოვრათა ითხოვდნენ, ვინცა იქ ოხერი და მამაძაღლი, მკვლეელი და ყაჩაღი აფარებდა თავსა. მოკლედ, ბევრი იდავიდარაბეს თუ ცოტა, არა გამოვიდა რა, ვერცრაზედ შეთანხმდნენ, რამეთუ საზავო ხელშეკრულებისა სუყოველი პირობა უსამართლოდ ეჩვენებოდათ. ხელშეკრულებასა ხელი არ მოაწერეს. ისე, ყოველთვე ამისა შემდეგ, მემარხულეცა და ძეხვნიც ცოტა მოლბნენ, წინანდებურად დაუძინებლივ არღა მტრობდნენ ერთმანეთსა, მაგრამ კესელის ადგილობრივმა კრებამ ძეხვნი, ანუ როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, შიგნითათნი რომ ამხილა,



შეარცხინა და დაგმო, შემარხულეს კი თითი დაუქნია, ჩვენგან ვანიკვეთები, უკეთუ ძეხვთ შეეკერი ანდა რამეზედ შეუთანხმდები და თავსა შეირცხვენ, გა-  
 იუწმინდურებო, ამან ორივე მხარე სასტიკად გააშმაგა, გააცეცხლა, გააგვა, ორ-  
 სავე მხარეს ბრძოლისა უინი გაუღვივა, და, ტყუილია, აღარა ეშველებათ, რა-  
 ციცა-კატანი და თავენი ანდა ძაღლნი და კურდღელნი უფრო აღვიღოდ შესა-  
 რიგებულნი არიან, ვინემ ესენი.

ეროვნული  
 გიგლიცოთუა

თავი XXXVI

ვითარ ჩაუსაზრდნენ მასინვარე უღაბურელნი კახენი  
 პანტაპრუელსა

სანამ ქსენომანი თავის სათქმელსა უბნობდა, ძმა უახმა შეამჩნია, რომ  
 ასე ოცდახუთი თუ ოცდაათი გერგე, ანუ ასაკმცირე და ტანადი ძეხვი, ესე  
 იგი იგივე შიგნითათი თუ ჭიჭნაგური, ნავსადგურიდან თავიანთი შებოლილი  
 ქალაქის, ციხე-სიმაგრის, ციხე-დარბაზის და გოდოლ-კომკისა მიმართულე-  
 ზით გაეჩქარა, და პანტაგრუელსა მიუთხრო:

— აწ ნახავ, რა თვალისა სუირი დაიწყოს. ამა დარბაზისელ ძეხვთ ვაითუ  
 შემარხულე ჰგონიხარ, დაღათუმცა, სად შენა და სად ისა. მოვრჩეთ ახლა პუ-  
 რისა ჭამასა და თავისა დასაცავ სამზადისსა მივყოთ ხელი!

— მართალი ბრძანებაა, — წართქვა ქსენომანმა, — ძეხენი ნიადაგყამ ორ-  
 პირნი არიან, ძმაცვა მოსდგამთ.

მაშინ პანტაგრუელი სუფრიდან წაზოდგა და ახლომახლოში გავიდა, შე-  
 მოგარუნსა მოვათველიერებო, მაგრამ ძაღვეე მობრუნდა და გვაცნობა, მარც-  
 ხნივ საფარ-საჭურეში ნასუქნი. ზაპა ძეხენი სხედანო, მარჯვნივ კი, იმათგან  
 ნახევარშილისა სავალზედ, მარხე, ანუ მძლე, ჯანიან ბუმბერაზ ძეხვთა რიცხვ-  
 მრავალი გუნდი ბექობ-ბექობ ეშვება და გამალებითა ჩვენკენ მოიწევსო, თან  
 შესაკრავენი მოსდევენ და გამამხიარულებლად ახმიახებენ არაერთ გუდასტვირ-  
 სა და ფლაყოლეტსაო, სოინარ-სალამურსა და ნესტვსაო, ასოსრასა, ანუ ვე-  
 რცხლისა საყვირსა, ფლეიტასა და დაფდაფსაო, ქოს-ნაღარასა და სპილენჭუ-  
 რსაო.

პანტაგრუელსა ყველა ერთად სამოცდათვრამეტი დროშა დაეთვალა, რისა  
 კვლობაზეც მტრისა ლაშქრისა რაოდენობა განვსაზღვრეთ: სულ ცოტა, ორ-  
 მოცდაორი ათასი მაინც მოდიოდა. იმისდა მიხედვით, თუ რა სანიმუშო წეს-  
 რიგი ჰქონდათ, რა მტკიცე ნაბიჯი, რა გულდაჯერებული გამოხედვა, აწ აღ-  
 ვილი მისახვედრი იყო, რომ ახალწვეული არცვინ ერიათ, სულ ძველნი ნა-  
 მსახურნი და დღემოჭმულნი ჯარისკაცნი იყვნენ. პარველ რამოდენიმე მწკრი-  
 ვში დროშებისა ჩრდილქვეშ მოძავად სრულად აღჭურვილ წინამბრძოლით  
 ხელთ მოკლე, როგორაც შორით მოგვეჩვენა, მაგრამ სამაგიეროდ ბასრნი,  
 ახალპირალესილნი ლახვარნი ეჭირათ. იმათ ორივე ფრთა-ფლანგიდან ტყისა  
 მკვადრ სისხლიან ძეხვთა, სქელ ხბოს შიგნითათ-ჭიჭნაგურთა და სოსისთა,  
 ჯრეტვე ცხენთა ზედან ამხედრებულ სოსისთა აურაცხელი ოდენობა იცავდა:  
 სუყოველნი ბრგე-ახვირაგნი, გულადნი, პირმედგარსა, კუნძულელნი.

პანტაგრუელი ძლიერ შეფიქრიანდა, და მიზეზიცა ჰქონდა. თუმცა ეპის-  
 ტემონი უმტკიცებდა, ძეხვთა ქვეყანაში, ჩანს, ესევეთარი წესი და რიგიაო,  
 გარმიანელ, უცხოქვეყნელ მეომართ საომარ აბჯარ-აბგარში ჩამსხდარნი ხვდე-  
 ბიან და მასპინძლობენო, ფრანგ მეფეებსაც აკი ავრე ეგებებიან, რაჟამსაც ის-



ინი მეფედ კურთხევისა და ტახტზედ ასვლისა შემდეგ თავიანთ ხელქვეით გამოჩინებულ ქალაქთა შინა პირველად გამოჩნდებიან ხოლმეთ.

— ვინ იცის, — განაგრძო ეპისტემონმა, — იქნებ სულაც აქაური დედოფლისა საკუთრეული, პირადი მხედრობაა, ანუ ხასისა ჯარი წელან ხეზედ რომ დაინახე, შესაძლოა, იმა ვერგე, ანუ ასაკმცირე ნზირ ძეხვთ აუწყეს ჩვენთა ხომალდთა დიდებული და ბრწყინვალე ქარაუნისა ქაჩუქსნდუქურში შემოსვლა. იმანაც ვინებისა თვალთა წარმოიდგინა, რა მსმღწმნისა ქა სიძლიერის ხელმწიფეცა ბრძანდები და შესახვედრად იჩქარის.

პანტაგრუელი ამა აზრსა არ დაეთანხმა და საბჭო შეკრიბა, რათა ერთობლივ გარდაეწყვიტათ, ვითარ ემოქმედათ ეგზომ ძნელ ვითარებაში, როს საიმედო არცრა ჩანდა და ხიფათი აშკარა იყო.

მან თვისთა მრჩეველთათვის მოკლედ სცადა იმის დამტკიცება, რომ შეიარაღებული შეხვედრისა ესეგვარ ილეთ-მანქანებაში კეთილგანწყობილებისა და მეგობრობის მომიზეზებითა არაიშეიათად სიკვდილისა საშიშროება იმაღვის.

— აგრე ამოხოცა ერთხელ იმპერატორმა ანტონინუს კარაკალამ ალექსანდრიელნი, — განაგრძობდა იგი. — მანვე მოსრა აგრეთვე სპარსეთისა მეფის არტაბანეს ამაღლა-კურძობა: თავი სასიძოდ გაასაღა, ვითომ მეფისა ასული ცოლად უნდა შეერთო. თუმცა ბორბტება ესე დაუსჯელი არ დარჩენილა — არ გასულა დიდი ხანი და ის თავად მოაკვდინეს. ზუსტად აგრევე აიკლეს სიქემი იაკობის ძეთ, თავიანთი დის დინას მოტაცებისა გამო შურისმგებელთ. ამაკ ვერაგული ხერხითა ამოჴლიტა კონსტანტინოპოლელნი მოსაგრენი ვალიენუსმა, რომისა იმპერატორმა. ზუსტად აგრევე, მეგობრობისა ნიღბით, მიიტყუა თავისთან ანტონიუსმა სომეხთა მეფე არტავაზდი, შეაბორკვინა, ზალვანა დაადებინა და ბოლოსა და ბოლოს ამოიბალიშა, სული ამოხადა. ძველთა მატაანეთა შიგან ბევრ მსგავს შემთხვევასა მოიძიებს კაცი. ჯერეთ კიდევ დღესაქამომდის სავსებით ღირსეულად ასხამენ აზმა-ქებასა ფრანგთა მეფის შარლ მეექვსის წინდახედულობასა: ოდეს იგი ფლამანდელთა და გენტელთა ზედა წარმართებული თავის გამოჩინებულ ქალაქ პარიზსა შინა ბრუნდებოდა, ბურჟეში ამბავი დახვდა, ოცა ათასამდე ხელუროიანი პარიზელი (რისთვისაც უროსმცემელნი ეწოდათ) შენს შესახვედრად ქალაქიდან სრული საბრძოლო წყობითა დაიძრაო, და მაშინ მან შეუთვალა, ჩემი ყეხი არ იქნება მანდ (თუმცა, პარიზელნი ეფიცებოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმად ვართ შეიარაღებულნი, რომ გამორჩეული პატივი მოვაგოთ, როგორაც ერთგულმა და პირუთვნელმა ხალხმაო); ვინემ შინ არ წახვალ-წამოხვალთ და არ განიარაღდებითო.

### თავი XXXVII

ვითარ გაგზავნა პანტაგრუელმა თვისნი კაცნი მხედართმომკვართა დასაკახებლად, რომელთაგან ერთსა კახვა მკვეთელი მრკვა და მორმისა — სოსისა მკუფველი, აქავ იგი ყურადსაღებად უზნობს საკუთარ სახელთა გამო

ბევრი ბჭეს თუ ცოტა ბჭეს, საბჭომ სავინიცობოდ, ანუ საეგებისოდ, მხედროფნა დაადგინა. პანტაგრუელმა კარპალიშსა და ვიმნასტსა მაშრაფიანი ხომალდისა მეომართა (რომელთ ძეხვა მკვეთელი მეთაურობდა) და აგრეთვე იმა-



თი შეკრება დაავალა, ვოდრიან ხომალდზედ რომ მეომარნი იყვნენ (რომელთა მწაწვილკაცი სოსისა მკუწველი მეთაურობდა).

— გიმნასტიკისა მაგიერად მე წავალ, იმათ მე დავუძახებ, — თავი გაიმობხა-  
ლისეკა პანურგმა. — ესა აქ დაგჭირდებათ.

— ჩემსა ანაფორას ვუიციავ, — აძრახდა ძმა ჟანი, — ბრძოლისა ველიდან  
გარბიხარ, შე მრუშო, შენა! პატროსნებისა მზემან, შენ უკეთესი მჭრელებელი  
აღარა ხარ. ჯახდაბას, თუმცალა დიდსა ვინმესა არ დაგჭირდებოდა შენც  
შორშოფი, ანუ გიჟური ტყება-ტირილი უნდა დაგეწყო და კარგ ჯარისკაცთაც  
გულსა აუცრუებდი.

— მობრუნებითა უსათუოდ მოვბრუნდები, ძმაო ჟან, ჩემო სულიერო მა-  
მაო, თანაც კიდევ ძალიად, — მიუგო პანურგმა. — თღონდ ამა გათახსირებულ  
ძეხვთ უთხარი, ხომალდთა ზედან ამოსვლა არ გაბედონ. ბრძოლისა ეამსა,  
მუძღრწუნებელი ჯართუფროსის მოსესი არ იყოს, ისრაელის ხალხისა ბელა-  
დისა, ღმერთსა თქვენთვის ძღვევისა მონიჭებასა შევევედრები.

— ის ამბავი, რომ ბრძოლისა მეთაურობა ჩვენსა ორსა მხედართმთავარსა  
ჩააბარე, ძეხვა მკვეთელსა და სოსისა მკუწველსა, უკეთუ ძეხვთ ჩვენთან შებ-  
მა მოიპრიანეს, მხნეობასა და ძღვევის რწმენასა გვინერგავს, — მიმართა პანტა-  
გრუელსა ეპისტემონმა.

— ჩემი განკარგულება სწორად გაგიგია, — მიუთხრო პანტაგრუელმა, —  
გამოცანა გერგება, რომ ჩვენთა მხედართმთავართა სახელთა კვალობაზედ  
ჩვენსა გამარჯვებასა წინასწარმეტყველებ. — სახელთა მნიშვნელობისდა მიხე-  
დვით წინასწარჭკვრეტისა ზერხი ახალი ხილი არ არის, ჯერეთ კიდევ პითა-  
გორელნი იცნობდნენ კარვად და ნიადაგ მიმართავდნენ. ძველსა დროში ამა  
ხერხსა ამკარად თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ შერაცხილნი. ანუ საჩინო  
პირნი და იმპერატორნი. ოქტავიანე ავგუსტუსი, რომისა მეორე იმპერატორი,  
ერთხელ გლეხსა ვისმე გადაეყარა სახელად ევტიხის, რაიცა სვიანსა ნიშნავს.  
გლეხსა სახელარი მოჰყავდა სახელად ნიკონი, რაიცა მძღვეელსა უდრის.  
მესახედრისა და სახედრისა სახელთა მნიშვნელობამ ფრიად გააოცა იგი, და  
მან ირწმუნა თავისი ბედსვიანობა, თავისი ვარსკვლავ-ვეტი, თავისი საქმისა  
მარჯად, მარჯვედ მოსვლა, ანუ გამარჯვება. რომისა იმპერატორი ვესპასიანე  
ერთგზის სრულიად მარტოდმარტო ილოცვიდა სერაპისის ტაძარში; ოდესცა  
უღუმელ-მოულოდნელად თავისი მსახური გამოეცხადა სახელად ბასილიდი.  
რაიცა სამეუფოს ნიშნავს (ის თან არ ჰყოლია წამოყვანილი, შინ დატოვა სნე-  
ული, იქიდან შორსა), უმაღ იმედი და რწმენა გაუჩნდა, რომისა იმპერია მე  
დამრჩებათ. რეგილიანე მოსაგრეთ იმპერატორად აირჩიეს არა სხვა რამისა  
გულისთვის, არამედ იმისი სახელისდა მნიშვნელობისა გამო! აქავ დაგისახე-  
ლებთ ღვთაებრივი პლატონისა კრატელეს.<sup>3</sup>

— ჩემსა ჭყურტ-წყურვებასა ვუიციავ. მაგას ისე ხშირად ახსენებენ, წაკი-  
თხვა მომინდა, — წართქვა რიზოტომმა.

— გაიხსენეთ, სახელთა და რიცხვთა კვალობაზედ ვითარ დაასკვნეს პი-  
თაგორელთ, რომ პატროკლე მოაკვდინა ჰექტორმა, ჰექტორი — აქილევსმა,  
აქილევსი — პარისმა, პარისი — ფილოქტეტემ. უბრალოდ მაოცებს პითაგორას  
უჩვეულო მიხვედრილობა: იმისდა მიხედვით, მარცვალთა ლუწ თუ კენტ  
რიცხვთ შეიცაუდა ადამიანისა სახელი, იგი ეგრევე საზღვრავდა, რომელი ფე-  
ხითა კოჭლობდა ის ადამიანი, რომელი თვალთა იყო ჭკრიტი, ანუ ელამი,  
რომელ მხარესა ჰქონდა იმას ავი ქარი ცემული, რომელი მხარე დადამბლა-  
ვებოდა, რომელ მხარესა აწუხებდა პლეურიტი და სხვა ბუნებური ავადობანი:



ესე იგი მარცვალთა ლუწი რიცხვი სხეულისა მარცხენა მხარისა გაგონჯება-  
დაზიანებულობაზედ შეუთითებდა, კენტი — მარჯვენისა დაზიანებულობაზედ,  
— დამიჯერე, — წართქვა ეპისტემონსა, — თავად ვიყავი მოწმე მსგავსი  
რამ ცდა-საცადისისა სენტში საზეიმო პროცესიისა უახსია, რომელ პროცესი-  
აშიც მონაწილეობდა უკეთილესი, უქველესი, უგანსწავლულესი და უსამართლი-  
ანესი წინამძღოლი ბრიენ ვალე, ანუ სენიორ დიუ დუროს უფროდით კოჭლი  
კაცი ან ქალი, ელამი კაცი ან ქალი, კუზლარა-კუზიბმსკის ქალი ჩაუვლი-  
და, იმას სახელთ ეუბნებოდნენ, ჩაელილთაგან ვის რა ერქვა. უკეთუ ამა თუ იმ  
სახელთა მარცვალნი კენტი რიცხვსა შეადგენდნენ, ისა ზედაც არ უყურებდა,  
ისე საზღვრავდა, ეგენი მარჯვენა თვალთა არიან ელამნიო, მარჯვენა ფე-  
ხითა კოჭლობენო და კუზი მაგათ მარჯვნივ აქეთო. ხოლო რიცხვი თუ ლუ-  
წი გამოდიოდა, მაშინ გაგონჯებულ-დაზიანებულად მარცხენა მხარესა ასახუ-  
ლებდა. და ყოველთვის ზუსტად გამოიცნობდა ხოლმე, შეცდომა ერთხელაც  
არ შეგვიძინებია.

— მსგავს დანასკნთა კვლობაზედ, — ისევე აძრახდა პანტაგრუელი, —  
სწავლულნი კაცნი ამტკიცებენ, დახოქილი აქილევსი პარისისა ისარმა მარ-  
ჯვენა ქუსლში დაჭრა, რამეთუ იმის სახელში მარცვალთა კენტი რიცხვიით  
(აქავ უნდა შევნიშნო, რომა ძველნი მარჯვენა მუხლზედ იხოქებდნენ); ვენერა  
დიომედემ ტროასთან მარცხენა ხელში დაკოდა, ვითარმედ იმისი ბერძნული  
სახელი ოთხი მარცვლისგან შედგება; ვულკანუსი ამავე მიზეზითა კოჭლობს  
მარცხენა ფეხითა; ფილიპე, მაკედონიისა მეფე, და პანიბალი მარჯვენა თვა-  
ლითა იყვნენ ელამნი. ეგევე პითაგორული ხერხითა შეგვიძლია იმის განსა-  
ზღვრა, ვის სადა აქვს საჯდომის ნერვისა ანთება, თიაქარი, ანუ ფუშისა ქა-  
რი, შაკიკი.

დაღათუშცა, სახელთ მივმართოთ: ალექსანდრე დიდმა, ფილიპე მეფისა  
ძემ, რომელზედაც უკვე ვიუბნეთ, თავისას ოდენ სახელის თარგმანებისა  
წყალობითა მიადწია. იგი გარშემოადგა კარგად გამაგრებულ ქალაქსა ტიროსს  
და უკვე ზედიზედ რამდენიმე კვირიაკე ალყასა არტყამდა, მაგრამ წარუმატე-  
ბლად. ვერას გაზდა ვერცა ძირგამომთხრელობითა და ვერცა კიდევ კდელთა  
დამანგრეველი იარაღითა, ანუ ფილაკვან-უშტეკავანითა. ტიროსელნი ყოვე-  
ლივესა წამსვე კვალად აგებდნენ და აღადგენდნენ. ალექსანდრე დანადვლიან-  
და, იფიქრა, სამხედრო ვითარება ესე ოდენ ბრწყინვალეებასა მოაკლებს სახელ-  
დიდებასა ჩემსათ, და ალყის მოხსნა გადაწყვიტა. ერთხელაც, დაბნეულსა და  
გულნატკენსა ჩაეძინა. იძილისშორისა, რომ კარავსა შიგან იმასთან თხაფეხა  
სატირი ხტოდა და რიკავდა. რამდენჯერმე წაეტანა ალექსანდრე, დაჭერა უნ-  
დოდა, მაგრამ სატირი არ ნებდებოდა, ხელიდან უსხლტებოდა. ბოლოს მეფე-  
მან მაინც დაიჭირა. აქა გამოელვიდა და საზმარი თვისა თანმხლებელ ფილო-  
სოფეს და სხვა სწავლულ კაცთ უამბო, ყველანი შეთანხმდნენ, რომ ღმერთ-  
ნი მეფესა ძღვევასა უჭამნიკებდნენ და ტიროსი მალე დაეცემოდა, ვინაიდან სიტყვა  
Satyros თუ ორ ნაწილად გაიყო, გამოუა Sa Tyros, რაიცა ნიშნავს: ტიროსი  
შენია. მართლაც, შეუტიეს თუ არა, ქალაქი დანებდათ და სრულიად  
ძღვევაშემოსილმა ალექსანდრემ აუად მოუგრიხა კისერი იქაურ მეამბოხე მცხო-  
ვრებთ.

აწ წინაუცმო მაგალითსა გეტყვით, იმის მაგალითსა, თუ ერთი სახელისა  
მნიშვნელობამ ვითარ წარუკვეთა სასო პომპეუსსა. კეისარმა იგი ფარსალოსს-  
თან ბრძოლაში დაამარცხა, და ხმალკისერკიდებულსა პომპეუსს ოდენ ოტე-  
ბითა შეეძლო თავისა შველა. მან გზად ზღვა აირჩია და კუნძულ კიპროსზედ



ნივიდა. ქალაქ პაფოსისა ახლოსად ზღვისა პირას თუღწინ გადაეშალა საუცხოო, დიდებული რამ სასახლე. რა ჰქვია ამა სასახლესაო, დაეკითხა იგი მხერვალსა, ანუ ხომალდისა მტარებელსა, რა ჰქვია და **Καροβασιλευς**, მიუგო მან, რაიცა ბედნავს მეფესა ნიშნავსო. სასახლისა სახელწოდებამ თავზარი დასცა პომპეუსსა და კანკალი დააწყებინა, საბოლოოდ გადაეწურა ძველგვარი იმედი: ნამდვილად დავიღუპებიო, ირწმუნა მან, და მაშინ ყველგან წინცავინ თან ახლდა, აგრეთვე ყოველთა ზღვაოსანთ გაიგონეს, ვითბრძობნებოდნენ კოლდუპლა და კვნესოდა იგი. და მართლაც: არ გაუვლია დიდსა დროსა, ვილაც უცნობმა სოფლისა კაცმან სახელად აქილევსმა თავი წარკვეთა.

ბარემ აქავე გავიხსენებ იმასაც, რაც რომ ლუციუს პავლუს ემილიუსს შეემთხვა: რომისა სენატმა ისა ჯართუფროსად დანიშნა, რომელსა მაკედონიის მეფის პერსევსის წინააღმდეგ გალაშქრება ევალებოდა. იმავე დღესა, საღამოთი, იგი შინ დაბრუნდა, რათა სალაშქროდ გამზადებულიყო, და თავის კუპაქია გოგოს ტარციას რომ აკოცა, შეატყო, რაღაცით დანალვლიანებული იყო. „რა მოგივიდა, ტარცია? — ჰკითხა მან. — რაღა ხარ ეგრე სევდიანი და დაღლინებულიო?“ — „მაძა! — მიუგო შეილმა. — პერსა მოკვდაო!“ აგრე ეძახდა ის თავის საყვარელ ციბასა. ამა ამბავმა რწმენითა აღავსო პავლუსი, რომ იგი პერსევსსა სძლეუდა.

მოცალემა რომ გვქონდეს, ძველსა აღთქმასა მივმართავდით და იქა მრავალსა გასაოცარ მაგალითსა მოვიძიებდით, რომელნი მაგალითნიც ცხადად დაგვანახვებდნენ, რა წმინდა შიშსა ჰგვრიდნენ საკუთარნი სახელნი ებრაელთ და ვითარ სწევდებოდნენ ისინი იმა თითოეული სახელისა აზრსა.

როგორც კი პანტაგრუელმა სათქმელი გაასრულა, ორივე მხედართმოდვარიც გამოჩნდა, თავიანთ კარგად აღჭურვილ და ბრძოლისა სახადელზედ მოსულ ლაშქართ მოუძლოდნენ. პანტაგრუელმა მოკლედ დაარიგა ისინი, უკეთუ ძეხვნი მოლოდინისა წინააღმდეგ შემოგვესევიანო (ჯერეთ კიდეც მაინც არ ეჯერებოდა ძეხვთა ესეგვარი მუხანათობა), შემოტევა მკერდით უნდა შოიგერიოთო, აუკრძალა, პირველნი არამცა და არამც არ უნდა დაესხათო, და პაროლად, ანუ ნიშანსიტყვად აღებლამე დაუთქვა.

### თავი XXXVIII

#### რად არ უნდა სპაგდომ კაცთ ძმხვნი

რამდენიც გინდათ, იქირქილეთ, თქვე ლოთ-მებრუვენო, თქვენა, და ნუ ირწმუნებთ, რომ ყველაფე მართლაც ისე მოხდა, როგორაც ვიამბობთ. თუ გინდ მერწმუნეთ, თუ არადა, მიბრძანდით, თქვენის თვალითა მოიხილეთ. მე ძალიანაც კარგად ვუწყვი, რაც კი რამ ჩემის თვალითა მინახავს. საქმე კუნძულ უდაბურზედ ხდებოდა. კუნძულისა სახელსა განვებ გატყობინებთ. გაიხსენეთ ერთი, რა საზარელი ძალა გამოიჩინეს ძველთა გიგანტო,<sup>1</sup> რომელთაც პელიონის ძალადი მთისა ოსას მთაზედ ახუხულავება და ოსასთან ერთად ჩრდილიანი ოლიმპისა მიტაცებაც განიზრახეს, რათა ღმერთთ შებმოდნენ და ციდან გამოეძევიანათ ისინი. მერედა, არ დაგაეიწყდეთ, რომ ეს გიგანტნი ნახევრად ძეხვნი, ანუ, უფრო სწორად, გველნი იყვნენ.<sup>2</sup>



ევას მაცდუნებელი გველი ძეხვისდამავარი იყო, თუმცა, ისიც დაწერილ არს, სუყოველ სხვა იძვრისზედ, ანუ ქვეწარმავალზედ გაქნილი და ვერაგი იყოთ. ესეგვარნი არიან ძეხვნი.

ზოგსა აკადემიაში ჯერაც კიდევ არ უარუყვია ის აზრი, რომ მაცდუნებელი იგი ძეხვსა წარმოადგენდა სახელად იტიფალეს,<sup>3</sup> რომლადაც ოდესღაც გადააქციეს კეთილი ვაჟბატონი პრიაპე, დიდი მაცდური ვინმე, ქმნა და იცოდათ პარადიზთა შიგან აცდენდა, ანუ, ბერძნულიდან ფრანგულად თუ გადმოვაენებთ, ბალ-წალკოტთა შიგან.<sup>4</sup> შვეიცარია ამჟამად განთქმულია თავისი გულოვნობითა და გაბედულობით, არადა, ვინ იცის, ძველ დროში იქნებ მართ ოდენ სოსისსა რასმე, ანუ პატარა წვრილ ძეხვსა წარმოადგენდა,<sup>5</sup> რომელიცა რომ მოხარშული მიირთმევა. თავდებობასა ვერ ვიკისრებ და ამისა გულისთვის ცეცხლში თითსა ვერ შევყოფ. ვიმანტოპოდნი<sup>6</sup> (ეთიოპიისა მოსახლე რჩეული ხალხი), პლინიუსისა აღწერისა თანახმად, სხვანი არცრა არიან, თუ არა ძეხუკუპატნი.

უკეთუ ამა ჩემმა ნაუბარმა ვერ გადაგარწმუნათ, ნულა დააყოვნებთ, ადექით და წადით (რადა თქმა უნდა, ჩაღლევისა შემდგომ) ლუზინიანში, პარტენეში, ვოვანში, მერვანში და პუზოჟში, პუატუში რომ არის. იქ ბევრსა ძველსა მკვიდრსა ნახავთ, დარბაისელ ხალხსა, ვინცა სიტყვასა ტყუილად არა ხარჯავს, და ისინი წმინდა რიგომეს მარჯვენასა დაიფიცებენ, რომ ამა ქალაქთა აღმშენებელ მელუზინას ქალისა ტანი ოდენ ივამდე, ანუ სარცხვინელ ასომდე ჰქონდა, ქვემოთ კი გველძეხვა ანდა ძეხვგველა იყო,<sup>7</sup> გარნა ფრიად ხასად იქცეოდა და კოხტად დაგოგავდა, და ბრეტონელნი მროკველნი აქამომდე იმას ბაძავენ, ოდეს სიმღერ-სიმღერითა თავიანთ სამას შუშპრობენ.

პირველმან რად გამოიგონა ერიქთონიუსმა<sup>8</sup> ეტლნი, ჯალამბარნი და ფორან-ურემნი? რადა და იმად, რომ მამამისმა ვულკანუსმა ძეხვა ფეხნი გამოყოლა, და იმათი დამალვა ჯალამბართა შიგან უფროისად მოხერხებული იყო. ვინემ ცხენზედ თუ ამხედრდებოდა, მით უმეტეს, იმის დროებაში ძეხვთ კარგი სახელი არა ჰქონდათ, სკვითური ნიშნა გორაც აგრეთვე ნახევარქალი, ნახევარძეხვი იყო. დაღათუმცა, იუპიტერსა ისერიგად მოუვიდა თვალში, იმასთან სარეცელი გაინაწილა და მისგან მზისდარი ძე სახელად კოლაქსი იყოლია.

მორჩით მაგ ქირქილსა და დაიხსომეთ, რომ ოთხთავზედ უფრო მართალი არცრა არს რა ქვეყანაზედ.

### თავი XXXIX

ვითარ უპრთიანდება ძმა ჟანი მესაჭმელე-მზარეულთ, რათა ამჟვნი უპრთიეზული კალ-ლონითა ვაფყვიდონ

რა დაინახა, მკსინვარე ძეხვნი დამართებით ჩვენკენ მოდიანო, ძმა ჟანმა პანტაგრუელსა მიუთხრო:

— აღბათ შესაქცევარი ბრძოლა მოგვიწევს. ახლა არ იტყვი, რა სახელსა და პატივს მოგვიტანს ეს გამარჯვება! დაღათუმცა, მირჩევნია, შენა ხომალდზედ რომ დარჩე და ოდენ თვალი ადევნო მომავალ შეტაკებასა, დანარჩენი ძე და ჩემთა კაცთ მოგვანდო.

— რომელ კაცთ? — დაეკითხა პანტაგრუელი.



— ჩემსა წირვისა კონდაკსა დავიმოწმებ, — განაგრძო ძმა ჟანმა. — რატომ იყო პატიჟარი, ფარაონისა მზარეულთუხუცესი, — იმაზედ მოგახსენებ, იოსები რომ იყიდა და, რომლისაც იოსებსა, თუკი მიინდომებდა, გარქოსნება შეეძლო, — სრულიად ეგვიპტისა სამეფოს ცხენოსანთა ჯარისა მხედართმოდღვარი? ყოველთა მხედართმთავართაგან მეფე ნაბუქოდონოსორის სწორედ მზარეულთუხუცესი ნაბუზარდანი! რად აირჩიეს იერუსალიმისა მთავარი მოსაქცევად და დასაქცევად?

— მესმის, მესმის, მერე! — წართქვა პანტაგრულმა.

— ქალბატონისა საკლიტევი! — იხმამყივარა ძმა ჟანმა. — ისინი აქამდეც შებმიან ძეხვთ ანდა ეგზომ არასაშიშ სხვა ავისა მნდომთ. ძეხვთა ჩეხა, კვეთა, კეპვა, ჭრა და კუწვა დიახაც ყასაბ-ქონდაქართ, მესაჭმელე-მზარეულთ შეპფერის და შეშეენის, ამა საქმისთვის ნაკლებად გამოსადეგნი არიან მხედარნი, სტრადიოტნი<sup>2</sup> და ქვეითნი.

— შენ მე ციცერონისა ოხუნჯურ და მოსწრებულ პასუხთაგან ერთი ათგილი გამახსენე, — მიუთხრო პანტაგრულმა. — რომში რომ სამოქალაქო ომი იყო, ომი კეისარსა და პომპეუსს შორის, ციცერონი, რასაკვირველია, უფროისად პომპეუსის მხარეხა იჭერდა, მაგრამ კეისარი ეტრელებოდა მაინც, ვლახუცებოდა და დია კეთილად ექცეოდა. ერთხელაც, რა შეიტყო, პომპეუსელნი ერთ-ერთი შეტაკებისას ნამეტნავად დაზარალდნენო, ციცერონმა იმათი ბანაკისა მონახულება განიზრახა. იქ კი დარწმუნდა, რომ იმათ ძალაც გამოლუოდათ და სულისა სიმხნევეც ცოტაღა შერჩენოდათ, ურიგმარიგობა კი, იცოცხლე, არ აკლდათ. მიხვდა, ესენი ძალიად დამარცხდებიან და დაილუპებიანო (შემდგომ აკი აგრეც მოხდა), და ხან ერთსა ვისმე დაუწყო დაცინვა-გაქილიკება, ხან მეორესა, არც კიდევ გესლიანი, მწარე ხუმრობა დააკლო, რისა დიდოსტატიც ის იყო. ვიეთნი ჯართუფროსნი იხტიბარსა არ იტეხდნენ, არც ეგრეა საქმეო, ბოლოსა და ბოლოს მაინც ჩვენ გავიმარჯვებითო, არამცა და არამც ეჭვი არ გვეპარებაო, და მერმე კითხვა უმარჯვეს: „აგე ხედავ, რაერთი არწივი გყავსო?“ (მაშინ რომაელთ ესეგვარნი საბრძოლო დროშანი ქქონდათ), „ეგ დასტურ კარგი და ზედგამოჭრილი იქნებოდა, ეჭკაჭტ რომ ეომებოდეთო,“ — მიუგო ციცერონმა. ამგვარად, ვინათგან ძეხვთ უნდა შევებათ, შენის აზრითა, კულინარიული ბრძოლა მოგველის და ამაღ მზარეულთა, ანუ მესაჭმელეთა თანა გაერთიანებასა სურვობ. როგორაც გენებოს, ისე მოიქეცი. მე კი აქ დავულოდები ამა ვაჟკაცური სეირისა გასრულებასა.

ძმა ჟანსა დიდხანსა არღა უფიქრია, საველე სამზარეულოთ მიაშურა და ზედაფრენაშემდგარმა ზრდილად მიმართა ყოველთა მესაჭმელეთ:

— შვილნო ჩემნო! ჩემი სურვილია, რომ დიდი პატივი და უჭკნობი სახელი მოგახვეჭინოთ. წინ საბრძოლო გმირობანი მოგელით, დღემდე გაუგონარნი, თავი არცროდის შეგირცხვენიათ და, ვითომ რა, აწ შეირცხვენო? წა, სულ შავი დღე ვაყაროთ იმა ოხერ კუპატთა და ძეხვთა! შეთაურად მე გაგიძღვებით. ოღონდ ჯერეთ ჩავლლიოთ! აბა ჰე!

— მართალსა ბრძანებ, მოძღვარო! მხარი აუბეს მზარეულთ. — უსიტყვოდ გენდობით. შენის დიდებული წინამძღოლობითა მზად ვართ, რომ სამკედროსასიცოცხლოდ შევებათ ზედმისეულთ.

— მხოლოდ ჩვენდა სასიცოცხლოდ, სიკვდილი ძეხვთ მივაგოთ! — განაცხადა ძმა ჟანმა. — მაშ, აბა, დავეწყოთ! პართლად, ანუ დათქმულ ნიშანსიტყვად გექნებათ ნაბუზარდანი!



თავი XL

პითარ ააბო ემა ჟანეა ღორი და პითარ  
ლაპალა უიგან მამაცნი მისაჟამელე-მზარეულნი

მაშინ ძმა ჟანისა ბრძანებითა ხისხუროთ უშველებელი ღორი მოათხოტეს და ბარძიმთან ხომალდსა ზედან დადგეს. მართლაც კარგი ღამე გამოვიდა: ზარბაზან-ქვემეხნი. იმა ქოსძენსა ზედან ნახევარწრედ დაყუბუბულნი, ქვისა ბირთვთ და ფოლადისა შუბთ ტყორცნიდნენ, ფართობი კი ისეთი ჰქონდა, იმის საფარქვეშ ორასზედ მეტ კაცსა შეეძლო ბრძოლა, ხოლო ნათესატარ-ნახელავი ღარიოლის ღორისდა კვალობაზედ იყო, რომელი ღორისა შემწეობითაც ყმაწვილი ფრანგი მეფისა შარლ VI მეფობაში ინგლისელთ ბერჟერაკი დაიპყრეს.<sup>1</sup>

ქვემოთ ყოველთა მამაც და გულად მესაჭმელე-მზარეულთა სახელთ ჩამოთვლი, ვინცაჲნი ამა ღორში ისე შევიდა, ვითომც ტროას ცხენი ყოფილიყო:

მესაწებლე,  
მატრაბაზა,  
ჯაბანა,  
ძაბუნა,  
სუკუნია,  
ფინთა,  
მანდრაგორა,  
ნაფიცხარა,  
ხელგვიანა,  
კუტალა,  
ფრიკასე,  
ხაეიწა,

ფეთხუმა,  
ფალანგა,  
სათქვეფელა,  
ლოთბაზარა,  
ვინეგრეტა,  
ბობოლა,  
ჯამისძირა,  
სანსლე,  
ჩაშუშულა,  
მიკბინე,  
მესაცრე,  
კელავერა...

ამა ქველ მესაჭმელეთ გერბთა ადგილ-მიწართა ზედან განხმულ ხახათა და რად გამოსახულნი ჰქონდათ მწვანე ფერისა ქონსატენნი ხალიჩ-ჭოროლ-ნემს-მახათნი, რომელთ მოვერცხლილი ივანკლური სრელა-ზოლები დასდევდა, ოღნავ მარცხნივ გადახრილი.

ქანქლე,  
თქელიფე,  
ჩათქელიფე,  
ცეცხლე,  
ხეთქე,  
ავმუცელა,  
ცხრაძუცელა,

ქორმუცელა,  
ღორმუცელა,  
სვაუმუცელა,  
ხორცის მუსუსი,  
მუცელპურა,  
სვიდაჭამე,

ქონიჭამია,  
ქონიჭრია,  
ქონიწონია,  
ქონიცხია,  
ქონიღმურძლა,  
ქონითოხლია,  
ქონისულეპია,  
ქონიტორია,

ქონიტლეკია,  
ქონილეჭია,  
ქონიყლაპია,  
ქონიპარია,  
ქონიხოხნია,  
ქონიწურია,  
ქონილოკია,  
ქონიკუკნია,



ქონიტვლიბა (შემოკლებულად), რამბუიეს მკვიდრი; ამა მზარეულთწინამძღვრისა სრული სახელია ქონიმტვლეპელი. აკი თქვენცა უბნობთ ხოლმე, კერპ-მთაყვანებელიო, კერპთაყვანისმცემლისა ნაცვლად.

მარანებსა<sup>2</sup> და ებრაელთა შორის ეს სახელნი არა გეხედება.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბრაცუნა,  
ტაბუცუნა,  
წიწმატურა,  
თაღგამურა,  
ღორა,  
კურდღელა,  
კმაზა,  
ცომ-ცომა,  
მდოგვა,  
გარაო,  
მწნილა,  
კოწახურა,  
შეჭამანდა,  
კვანჭილა,  
დოყლაპია,

დამისხიდამალევიზე,  
ქვაბილოკია,  
ლოღნია,  
ტვანარა,  
ჩხორა,  
კვრეხია,  
ფლანგა,  
შაშხა,  
კატლეთა,  
გარო,  
სარდინა,  
ჩუმა,  
ჭმაზა,  
მაკარონა,  
კანკლუმე.

მენამცეცე. კაცი ესე სამზარეულოდან სავანეში გადაიყვანეს ქველ კარდინალ ეენიორთან<sup>3</sup> სამსახურისა გასაწევად.

ბრაკი,  
ცოცხურა,  
ლუგუმა,  
მოურიე,  
ვაყა,  
ულაყა,  
ქლაქუნა,  
ჩლუტე,  
ხუშტურა,  
ძმარა,  
აღლაბიჯა,  
უქშუტუნე,  
უქაქანე.

ზორბანა,  
ბრიქინა,  
ფაცურა,  
მაცაცერა,  
ფაცუცა,  
მაჭიკა,  
ჭილრიკა,  
უქლა,  
ხეპესტარა,  
ვიგრა,  
ჭვარტლა,  
ჭინტურა,  
ლაწანა.

მონდამი,<sup>4</sup> მაღამ საწებლისა გამომგონებელი, რისთვისაც ეწოდა შოტლანდიურ-ფრანგული უკანსაყივარი ესე.

კაპუნა,  
ტუნა,  
ჩინჩალა,  
ჩიბუხა,  
ცინგლა,  
ვირთევზა,  
ბაჭუა,  
ჭურჭელა.

კროკო,  
ბურძგლა,  
ყაყო,  
ჩენია,  
კამუნა,  
ბოლოკა,  
მუჭუყა,  
გლეპურძა.



რობერი, ამან ფრიად მარგებელი რამ საწებელი რობერი შეაზავა, უამსაწუ-  
 ლლოდ პირში არ ჩაიშვება არცა შემწვარი კურდღელი, არცა კიდეც იხვი, არცა  
 შეწვარი ძროხისა ხორცი, არცა ჩილბური, ანუ ძძრითა და ტრბოთი ნამზადი  
 კვერცხი, არცა მარილიანი ეირთევზა და ბევრი სხვა ჭამადი.



ანგალა,  
 კოლოტა,  
 ქვირითა,  
 ყრუს კანჭი,  
 ტუსლანგა,  
 ჩიტირეკია,  
 ჭიპა,  
 ჯიგურა,  
 კნაჭა,  
 ქაშაყა,  
 ჭამპურა,  
 ცხვირა,  
 კუჭანა,  
 ლოქაფა,  
 ჭაჭიგოდორი,  
 კუჭმაჭა.

ხორციკეპე,  
 დოინჯა,  
 ქაფშია,  
 მაწამხალა,  
 ხაჭაპურა,  
 ლუკმამქვეშმოიტანა,  
 ბუჭყიტა,  
 ჭინჭარა,  
 მუტრუკა,  
 მუქთაყლაპია,  
 ბოჯინჯგალა,  
 მარანა,  
 წზრინკელა,  
 ბონია,  
 შუშუბრიქა,  
 სამკუჭა.

ეროვნული  
 გიგლიქოქა

ქველნი მთავარქონდაქარ-მზარეულ-მესაჭმელენი ესე, სულ დარჩულნი,  
 კონაღნი, მოსატყუებელკბილმოცვლილნი, ციმციმ შევიდნენ ღორსა შიგან. მძა-  
 ჟანმა თან ყოველთა უდიდესი, ხორცისა მოსათლელი სათულე-დანა წარიტანა,  
 უკანასკნელი შევიდა და კარები შიგნიდან დაჯარა, კარები კი იქ ზამბარაზედ  
 იყო დაყენებული.

### თავი XLI

#### პითარ უჟაკუნეაღდა პანტაგრუელი ამხვთ მარგილსა

ძეხენი ისე ახლოს მოვიდნენ, პანტაგრუელი თვალცხადლივ ხელაედა, რა-  
 რიგ თავგამოდებითა იჭერდნენ საბრძოლო თადარიგსა. მაშინ მან გიმნასტი გა-  
 უგზავნა, წადი, ჰკითხე, რა უნდათ და ესეგვარად რამ გაანაწყენა, აგრე წინას-  
 წარ გაუფრთხილებლად რომ გვესხმიან თავსა თავიანთ ძველ მეგობართ, რომელ-  
 თაც ცუდი არცრა გვიქნია რა და არცა გვითქვამსო.

გიმნასტმა ზრდილად, მდაბლად დაუკრა თავი პირველ სირა-რიგთ და ერთ-  
 ზაშად გახმამეხიანდა:

— თქვენთანა ვართ, თქვენთანა ვართ, თქვენთანა ვართ! გვიმსახურეთ! ყვე-  
 ლანი თქვენი ძველი მოკავშირის ალებლამისა მომხრენი ვართ!

მერმე გადმომცეს, ალებლამე სულ არ უხსენებიაო. ავიღებთ და დავიღებთ,  
 თვალლიად დავიღამებთო, უთხრაო. ასე იყო თუ ისე, მავანმა კუნტულა ძელის-  
 ტვინიანმა ძეხვმა, ველურმა და ჭმეულმა, იანაზდა, მწყობრიდან გამოიჭრა და,  
 ცოტას გაწყდა, ყელში არა სწვდა გიმნასტსა.



— ღმერთმანი, ლუკმა-ლუკმა თუ ჩამიხვალ შიგა, — წაუძმარა გიმნასტმა, —  
 რთელი მაინც ვერ ჩამეტევი.

აქ მან ორივე ხელითა აღმართა თავისი მახვილი, რომელსა „ტრაკუნში-  
 გან მაკოცე“ ერქვა, და ორად გააპო ძეხვი იგი.

ღმერთო ჩემო, ცარიელი ქონი იყო! წამერთ უშვერად დიდი ბერნული ზი-  
 რი მომაგონა, მარინიანოსთან შვეიცარიელთა მოსურისა ვამქეცქეცდვდი. არ  
 დაიჯერებთ: ჩობალი, ანუ მუცლისა ქონბადე ოთხი თითისა ფაფუბაჩქეცქეცდესი  
 პქონდა.

აქაოდა ძვლისტვინიანი ძეხვი გაგვიტვინა და მოგვიკლაო, ყოველნი სხვა  
 ძეხვნი ეგრევე ეცნენ გიმნასტსა და მუხანათურად ძირსა დასცეს, მაგრამ სწორედ  
 იმწუთას პანტაგრუელი თვის მოსაგრეთა თანა ჩქარა-ჩქარა იმის დასახმარებ-  
 ლად გაემართა. და მტრისას, იქ რომ დაკა-დაკა გაიმართა! ძეხვა მკვეთელმა,  
 არც აცივა, არც აცხელა, ჩეხა და კვეთა დაუწყო ძეხვთ, სოსისა მკუწველმა —  
 კუწვა, პანტაგრუელი კი მარგილსა უჭაბუნებდა სუფველა წამოყელყელაუებულსა.  
 ღორსა შიგან მჯდომარე ძმა ჟანი გატრუნული აღევნებდა ბრძოლასა თვალსა,  
 ამ ღროს, სად იყვნენ, სად არა, სადარნი-სადარილოდან ხბოს სოსისნი გამო-  
 ტყვრნენ და პანტაგრუელსა შეუტიეს.

მაშინ ძმა ჟანმა, პანტაგრუელისა ბანაკში აღიქითი და არეულ-დარეული-  
 ბა რომ შეამჩნია, გამოაღო ღორისა კარი და გარეთ გამოვიდა თვისთა ყოჩად  
 ჯარისკაცთა თანა, რომელთაგან ზოგთ შამფურნი ეჭირათ, ზოგთაც — ძაყალნი,  
 ბუხროსა ვისოსი, ტაფანი, ნიჩაბნი, მათრათნი, გელა-სახხრეკნი, არცისკანა-მა-  
 შანი, მარწუხნი, ხათრიისნი, ლოგორი-ცოცხნი, ქვაბ-კარდალნი, როდინ-ქვიჯანი,  
 ქვასანაყნი, ფილ-გურჩნი, სანაფურე-სანარცხენი, და ყოველნი ისეგვარად დაე-  
 წყნენ, ვითარცა მეხაჩძრეთ იციან, — მხარი მხარსა მოაბეს და ერთხმით აღრი-  
 აღდნენ: „ნაბუზარდან! ნაბუზარდან!“ ამა ღრიალ-ღრიალითა განარებულ-გაავე-  
 ბულ მზარეულთ ხბოს სოსისთ წამოუარეს და ღორისა სოსისთა მწყობრში შე-  
 აჭრნენ. ძეხვთ კი, რა დაინახეს, ჩვენსა მოწინააღმდეგეს ახალი ძალა წამოემ-  
 ულაო, პირი იბრუნეს და თავქუდმოგლეჯილთ მოკურცხლეს, თითქოს უკან  
 დას-დახნი ეშმაკნი მისდევნო. ძმა ჟანი ხან ერთსა წამოსდებდა კისერში, ხან  
 მეორესა და ბუხებსაებ ხოცაუდა; უქმად არცა ჯარისკაცნი მდგარან. სავალალო  
 რამ სანახავი იყო: მთელ ბრძოლისა ველზედ დახოცილნი და დაჭრილნი ძეხვნი  
 ყვარნენ. და აქა მატიაზე გვაუწყებს, თუ არა განგებულება ღვთისა, ძეხვეულთა  
 მოღვმა ამა შესაჭმელე მოსაგრეთაგან სრულად ამოწყდებოდაო. გინდ დაიჯერეთ,  
 გინდ არა, მართლაც უჩვეულო რამ ამბავი მოხდა.

ჩრდილოეთიდან უზარმაზარი, საზარი, ვახინზლული, ზორზოხი, ლეგა  
 ლომ-ტახი, ანუ კერატი მოფრინდა, გრძელი და ფართო ფრთანი ქარის წისქვი-  
 ლისა ფრთათ მიუგავდა, ნაკრტენი, როგორიც ფენიკობტერსა, ლანგედოკურ კი-  
 ლოკავზედ ფლამინგოდ სახელდებულსა, ისეთი პქონდა; თვალნი — პიროპსაებ,  
 ანუ მოწლალსაებ წითელნი და მოელვარენი; ყურნი — პრაზინულ<sup>1</sup> ზურმუხტ-  
 საებ მწვანენი; კბილნი — ტოპაზსაებ ყვითელნი; კუდი — გრძელი და ლუკუ-  
 ლუსისა მარმარილოსაებ შაი; ფერხნი — თეთრ-სპეტაკნი, აღმასსაებ გამჭვირ-  
 ვალენი, რომელთაც შუქი ატანდა, თანაც ვითარ ღერღედსა და ტულუზელ დე-  
 დოფალს ბატიფეხასა<sup>2</sup> — აპკიანნი. ყელზედ კი ოქროს სირზა-ფარღული ეკიდა  
 ონიურწარწერიანი, რომლისგანაც ორიოდ სიტყვა გავარჩიე: ΥΣ ΑΘΗΝΑΝ  
 ანუ — ტახი მინერვას ასწავლიდაო.<sup>3</sup>

კარგი, მზიანი ამინდი იდგა, მაგრამ ამა ორჩხოლ-ურჩხულისა გამოჩენასა



იარცხნივ იმისთანა ჭექა-ქუხილი მოჰყვა, სუყოველნი კაცნი ჩავიმუშლეთ. ძეხვთ, როგორც კი ტახსა მოატანეს თვალი, უმაღ დაყარეს, ხელი უშვეს იარალსა, კეტ-ჭოლოკთ, უხმოდ მოდრიკეს მუხლნი და მოწიწებითა ცად აღაპყრეს ხელნი, იითქოს დოცულობენო.

ამასობაში ძმა ვანი და იმისნი მოსაგრენი ჯერეთ კიდევ ვუთქადნენ ძეხვთ და შამფურთა ზედან აგებდნენ. დაღათუშცა, პანტაგრუელმა ნალარისა დაკვრა-დანესტვა, ანუ ლაშქრისა უკან გამობრუნება ბრძანა მტრისა და მტრისა გასრულდა. ორჩხოლ-ურჩხულმა ორ ლაშქარსა შუა წინა და უკან რამდენჯერმე გადიფრინ-გადმოიფრინა, მერმე მიწაზედ, სულ ცოტა, ოცდაშვიდი მდოგვიანი კასრი ჩამოაგდო და ბოლოს ისე დაიხაფრა, ისე მიეფარა თვალსა, წამითა არ შეუწყვეტია ტრუხუნი:

„ალებლამე! ალებლამე! ალებლამე!“

## თავი XLII

### პითარ პამართა პანტაგრუელმა მოლაპარაკება მხვთა მეფა-დედოფალთან ნიფლესეტთან

ვინათგან ზემორეაღწერილი ორჩხოლ-ურჩხული, ანუ იგივე მაჯლაჯუნა-უჯმაჯური მეტად არცაღა გამოჩენილა, ორივე მოპირდაპირე მხედრობა კი მდუმარებდა, პანტაგრუელმა იზრახა, სწორედ კაი დროა, ავდგები და ნებართვას გამოვთხოვ, რომ მოლაპარაკება გავმართო ქალბატონ ნიფლესეტთანაო! (აგრე ერქვა საძეხვეთისა მეფა-დედოფალსა, რომელიცა დროშებისა ჩრდილქვეშ თავის ჯაგვაში, ანუ ოთხთვალა ეტლში ჯდა), და არ გაწბილებულა: ეს შესაძლებლობა მაშინვე ებოძა.

მეფა, იგივე დედოფალი ეტლიდან გადმობრძანდა, დია თავაზიანად დაუკრა თავი პანტაგრუელსა და მოწყალე მზერა მიაპყრო. პანტაგრუელმა უკმაყოფილება გამოთქვა ატეხილი ომისა გამო. მეფა-დედოფალმა მოუბოდიშა, ყველაფერი გაუგებრობისა ბრალიაო, ჩემთა მსტოვართ არასწორად მასწავეს, ვითომ ნაპირზედ ჩვენი დაუძინებელი, მოსისხლე მტერი შემარხულე გადმოვიდა და ფიზეტურთა, ანუ გველუშაბთა შარდსა იკვლევსო. მერმე მეფა-დედოფალი დაეაჯა, რაც კი რამ გაწყენინეთ, სულდიდად უნდა მოგვიტევო, რამეთუ გათვალისწინება გმართებს, რომ ძეხვთა შიგან უწმინდურება უფროისად მეტია, ვინემ ბოღმაო. და აღუთქვა, ამიერიდან მეცა და ნიფლესეტთა დინასტიის სუყოველი ჩემი ტახტისა მემკვიდრე ამა კუნძულისა და ქვეყნისა მფლობელნი ვიქნებით ვითარცა შენი და შენთა მემკვიდრეთა ერთსულნი, შესაკუთრებულნი ქვეშევრდომნიო, მოკეთეთა შენთა მოკეთებად ვექმნებით, მტერთ — მტრებად, და ერთგულებისდა ნიშნად ყოველწლივ სამოცდათვრამეტ ათას სამეფო ძეხვსა მოგაწვდითო, რაიცა მთელი ნახევარი წელიწადი დილისა საჭმელად გეყოფათო.

მეფა-დედოფალმა თავისი სიტყვა მსწრაფლ შეასრულა და მეორე დღესვე ექვსი დიდი ბრიგანტინითა გაუგზავნა კეთილ გარგანტუასა აღნიშნული ოდენობისა სამეფო ძეხვეული, თანაც კუნძულისა ინფანტა, ნორჩი ნიფლესეტი აახლა. ქველმა და მორჭმულმა გარგანტუამ თავის მხრივ ის ძეხვეული დიდ პარიზისა მეფესა მოუკითხა. მაგრამ ჰაერის გამოცვლისა გამო და აგრეთვე ძეხვთათ-



ვის ბუნებური ბალზამისა და ჩვეული გამამაგრებელ-მომხედვინებელი საშუალებისა, ანუ მღოვკის უქონლობისა მიზეზითა ისინი თითქმის სულ დაიხოცნენ. დიდი მეფისა განკარგულებისა და სურვილისამებრ მკვდარნი ძეხვნი, ერთად თავმოყრილნი, პარიზსა შინა იმა აღვილას დაფლეს, რომელ აღვილსაც აქამომდე ძეხვისა ფოლორცსა უხმობენ.



სეფექალითა შუამდგომლობისა წყალობითა ნორჩი ნიფტქსქტრუქტორც იყო, გადაარჩინეს და ღირსად ჯეროვანი პატივი მიაგეს. მძვინვარეობისას კერო ღალოცვილ, პარაქიან მხარეში გაათხოვეს და, ღვთისა შეწევნითა, იმანაც უკლისად მწყაზარ-მწყაზარნი ბიჭნი შობა.

პანტაბრუელი ფრიად მადლიერი გაუხდა მეფა-დედოფალსა, სუყოველი საწყენი რამ შეუნდო, კუნძულზედ კი დაეუარა და ერთი კობტა პერშული ციღვი, ანუ დანაკი შესძღვნა.<sup>2</sup> მას უკან იცნობისმოყვარევა, ორჩხოლ-ურჩხულისა გამოჩენა რასა ნიშნავდაო. ეგაო, სიტყვა შეუქცია მეფა-დედოფალმა, ომიანობისა ჟამსა ჩვენი მფარველი ღვთისა, ყოველთა ძეხვისა გვარ-მოდგმის ფუძემდებლისა და მამამთავრის აღებლამის იღუა იყოო. ხოლო ტახსა იმად ჰვაგდა, რაკი ძეხვეულსა ღორისა ხორცისგან ამზადებენო. პანტაბრუელმა ახლა ის იკითხა, ორჩხოლ-ურჩხულმა მან იმოდენი მღოვკი რისთვის და რა სამკურნალო მიზნითა ჩამოყარაო. მდგოვი ჩვენი წმიდათაწმიდა და მაცოცხლებელი გრაალიაო,<sup>3</sup> მიუგო მეფა-დედოფალმა, დაცემულ ძეხვთ სარაზედ ოდნაუადაც რომ წასცხო, დაკოდილნი სულ მოკლე დროში, ჩვენებურად აუ ვიტყვიო, სუდარასა გახევენ, გამოხუხრებიან, ანუ მოქედურდებიან და გამოჯანსაღდებიან, დახოცილნი კი მკვდრუთითა აღდგებიან, გაცოცხლდებიანო.

მეტი არცრაზედ ულაპარაკნია პანტაბრუელსა მეფა-დედოფალთან და თავის ხომალდსა ზედან ავიდა. არცა იმის ერთგულსა თანამეგზავეთ დაუზმიათ ხანი, თავიანთი საჭურველიხოჯევი, ანუ სრული ხელი იარაღი და ღორი წარიტანეს და უკან მიჰყვნენ.

თავი XLIII

პითარ ბადავიდა პანტაბრუელი კუნძულ რუაქზედ, ანუ საქარეთში

ორი დღისა უკან კუნძულ რუაქსა<sup>1</sup> მივადექით და ხომლისა, ანუ მრავლისა მადლმან,<sup>2</sup> ცხოვრებისა უფროისად უჩვეულო წესი და რიგი, ვიდრე აღვილობრივ მცხოვრებთა აქვთ, სხვაგან ჯერეთ არცსად შემხვედრია. აქა მხოლოდ და მხოლოდ ქართია სულდგმულობენ. თვინიერ ქარისა, არცრასა სვამენ, არცრასა ჭამენ. თავშესაფარი ჭერისა მაგივრობასა აფქიო. ანუ ქარისა მიმართულების მიჩვენებელი მოწყობილობა უწევთ. აქაურ ბელთა შიგან სამი სახისა ანემონსა ოუ ნახავთ,<sup>3</sup> სხვასა არცრასა ამენებენ და არცრა მოჰყავთ. ტევანსა კი, როგორც სტომაქში ქართა დამაცხრობელ სხვა მცენარეთ, პირწმინდად მარგლავენ. უაზნო-მდაბიონი, შეურაცხნი, თავიანთი შეძლებისდა კვალობაზედ, ხმელა ფრთის, ქარტა-ქაღალდისა და ტილოს სამწერობელ-მარაოზედ არიან. ამა ხელნოსაქროლებლითა გამოდიან იოლად. შეძლებულნი საზრდელად ქარისა წისქვალთ არ იკლებენ. ოდეს რასმე დღესასწაულობენ ანდა ნადიმობენ, ერთი ან ორი ქარის წისქვილისა ქვეშე დააგებენ ტაბლასა და, ვითომც ქორწილში იყ-



ვნენ, ისე იღმურბლებიან. ტრაპეზობისას ამა თუ იმ ქარის სიფარსავესა, უპირატესობასა, მარგებლობასა, უჩვეულობასა განიხილავენ, როგორაც თქვენა, ქეიფ-სადილისა გიყნი და მოლხინენი, ნადიმისა სუფრაზედ სხვადასხვა ღვინისა თვისებათა გამო მსჯელობთ ხოლმე. ვინ სიროკოსა აქებს, ვინ — ბეშსა,<sup>4</sup> ვინ — გარბინსა,<sup>5</sup> ვინ — ბორიოსა, ვინ — ზეფირსა, ვინ — ნორდ-ოსტსა და აგრე შემდეგ. ვინ კიდევ — პერანგისა ფრიადსა, ესდენ ძლიერად უჭყფებს გულის ძვერასა მუსუს-შექალთანეთ და შეყვარებულთ. ქარაფშეტსა<sup>6</sup> და ქარიფანტიათ ქართაგან დამფუკველ წამალთ ასმევენ.

— ახრ, ერთი ტიკტორა ლანგედოკური ქარი, ესრეთ წოდებული ცირციუსი მომცაო! — მეუბნებოდა მავანი და მავანი ჭიბლერა. — განთქმული სიტყვისმკერავი, ანუ მკურნალი სკურონი,<sup>6</sup> ერთხელ გზად იყო ჩვენსა და ის უბნობდა, არნახული რამ ძალისა ქარიაო: დადებულ ურუმთ აბრუნებსო. ჩემსა ოიდიპოსურ ფეხსა<sup>7</sup> ცოტას დასტურ დამიცხრობდაო, სისქეში არცრა ყრიაო.

— მაშ, აბა, ლანგედოკური ღვინისა სქელ კასრზედ რაღას იტყვი, რომელი ლანგედოკურიცა მირვოდან, კანტპერდრიდან და ფრონტინიანიდან ჩამოაქვთ? — სიტყვა შემიქცია პანგურმა.

ერთი ზორბა, ორღვიანი კაცი ვნახე, მოარული წყალმანკი, თავის ბრვე, დანდრაზა ფარეშსა და წრიპა პაქსა თავზედ კაკალსა ამტვრევდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიხლსა ახელდა. ვინათგან იმა კაცისა გულისწყრომის ნამდვილი მიზეზი არ უწყოდი, ვიფიქრე. ალბათ ექიმისა დანიშნულებასა თუ ასრულებს-მეთქი: ბატონკაცი აკი მაშინა გრძნობს თავსა კარგად, როს მრისხანებს და იცემინება, მსახური კი — როს ეცემინება. თუმცა, როგორაც მერმე გავიგე, ის კაცი იმათ ნახევარტიკტორა გარბინის ქურდობასა აბრალებდა, რომელ სანუკვარ ქარსაც თურმე საღვევლად, ანუ საზამთროდ თვალისჩინსაებ უფროთხილდებოდა. ამა კუნძულზედ არცა კუჭში გადიან, არცა შარდზედ, არცა იფურთხებიან. სამაგიეროდ პაერსა აფუჭებენ, სულ ქვეშეთ ბერვაში. ყრცოლაში და პრუწუნ-ჭაჭუნ-კუილსა და ბოყინში არიან. ავადობითა ყოველგვარსა და ყოველნაირსა ავადობასა ჩივიან, რამეთუ რაგინდარა სატკივარი, ჰიპოკრატესდა მიხედვით (წგნ. De flatibus\*), ქართაგან ჩნდება. ყოვლის უფრორე მოდებული ჭირი ამა კუნძულზედ გაჭვალვია. ჭვალთა წინააღმდეგ დიდრონ კოტომთ იყენებენ. ძლიერმოქმედ ქართლასაცხრომელთ მიმართავენ. სუყოველნი აქაურნი წყალმანკისგან და ტიმპანიტიისგან, ანუ მუცლისა შებერილობისგან იხოცებიან, შამაკაცი — კუილ-კუილითა, დედაკაცი — ცუილ-ცუილში, ანუ ქვეშეთ ბერვაში. ამრიგად, სული სახსენედან, ესე - გა უკანა ტანიდან ამოსდით.

კუნძულზედ რომ დავსვირნობდით და თვალსა წყალსა ვალევიანებდით, სამთავქარიან ღენდერას გადაუყვარეთ, მუხლისა გასაშლელად და კოკორინათა საექერლად გამოსულიყვნენ, კოკორინა კი აქა იმდენია, გვერდსა ვერ აუქცევ, და საზრდოდ ეს პატარა იხვნიც იმასვე იყენებენ.\* შევამჩნიე, რომ, როგორაც თქვენა არცროდის არ იშორებთ, ლოთ-მებრუვენო, არცა მათარასა, არცა ტიკტორასა და არცა კიდევ ბოთლსა, ანუ ჭიქისა ჭურჭელსა, აქაც სუყველას კოხტა პატარა კუპრიელი ჰკიდია ქამარსა ზედა. უკეთუ ქარი დაეჭირვით, აქაურნი ხელდახელ ამა თავიანთ უცხო რამ კუპრიელთ მოივარგებენ და, მიზიდულობისა და განზადულობისა კანონისდა თანახმად, იმდენ ცინცხალ ქარსა ამოტუმბავენ, რამდენიცა

\* „ქართა გამო“ (ლათ.).



უნდათ, ქარი კი, მოგეხსენებათ, არსებითად, სხვა არა არის რა, ანუ არა ქვეყნითა ატაცებული სიმხურვალისა და სიხმელის ჰაერსა შინა ძვრა.

სწორედ ამ დროს კუნძულისა მეფისგან განკარგულება მოგვივიდა, რომ სამი საათისა განმავლობაში ჩვენთა ხომალდთა ზედან ადგილობრივ მკვიდრთაგან არცვინ არ აგვეშვა, არცა კაცი, არცა ქალი, რამეთუ იმისთვის იმა ქარითა სავსე ჭურჭელი წარეტაცათ, რომელი ქარიცა ოდესღაც კეთილმექედნულად მოქმედებდა, მა ოდისვეს შესძენა, რათა იმას უქარობაშიც ეტარებინა. ჩემს მეთესსა სიწმინდე ესე, როგორაც წმიდათაწმიდა გრაალი, ისე ჰქონოდა, და იმა ქარისა საშუალებითა მრავალი მძიმე სნება მოერჩინა: თურმე სნეულსა სხეულსა შიგან ხუსტად იმდენ ქარსა უშვებდა, რაერთიცა საჭიროა, რომ ესრეთ წოდებული გასათხოვარი ქალისა პრუწუნ-ჭაჭუნ-კუილი მოჰყვეს, რასაცა მოწესე დედაკაცი სონეტსა უხმობენ.

### თავი XLIV

#### პითარ ჩააწყნარებს და ჩააყენებს ხოლმე კლიერ ქართ ცრა-თქორ-შინულლი

პანტაგრუელმა მოიწონა ამა კუნძულისა მსახლობელთა წეს-ჩვეულება და ამათ ქარიან, ანუ აუქშიე განმგებელსა მიმართა:

— უკეთუ ეთანხმები ეპიკურეს აზრსა, რომელსა უაღრეს სიკეთედ ტკობა მიაჩნდა (მოშრომელ ტკობასა კი არ ვგულისხმობ, არამედ, პირიქით, ადვილად მოსახლებელსა), მაშ, აბა, ბედნიერ ხალხად ჩამითვლიხართ, რადგანაც ცხოვრება თქვენი, ქარიანი ცხოვრება, არცრა ანდა თითქმის არცრა გიჯდებათ: მართო უნდა ფლურწით, უბეროთ და ეგ არი, მეტი არაფერი.

— ეგრეა, — დაუდასტურა განმგებელმა, — ოღონდ ამა წარმავალ ცხოვრებაში სრული ბედნიერება არა არს. არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ სადილად ვსხედვართ, და ვითარცა წმინდა მამანი, ციურ მანანასაგებ გემრიელად შევქცევით მაღლიანად ამოვარდნილ და ამოქროლილ ღვთიურსა ქარსა, მაგრამ უცაბედად დაიწყებს ცრასა, შინუღვლასა, წამოვა თქორი, და ქარი პირიდან გამოგვეცლება, ჩადგება, ჩაუარდება. აგრე და ამრიგად, საზრდელისა უქონლობისა გამო წამისწამად გვიშხამდება ტრაპეზი.

— შენგან თქმულმა შენენ დე კენკენეს ამბავი გამახსენა, — ჩაურთო პანურგმა, — თავის უღელტოლსა კელოსა მან ტრაკუცუნზედ, ანუ გავა-კურტუმზედ მიაფსა და უმაღ ჩააწყნარა: ჩააყენა მერალი ქარი, რომელიცა იქიდან ისე უბერავდა, ვით ეოლოსის ბჭიდან. ის კი არა, ამისა გამო კარგა გვარიანი ათტაებელიც შევთხზე, ყბისაქცევი:

შენენს მაჭარი ეგემა თაფლად,  
მომემარს საეახშშიოდ დაელი პირი,  
კელიმაც წამსვე გამოდგა ტაბლა,  
გაპკრეს მოხარშულ თაღვამსა კბილი,  
მერმე დაწუნენ და თვალთ იცეს ძილი,  
მაგრამ ავმა და მქისე რამ სუნმა  
გამოაღვიძა შენენი უმაღ,  
კელი მერალ ქარსა ბერავდა რადგან,



და რა მიაყსა ცოლისა ღუშათ,  
ის მყრალი ქარიც მაშინვე ჩადგა.

— კიდევ ერთი დიდი და საწყენი უსიამოვნება გვჭირს. — განაგრძობდა განძგებელი, — საქმე ის არის, რომა მავანი და მავანი ღევკაცი, სხელად ბრენგნარიილი, კუნძულ თოჭუზედ მსახლობელი, მკურნალთა რჩევისამებრ ყოველწლივ ჩამოდის აქა გაზაფხულობით ტანში გამხსნელისა, ანუ წაბაქმებლისა მისართმევად, რა არი უკნიდან გამხიარულდეს, და ვით აბ-ქაშთაჯთ, ისე ყლაპავს დიდძალ ქარის წისქვილსა, აგრეთვე ტიკჭორათა და რუმბ-თასუხთ, რომელთა დიდი ტრფიალია, ჩვენთვის კი ესა სრული გაჩანაგებაა და გაიძულებულნი ვართ, რომა წელიწადში, სამ-ოთხჯერ მაინც ვიმარხულოთ დაღათუმცა, არცრა ჯეროვან წირვა-ლოცვასა მივმართავთ.

— მერეღა, არ უწყით, რა ეშველება მაგ ჭირსა? — დაეკითხა პანტაგრუელი.

— ჩვენთა ესკულაპთა რჩევისამებრ, — მთუგო განძგებელმა, — აუღექით და, სანამ ის თავსა დაგვაწყდებოდა, წისქვილთა შიგან წინწინ ყოველთვის აუარებელი მამლისა და დედლის დამწყვდევა დავიწყეთ. თავდაპირველად კნინლა დაიხრჩო: მუცელში იმისთანა ყივილ-კრიახ-ფრთხიალი აუტყდა, გული შეუწუხდა, მიეღია და, რომ მოგეხილათ, ტკივილისგან რარიგ საშინლად იკრუნჩხებოდა და ავრიხებოდა, იფიქრებდით, ალბათ პირიდან კუჭში გველი თუ ჩაუძერაო.

— ეგ შედარება უხეირო და უალაგოა, — შენიშნა ძმა ჟანმა. — ვილაცისგან გამიგონია, კაცისა კუჭსა შიგან ჩამძვრალი გველი არცრისა მზნეველ-დამშაუებელია და მაშინვე უკან ამოძვრება, უკეთუ იმა გველჩამძვრალ კაცსა თავდაყირა დაკვიდვთ და პირთან ცხელრძიან წაფსა, ანუ მცირე ღერგსა რასმე მივუტანთო.

— არცა შენ იცი, რასა უბნობ და არცა შენსა მოხრობელსა სციონია, რა გითხრა, — შეესიტყვა პანტაგრუელი, — არცვინ არცროდის მაგისი მოწმე არა ყოფილა და არცხად ეგ არ წაუკითხავს. თუმცა, ჰიპოკრატე მეხუთე წიგნში, Epid, ერთ თავის დროებაში მომხდარ მსგავს შემთხვევასა აღწერს, მაგრამ გველჩამძვრალი კრუნჩხვისგან მაინც დაღუპულა.

— მერმე წისქვილთა შიგან ბაღჩა-ბოსტანთა გაშენება დავიწყეთ, — განაგრძობდა განძგებელი, — და ყია-ხახაში ღევკაცსა თხანი შეეჩვივნენ. კვალად ისევ კინალამ ტყავი გაჭიმა, მაგრამ აქ ერთმა გულითა ლაყბიერმა გაზირმა, ანუ მჩხიბაუმმა, ურჩია, როგორც კი ტკივილი დაგეწყება, წამერთ გული აირიე და არცა ერთი თხა არღა დაიტოვო, სულ ერთიანად ამოაკიკინ-ამოაღებინე, ეგრევე მოგეშვებაო. შემდგომში უფროისად კარგა რამ საშუალება ასწავლეს, და იმანაც მაშინვე მოივარგა: ხორბლისა და ფეტვის მარცვალთა ოყნა-ჭყაპუნასა მიეჭალა, იმა მარცვალთ კი ქათამნი დაეხვივნენ, ქათამთ არცა ბატნი ჩამორჩნენ და, სად იყვნენ, სად არა, იმათ კვალზედ სუნსულა მელაკუდანიც გამოჩნდნენ, მაშინ ღევკაცმა მწევარ და მეძებარ ძალღთაგან შეზავებულ-შემდგარნი აბ-ქაშთაჯნი გადაუშვა. საქმე არ მოგვდევს, ბედი არა გვწყალობს, ბატონო, უანაწერონი ვართ.

— გული არ გაიტეხით, კეთილნი ხალხნი, — მიუთხრო პანტაგრუელმა, — ღევკაცი ბრენგნარიილი, ქარისა წისქვილთა ყლაპია, მკვდარია, მერწმუნეთ. ახლა არ იკითხავთ, რამ მოკლა? რამა და, ყელზედ დამდგარმა ერთმა ლუკმა ახალშედღვებილმა კარაქმა დაახრჩო, რომელსაცა, მკურნალთა დანიშნულებისამებრ, ზედ აგუზგუზებულ ღუშელთან ყლაპავდა.



თავი XLV

პითარ გადავიდა კანტაბრუელი  
კასსაბრაწელთა კუნძულზედ



მეორე დღითა თვალწინ კიდევ ერთი ახალი კუნძული გადაგვეჩაღა, რომელსა ზედან პაპსაბრაწელნი<sup>1</sup> სახლობდნენ. უწინ მდიდარნი დაჯიქვესუფილნი, მღალღებელი ხალხისა სახელითა ცნობილნი. აწლა ღატაკნი, ბეჭეტყელნი<sup>2</sup> მჭკნენ და პაპომანთ<sup>2</sup> მორჩილებდნენ. გეტყვით, ვითარ ყოფილა საქმე.

ერთხელ ბავრაციისა, ანუ საეკლესიო დროშისა ყოველწლიური დღესასწაულისა ჟამსა<sup>3</sup> მღალღებელთა ბურგომისტროთ, სინდიკოსთ და ნაჭმევ-ნაკვებ რაბინთ თურმე იქავ მოახლოვოდ მდებარე კუნძულ პაპომანიას მიაშურეს, რა არი თან გაეკლით და თანაც კიდევ დღესასწაულსა დასწრებოდნენ. ერთ იმათგანსა, ვითარ მოუხილავს პაპისა სურათი (იქა ხანაქებთ რამ ჩვეულებად ჰქონიათ სუყოველ ბედნიერ დღესა ორ კვერთხსა ზედან დაბაგრებული პაპისა სურათის საჯაროდ გამოფენა), ვგრევე ბრაწი უჩვენებია, პაპომანიაში კი ნიშანი ესე გასახარავებად და დაცინვად ყოფილა მიჩნეული. ხულ რამდენიმე დღეში პაპომანთ იარაღი აუსხამთ და შურისგებისა ცეცხლითა ანთებულნი მღალღებელთა კუნძულსა წინასწარ გაუფრთხილებლად შესევიან, გაუძარცვათ, გაუპარტახებით, წვერიანი კაცი არლა გაუშვიათ ცოცხალი. მარტო დიაც-ყმაწვილნი დაუნდვიათ, ისიც დაახლოებით იმავე პირობითა, რა პირობაც ოდესღაც იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ მილანელთ წაუყენა...

იმპერატორის არყოფნისა დროსა მილანელნი აჯანყდნენ, ცოლი ქალაქიდან გაუგდეს: იმპერატორის მეუღლე, მეფა-ქალი თაელაფდასახმულად და მოსაყივნებლად კურთუკულმა შესვეს თაქორად მონათლულ ბებერ კერძოვირზედ, ანუ ჯორზედ, ესე იგი ზურგითა ჯორისა თავისკენ, სახით კი გავისკენ, შინმობრუნებულმა ფრიდრიხმა ჩაახშო, ბოლო მოუღო ამბოხსა და იმდენი ქნა, ის სახელგანთქმული ჯორი თაქორიც აპოვნინა. მაშინ იმპერატორისა ბრძანებითა მკვლელობისა მოხელემ სავაჭრო მოედანზედ აჯანყებულთა დასახახავად და თვალთა წინ თაქორისა სასარცხო ადგილსა კუდქვეშ ლედვისა ფოთოლი მიაკრა და იმპერატორისავ სახელითა გამოაცხადა, ვისაცა სურს, რომ არ დაისაჯოს და სიკვდილი აიცდინოს, ყოველთა სახილველად კბილებით უნდა ააპროს ეს ლედვისა ფოთოლი, მერმე კი ხელებისა გამოუყენებლად ისევ უკან მიაკრასო. ვინაც ამას თავსა აარიდებს, დაუხანებლად ჩამოვკიდებთ და ჩამოვახრჩობთო. ზოგხოვთ დანაშაულისა ესეგეარად გამოსყიდუა სამარცხვინოდ და საძრახისად ეჩვენებოდათ, სირცხვილისა ჭამასა სიკვდილსა ამჯობინებდნენ. და აკი ჰკიდებდნენ კიდევ სხვანი სირცხვილისა ჭამასა რჩეობდნენ სიკვდილსა. ესევითარნი კაცნი თვალისა დაუხამხამებლად, წამისყოფითა აძრობდნენ ლედვისა ფოთოლსა, სიკვდილისა მოხელეს უჩვენებდნენ და თან ხმამაღლა ეუბნებოდნენ: „Ecco lo fico“.

მსგავსი შეზრაცხოფისა ფასად გადარჩენილან სიკვდილსა ვიეთნი ბედკრულნი, ნატანჯნი და გაწამებულნი მღალღებელნი. მაგრამ სამაგიეროდ თავიანთ პეტერთა მონანი და მოხარჯე-მოხარკენი გამხდარან, და უკანსაყივრად, ანუ პეტსახელად პაპსაბრაწელნი შერქმევიათ, რაკი პაპისა სურათსა ბრაწი უჩვენეს. იმჟამიდან საცოდავთ მოსვენება დაუკარგავთ. წელიწადი არ გასულა ისე, რომ ხელვა, ანუ სეტყვა-წვიმიანი ქარიშხალი, შავი ჭირი, სიყმილი და სხვა ათასი

\* აი ლედვი (იტალ.).



ვბედურება არ დასტყდომოდით თავსა, თითქოს სულ იქით უწიათ მამა-პაპისა და დედ-მამისა ცოდო-ბრალმა.

ამა სილატაკისა და გაჭირვებისა მნახველთ გარდაეწვიტეთ, რომ კუნძულსა ღრმად არღა მოვდებოდით, შორსა არ წავსულიყავით. იქავ ნაკსაყულელთან, ერთ პატარა სამლოცველოში შევედით, რათა ნაკურთხი წყალი მოგვეშოვებინა და უფლისთვის გველოცა. სამლოცველო იგი ნახევრად დახურულად უკაცრიელი იყო, რომელსაც, ვითარ წმ. პეტრეს ტაძარსა რომში, სახურულად უკაცრიელი და<sup>5</sup> სამლოცველოში თავი რომ შევყავით და ნაკურთხწყლიან ემბაზსა მივეახლოვეთ, შიგან, ემბაზში, ოღარებგადაფარებული კაცი ვინმე მოვიხილეთ, რომელი კაციცა ჩაყურყუმელავებულ იხვსაებ მოღად წყლითა იყო დაფარული და მართ ოდენ ცხვირიღა უჩანდა სასუნთქად. იმის გარშემო სამნი მღვდელნი დადგრომილიყვნენ, სამთავ სუფთად გაპარსული, სამთავ ტონზურიანი, და შავი წიგნისდა<sup>6</sup> კვალობაზედ ეშმაკეულთ ჩხიბავდნენ.

პანტაგრუელი განცვიფრდა და დაეკითხა, თავსა იქცევთ თუ რა ამბავიაო, და იმათ პასუხად მიუგეს, ბოლო სამი წელიწადი კუნძულზედ საშინელმა რამ ჭირმა იმძვინვარაო, თითქმის ნახევარი მოსახლეობა ამოწყვიტაო და მიწასა მიხედავი არა ჰყავდა, არცა მხვნელი ვინმე იყო. არცა მთესვარი, თესლისა მხნეველიო; ხოლო როს უამიანობამ გაიარა და ჭირი ხალხისა ცელვასა დაეხსნაო, სწორედ მიწისა მეოფლე კაცმა ამან, აწ ემბაზსა შიგან რომ წევს, ერთხელ ერთ ტრიად და მოსავლიან მინდორში გუთანი გაიტანა, გათერძა და ასლისა თესვა დაიწყოო; იმავე დღესა და საათსა კი მავანმა პატარა ეშმაკმა (ჯერეთ არცრა ჭექა-ქუხილისა ატეხა შეეძლო და არცა კიდევ ჯეჯილისა დასეტყვაო, მარტო ოხრაბუშსა და კომბოსტოს თუ ჩარეგვაედა, თანაც ერთი უანბანო ვინმე იყო) ლუციფერსა ნებართვა გამოსთხოვა, პაპსაბრაწელთა კუნძულზედ მაცელქე და მათნაჯრეო. სად, ბარემ აქვე გეტყვით, ადგილობრივ ხალხთან, როგორაც მამრთა, ისე მღვდრთა თანა, ეშმაკთ ძალზედ ახლო მეგობრობა აქვთ და ხშირადაც სტუმრობენო...

ჰოდა, აი სწორედ ეს პატარა ეშმაკი წაადგა თავსა მინდორში ამა მიწისა მხვნელ კაცსა და ჰკითხა, რასა იქმ, რასა მუშაკობო. მიწათმოქმედმა მან მიუგო, რასა და ასლსა ეთესავ, რომ ზამთარში თავი ეირჩინო.

— მერედა, ეს მინდორი ხომ შენი კი არა, ჩემიაო, — შეესიტყვა პატარა ეშმაკი, — მე მეკუთვნისო. იმუამიდან, რაც რომ თქვენ პაპსა ბრაწი უჩვენეთ, სრულიად თქვენი მიწა-წყალი ჩვენ მოგვაკუთნეს და დაგვიმტკიცეს კიდევაცო. თუმცაღა, ხორბლისა თესვა ჩემი საქმე არ არისო. ამად ჭირნახული შუაზედ უნდა ვავიყოთო.

— ბატონი ბრძანდებით, — დაეთანხმა მხვნელი კაცი.

— თანაც ორ ნაწილად გავყოფითო, — უთხრა პატარა ეშმაკმა, — მიწისზედად და მიწისქვეშადო: არჩევანი ჩემია, რამეთუ დიდგვაროვანი და ძველთუძველესი მოდგმისა ნაშიერი ვახლაჯარო. შენ კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი მდაბიო ვინმე ხარო. მიწისქვეშა სულ მოღად ჩემია, შენ კი, როგორაც წილზედ მჭერელი, მიწისზედას დასჯერდიო. როდის გაიჭრება ყანაო?

— შუა მკათათვეშიო, — უპასუხა მხვნელმა.

— ჰოდა, მეც მამის მოვალეო, — უთხრა პატარა ეშმაკმა. — აბა, შენ სცი, გლეხო კაცი, გაისარჯე, გაისარჯეო! მე კი წავალ ავხორციობისა საღაღადო რამ ცოდვითა საპრუწუნეთის სავანისა კუთილშობილ მოღოზანთა, ავრეთვე ორპირპირმთინე და ნაყროვან ძმათა საცდუნებლადაო. ათვხის სარწმუნოდა ვარ, რომ თავად არიან ამისა მოწადინენიო. აბა ჰე, კარგად გნახეო!



თავი XLVI

პითარ აჯობა ჭკუითა პასხაბრაჟისა  
კუნაულელა მხენელა პატარა მუშაკსა



შუა მკათათვეს პატარა ეშმაკი მგალობელ-მუამნობელ ეშმაკუნათა მთელი ხროვა-ჯგროთი მივიდა მინდორში. მიეახლოვა მუშაკელია მხენელა მუშაკის მიუთხრო:

— ჰა, გლეხო, როგორ გიკითხო? გაყოფისა დრო დადგათ.

— მართალი ბრძანდებიო, — მიუგო მხენელმა კაცმა.

ბევრი იუბნეს თუ ცოტა, მხენელმა მან თავის მოჯამაგირეთა თანა ქუცნა. ანუ პურისა მკა დაიწყო. პატარა ეშმაკნი კი კვალში მისდევდნენ და ნამჯა-ნაწვერალსა ძირიანად გლეჯდნენ. მხენელმა გაღეწა კალი, გაანიავა, ტომარა-საცალონი მარცვლითა დაავსო და ბაზარში წაიღო გასასყიდად. პატარა ეშმაკთაც იგივე ქნეს და ბაზარში რომ მივიდნენ, თავიანთი ნამჯა-ნაწვერლითა გვერდზედ მოუსხდნენ მხენელსა. მხენელმა ფრიად სარფიანად გაყიდა ხორბალი და ფულითა, პირთამდე გაავსო მოკლეყელიანი ძველი წულა, ქამარზედ რომ ეკიდა. ეშმაკთვერც რა გაყიდეს, თანაც კიდევ გლეხთ მიეღო ბაზრისა დასანახავად გაამასხარა-უხ და გააპამპულავეს.

ბაზარი როს მორჩა, ეშმაკმა მომწირნე, ანუ მრავლად გამრჯელ მხენელსა მიუთხრო:

— გამაცურე, გლეხო, მაგრამ მეორედ ვეღარ გამაცურებო.

— მე რა გაგაცურე, უფალო ეშმაკო? არჩევანი აკი შენი იყო, — შეეპასუხა მხენელი. — თუ ეგრეა, დიადაც შენ გინდოდა ჩემი გაცურებაო. გეგონა, რომ ჩემს წილად არც რა ამოვიდოდა, რაც რამ დავთესე, ყველაყა სულ შენ დაგრჩებოდაო, ადგებოდი მერე და, საცა ერთი უბედური ღვთისა სათნო და წუწუნაჲი ვანბეა, შენი სიმდიდრითა შეაცდენდი და აღუღებულ კუბრში ჩაჰყრიდიო. მაგრამ ამა საქმეში ჯერეთ ჭირნახულობა გაკლიაო. უნდა იცოდე, მარცვალა მიწაში ღებება და კვდება, ხოლო ნამპალზედ ახალი ამოდის, რომელიცა რომ შენი თვალისა წინ გავეიდეო, შენსა თავსა დააბრალე, თუ უარესი აირჩიე, ტყუილად როდია თქმული; ხან ეშმაკიც წაიტეხს კისერსაო.

— კარგი, კარგი, გეყოფაო, — მიუთხრო ეშმაკმა. — გაისად რილას დათეხვას აპირებ ამა ჩვენსა მინდორზედაო?

— როგორაც კარგმა მიწისა მუშამ და მეოფლემ, თაღვამი უნდა დაეთესო, — მიუგო მხენელმა.

— უჭკუო გლეხი არა ჩანხარ, ვითარ ვიყურებო, — მიუთხრო ეშმაკმა. — რაც შეიძლება მეტი თაღვამი დათესე, ქარიშხლისგანაც დავიცავ და არცა სეტყვასა ჩაყარეგვინებო. ოღონდა დაიხსომე: ზედა ჩემია, ქვედა — შენისო. გაისარჯე, გლეხო კაცო, გაისარჯეო! მე კი მწვალებელ-ერეტიკოსთა საცდუნებლად წავალ: ნახშირზედ შემწვარ იმათ სულთ, ტყუილია, არცრა სჯობსო. უფალო ღუციფერსა აწ მუცელი სტკივა, ცხელი იმისთვის მისწრებააო.

მოსაულის აღება-დაბინავეებისა დრო რომ დადგა, ეშმაკი დათქმულ ადგილას გაჩნდა და კვლავ ეშმაკუნათა ჯგრო მოიყოლა, ახლა უკვე საეპისკოპოსოს საკრებულოდან. მიემშვიდობა თუ არა მხენელსა, თავის მოჯამაგირეთა თანა იქავ მდგარსა, ეშმაკმან მაშინვე ფოჩისა ჭრასა და მოგროვებასა მიჰყო ხელი. იმას უკანადგენებული მხენელი კი უკვე ფოჩწაჭრილ თაღვამსა თხრიდა და ტომარა-



ში აგროვებდა. მერმეთ სუყველანი ერთად წაუდნენ ბაზარში. მხვნელმა კარგ ფასად გაყიდა თაღვამი. ეშმაკმა ვერცრა გაასაღა. თანაც კიდევ გამვლელ-გამომვლელნი აშკარად დასცინოდნენ.

— ჩანს, ისევ გამაცურე, გლეხო, — უთხრა ეშმაკმა. — ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადავწყვიტოთ ამა მინდორისა ამბავით. დავოქვით ვიკაწრაოთ და ვინცა პირველი მოკაკავავს თითხა, ის თავის წილ მინდორსავე დატოვებო. მინდორი სრულიად გამარჯვებულსა დარჩებაო. ერთი კვირის თანხვედრით. დამაცა, რა გიყო, ისე უნდა დაგხამსო და დაგკაწრო, შენთან ვერღა გიცნონო! რა დასამალია და, სანამ აქ მოვიდოდი, ბევრი ვდიე საცდუნებლად მძარცველ-დავაქართ, ცრუ საბეზღართა ჩამწიკწიკებელთ, ნოტარიუსთ, ნაყალბეკ საბუთ-დავთართა შემთითხვნელთ, და უპატიოსნო ვექილთ, მაგრამ მოენისა პირითა შემომითვალეს, დევნა რაღად გვინდა, ისუდაც შენი ვართო. თანაც ლუციფერსა არც ერთსა სულზედ გული არ მისდის, ვინცავენ ჩამოვთვალეო. უკეთუ რომელიმე დამარილებული არ არის, სამზარეულოში მესაჭმელეთ უგზავნისო. საუზმედ შევირდო, ანუ გასაწვრონელ ყრმათ არცრა სჯობს, სადილად — ვექილთ, წასახემსებლად — მევენახეთ, ვახშმად — ვაჭართ, ზედ ძილისა წინ — მოახლე გოგოთ და, რა ტრაბეზიც გინდ იყოს, შავად მოსილ ავსულთ არცროდის არა შეედრება რაო. დიად, დიად, ნამდვილსა გითხრობ; უფალი ლუციფერი ლუკმასა არ ჩაიდებს პირში, რომ მადისა მოსასკლელად შავად მოსილი ავსული არ მიატანოსო. უწინ საუზმეზედ შევირდ-მოწაფეთა მირთმევა უყვარდა, მაგრამ უბედურება მოხდა: ოსინი, უკვე რამდენიმე წელიწადია, ბიბლიასა ეწაფებიანო. ამისა გამოა, რომ ვერც ერთი ჯოჯობეთში ვერ წაგვითრევიანო. მგონია, იმათი ურწმუნო მოძღვარნი თუ არ აღგვიჩნდებიან მუშველად, არ გალანძლავენ და არ გათათხავენ, ძალასა არ მიიტანენ, სასტიკად არ მოექცევიან, კოცონზედ დაწვითა არ დაემუქრებიან და ხელთაგან პავლე მოციქულსა არ წაჭკლეჯენ, იმათ ვერც რასა გამოვრჩებიოთ. ვთქვათ და სადილზედ ლუციფერსა ვექილნი არ მიართვეს. კანონთა გამამრუდებელნი და საწყალი ხალხისა მღვარსლელნი, მაშინ ის სადილი არც რად მიაჩნიაო. დაღათუმცა, შენც კარგად უწყი, სულ ერთნაირმა, ერთფეროვანმა საჭმელმა ყელში ამოსვლა იცისო. წინაზედ საქვეყნოდ გამოაცხადა, კარგსა იზამდით, თუკი იმა მოთნე და ცრუმოსაყისა სულსა შემაჭმევდით, რომელსა ლოცვისას ღეთისა გულმოწყალებისა ხსენება დაავაწყდაო. ის კი არა, ორმაგ საბოძვარსა და გასამრჯელოსა დაგვიპირდა, ვინცა მყის გავუჩენდით ჯერეთ ისევ თბილ-თბილ ესეგვარ სულსაო. არღა დავყოვნებულვართ, მაშინვე გავცვივდით სანადიროდ, მაგრამ ცარიელნი დავბრუნდით და ჩვენი ხელგამდგარობა მავან ხუცესსა დავაბრალეთო. აწ ლუციფერსა კრიჭა აქვს შეკრული, საჭმელსა ვედარ ეძალება. რაკილა მას უკან მუცელსა ჰკვრემს, რაც რომ ჩრდილო მზარე-ქვეყანათა შინა მწარედ აწყენინეს ჩოდართ, ჯართ აღევნებულ ვაჭართ, მარკიტანტთა სახელითა ცნობილთ, მენახშირეთ და მეძეხუეთათ. ის ფრიად გულსავსედა გრძნობს თავსა, რაჟამს ვახშმად გვერდით უსხედან მევახშენი, აფთიაქარნი, საბუთ-დავთართა გამყალბებელნი, ყალბი ფულისა მჭრელნი, მღარე, ანუ ძვალი საქონლისა გამსყიდველნიო. უკეთუ ხმეულია, შექეიფიანებულნი, მოახლე გოგოთ შეექცევა, რომელნი მოახლენიცა თავიანთი პატრონის ღვივისა ყლაპვისა არ ერიდებიან და ღანაკლულეებულ კასრთ შესავსებად ერთსა მყრალ რასმე სითხესა ამატებენო. ვაისარჯე, გლეხო კაცო, ვაისარჯეო! მე წავალ, ეგების ტრაბზონელნი შევირდნი ვითმე დავიყოლიო, რომ მამათაც ხელი ააღონ და დედათაცაო, არცარა ზრდილობისა წესთ არ დაემორჩილონ, მეფისა ვანკარგულებანი ყურად



არ იღონ, თუნდაც კარჩაკეტილში, ოღონდ თაყიანთი სიამოვნებისა გულისთვის  
 იცხოვრონო, ყოველნი შეიძულონ, მასხარად აიგდონ, და არცვინ არ დარჩეს ისე,  
 რომ თავზედ სამხიარულო რამ კოკროჭინა ჩაჩი არ მოიგდოსო, ფრხელ მოხდე-  
 ნილი, და ბოლოსა და ბოლოს შავად მოხიდ მლადობელ ავსულოდ არ იქცესო.

ეროვნული  
 ზიგლიქთუქა

თავი XLVII

ვითარ შეაყარა თვალში ნაცარი პანტაგრუისა  
 კუნძულელმა დედაბერმა პატარა ეშმაკსა

მხვნელი შინ ნადვლიანი და შეურვებული დაბრუნდა. იმისმა შემხედვარე  
 ცოლმა იფიქრა, ნამდვილად ბაზარში გაუქურდავთო. მაგრამ ქმრისა დადარდი-  
 ანებისა მიხეზი რომ შეიტყო და დარწმუნდა, ამიანური ფულითა გატენილი აქ-  
 ვსო, ნუგეშინი სცა, ნუ გეშინის, მაგ შენსა კაწრაობასა მოევლება, არცრა დავი-  
 ძავდებათ, ოღონდ მე მოძენდე. ჩემდა იმედად იყავი, უკვე წინასწარ ვიცო, რაც  
 რამ უნდა ვიღონოთ.

— ერთი თუ გამკაწრა, მორჩაო, — წუხდა მხვნელი, — მაშინვე დავნებდები  
 და მინდორსაც ეგრევე დავთმობო.

— აკი ვითხარი, ნუ გეშინის-მეთქი, — კვლავ დაამშვიდა დედაბერმა, —  
 მე დამეცნე, ჩემდა იმედად იყავი, დანარჩენსა მე მოვუვლიო. რახან დიდი კი-  
 არა, როგორაც მითხარი, ჯერეთ პატარა ეშმაკია, ისეთ რასმე ოინსა ვუზამ, მა-  
 ლიად დანდობა-მეცოდებასა ვათხოვნივებ, და მინდორი ჩვენ დავვრჩებათ. აი დიდ  
 ეშმაკთან კი უფრო მეტი საწვალებელი შექნებოდაო...

კუნძულზედ სწორედ მხვნელისა და ეშმაკის დათქმული შეხვედრისა დღეს  
 ჩავედით. ის მხვნელი ჯაფისკაცი დილაბინდზედ ამდგარიყო, აღსარებისა თქმაც  
 მოესწრო, ზიარებაცა და, მღვდლისა რჩევისამებრ, ეშმაკსა შიგან ჩაფურყუმე-  
 ლავებულიყო, სად თავსა წავადექით.

ამა ამბავსა რომ გვიყვებოდნენ, მავანმა და მავანმა მაცნობელმა გვამცნო.  
 დედაბერმა ეშმაკსა თვალეებში ნაცარი შეაყარა და მინდორი დაინარჩუნაო. როგო-  
 რაო, მკითხავთ, გეტყვით, როგორცა ყოფილა. ეშმაკუნა იგი მიეახლოვა თურმე  
 მხვნელისა სახლსა, დაუკაკუნა და დაუყვირა:

— ჰეი, გლეხო კაცი, მეოფლე გუთნისდედავ! აბა, ჰე, გამოყავი ბრჭყალ-  
 ნიო!

მერმეთ ვაცბოტსაებრ გამედიდურებული შესულა შიგ, მაგრამ მხვნელისა  
 მაგივრად დედაბერი დახვედრია: ნაცუცქულიყო და თავბედსა იწყევლიდაო.

— რა ამბავიაო? — უკითხავს ეშმაკსა. — სად არის ის გლეხი კაციო? სად  
 წავიდაო?

— ვაი! იმ უკეთურზედ, მკვლელზედ და ავაზაკზედ მკითხები, სად არიო? —  
 კითხვა შეუბრუნებია დედაბერსა. — გამბასრა, დამლუპა, ამა ქვეყნისა აღარა  
 ვარო.

— რაო? მართალსა უბნობო? — ისევ შეჰკითხვია ეშმაკი. — მე იმას ვუჩვენ-  
 ნებ სეირსაო!

— ვაი! — დაუკვნესია დედაბერსა. — ვითარ იმა ავაზაკმა და ეშმაკთა მკაწ-  
 ვრელმა მითხრა, დღესა თურმე შენ უნდა გეკაწრაოს, ავრე შეთანხმებულხართ.  
 და ბრჭყალ-კლანჭისა მოსასინჯად ლაჯთა შუა ნეკი გამკრა, სულ მოლად გამბას-



რაო, დავიღუპე, აღარცრა მეშველება რაო. მჭედელთან წავიდა, ბრჭყალ-კლანჭნი კიდევ უფრო უნდა გავაღესინ-გავაწამწამებინო და გავააღმას-გავაბასრებინო, დაღუპული ხარ, უფალო ეშმაკო, დაღუპული, თავსა უშველე, სანამ გვიან არ არიო! გაიქეცი, აგრემც გენაცვლებიო.

ამისა თქმისა თანავე დედაბერი თურმე ნიკაპამდის გატიტვლდა, გადელი-შობილდა, ვით ოდესღაც სპარსნი დიაცნი გატიტვლდნენ. ~~მჭედელთან~~ ეელიდან გამოქცეულ თვისთა შვილთა წინარე,<sup>1</sup> და ეშმაკისთვის ~~მჭედელთან~~ დაუნახვებია. ეშმაკსა დედაბრისა ნაჭრევ-ნაპობისთვის მთელს სიგრძე-სიგანეზედ რა თვალი შეუვლია, შეუბღაუვლია:

— მაჰმადო, დემიურგონ, მეგერა, ალეკტო,<sup>2</sup> პერსეფონე! კიდევ კარგი ჯერეთ არ მოვეხელებივარ! მართლა გაქცევაზეა საქმეო! დანარჩუნდეს, ჯანდაბას და დოზანას ის მინდორიო!

და ეშმაკი წამერთ გამქრალა, გაუჩანარებულა.

სმენადქცეულთ ბოლომდის მოვისმინეთ მხვნელ-ეშმაკისა ამბავი და ჩვენსა ხომალდსა მივაშურეთ. მეტხანსა აქ არღა გავჩერებულვართ. პანტაგრუელმა საყდრისა გვადრუც-ყულაბაში თვრამეტი ათასი ოქრო ჩააგდო ხალხისა სილატაკისა და ამა მხარე-თემის გაბედითებისა საშველ-შესაწევნელად.

## თავი XLVIII

### პითარ გაღავიდა პანტაგრუელი პაკოპანთა კუნძულზედ

ბედუკულმართი პაკსაბრაწისა კუნძული რომ დავაგდეთ, მთელი დღე წყნარ ამინდში ვიარეთ და დიდად ნაამებნი ვიყავით, ოდესცა პაკოპანთა დალოცვილი კუნძული გამოჩნდა. ის იყო ღუზანის ჩაუშვით, ბაგირნი ჯერეთ მიბმულნი არა გვექონდა, რომ ნავი მოგვადგა, რომელსა შიგან ოთხი სულ სხვადასხვანაირად ჩაცმული კაცი იჯდა: ერთ-ერთსა, ტურტლიანზედ ტურტლიანსა, ბერ-მონაზონ-საებრ ემოსა და თანაც ფეხთ წაღები ეცვა; მეორესა — ბაზიერსაებრ, ხელსამფარიანი იყო, ჩიტისა ფიტული ეჭირა; მესამესა — მომრიგებელ შუამავალსაებრ, ზურგზედ ხალთა-ტავარჯუხი მოეგდო, ათასგვარი რამ ცნობით, უწყებით, სამარო საქმითა და გადავადებისა ქაღალდ-საბუთითა გატენილი; მეოთხესა — ორღეანულ მევენახესაებრ, ფეხთ საუცხოო ტილოს პაჭიჭ-გეტრნი უმშვენებდა, ქამარზედ ამიანური, ანუ ბადიანი ქისა და სასხლავი დანა ეკიდა.

ჩვენთა ხომალდთ რომ მოეახლოვნენ, სუყველამ ერთხმად დაიყვირა:

— მოგზაურნო! გინახავთ ისა? გინახავთ ისა?

— ვინ ისა? — დაეკითხა პანტაგრუელი.

— ისა, — უპასუხეს იმათ.

— მერედა, ვინ არის ისა? — ჰკითხა ძმა ჟანმა. — მამაჩემისა ცხონებამ, დვილზედვე ამოვადრობ სულსა (იმას ეგონა, ვინმე ავაზაკზედ, მკვლელზედ ან-და მკრეხელზედ გვეუბნებიანო.)

— ვითარ არ იცით ის ერთადერთი, გზად მავალნო? — იკითხეს იმათ.

— უფაღნო! — ამრახდა ეპისტემონი. — ჩვენთვის გაუგებარია თქვენი მი-



ჩიშნებანი. პატივი დაგვლეთ, აგვიხსენით, ვისა გულისხმობთ, და არცრასა დაგვიმალავთ.

— არსებულზედ გეუბნებით, — წართქვეს იმათ. — გინახავთ ოდესმე?

— არსებული იგივე ღმერთია, ჩვენთა ღვთაებთაგანა სწავლასდა თანახმად, — მიუთხრო პანტაგრუელმა. — სწორედ ამა სიტყვითა განსახლება მან თვითონ თავი თვისი მოხესთან საუბარში. რასაკვირველია, იქვე უნდა იყოს, და ხორციელნი თვალნი იმას ვერცა მოიხილავენ.

— არა, მამაზეციერზედ არ მოგახსენებთ, — თქვეს იმათ. — მიწიერ ღმერთზედ გელაპარაკებით. გინახავთ ოდესმე?

— პატიოსნებასა ვფიცავ, ესენი პაპსა გულისხმობენ, — წართქვა კარპალიმმა.

— დიად, დიად, უფალნი, ერთი კი არა, ერთად სამნი მინახავს, მაგრამ ხეირი არცრა მინახავს, — სიტყვა გამოავი პანურგმა.

— როგორ სამნი ერთად? — წამოიძახეს იმათ. — წმინდა დეკრეტალიათა? შინა, რომელთაც ავაჯიანი ხმითა წარვიტყვიოთ, თქმულია, ცოცხალი პაპი მხოლოდ ერთი შეიძლება რომ იყოსო.

— მე იმის თქმა მინდა, თანმიმდევრობით მინახავს-მეთქი, ერთიმეორისა მიყოლებითა, და არა სამივე ერთბაშად, — უთარგმანა პანურგმა.

— ო, სამგზის, ოთხგზის ნუტარნიო! — წამოიძახეს იმათ — მართლაცდა უძვირფასესი სტუმრები ბრძანდებით.

ამის თქმისავე თანა ჩვენთა წინაშე ჩაიმუხლეს და ფერხთა დაკოცნა მოგვინდომეს, მაგრამ არ დავანებეთ და მიზეზად ის მოვუდეთ, უკეთუ თქვენდა საბედნიეროდ პაპი პირადად გეწვიათ, იმას სხვა უფრო მეტ პატივსა ვერცრას მიავებთო.

— მივაგებთ! — შეგვესიტყვენ ისინი. — იმასა ტრაკუცუნსა დაუუკოცნით, უფოთლოსა, ტიტველსა, და ბარემ ყვერთაც ზედვე მივაყოლებთ, ყვერნი კი რომ უცილოდ ასხია წმინდა მამასა, ამაზედ პირდაპირ თქმულია ჩვენთა უებრო დეკრეტალიათა შიგან, სხვაგვარად ვერცა იპაპებდა. მახვილგონივრული დეკრეტალიური ფილოსოფია გარდუვალად მიდის ესეგვარ დასკვნამდე: რახან პაპია, მაშასადამე, ყვერნიც ასხია, ხილი ყვერ-საურვალთ თუ რამე გადააშენებდა ქვეყნად, მაშინ ქვეყანასა არცა პაპი ეყოლებოდა.

პანტაგრუელი ამათაში იმათ მუნიჩბესა დაეკითხა, ეს ოთხნი ვინ არიანო. მუნიჩბემ პასუხი არ დაუყოვნა, ესენი კუხტულზედ მსახლობელ ოთხ წოდებასა წარმოადგენენო, და დასძინა, ძვირფასად მივიღებენ და ძეარფასად გავიმდესძინძლდებიანო, რამეთუ პაპი გყავთ ხილულიო. პანტაგრუელმა მაშინვე პანურგს აუწყა ეს ამბავი, პანურგმა კი ყურში უთხრა:

— ღმერთია მოწმე, საქმე დამშია! მოთმინებითა მომლოდინესა ჯილდო არ ასცდება. დღესაქამომდის არცრა ხეირი მქონდა იმისგან, რომ პაპი მყავდა ხილული, აწლა, დალახეროს უშმაკმან, ვხედავ, ხეირსა პირი უჩანს.

მაშინ ხმელეთზედ გადავედით, და ჩვენდა შესახვედრად კუნძულისა მსახლობელთა მთელი გუნდი წამოვიდა: კაცნი, ქაღნი, ყმაწვილნი, ოთხთა წოდებრივ წარმომადგენელთ მალლად გასძახეს იმათ:

— ამათ უნახავთ ისა! ამათ უნახავთ ისა! ამათ უნახავთ ისა!

ამა შეძახილზედ სუყოველთ მუხლნი მოიდრიკეს ჩვენთა წინაშე, ხელნი ზეცად ალაპყრეს და შესძახეს:

— ო, ბედნიერო ხალხნიო! ო, უზომოდ ბედნიერნი ხალხნიო!



და მთელი მეოთხედი საათი ვისმენდით ამა შეძახილთ.

მერმე ადგილობრივი სასწავლებლისა მეუფე მოიჭრა, უკან მოიყოლა ყოველნი მოძღვარ-ოსტატნი და ყოველნი თვისნი მოწაფენი, უფროსნიც და უმრწემესნიც, რომელნიცა იქავ კარგა გვარიანად გაწკეპლა, როგორაც რომ ჩვენში წკეპლავენ ხოლმე ყმაწვილთ, ოდეს ბოროტმოქმედსა ვისმე/სახრხობულაზედ ჰკიდებენ, — წკეპლავენ, რათა კარგად დაახსომებინონ, რესა მხილველნიცა არიან. დაღათუმცა, პანტაგრუელი განრისხდა და მოუხრწოდა

— უფაღნი! მოემვით ბაღლთა წკეპვლასა, თორემ აქ არღა გავჩერდები, წავალ!

პანტაგრუელისა ხაფმა ხმამ ხალხი განაცვიფრა; ჩემი ყურითა გავიგონე, ვითარ მიმართა სასწავლებლისა მეუფეს ერთმა ჩაგვერა, დაგვალულმა, გრძელხელებიანმა კუზლარამ:

— დასტურ წმინდა ექსტრაგაგანტნი<sup>3</sup> არიან! ნუთუ ვისაც პაპი უნახავს, სუყველა ამხელა ოქლაქი და ოტლოტოტლო იზრდება, რამხელაც ეს ოროთდენა კაცია, აწ რომ გვემუქრება? ეჰ, რა საწყენია, რომ აქამომდე არ მინახავს პაპი, — მაშინ მეც ამა ჩვენსა სტუმარსაებ შევეყრიდი ტანსა!

იმისთანა ყიჟინი და ჟღავიჟლუვი იდგა, ბოლოს თვითონ ჰომენაცი<sup>4</sup> მოვარდა (აგრე უხმობდნენ ისინი თავიანთ ეპისკოპოსსა) ხარტუკ-ლაგამწაძოყრილ, მწვანეჩულიან ჯორზედ ამხედრებული, თან თვისნი ვასალთშემცვლელნი (როგორაც იმათ აქ ეძახიან) და მსახურნი მოჰყვენენ, ზოგთ ჯვარნი ეჭირათ, ზოგთ — დროშანი, ზოგთ — ბავრაყნი, ვის — დაფარნა-საფარველნი, ვის — ბიკონ-კვარნი, ვის კიდევ — საიაზმე ჯამნი.

და აი ამა ეპისკოპოსმაც თავი გამოიღო გინდათ თუ არა, ფერხნი უნდა დაგიკოცნოთო (როგორაც ღვთისმოსაჲმა ქრისტიანმა ვალფინივიმ მოუნდომა პაპსა კლიმენტის ფერხთა დაკოცნა), და გამოგვიცხადა, ერთ-ერთსა ჩვენსა პიპოთეტსა,<sup>5</sup> წმინდა დეკრეტალიათა მღრღნელსა და მთარგმანებელსა, პირდაპირ უწერია, იუდეველნი მესიის ძველთაგან ელოდნენ და ბოლოს მაინც მოილოდინესო; ზუსტად აგრევე პაპი ოდესმე ჩვენსა კუნძულსაც ეწვევაო. ხოლო იმა ნეტარი დღისა მოლოდინში სუყოველ კაცო, ვისაც პაპი რომში ანდა კიდევ სწვაგან უნახავს, არნახულად გაუუმასპინძლდებით და პატივისა არ მოვაკლებთო.

ასე იყო თუ ისე, საპატიო რამ საბაბითა ფერხნი მაინც არ დაგაკოცნინეთ.

## თავი XLIX

### ვითარ გვიჩვენა ჰომენაცმა, კაკომანთა ეპისკოპოსმა, ზეგარდემო დეკრეტალიები

მას უკან ჰომენაცმა გვითხრა:

ჩვენი წმინდა დეკრეტალიები გვავალებენ და გვიბრძანებენ, რომ ჯერეთ ტადარნი მოვინახულოთ, ხოლო შემდეგ სამიკიტნონი. ამრიგად, რათა ამა დადგენილებასა არ გადაუხვიოთ, პირდაპირ ეკლესიაში წამობრძანდით, იქიდან კი სანადიმოდ წავიდეთ.

— მაშ, წინ გაგვიძეხი, დიდად პატივცემულო, ჩვენ კი უკან მოგვევებით, —



მიუთხრო ძმა ჟანმა. — შენი საუცხოო სიტყვა-პასუხი მოწმობს შენსა ჭეშმარიტ ქრისტიანობასა. რაერთი ხანია, ეკლესიაში არა ვყოფილვართ. ზედაფრენა შემიდგა, თქმა არ უნდა, იქ მისვლა დიადაც მადაზედ მომიყვანს. მართლა უამეა კარგი აღამიანისა შეხვედრა.

ტადრისა ბჭესა რომ მივეახლოვეთ, ვეება მოოქრული წიგნი მოვიხილეთ, ნოლივ სპეკალითა მოოჭვილი: ლალიც ბლომად ერიყრ ქურმუტტიც, ანუ ქვამწვანე და ქვაკაპოეტი, ბრილიანტიც, მარგალიტიც, და მსგავსი სხვალი პატიოსანი ესა თავისი დიდმშვენიერებითა თუ არ ამეტებდა, ისეთი მაინც იყო, ოქტავიანე ავგუსტუსმა იუპიტერ კაპიტოლიუმელის ტაძარსა რომ შესწირა. წიგნი იგი პორტალის ფრიხსა მიმაგრებულ ორ მსხვილ ოქროს ჯაჭვსა ეკიდა ჰაერში. დიდხანსა თვალი ვერ მოვაშორეთ. პანტაგრუელსა სულაც არ გასჭირვებია იმა წიგნისთვის ხელისა ხლება და აკი ახლო კიდეც, შეატრიალ-შემოატრიალა. თანაც ირწმუნებოდა, როგორც კი ვეხები, ფრჩხილთა შიგან რაღაც ქავილსა ვგრძნობ, ხელნი მიმსუბუქდება და ერთი-ორი ვინმე მსახურისა მიტყეპა და მიგდება მინდებო, ოღონდ არა ტონზურიანისაო.

აქ ჰომენაცმა აგრე მოგვმართა:

— ოდესღაც მოსემ იუდეველთ ღვთისა ხელითა დაწერილი კანონი მიუტანა. დელფოში აპოლონის ტაძრისა ფასადზედ იპოვეს მავანი და მავანი ზეგარდმო ძალისგან მიწერილი გამონათქვამი: ΠΝΗΙ ΣΕΑΥΤΟΝ<sup>1</sup>. ხოლო მცირე ხნისა შემდეგ სწორედ იმავე ადგილას აღმოჩნდა კიდეც სიტყვა EI,<sup>\*\*</sup> აგრეთვე ცით გარდმოსული და ზეგარდმო ძალისგან მიწერილი. კიბელას ალაღმა ცით გარდმოვიდა ფრიგიაში პესინუნტად სახელდებულ მინდორზედ. ზუსტად აგრევე, უკმთუ ვერიპიდეს ვერწმუნებით, ცით გაჩნდა დიანას ალაღმა თავრიდაში. ცით ძოველინათ ქველ და უქრისტიანეს საფრანგეთისა მეფეთ ორიფლამი ურწმუნოთა დასათრგუნავად. ნუმა პომპილიუსის. რომისა მეორე მეფის, მეუფებისას ცით დაეშვა ანცილად წოდებული გნდებასრი ფარ-დარაკი. ათენისა აკროპოლისში ოდესღაც ემპირეადან ჩამოვარდა მინერვას ალაღმა, დაბოლოს, სუყოველი წმინდა დეკრეტალია, რომელთაც უყურებთ, ქერუბიმისა ხელითა დაწერილია. ზღვისა გაღმაურთ ეგების დაუჯერებლადაც მოგეჩვენოთ ეს ამბავი.

— არცა უმაგისობაა. — გამოტყდა პანურგი.

— ესენი სუყველა ზეგარდმო გარდმოგვევლინა, ვითარცა მდინარე ნილოსი, რომელსა ყველაგვარი ფილოსოფიისა, ცხადია, თვინიერ დეკრეტალიათა, მამამ ჰომეროსმა ამაღ უწოდა იუპიტერისგან მომდინარე. გარნა რადგანაც ხილული გვაუთ პაპი, დეკრეტალიათა მაუწყებელი და ფხიზელი დამცველი, ამათ დაგათვალაიერებინებთ, და უკეთუ მოისურვებთ, გამთხვევინებთ კიდეც. დაღათუმცა, ამისთვის წინ-წინ სამი დღე უნდა იმარხულოთ და დადგენილ წესთა თანახმად, აღსარება თქვათ, პირწმინდად უნდა აღნუსხოთ და ჩამოთვალთ თქვენი შეცოდებანი, არცრა უნდა გამოგრჩეთ, ვითარ ამას ზეგარდმო დეკრეტალიათა საარაკო სიტყვა-ლექსნი გვასწავლიან. ეს ამბავი კი დროსა საჭიროებს.

— დიდად პატივცემულო! — მიმართა პანურგმა. — თქვენი დეკრეტინალიები, ესე იგი დეკრეტალიები-მეთქი, ქაღალდზედ დაწერილნიც გვინახავს, პერგამენტზეც. ველენზეც. ხელითა ჩაკიწვიწებულნიცა და დაბეჭდილიც. ამათი ჩვენებითა

\* შეიცან თავი შენი (ბერძ.).

\*\* შენ ხარ (ბერძ.). — ძველი განმარტებით ეს სიტყვები მიმართულია ღვთისადმი და ნიშნავს: „ჭეშმარიტად არს მხოლოდ ღმერთი“.



თავსა ნულა შეიწუხებით. ჩვენთვის ეგ თქვენი კეთილი სურვილიც საკმარისია. მგრძნობიარედ მაღლიერნი გახლავართ.

— კი, ბატონო, გარნა ესეგვართ, თავად ანგელოზისა ნახელავთ, ღმერთმან აცის, ვერცროდისა ნახაუდით, — შეესიტყვა ჰომენაცი. — რაც რომ თქვენსა ქვეყანაშია, ისინი სულ ჩვენთა დეკრეტალიათაგან გადაწერილია, ამახა პირდაპირ უბნობს ერთი ჩვენი ძველი მედეკრეტალიე მთარგმანებელი. ბევრნი რომ არღა გავაგრძელო, მე თქვენთვის გარჯა არ მეზარება. თქვენ ფსიქოლოგიურად თანახმანი ხართ თუ არა, რომ სამიოდ დღე იმარხულით და არცა აღსარებაზედ თქვათ უარი.

— ყოველიფერზედ თანახმანი ვართ, — მიუთხრო პანურგმა. — ოღონდ ნუ გვამარხულენ: ზღვაზედ უკვე კარგა გვარიანად ვიმარხულეთ და გადავიმარხულეთ კიდევაც. ის კი არა, თხოვა-დედაზარდლო აბლაბუდითა გაგვიბლანდეს და დაგვიქსელეს კბილნი. აი შეხედეთ, რა დღეშია ჩვენი სახელოვანი ძმა ჟანი ბლვირისმდენელი (ამისა თქმა იყო და, ჰომენაცმა ნაზად გადაკოცნა იგი): პირში ხავსი მოეკიდა, რამეთუ არცა ტუჩთ ატოკებს და არცა ყბათ.

— მართალია, — დაუდასტურა ძმა ჟანმა. — უკვე იმდენი ვიმარხულე, ცოტაც და, საიქიოს ვინახულენ.

— მაშ, წამობრძანდით ტამარში, — წარმოთქვა ჰომენაცმა. — უნდა გვაპატიოთ, რომ აწ ჟამსა ვერ გიწირავთ. შუადღე უკვე გარდასულია, წმინდა დეკრეტალიეები კი შუადღისა უკან მსახურებასა გვიკრძალავენ: გალობითა და ზიარებით მესასა ვგულისხმობ. მოკლედ და მშრალად კი გიწირავთ.

— მე კარგი ანუური ღვინითა დამბალი მირჩევნია, — ჩაურთო პანურგმა. — მიდი, აბა, მიდი, გააქნიე ხელი.

— შავ წყალსამც წაუღიხარ! — წამოიძახა ძმა ჟანმა. — სიცარიელისგან მიემუის მუცელი. ახრ, ერთი ჩვენებურად, მონაზვნურად მასვა და მაჭამა, მერმეთ თუნდაც Requiem წამოიწყოს. პურსაც გავუჩენ და ღვინოსაც გახსენებულთ, ესე იგი განსვენებულთ. გვიწირე თუ გვიწირავ, მომყმარსა ემანდ პირღებინება არ ამიტყედეს ანდა უარესი რამ, და სულაც წირვა არ გამომიყვანო!

## თავი L

### პითარ გვიჩვენა ჰომენაცმა პაპისა პირველსახეა

მესის დამთავრებისა შემდგომ ჰომენაცმა მთავარ საკურთხეველთან მღვარი სკიურიდან გასაღებთა დიდი გოზგარი, ანუ ჩხნლო-ასხმულა ამოიღო და სულ დახსნა ოცდათორმეტი ბოქლოში და თოთხმეტი კლიტე-საკეტი, რაერთითაც დაკეტილი იყო ხსენებული საკურთხეველისა თავზედ გისოსიანი ლანძვ-სარკმელი; მას უკან, როგორაც იღუმალნი რამ, სველი ტომარა-ცალიანი წამოიმხო, მეწამული ატლასისა კრეტსაბმელი გადასწია და რაღაც სახება გვიჩვენა, ჩემის შეხედულებითა. საკმარისად უხეირო, მერმე კი გრძელი კვერთხი შეახო და სუფველას იმა კვერთხისა წვერზედ გვამთხვევინა.

— ვითარ ჰგონებთ, ვისი სახებაა? — იკითხა მან.

— მგონი, პაპი უნდა იყოს, — მიუგო პანტაგრუელმა. — ტიარით, ომფორით, ჩუდკეც-შოსასხამითა და ხამლ-ფეხსაცმლით ვიცანი.



— მართალი ბრძანდები, — წართქვა ჰომენაცმა. — ეს იდეა იმა ყოვლად-სახიერი ღვთისა, რომელიცა მიწაზეა და რომელსაცა გულისა ფანცქალითა მოველით. მაროლა ბედნიერი, სახუკვარი და ნანატრი დღე გავვითყნებთ! თქვენ კი, ნეტარნი და უნეტარესნი! ცისა მთიებთ ისევკარი მოწყალე თვალთა გადმოვხედეს, დირსნი გახდით ამა ყოვლადუმოწყალესი ქვეყნიერი ღვთისა/ცხადად ხილვისა, მართ იდენ სახება რომლისაც გვძღვის მახსოვრებამს მშვენიერნი ცოდვითა სრულად, ზოლო დავიწყებულ ცოდვითა ერთი მენამდისა და ტკრამეტა მეორმოცედის შენლობასა! აი, რად ვბედავთ იმის ჭკრეტასა ოდენ დილო დღესასწაულთა და გამოჩინებათა ჯამსა.

პანტაგრულმა მიუთხრო, ეს სახება დედლოსისა ნახელოვნებთ მაგონებდა; განდ უხვირო ნაყალბევიც თუა, ცოდვითა მიმტვევებელი რაღაცა ღვთიური ძალა იღუმლივ და უხილავად მაინც უნდა ჰქონდესო.

— შავ შენმა თქმულმა ჩვენში, სეში მომხდარი ერთი ამბავი გამახსენა, — სიტყვა ჩააკურა ძმა ჟანმა. — ერთხელ სასნეულოში სადღესასწაულო სერ-ვახშამსა მათხოვარნი უსხდნენ და ტრაბახობდნენ. ერთმა თქვა, დღესა ხვეწნამუდართთა ენა კი გავითხელე, მაგრამ შვიდი ბლანკი ვაშოვნეო, მეორემ თქვა, მე ორი სუ ვიშოვნეო, მესამემ — მე შვიდი კაროლიუსიო, ვიღაც დომბურა ვლახა კი იკვებნიდა, სრულად საღი ტესტონი მოვიგდეო. „მაშ, შენა ღვთისა ფეხი გქონიაო,“ — უთხრეს იმა სქელსა და მუცლიანსა ამხანაგთ. ისინი დასტურ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმის წყლულ-იარიან ფეხში ღვთაება რამ ბუღობდა.

— სანამ მაგისტანა ამბითა გამიმასპინძლებოდე, სხვა დროსა ჩემთვის კონქტაშტისა დადგმა არ დაგავიწყდეს. — უთხრა პანტაგრულმა. — კინაღამ გული ამურია, აბა, რა წესია, რაღაც სამაგლობასა და საზაზღრობაზედ უბნობ და უფლისა წმინდა სახელსა ახსენებ? ფუ, ფუ, ვითარ არა გრცხვენის! საერთოდ ბერმონაზონთ ფუჭსიტყვაობა გჩვევიათ, ოღონდ მონასტრის გაღავანსა აქეთ მაინც ნულა გამოგაქვთ.

— აკი არცა მკურნალნი უარყოფენ, რომ ღვთაებრივი რამ ძალა რამდენადმე ვარეულია ზოგიერთსა აუალობაში, — შეესიტყვა ეპისტემონი. — სწორედ აგრე აქებდა სერონი სოკოსა და ბერძენთა კვალზედ „ღვთაებათა საზრდელსა“ უწოდებდა, რამეთუ იმით თავისი წინამორბედი, რომისა იმპერატორი კლავდიუსი მოწამლა.

— მე თუ მკითხავთ, — სიტყვა გამოავო პანურგმა, — ამა თქვენსა სახებასა არც ერთ ჩვენსა ბოლო პაპთან საერთო არა აქვს რა. მე ისინი ხილულნი მყვანან უომფოროდ, მაგრამ სამაგიეროდ ჩაფხუტი და სპარსული ტიარა ეხურათ და, როს სრულიად ქრისტიანულ სამყაროში სიწყნარე და სიმშვიდე სუფევდა, მარტოდენ იმათ ქონდათ მუხთალი და სასტიკი ჩხუბი.<sup>2</sup>

— მერედა, ისინი აკი შეამბოხეთ, მწვალებელთ, მეურნე პროტესტანთ ეომებოდნენ, ვინცაეინ უწმინდეს საჭეთმპყრობელსა, ანუ მიწაზედ მყოფელ ყოვლადუმოწყალე ღმერთსა არა მორჩილებდნენ, — პირში სწვდა ჰომენაცი. — ესეკვარ ჩხუბ-ომსა წმინდა დეკრეტალიები არა მარტო შესაძლებლად მიიჩნევიან და არა მარტო იწონებენ, არამედ აკისრებენ და ავალეებენ კიდევაც პაპსა, მან ხანისა დაუზმელად ცეცხლსა და მახვილსა უნდა მიმართოს და არ დაინდოს არცეინ იმპერატორნი, მეფენი, ჰერცოგნი, თავადნი და სრულიად სახელმწიფონი, უკეთუ ისინი იოტისოდენად მაინც გადაუხვევენ იმის ბრძანებასა; მან უნდა ჩამოართვას იმათ მოელი ავლა-დიდება, რაც რამ აფალი აბადიათ, წაართვას სამეფონი, სუყოველნი განდევნოს, შეაჩვენოს, თიდაბუდიანად ამოწყვიტოს და







— მოახლე, მოგვემოახლე!

ამისა თქმა იყო, და ერთ-ერთმა ქალიწვილმა მკვირცხლად მიართვა ექსტრაგაგანტიკური ღვინითა სავსე ჯამთასი. პომენაცმა სასმისი ჩამოართვა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და პანტაგრუელსა მიუთხრო:

— ხელმწიფეო, აგრეთვე თქვენა, სანუკვარხო მეგობარნო! მოუღო სულთა და გულთ ვსვამ თქვენსა სმურ-სადღეგრძელოსა. თქვენ ჩემქვეყნისეფასესნი სტუმარნი ბრძანდებით.

პომენაცმა გამოცდილი ჯამთასი ისევ იმა მზეთუნახავსა მიაწოდა და იხმამაღლა:

— ო, ღვთაებრივო დეკრეტალიებო! თქვენის წყალობითა არის ჩვენი ღვიწხო ესოდენ გემოიერი!

— არა, ცუდი ღვინო არა ჩანს, ჩადის გემო აქვს, — დაეთანხმა პანურგი.

— მე იმას ვამჯობინებდი, რომ ეგენი უგემურ ღვინოსა აგემრიელებდნენ, — განაცხადა პანტაგრუელმა.

— ო, სერაფიკულო შექქესე წიგნო,<sup>2</sup> უბედურ კაცთა საღბინებლად ესოდენ საჭიროვ! — განაგრძობდა თავის ბრტყელ-ბრტყელ უბნობასა პომენაცი. — ო, ქერუბიმიკულო კლიმენტინებო!<sup>3</sup> რარივ სრულად შეიცავთ და რარივ აღწერთ ჭეშმარიტი ქრისტიანისა იდეალსა! ო, ანგელიკურნო ექსტრაგაგანტნო! უთქვენოდ დიადაც დაიდუპებოდნენ აქა, გლოვისა ველზედ მოხეტიალე უბედურნი სულნი, მოკვდავ გვამთა შიგან ჩაბუდებულნი! ვაგლახ, ბოლოსა და ბოლოს როდისღა მოეგლინებათ კაცთ ის საგანგებო რამ ზეგარდმო მადლი, იმათ ყველაგვარ საქმეზედ და საცადისზედ ხელსა რომ ააღებინებს, რათა თქვენდა კითხვად ჩასხდნენ, ჩავწვდნენ, შეგიცნონ, მოვივარგონ, კამოვიყვნონ, ცხოვრებაში განგახორციელონ, შეგიწოვონ. შეგისისხლხორციონ და ადგილი მიგიჩინონ თავის ტეინისა ყოვლისა უფრორე ღრმა პარკუჭთა შიგან, ძვლის ტეინსა შიგან, სისხლისა ძარღვთა დახლართულ ლაბირინთსა შიგან! ო, მხოლოდ მაშინ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უადრე და არცა კიდევ სხვაგვარად, გახდება ცხოვრება დედამიწაზედ ბედნიერი!

აქ ეპისტემონი სუფრიდან წამოდგა და პანურგსა პირდაპირ მიახალა:

— ზარულისა, ანუ ფეხისადგილისა უქონლობისა გამო გარეთ უნდა გავიდე, თორემ რაღაც მარცხი მომივა, ისეთ დღეში, ჩამივდო ამა ოხერმა გუჯაბმა სწორი ნაწლავი, დასტურ აღხი მცა.

— ო, მაშინ, — განაგრძობდა სიტყვაბრტყელობასა პომენაცი, — არღა იქნება არცა ხეტყვა, არცა ყინვა, არცა ჭირხლ-თრთვილი, არცა ქარბუქი! ო, მაშინ უხვად მოგვენაყოფიერება ყველაგვარი მიწიერი სიკეთე! ო, მაშინ მთელსა სამყაროში მუდმივი, შეუვალი სიმშვიდე გამეფდება: შეწყდება ომიანობა და შეხირება-ჩხუბი, ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა, ქრთამვა, საცოდავი ძღვნისა ტრიალი ანუ, კაცისკვლა, ოდენ სწავლებელთა და წყეულ მოწოდარ-შეთოსისთავთა კვლალა იქნება შესაძლებელი! ო, მაშინ სრულიად კაცთა მოდგმისთვის ისუფევებს ღებნა, შვება, სიტყბოება, განცხრომა, თავშექცევა, სიამე, ნეტარება! ო, დიდო სარწმუნოებრივო მოძღვრებავ, ფასდაუდებელი მეცნიერებავ, ღვთაებრივო სწაულანო, ამა უკვდავ დეკრეტალიათა იგავმიუწლოძელ, საარაკო თავ-კართა შიგან გასაუკუნოებულ-გამარადისებულნო! ვისაც კი, რომელსამე ჩვენგანსა, წაუკითხავს უწმინდეს დეკრეტალიათა თუნდაც რომ მართ ოდენ ნახევარკანონი, ერთი პაწაწინა მუხლი, ანდა ერთადერთი რამ ქადაგება, უკე-



თუ განდგომილი და მწკალებელი არ არის, ვის არ ანთებია გულში მოყვასისა მიმართ ღვთაებრივი სიყვარულისა და თანაღმობის ლამპარი, ვის არ უგრძნია სახელდაუდებელი სიძულვილი ამქვეყნიური ამაოებისა მიმართ, უნაპირო სიხარული სულისა და ყოველთა თვისთა გულისწადილთა სრული მიწვდომა-აღსრულება!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი LII

დეკრეტალიათაგან ძმნილ სასწაულთა გამო  
საუბრისა გაბრძელება

— აი ეს მეხმის, დასტურ ოქროპირია. — შენიშნა პანურგმა. — ოღონდ ერთი ბეწოთიც არა მჯერა ამისი ნაუბარი, რამეთუ ერთხელ პუატიეში მავან მოტლანდიელ სწავლულ მედეკრეტალიესთან ერთი პატარა თავკარისა, ანუ ნაწილისა წაკითხვა მომიხდა და, მტრისას, ისეგვარად შევიკარი, მთელი ოთხი ნაწილისა წაკითხვა მომიხდა და, მტრისას, პირდაპირ გაცხრამიკლიტულდა საკუარი, ისეგვარად შევიკარი, მთელი ოთხი თუ ხუთი დღე ქვასაებ ვიყავი და რის ვაინაჩრობითა ვახერხებდი გარეთ გასვლასა, ახლა არ იკითხავთ, რარიგად? ჩემი კაცობისა მზემან, სწორედ ისე დამემართა, რა დღეშიაც, კატულუსისა თქმითა, იმისი მეზობელი ფურიუსი იყო:

მთელ წელიწადსა ათჯერ ძლივას გადიხარ კუჭში,  
ქვასაება ხარ, ვაგლახ ჭინთვაც გამოგდის ფუჭი,  
ყოველ გასვლაზედ გაჭირვებას ნახულობ დიდსა,  
წვალობ საწყალი და ათსავე ითხუპნი თითსა.

— ჰა-ჰა! — გაიცინა ჰომენაცმა. — იოანე წინამორბედსა ვფიცავ, ჩემო მეგობარო, თქმა არ უნდა, უთუოდ რაღაც მომაკვდინებელი ცოდვა ვიმძიმებს სულსა.

— ეგ აქ არაფერ შუაშია, — დაიუბნა პანურგმა.

— ერთხელ, — ამრახდა ძმა ჟანი, — სეში ყოფნისას, იმა სატილო კლიენტინთა ფურცელი გამოვისვი, ჩვენი მეხარკე როა, ჟან ვიმარი, ის წიგნი მონასტრისა ეზოში გადმოეგდო; ეშმაკისა წილ-კერძიმც გავმხდარუარ, თუ მერმე კაი მამალი ბუასილი არ ამჩნოდეს, და იმისთანა ტაბასტა, ანუ სისხლისა დენა ამიტყდა, ეს ჩემი დაფანჩული ტრაკუცუნი სულ დამეჭმაქა და დამიჭკნა.

— იოანე წინამორბედსა ვფიცავ, — მოაყოლა ჰომენაცმა, — ცილსა არ ვიდებ, არცრა ეჭვი არ მეპარება, თვითონ უფალმა დაგსაჯა, რამეთუ წმინდა წიგნი წაბილწე, რომელსა უნდა ამბორსა ჰყოფდე და პატივსა მიაგებდე როგორაც თავად დმერთსა ანდა სულაც ყოვლისა უფრორე პატივსაცემ წმინდანსა. პანორმიტა არცროდის ტყუილსა არ იტყვის.

— ჟან შუარ მონპელიელმა, — სიტყვა გამოაგო პონოკრატმა, — წმინდა ოლარის ბერ-მონაზონთაგან რამოდენიმე ცალი უებრო დეკრეტალია იყიდა, დიდი ზომისა ჩინებულ ლამბალურ პერგამენტზედ დაწერილი, რათა იმათგან ოქროს გასაბრტყელებლად და გასატყლეუად ველენი გამოეყვანა. გამოყვანით კი გამოიყვანა, მაგრამ სუყველა ფურცელი წუნიაანი გამოუვიდა, მიფლეთილი და მოფლეთილი.

— ღვთისგან, დასჯილა, — ნიშნისა მოგებით მიუთხრო ჰომენაცმა.



— მანელმა აფთიაქარმა ფრანსუა კორნიუმ დაჭმუჭნილ ექსტრავაგანტო-  
გან პარკნი დაამზადა, — ლაპარაკში ჩაერია ევდემონი, — და დიამც ეშმაკისა  
რწმენა დამკარგვოდეს, უკეთუ ყველაყა, რასაცა შიგან ყრიდა, წამერთ არ დამ-  
პალიყო, არ წამხდარიყო და შხამად არ ქცეულიყო: თუ საკმელი, თუ წინაყა,  
თუ მიხაკი, თუ დარიჩინი, თუ ზაფრანა, თუ ცვილი, თუ სუნელი, თუ ფუთ-  
ფუთა, თუ რევანდი, თუ თამარჰინდი, ანუ თაფლინდი, რაღუ კაფუჭრებდეს, გა-  
უფუჭებელი და გაუცულებელი არცრა დარჩენილა.

— უფალსა სამაგიერო მიუზღავს, — ჩააკერა ჰომენაცმა. — სად გავონილა  
წმინდა წერილთა საამქვეყნო საქმეთათვის გამოყენება!..

— პარიზელმა თერძმა გრონიუმ ძველი კლიმენტინები ზომისა და რიკ-  
რიკა-თარგისთვის გამოიყენა, — აღაპარაკდა კარპალიმი. — საკვირველი ამბა-  
ვია: რაც კი რამ ტანსაცმელი იმა რიკრიკა-თარგთა და ზომათა მიხედვით შეკე-  
რა, არცრა ვარგოდა, სუყველა ერთმანეთზედ უარესი გამოუვიდა: პალეკარტი,  
ღართი, საკუხი, ჩუდკეცი, ხირდა, ტოლიმა, საბეჭური, ქვედატანი, ზედატანი,  
პერანგი კვართ-ქუმეჯაკი, ანუ, ჯუბა; ზეზი, ფილეტი, ახალუხი, კურტაკი,  
ფარაჯა, მხედრისა ტალავერი, ფურო კაბა, კრინოლინი, ხაბარდა კაბა ანუ,  
გრონიე ჰგონებდა, წამოსასხამსა რასმე ვჭრით, და საბიძალი კი გამოსდიოდა.  
ხიფთანი ფარფლიან ქუდად ეცვლებოდა. ტოლიმა უომფორდებოდა, ახალუხი  
უსუდარაედებოდა, როს იმავე თარგითა ახლა თერძისა ყრმააკთ, შეგირდთ ანუ,  
აწყეს კერვა, ზურგი ჩაჭრეს თუ არა, რაღაც წაბლისა მოსახალავი ტაფისნაი-  
რი რამ გამოუვიდათ. ერთი სიტყვითა და ორი საქმით, შავ ღღუში იყო საწყა-  
ლი თერძი: კვართ-პერანგი უწაღდებოდა და უჩექმდებოდა, ხაბარდა კაბა უკა-  
პიუშონდებოდა, რაერთჯერაც საკუხი გამოჭრა, იმდენჯერ შევიცარიულ დაფ-  
დაფად ექცა. ბოლოსა და ბოლოს საქმეში სასამართლო ჩაერია და ესდენ ხელ-  
მოცარულ თერძსა სულ ზუზივ-წუწივ აზღვევინეს იმისი საფასური, რომელი  
დამკვეთისთვისაც რაოდენი ქსოვილი გაეფუჭებინა. აწლა გაღატაკებული და  
გააღატაკებულია, სულსა იქით არღა აბადია რა.

— დიდია ღუთისა სამართალი, — დაასკვნა ჰომენაცმა.

— კაიუზაკში სენიორთ, დ'ეტისაკმა და ვიკონტ დე ლოზენმა, ისრისა  
ტყორცნაში ასპარეზობა მოიპრიანეს, — ამრახდა ვიმნასტი. — პეროტუმ დეკ-  
რეტალიათა ნახევარტომი დაჭრა, საღმრთო წიგნთათვის განკუთვნილ ჩინებულ  
ქაღალდზედ დაწერილი და თეთრ, ქათქათა ფურცელთაგან წრიულნი სამიზნე-  
სასაგნონი დაამზადა. მაგრამ რა? ეშმაკსამც ჩავუზრამუნებივარ, უკეთუ ერთ  
ვინმე იქაურ მეხელთოფე-მოისარსა იმა მიზანში მოუხვედრებინოს (არადა, იმა-  
თზედ უკეთესთ მთელს გიენში ვერ იპოვის კაცი). რამდენი ქეიბური, ქიბორჯი,  
სარჩა თუ ბოძალი ისროლეს, სუყველამ გვერდზედ ჩაუარა. ყოვლადწმინდა  
სამიზნე-სასაგნო იგი მოუხვედრებელი, უბიწო, უვნებელი დარჩა. სანსორნენ-  
უფროსი, რომელსაცა ნაძლევისა საწინდარნი, ანუ გასაცემელი ჯილდო ებარა,  
მერმე გულზედ მჯიღსა იცემდა და ისე ფიცულობდა ოქროსა ლევთ (თავის  
ყოვლისა უფრო საშინელ საფიცარსა), თვალცხადლივ, საჩინოდ, აშკარად ვზე-  
დავდი, ვითარ მიფრინავდა კარკელენის ისარი პირდაპირ სამიზნისკენ, მაგრამ  
რა წამსაც თეთრი წრისა შუაგულში შავ წერტილსა უნდა მოხვედროდა, უეც-  
რად მთელი ერთი ტუაზით გვერდზედ ფურნისკენ გადაიხარაო.

— სასწაულია, სასწაულია, სასწაულია! — შეჰყვირა ჰომენაცმა. — მო-  
ახლეე, მომემოახლე! ყველა აქ დამსწრისა სმურ-სადღევრძელისა ვსვამ. ყველას  
პატივისა მოგაგებთ, ვითარ ჭეშმარიტ ქრისტიანთ.



ამისა გაგონებაზედ ქალიშვილთ ჩაიფხუკუნეს. ძმა ჟანმა კი ცხვირი ისევ ვარად დააფრუტუნ-დაახვიხვინა, ვითომ უღაფი ვარ და ჭაკსა უნდა შეეახტეო.

— ვკონებ, — წართქეა პანტაგრუელმა, — მაგისტანა მიზანსა თუ ესერის კაცი, უფრორე უსაშიშროა. ვიდრე სამიზნედ დიოგენეს თუ გამოიყენებდა.

— რაო? რასა უბნობ? — დაეკითხა პომენაცი. — ~~გმნა~~ ~~დირგუნქ~~ ~~დეკრეტა-~~ ~~ლისტი~~ იყო?

— ეგ ჯერეთ არავინ იცის, იყო თუ არა, — ჩაერია ეპისტემონი, რომელიცა წელან გარეთ მოსასაქმებლად გასული, ის იყო უკან შემობრუნდა.

— ერთხელ, — განაგრძო პანტაგრუელმა, — დიოგენემ გართობა მოისურვილა და მიზანში მსრილელ მშვილდოსანთა საცქერლად წავიდა. ერთ-ერთი მათგანი ძალზედ ნავსი, უსანთო-დაბდურა და ხელთუპყარი ვინმე იყო, და როგორც კი სროლისა რიგი მოუვიდა, ემანდ ჩვენ არ მოგვარტყასო, მაყურებელთა სალხი ზოგი საით გარბოდა და ზოგი საით. დიოგენეს თვალწინ იმა მშვილდოსანმა ისე არაზუსტად და არაზედმიწევნით დაუჭირა ნიშანი, რომ სეფქა-ისარი მიზანსა მთელი ტრაბიუტით ასცდა, ხოლო სანამ იგი მეორესა გაისროდა, დიოგენემ მიიბინა და, თუმცა ხალხი აქეთ-იქით გაიფანტ-გამოიფანტა, ზედ სამიზნესთან დადგა, რამეთუ, როგორც თავად ამბობდა, ყოვლის უფროისად საიმედო აღგილი ის იყო: მშვილდოსანი ესე მიზნისა გარდა ყველაფერს მოახვედრებსო, მართოდენ სამიზნესა არ ემუქრება იმისგან სრეული ისარიო.

— სენიორ დ'ეტისაკის პაფი. სახელად შამუიაკი, ჩახვდა, აქ რალაც მამაძალლობაა, საცდურებისა და გრძნების ამბავიაო, — განაგრძობდა გიმნასტი, — და პეროტუს ურჩია, ახალი სამიზნე გამართეთო და იმისთვის პუიაკის საქმისა ქალაღნი გამოიყენეთ. მართლაც, სამიზნე გამოცვალეს თუ არა, არცავინ მოასწარეზე მიზანსა არღა აცდენდა.

— ლანდერუსში ჟან დელიფის ქორწილისა გამო, ვითარ იქაური წესჩვეულება მოითხოვს, არნახული სუფრა გაიშალა. — ამრახდა რიზოტომი. — ნაკახშმევსა რამდენიმე ფარსი. კომედია და აგრეთვე თავშესაქცევნი ხუმრობანი წარმოადგინეს, არ დაუკლიათ არცა მავრულნი ცეკვანი, თან ეფვან-ზარაზინ-ზანზალაკნი აელარუნეს და აწკარუნეს, მერმე ახლა პერიკები შემოვიდნენ, ნიღბიან-პირაფარებულნი და ტაკიმასხრულად შემოსილნი. მე და ჩემთა სასწავლებლისა ამხანავთ გადავწვიტეთ, რომ ჩვენცა შეძლებისდაგვარად გვეცა პატივი ახალჯვარდაწერილთათვის: დილიდანვე სუყველამ უკლებლივ მოვიკარვეთ ზოგმა თუთრი და ზოგმა ლილისფერი ლივრეა, თვითონ ქორწილისთვის კი სასაცილო წვერნი მივიკოსეთ. ზედ ბლომად ავისხით წმინდა მიხეილისა ზამბაკნი და ლოფორთქინა-ლოკოკინანი. ვინათგან ზელთ არცა ტარო-კოლოკასიის ფოთოლნი გვკონდა, არცა ოროვანდისა, არცა ბირკავასი და არცა კიდევ ქალაღნი, დეკრეტალიათა ძველი, გადაგდებული მეექვსე წიგნიდან ფურცელნი ამოვხიეთ, ზედ სათვალენი, საცხვირენი და საპირტუნენი ამოვჭერით და ნიღბნი დავიმზადეთ. მაგრამ ნუ იტყვით, რა საოცრება მოხდა: ვითარ უწყინარანცობა-თავშექცევასა მოვრჩით და ნიღბნი ჩამოვიხსენით, ერთმანეთისა ცნობა გავვიჭირდა — დუეში რომ „უფალისა ვნებანი“ უჩვენეს. რაც იქ ჭინკა და აღქაჯია, სუყველაზედ მეტად საშინელნი შესახედაენი და თვალად ნასნი ვიყავით, ისე დაგვმახინჯებოდა, დაგვჯულურებოდა და დაგვსახინრებოდა თითოეულ ჩვენგანსა. ~~არცა~~ ~~არცა~~ ~~არცა~~ ის აღგილნი, სადაც კი ხსენებული წიგნისა კეფა



თუ კაბადონი, ანუ ფურცელი შეგვხვებოდა. ვის ნაყვავილარი აგვჩვენოდა, ვის — ქეცი, ვის — წყლული, ვის — წითურა, ვის — სატალნი, ანუ ძირდიდა-ძირმა-გარანი. მოკლედ, ჩვენში ყოვლის უფრორე ნაკლებად დაზარალებული ის იყო, ვისაც რომ კბილნი დასცვივნოდა.



— სასწაულია! სასწაულია! — წამოიყვირა ჰომენაცმა.

— ეს კიდევ არაფერია! — განაგრძობდა რიზოტომი, — ჩემი ყველაფერი კატრინმა და რენემ, ამა საუცხოო მეექვსე წიგნსა შიგან, ვითბრტყნებოდა (რამეთუ სქელფირფიტაგადაკრული და სულ მანჭვალდაჭედილი კაბრა-ყდიანი იყო) ახლად გარეცხილ-გამურკნილნი და გახამებულნი ჩაჩნი, მანუეტნი და საყვლონი კოხტად ჩათაკრეს, ჩაალაგეს! კი, ბატონო, ჩაალაგეს. მაგრამ ღმერთსა ვენაცვალე...

— დაიცა! — გააწყვეტინა ჰომენაცმა. — რომელ ღმერთსა გულისხმობ?

— ღმერთი ერთია, — მიუგო რიზოტომმა.

— ეგ ცაში, — წართქვა ჰომენაცმა, — მერედა, განა დედამიწაზედ არა გყავს ღმერთი?

— შავ წყალსაც წაუღიხარ, მართალი თუ გინდა, მაგაზედ სულაც არ მიფიქრია! — იგულწრფელა რიზოტომმა. — მაშ, აბა, ამქვეყნიურ ღმერთსა, ანუ პაპსა ეფიცავ, სუყოველი იმათი ჩაჩნი, საყვლო, გულსაფარი, სამკლაური და სრულიად თეთრული ნახშირისა ტომარაზედ კიდევ უფრო მეტად გაშავდა.

— სასწაულია! — შესძახა ჰომენაცმა. — მოახლეე, მომემოახლე და კარგად დაიხსომე ყველა ეს უცხო რამ ამბავი.

— ტყუილად კი არ მღერიან, — წართქვა ძმა ფანმა:

არცრა მჯერა დეკრეტისა,<sup>2</sup>  
თანაც კიდევ ეგრეთისა,  
და როს შეჯდა ცხენსა ბერი,  
აირია ყველაფერი.

— გასაგებია! — ისიტყვა ჰომენაცმა. — ეგ სულ ახალმოვლენილ ერეტიკოსთა უხამსი ნატრაკატრუკალნი ხუმრობანია.

### თავი LIII

#### პითარ ეშააკურად გალაქვთ დეკრეტალიათა საშუალებით ოქრო საზრანგეთიდან რომში

— მთელი ერთი კავლონი ჯიგარი ჩემზედ იყოს, — განაცხადა ეპისტემონმა, — ოღონდ დედანში წამაკითხეთ, რაც კი რამ საარაკო თავია: Execrabilis, De multa, Si plures, De annatis per totum, Nisi essent, Cum ad monasterium, Quod dilectio, Mandatum\* და ზოგნი სხვანი, ყოველწლივ

\* „კრულვისა ღირსნი“, „მრავლისა გამო“, „უკეთუ ფრიად ბევრნი“, „პაპისა ხასარგებლო ყოველწლიური შემოსავლისა გამო“, „უკეთუ არა იქნებოდნენ“, „ოდეს მონასტრისკენ“, „რას უნდა მივაგებდეთ პატივსა“, „განკარგულება“. (ლათ.).



საფრანგეთიდან რომში რომ გადააქვთ ოთხასი ათასი ლუკატი, უკეთეს მუტა არა.

— კარგა გვარიანი თანხაა, — შენიშნა ჰომენაცმა, — გარდა თუ გავითვალისწინებთ, რომ უქრისტიანესი საფრანგეთი რომის კურთხის ერთადერთი მარჩენალია, ცოტაც კია. ამასთან ვითომ დამისახელებთ რეპუტაციას, წიგნსა ფილოსოფიაში, მედიცინაში, იურისპრუდენციაში, მათემატიკაში, მუსიკაში, მხატვრულ მეცნიერებათა დარგთაგან, დაბოლოს, უფაღმა მოძიტვეოს, რომელსაჲმე წმინდა წიგნსა, ესდენივე რომ გადაჰქონდეს? რაც არ არის, რას დამისახელებთ! ტყუილია, ვერსად ვერ მიაგნებთ ესეგვარ ოქროვან ძალასა! ამა ეშმაკისა კერძ ერეტიკოსთ კი დეკრეტალიათა არცა შესწავლა სურთ და არცა გაგება! მამ დექით და დაწვით, დაბუკეთ, ჯაჯეთ, სულ ლუკმა-ლუკმა აქციეთ, წყალში ჩაახრჩეთ, გაგუდეთ, ძელზედ გასვით, დაცალუწეთ, ოთხში ამოიღეთ, ურწმისა თვალზედ დააკარით, გამოწალით, გამოშიგნეთ, ნაწლავნი დააყრევინეთ, ჯვარსა აცვიოთ, აჩეხეთ, დაჩეხეთ, დაჩქლითეთ, დაღერღეთ, შეწვიოთ, შეაგბეთ, მოხარშეთ, დამდურეთ, დახრუკეთ, დაშანთეთ, ტყირპი გააგდებინეთ, დაანახშირეთ, გაანაცარმტვერეთ, ნუ დაინდობთ მაგ მამაძაღლ ერეტიკოსთ, დეკრეტალიათა მოძულეთ, დეკრეტალიათა მკვლელთ, რამეთუ ეგენი კიდევ უფროისად უარყნინი არიან, ვინემ მამისმკვლელნი, სწორედაც რომ სულისა ამოხდა მოუხდებოდათ მაგ დეკრეტალიკტონთ, მაგათ!

უკეთეს ჭეშმარიტ ქრისტიანთა სახლისა დაგდება გწადით, კეთილნი კაცნი, დაბეჯითებითა მთხოვნელი ვარ, სხვა რამ არცრა იფიქროთ და არცრა იზრუნოთ, არცრა მოილონისძიოთ და არცრა საქმესა მოჰკიდოთ ხელი, ოღონ იმას მიჰყეთ, რასაც რომ წმინდა დეკრეტალიები და იმათი კორილარიები, ანუ დამატებანი გვასწავლიან, სახელდობრ კი: საკვირველი მეექვსე წიგნი, საკვირველი კლიმენტინები და ექსტრავაგანტნი საკვირველნი! ო, ღვთაებრივნი აღნაქვსნო! მაშინ, კეთილნი კაცნი, აქავ, დედამიწაზედ მოიღირსებთ სახელდიდებასა, პატივსა, აღმატება-ამაღლებასა, სიმდიდრესა, ყველაგვარ ხარისხსა და უპირატესობასა. ყოველნი მოგეკრძალებიან და მოგეწიწებიან, ყოველნი ითროთლებენ თქვენთა წინაშე, ყველასგან განგასხევებენ, გამოგარჩევენ და უკლებლივ სუყველასა დაგამჯობინებენ, რამეთუ მზისა ქვეშე რაგინდ-რაგვარი სხვა წოდებისა კაცთა შორის ვერცვის აძოვით ისეთ ხელფურჩით, ხელგამომავალთ და საქმისა იცოდინარეთ, დაუსაბამო განგებისა ნებითა და ძალით წმინდა დეკრეტალიათა შესწავლისთვის რომ შეუძღვნიათ თავი.

გეჭირვებათ ქველი იმპერატორი ვინმე, სახელოვანი მხედარი-უფროსი, ჯარისა ღირსეული თავკაცი და ბელადი, ვისაც ომიანობისა ჟამსა შეეძლებოდა ყველაგვარი დაბრკოლებისა გადალახვა, ყველაგვარი ხიფათისა გვერდისა ავლა, იერიშზედ და ბრძოლაში თვისთა კაცთა გულმნიშატიანად გაძლოლა, იბუდივ, ანუ ალაღბედზედ არცრა საქმისა ქმნა, მიწვივ მტრისა ძლევა დანაკარგ-დანაკლისისა უნახავად და ძლევისა ნაყოფისა საზრიანად მოხელოვნება? მაშ, აბა დეკრეტიისტი<sup>2</sup> აიყვანეთ... ფუი, შემეშალა, დეკრეტალისტი უნდა მეთქვა.

— შეშლაც ეგრეთი უნდა! — ჩააკერა ეპისტემონმა.

— გეჭირვებათ კაცი ვინმე, ვინცა გამოსადეგი და შესაფერისი იქნებოდა იმისთვის, ვითარმედ მშვიდობიანობისა ჟამსა განევო რესპუბლიკა, სამეფო, იმპერია ანდა პონარქია, ვითარმედ ეკლესიაც, დიდკაცობაც, სენატიც და ხალ-



ხიც გულსავსედ ჰყოლოდა, ერთმანეთში ემეგობრებინა, შეთანხმებულად ეცხოვრებინა, მორჩილება, კეთილზნაიანობა და კეთილწყესიერება დაებედებინა? მაშ, აბა, დეკრეტალისტი აიყვანეთ.

გეჭირვებით კაცი ვინმე, ვინცა თავისი ძვირუხსენებელი ცხოვრებით, ენამზეობით, უებარი რამ შეგონება-ქადაგებით აღრე თუ მალე, სისხლისა და ღვრელად, კვლავ დაიჭერდა, დაიბრუნებდა წმინდა მიწა-წყალსა და წმინდა სარწმუნოებაზედ მოაქცევდა უღვთო თურქთ, ებრაელთ, თათართ, მონღოლებს, მამლუქთ და სარაბოვიელთ? მაშ, აბა, დეკრეტალისტი აიყვანეთ.

რისგან არის, რომ ბევრ ქვეყანასა შინა ხალხი ურჩი და თავკასულია. შინაკაცნი ავმუცელაობენ და ალოღლეტიაობენ, შევირდნი კი აბუეტნი და ზედნაკუწად გავირებულნი არიან? რისგან არის და იმისგან, რომ იმათნი განმგებულნი, მსახურთუფროსნი და მოძღვარნი არცროდის დეკრეტალისტნი არა ყოფილან.

თუ კაცნი ხართ, გულზედ ხელნი დაიდეთ და მითხარით, ვინ დააწესა, ვინ დაადგინა და ვინ განამტკიცა რაგინდარა სამონასტრო ორდენი, რომელთაგან ქრისტიანული სამყარო ყოველგან მორთულ-მოკაზმული და აფიკვიკებულ-აკამკაშებულაა, ვითარცა მოტყინარე ვარსკვლავთაგან ცისა გუმბათი? დეთაებრივმა დეკრეტალიებმა, ჩემო ბატონო.

ვინ დაუღო სათავე, ვინ დაასაფუძვლა და ვინ აღმართა ბურჯი სიცოცხლისა სავანეთა მონასტერთა და სააბატოთა შინა? რაღა თქმა უნდა, წმიდათაწმიდა დეკრეტალიებმა. და აწ ვინ უმართავს ხელსა, ვინ ასმევს და აჭმევს პირისწყლიან, უაუგო, მართებულ ბერ-მონაზონთ, რომელთა დღედაღამ დაუმრომელმა ლოცვა-ვედრებამ ქვეყნიერება იხსნა უფამ-უდროო ქაოსში კვალად ჩანთქმისა ხიფათისგან? რაღა თქმა უნდა, წმიდათაწმიდა დეკრეტალიები.

ვინა ქმნის აგრე უხვად და ვინ ამრალეებს დღენიადავ სუყოველ ღვთისა მადლსა, ქვეყნისა სავსებასა, როგორაც გვამისთვის, ისე სულისთვის განკუთვნილსა, პეტრე მოციქულისგან დაფუძნებულ ღირსადქებულ და სასიქადულო მამულ-სამკვიდროში? რაღა თქმა უნდა, წმინდა დეკრეტალიები.

ვინ მიანიჭა წმინდა სამოციქულო პაპისა საყდარსა ესეგვარი მრისხანე ძალა, ვითარმედ სრულად ქვეყნიერებაზედ ოღითგან დღესაქამომდის ყოველნი მუფენი, იმპერატორნი, თვითმპყრობელნი და ხელმწიფენი, უნდათ თუ არ უნდათ, იმაზედ არიან დამოკიდებულნი, იმ ერთსა ემყარებიან და ეფუძნებიან, გვირგვინსა იმისგან იდგამენ, იმითი უღვათ სული, იმითი განიმტკიცებენ მართებლობასა და ოდენ იმის გულისთვის ჩადიან რომში, რა არი პირქვე დაემხონ და ემთხვიონ სასწაულმოქმედ ხამლსა, რომლისა სახებაც ეს-ეს არის მოიხილეთ? რაღა თქმა უნდა, კურთხეულმა საუფლო დეკრეტალიებმა.

ერთი ფრიად დიდი საიდუმლო უნდა გაგანდით. თქვენთა უნივერსიტეტთა გერბთა და დევიზთა ზედან ჩვეულებრ გამოსახულია წიგნი, ხან გადაშლილი, ხანაც კიდევ დახურული. რასა ჰგონებთ, რა წიგნია, თუ უწყით?

— წარმოდგენა არა მაქვს, — მიუგო პანტაგრუელმა. — არცროდის წამიკითხავს.

— დეკრეტალიებია, ურომელწიგნოდაც სუყოველი საუნივერსიტეტო პრივილეგია ჭირსა მოგჭამდათ, — განუმარტა პომენაცმა. — თავად ვერასგზით ვერ მიხვდებოდით! პა-პა-პა-პა!



აქა ჰომენაცმა ბოყინი, ხვიზინი, პურჭყება და პრუწუნი ატეხა, მერმე კი თავისი ოთხსაბიძლიანი წოწოლა გაზინთული ქუდი ერთ-ერთ ქალიშვილსა მიაჩენა, იმან კი ნაზად აკოცა ქუდსა და გამხიარულებულმა თავის მშვენიერ თავსა ზედან დაირქვა ნიშნად და საწინდრად იმისა, რომ სხვათა უადრე გაათხოვებდნენ.

— ვივატ! — შეჰყვირა ეპისტემონმა. — ვივატ, ვივატ, ვივატ, ვივატ, ბიბატ! დასტურ აპოკალიფსური საიდუმლოებაა!

— მოახლეო, მოახლეო! — დაღადავო ჰომენაცმა. — მოგვემოახლე, თუ ხათრი გაქვს. გოგუცანებო, ხილი თუ ხული მოგვართვით ყელისა ჩასაკოკლოზინებლად! ამრიგად, ვითარ მოგახსენეთ, უკეთუ წმინდა დეკრეტალიათა შესწავლასა მთლად შესძენით თავსა, ჯერეთ კიდევ ამქვეყნად ეღირსებით პატივსა და სიმდიდრესა. თქმულსა კი დავსძენ, რომ იმა ქვეყნად ცხოვრება მოგელით ნეტარ ციურსა სასუფეველში, რომლისა კლიტეც დეკრეტალიარქსა აბარია, ჩვენსა კეთილსა ღმერთსა. ო, ყოვლადკეთილო ღმერთო, რომელსა გეთაყვანება და რომლისა ხილვაც ჯერეთ არა მღირსებია! მოგვივლინე საგანგებო რამ წყალობა და თუგინდ ჩვენი სიკვდილისა უამსა მაინც მოგვახილვინე ძვირფასნი უნჯ-განძნი ჩვენი დედაეკლესიისა, რომლისა დამცველი, მფარველი, ზედამდეგი, გამრიგებელი და განმწილველი შენი ხარ! დაამც, ნურცროდის მოგვაკლებდე ნურცა ღვთიურსა მადლსა და ნურცა უებრო ინდულგენციათ, რათამცა ეშმაკნი ვერ დაებლაუჭონ ჩვენთა უბედურ სულთ და ქვესკნელმა არ გვიყოს პირი. უკეთუ განსაწმენდელსა ვერ ავცდებით, ვერე იყოს! თუმცაღა კი ჩვენი დახსნა შენსა ძალასა და ნებაზედ ჰკიდია, ოდესცა თუ მოისურვილებ.

აქა ჰომენაცმა მკერდში მჯიღი დაიშინა, ორივ ხელისა გადაჯვარედინებულ ღერო კოცნა დაუწყო და გული ამოისკვნა.

## თავი LIV

### ვითარ შესძვნა ჰომენაცმა პანტაგრუელსა კეთილი ქრისტიანისა მსხალნი

ამა გულისა ამაჩუყებელი დაბოლოებისა შემყურე ეპისტემონმა, ძმა უანმა და პანურგმა ხელსახოცნი აიფარეს და ხმაყვეს: „მიაუ, მიაუ, მიაუო!“ ვითომ ჩვენცა ვტირით და ცრემლთ ვიწმენდით. ქალიშვილთ, რომელთაც თავიანთი საქმე კარგად უწყოდნენ, ხანისა დაუზმელად სუყველასა კლიმენტინური ღვინითა სავსე კრასოვულნი, ანუ კათხანი ჩამოგვირიგეს და ზედ ნაირ-ნაირნი მურაბანი მოაყოლეს, ნადიმი კვალად გამოცოცხლდა.

ტრაპეზისა ბოლოს ჰომენაცმა ბლომად მსხალნი შეგვძვნა, სულ დიდრონ-მსხვილნი და დარჩეულნი.

— ინებეთ, ძმანო, — გვითხრა მან, — განსაკუთრებული მსხალია, ესეგვარსა სხვაგან ვერსად ნახავთ. ყველგან ყველაფერი არა ხარობს. აბანოზი, ეკალ-მუხა ანუ ოდენ ინდოეთში იპოვება. კარგი საკმელი საბეაა! ქვეყნიდან შემოაქვთ. სააფთიაქო თიხა — კუნძულ ლემნოსიდან. ეს საუცხოო მსხალი მხოლოდ ჩვენს კუნძულზეა. აქა გვარობს, უკეთუ გსურთ, თქვენშიაც მოაშენეთ და მოაჯიშეთ.

— რა გიქვიათ? — დაეკითხა პანტაგრუელი. — ვგონებ, გემოიერს და



ძალზედ წვნიანი მსხალია. ოთხად თუ გავჭრით, ქვაბში ჩავყრით, ცოტა შაქარსა და ღვინოს დავუმატებთ და ერთად შევაგებობთ, დასტურ მარგებელი რამ საჭმელ-საზრდელი გამოვა როგორაც სნეულთათვის, ისე ჯანმრთელთათვის.

— თქმა არ უნდა! — კვერო დაუკრა პომენაცმა. — ჩვენა, ~~თიღება~~ უფალსა, უბრალო ხალხი ვართ: ლელვსა ლელვი გვიქვია, ქლიავსა — ~~ქლიავი~~, მსხალსა კი — მსხალი.

— პატიოსან სიტყვასა ვამბობ, — წართქვა პანტაგრუელმა <sup>ერქუნულნი</sup> შინ ჰივბრუნდები (ღმერთსა თუ უნდა, არ შემაგვიანებს) ამა მსხალთ უსიკვდილოდ ჩავყრი და დავამყნობ ჩემსა ტურენისა ბაღში ლუარას ნაპირზედ, და კეთილი ქრისტიანისა მსხალნი ერქმევათ, უკეთესი ქრისტიანი ხალხი, ვიდრე ეს პაპო-მანიელნი არიან, ჯერეთ არცროდის შემხვედრია.

— ჩემისა აზრით, — იუბნა ძმა ჟანმა, — ურიგო არ იქნებოდა, ერთ-ორ ურემოვისთა სამაკინარ გოგოთაც, ანუ ცირათაც თუ გაგვაყოლებდა.

— ვითომ რატომამო? — იკითხა პომენაცმა.

— რატომამო და კარგად აღესილ სატევართ მიუუმარჯვებო და ორივ ფეხისა ცერთა შუა სისხლსა გამოვადენთ, — მიუგო ძმა ჟანმა, — მაგათი მონაგარი კი უკლებლივ სუყველა ფარსავი ქრისტიანი დადგება და ეგ ჯიში ჩვენშიაც მოძრაველდება, თორემ ჩვენთა ქრისტიანთ მაინცდამაინც კარგი არ ეთქმით.

— ვერა, ამათ ვერ მოგცემთ, ღმერთმანი, ვერ მოგცემთ, — მიუთხრო პომენაცმა. — ვუწყი ყმაწვილკაცთ აყინტრავებინებთ და აჩინჩლინებთ. ადრე რომ არცროდის მენახე, მაგ ცხვირზედ მაინც შეგატყობდი, რისა მოწადინეცა ბრძანდები. ვაი, ვაი, შვილონია! შენ რა, სულისა წაწყმედა მოგინდა? ჩვენთა დეკრეტალიათა შინა ამაზედ მკაცრად თქმულია. მეტის გულისყურითა რომ წაგვეკითხა ისინი, ვიჯობდა.

— ნება შენია! დათმენა ჩვენზეა! — სიტყვა შეუქცია ძმა ჟანმა. — გარნა, si tu non vis dare, praesta, quaesumus.\* აგრე გვეუბნება კურთხევანი. მე არც ვისმე წვეროსანსა არ ვეშიშვი, ვინდაც რომ კრისტალურსა (დეკრეტალიურსა-მეთქი, უნდა მეთქვა) მეცნავ-სწავლულსა და თავზედ სამკუთხაქულმორგებულსა.

სადილთუკან გამოვეთხოვეთ პომენაცსა და სუყველა იქაურ სტუმართმოყვარე ხალხსა, დიდად მადლიერი დაკურჩით გულითადი მასპინძლობისთვის და შევბირდით, როგორც კი რომში მოვხდებოდით, იმდენსა ვიზამდით, უწმინდეს მეუფესა ვითმე დავიყოლიებდით და სულ მალე ვაწვევდით. მერმე სუყველანი ხომალდზედ დაებრუნდით. რახან პაპისა წმინდა სახება გვიჩვენაო, პანტაგრუელმა ჩვეული გულუხვობა გამოიჩინა და პომენაცსა ცხრა ნაჭერი ოქროქსოვილი ფრიზისა ფარჩა შესძვნა — საკურთხევისზედა ლანძვისა კოზიმიტად, ანუ მცირე კრეტსაბმელად გამოიყენეთ, და ბრძანა, საყდრისა განახლება-საჭიროებისთვის მარჩილისა თუ ბუჩულის. იგივე წერილი ფელისა შესაგროვებელი ყულაბა-გვადრუცი სულ მაშიაგამოხატული ორმაგე ეკიუთა ააესეთო,<sup>2</sup> ხოლო ზეზედ-გარ, ანუ ფეხზედ მოტრიალე, შიხაულ ქალიშვილთათვის, ეინცა კი სადილ-ხადილზედ გვემსახურებოდა და გვემოახლებოდა, სუყველასთვის ცალ-ცალკე ცხრა-ასთოთხმეტი ხარებაგამოხატული ოქრო შიაცემინა — ნიშნად იმისა, რომ გათხოვებისა დროც ერჩილათ და ხანიც უწერდით.

\* მოცემა თუ არ გინდა, მაშინ მათხოვე, მოილე მოწყალება (ლათ.).



თხზი LV

ვითარ გაიგონა კანტაგრუელი გაულილ  
 ზღვაში ნაირ-ნაირნი გამლხვალნი  
 სიტყვა-ბგერანი



გაულილ ზღვაში ჩვეულებრ ეილხენდით. შევექცევი დღით, ვხმობდით, რომ ანაზღეულად პანტაგრუელი სუფრიდან წამოდგა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. ცოტა ხნისა შემდეგ კი შეგვესიტყვა:

— გესმით, ძმანო? მგონი, რამოდენიმე კაცისა უბნობა შეყურება, თანაც ვერცვისა ვხედავ. აბა, ერთი ყური მიუგდეო.

ჩვენც გავმახვეო ყურადღება და ვითარ ნიჟარიდან გემოიან ხამანწყასა სუტავენ, ისე დაუწყვეთ ჰაერსა ყურებითა სუტვა. ეგების მართლა ვისიმე ხმა ანდა ბგერა რამე გავიგონათო, და, რომ არცრა გამოგვპარვოდა, ზოგიერთმა ჩვენგანმა, იმპერატორ ანტონინუსისა წახედვით, ყურთ უკან ხელისგულნიც კი მიიღო. მაგრამ მალე ყველამ ერთად ამოუთქვეით, არცრა ხმა-სიმსი არ ისმისო.

პანტაგრუელი კვალად თავისაზედ იდგა, გინდათ თუ არა: რამოდენიმე ხმა ჩამესმისო, მამრისაცა და მდედრისაცაო; ბოლოსა და ბოლოს ჩვენც თითქოს მოგვეყურა ის ხმანა, უკეთუ ყურთა შხუილი არ გვატყუებდა. რაც რომ ძლიერ ვძაბავდით სასმენელთ და ვძაბავდით სმენასა, მით უფროისად ვარჩევდით სხვადასხვა ხმასა და მთელ სიტყვათც კი, და აწლა სასტიკმა შიშმა აგვიტანა, არცთუ უმიზეზოდ: ხედვითა კაციშვილსა ვერა ვხედავდით, გავონებითა ათასნაირი ბგერა და ხმა მოგვესმოდა, ზოგი მამრისა იყო. ზოგი მდედრისა, ზოგი ბავშვისა, ხან ცხენისა ჭიხვინიც გამოერეოდა ხოლმე, და პანურგმა ვერღა მოითმინა, გახმამყივარდა:

— ეშმაკიმც დასწყევლის, ეილაც მასხარად გვიგდებს! დავიღუპეთ! უნდა გავიქცეთ! ხაფანგში გავებით! ძმანო ჟან, მოყვასო კაცო, აქა ხარ? ახლოს დამიდექი! მახვილი შენი თანა გაქვს? ნახე, ემანდ ქარქაშსა შიგან არ იყოს ჩაჭედილი. წელან რაღაც სანახევროდ გაწმინდე. დავიღუპეთ! აბა, ყური მიუგდე. ღმერთმანი, ქვეშეხთ ისერიან. გავიქცეთ! ოღონდ ოთხით კი არა, ვითარც ბრუტუსი ფარსალოსთან გამართულ ბრძოლაში მოუწოდებდა, მე მოგიწოდებთ, იალქან-აფრანი და ნიჩაბნი მოვივარგოთ. გავიქცეთ! ზღვაზედ რატიომლაც ვაჟგაცობა მდალატობს. აი, მარანში, ანუ საღვინე სახლსა შინა უნდა მნახოთ, ვინცა ვარ. გავიქცეთ! თავსა ვუშველოთ! არა, აწ შიში სულაც არ მაღაპარაკებს. მე არაფრისა არ მეშინის, თვინიერ საფრთხისა. ჩემი ღლე და მოსწრება ამის მტკიცებაში ვიყავი. ბანიონელი თავისუფალი მოისარიც აკი ამასვე ამტკიცებდა. მაინცადა მაინც ეშმაკისა ცხენზედ ნუ შევსხდებით, ქვასა ნუ ვუკებთ, თორემ წყალში არ ამოვყოთ თავი. გავიქცეთ! ჰა, მიდი, მხერვალო, შემოაბრუნე ეგ საჭე, მოძურწე. შე ვირისა დაგდებულო, შენა! ოჰ, ერთი, არა მინდა რა, ღმერთმა ეხლა კენკენეში მქნას. ცოლსა არცაღა შევირთავდი! გავიქცეთ, მაგათთან მაინც ვერცრასა გავხდებით! ერთზედ ათნი წამოვლენ, დამიჯერეთ. თანაც კიდეც ეგენე შინ არიან, ჩვენ კი ჩამოსულნი ვართ, დედასა გვიტირიბენ, სულ ამოგვუჟავენ გავიქცეთ, არცრა სასირცხვილო ამაში არა არის რა! დემოსთენეს უთქვამს, ოტეხული ბრძოლაში კვლად ჩაებმისო. ასეა თუ ისე, განვშორდეთ აქაურობასა. აბა, ჰე, ზოგმა მარჯვენა მხარე დაიჭირეთ, ზოგმა მარცხენა, ზოგმა ი ფოკანძასა და ბუ-



ღინთ მიხედეთ! დავიღუპეთ, გავიქეციოთ, თქვე ეშმაკისა ნატრიკვალნო, ძალე, გავიქეციოთ!

უგლო, უგლო ყური პანტაგრუელმა პანურგისა დრტვინვა-ვიშვიშსა და წარ-თქვა:

— რომელი აპირებს მანდ მლტოლვარებასა? უწინარეს ვნახოთ, ვინ არიან, ეგება სულაც ჩვენი ხალხია. ჯერხანად არცვინ მომიხილავს, თქვეცაღდა, ეს მიღ-ზედ მიჭრის თვალი. ყური მივდეთ, რა უნდა გითხრათ. წყვეთხუფრეყვეს, ფი-ლოსოფოს პეტრონიუსსა რამოდენიმე ქვეყნიერებისა არსებობა სჯეროდა, რომელნი ქვეყნიერებანიცა ტოლგვერდა სამკუთხედსა ქმნიან, და აი ამა სამკუთხე-დისა ცენტრი, ცქიტი ანუ, სიმრგვალისა საშუალწერტილი, ვითარ ის ირწმუნე-ბოდა, ჭეშმარიტებისა სამკვიდრებელია, და იქ თავმოყრილია სუყოველი სიტყვა, იდეა, ხატება და პირველსახება ყველაყა-ყველაფრისა, რაიცა იყო და იქნება, იმა-თ გარშემო კი ჩვენი ქვეყნიერებაა; ჟამითი ჟამად, დიდის ხანდაზმითა, იმათი ერთი ნაწილი კაცთ აცვივა, ვითარცა ანათება, გაცივება თუ ანთება რამ, ანდა ვითარ გედეონისა საწმისსა დაეცა ცვარი, ხოლო დანარჩენ-დანაშთენი სამო-მავლო მოლოდინშია, და აგრეა საუკუნისა დასასრულამდის.

ერთიცა მაგონდება: არისტოტელე ჰგონებდა, რომ ჰომეროსისა სიტყვანა დაფრინავენ, რბიან მდინარებენ, მაშასადამე, სულიერნი არიან.

კიდევ მეტი: ანტიფანემ პლატონისა მოძღვრება იმა სიტყვათ შეადარა, სა-დღაც პირტუქს ზამთარში, ვითარ ძველად იტყოდნენ, ნეფხვა-ტეხვრაში, ანუ ხმელსა და ძნელ, ჭახჭახა ყინვაში წარმოთქმისავე თანა ყინულად რომ იქცნენ და ამად ვერცვის ყურსა ვერ მისწვდნენ. მართლაც, რასაც პლატონი ბაღლთ ასწავლიდა, ისინი უკვე ხანდაზმულნიც კი ძნელად თუ ჩამხვდარან.

აწ დიახაც დაფიქრება და დაკვირვება გვემართებს, იბედივ სწორედ იქ ხომ არ მოვხვდით, სად ესეგვარნი გაყინულნი სიტყვანი ლხვებიან. თქმა არ უნდა, ჩვენსა განცვიფრებასა საზღვარი არ ექნებოდა, უკეთუ აქა ორფევსისა თავსა და ქნარსა ვიპოვიდით; არადა, აკი ცნობილია, ორაკიელ დიაცთ ხულ ლუკმა-ლუკმა აკუნწეს ორფევსი, მერმე აღვნენ და იმისი თავი და ქნარი მდინარე ჰებრსა გაატა-ნეს, მდინარემ კი ისინი ერთთავად გვერდი-გვერდ ატარა, ატარა და პონტისა ზღვაში კუნძულ ლესბოსთან ჩაიტანა; თავი ცურვა-ცურვაში უსუსტრად თან მწუხარ სიმღერასა ღუღუნებდა, თითქოს ორფევსისა გამო მოთქვამდა, ხოლო ნელიად მქროლ ქართაგან შერხეული ქნარისა ღარ-ძალი იმა სიმღერა-ღუღუნ-თან შეხმატკბილებულად ჟღერდა. მოვიძიოთ, ეგება აქა სადმე ენახოთ ისინი.

## თავი LVI

### ვითარ გამოჩხრიკა პანტაგრუელმა გაყინულ სიტყვათა შორის უხამსოვა

ამისა მუქაჟად ლოცმანმა მიუგო:

— ხელმწიფეო! ნურცრისა გეშინის, აქ ყინულოვანი ზღვისა საზღვარია. სად გასული ზამთრისა დამდეგს არიმასპთა და ნეფელიბატთა ფრიად სასტიკი და სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა. სწორედ მაშინ გაიყინა ჰაერში მამრთა და მდედრთა ეიჟინა, სუყველა სიტყვა-ძახილი, ჩომახტურთა ჯახაჯუხი, თორ-ბოლოტიკთა და აღკაზმულობათა წკარუნ-ჟღარუნნი, ცხენთა ჭიხვინი და ბრძო-







მიწვივ ხელთა გაქვსო, ამას იმიტომ გეუბნები, რამეთუ ქველ და მხიარულ პანტაგრუელელთ მაგარ-მაგარნი სიტყვანი არ უჭირთო.

აქა პანურგმა ცოტათი გაანაწყენა ძმა ჟანი და ტვინი გაანძრევინა, საქმე კი აგრე იყო: ძმა ჟანისთვის სრულიად უეცრივ პანურგმა იგი სიტყვაში დაიჭირა, ძმა ჟანი კი დაეშუქრა, კაცი არ ვიყვე, თუ ბაღბა არ მოგიხარშო, ანუ სამაგიერო არ გადაგიხადო და ეს შენი საქციელი არ განახლო, ვითარცა ყუყუყმმა ქველი პატლენისთვის სკლატ-მაუდისა მიყიდვა ინანა, რაკი იმის სიტყვასი უნებურად დაუჯერაო, და კიდევ ისიც მიაყოლა, ოდესცა ცოლსა შეირთავ, როგორცა უხეირო მოზვერსა, რქებითა დაგიჭერ, რახან არ დამინდე, როგორცა კაცი და სიტყვაში დამიჭირეო. პანურგმა პასუხისა ნაცვლად ჯერეთ ენა გამოუყო, მერმე კი შესძახა:

— ეჰ, არა მინდა რა, უფალმა აქავე, ამა ადვილიდან ფეხისა მოუცვლელად, გამაგებინოს ღვთაებრივი ბოცა-ბოთლისა სათქმელი!

### თავი LVII

#### პითარ გადავიდა პანტაბრუელი მუჟუე გასტერის, მცენიერებათა და ხელოვნებათა მსოფლიოში უპირველესი მაგისტრის ნათამალ-სამკვიდროსა შინა

იმავე დღესა პანტაგრუელი ყოვლისა უფრორე საოცარ, როგორაც თავისი უჩვეულო ადვილმდებარეობითა, ისე თავისი უჩვეულო ზეგანმგებელ-მთავრითა სახელგანთქმულ კუნძულზედ გადავიდა. კუნძულისა სანაპირო ნაწილი, ყოველმხრივ კბოდიანი, ჭიუხიან-ლოდიანი, მთავორიანი, ხრიოკი თვალისთვის უსიამო, ასასვლელად ღია უძნელესი და თითქმის იმგვარადვე მიუვალ-მიუდგომელი იყო, ვითარ დოფინეშია სახელად მიუვალ-მიუდგომელი მთა, გოგრისა მოყვანილობისა და აგრე იმად სახელდებული, რაკილა მუნ ოდითგან კაციშვილსა ფეხი არ დაუდგამს, თვინიერ ღუაიაკისა, მეფე შარლ VIII ჟამსა ცეცხლსასროლ საქურველთა ზედამხედველისა. იგივე არტილერიის უფროსისა, რომელმან რაღაც-რაღაც საგანგებო რამ სამარჯვ-მოწყობილობათა წყალობით მოახერხა მას მთასა ზედან ასვლა და წვერ-თხემზედ ბებერ ერკემალსა გადააწყდა.<sup>1</sup> რანაირად მოხვდა იქ ერკემალი იგი, არცეინ უწყის, ვიეთნი უბნობდნენ, ჯერეთ კიდევ სულ პატარა კრავი არწივმა აიყვანა იქაო. ანდა ბუმაო, მაგრამ ცხოვართ შვილმა იმარჯვა, დაუსხლტა და ეწერსა, ანუ მცირე ბუჩქნარსა რასმე შეაფარა თავიო.

ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, კარგადალი ოფლი მოვიწურეთ, რის ვაივავლახითა მოვდალეთ ციცაბო პირალმართი და ვპოვეთ თვალწარმტაცი, მომხიბვლელი, ნაყოფიერი და ჰაერკეთილშეზავებული, ჯანისა მარგებელი მთისა თხემი, ის კი არა, თავი წამიერად იმავე მიწიერ სამოთხეში ვიგრძენით, რომლისა ადვილსამყოფელსა, ცხარე კამათისა საგანსა, ჯერაც ბეჯითად ვებენ კეთილნი ღვთისმეტყველნი. დაღათუმცა, პანტაგრუელმა აზრი გამოთქვა, ესა არეტეს (ესე იგი სათნოებისა) საგანეა, შესიოდესგან აღწერილიო, მაგრამ ამა აზრსა ვერ დაეთანხმება კაცი.

კუნძულისა ზეგანმგებელი-მთავარი მეუფე გასტერი ბრძანდებოდა, მცენიერებათა და ხელოვნებათა მსოფლიოში უპირველესი მაგისტრი.<sup>2</sup> უკეთუ ჰგონებთ,



რომ მეცნიერებათა და ხელოვნებათა უდიდესი მაგისტრი ცეცხლი იყო,<sup>3</sup> ვითარ  
აქასა ციცერონი უბნობს, ცდებით და ძალიანაც ტყუვდებით, რამეთუ თვით ცი-  
ცერონსა არა ხჯეროდა თავისი თქმულობა. უკეთუ ჰკონებთ, რომ მეცნიერებათა  
და ხელოვნებათა პირველი გამომგონებელი მერკური იყო, ვითარ ოდესღაც ძვე-  
ლთა ჩვენთა დრუიდთ წარმოედგინათ,<sup>4</sup> სასტიკად გეშლებათ. მართალი სატირი-  
კოსი იყო, რომელიცა ყოველთა მეცნიერებათა და ხელოვნებათა მაგისტრად მე-  
უფე გასტერსა ასახვლებდა.

დიახაც იმას იყო ვაჟად ჩახუტებული სათნო ბანოვანი სახელად გაჭირვება,  
ანუ სხვაგვარად სილატაკედ წოდებული, ცბრა მუზისა დედა, რომელსაცა უხეუ-  
ბისა ღვთისგან, პორუსისგან, ევოლა კეთილშობილი ნაშიური ამური, მიწისა და  
ცისა შუამავალი, რაღაც ის პლატონსა მიაჩნია თავის ნადიმსა შინა.

სახელოვანსა მეუფესა გასტერსა სრულიად უნდა ვმორჩილებდეთ, უნდა ვა-  
ამებდეთ და პატივსა მივაგებდეთ, რამეთუ მბრძანებელია, მკაცრია, გორიზია,  
სასტიკია, უღმობელია, მედგარია. იმასა ვერცრასა არწმუნებინებ, ვერცრასა აუ-  
ხსნი, ვერცრასა ჩააგონებ. ის არცრისა გაგონებასა არა სურვობს. და თუ რომ  
მეგვიპტელნი ადასტურებენ, ჰარპოკრატე, ღუმილისა ღმერთი, ბერძნულად სი-  
გალიონი, უტურ-უბავეო იყო, ესე იგი პირი არა ჰქონდათ, სწორედ აგრევე უყუ-  
როდ დაიბადა გასტერიც, ვითარ უყურთა იუპიტერისა ქეაკაცი, ანუ ალაღმა-  
ჭორტი კრეტაზედ. სალაპარაკოდ ის ოდენ ნიშანთ იშველიებს. მაგრამ კაცად-  
კაცი იმის ნიშანთ უფროისად ემორჩილებიან, ვინემ პრეტორთა ედიქტთ და  
სამეფო ბრძანება-განკარგულებათ. რასაც კი მოითხოვს და მოინებებს, იმავე  
წუთსა უნდა ასრულდეს, დახანებასა და დაყოვნებასა ვერ იტანს. ყველამ დასტურ  
უწყით, რომ ლომისა ბრდღეინეა ტანში ცრის ნადირთ, რომელთა ყურთაც კი  
ის ხმა სწვდება. ამაზედ ბევრია დაწერილი წიგნთა შინა. ნამდვილია. თავად  
ყოფილვარ, მოწმე. და მაინც მერწმუნეთ, თავსა მოვიჭრი, თუ გასტერისა ნაბრ-  
ძანებთაგან სრულად ცა-მყარი არ ირყეოდეს. ვითარ იგი თავის ნებასა გამოთქ-  
ვამს, უმაღვე უნდა აღასრულო ანდა აღესრულო.

ლოცმანმა გვიამბო, ერთხელათ, ესოპესგან აღწერილი კუჭისა წინააღმდეგ  
სხეულისა ყოველთა ასოთა აჯანყებისა არ იყოსო, გასტერსა სრულიად სომატ-  
თა სახელმწიფო<sup>5</sup> აუმხედრდა და ფიცისა მიღებითა შემდგომსა მორჩილებაზედ  
დაეუარაო. თუძცალა, მალე იქაველთ შეინანეს ნამოქმედარი, ამბოხსა შეეშვნენ  
და კვალად გასტერისა უმორჩილესნი გახდნენო. სხვანაირად სუყოველნი ისინი  
დაიყმიდებოდნენ და მომყმარნი ეგრევე უკლისად სასტიკი სიყმიდისგან დაიხო-  
ცებოდნენო.

რაგვარ საზოგადოებაშიც გინდ მოხვდეს, იმის თანდასწრებითა აღგილისა  
გულისთვის არავითარი რამ დავა არ ეგების. ის ყოველგან წინა ვლის, იქ გინდ  
მეფენი იყვნენ. გინდ იმპერატორნი ანდა თვით პაპიც კი. ბაზელისა კრებაზედ  
პირველი ის ბრძანდებოდა, დაღაცათუ, კრება ესე ფრიად ბობოქარი იყო:<sup>6</sup> კარ-  
გად მოგეხსენებათ, იქა მუშტი-კრივზედ გადადიოდნენ იმისა გამო, ვისთან ვისი  
ჯდომა არა ხამდა. ყოველთა საფიქრალ-საგონებელი ოდენ ის არის, ვითარ აამონ  
გასტერსა, სუყოველანი იმის გულისთვის მუშაკობენ, მაგრამ არცა ისა გვრჩება  
ვალში, მერედა, რაზომ-რაერთი სიკეთე არ გვიყო: გამოგვიგონა ყოველგვარნი  
მეცნიერებანი და ხელოვნებანი, ყოველგვარნი ხელობანი, იარაღნი, ეშმაკურნი  
ხელსაწყო-მანქანანი, მოწყობილობანი. თვით გარეულ ნადირთაც კი ბევრ ისეთ-  
სა რამეში ახელოვნებს, რისა აფაღა-შეძლებაც ბუნებისგან არ დაჰყოლიათ.  
ყვავ-ყორანთ, ჯაფარა-ჩნიკვო, თუთიყუშ-ზორაყო, შოშია-შროშანთ მამრ



მგოსნებად აქცევს, წიპრანა-კაჭკაჭთ — მღერ მგოსნებად, მასთან კაცობრივ ენაზედ უბნობა-მღერასა ასწავლის. და სულ მუცლისა გულისთვის!

არწივთ, სონლულთ, შავარდენთ, ყაჯირთ, ხარატონთ, ვავაზთ, კელუმბროთ, ჭარო-ყველიერთ, ქორ-შაბარდუხთ, სვაე-ფსოეთ, სხვა ირათ თუ მძღვეარ ფრინველთ, ბუდითგან ამოსხმულ ბარტყ-მართვეთ კი არა, ტყიურთ, ლადთ, სნავართ ის აშინაურებს და ახელისავებს, უკეთუ მოისურვილა და მოსწონდეს სიმაღლეზედაც უნდა, იმა სიმაღლეზედ აიყვანს ცაში და როგორაც თავად უნდა, ისე აფრენს, ანავარდებს და აბოინებს. ისე აცორებს და აღიუღივებს ჰაერში, იქაც კი, ღრუბელთა ზემით, არ აეიწყებინებს, აღშერთებინებს და ათაყვანებინებს თავის თავსა, მერმე ერთბაშად ცით დედამიწაზედ დაუშვებს. და სულ მუცლისა გულისთვის!

სპილოთ, ლომთ, მარტორქათ, დათვთ, ცხენთ, ძაღლთ ის აროკვებს, აშუშპრებს და ათამაშებს, ბურთსა აგორებინებს. ამუშაითებს, აჭიდავებს, აცურავებს, თავსა ამაღვინებს, რასაცა უბრძანებს, მიატანინებს, რასაცა უბრძანებს, წააღებინებს. და სულ მუცლისა გულისთვის!

როგორაც ზღვისა, ისე მტკნარი წყლის თევზთ, ვეშაპთ და სხვა ურჩხულ-ორჩხოლთ თუ მაჯლაჯუნა-უჯმაჯურთ, ისა ყრის და ერეკება ზევით ზღვისა სიღრმიდან. მგელთ ტყეთაგან სღვენის, ბრანგვთ — კლდეთა ნაპრაღთაგან, მელიათ-სორითაგან, გველთ — ხვრელთაგან, და სულ მუცლისა გულისთვის!

მოკლედ, ნაყროვანი, უძღები, ახორმაზი, ლოქაფი ვინმეა ისა და მწყრომარე: გაფოთებულ-ლაქიშითებული ყოველთ განურჩევლად ყბორავს, ნთქავს, კაცთაც და ცხოველთაც: სწორედ ესეგვარი ბედი ზვდათ ვასკონთ. ოდეს სერუორი-უსული თმიახობისა ეამსა ისინი ალყაში მოაქცია კვინტუს მეტელუსმა; საგუნტუმელთ, ოდეს ისინი ალყაში მოაქცია ჰანიბალმა; იუდეველთ, ოდეს ისინი ალყაში მოაქციეს რომაელთ, და კიდევ ექვსას სხვა ხალხსა. და სულ მუცლისა გულისთვის!

რაჟამსა გასტერისა ნაცვალთ გაჭირვება პირსა მიაპყრობს ხოლმე გზასა, სადაც კი ფეხსა დაადგამს, ყველგან სუყველა სამსაჯულო იხურება, სუყველა ედიქტი წყალში იყრება, სუყველა განკარგულებასა ძალა უკარგება. გაჭირვებასა არავითარი კანონისა ცნობა არა აქვს და არცა ემორჩილება. სადმე თვალსა მოჰკრავენ თუ არა სუყველანი უკან მოუხედავად გაუბრძიან და ის ურჩევნით, თუნდაც დედუაგვემული გემი ჩაეძირით, დაენტქათ, ცეცხლი, მთა-ღრე და უფსკრულნი განვლონ, ოღონდ იმას არ ჩაუცვივდნენ ხელში.

თავი LVIII

პირთარ შვიპაგა პანტაგრუელმა ჭკუაეშაგა  
მაგისტრისა კარზედ ენგასტრიმიტნი და  
პასტროლატრნი

ამა დიდი და ჭკუაეშაგა მაგისტრისა კარზედ პანტაგრუელმა ორგევარნი კარისკაცნი შეამჩნია: აბეზარნი, თავშემაწყენელნი და რაღაც ნამეტნავად პირმოთხენი, და ერთობ შეიძაგა ისინი. ერთნი სახელდებითა ენგასტრიმიტნი, ანუ მუცლითმეზღაპრენი იყვნენ, მეორენი — გასტროლატრნი, ანუ მუცელდმერთანი.

ენგასტრიმიტანი თავიანთ თავზედ ჰყვებოდნენ, უენაო ევრიკლეს! ძველი



მოდგმიდან მოვდივართო, და არისტოფანესა იმოწმებდნენ, რამეთუ იგი დასტურ-  
ყოფს ამასა თავის კომედიაში, რომლისა სათაურია **კოტიზნი**, ანუ **კრაზანანი**.  
უწინდელსა დროში **ევრიკლეელთ** გვიხმობდნენ, რასაცა პლატონი იხსენიებსო,  
აგრეთვე პლუტარქე **ორაკულთა დამცრობისა** წიგნშიო. წმინდა **დეკრეტალიათა**  
შინა (26, კითხვა 3) ისინი **მუცლითმეზღაპრეებად** იწოდებულენ **სახელსა**  
**სდებს** იმათ იონიურ ენაზედ **ჰიპოკრატე** (**ეპიდემიათა გამწმენვენი**) **კვინათგან**  
ისინი მუცლითა გამოუბრობდნენ. სოფოკლე **სტერნომანტებს**, ანუ **მკერდითმარ-**  
**ჩიელთ** არქმევს. სუყველანი ჯადობაზნი, ჯადოქარნი და ცრუნი იყვნენ, მდაბიო  
ხალხსა ყინულზედ აცურებდნენ, ქეჩასა ქვეშიდან აძრობდნენ, აფადილებდნენ,  
თან კიდევ თავი ისე ეჭირათ, ვითომც პირით კი არა, მუცლითა უბნობდნენ და  
მიუგებდნენ შემკითხველსა.

მართ ესეგვარი მუცლითმეზღაპრე, ანუ მუცელმოგვი იყო იტალიელი ჟა-  
კობა როდოჯინა, შეურაცხი წარმომავლობისა დედაკაცი, რომელიცა კურთხეუ-  
ლი ჩვენი მაცხოვრისა შობისა შემდგომ დაახლოებით 1513 წელსა ცხოვრობდა  
და არცთუ იშვიათად გაგვიგონია, მართო ჩვენ კი არა, ფერარისა და სხვა ქალაქ-  
თა მრავლისმრავალ მცხოვრებელსა. ვითარ იწვევდნენ და იბარებდნენ იმას ში-  
ნად ცნობისმთავარობისა გამო ციხალპური გალიისა მქონიარე, მდიდარნი სე-  
ნიორნი და თაყადნი; ამბად ჰყვებოდნენ, რომ იმ დროს დედაკაცისა მუცლიდან  
უწმინდური რამ სულისა ხმა გამოისმოდა, თუმცაღა, სუსტი, მიკმენდილი და  
მიგნავებული, მაგრამ მაინც სავსებით გასაგონად. მკაფიოდ და კანთიელად აღ-  
წევდა ყურთასმენამდე და, რათამცა არცრა თვალთმაქცობა და თაღლითობა შე-  
სამღებელი არ გაეხადათ, მას დედაკაცსა სამოსელსა სულ მთლად ახდევინებდ-  
ნენ, აშიშვლებ-ატიტვლებდნენ და ცხვირსა და პირსა უცობდნენ. უწმინდურა  
სული ითხოვდა, ხუჭუჭა, ანუ ცინცინატული დამიძახეთო, და აშკარად ეტყობო-  
და კმაყოფილება, აგრე რომ უხმობდნენ. როგორც კი ამა თავისდა სურვილისად  
მიმართაუდნენ. ის უმაღლ სუყოველ კითხვაზედ ეპასუხებოდა. უკეთუ აწმყოს ანდა  
წარსულისა ამბავსა ეკითხებოდნენ, უცილოდ მიზანში არტყამდა და მსმენელთ  
აოგნებდა. უკეთუ მომავლისასა ჰკითხავდნენ, ვერცროდის ვერცრასა ხვდებოდა  
და სულ მუდამ კატაბანსა, ანუ ტყუილ-ნაცილსა დაახეთქებდა ხოლმე. ხშირად  
თავისივე უმეცრებასა თვითონვე აღიარებდა და ნაცულად პასუხისა მყრალ ქართ  
უშვებდა. მჭექარედ აჭაჭუნებდა ანდა რომელიღაც ქაჯურისა კილოკავზედ გა-  
უგებარსა რასმე ბუტბუტებდა.

რაიცა შეეხება ვასტროლატრთ, ისინი ჯვრდ-ჯვრო, გუნდ-გუნდ, ქუჩქუჩად  
ვლიდნენ, და იმათგან ერთნი მკვირცხლნი, გიჟმაჟნი და კეკლუცნი იყვნენ, ხო-  
ლო მეორენი ნაღველმორეულნი, მზვაობარნი, მკაცრნი და პირქუშნი, სუყველა-  
ნი უკლებლივ მუქთამჭამელნი ბრძანდებოდნენ, არცვინ იმათგანი არცრასა იქ-  
მოდა, არცვინ იმათგანი თითსა არა ძრავდა, ჰესიოდეს თქმითა, ისინი ოდენ  
ტყუილად ამძიმებდნენ მიწასა, და, ეტყობა, ერთი საზრუნავ-საფიქრალი ჰქონ-  
დათ: არამცა და არამც არ გალუბებულ-დამჭლევებულიყვნენ, ხორცი არ დაეყა-  
რათ და მუცელი არ გაენაწყენებინათ, ჩვეულებრ ისინი ნილაბაფარებულნი ვი-  
დოდნენ და ისე უცხოდ იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი, აზიზილპიპილებულნი, გა-  
მოწკეპილ-გამოკანკლულნი, უნდა დამდგარიყავით და გეცქირათ!

ვიცა, მეტყვით, — და აკი წერდნენ კიდევ ამაზედ ძველნი ბრძენკაცნი და  
ფილოსოფოსნი, — რომ ბუნებისა გამომგონებლობა პირდაპირ სასწაულად წარ-  
მოგვიდგება ზღვისა ნიჟარა-ხოჭოჭინათა შემყურეთ, იმზომ უცნაური და თავი-  
სებურია თითოეული, ხელოვნებისთვის მიუწვდომელი იმოდენი რამ ნაირგვა-







კრეპალოკომთ და ეპენონთ<sup>2</sup> გალობდნენ, თანავე ხან რომელ კალათასა  
ხლიდნენ თავსა, ხან რომელ ქვაბსა და თავიანთ ღმერთსა მსხვერპლად სწირავ-  
დნენ დარიჩინზედ დაყენებულ თეთრ ღვინოსა, ზედვე აყოლებდნენ შერეულ ცაცხლ-  
ზედ შემწვარ უსაწყებლო ხორცსა,



თეთრ პურსა,  
პირგატრილ ნაზუქსა,  
კაკალა პურსა,  
კონჩოლსა, ანუ პურის შეჭამანდსა,  
ფაფილოზსა, ანუ თხელხშიადსა,  
ყვერბ-სახმილისა ნახშირზედ შემწვარ ექვსნაირ მწვადსა,  
შემწვარ თხისა ხორცსა,  
შემწვარ ხბოს ბეჭსა ცივად, ჯანჯაფილმოყრილსა,  
ნაირნაირ შეჭამანდსა,  
კუჭმაჭსა,  
დომბალსა, ანუ დოში ჩაყრილ პურსა,  
ცხრანაირ ფრიკასესა,  
ღვეზელო, ანუ ხშიადისა კუპატო, ხორცითა ანდა თევზით მცხვარსა,  
ჩიხირთმასა,  
დომხალასა, ანუ დომხლისა შეჭამანდსა,  
კურდღლისა ხორცის წენიანსა,  
ლიონურ წენიანსა,  
ფუშრუდსა,  
დამჟავებულ კომბოსტოსა,  
აგრეთვე კოტრანასა, ანუ ნიგვზითა და ძმრით შეზავებულ მოხარშულ კომ-  
ბოსტოსა,

მასტაოსა, იგივე ბრინჯითა ნამზად ღოსა,  
რაგუსა,  
ყაურმასა,  
და, რაც მთავარია, არამც და არამც არ იკლებდნენ არანაირ სასმელ-დასა-  
ლევსა, უწინარესად კი ჩინებულ თავანკარა თეთრსა ხატისა ღვინოსა, არცა  
ვარდისფერ და წითელ ზედაშესა, ყინულსაებ ცივსა, დიდრონ-დიდრონ ვერცხ-  
ლისა ჯამფილა-ორთომელთ პირთამდე ავსებდნენ, აპირთავებდნენ, ალიცლი-  
ცებდნენ, აპიპინებდნენ და აპილთუმებდნენ, მერმეთ ზედ აყოლებდნენ:

გულ-ღვიძლისა ძეხვსა, ცხრა მდოგვში ამოვლებულსა,  
სოსის-კუპატო,  
შებოლილ ხარის ენასა,  
მწნილღუღსა,  
ცრუტსა, ანუ მჟაყითა ნამზად ჭარხალსა,  
ღორისა სუკსა ბარდიანსა,  
ქონჩატენილ მოშუშულ ხბოს ხორცსა,  
სისხლიან ძეხვსა,  
ტვინის ძეხვსა,  
ღორის ძეხვსა,  
ოფიტონსა, ანუ ღორსა,  
კახაჯსა,  
ტახის თავსა,  
თაღგამო<sup>1</sup> ნანადირვეის დამარილებულ ხორცსა,



შემწვარ ღვიძლსა,  
 მარილწყლიან ზეთისხილსა,  
 სუყოველივე ამასა უცილობლივ სასმელსა ჩააწმენდინებდნენ. მერმეთ იღ-  
 გნენ და ჭორტსა ხახასა შიგან აყრიდნენ:  
 ნიორწყლიან ცხვრისა ბეჭთ,  
 ცხელსაწებლიან პაშტეტთ,  
 მოშუშულ ხახვიან ღორისა კატლეტთ,  
 ყვერულთ, საკუთარ ცხიმში შეწმწვართ,  
 კვალად ყვერულთ,  
 იხვ-ბატასინთ,  
 ფურირემთ,  
 ირემთ, ბიჟიკთ,  
 კურდღელთ, ბაჭია-კოტორთ,  
 კაკაბთ, კაკაბუნათ,  
 ხოხობთ, ხოხობუნათ,  
 ფარშაევანგთ, ფარშაევანგუნათ,  
 ყარყატთ, ყარყატუნათ,  
 ჩიბუხთ, ჩიბუხუნათ,  
 ქეროზა ჩიტთ,  
 მამალ ინდაურთ, დედალ ინდაურთ და ჭუკთ,  
 ქედანთ და გვიძინთ,  
 ისრიმისა წვენიში ამოვლებულ ბურვაკისა ხორცსა,  
 ჩაშუშულხახვიან იხვ-სურსურთ,  
 წყლისა ქათამთ,  
 შოშიათ, ლანა ჩიტთ,  
 ტურპან-გარიელთ,  
 ქოჩორა ოყართ,  
 იხვინჯათ,  
 ყურყუმელათ,  
 ყარაულათ, ანუ წყლისა ბულათ,  
 კოკორინათ,  
 ტყისა ჟრუნთ,  
 პრასიან წყლისა ქათამთ,  
 მეკანაფიათ, შველთ,  
 კაპარიან ცხვრისა ბეჭთ,  
 სამეფო უსხისა ხორცსა,  
 ხბოს მკერდსა,  
 მოხარშულ ქათამთ და მსუქან ყვერულთ, ბაჟაში ჩაწყობილთ,  
 გვრიტჩიტათ,  
 ვარიათ, ვარიკათ, ვარიკელათ, იგივე წრიაპთ და ჩრიხვთ,  
 ბოცვერთ, ბოცორთ,  
 მწყერთ, მწყერუკათ, ჩოჩორთ,  
 მტრედთ, მტრედუნათ, ხუნდთ,  
 ყანჩაოყ ყანჩუნათ, ბჟიტთ,  
 სავათთ, სავათუნათ, ანუ დუდაკთ,  
 მინდვრის ტორილათ, ანუ ცასწავალათ,  
 ციცართ,







მეჭკავია ჩიტო,  
 ბატ-ლერდუტ-ჭუჭულთ,  
 კარაბო,  
 გნოლოთ,  
 გარეულ იხვოთ,  
 ტყისა ტოროლათ,  
 ბედურათ, წრაპაკანთ,  
 ფლამინგოთ, გედს,  
 ჟეროთ,  
 მგალობელ შაშვთ, წეროთ,  
 კოკორინა-ბედურათ,  
 ღურაჯთ,  
 შურთხთ, როჭოთ,  
 გვრიტო,  
 ბაცაცო,  
 ძაჩვზღარბო,  
 წყლისა ლანა ჩიტო,

მერმეთ ისევ ბლომად ღვინოსა ჩაახვევებდნენ. შემდეგ დიდრონ-დიდრონსა  
 სტენიდნენ

არა ერთსა და ორსა პაშტეტსა დიდთა ნადირთა ხორცისასა,  
 ტოროლათა ხორცისასა,  
 ძიღვუდათა ხორცისასა,  
 ტაბითისა, ანუ გარეული თხისა ხორცისასა,  
 შვლისა ხორცისასა,  
 მტრედთა ხორცისასა,  
 არჩვ-ფსიტიისა ხორცისასა,  
 ყვერულთა ხორცისასა,  
 ღორისა ქონიანსა,  
 დამუჟუჟებულ ღორისა ფეხთ,  
 კარაქში შემწვარ პურისა ქერქთ,  
 დაყვერილ-დაწმენდილ, მწყდარ-კოდილა ყორანთ,  
 ყველეულთ,  
 ატამთ,  
 არტიშოკთ,  
 ცხრაფურცელა ღვეზელოთ,  
 ესპანურ არტიშოკთ,  
 კვარცხიან ღვეზელოთ,  
 ხავეწსა,  
 ერბო-ჭიმურსა,  
 თექვსმეტნაირ ხაჭაპურსა და ფხლოვანსა,  
 ვაფლსა, მაჭკატსა,  
 კომშიან ღვეზელოთ,  
 ხაჭოსა,

ხეხოსა თუ აღიღერას, ანუ მირიობოლანად სახელდებულ კაკლისა მუ-  
 რაბასა,

ჟელესა,  
 დარიჩინზედ დაყენებულ ვარდისფერ და წითელ ღვინოსა,  
 ფუნთუშეულსა, მაკარონსა,



ოცნაირ ტკბილ ნაშვარსა,  
 კრემსა,  
 სამოცდათვრამეტნაირ ხმელ ხილსა და მურაბასა,  
 ასფეროვან დრაჟესა,  
 ჩუმა-მაწონსა,  
 ხამშაქარმოყრილ ქადა-ნაზუქსა.  
 ყოველივე ამისა შემდგომ კვალად ხუნუსა უმარჯვებულნი არ  
 გამშრალიყო. Item\* მოხრაკულსა.



თავი LX

რა მსხვერპლთ სწირავდნენ თავიანთ ღმერთსა  
 ბასტროლატრნი მარხვაში

ვითარ მოიხილა პანტაგრუელმა მთელი ესე მზორველი ქლესა-თავშეუღე-  
 პელი ბრბო და შეწირულობისა მრავალგვარიობა, ბრაზი მოერია და წასვლა და-  
 აპირა, მაგრამ ეპისტემონმა დაათათბირა, ბარემ ბოლომდე ვნაზით, რით დამ-  
 თავრდება კომედია ესაო.

— მარხვაში რაღასა სწირავენ ეს მაშაძალღნი თავიანთ ყოვლადმუცელ-  
 შემძლე ღმერთსა? — იკითხა პანტაგრუელმა.

— ეხლავ მოგახსენებ, წვლილად ჩამოგიითვლი და ჩაგიკაკლავ სუყოველ სა-  
 მარხვოსა, — მიუგო ლოცმანმა. — საუზმედ სთავაზობენ:

ხიზილაღასა,  
 კარაქსა,  
 ბარდისა პიურესა,  
 ისპანახსა,  
 მარილნაკლებ ქაშაყსა,  
 შებოლილ ქაშაყსა,  
 სარდინთ,  
 ანხოუსთ, იგივე თევზსარდაღათ, ქამსათ, ქარსაღათ,  
 დამარილებულ თინუსთ,  
 შებოლილ ცერცვთ,  
 ასნაირ საღათასა, ანუ ტაბუცუნსა: წიწმატისასა, სვიისასა, ზღვისა ბაღა-  
 ხისასა, ანუ ფუკიასასა, გარდაძრიდასასა, ანუ სოკოსასა (ბებერ ანწლისა ძირას  
 რომ იზრდება), სატაცურისასა, ცხრატყავასასა და ბევრ სხვასა.

დამარილებულ ორაგულსა,  
 დამარილებულ გველთევზათ,  
 ნიჟარიან ზამანწკათ,  
 ამისა შემდგომ თრობამდისა ღვინისა ყლურწვა ზამს. დასალევსა არცროდის  
 აღევენ. მერმეთ სძღვნიან:  
 თეთრსა ღვინოში ჩაწყობილ საღამურა თევზთ,  
 წვერა თევზთ,  
 ლიფსიტა, ანუ წვრილ-წვრილ წვერა თევზთ,  
 წვერა თევზთ,

\* და იხვე (ღათ).



ქაშაპთ,  
 ლიფსიტა ქაშაპთ,  
 სკაროსთ,  
 მელან თევზთ, იგივე სუპიათ,  
 გერმანულ თართ-ზუთხთ,  
 ვეშაპთ,  
 სკუმბრიათ, იგივე მაკრელთ,  
 პატარა კამბალათ,  
 კარედ-პალტუსთ,  
 შუმწვარ ხამანწკათ, ორსაგდულიანთ,  
 ზღვისა სავარცხლიან მოლუსკ-ლოქორათ, ანუ ბიბილურათ,  
 ზღვისა კიბორჩხალთ, ლანგუსტთ,  
 ცქიმურა თევზთ, ეკლურათ,  
 ხონთქარა თევზთ,  
 კალმახთ,  
 კოლაკთ,  
 თევზთ, რომელთ მექვიშია სიგის უხმობენ,  
 ვირთევზათ,  
 რვაფეხათ,  
 ჩიქვთ, ლიმანდთ,  
 მდინარისა კამბალათ,  
 გამხმარ სკუმბრიათ, სციენათ,  
 ხმელთაშუა ზღვისა თევზთ, პაგელუსთ,  
 ციმორთ,  
 კამბალათ,  
 ტბისა ცქიმურათ, ათურინათ,  
 ფალენეთ,  
 კობრთ,  
 წერ-ქარიყლაპიათ,  
 ზღვისა გველთევზათ, ბონიტთ,  
 ფოკინთ, ანუ ზღვისა ფინიათ,  
 ზღვისა ზღარბთ,  
 ზღვისა კობრთ,  
 შიმშურთ,  
 ზღვისა ანგელოზთ,  
 პატარ-პატარა სალამურა თევზთ,  
 პაწაწკინტელა წერ-ქარიყლაპიათ,  
 ბიჟიკ, ანუ მომცრო გოჭა-თევზთ,  
 გოჭა-თევზუკათ,  
 ორაგულსა,  
 ბიჟიკ-ორაგულთ,  
 დელფინთ,  
 თეთრ სკაროსთ,  
 ზღვისა ღორთ,  
 ზღვისა ენათ,  
 მიდიათ,  
 ასთაკვთ, იგივე ომართ,  
 კარკინოთ,







გველისა ენათ,  
 თაღლითა თევზთ,  
 ჭანართ,  
 კაპოეტთ, იგივე ხარისთ,  
 ნელლ ვირთევზათ,  
 სიპინთ,  
 სამეკალა თევზთ,  
 თინუსთ,  
 ღორჯოთ,  
 კიბოთ,  
 კარჩხანათ,  
 ნაირნაირ მოღუსკთ,  
 ზღვისა გველოვეზათ,  
 ვიჟთევზათ, იგივე შავზურგა ქაშაყო,  
 მურენა თევზთ,  
 უმბრა თევზთ,  
 პატარა გველისა ენათ,  
 გველოთევზათ,  
 გველოთევზუნათ,  
 კუთ,  
 გველთ, id est\* ტყისა გველოთევზათ,  
 ოქროს სკუმბრიათ, ანუ მაკრელთ,  
 ზღვისა ქათამთ,  
 ქორჭილათ,  
 ზუთხთ,

გოჭალათ, ანუ გველანათ,  
 ცხრაფეხათ, ანუ კირჩხიბთ,  
 ლოკოკინათ,  
 ბაყაყ-მეყართ,  
 ესეგვარი ჭამადისა შემდგომ უცილოდ ხმევაა საჭირო, თორემ ისე დიდი  
 დღე არ უწერია კაცსა, აქა ამასა ძალიან მისდევენ. მერმეთ უზორავენ:  
 დამარილებულ ვირთევზასა.

მზეზედ გამოყვანილ ხმელ თევზსა. შტოკფიშსა,  
 წოქო, ანუ თიხლო კვერცხთ, შემწვარ კვერცხთ, რძიან ერბო-კვერცხსა,  
 ჩახლილ ერბო-კვერცხსა, სირვასა, ანუ სქელ ერბო-კვერცხსა, წირიხტასა, ანუ  
 კვერცხითა მოხელილ და ერბოში მოხრატულ პურსა, ყიფლიფოსა, დოფხოჭსა და  
 ვველაფერსა რა ენა ჩამოთვლის,

ცხოველნერგოთ, ანუ ზღვისა რომელნიჲც მცენარეთ, გრძნობისა მქონებელთ,  
 ჩვეულებრივ ვირთევზათ,  
 ლაბარდანთ, იგივე ვირთევზათ,  
 პეპელათ,  
 წვრილ-წვრილ წერ-ქარბყლაპიათა მუზაფარსა.

ყოველივე ესა აღვილად რომ მოინულოს და შეირგოს კაცმან, სიტყვა მცირ-  
 დება, დაღევა ხშირდება.

ბოლოს ყელისა ჩასაკოკლოზინებლად სთავაზობენ:

1 ანუ (ლათ.).



ბრინჯსა,  
 ფეტვსა,  
 ოგრასა, ანუ ბრინჯით ზავებულსა თხელსა გბილვილსა,  
 ნუშის რძესა,  
 ნაყინსა,  
 კაკუკა-საწუწკარსა,  
 ფსტასა,  
 მარილიან ბუსტულსა,  
 ლედვსა,  
 ყურძენსა,  
 ძირშაქარასა,  
 ბატიბუტ-ბატილასა,  
 კორკოტსა,  
 შავქლიავესა,  
 თაბასარასა, ანუ დანიგვზულ მზალსა,  
 უნაბსა,  
 გორგომიჭველასა, აგრეივე ხატრუკსა, ანუ მოხარშულ ნივოზსა,  
 თჯინჯახსა, ანუ წყალში გაქნილ ნაგვზის ვულსა,  
 თხილისა გულსა,  
 ძირთეთრასა,  
 არტიშოკსა.



სასმელი, რასაკვირველია, ნიდაგ თავზედ სასხმელადა აქვთ, შიგან ბა-  
 ნაობენ.

ამათ სხვა არცრა აფიქრებთ რა, თვინიერ იმისა, რომ ძვირფასი, დიდსა-  
 ყიდლოვანი მსხვერპლი იეფოდ, ანუ უხვად შესწირონ და გული მოუგონ თავი-  
 ანთ ღმერთსა, გასტერსა, მერწმუნეო, ესდენსა არცა ელაგაბაღისა კერპსა  
 სწვალობდნენ და, ის კი არა, არცა ბააღისა კერპსა ბაბილონში ბალთაზარ მე-  
 ფისა ჟამსა, როცა რომ თავად გასტერი სულაც არა ღმერთად, არამედ ერთ სა-  
 ზიზღ, გულისა ამრევ, საცოდავ ქმნილებად მიითელის თავსა, და ვითარ ოდეს-  
 დაც მეფე ანტიგონე პირველმან ვინმე ჰერმოდოტესა (რომელიცა თვისთა ლექ-  
 სთა შინა ღმერთსა, და მზისა შვილსა უწოდებდა) მიუგო: „ჩემი ლაზანოფორი  
 სხვა აზრისააო“ (ლაზანი სანეშტე, სასკორე ხალანსა თუ ქოჩახსა ერქვა, ლაზა-  
 ნოფორი კი იმა ხალან-ქოჩახისა გამტანსა), გასტერიცა სწორედ აგრევე თავის  
 ხალან-ქოჩახთან, ანუ სანეშტე ჭურჭელთან აგზავნიდა ამა ტრელ-პირფერთ,  
 ტრაკუცუნლოკიათ, რათა თვალი შეეველოთ, ტვინი გაენძრიათ და დაფიქრებულ-  
 ყვნენ, გულისხმაეფოთ, რაგვარ ღვთაებასა დაედო ბინა იმის ნაწლავთა შიგან.

თავი LXI

პითარ მოიგონა გასტერმა სორბლის მოყვანისა  
 და შენახვისა ხერხი

ეშმაკისა კერძნი გასტროლატრნი თვალსა მიეფარნენ თუ არა, პანტაგრუელმა  
 მხხრეკავი თვალი შეავლო, ბეჯითად ჩაუკირკიტა გასტერსა, სწავლა-მეცნიერე-  
 ბათა და ხელოვნებათა კეთილშობილ მეუფესა. რაზომ უწყით, ბუნებამ იმას სა-  
 ზრდოდ პური და პურეული მიუჩინა, ხოლო ცათა წყალობით არცრა უშლის ხე-  
 ლსა პურისა მოყვანასა და შენახვაში.



უწინარესად მან მოიგონა მჭედლობა და მიწისა შემუშავება, ანუ სწავლა-ხელოვნება სახნავ-სათესად მიწის მუშაობისა, რათა მიწასა, ანუ ქვეყნის ნაწილსა, პური წარმოეშვა. მან მოიგონა სამხედრო სწავლა-ხელოვნება და თოფიარაღი, რათა პური დაეცვა, მოიგონა სამკურნალო სწავლა, ანთროლოგია, ანუ ვარსკვლავთმეტყველება, და მათემატიკისა, ანუ რაოდენობისა სწავლისა ზოგი რამ დარგა, რათა პურსა წარუვალად, საუკუნოდ გაეძლო ფრთხილად მივიტაროსისგან, მხეცთაგან და ყაჩაღთაგან. მან მოიგონა წყლისა მჭედობისა მჭედნი და ხელსაფქვაენი ყველაგვარი მოწყობილობითურთ, რათა დაეფქვა იფქლხორბალი და ფქვილად ექცია, მოიგონა თბე-პურისდუდა, საფუარი, რა არი ცომი გაღვივებულიყო, მარილი — რათა ცომისთვის გემო მიეცა, რამეთუ უწყოდა, რომ ჯანისა სიმრთელესა ისე არა ვნებს რა, როგორაც ლელენგო, ანუ ბაღაჭი, უსაფუვრო და უღვივარი ხშიაღი, ცეცხლი — რათა პური გამოეცხო, საათ-საჟამონი და ციფერბლატნი, ანუ საათისა მანკენებელნი საჟამოთა ფიცარნი — რათა ის დრო სცოდნოდა, რომლისა განმავლობაშიც ცხვება პური, ხორბლისა პირშო.

ოდესცა ერთსა ქვეყანასა ხორბალი არ ეყო, მან ხელოვნება და ხერხი რამ მოიღონისძია, რომ ის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაეზიდა. დღე ისე არ გაივლიდა, ნარუქი, ანუ უცხო და ახალი საქმე აზრად არ მოხვლოდა. ერთხელაც ადგა და ორთა სხვათა და სხვათა ცხოველთა ორი ჯიში შეაჯვარა — სახედრისა და ცხენისა, რათა მესამე ჯიში, ანუ ორტაბახა გამოეყვანა, ესე იგი ჯორი, რომელსა კერძოვირსა და ჯორცხენასაც ეტყვიან, და უფრორე ღონიერი, ნაკლებაზიზი და მეტად ამტანია, ვინემც სხვა ოთხფეხნი. მან გამოიგონა ურემი, საბაროცა და ხელისაც, აგრეთვე ღრიჭინა და ფორანი, რათა ხორბალი ადვილად ეზიდა. უკეთუ ზღვანი და მდინარენი აფერხებდნენ ვაჭრობა-ადებ-მიცემობასა, სტიქიათა გასაკვირად იგონებდა კარჭაბთ, ვალერათ და ხომალდთ, რათა ზღვათა, მდინარეთა და მცირე რამ წყალთა წიად ცხრაუცხო, ველურ, შორეულ ხალხთათვის მიეტანა და მიეწოდებინა ხორბალი.

ხან იმისთანა წელიწადი გამოერეოდა, ცა პირსა შეიკრავდა, წვიმისა წვეთი სანატრელი ხდებოდა და ხორბალი თერძულსა შინა, ანუ ნათეს ხნულში კვდებოდა და იღუპებოდა. ხანაც, რომელსამე წელიწადსა, ცა ძირსა მოიდგამდა, პირსა მოიხსნიდა, გადაუღებლად წვიმდა და დათესილი ხორბალი ღებებოდა. უამჟამად, ესეგვარი წელიწადიცა დადგებოდა ხოლმე: ან სეტყვა-კოხი გარეგვავდა მუხლნაყარ ყანობირსა, ან ქარი მარცვალსა გააფრევიანებდა, ანდა კიდევ სელგაქარაშოტი მიწასთან გაასწორებდა. გასტერსა ჩვენ ჩასვლამდე კარგა ხნითა ადრე მოეგონებინა ხელოვნება და ხერხი ცით წვიმის მოყვანისა, რისთვისაც საჭირო იყო მხოლოდ სულ მცირეოდენი, ერთი მჭელი ჩვეულებრივი, ოღონდ ცოტა ვინმესთვის თუ ცნობილი, მოლისა გამოთიბვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ დიახაც ამა მოლის, ანუ ახალი ბალახისა ოდენ ერთი ღერო, იგივე წველი, ოდესღაც გვალვიან ზაფხულსა იუპიტერის ყურსელამ, იგივე ქურუმ-მისანმა, ლიკეს მთაზედ აგნოს წყაროსა შიგან რომ ჩააგდო, აღძრავდა წყალთა და მიწათა ჰაერისა ორთქლსა, რომელიცა მერმე შეგვამდებოდა და შექმნიდა მანვიმებელ, ანუ მწვიმარე ღრუბელთ, ხოლო მწვიმარე ღრუბელთაგან წვიმა მოდიოდა და სრულად გარეშემოსა რწყავდა. გასტერმა მოიგონა, აგრეთვე წვიმისა გადაყრისა და ჰაერში წვიმის დაყოვნებისა ანდა პირდაპირ ზღვაში ჩაღვრისა ხელოვნება და ხერხი. მანვე, ტრეხენისა ახლოსად მდებარე ქალაქ მეთანის მსახლობელთა დარად, მოიგონა ლეშტერისა, ანუ სეტყვისა ღვარისა თუ ხომკაკალას გადაღების, ქარისა ჩაყენებისა და ქარიშხლისა დაოკების ხელოვნება და ხერხი.

გარნა აქ ახალი უბედურება გამოტყვრა. საცა ერთი პურისა ყანა იყო, თუღ-



ყაჩადნი შეეჩვივნენ და ხორბლისა პარუას მიჰყვეს ხელი. მაშინ ვასტერმა ქალაქთა, ციხე-სიმაგრეთა და კოშკთა, ანუ წვრილთა და ძაღალთა ციხეთა შენებისა ხელოვნება მოიგონა, რათა ხორბალი ჩაკეტილში და საიმედო ადგილას შეენახა. აწ პურსა მინდვრად არცვინ ანარჩუნებს, ქალაქთა, ციხე-სიმაგრეთა და კოშკთა შინა საგანგებო რამ საცაუ-საიფქლეში გადააქვთ, და ადგილობრივი მცხოვრებელნი უფრორე უკეთესად იცავენ და სდარაჯობენ, ვინემ<sup>1</sup> ვაშლთ სდარაჯობდნენ ჰესპერიდებისა ბაღებში. მანვე მოიგონა ხერხი ციხე-სიმაგრეთა დაქცევა-შემუსვრისა სამხედრო მანქანათა და ფილთამებთა მუშეობით, ანუ დიდთა ქვა-ლოდთა სასხლეტ-სატყორცნითა, იგივე ფილაკვნით, უშტეკავანსა რომ უხმობენ, აგრეთვე იმით, და სხვა სააღყო მძიმე რამ იარაღ-მოწყობილობითა, რომელთა ნახაზობაც თავად გვიჩვენა და რომელთა გარკვევაც ფრიად გაუძნელდათ თვით გამოჩინებულ მხაზველ-მაშენებელთ, ვიტრუვიუსისა მოწაფეთ, ვითარ გულმართლად გამოგვიტყდა უფალი ფილიბერტ დელორმი,<sup>2</sup> მუფე მეგისტეს უპირველესი ხუროთმოძღვარი; დაღათუმცა, ვერც ერომა ამა იარაღმა გამოცდასა ვერ გაუძლო, ოდეს ფორტიფიკატორთა, ანუ მტერთაგან დასაფარველად ციხე-სიმაგრეთა შენებისა მქნელთა საგამომგონებლო სივერაგესა და ვერაგულ გამომგონებლობასა წააწყდა, და ამაღ ვასტერმა სულ ცოტა ხნისა წინათ გამოიგონა კიდევ ორი მოდილო რამ თოფი, ერთი ჩაქალოზად სახელდებული, მეორე — თურგანად, და ქვემეხნი, სერპენტინი, ანუ ხვეული სატყორცნელა მილი, კულევრინა, ანუ სიათა, ბომბარდა, ანუ კარგა მოზრდილი ყუმბარისა ხარბაზანი და ბასილისკო, ანუ ფილთამებისნაირი ცეცხლისა სასროლი, რომელთ სულაც არ უჭირთ უმძიმეს გრდემლთა უფრო მძიმე რკინის, ბრკენისა და სპილენძის ჭურვთა შორსა ტყორცნა, რა მიზნითაც გამოიგონა მან აგრეთვე საგანგებოდ შეზავებული პირის წამალი, ანუ დენთი, რისა საშინელი ამფეთქებელი ძალითაც თვითონ ბუნება განაკვირვა, თავი ხელოვნებისგან დამარცხებულად აღიარებინა, და, ამრიგად, უკან მოიტოვა ოქსიდრაკნი,<sup>3</sup> რომელნიცა მტერსა იმით ერეოდნენ, რომ პირდაპირ ბრძოლისა ველზედ თავსა ატეხდნენ ელვასა, სეტყვისა გულასა, ქარიშხალსა, წამერთ მეხავდნენ და ადგილზედვე ხოცავდნენ. და, მართლაც, ბასილისკოს ერთი გასროლა უფროისად შემზარავი, სავნებელი და ეშმაკეული რამ არის, უფროისად მეტ ხალხსა ელეტს. მუსრავს; ყუყავს და სპობს, უფროისად ძლიერ მოქმედებს მოკვდავისა გონება-წარმოდგენაზედ, უფროისად მეტ კედელ-ბურჯთ აქცევს და ანგრევს, ვინემ ცით ჩამოჭრილი ასი ელვა-მეხი.

თავი LXII

ვითარ მოიგონა ვასტერმა ცეცხლისა სროლისა შამსა დაუჭრელ-დაუპოღავად გადარჩენისა ხელოვნება და ხერხი

ერთხელაც ისე მოზდა, რომ ციხე-სიმაგრეთა შიგან პურისა მფარველ-შემნახველი ვასტერი ბოლოს და ბოლოს თავად გარემოიცვა. მტერმა, ტიტანური ძალისა სამკზის წყეული არა ერთი და ორი ჯოჯობეთისა მანქანა დაუშინა, სულ დაუქცია ციხე-სიმაგრენი, ხოლო რაც რამ დოლისა პური, დიკა-იფქლი და ებრენიკა ებადა, პირწმინდად წარსტაცა, წარულო და ცარიელ ქვაზედ დასვა; მაშინ მან მოიგონა ცეცხლსასროლ საჭურველ-იარაღთაგან: თუ ფილთამებთაგან, თუ შრბაზანთაგან, თუ ქვემეხთაგან ციხე-სიმაგრეთა პატნეზთა, ბასტიონთა, ქარკა-







გავიხსენოთ, რასა წერდა დემოკრიტე და რა სწამდა, რა შეაცნობინა ცდისა დაკვირვებამ თეოფრასტეს: არის ისეთი ბაღახი, რომლისა ერთი შეხებაც კი ეგრევე აგლებს კარგა მსხვილ, ხელთშემოუწედენელ და ძავარ ხეზე ღრმად და დონიერად ჩარჭმულ რკინის სოლსა, ძელთ გასაპობსა, და რომელსა იყენებენ მწვანე კოდალა ჩიტნი, ოდეს საიდანლაც გამომტყვერალი მომსხურ რკინისა სოლი პირდაპირ საბუღარ ღრუში ჩაეჭედებათ ხილმე, ბუდედ კვლავ მტყვერებთა ტანსა ღრუტნიან და იქა ბუდობენ;

გავიხსენოთ, რომ ირემთ და ირემლადთ, შუბთაგან ანდა ისართაგან საშიშრად დაკოდოილ-დაწყლულთ, უკეთუ კრეტაზედ მოდებული ბაღახი დიკტამი ჩაუვარდებათ და მცირეოდენსა მაინც მოწიწკნიან, გარჭობილნი ისარნი წამსვე ამოუცვივათ და ოდნავადაც არასა აენებენ. ესა სწორედ ის ბაღახია, რომლითაც რომ ვენერამ თავისი საყვარელი ძე ენეასი განკურნა, ტურნუსის დისგან — იუტურნასგან მარჯვენა ბარძაყში ნასროლ-დაჭრილი;

გავიხსენოთ, რომ დაფნისა, ლელვისა და სელაპისა, ანუ ძაღლთევზისა, სუნი თვით იმათვე იცავს მეხისგან, რომელიცა არცროდის ეცემათ;

გავიხსენოთ, რომ ერკემლისა ოდენ დანახვაზედ გავეშებულნი სპილონი გონსა მოდიან; გაშმაგებულნი და გაცოფებულნი ხარნი გარეულ ლელეთან, ანუ ჩიტლელვასთან, ესრეთ წოდებულ კაპრიფიკუსთან, ვითარ მიირბენენ, შოშმინდებიან და ერთსა ადგილას შეშდებიან; გველსა მძვინვარება წიფლისა რტოს შეხებისავე იანა უცხრება;

გავიხსენოთ აგრეთვე ეფვორიონისა თქმულობა იმისდა თაობაზედ, რომ კუნძულ სამოსზედ, ჯერეთ კიდეც ხანამ იქ იუნონას ტაძარსა ააგებდნენ, ნეადებად ხმობილნი ცხოველნი მოუხილაეს, რომელთა ხშიანობაზედაც მიწა სკდებოდა და უფსკრულნი ჩნდებოდნენ;

გავიხსენოთ ბარემ, რომ რას ადგილს მამლისა ყივილი არ ისძის, იქაურა დიდგულა, იგივე თხიფსელა, უფრორე ხშიანი და გამოსადეგია ფლეიტისთვის, — თეოფრასტეს გადმოცემისდა თანახმად, ძველნი ბრძენკაცნი ირწმუნებოდნენ, მამლისა ყიყლიყოობა დიდგულას ხისა მასალას ადალაბრებს, აჩლუნგებს, არბილებს და აყრუებსო; ამგვარადვე აშტერებს და აოგნებს მამლისა ყივილი ისეთ ძლიერ და უშიშ მხეცსა, როგორიცა რომ ლომიაო.

რაზომ ჩემთვის ცნობილია, ვიეთნი ამასა ისრე იგებენ, რომ ველური დიდგულა, სადმე, ქალაქთაგან და დაბა-სოფელთაგან მოშორებულ ადგილას თუ იზრდება, სადაც მამლისა ჩამიწუმსაც ვერ გაიგონებს კაცი, მეტად სამჯობინარი და მეტად გამოსადეგია, ვარემ შინაური, ქოხმახ-შრამელთა თუ ნამშრალთა და საჩუხსაჩაღეთა ახლომახლო ანდა კარისპირს ამოსული. სხვათ ესა უმეტესი მაღალა აზრითა ესმით, არა პირდაპირ, სიტყვასიტყვითა, არამედ იგავიანად, პითაგორელთა შესაფერისად; მერკურის ალაღმისა გამო თქმულსა, იმისთვის ყველა ხე არ გამოდგებაო, ისინი ესეგვარად განმარტავენ: ღვთისა თაყვანისცემასა უხამსობა რამ არ ეგებისო, მიწყივ საგანგებოდ განკუთვნილი მოწიწება და მოვრძალება უნდა ახლდესო.



აგრეუ დიდგულას ამბავიცა დასტურ გვასწავლის, რომ სიბრძნისმოყვარეთ არა უხამსი და უფერული სახიობა, ანუ მუსიკა უნდა იტაცებდეს, არამედ მუსიკა ციური, ღვთაებრივი, ანგელოზური, უფრორე იღუმალი, ცხრა მთას იქითა სი- შორიდან აღმომდინარი, ესე იგი მუსიკა სულიერი, რომელსა შინა მამლისა ყი- ვილსა ვერ გაიგონებ. მართლაც, როს იმის თქმა გვინდა, ესა თუ ის ადგილი მყუ- დრო და უკაცრიელიაო, ვუბნობთ, იქა მამალიც არა ყივიანს.

თავი LXIII

პითარ ჩასთვლიმა კანტაგრუელსა კუნძულ  
კანეზისა ახლოისად, და აგრეთვე იმაზედ, რასა  
ჰპითხავდნენ გამოღვიპებულსა

ბევრი ვიცურეთ თუ ცოტა ვიცურეთ, მთელი გზა ლაპარაკში ვიყავით, პირი მოვიხიეთ, ზოგი ამა მთისა ვთქვით, ზოგი იმა ბარისა და, ბოლოს, კუნძულ კა- ნეფსა! დაუშანძილდით, მაგრამ პანტაგრუელისა ხომალდსა ნაპირზედ მიდგომა გაუჭირდა, რამეთუ ქარი ჩადგა და ზღვა მიიღუშა. აფრა-იალქანთ ლისელნი და- ამატეს, და მაინც ტალღათა ზევიდან ვირწვოდით, ხან მარცხენა ბაგე-ფერდისკენ, ანუ ბორტისკენ გადავქანდებოდით, ხან მარჯვენა ბაგე-ფერდისკენ. ფიქრამლილ- ნი, მჭმუნვარენი, გაოგნებულნი და დაბნეულნი ერთმანეთში სიტყვასა არღა ვას- ველებდით.

საბიჯელას, ანუ წყლისა კიბისა გვერდით, ნეჭა-ჭილობზედ წამოწოლილ პანტაგრუელსა ხელთ ჰელიოდორეს ბერძნული ტექსტი უპყრა და ჭოჭოქი, მი- უთმენელაი თვლელა მორეოდა. უკვე წესად ჰქცეოდა; წიგნითურთ ვაცილებით მალე იცემდა თვალთ ძილსა, ვიდრე უძმისოდ.

უპისტემონი ასტროლაბისა მეშვეობითა ითვლიდა, აწ რაზომ უფროისად სა- მხრეთითა ვართო.

ძმა ჟანი, კამბუზსა შინა მოკალათებული, შამფურთა ტრიალისა და ფრიკა- სეს პოროსკობისა მიხედვითა საზღვრავდა, რომელი საათი იყო.

პანურგსა პანტაგრუელიონისა ღეროში შეეყო ენა და ბუშტსა ბუშტზედ უშვებდა.

გიმნასტი დანამასტაკისგან ტანტრაბეჩთ, ანუ კბილთ საჩინქნელთ თლიდა.

პონოკრატე ძილში ბოდავდა, ხან ერთსა იღლიაში შეიღუტუნებდა, ხან მე- ორეში და თმასა თითითა ივარცხნიდა.

კარპალიმი დომფილა-ნასუქი, ბოხოხა კირკიტი კაკლისა ნაჭუჭისგან პა- ტარა, კოხტა ბუჭულა წისქვილსა მართავდა, რომლისა საამოდ მოზუზუნე ფრთა- ნიც მურყნისა ოთხი კოკროჭინა ანათალ-ნაფოტისგან შეეკრა.

ევსთქა გრძელ კულევრინზედ მოწყობილიყო, ხან რომელ ხელისა რტოსა, ანუ თითსა ატკაცუნებდა, ხან რომელსა და ერთძალის სახელითა ცნობილ უცხო რამ საკრავსაებრ ახმიანებდა.



რიზოტომი კუს ბაკანსა ხავერდსა აკრავდა და ჯუზდანად, ყელსაკიდ ქისაკროჭად იკაზმაუდა.

ქსენომანსა ბაზთა ფერხთშესაბმელი ხეზ-თასმანი მოეხელმარჯვებინა და ძველსა ლიფლიფასა შესაკეთებლად უკარკიტებდა.

ჩვენი ლოცმანი მეზღუაურთ სულ წვლილად აყაჭვინებდა და აფქვევინებდა თავიანთ ალიან-ჩალიანსა თუ ასავალ-დასავალსა, და ხედდატანებდასკამბუზიდან მობრუნებული ძმა ჟანი შეეხმაურათ, პანტაგრუელმა გამოიფხიზლაო. ზელაფრენისა სახადელზედ მოსულმა ძმა ჟანმა დაარღვია გემბანზედ წელან ჩამოვარდნილი მკვდარი ღუმილი და ხმაგამეხებულმა იკითხა:

— რა ქნას კაცმა, ვით მოაქეიფოს, რაჟამსა ვარანგიანა ღლეა და ტაროსი ქეიფზედ ვერ არის?

მეორემ პანურგმა იკითხა იჩქითად:

— ნეტავ რამე თუ აქარვებს გულისა ჯავრსა?

ახლა გულიანად ჩაკუჭკუჭებულმა ეპისტემონმა იკითხა:

— განა შეიძლება ჭულვა, ფსლისა დაქცევა, თუკი არ გეფსმება?

გიმნასტი წამერთ წამოზეზურდა და ისე იკითხა:

— ნეტავ რამე წამალი თუა, როს თვალთ გიბნელდება კაცსა?

პონოკრატემ ჯერეთ შუბლი მოიფხანა, ყურნი გააბარტყუნა და მერმე იკითხა:

— ნუთუ არცრა შველის ძალღუმადურად ძილსა?

— დამაცაო, — აძრახდა პანტაგრუელი. — კეთილგონიერნი ფილოსოფოს-პერიპატეტიკოსნი გვასწავლიან, რომა სუფოველ დაუმტკიცებელ და საეჭვო საკითხსა, რომელიც კი გადასაჭრელი და გადასაწყვეტია, გარკვეულად, ნათლად და გასაგებ-კანთიელად უნდა გამოვხატავდეთ. რასა ნიშნავს, შენის ჭკუითა ძალღუმადურად ძილი?

— რასა ნიშნავს და, უზმად და მზისა გულზედ ძალსა, ვითარ ძალღუმადურად ჩვეულებრ სძინავთ, — მიუგო პონოკრატემ.

რიზოტომი იქავ ვიწრო გასასვლელთან ჩაპუპუზებული, ჩაცუცქული იჯდა. როგორც კი ამა სიტყვათ მოჰკრა ყური, თავი ააღო, ტკბილად დაამთქნარა და, მოქნარება ყოველთა თანაზიარ ამხანაგთაც რა გადასდო, რომელთ თანაღმობისა და თანაგრძნობისა გამო ხათრიანად აუბეს მზარი, იკითხა:

— დავიჯერო, არა არის რა ოსციტაციისა, ანუ მოქნარებისა წამალი?

ქსენომანმა, თავის ლიფლიფას ჩაკირკიტებულმა, იკითხა:

— ნეტავი თუ შეიძლება საკუთარი ღიპისა ისერიგად გაწონასწორება, რომ აქეთ-იქით არღა იყანყალოს?

კარპალიძმა, თავისი ბუჭულა წისქვილითა გართულმა, იკითხა:

— რა უნდა მოხდეს კაცისა არსებაში იმისთანა, რომ მშიერ კაცად ვიცნოთ? ევსთენმა ხმაურზედ ჩქარად მოაკითხა გემბანსა. კაბესტანზედ წამოიმჭვიტა და ხმამაღლივ იკითხა:

— რად ითვლება უფრორე საშიშად, უკეთუ მშიერსა კაცსა მშიერი გველი



უკბენს, ვინემ მაძღარი გველი თუ უკბენს მაძღარსა კაცსა? რად არის უნაყოფო კაცისა ნერწყვი ყოველთა შხამიანთა გველთათვის და ცხოველთათვის საწამლავი?

— ძმანო! — მიმართა პანტაგრულმა. — სუყოველი თქვენი ეჭვი და კითხვა ერთნაირად გარდასაწყვეტია, და თქვენგან ხსენებულ სუყოველთა შემტომსა თუ შემთხვევასა ერთადერთი წამალი აქვს. აქვე გიპასუხებთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში და არცრასა მივკიბავ, არცა კიდევ იწილო-ბიწილოსა არ დავიწყებ. მშიერთა მუცელსა ყურნი არ ასხია, ყრუა, უსმი, სმენასა მოკლებული. თქვენდა საკმაყოფილოდ ოდენ ნიშანთა რასმე მივმართავ, მოძრაობასა და მოქმედებასა, გადაწყვეტილება ჩემი გულსავსედ გყოფთ. ოდესღაც ტარკვინიუს—ამაყმა, ანუ ყიფმა, რომისა ბოლო მეფემ (აქა პანტაგრულმა ზარისა თოკსა ჩამოჰკრა ხელი, ძმა ჭანმა კითხვადმოგლეჯილმა სამზარეულოსკენ მოკურცხლა). აგრევე ნიშანი რამ მოივარგათაჲისი ძისა სექსტუსის პასუხად. სექსტუსი იმდამად გაბის ქალაქსა შინა იყო და მამასთან რჩევა-თათბირისთვის იქვრივისი, ანუ შიკრიკი გამოავზავნა, თუ ვითარ ერთიანად დაუპყრო გაბიელნი და უსიტყვო მორჩილება გამოეცხადებინებინა. მეფესა მაინცდამაინც არ ეჯერა იქვრივის-შიკრიკისა ერთგულება და არცრა უპასუხა. ნაცვლად პასუხისა თავის შიდა ბაღსა მიიყვანა, ამოიწოდა მახვილი და იმის თვალწინ ყოველთა მეტად მაღალ ყაყაჩოთ არც ერთსა თავი არ შეარჩინა, ეგრევე წააჭრა. იქვრივის-შიკრიკსა უკან ტარკვინიუსისგან არცრა პასუხი არ მიუტანია, მაგრამ შვილსა ვითარ მიუთხრო მამისა ნაქნარი, შვილი ოდენ ამა ერთმა ნიშანმაც სულ ადვილად მიახვედრა მამისა რჩევა-თათბირსა. ქალაქისა განმგებელ კაცთ სუყველასა თავი წააცალ-წაასლიკე, სუყველანი წაასაკლავეო, რათა სხვანი ყოველნი დაიმონო და სრულად დაიმორჩილო.

## თავი LXIV

### ვითარ უპასუხოდ დაუთმვა კანტაგრულმა შეპკითხველთა კითხვანი

შემდეგ პანტაგრული დაგულისყურდა:

— ვინა, რა ხალხი ბუღობს ამა უცხო ძაღლმომკედარ კუნძულზედ?

— ვინა და, სულ ერთიანად ასოკირკიტა, ალოღლეტია, ცრუწმინდა, ცივოფლა, განდგომილი. ქვემძრომი, ზემძრომი და შემძრომი ხალხი, — მიუგო ქსენოქანმა. — სუყოველნი უპოვარნი, აღქატნი, ყელგადაგდებულნი არიან და მოგზაურთა მოწყალებასა შესცქერიან, ვათა, ბლესა და ბორღოს საშუაღ რომ ღორმონია, იქაური მეუღაბნოე.

— არა, ძმაოხან, მე მაგ ხალხთან გადამსვლელი არა ვარ, — გამოაცხადა პანურგმა. — თავად თავმა სათაელმა შემიბეროს სული დახუჭულსა თვალში ჩემდათავად მანდ გადამსვლელსა. ჰეი, განდგომილნი, ხელთუპყარნი, დაბღურნი, ყელფანდურა, ასოკირკიტა და ცრუწმინდა კაცნი, ქვემძრომნი, ზემძრომნი და



შემძრომნი, ჯანდაბამდის და ღოზანამდის გზა გქონიათ. ეშმაკსაც წაუღიხართ სუყოველნი! ჯერაც არ დაშვიწყნია ის გათხვირულ-ჩაკურატებულნი, ქონმოჭარბებულნი მამანი, კესილისა კრებაზედ მიმავალნი, აგრემც ბელზებუთმა და ასტაროთმა დააზავონ პროზერპინასა! რა იყო მაინც, რა ქარიშხალი და უბედურება არ დაგვატყდა თავსა იმათ შერე! ქსენომანო, ჩემო ჭიპა ბიჭო, ჩემო კაპრაალუკავ, მითხარი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მანდაურნი ცრუწმინდა მუქთამჭამე-ლნი და შემძრომ-გამომძრომნი, შეუღლებულნი არიან თუ არა თუ არა უოჯახონი, უმანკო-უბიწონი? მდებრნი რა, არ ურევიათ განა? ცრუწმინდათ ცრუწმინდურად ცრუწმინდა ნატამალ-ნაშენისა ყოლა შეუძლიათ თუ არა?

— შეკითხვაც ეგევითარი უნდა, მახვილგონიურულიცა და თავშესაქცევიც, — ჩაურთო პანტაგრუელმა.

— შეუძლიათ და შერე როგორ! — მიუგო ქსენომანმა. — მანდ რაერთიც გინდა, იმდენია ხატკეთილი და გიჟმაჟი ცრუწმინდა დიაცუნა, სულ ენამოქარგულნი, სხვის ჩაყრილ ჯამთან მსხდარნი, ხელუმარჯვნი, არცა კიდევ კეთილმსახურნი და ღვთისა მონა დიაცნი არიან ცოტანი. აურაცხელია აგრეთვე სიწმინდისა მჩემებელი, ქლეხა, მუქთაყლპია, განდგომილი ყმაწვილქალი.

— მაგათ სუყველას კარგად ვიცნობთ, — სიტყვა გააწყვეტინა ძმა ჟანმა. — დღემოუჭმელ მეუღაბნიეთაგან დღემოჭმულნი ეშმაკნი გამოდიან. დაიხსომე ეს ბრძნული ანდაზა.<sup>1</sup>

— ... სხვაფრივ, უნაშენოდ და უნატამალოდ, კუნძული პანეფი გაუკაცრიელებული და გაუდაბურებული იქნებოდა.

პანტაგრუელმა კუნძულელთ სამოცდათვრამეტი ათასი ლიფლიფაგამოხატული ნახევარეკიუ შესწირა და გიმნასტსა დაავალა, ძღვენი ესე ნავითა გადაუტანეო.

— რა დროა? — ამა განკარგულებისავე თანა იკითხა მან.

— ცხრასა გადასცდა, — მიუგო ეპისტემონმა.

— სადილობა მოსულა, — წარმოთქვა პანტაგრუელმა, — რამეთუ უკვე გვიახლოვდება ის წმინდა ხაზი, რომლისა გამო ესდენ ბევრსა უბნობს არისტოფანე თავის ქალთა კრებად დასათაურებულ კომედიასა შინა: ხაზი იგი იმა ჟამსა ემოხვევა, ოდეს ჩრდილი ათი ფუტის სიგრძისაა.<sup>2</sup> ძველსა დროში განსაზღვრულ საათსა საზრდელისა მირთმევა ოდენ მეფეთა წესი იყო, უბრალო სიკვდილისა შეილთ საათისა მაგივრობასა თავიანთი საკუთარი კუჭი და მადა უწევდა. პლაგტუსისა მავანი პარაზიტი აკი უჩივის და თავზედ კაკალსა ამტერევს მზისა და ყველაგვარ სხვა საყამოთა გამოძგონებელთ: სულ ტყუილ-უბრალოდ დაშვრნენო, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ყოვლისა უფრორე სწორი საათი კუჭიაო. ოდესცა დიოგენეს ჰკითხეს, კაცმან რომელსა ჟამსა უნდა ჭამოსო, აგრე გაუპასუხა: „მდიდარმან — რაჟამსა ჭამა მოუნდებაო, ღარიბმან — რაჟამსა საჭმელსა რასმე მოიპოვებსო“. მკურნალთმოძღვარნი უფროისდა ზუსტად გვიჩვენენ:

ხუთზედ უნდა ადგე, ისადილო ცხრაზედ.

ვახშმად ხუთზედ დაჯდე, დაიძინო ცხრაზედ.

სახელგანსმენილი მეფე პეტოსირისი ამ მხრივ სხვარივ იქცეოდა.<sup>3</sup>

პანტაგრუელსა სათქმელი ჯერეთ არ გაესრულებინა, რომ მსახურთ ტაბლა ტაბლასა მიადგეს და რაერთი სუფრაც გადააფარეს, სუყველა უცხოოდ კეთილსურნელკმეული იყო, დააწყეს ხელსაწმენდნი, სუფრისა იარალი, ანუ ჯამ-ჭურჭელი,



უსკურა-სამარილენი, ჩაარიგეს ქოთათურ-წაფურა-საწდე-კუტალ-ბოთლნი, აგრეთვე ფლასკნი, ანუ ხისა ხალვიზნი, ათასგვარნი რამ სასმისნი; ფიალჯამიო, ჯამფილაო; კარახანაო, ჩიდრათო, ტარკოშიო, ბადიაო, ფიდანიო, ქამალალო-მათარაო, ჭინჭილაო. ძმა ჟანმა მსახუროუფროსთა, გამრიგეთა, მეპურეთა, მწღე-ძერიქიფეთა, მეტაბლეთა, მეჭაშნიკეთა, ქილიფთართა, ანუ პირისა მღვინეთა და მეკუჭნავეთა შეწვენითა ძლივ-ძლივ მოიღო ოთხი ვეებერთყეფი და ოთხი ღვე-ზელი, რომელთა შემხედვარეს უმაღლესი ტურიზული ბსტუმბი მსახსენდა.

ღმერთო, დიდებულო, რა ენა იტყვის, რაოდენიცა იქ შეისვა და შეიჭამა! ჯერ ხილხულზედ და სხვა რამ ჯალანა-საკოკლოზინოზედ არცა ვიყავით გადასულნი, რომ დასაველეთ-ჩრდილო-დასავლურმა ქარმა დაუბერა და ნაქვს-ანძათა ზედან ნელ-ნელა დაბერა აფრა-აფქიონი, და ყოველთ უზენაესისა სადიდებელი კალობა წამოვიწყეთ.


ხილი ვითარ მოიღეს, პანტაგრუელმა იკითხა:

- რას იტყვით, ძმანო, კიდევ პირმქისენი ხართ და ვაკლიათ გულთ რამე თუ არცრასღა უჩივით?
- მადლობა ღმერთსა, უკვე არღა შემთქნარება, - წართქვა რიზოტომმა.
- არცაღა მე მერევა ძალღუმადური ძილი, - შეეხმაურა პონოკრატე.
- არა, თვალთ არღა მიბნელდება, - ჩაილაპარაკა გიმნასტმა.
- მე კი აწ უნაყროდ აღარა ვარ, - ისიტყვა ევსთენმა. - მაშასადამე, ჩემი ნერწყვისგან, რომც მოხედეს, სრულად დღევანდელი დღისა განმავლობაში არა აუნება არცა ერთი!

ასპიტი,	ემორთიდი,
ანერუღუტი,	ელოპი,
აბედისიმონი,	ენქიდრი,
ალქარატი,	ვიგრი, ანუ ხვითქი,
ალქატრაფი,	იქედნე,
ამობატი,	იკლი,
არაკტი,	იკოკეძარი,
არვი,	ილიცინი,
ასტერიონი,	იქნეუმონი ანუ მხედარი,
ასკალაბი,	იარარი,
ასკალაბოტი,	კოკატრისი,
ატელაბი,	კიქრიოდი,
აპიმალსი,	კულეფრი,
ალქატრაბონი,	კუპარსი,
ბაბაჭუა,	კავლოკოპო,
ბოა,	ანუ მძრომი ერთგვარი,
ბიგა,	კანტარიდი,
ბასილისკუსი,	კატობლეპი,
გალეოტი,	კაუხარი,
გომბუმო,	კაფეზატი,
გველგესლა,	კერასტი,
დიპსადი,	კენპრინი,
დომესი,	კეზოდური,
დრაკონი,	კოლოტი,
დრიინადი,	მანტიკორი,



მუნღუხო,  
 მალური,  
 მიაგრი,  
 მილიარი,  
 მეგალაუნი,  
 მორიელი, ანუ ღრიახკალი,  
 მორიელუკა,  
 ორთავა გველი,  
 პტიადი,  
 პორფირი,  
 პარეადი,  
 პენფრედონი,  
 პიტოკამპტი,  
 პითონი,  
 რიმუარი,  
 რაგიონი,  
 რაგანი,  
 რუტელი,  
 საბტინი,  
 სალფუგა,  
 სალამანდრა, ანუ ისავრო, მსკენლომი,  
 სელზირი,  
 სეპედონი,  
 სელაპი-ლახტაკი,  
 სტინკი,  
 სკალავოტინი  
 სტუფი,

სოლოფუიდარი,  
 სინდიოფალა,  
 სენეგალური ჯოჯო,  
 სკიტალი,  
 სეპია,  
 სტელიონი,  
 სკოლოპენდრი,  **ეროვნული**  
 სპილენძა, **ბიბლიოთეკა**  
 ტარანტულა, ანუ  
 მიწისა დედაზარდლი,  
 ტიფოლოპი,  
 ტეტრაგნაცი,  
 ტერისტალი,  
 ფლანგა,  
 ფანუიზი,  
 ქრონიოკოლაპტი,  
 ღვინჭილა,  
 ყვითელმუცელა მცურავი,  
 ცოფიანი ძაღლი,  
 წურბელა,  
 ჭრელი გველი,  
 ხოჭო,  
 ჰარმენი,  
 ჰელსიდრი.  
 ჰალკედონური ჯოჯო,  
 ჰელჰიდრი,  
 ჰანდიონი.

თავი LXV

პითარ მოკვავს პანტაპრუმელსა თვისთა ორხუა-მოყვასთა  
 თანა ქვიფხედ ტაროსი

— ჰა, რას იტყვი, ამა შხამიან იძვრის-ცხოველთა რომელ რიგსა მიაკუთვნებდი პანურგისა მომავალ ცოლსა? — იცნობისმოყვარევა ძმა უანმა.

— როდის აქეთ დასდუ დედათმოძულეობასა ხელი, შე ფუქსავატო. შე დრანჯო ბერო, შენა? — წაუძმარა პანურგმა.

— სრულად ჩემსა ფაშვ-ფუშსა, ანუ ფალანგსა ეფიცავ, — აძრახდა ეპისტემონი, — ევრიპიდეს ანდროშაქე დასტურყოფს, რომ კაცისა გამჭრიახობისა და ღვთიური ზეშთაგონებისა წყალობით ყოველთა შხამიანთა იძვრისთა, ანუ ქვეწარმავალთა წამალი პოვნილია, ოღონდ დღესაქამომდის ვერ უპოვნიათ აშარი ცოლისა წამალი.

— ეკ ჩიტირეკია ევრიპიდე მიწყევ დიაცთა ლანძღვა-გინებაში და თავლაფისა დასხმაში იყო. — ისიტარა პანურგმა, — ცამაღალმა აკი გადაუხადა კიდვე,







რომ შეეხება საქეიფო ამინდისა აწეულსა დონეზედ დაყენებასა და ყანწ-სამ-  
წდუერთა ხშირ-ხშირ გამოცლასა, შედეგად კინაღამ ციდან თაღისა გამოცლა,  
ანუ კამარა-გუმბათისა მოაქჟამამდე არნახული რყევა და ნოქრევა მოჰყვა, რისა  
გამოც დამთხვეულ ვარსკვლავთმრიცხველთ მთელი ჰაი-ჰუი და დაეიდარაბა  
ატეხეს.

— ჩანს, — მიუსაფანლა პანურგმა, — ტყუილად არა თქმულაქანდაქა:

ბიზლიჩიშქა

თუ ღვინოა და ღორია,  
ამინდიც მოსაწონია.

— ქეიფ-ქეიფსა და ჭამა-სმასი არა მარტო ტაროსი მოვიყვანეთ ქეიფზედ,  
არამედ ხომალდიც კარგა გვარიანად შევამსუბუქეთ, ვითარ ესოპემ შეიმსუბუქა  
კალათი,<sup>4</sup> ანუ ოდენ ნუზლსა კი არ გამოვუყვანეთ წირვა, ოდენ ხორაგისგან კი  
არ დავცალეთ, ამას გარდა, გავიხსნილეთ კიდევაც, მარხვასა შევეშვით. მართ-  
ლაც და, მკვდრისა გვამი თუ უფრორე მძიმეა ცოცხლისაზედ, მშვიერი, მომყმარი  
კაციც ნასვამ-ნაჭამზედ უფრორე მძიმე და ქვედამზიდველია. და არცათუ სულელ-  
ნი არიან ის კაცნი. ხანგრძელი მოგზაურობისა ჟამსა დიღ-დიღასა, საუზმედ  
მსხდარნი, არცა სასმელსა რომ არ იკლებენ, არცა საჭმელსა და უბნობენ: „ამით  
ჩვენთა ცხენთ სიმკვირცხლე შეემატებათ“. გაგვიგონებათ, ძველნი ამიკლეელნი  
არცა ერთსა ღმერთსა ისერიგად არ ეთაყვანებოდნენ და არ მიაგებდნენ პატივსა,  
ვითარცა პატიოსან მამასა ბახუსსა, იგივე ბაკქოსსა, და განა სწორად არ უწოდეს  
პსილა! პსილა დორიულსა კილოკავზედ ფრთათ ნიშნავს, და მართლაც, ვითარ  
ფრინველნი ფრთათა წყალობით ლაღად დანავარდობენ ძალსა ცაში, სწორედ  
აგრევე ბახუსისა, ანუ თავანკარა, გემოკეთილი, ქეიფიანი ღვინისა წყალობითა  
კაცისა სულიც აღმა ფრენს, გვამი კი თვალდათვალ მაცხოვრდება რამეთუ რაც  
რამ შიგან მიწოვანი და ქვედამზიდველია, ყოველივე ჩვილდება და სათუთდება.

## თავი LXVI

ვითარ ბრძანა კუნძულ განაბინისა  
თვალმოსაწივრად, იგივე თვალსაწივრად,  
კანტაგრუელმა მუჯათა შილინგით  
მიმუხილობება

ზურგისა ქარი კვლავინდებურად უბერავდა, და არცა ჩვენსა ოხუნჯურ  
ფიხვნოა-უბნობასა უჩანდა ბოლო, რომ პანტაგრუელმა შორად მთაგორიანი  
მიწა მოღანდა; მიაქცევიან ქსენომანსა იქითა პირი და ჰკითხა:

— აი, იქ, მარცხნივ, აწვდენ თვალსა, ძალადი ორბორცვიანი მთა მოჩანს,  
ფოკიდაში რომ პარნასია, იმა მთისა აღი-კვალი?

— მშვენივრად ვაწვდენ, — მიუგო ქსენომანმა. — ევა კუნძული განაბინია.<sup>1</sup>  
გადასულას ხომ არ ინებებდი?

— არა, — განუცხადა პანტაგრუელმა.

— ძალიანაც კარგი, — მოუწონა ქსენომანმა. — ბევრი არაფერია. მანდ ოდენ  
მპარავნი და ყაჩაღნი ბუდობენ. თუმცაღა, მარჯვენა ბორცვისა ძირას ერთი ენ-  
გადი, ანუ წყაროსთვალე მოჩუხჩუხებს, წყლისა უნახავს გაგზდის, გარშემო კი



ღურღუმი ტყეა. შენსა ფლოტილიასა მანდ ძალედვა მტკნარი წყლისა და შუშის ღამარაგება.

— იცის, რასაცა უბნობს, — ჩაერია პანურგი, — ქურდთა და ყაჩაღთა ქვეყანაში რა ჯანდაბა გვინდა? მერწმუნეთ, ეგ კუნძულ-ჭალაკი არცრითა განსხვავდება ბრეტანისა და ინგლისის საშუალო რომ კუნძულნი სერკი და ჰერშია, იმათგან<sup>2</sup> (ნამყოფი ვარ და ვუწყვი), ანდა თრაკიაში რომ ფილიპეს ქონურაქოლია,<sup>3</sup> იმისგან: სუყველა ეგ კუნძული ბუდეა ბოროტისა მყოფელთა უკუჩქვეთა კმპარცველთა, კაცისმკვლელთა და სულისა მტერთა, რომელნიცა კონსიერუერის დილეგთა შინა უნდა ღებოდნენ. გვედრით, ნუ გადავალთ! უკეთუ ჩემი არა გჯერათ, ამა ქველსა და ბრძენსა ქსენომანსა მაინც დაუგდეთ ყური. თქვენი ზვარაკ-მოზვერიცა მქმნა, ეგენი თუ კანიბალთა უარესნი არ იყვნენ. ცოცხლადვე შეგვჭამენ. გამიწიეთ ხათრი, ნუ გადახვალთ. მანდ გადახვლასა ჯოჯოხეთში გადახვლა გერჩივნოთ. იწამეთ ჩემი! იქნებ შეჩვენება კიდევ, მაგრამ, ღვთისა წინაშე, რაღაც ავი რეკვა მესმის, აგრე ბორდოში გასკონელნი რეკავდნენ, ხოლმე, რაჟამსა მეზარკეთ და ბოქაულთ მოატანდნენ თვალსა, ის კვირჩევნია, ჩვენსა გზასა ბარაქა და-ვაყაროთ! ავჩქარდეთ, ნულა ვზმით ხანსა!

— გადადით, გადადით! — იხმამალლა ძმა ჟანმა. — მომყევით. მომყევით მომყევით! მანდ ღამისა ბინაში არცრასა გადავიხდით. წავიდეთ! დედასა ვუჩირებთ, სუყველასა ცარიელზედ დავსხამთ. გადავედით!

— მანდ ჩემი მტერი, ეშმაკი გადავიდეს! — თავი გაიგიჟა პანურგმა. — ამა გამონაზუნებულ ეშმაკსა და გაეშმაკებულ სულელ ბერსა არცრისა ეშინის. ვითარ სუყოველნი მღალავ-ქასქანჯიელნი, ეს სვლისა მოძულეც ღობისა ჩხირად მიიჩნევს სხვისა ჭირსა. ამასა ჰგონია, ქვეყანაზედ სუყველა ჩემფერა მოწესეაო.

— ეშმაკთა კერძიმც გამხდარხარ, შე ხახაფუა კეთროვანო, შენა! — სიტყვა გაუმკვახა, შეუტია ძმა ჟანმა. — დიახამც ეშმაკთ სულ უნდა დაგაძრონ ეგ კბილნი და გაგტვინონ! ეს რა ღირფი, უნაშურო და ხრდალი ვინმეა, შიშისგან წამისწამ შარვალსა ისვრის! უკეთუ ეგოდენ გულდედალი და ზარხდომილი ხარ, ჯანდაბამდისაც გზა გქონია, ნუ გაღმობვალ, აქაურობისა ყარაულად დარჩი ანდა მიდი, გაბედე და პროხერპინას გასტუმრიანებულ ქვედატანსა შეაფარე თავი.

ამისა თქმისავე თანა პანურგმა წამერთ დატრაკა, ნავარდი ჰკრა და გაქრა, ქვევით, ტრიუმში ჩაძვრა, სად წელანდელი ნახორმლიანი სუფრა და ნატაბლარ-ნამუსრევი ეგულებოდა.

— გული მეჭეჭყება და მეკუმშება, — წართქვა პანტაგრულმა, — ვიღაცის შორიელი ხმა მეუბნება, არამცა და არამც მაგ ნაპირზედ არ გადახვიდეთო. რა ჟამსაც კი ესეგვარი რამ გულისა ძვრა ამჩენია თუ მომსვლია, მიწვივ ყური და-მიგდია და არცროდის ამა ხმასა არ უმტყუნია, თუ წაუსვლელობა ან რამისგან თავისა არიდება უთქვამს, არცა წავსულვარ, თავიცა ამირიდებია და არცა წამიგია რა, თუ სადმე წასვლა უთქვამს, წავსულვარ და აკი მომიგია კიდევაც, რაღა სიტყვა გავაჭიყველაყო. ერთი შემთხვევაც არ მაგონდება, რომ მერმე სანანებლად გამხდომოდეს საქმე.

— ეგ შენი ხმისა ამბავი სოკრატეს დემონიონსა მაგონებს,<sup>4</sup> რომლისა გამოცა ესდენ ბევრსა უბნობენ აკადემიკოსნი, — მიუთხრო ეპისტემონმა.

— ყური მიგდე! — აწ ძმა ჟანმა მიმართა. — გაუშვი, მეზღვაურთ მტკნარი წყალი მოიმარაგონ. პანურგიც ნებაზედ მიუშვი, ვული გაიგრილოს, ჩვენ კი ამასობაში ცოტა გავხობნიკდეთ, გავმხიარულდეთ, არ გინდა? მაშ, აბა, უბრძანე და აგერ ის ბასილისკო გაატყვრომინე. კაიუტ-კომპანიის ახლოსად რომ დგას. აგრე იმა



ანტიპარნასისა მუხათ შილინგიო მიემშვიდობები, თორემ, რა იცი, ემანდ დენთი არ დაგვიწესტიანდეს.

— მართალი ბრძანებაა, — დაასკვნა პანტაგრუელმა. — მოდი, აწვე უხმე უპირველეს მეჭურვესა.

მეჭურვე იგი მაშინვე მუნ დაერჭო. პანტაგრუელმა ბასილისკოს გატყვრომა უბრძანა, ოდონდ, სავინიციობოდ, ჯერეთ ახალი დენთითა წმინდისა წამლითა დატენვო, ზედვე მიაყოლა, და მეჭურვესაც აღსრულება არ დაუყოვნებია. სხვა გემთა, რაუბარჯთა. გალიონთა და საგუშავო ვალეასთა მეჭურვეთ პანტაგრუელისა ხომალდიდან ბასილისკოს ბათქისა ხმა რა ესმათ, ადგნენ და თვითონაც თითო-თითოჯერ დაცალეს ზარბაზან-ქვემეხნი. ალბათ, წარმოვიდგენიათ, რა შილინგი, რა ზარ-ზათქი და ბათქაბუთქიც ატყდებოდა!

თავი LXVII

პითარ ჩაისვარა შიშისგან კანურგმა და დიდსა ქონიულაკიად სახელწოდებულ კათასა პითარ კონეპლა სათაელ-მუშაკუნად

პანურგი ტრიუმიდან დამფრთხალ ელქაჯსაებ გამოხტა, პერანგისა ამარა და ცალწინდიანი, წვერგაპურისნამცეციანებული, და ქეჩოთი დიდი ბომბორა კატა ეჭირა, იმისავ მეორე თათურსა, ანუ წინდასა ჩაფრენილი. ტუჩ-ბაგეთ ისეგვარად აწკლატუნებდა, ვით მაიმუნმა იცის, ოდეს მკბუნარიან თავსა იქექ-იზილავს, ანუ რტიზნავს, და აკანკალებულ-კბილებაკაპუნებული მივარდა მარჯვენა ბაგე-ფერდსა, ანუ ბორტსა ზედა მჯდომარე ძმა ჟანსა, ღმერთი დააფიცა და დაეაჯა, შემობრალე და მახვილი შენი ჩემდა დასაცავად აღმართუო, რამეთუ, ჩემი წილი პაპომანიისა ძაღლძან, ეს-ეს არის, როგორაც შენა გზედავ, ისე თვალცხადლივ მოვიხილე ჯაჭვაწვეტილნი ეშმაკნიო.

— კარგო კაცო, ძმაილავ, სულიერო ძამავ ჩემო, ეშმაკთ აწ ქორწილი აქვთ! — შეუხმამაღლა მან. — დიდსა სამზადისში არიან, ჯოჯოხეთურსა ნადიმსა რასმე ეპირებიან, მსგავსი რამ ჯერეთ არ უნახავს თვალსა შენსა! ზედავ იმა ჯოჯოხეთისა სამზარეულოთა ბოღსა? — აქა პანურგმა ნაბათქიბუთქარისა ბოლი დაანახვა ხომალდთა ზედან დამდგარი. — შენა დაწყვი-დაბადებიდან არ გიხილავს სამარადეთაო ტანჯვამისჯილი ეგოდენი სული. იცი, კიდევ რას გეტყვი? დამაცა, ძმობილო! სუყველა აშისთანა ოქროსფერთმიანი და ლამაზია, ნაზია, აზიზია, რაღა ისინი და რაღა ჯოჯოხეთისა ღვთაებათა ამბროზია. ერთი ვაფიქრება ისიც კი გავიფიქრე, უფალძან მომიტევოს, ინგლისურნი ზულნი არიან-მეთქი. ვკონებ, ამდილია ორთა სენიორთ, დე ტერმმა და დესემ დაარბიეს და იავარყვეს შიტლანდიისა ნაპირთა ახლოსად რომ ცხენისა კუნძულია, და ინგლისელნიც ზედვე მიაყოლეს, რომელთაც მანამდე ცოტა ხნით ადრე დაიპყრეს კუნძული იგი.

ძმა ჟანმა პანურგისა გამოჩენისავე თანა სულ სხვანაირი სუნი იგრძნო, ვინემ პირის წამლის, ანუ დენთისა სუნია, ძაღლისძალათი გაიყვანა უცხოდ სურნელოვნებული პანურგი ჭვირ-მუქიან ადვილას და დაინახა, მაგრამ რა დაინახა: პერანგი მთლად მიტრაწული ჰქონდა. ნურვისა შემამაგრებელ-შემაკავებელი ძაღა, რომელიცა ფხუწავს და ხშავს სფინქტერსა (ესე იგი უკანა ტანსა), ფანტას-



ტიკურ ხილვათაგან ელდაცემულსა ერთობ დასუსტებოდა. ამას დაამატეთ ქვე-  
მეხ-ზარბაზანთა ბათქაბუთქი, ქვემოთ, ხომალდისა ძირზედ, უფროსე თაეზარ-  
დამცემად რომ ისმოდა, ვიდრე გემბანზედ, ზემოთ, და, განა არ მოგეხსენებათ, ში-  
შნეულობისა ერთ-ერთი უტყუარი ნიშანი აქა სწორედ ის არის, რომ სახსნე,  
იგივე სკორისა საუნჯე, დრომდე კი იჭერს სკორე-განავალსა, მაგრამ ესევე გარ-  
ემოებაში ჩვეულებრივ იხსნება ხოლმე.

ეროვნული

აქა მაგალითად გამოდგებოდა სიელი უფალი პანდოლფო დელა კოჩჩიკა ერთხ-  
ელ, ფოსტისა თანად შამბერისა გავლით მავალი, გულუხვ მასპინძელთან ჩამოხდა.  
ვინმე ვინესთან, წამერთ გომურში შევარდა, ფიწალი მოარბენისა და მიუთხრო:  
„Da Roma in qua io non son andato del corpo. Di gratia, piglia in mano  
questa forcha et fa mi paura“.\* ვინემ, ვითომ შეგაშინებ კიდევაც და  
მეტსაც გიზამო, ერთი-ორჯერ ვასიდად მოუქნია ფიწალი. სიელმა კი მიუთხრო:  
„Se tu non fai altrimenti, tu non fai nulla. Pero sforzati di adoperarli  
piu guagliardamente“.\*\* მაშინ ვინემ ერთი ისეთი დაუშვა კისრისა და საყე-  
ლოს საშუალ, რომ სიელი იგი ეგრევე ყირამალა გავიორდა. ვინეს სიცილი წასკ-  
და, ათქართქარდა და მიუთხრო: „ჯანდაბას შენი თავი, აი, ამასა ჰქვია datum  
Camberiaci!“...\*\*\* ამაობაში სიელმა მოასწრო და დროისით ჩაიძრო საწმერთო-  
ლი, რამეთუ შიგან უკვე იმოდენი ექნა, რაოდენსაცა ერთბაშად ცხრა ხარი  
და თოთხმეტი არქიეპისკოპოსიც კი ვერ იზამს. მერმე სიელი სიტ-  
ყვაყვავილოვნად გაუხდა მადლიერი ვინესა და მიუთხრო: „Io ti ringratio,  
bel messere. Così facendo tu m'hai esparmiata la speza d'un servili-  
ale“\*\*\*\*

მეორე მაგალითად ინგლისის მეფეს ელუარდ V დავასახელებ. ოდეს მეტრა  
ფრანსუა ვიიონი საფრანგეთიდან გააძევეს, მან ინგლისში მეფისა კარსა შეაფარა  
თავი. მეფემან სრული ნდობა გამოუცხადა, იმისთვის არცრა საჩუქარ-საიდუმლოს  
და დაფარულისა განდობა არ ერცხვინებოდა, არა სწებებოდა, თუნდაც ფრიად სა-  
ცალკეო და ქვენა თვითებისა, უხერხული რამც ყოფილიყო. ერთხელ ფეხისად-  
გილსა საჭირო საქმეზედ შესულმა მეფემ ვიიონსა ფრანგული გერბისა სახება  
უჩვენა და მიუთხრო: „ხედავ, ვითარ პატივსა მივაგებ ფრანგთა მეფეთ? იმათი  
გერბი სხვაგან სადმე კი არა, ოდენ ამა საჭიროებისა ადგილას მაქვს, სწორედ  
საჯდომი ფიცრისა წინარეო“. — „ღმერთო დიდებულო! — ხმა გაიხაფა ვიიონ-  
მა. — რა ბრძენი, რა კეთილგონიერი და წანდახედული განმგებელი ბრძანდებით,  
რარიგ ზრუნავ საკუთარი ჯანისა სიმრთელეზედ და რა ხერხიანად გმკურნა-  
ლობს შენი სანთიანი და საქმეში ჩახედული ექიმი თომას ლიინეკერიო! რაკილა  
წინ-წინ ხედავს, რომ სიბერეში კუჭისა შეკრულობა შეგალონებს და დღევოველ  
უკან აფთიაქრისა, ანუ ოყნა-ჭყაბუნას გარჭობა მოგიხდებო, — არადა, დიდზედ  
ვერაფრისა დიდებით ვერ გახვალო, — თავისი იშვიათი და საარაკო გამჭრი-

\* რომისა შემდგომ გარეთ არ გაეხულვარ, არ მომისაქმებია. მიყავ მოწყა-  
ლება, გამომართვი ეს ფიწალი და შემაშინე (იტალ.).

\*\* უკეთუ სხვარიგად არ გაირჯები, არცრა გამოვივა. ფეხსა ნუ იორევ,  
უფრო გამეტებულად მომიქნიე (იტალ.).

\*\*\* გაცემის ადგილია შამბერი (ლათ.). — ოფიციალურ საქმეთწარმოებაში  
ამგვარად აღინიშნებოდა დოკუმენტის შედგენის ანდა გამოქვეყნების ადგილი.

\*\*\*\* მადლი მითქვამს, უფალო ჩემო. თუ ეგრე მარჯვედ არ მოიქცეოდი,  
ოყნაზედ უნდა დავხარჯულიყავ (იტალ.).



ახობისა წყალობითა ბედზედ მოუაზრებია აქა, და არა სხვაგან სადმე, ფრანგული გერბისა დახატვინებაო, რამეთუ ამა გერბისა ერთი შეხედვაც კი წელში გცრის, ისეგვარ შიშისა ზარსა გცემს და ისეგვარად გაძრწუნებს, ერთბაშად თვრამეტი პეონური მოზვრისა ოდენსა გასკორინებსო. შენ მერმე გენახა, სადმე სხვაგან თუ დაახატვინებდა: საძინებელში, სტუმართა დასახვედრ ადგილას, კაპელასა შინა ანდა კიდეც გალერეაში, ვითარ თვალსა შეაულებდი, ~~მეწიფე მუხუჩვეშე~~ გაგივიდოდაო. ხოლო აქაც საფრანგეთისა დიდსა ორიფლამსსა ~~მეწიფე მუხუჩვეშე~~ დახატავდნენ, მაშინ ხომ შეხედვისავე თანა მიუღლი უკანტანი გადმოგიბრუნდებოდა და სრულად შიგნიერსაც მიაყოლებდიო. თუმცაღა, ჩუმადა ვარ, ჩუმადა ვარ, *atque iterum\** ჩუმადა ვარო!

პარიზელი ვარ, ჩიტირეკია,  
დამიღამდება ხვალის დღე შავად, —  
სახრჩობელაზედ მე თვითონ გავალ,  
და თოკს დაჭიმავს ჩემივე გავა.

კიდეც გეუბნები, ჩიტირეკია ვარ, უანბანო, ბენტერა, უთავო, სულ მიკვირდა, შარვალსა საძინებელში რად ახსნი ხოლმეო. კაცობასა გეფიცები, სარწმუნოდ ვიყავ, რომ ფეხისადგილისა სკამი, ანუ საჯდომი ფიცარი სადმე ფარდაგისა უკან ანდა სარეცლისა ქვეშე გედგაო. არადა, საძინებლიდან აგრე შორად სამხოლოო სენაკამდის შარვალგახსნილი სიარული, სწორე გითხრა, დია ურიგოდ მეჩვენებოდაო. აბა, განა მართლა ჩიტირეკია არა ვარ ამის პერეო? დასტურ გონიერულად იქცევი, უფრორე გონიერულად მოქცევა არ იქნებაო. კიდევაც წინათვე უნდა იხსნიდე, უფრორე მეტად უნდა იხსნიდე, უფრორე უნდა იფოლხვებდე და იფომფლებდე, ვინათგან შარვალგაუხსნელი თუ შემოხვიდოდი აქა და გერბსა ამას თვალსა მიაჩერებდი, იცოდე, რასაცა გეუბნები, წყალი არ გაუვა, შენ კი გასვლითა წამერთ გაგივიდოდა კი არა, უარესი მოგივიდოდაო, ეგ შარვალ-საწმერთული თავის ნიფხვიანად უცილოდ იხეთი გაგიხდებოდა, მოგონილი იქნებოდა გინდ საფსმელი რამ ჭურჭელი, გინდ სანეშტე. ანუ ხალანი, გინდ დამისა კველონ-ქოთანი, გინდ ფეხისადგილისა სელ-სკამი. ანუ საჯდომი ფიცარიო.“

ძმა უანმა მარცხენა ხელისა მუჭაში მოიქცია ცხვირი და მარჯვენისა სალოკი თითი პანტაგრუელისა დასანახვებლად პანურგისა პერანგსა მიაშვირა. პანტაგრუელმა რა მოიხილა მეხდატეხილი, გაოგნებული, პირისა მღმეჭელი, სრულიად უმიზეზოდ ზარხდომილი და აცახცახებული-აბაბანებული პანურგი, კარგა ძალზედ გვარიანად ჩასვრილ-ჩატრაწული და ქონიყლაპიად სახელწოდებული, ოხერ-ტიადლი კატისგან დახამსულ-დაკაწრული, სიცილა ვერღა შეიმაგრა და პკითხა:

— ნეტავ რას უპირებ მაგ ციცასა?

— ამა კატასა? — კითხვა შეუქცია პანურგმა. — ეშმაკსამც ჩაუხრამუნები ვარ! პირველში აკი ბანჯგვლიანი სათუელ-ეშმაკისა შვილი მეგონა და იმა ჯოჯოხეთსა შინა, დიდსა ცომისა ვარცლში ჩამძვრალი, ჩუმად დაეახელე ხელსა ზედა თათმანისა მაგივრად წინდაწამოცმულმა. ეშმაკთამც შეუჭამიათ ეს ზედნა-

\* და კიდეც (ლათ.).



კუწი ეშმაკი! გამისუა და გამოძისუა კაწარ-ბრჭყალნი, აეისა თვალითა არღა ვინახვი, აკრე გამალამაზა, სახეუკლებლადგაწყობილი დამარჩინა!

ამისა თქმა იყო, და პანურგმა კატა გემბანზე დააწყვიტა.

— წადი, ღვთისა გულისთვის, წადი! — მიუთხრო პანტაგრუელმა ცხელი წყალი გადაივლე, გასუფთავდი, თავი მოიჟამკრე, სუფთა პერანგი ჩაიცვი და საერთოდ გამოიცვალე ტალავერი.

— შენ რა, ჰგონებ, შიში ვჭამე და დავფახადიანდი? — ხურგზედ არ ეცემოდა პანურგი. — არამცა და არამც. სად ჩემისთანა ჭირგადანახადი და სად ფახადი! ღვთისა სახელსა ვფიცავ, რაც კი პარიზსა შინა საუქმედლეოდ მოხელილ ცოშში ბუზი, ანუ შავი მწერი ცვივა, ვინდ წმინდა იოანეს ბედნიერი დღე თქვი და ვინდ სხვათა წმინდანთა ვედრებად მოცლა, სულ ჩემი შესაჭმელიც რომ გამხდარიყო, შიშნაჭამსა მაინც ვერ მნახავდი! ჰა, ჰა, ჰა, ნაღდად! ეშმაკსამც მოუშწყვდევიხარ თავის მახეში. ვითომ რაო, რასა ჰგონებ? შენის ჭკუითა, ეს რა, ტრაწი მისვია თუ ყაყაყუყა, თუ ნეხვი, ფუნა, ან ჩხრინკელი, მჩორე, ანდა ჩონჩორიკი, თუ სკლინტი, ნაედომი, გუანო, თუ სკიბალი, ანუ ხმელი სკორე, ანდა სპირაფი, ანუ თხისა გურკლი. ცხვრისა დრემლა? ჩემის ჭკუით კი, ესა ჰიბერნიული ზაფრანაა. ჰა, ჰა, ჰი, ჰი! დიახ, დიახ, ჰიბერნიული ზაფრანაა! სელა!" მაშ, აბა, ჩვენს გამარჯვებისა თითო კიდეც ჩამოვასხათ!

## მკელი კანტაბრუელის საბერიო მემეობისა და სიტყვაბრძნობის მეოთხე წიგნის დასასრული.

### მეოთხე წიგნის უნიშვნელო

რაბლეს რომანის მეოთხე წიგნი პირველად ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა 1547 წელს გრენობლში და 1548 წელს ლიონში გამოიცა წიგნის ფრაგმენტი. ის პროლოგსა და 11 თავს შეიცავდა, რომელთაც შემდგომ, ტექსტის სრულ გამოცემაში, 25 თავი შეადგინეს. მთლიანი სახით წიგნი პირველად 1552 წლის იანვარში დაიბეჭდა პარიზში, მიშელ ფეზანდის სტამბაში. პროლოგი ხელახლა დაიწერა.

1553 წელს ოთხივე წიგნი ერთად დაიბეჭდა სათაურით — „მეტრ ფრანსუა რაბლეს თხზულებანი“.

### სახელმორძმულსა თავადსა და ღირსადკათივდებულსა მონსენიორსა ოდეს...

1. სორან ეფესოელი — ექიმი, ალექსანდრიასა და რომში საქმიანობდა ჩე. წ. აღ. II საუკუნეში. ორიბასიოს პერგამონელი (326—403) ბერძენი, რომის იმპერატორის იულიანე განდგომილის კარის ექიმი.
2. ალი-აბასი — სპარსი ექიმი, ცხოვრობდა X საუკუნეში.
3. ფილონი — კაპიუშონიანი ზედა ჩასაცმელი, ქუქუნაკი (ბერძ.).
4. კატონური გამოხედვა — ე. ი. მრისხანე, როგორიც კატონ უფროსის გამოხედვა.

\* ებანთ ჰკარით, ანუ ჭეშმარიტად (ებრ.).



5. ამ სიტყვებით უბასუხა აქილევსმა ტროელ ლიკაონს, რომელიც შებრალებას სთხოვდა (ჰომეროსი, „ილიადა“, XXI, 107).
6. „მეტრი პიერ პატლენი“, 656.
7. კანიბალნი, მიზანტროპნი და აველასტნი — რაბლე გულისხმობს სორბონის პროფესორებს, რომელთაც ყადაღა დაადეს მის წიგნებს. აველასტნი — გაუცინარნი (ბერძ.).
8. ბერძნული სიტყვის „დიაბოლოსის“ (ეშმაკის) პირვანდელი მნიშვნელობა „ცოლისმწამებელი“ იყო.
9. ყოვლის უფროისად მცოდინარე და კეთილსინდისიერმა წამკითხველმა... — მეფე ფრანცისკ I წამკითხველი იყო პიერ დიუ შატელი, ტიულის ეპისკოპოსი, რომელიც კეთილად იყო განწყობილი რეფორმაციის იდეებისა და ჰუმანისტების მიმართ.
10. აქაოდა გამომცემელთა უყურადღებობითა და ზერელაობით, ანუ ნეკერაობით, იმა წიგნთა შიგან უხეში რამ მცდარბეჭდილობაა გაპარული — მესამე წიგნის პირველ გამოცემაში ნაცვლად სიტყვისა „asme“ — სული — ორჯერ არის დაბეჭდილი „asne“ — ვირი (თავები XXII და XXIII, სადაც ლაპარაკია კატუნკრუტუნის „ცოდვილ სულზე“ და „უწმინდურ ძალაზე“, რომელიც ამ სულს თავს ესხმის). თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ აქ მართლა მცდარბეჭდილობა იყო და არა ხუმრობა დიდი ოხუნჯი მწერლისა.
11. კარდინალი დიუ ბელე — ჟან დიუ ბელე, რაბლეს მეგობარი და მფარველი. მწერალმა მასთან ერთად იმოგზაურა რომში, სენ-მორში დიუ ბელეს დიდებული სასახლე ქონდა.
12. ჰერკულეს ვალიელი — ე. ი. მჭევრმეტყველების ჰერკულესი.
13. ძველი აღთქმის ამ წიგნის ქართული თარგმანის სათაურია „სიბრძნე ზირაქისა“.

წინასიტყვა ავტორისა, ანუ მათჰვამისა

1. მკვდარი ცოცხალსა ეგრევე სტაცებს ხელსა — ჩვეულებრივი სამართლის ერთი დებულებათაგანი, რომლის თანახმადაც მიცვალებულის ქონება პირდაპირი მემკვიდრის ხელში გადადის წინანდელი მფლობელის სიკვდილისთანავე, რაბლე ჩვეულებრივ ოხუნჯობით განმარტავს ამ კანონს.
2. არითრონ სიკიონელი — ჩვ. წ. აღ. IV საუკუნის ბერძენი პოეტი.
3. ვინც კი სენტეელი მუსაფია — აგრე ირონიულად იხსენიებს რაბლე სენტის ბერს, რომელი სააბატოს გვერდითაც მწერალი 1524 წლის მარტში ცხოვრობდა.
4. ეშმაკეულნი ცენზორნი — სორბონის პროფესორნი, რომელთაც უფლება ჰქონდათ, რომ განესაჯათ და აეკრძალათ „ღვთისმგებობი“ წიგნები.
5. წორედ რომ ამა ხალხისგან არიან წარმომობილნი ქველნი ფრანგნი. — ფრანგთა მამამთავრად ითვლებოდა უკანასკნელი ტროელი მეფის პრიამეს ერთ-ერთი შთამომავალი. ძველი ტროას სამეფოს მიწა-წყალი უფრო გვიან ხანაში ფრანგიის ნაწილი იყო. მაქსიმე პლანუდე — ბიზანტიელი ფილოლოგი ბერი (XIII-XIV სს.), ეპიგრამათა ანთოლოგიის შემდგენელი.
6. აგათია — ჩვ. წ. აღ. VI საუკუნის ბერძენი მემატიანე.
7. ვრაუო — სოფელი შინონის ახლოს.



8. **განა ოდესმე გვაკლდა ან აწ გვაკლია რთული და სამძიმო საქმენი?** — იუპიტერის სიტყვაში რაბლე ნართაულად მიუთითებს თავისი დროის რეალურ ამბებზე — ომებზე, ალყებზე, მეჯურმუცე-მეკობრეთა თავდასხმებზე.
9. **მაროკოს შერიფი (მმართველი) 1550 წელს, საფრანგეთთან წინასწარ შეთანხმებული, ცდილობდა ორანის დაპყრობას.**
10. **გოლგოთ რაი** — ალბათ დრავუთ რაისი, თურქი კორსარული მეთევზე 1552 წელს იავარყო სიცილია.
11. **აქეთ უძღვნი შვილნი** — გასკონელნი თავიანთ ზართა დაბრუნებასა იხვეწებიან. — აქ სიტყვაა გადაკრული 1548 წელს შორდოში და ამ ქალაქის ახლომახლო მომხდარ შემარილეთა ამბოხზე, რომელიც სასტიკად ჩაახშო მთავრობამ და ეკლესიათაგან ზარების ჩამოხსნა ბრძანა, ვინაიდან ამ ზართა საგანგაშო რეკვა აჯანყებისკენ მოუწოდებდა ხალხს.
12. **ბუნჯუხა, ანუ პატარა მოკუნტულ-მოკრუნჩხულ კაცსა** — იმპერატორი შარლ. V.
13. **გალანისა და რამუსის დავა** — დისკუსია არისტოტელეს შესახებ სამეფო კოლეჯის ორ პროფესორს შორის (1551). პეტრე რამუსი (პიერ ლა რამე) უარყოფდა არისტოტელეს, რომელიც უცილობელი ავტორიტეტი იყო შუა საუკუნეების მეცნიერებისთვის (ცხადია, არა ჭეშმარიტი არისტოტელე, არამედ შუა საუკუნეების სქოლასტიკის მიერ გადასხვაფერებული, უკვე „ტონზურიანი“). პიერ გალანი იცავდა არისტოტელეს რამუსის თავდასხმებისგან.
14. **მონეზიელნი** — გალიის ერთ-ერთი ტომი.
15. **პროკრიდა** — მეფე კეფალეს ცოლი, რომელიც ქმარმა იბედივ, შემთხვევით მოკლა ნადირობისას (ბერძ. მით.).
16. **პეტრე ბერძნულად ქვას ნიშნავს.**
17. **პეტრე ქვაკუთხედი** — ვინმე მოხელემ, სახელად პიერ დე კონიერმა, მეფე ფილიპე ვალუას დროს (1293—1350) სამღვდელოების საერო უფლებამოსილებათა შეზღუდვას მიადწია. სამღვდელოებამ კი თავისებურად იძია შური: მახინჯი კაცის ქვის ქანდაკ-აღალმას (რომლის ცხვირზედაც აქრობდნენ სანთელთ), პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში დადგმულს, პეტრეს ქვაკუთხედი უწოდეს (გვარი კონიერი რამდენადმე გვაგონებს ფრანგულ სიტყვა „კუთხეს“).
18. **ქარიშხალი ესე... ახალი ანტიოქია... დინდენარია...** — გაუგებარი ქარაგმებია.
19. **იკარომენიპე** — ლუკიანეს დიალოგში („იკარომენიპე“) ფილოსოფოსი მენიპე, იკაროსისებრ ცაში აფრენილი, პირისპირ ესაუბრება ზევსს. ის აქ მოიხილავს უამრავ ხვრელს, რომელთა საშუალებითაც აღწევს უფლის სრა-სასახლეში ცად აღვლენილი ლოცვანი. იკარომენიპეს სახელი გვხვდება აგრეთვე მეორე წიგნის პირველ თავშიც.
20. **როგორც მილანის საჰერცოგოს ბედია განსაზღვრული.** — ამ საჰერცოგოს დაპყრობის მისწრაფებით განისაზღვრებოდა მეფე ფრანცისკ I მთელი იტალიური პოლიტიკა.
21. **ლანდერუსი** — გამოგონილი სახელწოდება, **თხუნელობა** — ბერმონაზვნობა.
22. **წალკოტ-მტილთა მეველედ რომ ვიდექი...** — ავხორცობისა და ნაყოფიერების რომაული ღმერთის პრიაპეს ქვის გამოსახულებებს (ქვაკაცებს) ჩვეულებრივ ბალებში დგამდნენ, ვინაიდან თავდაპირველად (ბერძნულ მითოლოგიაში) ბალებისა და მინდერების ღმერთი იყო.
23. **კადუკევისი** — პერმესის (მერკურის) ორგველშემოსვეული წყვილფრთიანი კვერთხი.



24. „აბა, რა მაქვს, თუ იცი?“ — ამ სიტყვებს პატლენი შინ წარმოთქვამს, სკლატ-მაუდიტ პელდამშვენებული რომ მივა, რომელი სკლატ-მაუდიტ მემაუდეს დასტყუა („მეტრი პიერ პატლენი“, 352).
25. კოჭლაუნა მოლევრიე — მიშელ დე ბალანი, მსხვილი ფეოდალი, რომლის მამულიც (მოლევრიე) შინონის ახლო მდებარეობდა.
26. გადენის სიმდიდრე — თომა გადენი, ლიონელი ბანკირი, მსხვილი ფინანსისტი, რომელიც ფულით ხელს უმართავდა ფრანცისკ I, ოდეს იგი შარლ V ტყვევნილი იყო.

თავი I

1. ბაკბუკი — ბოცა-ბოთლი (ებრ.).
2. ტრირემები — ძველრომაული სამხედრო ხომალდები, რომლებსაც სამ წყებად ჰქონდათ ნიჩბები; რაუბარჯა — „ნიჩბიანი ოჩხომელი“ (ინგლ.) — აგრე ეწოდებოდა სწრაფმავალ ინგლისურ ხომალდს.
3. ლიბურნა — მსუბუქი სწრაფმავალი ხომალდი ძველ რომში.
4. თალამეგა — ეგვიპტური ტიპის დიდი ხომალდი, კაიუტიანი (ბერძ.).
5. ჟამე ბრეიე — ასე ერქვა რაბლეთა სახლობის ერთ-ერთ სახლიკაცს, ტურენელ ვაჭარს. სწავლულთა აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ცნობილი ფრანგი ზღვაოსანი, კანადის პირველი მკვლევარი ჟაკ კარტიე (1491—1557).
6. ჩინი — ჩინეთის ძველი სახელწოდება.
7. ... ახლოს მიყვით ინდოეთის პარალელსა და ჩრდილოეთ პოლუსს დასავლეთიდან შემოვუაროთო. — ლოცმანისა და ქსენომანის მიერ დასახული მარშრუტით ნავარაუდევია ამერიკის მატერიკის ჩრდილოეთით ყინულთაგან თავისუფალი ზღვის, ანუ იმ ჩრდილო გასასვლელის არსებობა, რომლის საძებნელადაც, მეფე ფრანცისკ I ბრძანებით, გაემგზავრა ჟაკ კარტიე 1534 წელს. მეორე მხრივ, ბევრი რამ უცნაური ქვეყნებისა და კუნძულების აღწერაში (მეოთხე და მეხუთე წიგნები) შთაგონებულია ლუკიანეს „მართალი ისტორიით“.

თავი II

1. მედამოტი — არსად (ბერძ.).
2. ფილოფანი — გამჩვენე, გამშვენეობის მოყვარული (ბერძ.).
3. ფილოტეამონი — საწახლობათა მოყვარული (ბერძ.).
4. ენგისი — მახლობლად (ბერძ.).
5. შარლ შარმუა — ფრანგი მხატვარი, რაბლეს თანამედროვე, მეფე მეგისტე (უდიდესი — ბერძნ.) — ფრანცისკ I.
6. ცალრქა — ზღაპრული ცხოველი; ტარანდი, რომელზეც ძველი ავტორები გვიამბობენ, აღწერილობისდა მიხედვით, ან ლოსი უნდა იყოს, ან ჩრდილოეთის ირემი; გელონები — სკვითების ტომი, რომელიც დებარის ქვემოწელში ბინადრობდა.
7. ტოიები, ლიკაონები — რა ცხოველებია, რომელთა სახელწოდებანიც რაბლეს პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორიაში“ ამოუკითხავს, შესტად ცნობილი არ არის.

თავი III

1. „ქალიდონი“ — მერცხალი (ბერძ.).
2. გოზალი — ხუნდი, მართვე (ებრ.), აქ — მტრედი.



თავი IV

1. გზიდან კი კომენტარი და ეფემერიდებს არ გამოგიგზავნი... — კომენტარი აქ ნახმარია იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც ამ სიტყვას ლათინურში ჰქონდა ჩანაწერი, შენიშვნა. ეფემერიდა — დღიური (ბერძ.).



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი V

1. სენტონეი — ძველი ფრანგული პროვინცია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში.
2. ამა წლისა ივლისის ბოლოს იქ ყოველთა ფრანელთა კრება უნდა გაიმართოს... — აქ გადაკრულად ლაპარაკია ტრიდენტის კრება-ყრილობის (1545 — 1563) შედეგზე სესიის გახსნაზე, რაც 1546 წლის 29 ივლისს უნდა მომხდარიყო.
3. გიბორიმი — მეგრძოლნი დევგმირნი (ებრ.).
4. ოპაბე — ძმადმეფიცული (ებრ.).
5. ტაიბურგი — სოფელი მდინარე შარანტის ნაპირზე.

თავი VI

1. ... პირწავარდნილი ჟამთააღმწერელი ხოა? — ვაჭარი ალბათ გულისხმობს მეფის კარის ჟამთააღმწერელს. გავლენიან, მდიდარ კაცს.
2. გრძელმატყულიანნი სადგამნი — აგრე ერქვა ძველ ოქროს მონეტებს, მრავალგზის მოხსენიებულს რომანში.
3. ბურგუნდთა სახლის ორდენი — ოქროს საწმისის ორდენი, 1429 წელს დაარსა ფილიპე III კეთილმა, ბურგუნდიის ჰერცოგმა.
4. ანრიკუსები — მეფე ანრი მეორეს გამოსახულებიანი ოქროს მონეტები, ამ მეფის ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით მოჭრილი 1549 წელს, ე. ი. წიგნის დაწერამდე სულ ცოტა ხნით ადრე.

თავი VII

1. მეკვინტესენციენი — ალქიმიკოსნი.
2. წმინდა ევტროპი სენტელის სნება — წყალმანკი.
3. ასტრაგალი — კოჭი. ტერფისა და წვივის შემაერთებელი ძვალი (ბერძ.).
4. ტალები — კამათლები (ლათ.).
5. ... რათა წეროთ ალუბლისა კურკანი დაუშინონ. — წეროთა წინააღმდეგ ჯუჯათა ზღაპრული ტომის ომზე ბევრი ძველი ავტორი წერს.
6. შარუს სიწმინდეს ვფიცავ. — შარუ — პატარა სოფელია პუატუში. იქ იყო სააბატო, რომელშიც არილსა (დასასვენებელი სიწმინდეთანი) შინა რაბლეს დროს ინახებოდა იესო ქრისტეს ჩუჩის ნაწილი. ქვეყნის ყოველი კუთხიდან იკრიბებოდნენ იქ სალოცავად მავალნი, რათა თაყვანი ეცათ იმ სიწმინდისთვის. რაბლესგან მასხარად აგდებული ვაჭრის მიერ საუფლო სიწმინდის მოხსენიება არა მართო გაბედულება, არამედ დიდი კადნიერებაც იყო იმ დროისთვის.
7. კორაქსნი — ტომი, რომელიც ანტიკურში წყაროების მიხედვით, ცხოვრობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხების ჩრდილო-დასავლეთით. სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონით („ეთნიკა“) შემონახული ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, კორაქსნი კოლხური ტომია. რაბლე აქ თავისუფლად და არაზუსტად



გადმოსცემს ძველბერძენი გეოგრაფოსის სტრაბონის (III, 26) ოხზულების ნაწილებს.

თავი VIII

1. ძმა ოლივიე მაიერი (1440—1505) და ჯან ბურჟუა (გარდაიცვალა 1494 წ.) — ფრანცისკელი ბერები, ცნობილი მქადაგებენი.
2. სენი — მთა ალპებში, საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე.
3. კენტაფი — ცარიელი აკლდამა (ბერძ.). უცხოეთში გარდაცვლილის ანდა უგზო-უკვლოდ დაკარგულის მოსაგონრად აგებული.
4. ტიბო კრავი — მწიგნობარი ფარსიდან, „მეტრი პიერ პატლენი“.
5. სერიზოლთან საგრობა — ამ ბრძოლაში (პიემონტი, 1544 წლის აპრილი) იმპერიული ჯარი დაამარცხეს ფრანგებმა; დაქირავებულ შვეიცარიელთ (კრიუიერელთ) ვერ გაუძლეს მოწინააღმდეგის პირველსავე შემოტევას და გაიქცნენ.

თავი IX

1. ... წითელ პუატუელთ ჩამოკვადნენ... — პუატუელი თავიანთი ჩამომავლობით პიკტთა ტომისგან წარმოდგებოდნენ. ოდესღაც ამ სახელწოდებას იმით ხსნიდნენ, რომ პიკტნი სხეულს მოკლული მტრის სისხლით იღებავდნენ („პიკტუს“ ლათინურად „მოხატულს“, „შეფერადებულს“ ნიშნავს).
2. ენაზინი — უცხვირო (ფრანგ.). ფიქრობენ, რომ უცხვირო ხალხით დასახლებულ კუნძულზე რაბლეს აზრი გაუჩინა იმ ევროპულ მოგზაურთა ნაამბობმა, რომელთაც პირველად აღწერეს ესკიმოსთა განიერნი ყვრიმალნი და პაჭუა ცხვირნი.

თავი X

1. შელი — მშვიდობიანობა, უშფოთველობა (ებრ.).
2. წმინდა ბენედიქტი — ე. ი. ბენედიქტელთა სამონაზვნო ორდენი, რომელსაც მიეკუთვნება ძმა ჟანი.

თავი XI

1. ფილიპო სტროცი — მსხვილი ფლორენციელი ვაჭარ-სოცდაგარი და პოლიტიკური მოღვაწე (1488—1538). სტროცის სასახლესთან (რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ ფილიპო სტროცი უფროსმა დაიწყო) იყო სამხეცე.
2. თქვენა, მგონი, აგრე უხმობთ, აქ კი იმათ ვეფხვთ ეძახიანო. — ლინამდვილეში „აფრიკანი“ ლათინურად პანტერას ჰქვია და არა ვეფხვს.
3. ბრეტონ ვილანდრი — კლოდ ბრეტონ დე ვილანდრი, მეფე ფრანცისკ (ფრანსუა) I მწიგნობართუხუცესი.

თავი XII

1. პროკურაცია — ფრანგული იურიდიული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს „რწმუნებას“, „რწმუნებულობას“.
2. სანამ ... აზნაური... კეტსა ან დამნა-მზეველსა არ წამოავლებს ხელსა და თავში არ დაუშვებს. — იმჟამინდელი სასამართლოს არქივები მოწმობენ, რომ აზნაური მართლაც ფრიად უხეშად ექცეოდნენ სასამართლოს რწმუნებულთ.



3. ... და პაპ იულიუს მეორის ფიცხელ იერიშთ იგერიებდა. — 1510 წელს რომის პაპი იულიუს II თავს დაესხა პერცოვ ფერარელს, საფრანგეთის მოკავშირეს.

თავი XIII



1. სიცოცხლისა დასალიერსა მეტრი ფრანსუა ვიიონი — ფრანსუა ვიიონი (ფრანსუა დე მონკორბიე, 1431—1484) გამოჩენილი ფრანგი სახალხო პოეტი. რასაც აქ რაბლე ჰყვება, ვიიონის სახელთან დაკავშირებული ერთ-ერთი ანეკდოტია.
2. ოსანას ჯვარი — ასე უძახდნენ პუატუს მცხოვრებნი იმ ჯვარს, რომელსაც ბზობას უამრავი ხალხი აწყდებოდა, და ყოველნი გალობდნენ — „ოსანა ძესა დავითისასა“.
3. ... ყოველთა ეშმაკთ ჯიბეში ჩაისვამთ, სომიურელთაც... პუატუელთაც კი თავიანთ სათაყვრილობო ჩინებულ დარბაზიანადო. — რაბლე ჩამოთვლის იმ ქალაქებსა და სოფლებს, სადაც იმართებოდა მისტერიები (რომელთა უცილობელნი მოქმედნი პირნი ეშმაკნი იყვნენ). სათაყვრილობო ჩინებული დარბაზი — პუატუს რატუშის დარბაზი.

თავი XV

1. სენიორ დე ლა რომ-როზე... — ჟან შასტენიე დე ლა რომ-როზე, ფრანცისკ I და ანრი II კარის მინისტრი, ფეხში დაიჭრა პავიასთან.
2. უფალმა მეფემ (აგრე უხმობდნენ დავაქართ) ... — სასამართლოს აღმასრულებელთ „მეფის მასხურთ“ ეძახდნენ.
3. ლაპითების ნადიმი, სამოსატელ სიბრძნისმეტყველლისგან აღწერილი — ლუკიანეს დიალოგში — „ნადიმი, ანუ ლაპითნი“ მოთხრობილია ქორწილის სუფრაზედ ჩხუბის ამბავი.
4. ვინემ უწინ ტულუზისა ოქრო და სეას ცხენი... — ავლუს გელიუსი (III, 9,7), გვამცნობს, რომაელი კონსულის ცეპიონის (ძვ. წ. აღ. II ს.) მიერ გალიის ქალაქ ტულუზის ტაძრებში ნააღაფარმა ოქრომ ყველა მოწილეს დიდი უბედურება მოუტანაო. იგივე გელიუსი (III, 9,6,) ჰყვება იმ ცხენის ამბავს, რომელი ცხენიც თავდაპირველად ვინმე სეას ეკუთვნოდა, მარკუს ანტონიუსის მიერ სიკვდილით დასჯილს. ამ ცხენის ყველა შემდგომი პატრონიც აგრეთვე მოაკვდინეს.

თავი XVI

1. იმა მოხეტიალე ბრჭე-მოსამართლეთა შემზარავ მექრთამეობას... — მოხეტიალე მოსამართლენი საერო ანდა სასულიერო ფეოდალთაგან უფლებამოსილნი იყვნენ, რომ ადგილზედ გაერჩიათ სამართალი და ამ მიზნით ქვეყანას იყვნენ მოღებულნი.
2. წმინდა ეან დე ლა პალისი — აგრე უხმობდნენ ხალხურ მეტყველებაში წმინდა იოანე მოციქულს, რომელსაც ახალი აღთქმის წიგნი, აღრექრისტიანული ნაწარმოები — „აპოკალიფსი“ მიეწერება.

თავი XVII

1. თოპუ — სიცარიელე (ებრ.); ბოპუ — უდაბნო (ებრ.). — ეს სიტყვები რაბლეს აღებული აქვს ძველი აღთქმის პირველი წიგნის დასაწყისიდან, სადაც ნათქვამია:



„თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა. მიწა იყო უსახო (თოპუ) და უდაბური (ბოპუ)...“

2. კულანისა მეფე, — კულანი პატარა სოფელი შუაგულ საფრანგეთში.
3. მექლოთი (უფრო სწორია: მაქალოთი) — სნეულეზანი (ებრ.).
4. ბელიმა — არრა (ებრ.).
5. ტელენიაბინი — საზღვაო; გენელიაბინი — ვარდისფერქაშვილი (წმწმბ.). ასე ხსნის ამ სიტყვებს თვითონ რაბლე.
6. კუნძულნი ევიგი და ენიგი. რომელთა გულისთვისაც ოდესღაც ლანდგრაფ ჰესელსა დია ავი საქმე დამართეს. — 1547 წელს იმპერატორმა შარლ V ლანდგრაფ ჰესელთან საზავო ხელშეკრულება დადო, მაგრამ ხელშეკრულებაში ნაცვლად სიტყვებისა „ohne einige Gefängnis“ (არცრანაირი პატიმრობით) აღმოჩნდა „ohne ewige Gefängnis“ (რადაცნაირი პატიმრობით), და, ლანდგრაფმა ხუთი წელი ზეხა პატიმრობაში.

თავი XVIII

1. კესილის კრება, — აქ ისევ ტრიდენტის კრებაზეა სიტყვა გადაკრული. კესილი — ორიონის, ქარიშხლისა და უამინდობის მაცნე ვარსკვლავის ებრაული სახელწოდებაა; ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობაა „ბრიყვი, უგუნური“.
2. კატევიდა — შტორმი; ტიელა — ქარიშხალი; ლელაპი — ქარტეხილი, პრესტერი — ჭვჭაქუხილიანი გრიგალი (ბერძ.). სუყველა ამ ტერმინს, როგორც ქვემოთ მომდევნოთ, რაბლე არისტოტელეს დაესესხა (ტრაქტატი „შესახებ სამყაროსა“, 4).
3. ფსოლოენტი — ელეა-ჭექა; არგი — კაშკაშ-კრთომა; ელიკი — კლაკნილი, იკანკლური გაელვება-ნათება (ბერძ.).

თავი XX

1. კაბირული რამ შეგვეჭამა... — კაბირები—ძველი ფინიკური ღვთაებანი, რომელთა კულტიც საბერძნეთში გადავიდა; კაბირული — შემწვარი თხის ხორცია. რაბლე სიტყვათა თამაშს მიმართავს.

თავი XXI

1. ... და ნაპირზედ დამიდგამს ძეგლსა — ე. ი. კენოტაფსა — ცნობილი კენოტაფები და ძეგლები, რომლებსაც რაბლე ჩამოთვლის, ნახსენები აქვთ ძველ ავტორებს (ვერგილიუსი, კატულუსი, სვეტონიუსი, კალიმაქე, დიოგენე ლაერტელი და სხვ.).
2. ...ხოლო ჟერმენ დე ბრიმ — ერვეს, ბრეტონელ მესაჭესა. — ჰუმანისტმა ჟერმენ დე ბრიმ ერთ-ერთ თავის თხზულებაში უმღერა ბრეტონელ კაპიტანს ერვე დე პორზმოგერს, 1512 წლის 10 აგვისტოს ინგლისელებთან გამართული საზღვაო ბრძოლის გმირს; ერვემ არ დააგდო თავისი ცეცხლწაკიდებული ხომალდი და დაიღუპა. დე ბრის თხზულებას „ერვეს კენოტაფი“ ერქვა.

თავი XXII

1. ... დღესა შობაა, შობაა, შობაა! — ერთ-ერთი პუატუური საშობაო ალილოს თაფშურმა (მისამღერი).
2. კელევმი — შეძახება-შეძახილი, თვლაგარეული, მენიჩბეთა გასამხნევებლად, რომ რიტმი არ დარღვეოდათ.





3. მარჯვნივ კასტორის ვარსკვლავი გამოჩნდა, — კასტორი და პოლუქსი (პოლიდეკეს ლათინური სახელია) ძველებს ზღვაოსანთა მფარველებად შიარნდათ.
4. შიპი — ნავჭურჭელი (ინგ.).
5. უკალეგონი — ერთი იმ ტროელ ბერიკეცთაგანი, რომელთა გამოც პომეროსი „ილიადას“ შესამე წიგნში (150—152) ამბობს, მხცოვან ქვეყნებში — მხცოვანთაფი აღარა ქქონდათ, მაგრამ ბჭობის დროს სიტყვით მძღუწუნდნენ, უკალ ხეთა ტოტებში მიმალული ჭრიჭინობელებით.

თავი XXIII

1. წმინდა მარტინის მწვალეხელი — ე. ი. ეშმაკი.
2. ეს რა, შეუღლებისა ცხრა სიხარულიდან ერთ-ერთია? — აქ ქარავმულად ლაპარაკია XV-XVI საუკუნეებში პოპულარულ ქორწინების სიხარულთა კომიკურ ტრაქტატზე (ოღონდ იქ ნახსენებია არა ცხრა, არამედ თხუთმეტი სიხარული).

თავი XXV

1. მაკრონები — ხანმრავალნი, წელმრავალნი (ბერძ.).
2. მაკრობიოსი — დღეგრძელი (ბერ.).
3. აგარული — ე. ი. არაბული (ბიბლიური და მუსულმანური ტრადიციით, აბრაამის მხევალი აგარი არაბულ ტომთა დამსაძირკველებელი, წინაპარი იყო).
4. სატალიეს საღუპელა — უურე მცირე აზიის ნაპირებთან. მონტარჯენტანო — ნავსადგური იტალიის დასავლეთ ნეპირზე. პიომპინო — უურე რომელიც ელების კუნძულს ყოფს აპენინის ნახევარკუნძულისგან.

თავი XXVI

1. კარპატიის ზღვა — ხმელთაშუა ზღვის ნაწილი კრეტასა და როდოსის კუნძულებს შორის.
2. დიონ კასიოსი (ნიკეადან) — ბერძენი ისტორიკოსი (160—235); სვიდა — ბიზანტიელი სწავლული (სიცოცხლის წლები უცნობია), შეადგინა შუა საუკუნეებში ცნობილი ბერძნული ენის ენციკლოპედიური ლექსიკონი.

თავი XXVII

1. Ø პირველი ასო ბერძნული სიტყვისა „თანატოს“ (სიკვდილი), T — პირველი ასო სიტყვისა — „ტელეიო“ (ვამართლებ); A — „ადელონ“ (გაურკვეველია).
2. მარციან კაპელა — V ს. პირველი ნახევრის ლათინი მწერალი.
3. ატროპე — შესამე მოირა, ერთი სამ პარკთაგანი, ადამიანის სიცოცხლის ძაფის გადამჭრელი (ბერძ. მიო.).

თავი XXVIII

1. დიდი პანის სიკვდილის ამბავი რაბლეს ნასესხები აქვს პლუტარქეს „ორაკულთა დამცრობიდან“.
2. კორიდონი — ვერგილიუსის „ბუკოლიკთა“ (ეკლოგა II) ერთ-ერთი პერსონაჟი.



თავი XXIX

1. იქთიოფაგნი — თევზმჭამელი (ბერძ.).
2. მლოგვისა მჭამელთა მბრძანებელი. — მლოგვი მთავარი საკანმსანელებელი იყო მარხვაში.
3. ნაცრისა ამფშრუკველი. — აქ სიტყვა გადაკრულია ეგრეთვე წოდებულ „ნაცრის ოთხშაბათზე“ — დიდმარხვის პირველ ოთხშაბათზე, ბრძანებულა კურ ტაძრებში მღვდელი აკურთხებს ნაცარს, ამფშრუკული ნაცრით მლოცველთ შუბლზე ჯვარს გამოუსახავს და ყველას ცალ-ცალკე მიმართავს: „დაიხსომე, ადამისა ძეო, მტვერი იყავ და მტვრად იქცევიო“.
4. მოძრავი დღესასწაულები — აღდგომა, ამაღლება, სულიწმიდის გარდამოსვლის დღე. ამ დღესასწაულების აღნიშვნის ვადები ყოველწლივ იცვლება.

თავი XXXI

1. ერთ-ერთი იმისი სარძევე კბილისა ნახვა ... — აქ ლაპარაკი უნდა იყოს მავან მოგზაურთაგან ჩამოტანილ მარტორქას ეშვებზე.
2. მეთევზის ბეჭედი — რომის პაპის ბეჭედი.

თავი XXXII

1. აწ ერთ ამბავსა შოგახსენებთ, ძველთა იგაავთა შიგან ამოკითხულსა... — ამბავს, რომელსაც პანტაგრუელი ჰყვება, რაბლე მართლაც დაესესხა ჩელიო კალკანინის (1479—1541), ცნობილ იტალიელ ფილოსოფოსს, ბუნებისმეტყველსა და პოეტს.
2. ტელუმონი — რომაული ღვთაება, რომელიც მიწის ნაყოფიერებას განასახიერებდა.
3. ამის შემდეგ კი დადგა და შვა ურჯუკნი... კალვინისტნი, ჟენეველნი ცულლუტნი, ეშმაკეულნი პუთერბეიელნი... — ამ სტრიქონებში რაბლემ გადაკრულ-ქარაგმულად გამოხატა თავისი შეხედულება რეფორმაციის პრობლემაზე: იგი ერთნაირად გმობს კათოლიკურ და პროტესტანტულ ფანატიზმს, თუმცა, უდავოდ თანაუგრძნობს რეფორმაციის იდეებს. პროტესტანტთა ერთ-ერთი თავკაცი იყო ჟენეველი მქადაგებელი კალვინი. კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლებად აქ გამოდიან „ეშმაკეულნი პუთერბეიელნი“. პუთერბეი ვინმე ბერის გაბრიელ დე პიუი-გერბოს სახელის გალათინურებული ფორმაა. ამ ბერმა 1549 წელს რაბლეს წინააღმდეგ გამოაქვეყნა ღვარძლიანი პამფლეტი. 1550 წელს ჟან კალვინმა ერთ-ერთ თავის თხზულებაში მკაცრად გააკრიტიკა რაბლე. რაბლემ როგორც „თაღლითნი“ კალვინისტნი, ისე „ეშმაკეულნი“ კათოლიკეები, ერთნაირად მიაკუთვნა ანტიფიზისის შვილთ, არაბუნებრივ და ვნების მომტან არსებათ.

თავი XXXIII

1. ფიზეტერი — სიტყვასიტყვით: „გამომბერველი“ (ბერძ.), აგრე ეძახდნენ ძველნი რომაელნი კაშალოტს.
2. და გამოვიდა ბერძნული — პითაგორული ასო... — აღნიშნავდა 400. ოთხიანი კი პითაგორელთ მიანდათ სრულყოფილ და წმინდა რიცხვად.



3. ... იმა ერთი ინგლისელი მილორდისა არ იყოს ... — ლაპარაკია ჰერცოგ კლარენსზე, ინგლისის მეფის ედუარდ IV ძმაზე, რომელსაც მეფის წინააღმდეგ პროტესტანტრახვა დაბრალდა და სიკვდილით დასაჯეს (1478 წ.).

თავი XXXIV



1. ხოლო ერთმა იმე შეიღთა მისთა მხედართუფროსთაგანმა, რომელმაც მოგვნი ამოხოცეს ... — სპარსეთის ტახტზე დარიოსის წინამორბედი იყო თვითმარქუია მოგვი გაუმატა, რომელიც შეიღმა გამოჩენილმა სპარსმა მოკლა თვითონ დარიოსის თავკაცობით.

თავი XXXV

1. ... საჭიროდ ითვლებოდა „უფულობის“, იგივე „ქესატობისა“ სახელითა ცნობილი მავანი სენისა სამკურნალოდ. — ვეშაპის ქონი ძალზე ძვირად ფასობდა.
2. ესენი ძეხვებია ... ჩვენ კუნძულ უდაბურზედ ვიმყოფებით, — კომენტატორთა აზრით, აქ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე უნდა იყოს გადაკრული ლაპარაკი. როგორც ჩანს ძეხვნი რეფორმაციის ის მომხრენი არიან, რომელნიც მარხვას არ ინახავდნენ, ხოლო ქვემოთ მოხსენიებულნი მთის სოსისნი შვეიცარიელი პროტესტანტნი უნდა იყვნენ.

თავი XXXVII

1. რეგილიანე მოსაგრეთ იმპერატორად აირჩიეს! არა სხვა რამისა გულისთვის, არამედ იმისი სახელისდა მნიშვნელობისა გამო, — „რეგილუს“ ლათინურად „სამეუფეოს“ ნიშნავს. კვინტუს ნონ რეგილიანე იმპერატორად გამოაცხადეს რომაულმა ლეგიონებმა, რომლებიც მიოზიაში იდგნენ (დუნაის ქვემოწელსა და ბალკანეთის მთებს შუა), მაგრამ მალევე მოიკლა (263 ჩვ. წ. აღ.).
2. აქავ დაგისახელებთ ღვთაებრივი პლატონისა „კრატილეს“ — დიალოგში გამოკვლეულია ენის წარმოშობის საკითხი (სპონტანურად აღმოცენდა, ბუნებრივი გზით, თუ ადამიანთ მოიგონეს).

თავი XXXVIII

1. ძველნი გიგანტნი — ოტოსი და ეფიალტე, ალოევსის და იფიმედეას ვაჟიშვილნი, რომელთაც რაბლე ხშირად ახსენებს.
2. ეს გიგანტნი ნახევრად ძეხვნი, ანუ, უფრო-სწორად, გველნი იყვნენ, — ლათინი პოეტები მართლაც „გველფეხიანთ“ უწოდებენ გიგანტებს.
3. იტიფალე — მამაკაცის ივი, სარცხვინელი (ბერძ.).
4. ... ბერძნულიდან ფრანგულად თუ გადმოვაენებთ, ბალ-წალკოტთა შიგან. — სიტყვა „პარადეისოს“ (ბერძენთ სპარსთაგან აქვთ ნასესხები) თავდაპირველად ბალს, წალკოტს აღნიშნავდა, მაგრამ უფრო გვიან, ახალი აღთქმის ენაში, „სამოთხის“ მნიშვნელობით გამოიყენება. პრიაპე ბერძნებს ბალ-წალკოტთა, ვენახთა ღმერთად ჰყავდათ წარმოდგენილი; სწორედ აქედან წარმოდგება სამოთხეში ევას გველ-მაცდუნებელთან პრიაპეს გაიგივება.
5. ძველ დროში იქნებ მართ ოდენ სოსისსა რასმე, ანუ პატარა წვრილ ძეხვსა წარმოადგენდა. — სიტყვათა თამაშია: ფრანგულად „სიუის“ შვეიცარიელია, ხოლო „სოსის“ — სოსისი.



6. გიმანტოპოდნი — ღვედფეხიანი (ბერძ.). პლინიუსი მოგვითხრობს, ისინი კი არ დადიან, არამედ გველებრივ ხოხავენო.
7. ქვემოთ კი გველძეხვი ანდა ძეხვეველა იყო ... — ფერია მელუზიზმა, ნახევარქალი — ნახევარგველი, ძველ კელტებს ერთგვარ კეთილ წყლის ღვთაებად ჰყავდათ წარმოდგენილი. შუა საუკუნეების ლეგენდები მელუზინას ბევრი ქალაქისა და სოფლის დამაარსებლად ასახელებს.
8. ერიქთონიოსი — ატიკის მითოლოგიური მეფე, რომელსაც „დრაკონისნაირნი ფერხნი“ ჰქონდა.

თავი XXXIX

1. მეფე ნაბუქოდონოსორის სწორედ მზარეულთუხუცესი ნაბუზარდანი — ბაბილონის მეფის სარდალი და დაახლოებული პირი, რომელიც თავისი ბატონის მეტაბლეს იყო („მელთხე მეფეთა“, XXV, 8). შუა საუკუნეების ქადაგებებსა და ანეკდოტებში მუცელღმერთად და სუსნია-გემოთმოყვარედ გადაიქცა.
2. სტრადიოტნი — როქის ბერძნული ცხენოსანთა სპა, რომელიც ევროპის ქვეყნების ჯარ-ლაშქარში მსახურობდა როგორც დაქირავებული.

თავი XL

1. ... ლარიოლის ღორისდა კვალობაზე იყო, რომელი ღორისა შემწეობითაც ყმაწვილი ფრანგი მეფისა მარლ XI მეფობაში ინგლისელთა ბერეერაკი დაიპყრეს, — სინამდვილეში ეს მოხდა 1378 წელს, მარლ V დროს. ფილაკვანს, ანუ ციხისა შესამუსვრელ ლოდსატყორცნ სამხედრო მანქანას, რომელსაც ინგლისელი იერიშის დროს იყენებდნენ, „ღორი“ ერქვა. ლარიოლი (ლარპოლი) დაბაა სამხრეთ საფრანგეთში, მდინარე გარონას ნაპირზე.
2. მარანები — ესპანელი ებრაელები, ქრისტიანობაზე ძალით მოქცეულნი, მაგრამ ფარულად მისდევდნენ თავიანთი ძველი რელიგიის წეს-ჩვეულებას.
3. კარდინალი ვენიორი — ჟან ლე ვენიორ კარუეი, რაბლეს თანამედროვე; ისე უყვარდა გარეული ფრინველის ხორცი, რომ მარტო ნანადირევის იმედით არ იყო და შინ მუდამ ბლომად ჰყავდა კაკაბ-ხოხობი.
4. მონდამი მადამის ნეცვლად — იმ დაქირავებულ შოტლანდიელ მშვილდოსან მოლაშქრეთა ჟარგონი, რომელნიც საფრანგეთის სამეფო გვარდიაში მსახურობდნენ.

თავი XLI

1. პრაზინული — მწვანე (ბერძ. „პრასინოს“).
2. ტულუზელი დედოფალი ბატიფეხა — იგულისხმება ფრანგული ლეგენდებისა და ზღაპრების პერსონაჟი.
3. ტახი მინერვას ასწავლიდაო — ესე იგი რეგენი ბრძენს ასწავლიდო. ლათინური ანდაზაა. (ციცერონი, „აკადემიური ბაასი“, 1, 5, 18: უკეთუ არ ეგების, ვითარ თქმულია, ღორსა მინერვას სწავლება, მაშ არც სხვა ვინმესგან ესწავლება მინერვას“).

თავი XLII

1. ნიფლესეტი (უფრო სწორია: მიფლესეტი) — მამაკაცის სარცხვინელი ასო (ებრ.).



2. ... და ერთი კობტა პერშული ცილვი, ანუ დანაკი შესძენა. — პანტაგრუელი ზემოთ უკვე ხსენებულ კანადის დამპყრობელსა და მკვლევარს უკე კარტიეს ბაძავს. დამეგობრების მიზნით იგი ადგილობრივ მკვიდრთ დანებს ურევებდა.
3. წმიდათაწმიდა გრაალი — შუა საუკუნეების ლეგენდებში დიდი ჭურჭელია, თასია, ერთი მთლიანი ქვისგან დამზადებული, მოციქულებთან ბოლო ტრასპეზის დროს (საიდუმლო სერობა) ქრისტეს წინ ედგა. იოსებ არქიმანდრემ წმინდა რწმენის ერთ-ერთმა ფარულმა მიმდევარმა, ამ ჭურჭელში შესწავლის ჭკობზე გაკრული ქრისტეს გაგლეჯილი სხეულიდან გადმომდინარე სისხლი. როგორც ტექსტიდან ჩანს, აქ „გრაალი“ ნიშნავს უკვე არა ჭურჭელს, არამედ „ქრისტეს სისხლს“, გადატანილი მნიშვნელობით — „წმინდა ბალზამს“.

### თავი XLIII

1. რუაპი — ქარი (ებრ.).
2. ხომლისა, ანუ მრავლისა მადლმან ... — ხომლის, ანუ მრავლის ამოსვლას მაისში ძველი ზღვაოსანი ხალხი ამთხვევდა ნავიგაციის დაწყებას, ხოლო ხომლ-მრავლის ჩასვლას (ოქტომბერ-ნოემბერში) ზამთრის ქარი და ქარაშოტი მოსდევდა.
3. აქაურ ბალთა შიგან სამი სახისა ანემონსა თუ ნახავთ. — „ანემოს“ ბერძნულად ქარია.
4. ბეში — სამხრეთ-დასავლეთის ქარი (პროვანს.).
5. გარბინი (უფრო სწორია: გარბინო) — სამხრეთ-დასავლეთის ქარი (იტალ.).
6. განთქმული სიტყვისმკერავი, ანუ მკურნალი სკურონი... — იგულისხმება ჟან სკირონი, რომელიც სტუდენტ რაბლეს მფარველობდა მონპელიეში.
7. ...ჩემსა თიდიპოსურ ფეხსა ... — თიდიპოსი ბერძნულად „შესიებული ფეხია“. მითის მიხედვით, ყრმა თიდიპოსი ტყეში იპოვნეს, ფეხები შემუშებული და შეკრული ჰქონდაო.
8. ... და საზრდოდ ეს პატარა იხვნიც იმასვე იყენებენ, — გადმოცემით, კოკორინები ვითომ მხოლოდ ქარით იკვებებიან.

### თავი XLV

1. პაპსაბრაწელნი (რომის პაპისთვის ბრაწის მჩვენებელნი) — რეფორმაციის მომხრენი.
2. პაპომანები (პაპის ერთგულებით ლამის გადარეულნი) — კათოლიკენი.
3. ბავრაყისა, ანუ საეკლესიო დროშისა დღესასწაული, — ამ დღესასწაულის დღეს სუყველა რელიგიური საძმო ქუჩაში გამოდიოდა და თავის მფარველ წმინდანთა გამოსახულებანი გამოჰქონდა, გრძელ ხალა-ჭოკზე მიმაგრებული.
4. თაქორი — ჰემოროიდული კვანძი (ებრ.).
5. ... რომელსაცა, ვითარ წმ. პეტრეს ტაძარსა რომში, სახურავიც კი არა ჰქონდა... — რომში წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობა, 1507 წელს დაწყებული, მხოლოდ 1626 წელს დამთავრდა.
6. შავი წიგნები (გრიშუარები) — შელოცვების კრებულები, რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული შუა საუკუნეებში.



თავი XLVI

1. ისინი ... ბიბლიას ეწაფებიანო, — ძველ და ახალ აღთქმათა, განსაკუთრებით კი პავლე მოციქულის ეპისტოლეთა კითხვას მოითხოვდნენ მორწმუნეთაგან პროტესტანტნი.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თავი XLVII

1. ვით ოდესღაც სპარსნი დიაცნი გატიტვლდნენ ბრძოლისა ველიდან გამოქცეულ თვისთა შვილთა წინარე. — მუცელგატიტვლებული დედები თურმე იძახდნენ: „სად გამორბინართ, თქვე საცოდავო ლაჩრებო? განა არ იცით, რომ საშოთა შიგან ველარ შეგვიძვრებითო?“ (ეს ამბავი მოთხრობილი აქვს პლუტარქეს „დიაცთა სიქველისა გამო“ თხზულებაში).
2. მეგერა, ალექტო — ერინიები (ფურიები), შურისძიების მრისხანე ქალღმერთები.

თავი XLVIII

1. ... ერთად სამნი მინახავს, მაგრამ ხეირი არცრა მინახავს. — რაბლეს სამი პაპის ნახვა მოუხდა: კლიმენტი VII, პავლე III და იულიუს III.
2. დეკრეტალიები — რომის პაპთა დადგენილებები პასუხის ფორმით კითხვებზე, რომლებიც პაპის კურიაში შედიოდა გადასაწყვეტად. დეკრეტალიათა კრებულები „კანონიკური სამართლის კორპუსის“ — კათოლიკური ეკლესიის კანონთა კრებულის მთავარი ნაწილია.
3. ექსტრავაგანტნი — ესე იგი „საზღვრებს გარეთ დარჩენილი“ (ლათ.) დეკრეტალიები, რომლებიც არ შესულა პაპის დადგენილებათა ოფიციალურ კრებულებში და 1500 წელს გამოიცა ორ წიგნად: „იოანე XXII ექსტრავაგანტები“ და „საერთო ექსტრავაგანტები“.
4. პომენაცი — ოტროველა (პროვანსული).
5. ჰიპოთეტები — გულთმისნები (ბერძ.), მაგრამ თვითონ რაბლე ავრე ხსნის ამ სიტყვას: ესენი წარსულსა ისევე ჭვრეტენ, როგორაც წინასწარმეტყველნი (ბერძ. „პროთეტაი“) მომავალსაო.

თავი XLIX

1. მერმეთ თუნდვც Requiem წამოიწყოს, პურსაც გაუჩენ და ღვინოსაც გახსენებულთ, ესე იგი განსვენებული. — Requiem — განუსვენე [საუკუნოდ] (ლათ.). სულის მოსახსენებელი მსახურების პირველი სიტყვები.

თავი L

1. ... ეს სახება დედალოსისა ნახელოვნებთ მაგონებსო. — მითური მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი დედალოსი, თქმულების თანახმად, პირველი იყო, ვინც ქანდაკებაში მოძრაობის ვადმოცემა შეიძლო.
2. მარტოდენ იმათ ჰქონდათ მუხთალი და სასტიკი ჩხუბი. — აქ გადაკრულად ლაპარაკია პაპ იულიუს II (1503—1513), რომელიც თავგამოდებული მეომარი იყო. ის პირადად უდვა სათავეში თავის ჯარს იტალიაში ერთ-ერთი ქალაქის აღყის დროს.



თავი LI

1. ეპოდი — თაფშურმა, მისამღერი (ბერძ.), აქ, საგალობელი.
2. სერაფიკული მეექვსე წიგნი. — დეკრეტალიების მეექვსე წიგნი, შედგენილი 1298 წელს ბონიფაციუს VIII პაპობის დროს.
3. კლიმენტინები — დეკრეტალიების მეშვიდე წიგნი, შედგენილი კლიმენტი X საპის დროს (1313 წ.).



თავი LII

1. ... მავან შოტლანდიელ სწავლულ მედეკრეტალიესთან ... — იგულისხმება რობერტ ერლანდი, რომელიც პუატიეში სამართალს კითხულობდა.
2. დეკრეტი — „გრაციანის დეკრეტი“, კანონიკური სამართლის პირველი კრებული, რომელიც ბოლონელმა ბერმა გრაციანმა შეადგინა (დაახ. 1140 წ.) და საფუძვლად დაედო „კანონიკური სამართლის კორპუსს“.

თავი LIII

1. დეკრეტალიკტონნი — დეკრეტალიათა ჩამკვლელნი (ბერძ.).
2. დეკრეტისტი — იურისტი, რომელიც სწავლობდა და გენმარტავდა „გრაციანის დეკრეტს“. ამ დეკრეტში თავმოყრილი იყო კანონიკური სამართლის უძველესი (და, მამასადამე, პუმანისტთაგან პატივსადები) წყაროები.
3. ფიფატ. პიპატ. — ლათინური „ვივატ“ (გეუმარჯოს) წარმოთქმული გერმანული აქცენტით.
4. ბიპატ — შესვას (ლათ.).

თავი LIV

1. საბეა — ძველი სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ არაბეთში, თანამედროვე იემენის ტერიტორიაზე.
2. მაშიაგამოსატული ორმაგი ეკიუთი აავსეთო. — ლაპარაკია გამოგონილ ფულზე.

თავი LV

1. ... ვითარცა გედეონისა საწმისსა დაეცა ცვერი ... — ბიბლიური „მსაჯულნი“ (VI, 37, 38) მოგვითხრობს, რომ ღმერთმა ისმინა აბიეყზრელი გედეონის თხოვნა და დასტურად იმისა, რომ ის იქნებოდა თავისი ქვეყნის გადამრჩენელი, შემდეგნაირად ანიშნა: ღამით კალოზე გაშლილი საწმისი სულ ერთიანად დაინამა და დაიცივარა, გარშემო კი მიწა მშრალი იყო.

თავი LVI

1. არიმასნი — სკვითური ტომი. ნეფელიბატნი — ღრუბელ-ღრუბელ მოარულნი (ბერძ.). ეს სიტყვა არისტოფანესგან არის ნასესხები.
2. ხალხმა თვალნათლივ დაინახა ხმანი. — მართლაც ასეა ნათქვამი ბიბლიაში („გამოსვლა“, XX, 18).
3. ... დემოსთენეს დავემგვანებოდი, რომელმან ერთხელ ყელისა ტკივილი მოიმიზუნა და გავიდა თავისი ღუმელი, ჩუმად ყოფნა ანუ: — ალექსანდრე მაკე-



დონელის შინაკაცმა პარპალემ ალექსანდრეს ინდოეთში ყოფნის დროს სამეფო ხაზინა გაძარცვა და თავის დაცვის მიზნით სახალხო კრებას მიმართა, დაცვა და თავშესაფარი ითხოვა. იმ დღეს, როცა სახალხო კრებას ეს ამბავი უნდა განეხილა, პარპალესგან მოსყიდულმა დემოსთენემ ყელის ტკივილი მოიპოვა და უარი თქვა კრების წინაშე გამოსვლაზე (იხ. პლუტარქე, „დემოსთენე“ XXV).

4. ეოსოში — მუშაუდუ ფარსიდან „მეტრი პიერ პატლენი“. *ბიზლიცოთეკა*

### თავი LVII

1. ამ მთაზე, სინამდვილეში, პირველად კაპიტანი დონჟიულენი ავიდა (1492) მეფე შარლ VIII ბრძანებით. მწვერვალზე მან ქურციკ-ნიამორთა მთელი ჯოგი მოიხილა.
2. ... მეუფე ვასტერი ბრძანდებოდა, მეცნიერებათა და ხელოვნებათა მსოფლიოში უპირველესი მაგისტრი. — „ვასტერი“ — ბერძნულად „კუჭია, მუცელი“, რაბლე აქ ქარაგმულად გულისხმობს (ქვემოთ კი პირდაპირ ასახელებს) რომაელი სატირიკოსის პერსიუსის (ჩვ. წ. აღ. I ს.) ლექსს:

ოსტატი ხელოვნებათა, მამა გონების, მუცელი...  
(„ქოლიამბები“, V, 8.)

3. ... მეცნიერებათა და ხელოვნებათა უდიდესი მაგისტრი ცეცხლი იყო... — ასე გვასწავლიდა ჰერაკლიტე, რომელიც ცეცხლში ყოველივე არსებულის საფუძველს ხედავდა. ჰერაკლიტეს შეხედულებებს (ისე, რომ არ ეთანხმება) აყალიბებს ციცერონი თხზულებაში „დმერთების ბუნებისა გამო“.
4. დრუიდნი — თანამედროვე საფრანგეთის მოსახლე ძველთა გალთა ქურუმნი, გალთა უზენაეს ღვთაებას რომაელნი თავიანთ მერკურისტან აიგივებდნენ.
5. ... სომატთა სახელმწიფო... — სომატები — წარმომდგარია ბერძნული სიტყვიდან — „სომა“ — გვამი, სხეული.
6. ბაზელისა კრებაზე... დაღაცათუ, კრება ესე ფრიად ბობოქარი იყო... — ბაზელის კრებას (1431—1444) ისეთი მძვინვარე დავა-კამათი სდევდა პირველი ადგილის გულისთვის, რომ მერეც, მთელი საუკუნე ახსოვდა ხალხს ეს დავა-კამათი.

### თავი LVIII

1. ევრიკლე — ათენელი მუსლითმეზღაპრე, რომელიც მომავალს წინასწარმეტყველებდა (ძვ. წ. აღ. V ს.).
2. ... სამოსელი ვასტროლატრთა, რომელთ ნიჟარისებრნი კაპიუმონ-თავსაბურავნი ეფხატათ. — რაბლე ბერ-მონაზონთ გულისხმობს.

### თავი LIX

1. ვითა მეცაში წმინდა კლიმენტისა დრაკონსა. — საეკლესიო დღესასწაულებზე მეცაში ქურჩა-ქურჩა დაჰქონდათ დრაკონის გამოსახულება, რომელიც, გადმოცემით, ოდესღაც ქალაქიდან გაევდებინებინა წმინდა კლიმენტის.
2. კრეპალოკომი — აქ: მოქეიფეთა, იგივე მენოვაგეთა, ანუ „ჭამათა ზედა სახიობითა მსმელთა“ სიმღერა. ეპენონი — სადიდებულ-საგალობელი (ბერძ.).



თავი LXI

1. ... ტრეზენისა ახლოსად მდებარე ქალაქ მეთანის მსახლობელთა დარად — ძველბერძნულ ქალაქ მეთანის მკვიდრნი, ტრეზენის მახლობლად (ქალაქი პელოპონესის ნახევარკუნძულზე), დიდი ქარიანობის დროს სულ იმის შემწი იყვნენ, ემანდ ვენახები არ გაგვიფუჭოსო, ამიტომ, ქარი რომ ჩაეცხროთ, ვენახ-ვენახ თეთრი მამლით დადიოდნენ, ქარის ჩადგომისთანავე კი მშაბლს იჭვე, მიწაში მარხავდნენ.
2. ფილიბერტ დელორმა (1515—1570) ... — სახელგანთქმული ფრანგი ხუროთმოძღვარი, რომელსაც რაბლე ახლოს იცნობდა.
3. ... ოქსიდრაკნი, რომელნიცა მტერსა იმით ერეოდნენ, რომ პირდაპირ ბრძოლისა ველზედ თავსა ატეხდნენ ელვასა, ... წამერთ მესავდნენ და ადგილზედვე ხოცავდნენ... — ძველბერძენი მწერლის ფილოსტრატე ფლავიოსის ცნობით („ცხოვრება აპოლონ ტიანელისა“, II, 33), ღმერთებს ისე უყვარდათ ჩრდილოეთ ინდოეთში მოსახლე ოქსიდრაკთა ტომი, რომ ომიანობის უამსა ამ ტომს შებრძოლებულთ ცით მესსა და ათას უბედურებას ატეხდნენ თავსა და სპობდნენ.

თავი LXII

1. ფრონტონი — როგორც ჩანს, სექსტუს იულიუს ფრონტონი (40—105) უნდა იყოს, რომაელი მხედართმთავარი, ავტორი წიგნისა — „სამხედრო ეშმაკობანი“.

თავი LXIII

1. პანეფი — პირმოთნეობა (ებრ.).

თავი LXIV

1. დაიხსომე ეს ბრძნული ანდაზა... — სინამდვილეში ეს ანდაზა ასე ელერს: „ყმაწვილ ანგელოზთაგან ბებერი ეშმაკნი გამოდიან“.
2. ოდეს ჩრდილი ათი ფუტის სიგრძისაა. — ესე იგი როცა ჩრდილი მზის საათის მეათე ჭდეს ეცემა.
3. სახელგანსმენილი მეფე პეტოსირისი ამ მხრივ სხვარივ იქცეოდა. — პეტოსირისი ლეგენდარული ძველევგვიპტელი ქურუმ-ასტროლოგია, მან დაადგინა საგანგებო რამ რეუიმი, რომლის მიყოლითაც ვითომ ასოცდაექვს წლამდე შეიძლება რომ იცოცხლოს კაცმა. უცნობმა ბერძენმა ავტორმა (სავარაუდოა, ძვ. წ. აღ. II ს.) შეადგინა კარგა მოზრდილი ასტროლოგიური შრომა (ჩვენამდე მხოლოდ ნაწყვეტებმა მოაღწია), რომელიც მეფე ნეხეფსოს და პეტოსირისს მიაწერა. ამრიგად, პეტოსირისის მეფედ მოხსენიებაში რაბლე ცდება.
4. ... არა ივნება არცა ურთი ... აქ ჩამოთვლილ ქვეწარმავალ იძვრისთა და ცხოველთა სია რაბლეს თითქმის მთლიანად ამოღებული აქვს ავიცენას „კანონიდან“. სახელწოდებანი უმეტესად არაბული, ბერძნული და ლათინურია.

თავი LXV

1. არისტოფანე — ალექსენდრიელი ფილოლოგი არისტოფანე ბიზანტიონელი (ძვ. წ. აღ. III ს.), ევროპიდეს ბიოგრაფიის ავტორი.



2. ... ვინც არ შეჰხარის ღვინოსა. — ევრიპიდეს სატირული დრამა „კიკლოპი“, 168.
3. ... დასტურ ესეგვარადვე აყენებდნენ საქეიფო ამინდსა ანტლანტი და ჰერკულესი. — ჰერაკლე შეენაცვლა ერთხელ ტიტან ატლანტს, რომელსაც მხრებით ეჭირა, მხრებზე ეყენა ცისა თალი („ამინდი“), და ჯვითონ შეუდგა მხრებით ცარგვალს.
4. ესოპეს კალათი. ესოპეზე შექმნილ ერთ-ერთ ანექდოტში მწიგნობარმა, ერთხელ მოგზაურობაში სანოვაგით ყველაზე მძიმე კალათის ტარება იკისრაო, მაგრამ ის კალათი დღითი დღე ცარიელდებოდა და მსუბუქდებოდაო.

თავი LXVI

1. განაბიში — ქურდნი (ებრ.).
2. ... ემ კუნძულ-ჭალაკი არცრით განსხვავდება ბრეტანისა და ინგლისის საშუალ რომ კუნძულნი სერკი და ჰერმია, იმათგან... — ამ კუნძულთა მცხოარებნი თავს ესხმოდნენ, ძარცვავდნენ ზღვაოსან ხალხს, ვისაც იქ ახლომახლო გემი ელუპებოდა.
3. პონეროპოლი — ბოროტმოქმედთა ქალაქი (ბერძ.).
4. ეგ შენი ხმისა ამბაეი სოკრატეს დემონიონსა მაგონებს, — დემონიონს უხმობდა სოკრატე თავის შინაგან ხმას, რომელიც წინასწარ აფრთხილებდა ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისას.







რომანი

ინგლისურიდან თარგმნა ვალენტინა ტატიშვილმა

23

ტობი კარგა ხანს იყო გულდამძიმებული. ცდილობდა როგორმე გამოსულიყო ამ მდგომარეობიდან და ამიტომაც გულმოდგინედ მუშაობდა. ისე რომ, ტილერი იძულებული გახდა შეექო თავისი მოწაფე.

მაგრამ ეს ყველაფერი თებერვალში მოხდა, ახლა კი აპრილი დადგა; ის იყო, იმედი აუკიაფდა, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლებდა ამ დათრგუნულ მდგომარეობიდან თავის დაღწევას, რომ ბობის წერილი მიიღო. ამჯერად კარგ ამბებს აუწყებდა: ბობმა სადოქტორო დისერტაცია ორ წელში დაამთავრა, მაგრამ არსებული წესის მიხედვით დისერტაციის დაცვა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შეეძლო, რადგან სადოქტოროს დასაწერად სამი წელი იყო დადგენილი. სამაგიეროდ კოლეჯის საბჭოს წევრად აირჩიეს და ახლა ხელფასი გაცილებით მეტი ექნება, ასე რომ, როგორც კი სახლს მოძებნიან, მაშინვე გადავლენ.

ტობი გაახარა მეგობრის წარმატებამ, მას უყვარდა ბობი.

ახლა ტობის შეუძლია, როცა უნდა შეხვდეს კლერს, თანაც დაუფარავად. მაგრამ საერთოდ შეხვედრის მოთავე ყოველთვის კლერი იყო. თუმცა მუდამ რაღაც საქმეებს იმიზეზებდა, ღმერთმა უწყის რა საქმეებს. ხოლო როცა შეხვედებოდნენ, ისე დაჯინებით ავლენდა ტობიზე თავის უფლებას, თითქოს მათ შორის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო (ტობის ამის გაფიქრებაც არ უნდოდა).

...ანკელოზმა დამსჯელი მახვილით გადაუღობა ტობის გზა ჰედისდონისკენ, მაგრამ ჰლემსფორდის გზა ღია იყო, და თუმცა ჰლემსფორდში უფრო მოწყვნილობა სუფევდა, ვიდრე ჰედისდონში, სამაგიეროდ იქ კლერი იყო! და ტობიმ ძოუხშირა იქ სიარულს.

— ნეტა რას წვალთ, — საყვედურობდა მას კლერი, — ვერაფრით ვერ გადაგიწყვეტია. გაანებე თავი ამ მეცნიერულ ფაფხურს და მამაჩემს სთხოვე დაგეხმაროს. ხომ იცი, დაგეხმარება. მამა მუდამ იმას აკეთებს, რაც მე მომეწონება.

მაგრამ ტობი ჯიუტობდა:

— დაბაცადე ცოტა ხანს, რა ვიცით, იქნებ ჩემგან ეკტონი ან მაკოლეი განივიდეს.



ტობი თავის ცხოვრებიდან ბევრ რამეს უმაღლავდა კლერს, მაგრამ, როგორც გამოირკვა, აქამდე კლერიც რაღაცებს უმაღლავდა. მაგალითად, ტობიმ მხოლოდ ახლა გაიგო, რომ ლენგეინებს მამულის გარდა, ლონდონში, ჩელსეში ჰქონდათ სახლი, და კლერი, როცა საღამოს სადმე წავიდოდნენ, ღამეს იქ ათევდა (მას კი ეგონა, მეგობრებთან რჩებაო), ხოლო კლერის მშობლები სულ ერთი ორჯერ თუ ყოფილან ამ სახლში, რადგან მამულს იშვიათად ტოვებდნენ. კლერი და ტობი ხშირად მიდიოდნენ იქ, როცა მართლ დარჩენა უნდა. ყოველი ასეთი შეხვედრის დროს ტობი თითქოს თავიდან ეცნობოდა მას.

ერთ საღამოს ტობიმ უთხრა:

— ჩემი აზრით, შენ ბოლოს და ბოლოს ალექზე გათხოვდები.

— რატომ? შენ ფიქრობ, რომ მას უნდა გაეყვანო ცოლად?

— შენს ადგილზე მე თავს შევიკავებდი. თუმცა მე ვერ განვსჯი მის თვისებებს, შესაფერი სიტუაცია არ არის.

— შენ ახლა ისეთ სიტუაციაში ხარ, რომ მას შეუძლია განსაჯოს შენი თვისებები, — მიუგო კლერმა და საკმაოდ უხეშად ჩაიციხა. — თუმცა ჯერ რა საჩქაროა, არა? წინ ბევრი დროა.

— მაგრამ ამ ხნის განმავლობაში შენ იქნებ ხელიდან გამისხლტე, — წამოხცდა ტობის. ქვეყანაზე არავის ეტყოდა ამას კლერის გარდა.

— არა მგონია. შენთან კარგად ვგრძნობ თავს.

— თუ გახსოვს, რა მითხარი ჰლემსფორდში, როცა მანქანა დავძარი?

— ჩემო საყვარელო ბებრუხუნა-მეთქი. აბსოლუტური მეხსიერება მაქვს, ასე ამბობს ჩემი რამდენიმე მეგობარი-ინტელექტუალი. ისიც კი მახსოვს, როგორ წამომცდა ჰედისდონში, რომ შენ ნანახი გაქვს ჩვენი ბაღი. რა სულელურად წამოვეროშე.

აი, ეს კი არ უნდა უთქვა: მეიზის ყოველი გახსენება ტობის სევდასა ჰგვრიდა, ცოტა ხნით მაინც. ჩემი წასვლის დროაო, თქვა მან.

— არ წახვიდე რა! ისე კარგად ვგრძნობ თავს შენთან. თუ ოდესმე დავექორწინდით — ოღონდ იცოდე, მე დაპირებებს არ ვიძლევი — გაგებარდება?

ტობი ისევ პირაღმა იწვა და ჭერს შესცქეროდა.

— მე ხომ გროშიც არა მაქვს, — უპასუხა მან.

— სამაგიეროდ მე მაქვს! — მოუთმენლად შეეპასუხა კლერი. — ფულზე ლაპარაკი სისულელეა და მეტი არაფერი.

— სისულელეა, როცა ფული გაქვს.

— არ იფიქრო, თითქოს დაქორწინებას გთავაზობდე. მე და შენ ისედაც კარგად ვერთობით, ხომ ასეა? განა ადამიანს შეუძლია ამაზე მეტი ინატროს?

— მართალი ხარ, — უპასუხა ტობიმ. მას ხომ მართლაც სათუოდ ჰქონდა ყველაფერი.

— შენ პერიკო უნდა გაიცნო. ძალე ჩამოვა გერმანიიდან შვებულებაში. თუ ამ თავზარს გადაიტან, მე და შენ ძველებურად გავერთობით აქ.

მანქანით რომ მიდიოდა შინ, ტობი თავის თავს ეკითხებოდა: მოახერხა თუ არა კლერმა მისი საგონებელში ჩაგდება. ძალიან საეჭვოა, რომ ტობის მისთხოვდეს. ტობის მშვენიურად ესმოდა ეს, მაგრამ ძალა არ შესწევდა უარი ეთქვა ასეთ ბრწყინვალე ოცნებაზე. რა ცხოვრება გადაიშლება მის წინ!



ტობის ძვირად უჯდებოდა კლერთან ურთიერთობა — ასე ვთქვათ, გაუთვალისწინებელი ხარჯები ჰქონდა. თუმცა კლერი ხშირად ღებულობდა მოწვევებს ორ კაცზე და ტობისაც ეპატიებოდა. ტობიმ თავის სიცოცხლეში პირველად შეაძინა სმოკინგი. გარდა ამისა იყიდა საგარეო კოსტიუმი, ტვიდის მამწვანო, წინწკლებიანი, გვერდებზე ჩაჭრილი პიჯაკი. კლერი არწმუნებდა ამ კოსტიუმში ძალიან ელეგანტური ხარო.

იმ საღამოს ტობიმ გადაწყვიტა, კლერთან ბოლომდე გულგანსნილი ყოფილიყო. იცოდეს კლერმა, სად და როგორ ცხოვრობენ ტობის მშობლები. დედამა იუვში რომ ცხოვრობს, ამას ალბათ კლერი ჩვეულებრივად აღიქვამს. ხოლო დედა როგორ აღიქვამს კლერს, ამის გამოცნობა ძნელია. აქამდე კლერზე შინ კრინტი არ დაუძრავს, მაგრამ დედა მიხვდა, რომ ტობისა და მეიზის შორის განხეთქილება მოხდა, და ძალიან გულგატეხილი იყო. შაბათ-კვირას უნდა მივიდნენ შინ, დედა შევამზადო, ეს არც ისე ადვილი იქნებაო, ფიქრობდა ტობი.

ტობიმ, შევიდა თუ არა შინ, მაშინვე უთხრა დედას:

— დედა, ჩაიზე მინდა დავპატიყო ერთი ქალიშვილი.

ჩაიზე დაპატიყება უფრო იოლი და უპრეტენზიოა. ერთხელ ხომ ასწავლა დედას — ჩაიზე მხოლოდ კიტრიანი სენდვიჩები გააკეთეო.

— რომელი ქალიშვილი? — დედის შეკითხვა მკაცრად გაისმა, გუმანით იგრძნო რაღაც ცუდი.

— ჯოგეწონება. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. კლერ ფოლზია. მაღალი, ძალიან მხიარული ქალიშვილია. მამამისი შენ კემბრიჯის გამოფენაზე გაიცანი.

— მამა ვინ არის?.. — ჩაერია ლაპარაკში მისტერ რობერტსი.

მაგრამ მისის რობერტსმა საჩქაროდ გააწყვეტინა:

— ყველას ხომ ვერ დაეიმახსოვრებ, ვისაც გამაცნობენ.

ერთი სიტყვით, საქმე ვერ იყო კარგად.

— დედა, შენ ხომ კარგა ხანს ელაპარაკე მას. ლორდი ლენგეინია.

— ღმერთო დიდებულო, ლორდებიდა გვაკლდა! — წამოიძახა მამამ. — შენ წარმოგიდგენია, ეგენი როგორ მოგვექცევიან?

ტობი შეეპასუხა მამას, შენ მოძველებული აზრები გაქვს, კლერისთანა უბრალო ქალიშვილს იშუიათად შეხვდებით, აუცილებლად მოგეწონებათო. თან თითქოს შემთხვევით დაუმატა: ლორდი ლენგეინი მზად არის დამეხმაროს, თუ დისერტაცია არ გამომივიდაო.

— როგორ თუ არ გამოვივიდა? — დაიძახა მისის რობერტსი, — ისე არ მუშაობ, როგორც საჭიროა?

ტობიმ გულგარეთ გაიცინა, არა, ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ მინდა მხვა შესაძლებლობაც მქონდეს — რა ვიცი, საით გამიწევს გულიო.

— ალბათ ეს ქალიშვილი იმიტომ გიზიდავს, რომ იმედი გაქვს მამამისი დაგეხმარება, არა?

დედა-შვილს შორის ურთიერთგაგებას ბზარი გაუჩნდა და ტობის ძალიან გაუფუჭდა გუნება.

— მამი, ღმერთმანი, ძალიან უბრალო ადამიანია, სულაც არ ყოყლოჩინობს.

— მაგ ოჯახში, ეტყობა, ყველა უბრალო ადამიანია, — განაცხადა დედამ.



— რადგან გადაწყვიტე მისი აქ მოყვანა, ხელს ვერ შეგიშლი, თუ რა თქმა უნდა, მიგვიღებს ისეთებს, როგორებიცა ვართ.

— დედა, — ტობის ხმაში აღშფოთება გაისმა, — ნეტა როდესმე შეიგნებ, იყოთონ ვინა ხარ? გარშემო ყველამ უკვე შეიგნო.

— თუ ასეა, დანიშნე დღე, — დათანხმდა დედა. — ერთი შევხედო, როგორია. მაგრამ დათქმულ დღეს, როცა ალერსიანი და უდარდელმა კლერმა მათ ესტუმრა, მოულოდნელად გამოირკვა, რომ მისის რობერტს საკმაოდ საინტერესო ხერხი მოუფიქრებინა ტობიზე შურის საძიებლად მეიზისტან განშორების გამო. კიტრიანი სენდვიჩები სად იყო, მაგიდა ვეღარ იტევდა გემრიელ საჭმელებს, საკულდაგულოდ, ოსტატურად რომ მოემზადებინა. სუფრა სამზარეულოში იყო გაშლილი.

— მიგვიღეთ ისეთები, როგორებიცა ვართ, კლერ, — უთხრა დედამ, როცა კლერმა ზღურბლს გადმოაბიჯა. — მოხუცებს რაღა შეგვცვლის ახლა.

— რატომ უნდა შეიცვალოთ? — არ დაიბნა კლერი, — აი, ჩემი მშობლებიც არ იცვლებიან, რაც თავი მახსოვს. თანაც თქვენ ხომ ცნობილი პიროვნება ხართ, — კლერმა გარშემო მიმოიხედა. — რა სასიამოვნოა აქ.

კლერმა მშვენიერად მიირთვა მისის რობერტის ნახელავი, თითქმის ისევე, როგორც მეიზიმ.

— ისე დავნაყრდი, მთელი საღამო ლუკმას ვეღარ ჩავიდებ პირში. ისე რომ, ტობი, ნულარ დამიწყებ პატივს. შესანიშნავად ამზადებთ, მისის რობერტს. უნდა გახსოვოთ ზოგიერთი რეცეპტი. მე ძალიან ცუდი მზარეული ვარ.

— ბევრი არაფერი უნდა, — უპასუხა მისის რობერტსმა. — ცოტა წარმოსახვა უნდა მოიშველიოთ.

— მე კიდევ სწორედ ეგ მაკლია, — უპასუხა კლერმა და გაიღიმა თავისი წარტაცვი ღიმილით. ჩაის შემდეგ კლერმა ჰკითხა: თუ შეიძლება ნახატები ვნახო, მაგრამ მისის რობერტსმა უპასუხა, არც ერთი მზად არა მაქვსო. ტობიმ იცოდა, რომ მართალს არ ამბობდა. მაგრამ კლერი არ დაბნეულა:

— იქნებ მეორე მოსვლაზე გამიღიმოს ბედმა.

კლერი ძალიან ცდილობდა დედის გული მოეგო. თავიდანვე ძალიან თავაზიანად ექცეოდა, მაგრამ ახლა მისი ცდა ყოველგვარ ზღვარს გადასცდა: როგორ მუშაობს მისის რობერტსი? წინასწარ მონახაზებს ხომ არ აკეთებს? მუდამ საღებავებით მუშაობდა? (აშკარა გახდა, რომ კლერი მეიზიზე ნაკლებად არ ერკვეოდა მხატვრობაში). და მისის რობერტსიც აჰყვა, უნებურად ჩაერთო ლაპარაკში, მას შემდეგ, რაც ტობი იშვიათი სტუმარი გახდა, ფერწერა ჩემი ცხოვრების არსად იქცაო.

— ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი სურათები ვერ ვნახე, — თქვა კლერმა. — მხატვრობაში ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ თქვენი სურათები, რაც ვნახე, ძალიან მომეწონა.

უცებ მისის რობერტს რაღაც აზრმა გაუელვა თავში:

— კარგი, ერთს გაჩვენებთ. არა, არ ადგეთ, აქ მოვიტან.

ესა თქვა და გაუჩინარდა.

— მაინც მივაღწიე, დავიყოლიე, სურათი მაჩვენოს, მიხარია, რომ დედა ნოლბა. მართალი გითხრა, ძალიან მომეწონს.



მისის რობერტსი დაბრუნდა, სურათი შებრუნებული მოჰქონდა. მერე შე-  
ნათრიალა და სკამის ზურგს მიაყუდა.

მათ დაინახეს ოქროსთმიანი მოდიმარი ქალიშვილი, უფრო სწორად აქ ღი-  
ნილი იყო ხაზგასმულად მთავარი, ვიდრე ქალიშვილი. ამ ღიმილს ძალიან კარ-  
გად იცნობდა ტობი... ქალიშვილი ბალახზე ზის ზიზილებს შორის, კაბაც ზიზი-  
ლებიანი აცვია, მის ზურგს უკან ნათელი, ლურჯი ცაა, რემქელებზე მიმოფან-  
ტულა თეთრი ღრუბლები, ისინი ზარბაზნის გასროლის შემდეგ დარჩენულ კვამ-  
ლის ბოლქვებსა ჰგეანან.

— რა მშვენიერებაა! — წამოიძახა კლერმა (ნახატის აზრს ვერ ჩასწვდა, ვერ  
გამოიცნო) — საოცარია! მშვენიერია! მისის რობერტს, არ შეიძლება მე შევიძი-  
ნო ეს სურათი?

— უკაცრავად, მაგრამ ეს შემიკვეთეს. — მისის რობერტსმა ისევ კედლის-  
კენ შეაბრუნა სურათი. — მიხარია, რომ მოგეწონათ.

— ძალიან, ძალიან მომწონს! თუ შეიძლება, არ წაიღოთ!

— არ ვარგა, როცა სურათს დიდხანს უყურებ. ან რა საჭიროა?

ვინ იფიქრებდა, რომ დედას შეეძლო ასეთი სასტიკი ყოფილიყო, — გაი-  
ფიქრა შეშფოთებულმა ტობიმ. მან ხომ განზრახ გამოიწვია მეიზის აჩრდილი,  
მიუხედავად იმისა, მას არ შეეძლო სცოდნოდა, რომ მეიზი მართლაც კინალამ  
აჩრდილად გადაიქცა.

კლერი კა ვერაფერს მიხვდა, იგი ძველებურად მხიარული და უშუალო იყო.  
ბოლოს, შვიდს თხუთმეტი წუთი რომ აკლდა, კლერი და ტობი წავიდნენ ლუდის  
ბარში, რომელიც შეფერდ-მარკეტზე მდებარეობდა, აქ უნდა შეხვედროდნენ კლე-  
რის ძმას.

გზაში კლერი ჩაფიქრებული ჩანდა:

— არა, არ მოვეწონე. ეტყობა, დედაშენისთვის მხოლოდ მეიზი არსებობს.

— ამაზე ნურაფერს იტყვი, — უპასუხა ტობიმ ისეთი უცხო ხმით, რომ თვი-  
თონვე გაუკვირდა.

მაგრამ კლერი ნაწყენი სულაც არ ჩანდა.

— კარგი, ძვირფასო, როგორც შენ ვინდა, ისე იფოს.

დაბალჭერიან, ჩახუთულ, კვამლით სავსე ბარში მათ უკვე ელოდებოდა კა-  
პიტნის ჩინის მქონე ახალგაზრდა სამხედრო — ერთი შეხედვით გვეგონებოდა,  
ნახევარი დარბაზი მას უჭირავსო: ქერათმიანი, ოქროსფერულვაშიანი, ორი მეტ-  
რი სიმაღლის გოლიათი ძალიან ლამაზი იყო. ის თავისებურება, რაც კლერს  
არ უხდებოდა, ძმას შეენოდა, მამაკაცურ იერს შატებდა. ფორმაში იმიტომ იყო,  
რომ მისი პოლკის ოფიცრები სადილს მართავდნენ და იქ უნდა წასულიყო.

— ჩემი ძმა აივორი, — განაცხადა კლერმა ჩვეული თავდაჯერებულობით, —  
ვერ იტანს თავის მეტსახელს, მაგრამ ადრე თუ გვიან ყველა მაინც მეტსახელით  
ნიმართ ეს ხოლმე. ოღონდ ჯერ ცოტა შეგეჩვიოს. პერიკო, ეს ტობი რობერტ-  
სია, ჩემი ახალი მეგობარი.

პერიკომ ხელი ჩამოართვა ტობის.

— კლერმა მითხრა, ისტორიკოსიაო, როგორ მინდა ისტორია ცოტა მაინც  
კაცოდე!..

— ჯერ თვითონაც არ ვიცი კარგად, დამწყები ისტორიკოსი ვარ.



როცა პერიკო ლუდის მოსატანად დახლთან მივიდა, კლერმა უთხრა:

— მას ყველა ელოლიავება.

— წარმომიდგენია.

— ტიტული, — აუხსნა კლერმა, რომელიც ტობის ფიქრებს მრუხვდა და აგრძნობინა კიდევ ეს თავისი უსიამოვნო გულახდილობით. — თანაც მომავეალში საკმაო ფულის პატრონი იქნება, თუმცა დედაც და მამაც ვერც კარგად გრძნობენ თავს. არ ვიცი, რა მეშველებოდა უდემამოდ, მაგრამ მათ სულს არ უნდა ვეღვლებათ, მე რას ვაკეთებ. ზოგჯერ მეჩვენება, ჩვილი რომ ვიყო, ადვილად მომიშორებდნენ, სადმე მიმაგდებდნენ ბედის ანაბარა-მეთქი. პერიკომ კი ის უნდა გააკეთოს, რასაც მშობლები ეტყვიან. იგი ხომ, „გვარის გამგრძელებელია“. სხვათა შორის პერიკო ნიუ-კოლეჯში ანტიკურ ხანას სწავლობდა, ისე რომ, არ მოგატყუოს, იგი მხოლოდ თავს გაჩვენებს იდიოტად. საკმაოდ კარგად ჩააბარა პირველი გამოცდა ბაკალავრის ხარისხზე, მაგრამ უცებ ოქსფორდიდან სანდრპერსტში ისეკუბა. აი, იქ კი ისე იგრძნო თავი, როგორც თევზმა წყალში.

კლერი ძალიან ცოცხლად, ხატოვნად უამბობდა ძმის ამბებს. ტობიმ გაცივნებაც ვერ მოახწრო, რომ პერიკოც დაბრუნდა, ლუდის კათხებით ხელში.

— Scoll! — თქვა მან და ტობის ლუდის ქაფს ზემოდან შეხედა თავისი თბილი, ლურჯი თვალებით. — მამ, სადოქტოროს წერთ?

— ვწერ, მაგრამ არ ვიცი, დავამთავრებ თუ არა.

— უნდა დაამთავროთ, — თქვა პერიკომ მოულოდნელი სიმტკიცით. — არ კარგა დაწყებული საქმის შუა გზაზე მიტოვება. მე ვიცი ეს. მაგრამ მე მოვახერხებ მთლიანად სხვა საქმეზე გადართვა და არმია ჩემი ცხოვრება გახდა, თუმცა ისიც მესმის, რომ მას მომავეალი არა აქვს.

— ისეთი ბრძოლები, ჩვენ რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ გვქონდა ესპანეთში. უფრო ბრწყინვალე პერსპექტივებს უქადდა მას, არა? — თქვა ტობიმ და პერიკომაც ფართოდ, წარმტაცად გაიღიმა, ზუსტად ისე, როგორც მის დას სჩვეოდა.

— ახლა გერმანიაში ტყუილად ვკარგავთ დროს, იქ უკვე აღარ ვჭირდებით. სამხედრო ფორმით ვკოპწიაობთ, აღლუმებს ვაწყობთ, და ეს ყველაფერი რაღაცის გულისთვის, რაც უკვე წარსულს ჩაბარდა.

— იცით, — განაგრძო პერიკომ (იქნებ სხვებთან ისულებებდა თავს, მაგრამ ტობისთან არ იქცეოდა ასე), — ერთ დროს შორეულ აღმოსავლეთში ვიყავით თუმცა მცირე ხნით. ერთხელ მალაკაში სასაფლაოზე დავხეტილობდი და აუარება ინგლისურ გვარს წავაწყდი საფლავის ქვებზე: სამხედროები, ექიმები, მღვდლები, ვაჭრები... და უეტრად ასეთი ახრი დამებადა: ჩვენი პაპები, მიუხედავად მათი ნაკლოვანებებისა, ჩვენზე გაცილებით უკეთესები იყვნენ, მეტი ვაჟკაცობა ჰქონდათ. იქნებ მთლად კარგად არ იყენებდნენ მას, მაგრამ ფაქტია: ვაჟკაცობას ვერ ჩამოვართმევთ. და მაინც, — დაუმატა პერიკომ (კლერი ამკარად კმაყოფილი უგდებდა მათ ყურს), — დიდი სანტიმენტალობით ნუ მოვიხსენიებთ მათ. — პერიკომ საათს დახედა. — ერთი კათხა ლუდის დალევას კიდევ მოვასწრებთ, და მერე წავალ ამ სანტიმენტალობაში საბანაოდ. კიდევ კარგი, რომ ქალების დასწრება აკრძალულია, თორემ ერთიც ვნახოთ და კლერი გამომცხადებოდა იქ...

ამჯერად ლუდის ფული ტობიმ გადაიხადა.

პერიკო ძალიან მოეწონა ტობის. ნეტა სხვებთან როგორია: იქნებ ლენჩი ჰკონიათ? ამ ოჯახში ყველა რაღაც ნიღაბს ატარებს, გარდა ლედი ლენგეინისა.

## 1. თქვენი დღეგრძელობისა იყო (სკანდინავიურად).



ვიდრიანის წერილი:

„ჩემო ტობი, აქ ყოფნა საშინელებაა და არ შემიძლია ვინმეს გული არ გადავუშალო. და ეს ვინმე შენა ხარ, რამეთუ შენ შეგიძლია გაიგო ყველაფერი, გაუგო ყველას, ალბათ ამიტომაც შენ გაკითხავენ ხოლმე შენი ქვეყნობის წარსული გულისტკივილის გასაზიარებლად. მეც იმათ რიცხვს ვეჭვობ, რომ ვინმეს ასულაც არ მინდა, რომ უცებ ადგე და ღინკოლნშირში გამოქანდე ჩემი გულისთვის.“

ჩვენს სამრევლოში შვიდასი ალაძიანია, მაგრამ კიდევ ორი სამრევლოს მომსახურება გვიწევს. მოხუცებული მამა სიტონი, ჩემი აზრით, ძალიან ავადმყოფია, თუმცა ცდილობს სხვებს დაუმალოს ეს. ამიტომაც მხოლოდ საკვირაო წირვას ასრულებს, ყველა დანარჩენს კი მე.

ახლა აღვიწერ ერთ სასაცილო ამბავს, რაც ამას წინათ დამატყდა თავს (გწერ, სასაცილო-მეთქი და სინდისმა შემაწუხა: იქნებ სულაც არ არის სასაცილო?). ჩემი მრევლის ერთმა ქალმა, მისის ალენმა, ჩაიჭყდა თავში, რომ ეშმაკითაა შეპყრობილი. მაიძულა, მასთან მივსულიყავი, ჩაი და ნამცხვარი მომართვა (მღვდელმსახურები იძულებულნი არიან, რომელ საათზეც არ უნდა მიართვან, და სულერთია — რა, მაინც შეჭამონ, რადგან არ იციან, სად და როდის მოუწევთ კიდევ დანაყრება.) და ჩაის შემდეგ ხვეწნა დამიწყო: განდევნეთ ჩემგან ეშმაკიო.

ჩვენ ვილოცეთ, ქალი კი თავისას გაიძახოდა: ეშმაკი დამეუფლო, თუმცა ხედავდა, რომ მე არა მჯეროდა. მერე ბნელიანივით დაიგრიხა და თავს ისე ურტყამდა ღამაზ ვალიურ ბუფეტს, რომ თეფშები ძირს გადმოცვავდა, კიდევ კარგი კალის თეფშები იყო და არ გატეხილა. აღარ ვიცოდი რა მექნა. ვიჯექი და ვუცდიდი, როდის დამშვიდდებოდა. ხოლო როცა დაწყნარდა და ფეხზე წამოვაყენე, მომაფურთხა, მერე ისევ იატაკზე დაჯდა და თქვა: აბა, ახლა განდევნით თუ არა ჩემგან ეშმაკსო. მე ვუპასუხე: ეპისკოპოსს დავეკითხები-მეთქი. დიდ პატივს დამღებთო, მამათ, მიპასუხა მან. ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხე იქიდან წამოსულა. მართალი გითხრა, არასოდეს შევმჯდარეარ ჩემს ძველ ველოსიპედზე ასეთი გახარებული, როგორც მაშინ.

იქნებ ეცდები, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ მატყუებდა. ასეთ ამბებს მუდამ ეჭვით ვუყურებდი და ახლაც შეეჭვება.

ახლა კიდევ ერთ უფრო სერიოზულ ამბავს ვიამბობ. მისის ფლიკსბის შეგება. ორმოცს მიახლოებული ქალია, ძალიან ღამაზი. ყოველდღე მოდის ჩემთან და ჩივის: ქმარი არ გამომადგა და მიირჩიეთ, რა ვქნაო.

დაახლოებით ამას ამბობს ხოლმე: „ეჰ, მე რომ თქვენნაირი კაცი შემხვედროდა...“ მე ისღა მრჩება, აეუხსნა, რას ნიშნავს ქორწინება ქრისტიანული წესის მიხედვით. გულახდილად უნდა გითხრა, თუმცა ეს საზიზღარ თავმომწონეობას წააგავს, მგონი, ამ ქალს მოეწონვარ.

(ეს ქალი არც პირველია და არც უკანასკნელი, გაიფიქრა ტობიმ).

ისიც მესმის, რომ ასეთ გადაკარგულში ქალი გაწამებულია, მოწყენილი და გაღიზიანებული, მრევლის მღვდელი კი ერთადერთი კაცია, ვისთანაც მისვლა შეუძლია. მართალი გითხრა, ამ ამბებისგან ტვინი მაქვს არეული.

ზოგჯერ ვფიქრობ: ნეტა მღვდელი არ გავმხდარიყავი, შევცდი, ქვისმთლე-ლი რომ ვყოფილიყავი, საზოგადოებას მეტ სარგებლობას მოუუტანდი-მეთქი. დიდი მადლობა, რომ ასეთი მოთმინებით კითხულობ ჩემს წერილს. შუალამისას გწერ, სხვა დროს მოუცლელი ვარ. შენ როგორა ხარ? ცოტა გვიან გამახსენდა,



არა? თვითონვე ვიცი, მაგრამ ხშირად ვფიქრობ ხოლმე შენზე. აბა, კარგად იყავი, მეიზი მომიკითხე“.

ტობიმ ბოლო გვერდზე მინაწერი აღმოაჩინა: „რიტა ისევ მწერს წერილებს. ნეტა მისგან განდევნოს ვინმემ ეშმაკი“.

პასუხად ტობიმ ძალიან თბილი წერილი მისწერა, მაგრამ ეიდრიანის შველა, რაღა თქმა უნდა, არ შეეძლო. მხოლოდ ურჩია: რიტას წერილებზე ნუ წაუკითხავად დახიე ან გაუხსნელი გაუგზავნე უკან, თუმცა ეს მეტრე უარყოფით ქაშიშია, გაითუ, ბობმა გაიგოსო. რაღა თქმა უნდა, რიტა ძალიან მომაბეზრებელი ვინმეა, ჩემს დღეში ასეთი აკვიატებული აზრით შეპყრობილი არავინ მინახავსო. მეიზიზე არც ერთი სიტყვა არ მიუწერია.

ეიდრიანის წერილის შემდეგ დიდი შვება იყო პერიკოსთან შეხვედრა, რომელმაც თავის კლუბში დაპატიუა. მამაკაცების ფეშენებელურ კლუბში პირველად მოხვდა და იქაურობამ მოხიბლა: ტობის მოსწონდა მოხერხებული ტყაყის საყარძლები, რომლებსაც სიძველის სუნი ასდიოდა, მოსწონდა ისიც, რომ რიტას, და კლერსაც კი, არ შეეძლო ამ ზღურბლის გადმოლახვა. საერთოდ, ქალები უყვარდა, მაგრამ ახლა დაასკვნა: ზოგჯერ უქალებოდ დარჩენაც კარგიაო. ტობის პერიკოს დაპატიუებამ ცნობისმოყვარეობა აღუძრა: ეტყობა, ლენგეინების ოჯახში ყველა კარგი აზრისაა ჩემზეო, სიამოვნებით გაიფიქრა მან. პერიკო დივანიდან წამოიმართა.

— გამარჯობა. რა კარგია, რომ მოხვედი, თორემ აქ ისეთი მოწყენილობაა.

— არ მესმის, აივორ, რატომა ხარ მოწყენილი.

— ნეტა შენ აივორს არ მეძახდე! სულერთია, ადრე თუ გვიან მაინც ამ საზიზღარ ზედმეტ სახელს დამიძახებ. ყველას ასე ეძარტება. ხოლო მოწყენილი იმიტომ ვარ, რომ შვებულებაში ჩამოსული ვალდებულად ვთვლი თავს ორისამი საღამო აქ გავატარო. კლუბში ყველა ხნიერია, და ყოველ ჩამოსვლაზე უფრო დაბერებულები მხვდებიან. მე კი ზოგჯერ მხიარული ლაქლაქი მინდა. კლერმა მოკითხვა შემოგიითვალა.

უკვე ათი დღე იყო, ტობის კლერი არ ენახა.

— შენ კიდევ ჩემგან გადაეცი მოკითხვა. ეტყობა, ძალიან დაკავებულია.

— ღმერთო ჩემო, ნეტა რით უნდა იყოს დაკავებული? არ მესმის, რატომ არ იშოვნის რაიმე მუდმივ სამუშაოს. დედა მშვენივრად იდიასახლისებს.

— მაგრამ, რაღა თქმა უნდა, სულაც არ არის აუცილებელი მისი მუშაობა, — გამომცდელად თქვა ტობიმ.

— რა თქმა უნდა, არა, — უპასუხა პერიკომ. — გაისად კლერი თავისი თანხის მფლობელი გახდება, რომელიც თავის დროზე მშობლებმა შეიტანეს მის სახელზე. მეც მივიღე ჩემი წილი. — ტობიმ გაიფიქრა: ასეთი გულახდილი კაცი კვეყანაზე არ მოიძებნებაო. — მაგრამ არ მომწონს, ასე უსაქმურად რომ არის.

მერე ტობის ჰკითხა: რა გეგმები გაქვსო.

— წლის ბოლომდე დისერტაციაზე ვიბუშავებ, მერე კი საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მივიღო.

— კლერი ამბობს, თუ მოხერხდა ეს საქმე, ჩვენი მოხუცი აღბათ რამეს შესაძლებსო.

ტობი გაოცებული დარჩა: ასეთი ოჯახი ძალას ატანს მას, ეს ხომ ნამდვილი ძალის დატანებააო. მას გაახსენდა თავისი სახლი იუვში და თავისი ოჯახის ყველაზე გამოჩენილი წევრი — დედა.



ამ დროს პერიკომ უთხრა, სადილის დროაო, და ახალგაზრდები სასადილოში წავიდნენ, რომელიც მუქი ხის პანელებით იყო შეფიცრული.

ყავას და კონიაკს რომ სვამდნენ, პერიკომ უთხრა: მე და კლერი მეგობრები ვართო.

— ხდება ხოლმე, რომ და-ძმა ძაღლსა და კატასავით ცხოვრობენ, შინახავს ასეთი რამ, საშინელი სანახაურია. მე და კლერი კი არა, ძაღლებსა და კატებს ვუყვარვართო.



— მე მგონი, ყველას ამხიარულებს.

— ხშირად ვართ ერთად. გერმანიაში რომ ვარ, გრძელ წერილებსა მწერს. მამა საერთოდ არა მწერს, დედა კი სურათებიან ღია ბარათებს მიგზავნის, ეტყობა, მიაჩნია, რომ ხშირად უნდა გამახსენოს ინგლისი: წმ. პავლეს ტაძარი, ტაუერი, ბრუკლინის სასახლე, რას არ მიგზავნის, — თქვა პერიკომ და პატარა კოვში ღონივრად მოურია ყავას. — მგონი, კლერი გატაცებულია შენით.

— მე თვითონ ვარ გატაცებული კლერით.

— უნდა გითხრა, ადრეც ყოფილა გატაცებული, მაგრამ ამჯერად სერიოზულად არის საქმე, და არ მინდა, რომ მიტოვებული დარჩეს. — პერიკო პირველად აღაპარაკდა, როგორც ოჯახის მომავალი უფროსი, თანაც დიდგვაროვანი ოჯახისა (ყოველ შემთხვევაში, გაიფიქრა ტობიმ, ტიტული ამ ოჯახმა მონდი გრეგორის<sup>1</sup> ყალთაბანდობამდე მიიღო). ამის გაფიქრებაზე ტობი გამხიარულდა, მაგრამ ამავე დროს ყურადღებაც დაძაბა. — იქნებ ეს ჩემი საქმე არ არის, — განაგრძო პერიკომ, — მაგრამ, მართალი გითხრა, თითქმის არასოდეს ვიცი, რა არის ჩემი საქმე და რა არა. რაც თავში მომივა, იმას ვამბობ.

მამ ასე, ვნახოთ ამას რა მოჰყვება, გაიფიქრა ტობიმ.

— მისმინე, — თქვა პერიკომ, — თუ რამეს აპირებთ, ჩვენი მხრიდან წინააღმდეგობა არ იქნება. თქვენი მხრიდან?

ეს ისე წააგავდა დინასტიური ქორწინების საკითხის გადაწყვეტას, რომ ტობი მთლად დაიბნა და მიკიბულ-მოკიბულად უპასუხა:

— მე არ ვაპირებ კლერის მიტოვებას, მაგრამ მინდა იცოდეთ: არც მას და არც მე ჯერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

— რას ამბობ! კლერმა უკვე გადაწყვეტა და კიდევ მიაღწევს იმას, რაც უნდა. შეიზი ფერარს თუ ხვდები? ადრე დროდადრო დავდიოდი ჰედისდონში, მაგრამ, ჩემი აზრით, იქ მეტად ამაღლებულად ლაპარაკობენ. სულ მეშინოდა: ახლა რაღაცას მკითხავენ და ვერ ვუპასუხებ-მეთქი. ხეპრედ ვგრძნობდი თავს.

ტობიმ ჩაიციხა. ვის ვის და, პერიკოს ხეპრესი არაფერი სცხია. მაგრამ ეს ლაპარაკი რაღაც არარეალური ეჩვენებოდა, თითქოს სიზმარში ლაპარაკობდნენ.

— შეიზის ბოლო დრო იშვიათად ვხვდები, — თქვა ტობიმ, თუმცა სინამდვილეში სულაც არა ხვდებოდა.

— შეიზისა და კლერს შორის რაღაც გაუგებრობა ხდება, — თქვა პერიკომ, — ადრე ახლო მეგობრები იყვნენ, ახლა კი აღარა.

რას იზამ, საკმაოდ აშკარა გაფრთხილებაა, გაიფიქრა ტობიმ, პერიკოს კი უპასუხა:

— სამწუხაროა, — და ამის შემდეგ ორივემ ამოწურულად ჩათვალა ეს თემა. ტობის ჯერ ისევ უცნაურ სიზმარში ეგონა თავი. ნეტა ყველა სიკეთე თავი-

1. არამზადა, რომელიც საუკუნის დასაწყისში ფულის წყალობით შოულობდა ტიტულებს.



სათ რატომ უვარდება ხელში? მის წინ ფულების გროვია, გაიწოდე ხელი და შენი იქნება. მომაყალი პერი მისი ცოლის ძმა გახდება. რომ მოინდომოს, ლენკეინი აუცილებლად უშოვის სამუშაოს. ტობი უარს არ იტყოდა კლერის ცოლობაზე, და თუ როდისმე დააპირა ცოლის შერთვა, მის მეტს არავის ესურვებს. მაგრამ დრო ფიცხი ცხენით სწრაფად მიჰქროდა, უფრო სწრაფად, ვიდრე ტობის უნდოდა. ნეტა ქალიშვილები ასე ძალიან რატომ ცდილობენ მის ხელში ჩაგდებას? ჯერ ხომ იგი ვერაფერს შესთავაზებს მათ. არა, ტობის უნდა, რომ ცოლის შენახვა შეძლოს, მისი ხარჯები თვითონ გადაიხადოს. საქმე ის არის, რომ ტობის დამოუკიდებლობის გამძაფრებული გრძნობა აქვს.

ტობიმ ეიდრიანზე გადაიტანა ლაპარაკი და დარჩენილი დრო ამ თემას მოანდომა. ბოლოს პერიკომ საათს დახედა.

— ამიერიდან მაშინ შევხვდებით, როცა შევებულებაში ჩამოვალ, — უთხრა პერიკომ. — ბედნიერად!

25

ტობის გაუკვირდა და თან ყურადღება დაძაბა, როცა შუა ივნისში მიიღო მეიზის მეგობრული, მაგრამ საკმაოდ ცივი წერილი: დედამისი ორმოცდაათი წლისა გახდა და სახეიმო ლენჩზე ეპატიჟებოდა ჰედისდონში — ამანდას უნდა, ყველა მისი მეგობარი ჩამოვიდესო.

ტობიმ უცბად ვერ მოისახრა: მეიზის წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ ტობიმ იცოდა, მეიზიმ რომ თავის მოკვლა სცადა. ამის შესახებ არავინ იცოდა, ელუარდის, მნე ქალისა და ტობის გარდა. ამანდას, რა თქმა უნდა, მიაჩნია, რომ მისი და მეიზის რომანი დამთავრდა. თუმცა ტობიც ამ აზრისაა. მეიზი დაფინებით სთხოვდა: ამჯერად შენი მშობლებიც უნდა წამოიყვანოს. წერილი მთავრდებოდა ჩვეული თავაზიანი შეკითხვებით ჯანმრთელობაზე, სამუშაოზე და ა. შ.

როცა მშობლებს უთხრა, ფერარსებთან ხართ დაპატიჟებულიო, მამამ განაცხადა:

— კარგი ერთი! როგორ ჰგონიათ, კიოსკს ვის დაუუტოვებ?

სამაგიეროდ მისის რობერტსი დაეთანხმა, რამაც ტობი გააკვირვა.

— თუ ასე ძალიან ხურთ, მე წამოვალ, მართალი გითხრა, მინდა ერთხელ მაინც შევავლო თვალი ამ უმშვენიერეს ჰედისდონს. გარდა ამისა მეიზის ნახვაც მინდა. მანქანით წამიყვან? თუმცა იქ წყლიდან ამოყვანილი თევზივით ვიქნები, მაგრამ არა უშავს, თუ მისის ფერარსის ბრძენ სტუმრებს რაღაცის გაკეთება შეუძლიათ, მე ხატვა შემიძლია.

ამ დროისათვის მისის რობერტსს უკვე მყარი მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული, თუმცა საკმაოდ მოკრძალებული, და ვალერეის პატრონს მისი სურათებიდან კარგი შემოსავალი ჰქონდა.

ტობამ მისწერა მეიზის: დედასთან ერთად ჩამოვალ, ოღონდ სადგურში ნუ დაგვხვდებით, მანქანით წამოვიყვანო.

ფერარსებთან ივნისის ცივ წვიმიან დღეს ჩავიდნენ. წვიმა ხეებზე შხაპუნებდა, ლამის მიწაში ფლავდა ყვავილებს. არა, ეს ამანდას ამინდი არ იყო.

— კიდევ კარგი, თბილი საცვლები ჩავიცვი, — თქვა მისის რობერტსმა.

დედა ნერვიულობას არ ავლენდა, ისევე, როგორც კემბრიჯის გამოფენაზე. მას გამბედაობას მატებდა ის, რომ საგანგებოდ მეიზის სანახავად მიდიოდა. დედა-



შვილი ჰედისდონში დაგვიანებით ჩავიდა, სტუმრები უკვე შეკრებილიყვნენ: ცოლ-ქმარი ლენგეინები (მოირას, რა თქმა უნდა, არყიანი ჭიქა ეჭირა) და კლერი, რამაც ტობი ძალიან შეაშფოთა. პიტერ კოკსონი, ედუარდი, თავაზიანი, მაგრამ გაუცხოებული. ახალგაზრდა შოტლანდიელი მხატვარი ქალი, რომელმაც ახლახან წარმატება მოიპოვა. სიმებიანი კვარტეტი. ხელოვნების კრიტიკოსი. პიანისტი, რომელმაც საბჭოთა კავშირში საერთაშორისო კონკურსზე დაიმარჯვა. აგრეთვე ამანდას რამდენიმე ხნის მეგობარი.

დედა-შვილს მეიზი შეეგება, მშვიდად, დარბაისლურად. შარვალი (ტობის ადრე არასოდეს უნახავს შარვალში) და მსუბუქი სვიტერი ეცვა. მეიზიმ გადაკოცნა მისის რობერტსი. სწორედ ამ დროს ამანდამ კიბეზე ჩამოირბინა ყელზე შემოხვეული შარფის ფრიალით და მისის რობერტსს გადაეხვია, თუმცა დედას ერჩინა აეცდინა ეს.

...მერე სასტუმრო ოთახში ისხდნენ, სადაც მოგუზგუზე ბუნარი სიმყურღოვს ქმნიდა. კლერი ხაზგასმულად თავდაჭერილად იქცეოდა ტობისთან, რომელიც მიხვდა — რატომაც. რას იზამ, მისი ტაქტით მხოლოდ აღფრთოვანება შეიძლება.

ტობიმ ამანდას საჩუქარი მიართვა: ძველებური, ვეჯკუდის ფაიფურის პატარა ზარდახშა — აბებისათვის.

— გილოცავთ დაბადების დღეს, დიდი ხნის სიცოცხლეს ვისურვებთ.

— რა მშვენიერია! — წამოიძახა ამანდამ. — მე ხომ მუდამ თან დამაქვს ასპირინი, ყოველი შემთხვევისათვის, დიდი ხნის სიცოცხლეო, მითხარით? მაინც რამდენი ხნის? ჩვენს ოჯახში დიდხანს არა ცოცხლობენ, მაგრამ ოც წელს, მგონი, კიდევ ვიცოცხლებ.

სტუმრები ჯგუფებად დაიყვნენ, მხოლოდ მისის რობერტსი იჯდა სავარძელში, თითქოს არც სტუმრებმა, არც სახლმა არ მოახდინა მასზე არავითარი შთაბეჭდილება, თუმცა ტობიმ შენიშნა, როგორ გაუბადრა სახე, როცა ჰოლის კედლებზე თავისი სურათები დაინახა. ახლა დედა ყურადღების ცენტრში იყო, მის გარშემო იდგნენ: კლერი, ლენგეინი, მოირა და ედუარდი.

ტობიმ პიტერ კოკსონთან გააბა ლაპარაკი. მათთან მეიზი მივიდა. ვარგუნულად ყველაფერი ჩვეულებრივად ჩანდა: ქალიშვილი ორ ახალგაზრდა კაცს ელაპარაკება. რა საწყენია, თქვა მეიზიმ, რომ ეიდრიანმა ვერ შეძლო ჩამოსვლა, ეტყობა, ლინკოლნშირში ჯდომა უწერიანო.

— მეც გავიგე ეიდრიანის ამბავი, — უცებ გამოაცხადა ოთახის მეორე კუთხიდან კლერმა, რომელსაც მისის რობერტსი ზედ არ უყურებდა. — პერიკომ მიაშბო.

— ოჰ, შენ პერიკოსაც იცნობ? — მიმართა მეიზიმ ტობის.

— როცა ჩემს ვაჟიშვილს აქებენ, გულს შეფონება ხოლმე, — ჩაერია მათ ლაპარაკში მოირა ლენგეინი.

მისმა ქმარმა კი ტობის ჰკითხა:

— როგორ არის საქმე, ყმაწვილო, მოიფიქრეთ რამე თქვენი მომავლის შესახებ?

— ფიქრით ბევრს ვფიქრობ, ოღონდ საბოლოოდ ვერაფერი გადავწყვიტე.

ტობი დედასთან ზურგშექცეული იდგა, მაგრამ ტანმა იგრძნო დედის მახვილი მხერა.

ბოლოს სტუმრები მაგიდისკენ გაემართნენ. ამანდამ, როცა დარწმუნდა,



რომ ყველა მისთვის მიჩენილ ადგილზე დაჯდა, ღიასახლისის მოვალეობის შესრულება დაიწყო.

— ჩემო ძვირფასებო, — განაცხადა მან, — ჭამას რომ მოვრჩებით, ფილიპი (ასე ერქვა პიანისტს) დაუკრავს, იგი თავაზიანად დაგვეთანხმება და შემოგთავაზათ, თქვენ შეუკვეთოთ მუსიკა.

ამან სტუმრები აღაფრთოვანა.

ლენჩის შემდეგ სტუმრები ისევ სასტუმრო ოთახში დარჩნენ, მათ არაფერი შეუკვეთიათ, პიანისტს მიანდეს, რაც თვითონ უნდოდა, ის დაეკრა. შესანიშნავი შემსრულებელი გამოდგა — ამას ტობიც კი მიხვდა. ხოლო დედამისს, ეტყობა, თანდაყოლილი უნარი ჰქონდა ხელოვნების ყველა დარგში გარკვეულიყო. იგი მღუმარედ იჯდა, თავი ოდნავ გვერდზე გადაეხარა, თითქოს ასეთი მუსიკის მოსმენა მისთვის ჩვეული ამბავი იყო.

ფილიპი ფრანგი კომპოზიტორების მუსიკას უკრავდა: დებიუსს, რაველს, ფორეს. კონცერტი ერთ საათს გაგრძელდა, მერე პიანისტი ადგა და უცნაური სიმტკიცით, ის კი არაღა, ოდნავ გამომწვევადაც, დახურა პიანინოს სახურავი.

ისე შესანიშნავად უკრავდა, რომ კერც ერთმა მსმენელმა ვერ მიაგნო ღირსეულ სიტყვებს მის შესაქებად.

— უდიდესი სიამოვნება მივიღე, — მიმართა მისის რობერტსმა მეიზის.

— თქვენ ნამდვილი დღესასწაული მომიწვევით, ფილიპ, თქვენ და მისის რობერტსმა.

მერე საერთო საუბარს დაიწყო, სტუმრები ხმამაღლა გასძახოდნენ ერთმანეთს დარბაზის ერთი კუთხიდან მეორეში, და, ეტყობა, ეს არავის ეჩოთირებოდა.

ზუზუნი, კვამლი, ჰედისდონის იღუმალის ბრწყინვალება... ალბათ უკანასკნულად ვარ აქ, გაიფიქრა ტობიმ. მას მართლაც აგრძნობინეს, რომ აქ უცხო იყო, რომ საერთო სიყვარულით აღარ სარგებლობდა. მაგრამ ახლა ის მაინც გაიგო, რატომ დაბატიყეს: იმიტომ, რომ დედა მიეყვანა. ამის გაფიქრებაზე ტობის სიამაყით ავესო გული.

და აი, წასვლას დროც დადგა. მისის რობერტსი ქათინაურებით აავსეს. ამანდამ გადაკოცნა. ეღუარდმაც გამოთქვა ამის სურვილი, მაგრამ დაუმატა: ვერა ებედავო, დედისაგანაც არ მიუღია თანხმობა. კლერი და ლენგეინი მივიდნენ დედასთან და ხელი ჩამოართვეს. რობერტსები მანქანამდე მეიზიმ გააცილა, რომელსაც თვალები უბრწყინავდა. მეიზის უკან ეს ეღუარდი მოჩანდა, თითქოს წარაუღობდა, არავინ აწყენინოსო. რა უცნაურია, ეტყობა, მართლაც ველარასოდეს ვნახავ მეიზისო, გაიფიქრა ტობიმ.

მეიზიმ თქვა:

— მალე ისევ ვნახავთ ერთმანეთს, — მაგრამ ტობის ძალიან ეპარებოდა ამაში ეჭვი. — მისის რობერტს, ძალიან მადლობლები ვართ, რომ ჩამოხვედით. ვერც კი წარმოიდგენთ, რა სიხარული მოგვეგვარეთ, განსაკუთრებით დედას.

— თქვენ დიდი პატივი დაგვდეთ, — უთხრა ეღუარდმა, — ჩვენ კარგად გვესმის ეს.

— მე კი მესმის, თქვენ რა გააკეთეთ ჩემთვის, და არასოდეს დავივიწყებ, — უპასუხა მისის რობერტსმა. თან მეიზის უყურებდა.

ტობიმ უცებ დაძრა მანქანა და დაინახა, რომ მეიზიმ ხელი ასწია, თითქოს ემშვიდობებოდა. ღიახ, ვიეჭვიანებ მის ქმარზე, ოდესმე ხომ გათხოვდებაო, გაიფიქრა მან. მთელი ეს დღე კლერი არც კი გახსენებია. ახლა ისევ დაიწყებს მასზე ფიქრს.



— უცნაური კია მთელი ეს აურზაური, — თქვა მისის რობერტსმა. ბოლო დროს მან რამდენიმე თანამედროვე გამოთქმა შეითვისა და ლამის სიამაყით ხმარობდა მათ. — თუმცა მუსიკა ძალიან მომეწონა. მინდოდა მეოქვა, პიანისტი-მეთქი.

— მისგან, ეტყობა, დიდი მუსიკოსი გამოვა. ეს შენში <sup>თრთოლვას</sup> არ იწვევს?

— ყველა ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც დიდი მოსაყვარე <sup>ერჩენს</sup> ეწვევს ხემაში თრთოლვას, — განაცხადა მისის რობერტსმა, — ამანდა კი საოცარი ვინმეა, ხემა დღეში არ მინახავს ასეთი ქალი.

— და ვედარც ნახავ.

წვიმის თხელი საფარიდან მზურვალე, მოყვითალო-მონარინჯისფრო მზემ გამოიხედა. მერე ცაზე უშველებელი, უჩვეულოდ გაშკაშა ცისარტყელას რკალიც გამოჩნდა.

— აუცილებლად უნდა დავხატო, თუ შეეძლება!

— რა თქმა უნდა, შეძლება.

ცოტა ხანს მდუმარედ მიდიოდნენ. დედა სველიან ფიქრებში ჩაეფლო. ტობიმ იცოდა, რაზეც ფიქრობდა. ბოლოს დედამ თქვა:

— არ შესმის, როგორ მიატოვე მეიზი იმ ძონძროხას გამო. პირდაპირ გაუგებარი!

ტობიმ გონივრულად უპასუხა:

— განა ასეთ საქმეებში შეიძლება რამის ახსნა: მე და მეიზი ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს, — ტობიმ ისევ იგრძნო მტკივნეული ჩხვლეტა გულში... — არც ერთი არა ვართ ამაში დამნაშავე.

„მატყუარა“, — გაუელვა მას თავში.

— მე კი მგონია, შენი ბრალია.

ტობიმ დედას შეხედა. მას ტუჩები მჭიდროდ ჰქონდა მოკუმული, როგორც ლოკელთვის, როცა დარწმუნებული იყო რამეში და არაფრით დათმობაზე არ წავიდოდა.

— მისმინე, დედა, მოვეშვათ ამაზე ლაპარაკს.

— შენ რა, გინდა ეგ კლერი შეირთო?

სიტყვა „ეგ“ გამოხატავდა, რა მტრულად იყო განწყობილი კლერისადმი.

— ღმერთო ჩემო, განა შემიძლია ახლა ცოლის შერთვა? ვინც არ უნდა იყოს? მე და კლერს კარგი დამოკიდებულება გვაქვს, აკი გითხარი, მისი ნათესავები შესაძლოა მომეხმარონ.

— მაშასადამე, აქ ანგარიშიანობაა. მაგრამ შენ ხომ არ აპირებ ასეთ ოჯახში შესვლას? იქ ისე იქნები, როგორც თევზი უწყლიდ.

— ნეტა იცოდე, რა წყლებში ვისწავლე ცურვა, — ტობის ხმაში უტიფრობა გაისმა, რომელიც ზოგჯერ ართობდა დედას, მაგრამ ამჯერად ნამდვილად არ მოეწონა.

დედა-შვილი ისევ გაჩუმდა. ცისარტყელა გაფერმკრთალდა, წვიმამ გადაიღო. და უცებ დედამ უთხრა:

— ამერიკიდან მოწვევა მივიღე. იქ პატარა გამოფენას მიწვობენ.

— ღმერთო დიდებულო! მომილოცავს. წახვალ? — ჰკითხა ტობიმ.

— რამ გაფიქრებინა? რა თქმა უნდა, არა. იმ სიშორეს რომ წავიდე, ვინ იცის, იქნებ ამაოდ გავისარჯო.

— მე მგონი, უნდა გადაწყვიტო და წახვიდე.



— შენ არ გესმის, რა მიჯდება „უნდა გადაწყვიტო“, როგორც შენ ამბობ. ჩემთვის ეს აუტანელია. ზოგჯერ მაღაზიაში წასვლაც მეძნელება, რადგან სახლიდან გასვლა მომიწევს. საჭმლის მომზადება კი ბატონო, მამშვიდებს კიდეც. დღევანდელმა დღემ ხომ სულ ქანცი გამიწყვიტა.

— თითქოს მოგეწონა იქაურობა?

— ისე, ზოგი რამ.

— მუსიკა მოგეწონა და კიდეც ის, რომ ყველა შენ გაქვდა?

— იმედი მაქვს, არ დამიკარგავს ადამიანის სახე, — შეეპასუხა მისის რობერტსი და მის ხმაში მოულოდნელად სიამაყე გაისმა.

რა ძალიან მიყვარს დედა, გაიფიქრა ტობიმ. მამაც უყვარდა, მაგრამ სულ სხვანაირად. საერთო პატივისცემამ, რომელიც დედას ზედა ჰედისდონში, ძალიან იმოქმედა ტობიზე. ეს რომ არა, ვერ მოითმენდა დაკითხვას, გზაში რომ მოუწყო. გულის სიღრმეში დედას შურს, რომ ტობიმ განათლება მიიღო, არადა, თვითონვე შეუწყო ხელი. დედა კარჩაკეტილია, მძიმედ აღიქვამს თავის კლასობრივ მდგომარეობას, თუმცა ახლა უკვე ვერ შეიცვლება. ისე კი უნდა, რომ უფრო მოქნილი იყოს... რაც უფრო შორდებოდნენ ჰედისდონს, მით უფრო უფერული ხდებოდა მეხსიერებაში ჰედისდონი, და არა მეიზი. თუმცა შემდეგ კვირას მეიზის კი არ ნახავს, არამედ კლერს — ბედნიერს, რომელმაც არ იცის დაეჭვება, და გახარებულს, რადგან გრძნობს თავის ძალას და იცის, რომ მიაღწევს იმას, რაც უნდა. ტობის იმედი ჰქონდა, რომ ამ თვისებებს მასაც გაუღვიძებდა. უყვარს კი კლერი? ალბათ უყვარს თავისებურად, რამდენადაც მას შეუძლია შეყვარება. კლერი აიძულებს მას, თუნდაც ეშმაკობით, დაადგეს წარმატების გზას: იზრუნებს იმაზე, რომ ტობის ცხოვრება ისე წარიმართოს, როგორც კლერს ურჩევნია, სჭირდება... და მაინც, ფიქრი მეიზიზე, მის უსაზღვრო დელიკატურობაზე მთელი დღე თან სდევდა ტობის, მოუშორებლად, როგორც აჩრდილი.

26

ივლისში ტობიმ გაბედა და ბანკში წავიდა. ერთი კვირის წინ ლენგეინს შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება და ახლა კლავი ბაუმანის წერილი მიიღო, ხუთშაბათს თორმეტის ნახევარზე გელოდებითო.

ტობი დიდი ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი წავიდა სიტიში. სრულიად არაფერი იცოდა, რას წარმოადგენდა სავაჭრო ბანკი. აღნიშნულ მისამართზე რომ მივიდა და ლამაზი შენობა დაინახა, გაიფიქრა: ოთხმოციანი წლების შუა პერიოდშია აშენებულიო. ღია ფერის ფასადზე ფანჯრებთან დამაგრებულ ყვავილების ყუთებში ლურჯი ჰორტენზიები ყვავოდა. ტობი მისაღებ ოთახში შეიყვანეს, სადაც მაგიდა და ოთხი სავარძელი იდგა, კედლებზე კარგი რეპროდუქციები ეკიდა. ტობი ელოდა, რომ ბაუმანთან გამოიძახებდნენ, მაგრამ ბაუმანი თვითონ გამოვიდა მასთან, თავი წარუდგინა და მოპირდაპირე სავარძელში ჩაჯდა. პატარა კაცუნას დიდი, სევდიანი თვალები ჰქონდა და ტობის გაახსენდა ახალგაზრდა პრუსტის პორტრეტი, რომელიც ერთხელ ნახა. მაგრამ ბაუმანმა რომ დაილაპარაკა, ტობის პირველი შთაბეჭდილება გაუქარწყლდა. სულაც არ არის უსიციოცხლო, თავისუფლად უჭირავს თავი, ოფიციალურობის გარეშე, გაიფიქრა მან.

ბაუმანის პირველი კითხვა იყო:







ტი, — გაიფიქრა ტობიმ, მაგრამ მაშინვე დაუმატა: ვნახოთ, როგორ გამიმართლებსო.

— მაშ ასე, — გამომშვიდობებისას უთხრა ბაუმანმა, — სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა. იმედი მაქვს ყველაფერს აწონ-დაწონით. შეიძლება ჩვენი საქმე ძალიან უცხო მოგეჩვენოთ, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა. შე/დავრწმუნდი ამაში. თქვენ?

ბაუმანმა ტობი კადრების უფროსს გადაულოცა. კადრები უფროსე ჭალარა კაცი იყო. ძალიან საქმიანი ჩანდა და ტობის ცოტა არ იყოს შეეშინდა, მაგრამ მაინც კარგად ეჭირა თავი, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არც ერთი კოზირი არ ეჭირა ხელში, გარდა პირველი ხარისხის დიპლომისა. კადრების უფროსმა უამბო ფირმის ისტორია მისი დაარსებიდან დღემდე, უამბო ფირმის საერთაშორისო კავშირებზე და დღევანდელ ამოცანებზე. ყველაფერ ამას დიდი დრო დასჭირდა, და ვერ ვიტყვით, თითქოს ტობი ამ საუბრის შემდეგ უფრო საქმეში ჩახედული გახდა, ვიდრე მანამდე.

— კომპანიის ფინანსირება, — ჩაფიქრდა კადრების უფროსი, — აი, დარგი, რომელიც ალბათ უფრო შეგეფერებათ. ამას მოგიქრება უნდა... საერთოდ, ყველაფერი საფუძვლიანად უნდა მოვიფიქროთ. მათემატიკა თუ გეხერხებათ?

ტობიმ გადაწყვიტა არ ეცუღლუტა (ყოველ შემთხვევაში — ძალიან არა) და ამიტომაც გამოტყდა, მათემატიკაში მოვისუსტებ, მაგრამ იმედი მაქვს თავს გავართმევო.

— ყოველ შემთხვევაში, — თქვა მმართველმა, — საბალანსო ანგარიშგებაში, კუფირობ, გაერკვევით.

ამით დამთავრდა მათი საუბარი.

— ჩვენ დაგიკავშირდებით, გავიგებთ, ხომ არ გადაიფიქრეთ, — უთხრა მმართველმა, და ტობი აღმოჩნდა სწრაფად მიმავალი ხალხით სავსე ქუჩაში. იგი უახლოესი მეტროსკენ გაეშურა.

გზაში ორივე შეხვედრა გაიხსენა და დაასკვნა, კარგად ჩავატარეო.

ტობი საღამოს მშობლებთან წავიდა და თავისი გეგმები გააცნო. სავაჭრო ბანკებზე მათ არაფერი გაეგონათ, მაგრამ საშინლად აღშფოთდნენ. რამაც ტობი ძალიან გააკვირვა.

— ისე კარგად დაიწყე და ახლა გინდა ბანკის კლერკი გახდე? — ავიშვიშდა დედა. — ჩვენ უფრო მეტის იმედი გვქონდა.

— მთლად ასე არ არის საქმე... არ ვიცი, როგორ აგიხსნათ.

— ახსნა ნამდვილად დაგჭირდება, — ჩაურთო მისტერ რობერტსმა, მისთვის ჩვეული სიტბო ხმაში სადღაც გამჭრალიყო ამჯერად. — არ მინდა დაგაყუედრო, მაგრამ შენი განათლება არც ისე ადვილი იყო ჩვენთვის.

— ჰოდა, ნურც აყუედრი, — მკაცრად უთხრა მისის რობერტსმა. — ხომ იცი, რომ ამაზე არ არის ლაპარაკი. ვხვდები, რომ შენი დაუოკებელი ლტოლვა ცვლილებებისკენ დაკავშირებულია მაგ კლერთან.

— არ მიმიწევს გული მეცნიერებისკენ და რა ვქნა, ხოლო რაც შეეხება კლერს, მისი როლი აქ ძალიან უმნიშვნელოა. მინდა გაიგო: კლერი კარგი ქალიშვილია. შენ თავიდანვე ამოიჩემე, მაგრამ რა გაქვს საწინააღმდეგო, ვერ გამიგია.

— რა მაქვს და მეიზი, — ჯიუტად მიუგო მისის რობერტსმა.

— მთლად სამართლიანი არა ხარ, დორა, — მისტერ რობერტსი ცოტა დაცხრა, — ჩვენ ხომ ვერ ვუკარნახებთ ახალგაზრდებს, ვინ შეიყვარონ და ვინ არა.

— და მაინც ამ ამბავს კარგი პირი არ უჩანს.



— მისმინე, თუ საქმე გაიჩარხა, თუმცა ალბათ ჩაიშლება, გაცილებით მეტი ხელფასი მექნება. და მაშინ შევძლებ დაგეხმართ, — უთხრა ტობიმ, თუმცა მშვენიერად იცოდა, დედა ამას არ დაუშვებდა.

— გმადლობთ, მაგრამ მე არა მჭირდება დახმარება. ესლა მაკლდა — ბანკის კლერკი, — სევდიანად ჩაილაპარაკა დედამ. — იჯდები ვისოსს იქით, როგორც მხეცი ზოობარკში.

ერქვენული

იმ საღამოს ტობიმ ვერაფრით მოახერხა დედის გულის მტკიცისმეტყველობა ინდუმარედ ჩაიარა, მხოლოდ იშვიათად თუ გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. ვახშმის შემდეგ დედამ არ მოინდომა ერქვენებინა ტობისთვის ახალი სურათები.

— ყველა ერთმანეთსა ჰგავს, არ დაგაინტერესებს, — მხოლოდ ეს უთხრა.

ერთი კვირის შემდეგ ტობიმ უწყება მიიღო კადრების უფროსისაგან. ბანკი მზად არის აღვილი შემოგთავაზოთ, დასაწყისში ხელფასი გექნებათო წელიწადში ცხრაასი გირვანქა. ცხრაასი გირვანქა! ეს ხომ ტობისთვის მთელი ქონება იყო. არა, დაუჯერებელია. რა მომავალი გადაიშალა მის წინ! ნათელი, როგორც მზით განახნახებული ნოყიერი, ბარაქიანი ყანა. ყოვლად შეუძლებელია დედა არ მოეზრებოდა, ამას რომ გაიგებს. ისე იყო აღვზნებული, რომ გრძნობდა ვინმესთვის უნდა გაეზიარებინა: კლერისთვის, და რა თქმა უნდა, ბობისთვის და ეიდრიანისთვის. და მეიზისათვის. ჰო, მეიზის უნდა უამბოს! მას უფრო მეტად და მეტად ენატრებოდა მეიზი, მაგრამ ეგონა, რომ ერთხანს მოენატრებოდა და მერე დაივიწყებდა. მას მეიზის ნახვა სწყუროდა და კადრების უფროსს რომ მისწერა, თანახმა ვარო, ამის შემდეგ მეიზის გაუგზავნა მოკლე ბარათი, ეკითხებოდა: თანახმა ხარ, სადმე ერთად ვისადილოთ? მან არ დაუმატა „წარსულის ხსოვნისთვის“, ეს სხედაც იგულისხმებოდა.

მშობლებთან აღარ მისულა, დედას მისწერა: სექტემბრიდან ბანკში ვიწყებ ნუშაობასო. ხელფასის ამბავიც მისწერა — იქნებ გავიზარდო მის თვალში, როცა გაიგებს, რამოდენა ხელფასი დამინიშნესო. მაგრამ მშვენიერად იცოდა, დედის გული მას კარგა ხანს ვერ გაამართლებდა, და წამით ბრაზმა იფეთქა: რა ცოდვა მაქვს ისეთი, რომ უცებ ობლად დამტოვესო.

მეიზისგან პასუხი არ მიუღია. კლერი კი ზეიმობდა: აბა, როგორ? მან ხომ ცოტა რამ კარგის გაკეთება მოახერხა ტობისთვის. უფრო სწორად, მისმა მამიკომ. ჰო, საჭიროა ლენგეინს მადლობის წერილი მისწეროს.

ჯერჯერობით კი ტობი და კლერი სიყვარულს მიეცნენ. თუმცა კლერის სხეული მარმარილოს წააგავდა, მაგრამ საოცრად გაწაფული იყო. თანაც ტობის ეოსწონდა, რომ ლოგინში კლერი მხიარული იყო.

ერთმანეთით რომ დატკბებოდნენ, წამოჯდებოდნენ ხოლმე, ლოგინში და სიგარეტს ეწეოდნენ, თან ღვინოსაც წრუპავდნენ. ასეთ წუთებში კლერი გაუთავებლად ლაქლაქებდა.

— ალექი ვნახე, — თქვა ერთხელ კლერმა. — მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა პატარა ნიკაპი აქვს... მალე იტალიაში წავა. აუცილებლად უნდა გაგაცნო ალექი. შესახედავად ბევრი არაფერია, მაგრამ სულელი ნამდვილად არ არის. ოღონდ შენი დიპლომით კვებხნა არ დაიწყო, რადგან მასაც პირველი ხარისხის დიპლომი აქვს, თუმცა ზედ არაფერი ემჩნევა.

ტობი ფიქრობდა: ალბათ იმიტომ მიყვარს, რომ ადვილია მასთან ურთიერთობა, კიდევ იმისთვის, რომ ჩემთან სიახლოვე კლერისთვის სიამოვნებააო.

ნამდვილად სთხოვს ხელს, მაგრამ რა საჩქაროა, უამრავი დრო აქვთ. მან ისიც ივარაუდა, რომ მოიგებდა ამ კავშირით, თუმცა ადრე ასეთ რამეზე მაინცა-



დამაინც არ გაუმახვილებია ყურადღება. ყოველ შემთხვევაში, შეგნებულად არა. ტობიმ იცოდა, რომ ცოლ-ქმარ ლენგეინებს მოსწონდათ იგი, პერიკოსაც. თანაც ახლა უფრო მეტი შეუძლია შესთავაზოს კლერს, თუმცა არც ისე ბევრი. მთავარი ის არის, რომ კლერთან ყოფნა გულს უხარებს, თუმცა, უნდა ითქვას, უგუსებობა ტობისთვის იშვიათი რამ იყო, კლერი სიცოცხლეს მატებს მას, როგორც ოზონი.

ამავე დროს ტობი მეიზიზე ფიქრს ვერ იშორებდა, მისი მოსვენებას არ აძლევს: მეიზი კემბრიჯში, მეიზი პარიზში, მეიზი ჰედისდონში. ზოგჯერ (რა თქმა უნდა, როცა კლერს არ ესაუბრებოდა), ეს ფიქრი გულსა სტკენდა. უბედურება ის არის, რომ თავგზა დამებნა, მაგრამ არა უშავს, ამას როგორმე მოვერევიო, ფიქრობდა ტობი.

მის წინ ჰორიზონტამდე ბარაქიანი ყანა გადაიშალა, რომელიც მზის სხივებში ბრწყინავდა. დიახ, ადამიანი, რომელსაც კლერი გაჰყვება ცოლად, არ იქნება მაჩანჩალა, იგი შეძლებს მიაღწიოს ღირსეულ მდგომარეობას. ტობის კიბე გადაუგდეს, და ამ კიბით ზევით ავა... ჰო, მართლა, სადმე უნდა ვიშოვო ბალანსის გაანგარიშება და კარგად შევისწავლოო, გაიფიქრა მან.

მეიზის პასუხი იგვიანებდა. ბოლოს, დაახლოებით ათი დღის შემდეგ, ტობიმ მიიღო მისი მოკლე ბარათი „ჩემი აზრით, არ არის საჭირო, ყველაფერი გაიზავდეს. იქნებ მერე, როდისმე, არ ვიცი. მაგრამ ახლა არა, კარგად იყავი. მეიზი“.

„კარგად იყავი“ — რას იზამ, თავაზიანობის ფორმულაა და მეტი არაფერი. ტობის გული დაუძძიმდა. რა სისულელეა, რატომ ფიქრობს, რომ მეგობრებად დარჩენა არ შეუძლიათ? ჰედისდონსა და ჰლემსფორდს შორის ძველი, მეგობრული კავშირი ბოლოს და ბოლოს მაინც აქამდე მიგვიყვანს, და არა სჯობია, ახლავე აღუადგინოთ ძველი ურთიერთობაო? ტობის არ ეგონა, რომ ასე ეწყინებოდა მეიზის უარი.

ჰლემსფორდში მას უფრო თბილად შეხვდნენ.

— მიხარია, რომ კარგად წავივიდათ საქმე. — უთხრა ლენგეინმა. — რამდენადაც გავიგე, კლაივს მოეწონეთ, მას კი იშვიათად თუ მოეწონება ვინმე. იმედი ნაქვს, ბანკში კარგად იგრძნობთ თავს.

— ტობი, — მიმართა მას მოირამ, რომელსაც ჩვეულებრივ ღვინის ჭიქა ეჭირა ხელში, — როდისმე ბირჟის მაგნატი გახდებით.

— რა თქმა უნდა, — განაცხადა კლერმა. — გრანდიოზული ფიგურა გახდება.

და ძველი სახლის მყუდროება ბურუსივით გარშემოეხვია ტობის.

სადილის შემდეგ, როცა კლერი ჭურჭელს რეცხავდა, ლენგეინი კი საღამოს ტოციონს ასრულებდა, მოირამ აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს ეშინოდა, კედლებს ყურები აბიათო, და საკუთარ თავზე დაუწყო ლაპარაკი:

— იცით, ტობი, მომავალ კვირას ვერცხლის ქორწილი გვექნება. უნდა გითხრათ, სიბერე სევდიანი რამ არის. ვბერდები და ამას ვერსად გავიქცევი. ხედავ, რომ სილამაზე გაქრა, აღარც იმას აქცევ ყურადღებას, რა გაცვია და აღარც სხვა რამეს. გარშემო ყველაფერი უღიმღამო გეჩვენება... კიდევ დამისხით, ტობი, თორემ ისე დავიდალე, ადგომაც კი მიჭირს... და წლიდან წლამდე უფრო უღიმღამო ხდება.

ტობი იჯდა და ყურს უგდებდა.

მოირა ლენგეინის გულახდილი საუბრის შემდეგ ტობის არც უფიქრია მატრიმონიალურ განზრახვაზე უარის თქმა. ჯერჯერობით გადაწყვიტა ბობისთვის



მიეწერა, რაღაც დიდი ხანია ბობისგან არაფერი იხმის, თანაც საინტერესოა, მისი და რიტას საქმე როგორ მიდისო, გაიფიქრა მან.

ბობმა ღია ბარათით უპასუხა: შეგიძლია პარასკევს თორმეტის ნახევარზე ლაბორატორიაში მოხვიდე? თუ კარგი ამინდი იქნება, კემის ნაპირზე გზისუიროსოთ, ბევრი რამე უნდა ვიამბოთ.

ტობი ჩავიდა კემბრიჯში და პირდაპირ ლაბორატორიაში გამოვიდა. მეგობარმა მაშინვე ქუჩაში გაიყვანა.

— ერთი საათი გავიაროთ, მერე ვისაუხმოთ, კარგი? ძალიან მხნედ გამოიყურები. როგორ არის საქმე?

მაგრამ ტობის ჯერ მისი ამბები უნდოდა გაეგო. მას გაუკვირდა, რომ ბობი ერთხანს მდუმარედ მიჰყვებოდა გვერდზე. იგი მაინცადამაინც მხნედ არ გამოიყურებოდა, ნატანჯი თვალები ჰქონდა. თუმცა ძალიან შეწუხებულიც არა ჩანდა.

— მიყვარს კემბრიჯი არდადეგების დროს, ისეთი სიწყნარეა ხოლმე. — თქვა ტობიმ.

— მე კი არა მაქვს არდადეგები, როგორც სწავლულების უმეტესობას.

— იქნებ ზედმეტად მუშაობ?

ბობმა არ უპასუხა, მერე თითქოს წამოსცდაო, თქვა:

— რიტამ მიმატოვა.

— შეუძლებელია! — წამოიძახა ტობიმ და გაიფიქრა: რა სულელურია პირველი რეაქციაო.

— გეუბნები, მიმატოვა. უცბად აიბარგა და წავიდა, დაახლოებით სამი კვირის წინ. ვიღაც ბიჭს აუკიდა. და უცნაური კია, მაგრამ, მგონი, არც მოსწონს. უბრალოდ, მე არაფრითა მგავს, და სწორედ ამიტომ გაჰყვა. უნდა გენახა, როგორ გაცოფდა მისი დედ-მამა.

ტობიმ რაღაც თანაგრძნობის სიტყვები წარმოთქვა.

— რას ამბობ, ჩემი დარდი ნუ გაქვს. ჩვენ ხომ თავიდანვე ვერ შევეწყვეთ ერთმანეთს. ახლა კიდევ მოულოდნელად გავიგე, რომ საწყალ ეიდრიანს თავს აბეზრებდა თურმე წერილებით, და საშინლად ვიჩხუბეთ, საბოლოოდ დაინგრა ყველაფერი. სწორედ მაშინ გადააწყდა იმ ბიჭს. ახლა სადღაც ლონდონში ცხოვრობს, ზუსტი მისამართი არც კი ვიცი. ნამდვილი რეგენი მგონია თავი, ხომ გესმის?

ხეებზე ფოთლებს აკვისტოს მზისაგან ოდნავ ბრინჯაოსფერი გადაჰკრავდა, ძზის სხივებით დასერილი მდინარე მდორედ მიედინებოდა. ზოგჯერ გასხლტებოდა ხიდის ქვეშ ბრტყელძირა ნავი და გაქრებოდა.

— იცი, ბავშვი მე მომიგდო.

— ოჰ! — აღმოხდა ტობის. — შენ როგორ მოუვლი ბავშვს?

— ლენსფილდ-როუდზე დავიტოვე ნახევარი სახლი. ქალი ვიშოვე და მთელი დღე ის უვლის, მე იმ დროისთვის მივდივარ, როცა იძინებს. ესტელას უყვარს, როცა მე ვაძინებ. დამიჯერე, ძალიან ჭკვიანი ბავშვია. ძალიან უყვარს, როცა რამეს უამბობენ, თუმცა მე ეს მაინცადამაინც არ მეხერხება. უფრო მეტად ჩხირკედელაობა უყვარს. უნდა განახა, როგორ დამლის და ააწყობს ჯიბის ფარანს. — ბობს სიამაყისგან სახე უბრწყინავდა. ტობიმ გაიფიქრა: ბობი მამობის განსახიერებააო, და უცებ მიხვდა, რომ მის მეგობარს სულაც არ სწყინდა ცოლის წასვლა. — იცი, რას გეტყვი, თავს მოვიჭრი, თუ ამ გოგონასგან ნამდვილი სწავლული არ გამოვიდეს, თვლას ვასწავლი, და უნდა ნახო, რა სწრაფად იმახსოვრებს, სასწაულია პირდაპირ! სექტემბრიდან საბავშვო ბაღში ივლის, ჯერჯე-



რობით ნახევარი დღით. ისე რომ, მისის მელოკი მაინც დამჭირდება, ბავშვს სა-  
დილს აჭმევს, მის ტანსაცმელს მიხედავს, — ესა თქვა და გაჩუმდა. მერე გაკვირ-  
ვებით შეხედა ხეებს, რომელთა ფოთლებში მზის ოქროსფერი სხივები ატან-  
დნენ, და ჩაილაპარაკა: ვინმეს რომ ეთქვა შვიდი წლის წინ, შენი ცხოვრება  
ბავშვზე იქნება დამოკიდებულიო, ნამდვილად არ დავიჯერებდი.

ტობიმ ჰკითხა: სამუშაო როგორ მიდისო.

ეროვნული

— მაგ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, საქმე კარგად მიდის. ცხოვ-  
რება მომწონს. რა თქმა უნდა, ყველაზე უმცროსი დონი ვარ და ამიტომ კრინტს  
არა ვძრავ, მაგრამ ბებრებსაც შეგხვდება ზოგჯერ კარგი მცოდნე, მათგანაც  
შეიძლება რაიმეს სწავლა. იცი, კიდევ რა მომწონს, როგორ ბრწყინავს სუფ-  
რაზე ვერცხლეული, განსაკუთრებით დღესასწაულებზე, მომწონს, ღვინოს რომ  
მოგვართმევენ ხოლმე. ერთი სიტყვით, შენ ნუ წუხხარ. ბევრ რამეში გამიმარ-  
თლა. რაც შეეხება რიტას, მართალი ვითხრა, გასახსენებელიც არაფერი მაქვს,  
გარდა მუდმივი ჩხუბისა. დამიჯერე, სრულებით არაფერი, თვითონაც მიკვირს.

მეგობრები ქალაქში დაბრუნდნენ და იმ კაფეში შევიდნენ, სადაც ტობის  
მეიზი დაჰყავდა ხოლმე. ტობიმ მწარე გულისტკივილი იგრძნო.

— ახლა შენი ამბავი მიაძბე, ტობი, — ბობს პირი გამოტენილი ჰქონდა  
საჭმლით.

ტობიმ უამბო ბანკზე, სადაც იწყებდა მუშაობას.

— უყურე შენ, თურმე სად აპირებს მუშაობას! ეს ხომ ძალიან ცნობილი და  
ბრწყინვალე ბანკია, ფილიალები მთელ მსოფლიოში აქვს, როგორ მოახერხე იქ  
მონხვედრა?

ტობი იძულებული იყო ლენგეინზე უამბნა: ამჯერად ტობი ჩვეულებრივზე  
ბევრს ლაპარაკობდა.

— ბიჭოს, შენ დიდებულებში ტრიალებ, აი! — უთხრა ბობმა ყოველგვარი  
შურის გარეშე. — როცა საჭირო მიმართულებით წაბიძგება დაგჭირდება, არის-  
ტოკრატიებზე უკეთესად ვერავინ მოახერხებს ამას.

— კიდევ იცი რა, შეიძლება ცოლი შევიერთო.

ბობმა დანა-ჩანგალი დაღო და ტობის მიაჩერდა.

— ვინ?

— არის ერთი ქალიშვილი. კლერ ფოლზი. შენ არ იცნობ მას, ლენგეინის  
ქალიშვილია.

— აჰა! აი, თურმე ქარი საიდან უბერავს!

— არა, არც ეგრეა საქმე, ამის გულისთვის არ ვირთავ. შენ კლერი მოგე-  
წონება.

— ალბათ სათბურის მცენარეა, არა? ასეთები საჩემო არ არიან.

— არაფერიც, ძალიან, ძალიან ხალისიანი, კარგი საამხანაგო ქალიშვილია.  
წინათ ცხენოსნობით იყო გატაცებული, ახლა კი, ეტყობა, მოსწყინდა. ოღონდ  
ვერ არაფერი გადაგვიწყვეტია.

— მაინც გილოცავ, — ბობის თვალებში ახლა სიმშვიდემ დაისადგურა, ტან-  
ჯვის გამოძეტყველება სადღაც გაქრა. — მეიზის ხვდები?

— არა, სამუდამოდ დაუშორდით.

— მე კი ძალიან მომწონდა.

— მეც, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

— რიტასაც კი მოსწყინდა.

ტობიმ გაიღიმა, მაგრამ არაფერი უთქვამს.



— მე მეიზი მომწონდა, — გაიმეორა ბობმა.

— მეც, ხომ ვითხარი.

ამით მოათავეს მეიზიზე ლაპარაკი.

— წამომყევი რა შინ, ესტელას ნახავ, — სთხოვა ბობმა.

მაგრამ ტობის მატარებელზე აკვიანდებოდა. ტობი დამშვიდებულად მიდიოდა. ბობი ახლაც ლამის ბედნიერია, გავა დრო და ძალიან უბედურად ექნება. მისი სამეცნიერო კარიერა მყარია, ისე ცხოვრობს, როგორც უნდა, მთავარია, ბავშვი, რომელიც ასე მხურვალედ უყვარს, მასთან არის.

ბობმა სადგურში გააცილა.

შემდეგ კვირას ტობი ახალი ბინის საძებნელად წავიდა. ბედმა გაუღიმა, ვუღემ-როუდზე ბინა იშოვა: ორი ოთახი, სამზარეულო, სააბაზანო, ფასიც სწორედ შესაფერი იყო. დედას უნდა სთხოვოს შეუღლეს იქაურობის გაღამაზებას. ეს ნამდვილად ცოტა მთარბილებს დედას. კლერმა ნახა ბინა და მოუწონა.

— კარგია, ფისო, მე მგონი, შენ ოთხივე თათით დაეშვი. სხვა არ ვიცი, ეს კი კარგად გამოგივიდა, არა? კარგია, რომ ნამდვილი საძინებელი ოთახი გექნება. არ მომწონს, როცა ერთ ოთახში საძინებელიცაა და სასადილოც, მუდამ თუთუნის და საჭმლის სუნი ტრიალებს.

ქალიშვილი მოეხვია ტობის, რომელიც შვიდიოდე სანტიმეტრით მაღალი იყო მასზე, მაგრამ კლერი რომ მოეხვეოდა, ლამის ჩაიძირებოდა ხოლმე მის მკლავებში. დიახ, კლერი ნამდვილი იუნონაა.

იმ დღეს ორივენი მისის რობერტსთან იყვნენ ჩაიზე დაპატიჟებულნი. ტობიმ რამდენჯერმე დააპატიჟებინა კლერი დედას, თუმცა იცოდა, რომ დედას სულაც არ უნდოდა ეს. და არც არაფერი გამოვიდა ამ ვიზიტებიდან. გემრიელი საჭმელებით დამშვენებული ჩაის სუფრა განზრახ იყო გაწყობილი სამზარეულოში. კლერი, როგორც ყოველთვის, თავაზიანად იწონებდა ყველაფერს. ამჯერად მისტერ რობერტსიც შინ იყო.

მას უფრო მოეწონა კლერა, ვიდრე მეუღლეს.

— ასე ერთბაშად რატომ გადაწყვიტა ტობიმ ბანკში სამსახური? — მისტერ რობერტსმა სრულიად მშვიდად ჰკითხა კლერს. (იმის შემდეგ, რაც მშობლები მტრულად შეხვდნენ მის გადაწყვეტილებას, ტობიმ გაჩუმება არჩია).

— ეს ხომ ჩვეულებრივი ბანკი არ არის, იმის თქმა მინდა, რომ მთლად ისეთი არ არის, როგორც ალბათ თქვენ წარმოგიდგენიათ, — თქვა კლერმა. — ეს კერძო ბანკია. ო-ო, კვერცხი შოტლანდიურად! გავიჟებით მაყვარს. თქვენ თვითონ ამზადებთ, მისის რობერტს?

— მე ყველაფერს თვითონ ვამზადებ... ვერაფერი გამიგია, ეს სამსახური ჩემის აზრით, სრულიად შეუფერებელია ტობისთვის. არადა, რა დიდ იმედებს ვამყარებდით მასზე!

— კარგი იქნებოდა, ჩემი იმედებითაც დაინტერესებულიყავი. ხომ იცი, რომ სამეცნიერო სამუშაო არ მიზიდავს.

— კი მაგრამ, სამაგეროდ საოცარ ქალაქში იცხოვრებდი.

— კემბრიჯში? არა, იქიდან აუცილებლად სადმე გავიქცეოდი.

— „თავისუფლებას ნუ წამართმევთ“. — გულიანად წაიმღერა მისტერ რობერტსმა.

— სწორედაც!

— უცნაური კია, მისის რობერტს, საკუთარ თავს თვითონვე ართმევთ თავისუფლებას, სახლიდან რომ არ გამოდიხართ. ტობი ნამდვილად არა გგავთ



ოქვენ, — თქვა კლერმა ვითომ მოწიწებით, მაგრამ მის ხმაში კანდიერებაც გა-  
სმა.

— მე არაუინ და არაფერი არა მჭირდება. კარჩაკეტილად ვცხოვრობ.

— მე კი უფრო ფართო პორიზონტები მჭირდება, და მოდი ამ თემას მო-  
ვეშვათ, — თქვა ტობიმ.

ახლა მის ახალ ბინაზე დაიწყეს ლაპარაკი. პო, ახლა ჩემდევდებიანა მაქ-  
ესო, გაიფიქრა ტობიმ.

— დედა, იქნებ მყუდროდ მომიწყო? — ტობის ძალიან უნდოდა დედის გუ-  
ლის მოგება.

— ნება მომეცით, მეც დაგეხმაროთ, — ჩაერია ლაპარაკში კლერი. — ძალი-  
ან მიყვარს ფარდებისა და ამისთანების ყიდვა.

— მე კი მირჩევნია თვითონ გავაკეთო ყველაფერი.

— კარგი ახლა, დორა. ეს ხომ შენთვის ზედმეტი მისვლა-მოსვლა იქნება.

— მერე რა, თუ მოვიწოდებ, წავალ და წამოვალ კიდევ.

— თქვენ შესანიშნავი გემოვნება გაქვთ, ცოტა ჩემთვისაც გაგენაწილებინათ,  
— თქვა კლერმა.

მისის რობერტსმა არ შესთავაზა თავისი სურათების ჩვენება, არც იმ სუ-  
რათისა — გაღიმებული ქალიშვილი მდებოდა. მხოლოდ ზოგი რამ უამბო ამე-  
რიკაში თავისი გამოფენის შესახებ, ოღონდ ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე.

— ნეტა მე წამიყვანა და მაჩვენა. დარწმუნებული ვარ, დიდი წარმატება  
იქნება! — კლერიც ცდილობდა დედის გულის მოგებას.

— თქვენც ადექით და წადით ნიუ-იორკში, — მოუხეშავე პირდაპირობით  
უთხრა მისტერ რობერტსმა. — თავს დაუდებ, ნამდვილად არ გაგიჭირდებათ.

— თვითმფრინავეთ და გემით მგზავრობას ვერ ვიტან, ცუდად ვხდები.

— თქვენ? მე კი მეგონა, თქვენთვის ყველაფერი იოლი იყო, — მამამ სიგა-  
რეტის კოლოფი გასწია კლერისაკენ. — ცხენოსნობა ხომ გიყვართ და საერ-  
თოდაც...

— ცხენზე რომ ვზივარ, არ მანჯღრევს, — უპასუხა კლერმა ეშმაკურად და  
თან კეკლუცად გადმოხედა მამას წითური წამწამებიდან. — თქვენ რატომ არ  
წახვალთ? თუ მისის რობერტსს არა აქვს ამის სურვილი? — ჰკითხა მან, და  
ტობიმ გაიფიქრა: რა ცუდად იცნობს ჩემს დედ-მამას; როცა დაუქორწინდებით,  
კლერი ნამდვილად ვერ შეეთვისება ჩემს მშობლებსო.

მისტერ რობერტსმა უპასუხა, როგორც ასეთ შემთხვევებში პასუხობდა ხო-  
ლმე — ჩემს კიოსკს ვერავის დაუუტოვებო.

— მეიზი მეუბნებოდა, — მოულოდნელად ჩაერია მისის რობერტსი, — კი-  
ოსკი რომ მქონდეს, ყველა გაზეთს გადავიკითხავდი, ყველა სიგარეტს მოვწევდი  
და ტკბილეულსაც მუსრს გავავლებდიო.

მეიზის გახსენებამ სულაც არ შეაცბუნა კლერი.

— ალბათ მეც ასე მოვიქცეოდი, — თქვა მან უდარდელად. — რაც არ უნდა  
იყოს, ცთუნება დიდია.

კლერი და ტობი საკმაოდ ადრე წავიდნენ.

— ნამდვილი მარცხია, ფისო, — თქვა კლერმა, როცა მისი მანქანით ლენგე-  
ინების სახლისკენ მიდიოდნენ. — ვერა, ვერასოდეს მოვახერხებ დედაშენს მო-  
ვაწონო თავი.

— დედა არაჩვეულებრივი ადამიანია, არასოდეს გაამყდავნებს თავის დამო-  
კიდებულებას ვინმეს მიმართ.



— მე კი მგონია, ძალიან კარგადაც ამჟღავნებს, — შეეპასუხა კლერი, ამჯერად საკმაოდ უხეშად. — მეტად სამწუხაროა, რადგან მე ძალიან მომწონს, მაშასწინა. გამორიცხული არ არის, რომ მამაშენსაც მოვეწონე.

— ძალიან მოეწონე.

ტობი ახალ ბინაში გადასვლას სექტემბერში აპირებდა, ხოლო მუშა სექტემბერში პერიკოს ელოდნენ, და იმ საღამოს დიდხანს მსჯელობდნენ უნდოდათ, როგორმე უკეთესად მიეღოთ პერიკო.

მისის რობერტსმა დანაპირები შეასრულა. დადიოდა ტობის ბინაში, ფარღებს ჰკიდებდა, იატაკზე ხალიჩებს აფენდა, მთელ ბინაში ყველაფერი ბრწყინაუდა. რამდენჯერმე რომ მივიდა, როგორც იქნა, ცოტა მოღბა. იქნებ მიხვდა, რა საქმიანობა მოუწევდა მის შვილს. მაგრამ მაინც გრძნობდა იმედის გაცრუებას, რადგან ტობი ვერც სწავლული გახდა და არც მეიზი შეირთო. ტობი ცდილობდა არ ეგრძნობინებინა, რომ ამჩნევდა ამას.

— Gesundheit!<sup>1</sup> — თქვა პერიკომ და ერთი მოყუდებით გაანახევრა ლუდიო სავსე კათხა. მან მოწონებით მოათვალიერა ტობის სასტუმრო ოთახი და თავისი გრძელი ფეხები გაშალა. — მიხარია, რომ ჩვენს ფირმაში იწყებ მუშაობას.

— უკვე დავიწყე, — თქვა ტობიმ.

— როგორ მოგწონს?

— ძალიან ბევრი რამის სწავლა დამჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, მოვერევი.

— ბაუმანი კარგი კაცია. მართალია, ცოტა ზერელედ ეკიდება ყველაფერს, მაგრამ ასეთ ადამიანებს უფრო უადვილდებათ ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

ტობიმ თქვა: ბანკში ძალიან მეგობრული ხალხიაო.

— ჰო, მართალია. ზოგჯერ ვნანობ კიდევ, რომ იქ არ დავიწყე მუშაობა.

— მამაშენის მადლობელი ვარ.

— მამას უყვარს, რომ ყველა საქმიანობდეს, უსაქმოდ არ ყიალებდეს.

პერიკომ ჰკითხა: როგორ არის ის მღვდელი, რომლის შესახებაც შენ მიამბო. სწორედ იმ დღეს ტობიმ ეიდრიანის წერილი მიიღო და იცოდა მისი ამბები.

— ჯერ ერთი, დედა მოუკვდა...

— რა სამწუხაროა.

— ...ახლა კიდევ მოხუცი მღვდელი ძალიან დაავადმყოფდა, საავადმყოფოში წასვლაზე კი უარს ამბობს. ღმერთმა უწყის, როგორ უძკლავდება ეიდრიანი ყველაფერს. თუმცა მწერს, რომ ექიმის ქალიშვილი ძალიან ეხმარება.

— ის ქალბატონი როგორღა არის, აი ის, რომ თხოულობდა: ეშმაკი განდევნეთ ჩემგანო.

— ეპისკოპოსმა გააგზავნა კანონიკი, რომელმაც ჩაატარა განსაკუთრებული რიტუალი, მგონი, „ხელთ დადება“ ჰქვია... ქალს ცოტა არ იყოს იმედი გაუცრუვდა. ეტყობა, უფრო საზეიმო პროცედურას ელოდა. მაგრამ ჯერჯერობით დამშვიდებულია. ნამდვილი უბედურება სხვა ქალია: ის, ვინც ქმართან უსიამოვნებაზე უამბობს ხოლმე.

— ნამდვილად თვალი დაადგა ეიდრიანს. ეიდრიანი ძალიან ლამაზია და იმიტომ უჭირს, — ამ სიტყვებზე კლერი სამზარეულოში გავიდა და ცეცხლზე ხორ-

1. თქვენი ღვგრძელობისა იყოს! (გერმ.).



ცი შემოდგა ჩასაშუშად. ნამდვილი საწამლავი იქნება, გაიფიქრა ტობიმ. როცა დაქორწინდებიან, შინ მხოლოდ დილით ისაუბრებს, ლენჩი სიტში ექნება, სადამოობით კი რესტორანში ივლიან. ამისთვის ფული ეყოფა და კიდევ დარჩება. დაუყოვნებლივ უნდა აუხსნას კლერს, რომ მიზეზიანი არ არის, მაგრამ დედის დამზადებულ კერძებს მიეჩვია. საწყენია, რომ დედის დამზადებულ კერძს ამიერიდან იშვიათად შეჭამს.

ეროვნული

— ახალი რა არის? — მიმართა დას პერიკომ, — ალექს ხვდებიან?

— ზოგჯერ. საწყალი ალექი! — კლერმა ჩაიქირქილა. — ვერც საფანტს გამოიგონებს, ვერც სახელს გაითქვამს. თუმცა სახელი ისედაც განთქმული აქვს. სულ ფლიტ-სტრიტზე<sup>1</sup> ტრიალებს, იმედი აქვს, რომელიმე გაზეთში მოეწყობა. ალექი ხომ პოლიტიკაზეა გაგიჟებული და კარგადაც ერკვევა. ნეტა მეც ასე ვიყო.

— უპოლიტიკოდაც ვაძლებ, — სიტყვა ჩაუკრა პერიკომ, — შენთვის ხომ ყველაფერი სულერთია.

— ალექის გულში კი მოქალაქეობრივი გრძნობები ბობოქრობს. თუმცა ეს ახლახან დაეწყო. ნეტა მეც ასე დამემართოს... მაგრამ რაც არის არის, ერთხელ ცხოვრობ ამ ქვეყანაზე და შენი სიამოვნებისთვის უნდა იცხოვრო. ალექს კი ყველაფერი გულთან ახლოს მიაქვს, ამიტომაც სიამოვნება ნაკლები აქვს ცხოვრებაში. შეუკვეთავს რესტორანში ავოკადოს და მაშინვე მოშიმშილე ლათინურ-ამერიკელები გაახსენდება.

— შენ თუ გაქვს მოქალაქეობრივი გრძნობები? — ჰკითხა ტობიმ პერიკოს.

— არ ვიცი. ბრძანებებს ვასრულებ, მეტი არაფერი. თუ მაქვს ეს მოქალაქეობრივი გრძნობები, ალბათ მაშინ გამოვაკლენ, როცა ლორდთა პალატაში ვიქნები. მამა დღემდე ესწრება ხოლმე სხდომებს, მაგრამ იქ საშინელი მოწყენილობაა, უმეტესად ბარში ზის. მე კი რეგულარულად ვივლი პალატაში. მაგრამ ეს დიდი ხნის შემდეგ იქნება, ბურუსით მოცულ მომავალში. პო, მართლა, — იგი დისკენ შებრუნდა, — ერთი მშვენიერი ქალიშვილი გავიცანი. თუ მომავალში სერიოზული განზრახვა მექნება, მამა ალბათ თმას დაიგლეჯს, და დედაც, რადგან ქალიშვილი გერმანელია.

— მე მგონი, დროა ყველაფერი ვაპატიოთ და დავივიწყოთ, — თქვა კლერმა, — მაგრამ მართალი ხარ, წინაპრები აჯანყდებიან.

პერიკო, ეტყობა, არ იყო გურმანი: ისევ გადაიღო ჩაშუშული ხორცი.

— ქალიშვილს ანელიზა ჰქვია, წარსული უმწიკვლო აქვს. მისი ანტიფაშისტური მშობლები ოცდაჩვიდმეტ წელში ემიგრაციაში წავიდნენ გერმანიიდან და ბავშვიც თან წაიყვანეს. არა, ებრაელები არ არიან.

— ახლა ეს აღარავის ხვდება გულზე, — თქვა კლერმა.

— მაგრამ ომის შემდეგ ქალიშვილი მაშინვე დაბრუნდა გერმანიაში, მშობლები კი არა. თუ ვინმეს აქვს მოქალაქეობრივი გრძნობები, მას აქვს.

— პერიკო, მგონი, სერიოზულად გაქვს საქმე!

— თვითონაც არ ვიცი. შესაძლოა.

— შესახედავად როგორია?

— შავთმიანია, შეიძლება ფრანგი ან იტალიელი გეგონოს. რთილზე უკრავს. შენ გიყვარს მუსიკა, ტობი?

1. ქუნა ლონდონში, სადაც თავმოყრილია გაზეთების რედაქციები.



— ტობი ამ დროს შეიზიზღე ფიქრობდა, და რაღაც რომ ეთქვა, უპასუხა: ძალიანაც მიყვარს, მაგრამ ეს არ არის ჩემთვის მთავარიო.

— ფირფიტების ელექტროსაკრავი უნდა იყიდო, ახლა სუყველასა აქვს, — უთხრა კლერმა. — როგორმე უნდა განვივითარო ჩამორჩენილი გემოვნება.

თუმცა ტობიმ იცოდა, თვითონ კლერსაც არ ჰქონდა დახვეწილი მუსიკალური გემოვნება, და შეიძლება ჯერაც არც ერთ კონცერტს არ დასწრებია, მაგრამ მაინც ძალიან გაუხარდა: მან ხომ გადაკრულად მიანიშნა მათ ერთობლივ მომავალ ცხოვრებაზე.

— ახლა კი ავიზგიზებული ბანანები, — გამოაცხადა კლერმა, — ჩემი საფირმო კერძი, — მაგრამ ბანანები უკვე დიდი ხანი იყო, რაც აღარ გიზგიზებდნენ. — ეს რა მოგვივიდა? — მიმართა მან ძმას. — ტობის სადღეგრძელო არ დაგვიღევია. აბა, დავიწყოთ! ტობის სადღეგრძელო იყოს და იმ მშვენიერებისა, რაც მას გარს ახვევია, მისი მომავლისა.

— Gesundheit! — ისევ თქვა პერიკომ.

ტობი ბედნიერი იყო: კლერი მას ეკუთვნის, ერთი ხელის გაწვდენა და მისია. სიმპათიური პერაკო მზად არის მისი ცოლის ძმა გახდეს. ხომ შეიძლებოდა ერთი ვინმე უბირი ცოლის ძმა შეხვედროდა. მაგრამ ეს სიამოვნება ცოტა არ იყოს ჩააშხამა ბუნდოვანმა შეგრძნებამ, რომ სამაგიეროდ რაღაც დაკარგა. განა არა ეკარგავთ თითქმის ყველაფერს, რასაც ყმაწვილკაცობა გვაძლევს? განა დიდხანს შეგვრჩება მისი საჩუქრები ცხოვრების კიბეზე ასვლის დროს? ცხოვრება ხომ ტობის აზრით დაქანებული პანდუსი კი არა, მრვალსაფეხურიანი კიბეა, რომლის ყოველ საფეხურზე ხტომა-ხტომით უნდა ახვიდე. აი, ასეთი ნახტომი გააკეთა მან ახლა, და რა საჭიროა უკან მიხედვა, თორემ შეიძლება ზურგს უკან შეიზი ადმოჩნდეს თავისი ღვთიური ღიმილით.

— აი, ისევ გაშეშდი, რაღაც ხშირად გემართება ეს, — უთხრა კლერმა, — ძალიან ბევრს ფიქრობ.

— მეც ვფიქრობ ზოგჯერ. შენ ალბათ არც დამიჯერებ და გაიკვირვებ კიდევ. — თქვა პერიკომ. — ასე რომ, დააცადე ტობის იფიქროს, რაზეც არ უნდა ფიქრობდეს.

— მაპატიეთ, — გამოერკვა ფიქრებიდან ტობი — დღისით სამსახურში არა ჩაქვს ფიქრის დრო.

— რა ერთგული ძაღლია, არა? — სიტყვა გადაუკრა კლერმა.

პერიკომ ჩაიციხა.

ტობის ღვინო (კარგი ღვინო იყო, ბობის რჩევით იყიდა) ცოტა თავში აუვარდა.

— ყოველ შემთხვევაში, მამათქვენს არ ვუღალატებ.

კლერმა წარბები ახიდა:

— ერთი უყურეთ ამ გამგონე ბიჭს! რა თქმა უნდა, არ უღალატებ. მაგრამ ამისათვის ეინშტიენობა არ არის საჭირო.

— მე გეუბნები, არ უღალატებ-მეთქი.

პერიკომ დაამთქნარა:

— მამას გაახარებდა ამის მოსმენა. მაგრამ მართალი გითხრა, თუ მამა ვინმეს რაიმეს გაუკეთებს, მეორე წუთში ავიწყდება. საერთოდ, არ მაზსოვს, მერე ამის შესახებ რაღაც ეკითხოს მისთვის.

— მე შეიძლება ცოტა მაღალფარდოვნად ვლაპარაკობ, — დაიწყო თავის მართლება ტობიმ, — მაგრამ რასაც ვგრძნობ, იმას ვამბობ.



— ჰოდა, ნაკლებად მიჰყევი გრძნობებს და ფიქრს, თორემ მოგწყინდება, — თქვა კლერმა. — ჩვენ მხიარულება გვინდა. ჰოდა, მე გთავაზობთ, ახლავე ჭურჭელს დავრეცხავ და მერე...

— მე გავრეცხავ, — შეაწყვეტინა ტობიმ.

— არა, დღეს მე გავრეცხავ, მერე კი ლუდის ბარში წავიდეთ.

კლერი დატრიალდა, თხუთმეტ წუთში დარეცხა თუფშებები.

— ახლა კი წავიდეთ, მინდა ხმაური, მუსიკალური ატმოსფერო, ხალხში ჭყლეტა, — გამოაცხადა მან.

...საათი საათს მისდევდა და ტობი თანდათან შეზარხოშდა. გადაწყვიტა, დღეს კლერთან არ წასულიყო — თუმცა ვერც წავიდოდა, იქ ხომ პერიკო იყო. სამაგიეროდ ორ კვირაში აუცილებლად ხელსა ეთხოვ, რა საჩქაროა, სულაც არ არის საჩქაროო, გაიფიქრა ტობიმ.

ბარის დახურვამდე თხუთმეტი წუთი რომ დარჩა, კლერი და პერიკო წავიდნენ. აქ ძალიან დახუთული ჰაერია, თანაც პერიკო გათენებულზე უნდა ადგეს, რომ მატარებელს მიუსწროსო, თქვა კლერმა.

მარტო რომ დარჩა, ტობი დაფიქრდა: ნეტა რა მანძილია ჩემს სკამსა და დახლს შორის? ალბათ მივადწევ იქამდე, თუმცა რა ვიციო. ადგა და აღმოჩნდა, რომ მყარად იდგა ფეხზე. ამან ძალა შემატა და საბოლოოდ ერთი კათხა ლუდი კიდევ შეუკვეთა. დღეს ბევრი დალია, ნეტა რატომ? საერთოდ, ტობი ბევრს არ სვამდა. მაინც რატომ დათვრა? უსიამოვნო არაფერი შეხვედრია. კლერი და პერიკო მეგობრულად ექცევიან, თავის წრეში მიიღეს, ეს კია, მგონი, ლენგეინის პლიქვნელად ჩათვალეს. უბედურება ის არის, რომ ტობიმ არ იცის, რაზე და როგორ რეაგირებენ კლერი და პერიკო. ერთი წუთით მოეჩვენა, რომ დაძმა ეგზოტიკური ჩიტები არიან და მათ ვერაფერს გაუგებს, ისევე როგორც ჩიტებს, ორივე ძალიან უბრალო ადამიანია, თანაც ტობი სულაც არ იყო მოჯადოებული.

ტობიმ სწრაფად გამოცალა კათხა, იმედი ჰქონდა, უცებ არ იმოქმედებდა ადგა (კარგია, რომ მისი სახლი ახლოსაა) და ქუჩაში გავიდა, რომელიც მანქანების სინათლეებით იყო დასერილი და ნაწვიმარზე ლაპლაპებდა. ცა უკვე გადაწმენდილიყო, ბადრი მთვარე ანათებდა, რომლის იღუმალეობა ჯერ კიდევ ხიბლავდა ტობის.

ტობი კარგა გადაკრულში იყო, მაგრამ ყოჩაღად ეჭირა თავი, თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, კედელ-კედელ მიდიოდა. სრული განცხრომის წამი ედგა. იქნებ ასეთი წამი სიცოცხლეში აღარც მეღირსოს, ნეტა შეიძლებოდეს მისი შეჩერებაო, — ფიქრობდა მთვრალი.

ნელა აუყვა კიბეს. თავის ბინაში შევიდა თუ არა, მაშინვე ფანჯარა გამოაღო, რა უცნაურია: კლერს ძალიან უყვარს ჰაერზე ყოფნა, შინ კი ფანჯარას არასოდეს გამოადებს, თუ ძალიან არ დასჭირდა. მალე ჰაერი გაიწმინდა სიგარეტის ბოლისაგან და ოთახში აგრილდა.

ის იყო გაიხადა და ლოგინში ჩაწვა, რომ ისევე წამოხტა და სააბაზანოში შეეარდა, გული აერია და კიდევ გამოფხიზლდა. მაგრამ ისევე მსუბუქი და სასიამოვნო ფიქრები უტრიალებდა თავში. კმაყოფილი ტობი თანდათან ითქვამდა სულს. მერე პერიკოს უღვაშზე დაიწყო ფიქრი, ოქროსფერი რომ დაჰკრავდა მეიზის ნაჩუქარი ლამპის შუქზე. ახლა სამზარეულოსკენ მიმავალი კლერი და მისი მშვენიერი ზურგი და მხრები დაუდგა თვალწინ. სცადა კლერი ცხენზე მჯდარი წარმოედგინა, ჯერ არ ენახა ცხენზე ამხედრებული. ნეტა კლერი მეი-



ზიზე თუ ფიქრობს როდისმე? იქნებ სულაც არ სიამოვნებს, რომ ტობის მეიზის ნაჩუქარი ლამპა უდგას ოთახში? სადმე უნდა შეინახოს. მაგრამ ახლა არა, მერეც მოესწრება.



ტობიმ სამძიმრის წერილი გაუგზავნა ეიდრიანს, თავისი მისწრაფების მი-  
სამართი და ტელეფონის ნომერიც შეატყობინა.

ეიდრიანი რომ ჩამოვიდა, ტობის მის დანახვაზე ელდა ეცა: გამხდარი, და-  
ტანჯული, დაბერებული, სწორედ რომ დაბერებული ჩანდა ეიდრიანი. სილამაზე  
შერჩენოდა, მაგრამ ნაციხარივით ფერმკრთალი იყო.

— რა კარგია აქ, — უთხრა ეიდრიანმა. — დავლევ თუ არა? დიდი სიამოვნე-  
ბით, ყველაფერს დავლევ, რაცა გაქვს.

— ისე მეცოდება დედაშენი.

— მას შემდეგ მოცელილივითა ვარ. დედას ხომ სასიხარულო არაფერი  
ჰქონია თავის ცხოვრებაში, მხოლოდ ლინდონიდან წამოღებულ ბიბლიოთეკას  
შეჰხაროდა. — ეიდრიანი ერთხანს გაჩუმდა. — მართალი გითხრა, არ მინდა თავი  
მოვაბეზრო ჩემი უბედურებით, მაგრამ სამაგიეროდ რა ბედნიერებაა, გულს რომ  
გადაუხსნი ვილაცას.

— ნუ ბოდიშობ, რა ხდება იქ, თქვენთან?

— რა ვიცი, — დაიწყო გაუბედავად ეიდრიანმა. — ეგრეთ წოდებული ეშ-  
პაკის განდევნის შემდეგ მისის ალენი დამშვიდდა.

— ის ქალი, თავისი ამბებით რომ მოვაბეზრა თავი, ქმართან უსიამოვნება  
რომ ჰქონდა?

ეიდრიანი მოიღუშა.

— თავისას არ იშლის. მასთან აღარ დაედივარ, მეუხერხულება.

— ცხადზე ცხადია, მაგ ქალს მოსწონხარ.

ეიდრიანს უარი არ უთქვამს, მეტიმეტად დათრგუნული იყო.

— ეტყობა, იქაურ ქალებს მოსაწყენი ცხოვრება აქვთ და გასართობად ყვე-  
ლაფერს იყენებენ. ალბათ ეკლესიაშიც სწორედ მაგიტომ დადიან.

ტობის დაჟინებული შეკითხვების შემდეგ ეიდრიანმა უამბო, რომ ყოველდღე  
სამ სამრევლოში უწევს სიარული.

— დღის ბოლოს გაწურული ლიმონივითა ვარ და თავს იმით ვიმშვიდებ ხო-  
ლმე, რომ რაღაც კარგის გაკეთება კიდევ შემიძლია. მაგრამ უბედურება ის  
არის, რომ მთელ მრევლში ნამდვილად ღეთისმოსავი მხოლოდ სამი ღრმა მო-  
ხუცია. რატომ არის, რომ მხოლოდ ხანში შესულ ადამიანს შეუძლია ღმერთი  
აწამოს?

— ალბათ იმიტომ, რომ ახალგაზრდობაში არა გაქვს ამის მოთხოვნილება.  
ხომ იცი, მეც არა ვარ მორწმუნე, თუმცა მინდა ვიყო მხოლოდ იმიტომ, რომ  
შენ გასიამოვნო.

— ეჰ, მე თვითონაც არ ვიცი, მოვახერხებ კი ამ თამაშის მოგებას, — ეიდ-  
რიანი პირველად ლაპარაკობდა ასე უპატივცემულოდ თავის მოწოდებაზე, მაგ-  
რამ სიძარტლეს ამბობდა. — არც გამოცდილება მაქვს, არც მოთმინება, და ვცხო-  
ვრობ ასე... მაგრამ სულ ჩემზე ხომ არ ვილაპარაკებთ? ახლა შენს ახალ სამუშა-  
ოზე მიაამბე. ისე, ყველაფერზე გეტყობა, აყვავების ხანა დაგიდგა.



ცოტა ხანს ტობიზე ილაპარაკეს, მერე ბობზე და რიტაზე. ეიდრიანის აზრით, ეს ტრაგედია იყო და მათ ადვილად შეეძლოთ ეს აეცდინათ. ტობიმ აუხსნა, რომ ბობისთვის არ იყო ტრაგედია, რომ მას საინტერესო სამუშაო აქვს და ბავშვიც მასთან არის.

— და მაინც ოჯახის შენარჩუნება მთავარია, — დამრიგებლური / კილოთი წარმოთქვა ეიდრიანმა. გაყრის წინააღმდეგი იყო ყოველთვის.

— იქნებ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ ასეთი კატეგორიული ტონისთვის, — უთხრა ტობიმ.

— ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფრისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა ვარ. მაგრამ ადამიანს ხომ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული პოზიცია, — ამ სიტყვებზე ისე მადიანად დაიწყო სენდვიჩების ჭამა, თითქოს სამი დღე პირში არაფერი ჩაუდევსო. — მე ასე მიმაჩნია: თუ იკისრე რაღაც ვალდებულება, კეთილი ინებუ და შეასრულე.

— არა მგონია, ბობს და რიტას მოესწროთ ბევრი რამის შეპირება ერთმანეთისთვის, ისე სწრაფად იქორწინეს. ჩემი გაანგარიშებით რეგისტრაციის ცერემონია ზუსტად თერთმეტ წუთს გაგრძელდა, ან იქნებ ამაზე ცოტა ხანსაც.

კათბერტსონებს რომ კიცხავდა ეიდრიანი, აშკარად რაღაც თავისაზე ფიქრობდა, და ბოლოს ალაპარაკდა იმაზე, რაც აწუხებდა:

— მე თვითონ მივეცი აღთქმა, და ახლა მეშინია, რომ ვერ შევასრულებ.

— მოიცა, რაზე ამბობ?

— რაზე და, უცხოელების აღთქმა მივეცი, პირობა დაედე, მთელ ჩემს საცოდავ არსებას ღმერთის მსახურებას მიუძღვნო-მეთქი. ახლა კი ეჭვი მეპარება, რომ შევძლებ.

— ვაშას შევძახებდი, მაგრამ მეშინია, არ გეწყინოს.

— იმაზე რამდენიც გინდა. „ვაშა“ ვერ მიშველის, მაპატიე.

ტობიმ ჰკითხა, ვინ მოგწონსო.

რაღა თქმა უნდა, ექიმის ქალიშვილი აღმოჩნდა, რომელზეც ეიდრიანი სწერდა.

ერთი ერქვა. ეიდრიანმა თქვა: არ ვიცა, უმაგისოდ რას ვიზამდი ბოლო თვეებში, ყველაფერს აკეთებს, რისი გაკეთებაც შეუძლიათ. ყველას ეხმარება, ავადმყოფებს შინ აკითხავს. მათ იციან, რომ მოწყალების დად მუშაობდა და უხარიათ მისი მისვლაო. ერთი სიტყვით, ეიდრიანის „დასაყრდენი და იმედი“ იყო.

— თუ შივატოვე ყველაფერი და ეს ქალიშვილი შევირთე, საქმე კარგად წამივა. სიღარიბეში არ ვიქნებით. მე მაქვს ცოტაოდენი ფული, თანაც დღითი დღე უფრო ახლობელი ხდება ჩემთვის.

— მაშინ სხვა ქალები მოგეშვებიან.

— ალბათ. მაგრამ შენ არ იცი, რა არის ეს — ირწმუნო ერთი საქმე და მერე დარწმუნდე, რომ ვერ გაუძღვები მას.

— მე მგონი, გულმოწყალე ღმერთი კარგად გაიგებს, თუ იცის, რა საშინელ დღეში ხარ.

— რა ვატი, მე კი სამუდამოდ დამრჩება იმის შეგრძნება, რომ ღმერთს ვუღალატე.

ეიდრიანი ცოტა ხანს კიდევ დარჩა და მერე წავიდა. ამის შემდეგ დიდხანს არ გამოჩენილა და არც არაფერი მოუწერია. ტობის აზრით, რაღაც მაინც დაუძალა ეიდრიანმა: იგი აშკარად შეეყარებული იყო იმ ქალიშვილზე, თუმცა მხო-



ლოდ მშრალი ინფორმაციით დაკმაყოფილდა. ტობის შექმნა მის განცდებს ჩასწვლოდა, მაგრამ მხოლოდ გონებით და არა გულთ, და ცოტა არ იყოს ღამნაშავედ იგრძნო თავი, როცა გაიფიქრა, ეიდრიანთან განშორება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა მეგობრებთან. ეიდრიანი კარგი ყმაწვილია, მიზანდასახული, კეთილი, მაგრამ დიდი ჭკუით არ გამოირჩევა, ტობის ვერ შეედრება. ტობის აზრით, თვითონ შეიძლება ძალიან კარგი ადამიანი არ არის, მაგრამ უფრო ცუდია. მუდამ მზად არის მეგობრებს მოუსმინოს (ისინიც ატყაპყნობენ) და ზოგჯერ იმასაც ახერხებს, ნუგეში სცეს მათ. სხვისი მოსმენა ადვილია, მაგრამ ეს განსაკუთრებული ნიჭია, რასაც ყველას არ უბოძებს განგება. თვითონ არავის გადაუხსნიდა გულს, არც საიდუმლოს გაანდობდა ვინმეს, სანამ შეეძლო. თუმცა ახლა (დედის წარმატებებთან დაკავშირებით) თითქმის ყველა მისი საიდუმლო გამჟღავნდა და მეგობრებაც უფრო ადვილად უხსნიან გულს. გამოდის, რომ მან რაღაცისთვის მაინც ივარგა.

ტობიმ გაიფიქრა: რაც შეეხება ეიდრიანს, იმედი მაქვს, ცოტა ხანში „ტანკში“ დაბეჭდავს მისი ქორწინების შესახებო.

...თუმცა ტობი ორი კვირის შემდეგ აპირებდა კლერისთვის ხელი ეთხოვა, მაგრამ ფეხს მაინც ითრევდა. პერიკო გერმანიაში წავიდა, ტობი და კლერი კარგ დროს ატარებდნენ, და არ უნდოდა არავითარი ცვლილება, რა სასიამოვნოც არ უნდა ყოფილიყო. მან კლერს უყიდა მომწვანო ფირუზიანი ვერცხლის ბეჭედი და უჯრაში ჩადო. იყოს აქ, სანამ დამჭირდება. ძალიან ღამაში ბეჭედი, თანაც სადა, კლერს ალბათ მოეწონებაო, ფიქრობდა ტობი.

ამასობაში ნიუ-იორკში მისის რობერტსის გამოფენა გაიხსნა. პირველ ხანს მაინცდამაინც არ მიუქცევიათ ყურადღება, მხოლოდ პატარ-პატარა ცნობები დაიბეჭდა გაზეთებში. მერე კი უცბად გამოჩნდა ვერმონტელი მდიდარი მოხუცი ქალი, რომელიც ძალიან გაიტაცა უცნობი მხატვარი ქალის სურათებმა და შვიდი სურათი იყიდა. ეს რომ გაიგო, მისის რობერტსიც კი ცოტა გამოცოცხლდა. ამ უყულის მოლოდინში დედამ ღამაში პორტფელი უყიდა ტობის. ამ პორტფელით ბანკში სიარული მეტად უხერხული იყო, იმიტომ, რომ მას იშვიათად მოჰქონდა სამსახურის ქაღალდები შინ.

— ხომ მოგწონს, შვილო? — ცოტა შიშნარევად ჰკითხა დედამ, — ნამდვილ ბიზნესმენს დაემგვანები.

ეტყობა, დედამ ნაწილობრივ მაინც აპატია.

— ახლა შლაპა გაკლია, — გაიხუმრა მამამ, — და კიდევ ქოლგა.

როგორ მომავალსაც არ უნდა გეგმავდეს კლერი ორივესთვის, დედა მაინც არ გაიზიარებს მათთან ერთად. ნამდვილი წარმატებაც რომ ხვდეს — ჯერჯერობით კი ოდნავ შეიგრძნო წარმატება — მაინც არ შეიცვლება. ანთოსის მსგავსად დედა ძალას მიწასთან, მშობლიურ ნიადაგთან შეხებით იკრებს და გაუძალიანდება ყველას, ვინც შეეცდება ამ ნიადაგს მოჭლიჯოს. დედამისი და ბობ კათბერტსონი თავისებურად ბედნიერები არიან, ყოველ შემთხვევაში, ცოტად თუ ბევრად მაინც. განა ბევრი შეხვედრია მას ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ბედნიერი? ტობის რომ როდისმე მიეცა ნება საკუთარი თავისთვის, აჰყოლოდა გუნება-განწყობილებას, მაშინ ნამდვილად ექნებოდა დათრგუნვისა და სევდის პერიოდები. გულის სიღრმეში იცოდა, რომ ასე იქნებოდა, რომ ეს საშიშროება ემუქრებოდა და ამიტომ მტკიცედ გადაწყვიტა: არ დაუშვას, რომ მისმა გრძნობებმა გულის სიღრმიდან ზედაპირზე ამოხეთქონ.



იმ უჩვეულო თბილ ოქტომბრის საღამოს ტობი და კლერი საყვარულს მიეცნენ ლენგეინების სახლში, ჩელსიში. ვაჟი, როგორც ყოველთვის, დარწმუნებული იყო საკუთარ თავში, ქალი იკლაკნებოდა მის მკლავებში და მისი წამოძახილები მონადირის შეძახილებს წააგავდა, ასე ეჩვენებოდა ტობის, თუმცა არასოდეს გაუგონია მონადირის შეძახილი, ახლა კი ორივენი ინხლდნენ ზაწოლის დალიანდაგებულ საზურგეზე მიყრდნობილნი, სიყვარულის ოფლით განვითქულნი, იქვე პატარა მაგიდაზე ღვინით სავსე ბოთლი იდგა. კლერმა მსუბუქი, ჭრელი აბრეშუმის ხალათი ჩაიცვა, რომელმაც ტობი აღტაცებაში მოიყვანა.

— რა კარგია, რომ მაშინვე ზურგს არ მომიშვერ და ხერინვას არ ამოუშვებ ხოლმე, — უთხრა კლერმა, რომელსაც ხშირი, გაშლილი თმა მხრებზე ეყარა და ძალიან მიმზიდველი იყო.

ტობიმ ხელი მოხვია.

— მალე დაჯქორწინდებით, არა?

კლერს ხმა არ ამოუღია. მერე ალერსიანი, ცოტა დამცინავი ლურჯი თვალები მიანათა:

— მე მგონი, ფისო, ეს სულაც არ არის საჭირო, შენ როგორ ფიქრობ?

ტობი გაშტერდა.

— როგორ, შენ თვითონ არ... — ძლივს ამოღერდა.

— იმაზე ხომ არ ამბობ, მე რომ ჰლემსფორდში სულელურად წამოვროშე? განა შეიძლება ამის სერიოზულად მიღება? მოდი, როგორც ვიყავით, ისე დავრჩეთ, ხომ კარგად ვგრძნობთ თავს? მაშ, მეტი რა გვინდა?

ტობიმ სცადა გარკვეულიყო თავის არეულ ფიქრებში და მწარედ შეიგრძნო, რომ კლერმა უარი უთხრა, თანაც საბოლოოდ. ის მომავალზე წარმტაცი ოცნებაც უცებ გაფერმკრთალდა.

— არაფერი მესმის, — თქვა მან.

— მოდი, პირდაპირ გეტყვი, თუ შევძელი, — უჩვეულო სერიოზულობით უთხრა კლერმა. — გამოგიტყდები, მქონდა ასეთი ჩანაფიქრი, მაგრამ შენ ხომ საშინელი ჯანჯალა ხარ, განა არა?

ქალმა სიგარეტს მოუკიდა, ტობიმაც მოუკიდა სიგარეტს, მერე ღვინო დაიხნა და გადაკრა.

— შე ხარბო, შენა, მე?

ტობიმ ღვინო დაუსხა და მიაწოდა.

— ვერ გამოვიდა, — კლერის ხმაში ძლივს შესამჩნევი თხოვნა გაისმა, — რატომ არ შეგვიძლია დავტოვოთ ყველაფერი ისე, როგორც არის? ღმერთმანი, ჯერ არავისზე გათხოვება არ მინდა.

ტობის ზურგზე ოფლი შეაცივდა და საბანი გვერდზე გადააგდო.

— პერიკოც თანახმა იყო და ძალიან ნათლად მაგრძნობინა ეს.

— კარგი ერთი, ფისო, საკმარისია ვინმეს მივესალმო, და პერიკო მაშინვე წყობს ჩემი გათხოვების გეგმებს. მაგრამ ეს ხომ მე მეხება და არა პერიკოს ან დედას და მამას. შენ შეუყვარდი პერიკოს და ეს გასაგებიცაა. აგრეთვე ჩემს დედამამასაც. მაგრამ დამიჯერე, ალექზე გათხოვება რომ გადამეწყვიტა, რაც ძალიან საეჭვოა, მაგათ ეს უფრო ესაიამოვნებათ. ეგენი ხომ სნობები არიან, თუმცა



წლებზე ფეხს იდგამენ, რომ ვინმემ არ შეატყოს. ნუთუ ეს შენთვის მოულოდნელია?

ტობი გაოგნებული იყო — აღარც გულის ტკივილსა გრძნობდა, აღარც უკვირდა რამე, მხოლოდ მღუმარედ მისჩერებოდა კლერს.

— მისმინე, ერთადერთი, რაც ჩვენ გვაკავშირებს, ეს ლოგინია, და კარგადაც ვერთობით, ხომ ასეა? მე შენსავით ჭკვიანი არა ვარ და ადრევე ვიწყენი. საერთოდ, არ მესმის რა საჭიროა ქორწინება, თუ მაინცადაამაყნებ. მაინც ვიცი, რომ შევალთ, მაშინ. ერთი სიტყვით, დაივიწყე ეს და ძველებურად განვაგრძოთ. ღმერთო, რა ნეტარებაა!

ტობი დაჟინებით მისჩერებოდა კლერის ხალათზე ცისფერ, ვარდისფერ და ხასხასა წითელ ზოლებს, თან იმაზე ფიქრობდა, რომ სამუდამოდ დაიმახსოვრებდა ამ ხალათს. მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

— „რაო, ჩემო სიცოცხლე, სევდა შემოგაწვა?“<sup>1</sup> — ისევ ლიტერატურული რემინისცენცია, კლერი იშვიათად ხმარობდა ხოლმე ციტატებს. — ნუ სულელობ. დაუფიქრდი, რა ბედი გეწია, ასეთი მშვენიერი სამსახური იშოვე, მეც შენი ვარ, თუ რა თქმა უნდა, მიიღებ იმ პირობებს, მე რომ შემოგთავაზე.

— უღრმესი მადლობელი ვარ მამაშენისა იმისთვის, რაც გამიკეთა.

— შეხედე, რა მედიდურია! — წამოიძახა კლერმა. — ნეტა შეგახედა, რა სიფათი გაქვს.

ახლა კი იფეთქა ტობის გულში კიდევ ერთმა გრძნობამ — შეურაცხყოფილმა სიამაყემ: დამამცირაო, გაიფიქრა.

— შენი ვერაფერი გავიგე. დარწმუნებული ვიყავი, ჩემ მიმართ იმასვე გრძნობდი, რასაც მე შენ მიმართ.

— გარწმუნებ, რომ მე ნამდვილად მშვენიერად ვარ განწყობილი შენდამი... მაგრამ ტობიმ უკვე აიწყვიტა.

— შენ პირველმა არ დაიწყე? თანაც კარგა მაგრადაც მიტევედი, — გაიგონა ტობიმ თავისი ხმა.

— ფისო, არ გეჩვენება, რომ ოდნავ, სულ ოდნავ ვულგარულად იქცევი? — ნელა წარმოთქვა კლერმა.

— შენ, ეტყობა, ისედაც ვულგარულად მიგაჩნივარ და ალბათ საქმეც ეს არის.

კლერმა ისევ შეიკავა თავი:

— მოდი, გამოაგდე ეგ ყველაფერი შენი სულელი თავიდან და იქიდან დავიწყით, სადაც შევჩერდით.

— როგორ არა!

ტობი ადგა და ჩაცმა დიწყო. ჯიბეში ბეჭედი ეღო და გაიფიქრა:

რა ბედნიერებაა, რომ არ ვაჩვენეო. კლერი გაოცებული შეჰყურებდა.

— უყურე შენ, იბუტება! თვალებს არ ვუჯერებ. მაინც რას აპირებ, ჯანდაბაში მიდიხარ?

— პო.

— მოდი ჩემთან.

— არა, კმარა!

კლერმა სცადა დაემშვიდებინა ვაჟი.

1. შექსპირი, „ჭირვეულის მორჯულება“.



— ხვალ სულ სხვა თვალთ შეხედავ ამას, — თქვა მან და სიგარეტი გა-  
 აბოლა.

— არა! მორჩა, გათავდა ყველაფერი.

— სასაცილოა პირდაპირ. თვითონაც იცო, რომ ერთმანეთს დიდ სიამოვნებას  
 ვანიჭებთ, და შეგვიძლია ასევე განვაგრძოთ.

— მე ბუნა ხარი არა ვარ.

ამის გაგონებაზე კლერი მართლა ისე გაბრაზდა, ტობის არასოდეს ენახა.

— ეს კი ნამდვილი თაუხედობაა!

— შეიძლება. ახლა სიტყვების შერჩევა არ შემიძლია.

— ზრდილობიანი სიტყვები არც მოგდის თავში.

ჩაცმას რომ ამთავრებდა, ტობიმ გამწარებით გაიფიქრა: დიახ, ამ საღამოს  
 გამომჟღავნდა ჩემი მდაბიური წარმოშობა და უხეშობა. მე კი მეგონა, კარგა ხნის  
 წინ წაუშალე ეგ ზღვარიო.

— მაპატიე, მაგრამ სწორედ ასე ვხედავ ყველაფერ ამას.

მშვიდობით, კლერ, მშვიდობით, პლემსფორდ და პერიკო, რომელიც ასე შე-  
 უყვარდა ტობის.

— გაიხადე ეს სულელური ჩვრები და მოდი ჩემთან, ისევ საყვარელი და კარ-  
 გი გახდი.

მაგრამ ტობი უკვე შეჯდა ჯორზე. თქვა, არ მოვალთ და არც მივა. ეს სა-  
 ბოლოო და მტკიცე გადაწყვეტილებაა. და უცებ გაუელვა თავში: კლერის უარის  
 გამო ნამდვილად გულგატეხილი რომ ვყოფილიყავი, მაშინ ასე უცბად ვერ გადავ-  
 წყვეტდი განშორებას, მაგრამ არა, მან მხოლოდ ტკივილი მომაყენა და სიამაყე  
 შემიღახაო.

— ღმერთო ჩემო, ეს ტრაგიკული განშორებები! იმ კვირას დამირეკე, როცა  
 ცოტა დამშვიდდები. ახლა კი მოდი და ერთი მაგრად მაკოცე.

მაგრამ ტობიმ არ აკოცა. კლერმა ისევ სიგარეტს მოუკიდა, ღვინო დაისხა  
 და დამრგვალებული თვალებით მიაჩერდა ტობის.

ტობი წავიდა.

შინ რომ მივიდა, თავბრუ ეხვეოდა, ვერ გარკვეულიყო თავის გრძნობებში.  
 იგი მძიმედ დაეშვა ღივანზე და მაშინვე იგრძნო რაღაც მაგარს დააჯდა — ბე-  
 ჭედი აღმოჩნდა ატლასგამოკრულ კოლოფში. წყეულიმც იყოს!

აქამდე თუ ტობი არ გამოირჩეოდა სიმტკიცით, ამის შემდეგ სულ სხვანაირი  
 გახდება. ახლა თავმოყვარეობაშელახული და გაცოფებული იყო. ამიერიდან აღ-  
 არც გაეკარება იმ აყლაყუდას, თავისი სიმდიდრისა და დამოუკიდებლობის გამო  
 იულდაჯერებულსა და სიცოცხლით საესე იმ ზოზროხას, რომელიც ბოლოს და  
 ბოლოს მისთხოვდება ალექს და მას არგუნებს იმ სიხარულს, ტობის რომ ჩა-  
 უკლა.

მეორე დღეს კლერის უდარდელი, მხიარული წერილი მიიღო: „რა მოგივი-  
 და, რას ტუტუცობ? ჩვენ ხომ შეგვეძლო ცხოვრებით დაემტკებარიყავით მანამდე,  
 სანამ შენ ისურვებდი? ეს რა კაცის საქციელია? აქამდე ვინც მყავდა, არავინ ორი  
 კვირის მეტს არ გაბუტულა. შენ სამ კვირას მოგცემ, რადგან ჯორივით ჯიუტი  
 ხარ. წავიდეთ „კენოტში“, ვისიამოვნოთ. მე მომენატრები“.

ტობიმ არ უპასუხა, ხოლო როცა კლერმა დაურეკა, ტობი ისე ელაპარაკა,  
 როგორც აბეზარ, უცხო ადამიანს.



მან გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ დაემთავრებინა ყველაფერი. ამიტომ შაბათს მშობლებთან წავიდა, რომ დედას დალაპარაკებოდა:

— მე და კლერი დაუშორდით. ალბათ გაგახარებს ეს.

დედას ჯერ სახეზე შვება გამოეხატა, მაგრამ მაშინვე გაცხარდა როგორ, ვილაც ქალიშვილმა მისი შვილი უარყო? ხმამაღლა კი თქვა:

— ძალიან საწყენია.

— თვითონვე იცი, რომ სულაც არა ვწყენს.

— მართალი ვითხრა, არასოდეს მომწონდა. არ მინდა ისეთი რამ ვთქვა, რაც კიდევ უფრო გაგიფუჭებს გუნებას.

— ნუ გეშინია, არაფერი გაგიფუჭებს გუნებას. როგორმე ადვილად მოვერევი ამას. — დედა შეეცადა მისთვის ცნობილი ერთადერთი მეთოდით ენუგეშებინა შვილი: გემრიელი კერძები მოუმზადა და ტობიც ჭამდა და ჭამდა.

ტობიმ გულისტკივილით შეიგრძნო, რა მკვეთრი განსხვავება იყო მის მშობლიურ სახლსა და ჰლემსფორდს შორის. ნუთუ მისთვის სახლის ფასადი და მოწყობილობა ასეთი მნიშვნელოვანია? ეტყობა, მნიშვნელოვანია, თუმცა ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ტობის ჰედისდონი გაცილებით უფრო მოსწონდა, ვიდრე ჰლემსფორდი, ეს უდავოა. ლედი ლენგეინის დაუდევარი დიასახლისობა მუდამ აკვირვებდა ტობის და მაშინვე გაახსენდებოდა ხოლმე უზადო წესრიგი, რომელიც მშობლების სახლში სუფევდა. წყენა და იმედგაცრუება ისეთი მწვავე აღარ იყო, თანდათან ქრებოდა, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ თვითონვე ეუხერხულებოდა. საოცარი კია, მაგრამ პერიკოზე უფრო ბევრს ფიქრობდა, იმ სიმპათიურ გოლიათზე, რომლის ოქროსფერ უღვაში ნათურის შუქის ათინათი კრთოდა.

— ძველებურად გადაკრათ თითო ჭიქა: შევსვით შენი იღბლიანი მოძავლის სადღეგრძელო, — შეაწყვეტინა ფიქრები მამამ.

პირველად რომ გაიგეს მათი განშორების ამბავი, მშობლები ძალიან შეშფოთდნენ, მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ტობი დიდად არ დარდობდა. მართალია, სიამაყე შეულახეს, მაგრამ ეს ჭრილობა მალე შეუხორცდებაო, იფიქრეს. პირველად მშობლებმა ანუგეშეს, დაამშვიდეს, კლერთან კავშირი რომ გაწყვიტა, და საბოლოოდაც გაწყვიტა. ტობიმ იგრძნო, როგორი სინაზით განიმსჭვალა დედამისი მიმართ. ბოლო წლებში დიდი ყურადღებით არ ჰყავდა მშობლები განებივრებული, თუმცა არც ცუდი შვილი ეთქმოდა. უცებ მოსწყდა მათ — აღრე თუ გვიან ეს ალბათ ყველას ემართება. დედამ და მამამ თავისებურად ააწყვეს თავიანთი ცხოვრება, და თუმცა დედას წარმატება ხვდა, უკვე აღარასოდეს შეიცვლებიან. მშობლების პატარა სახლიც, ეტყობა, ისევე არ შეიცვლება როგორც ვესტმინსტერის სააბატო. ხოლო ტობის ყოველთვის შეუძლია დაბრუნდეს შინ, შეისუნთქოს სკიპიდრის სუნი და მშობლიური სახლის ყველა სურნელი.

...შემდეგ კვირას ტობიმ მისწერა მეიზის. ეს არ იყო ისეთი უდარდელი და დაუდევარი ბარათი, როგორც ამასწინანდელი. ენერგიული, მტკიცე სიტყვები იფრქვეოდა მისი კალმოდან. რატომ არ შეიძლება დროდადრო შეხვდნენ ერთმანეთს, როგორ შეიძლება ასე უცბად განშორება? ხომ შეიძლება მეგობრებად დარჩნენ? ძალიან მომენატრე. რაც მართალი მართალია, წინათ ისე არ ვიქცეოდი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ამიერიდან ვპირდები ისე მოვიქცე, რომ კმაყოფილი დარჩეო.

ოღონდ დამეთანხმოს და შემხვდეს სადმე, ოღონდ შევძლო ვუთხრა, როგორ მიყვარსო, ფიქრობდა ტობი. მეიზის მეტი მას არავინ უყვარს და არც არავინ



პყვარებია, მაგრამ ეს არ მიუწერია, წერილი ამანდას მოკითხვით დაამთავრა.

მაგრამ პასუხი არ მიუღია. ეტყობა, მეიზი დედას წაჰყვა ზამთრის მოგზაურობაში, არწმუნებდა თავს ტობი. წერილებს კი არ გადაგზავნიდნენ, ეს მისი ფერარსის მეგობრებმა და ტობიმაც იცოდა.

იგი ძველებურად ყოველდღე დადიოდა სამსახურში, თავისუფალ დროს მხოლოდ მეიზიზე ფიქრობდა. ფირუზიანი ბეჭედი უჯრაში ~~დრამად ედო~~ წიგნებისა და ცხივრსახოცების ქვეშ. იქნებ კიდევ დასჭირდეს, ~~უინ იცინს?~~ ამის გაფიქრებაზე ხალისი ემატებოდა.

31

მოულოდნელად ტობიმ კრეინის ბარათი მიიღო. მოკლე, მაგრამ ძალიან თავზიანი ბარათი: დიდი ხანია არ შევხვედრივართ და იქნებ ამ დღეებში სალამოს ექვსი საათის შემდეგ მოხვიდეთ პერტფორდ-სტრიტზე, თითო ჭიქა დავლიოთო.

ტობიმ ივარაუდა, რომ მისი ახალი ბინის მისამართი ედუარდს მეიზისგან ეცოდინებოდა და გახალისდა, გულში იმედი ჩაესახა. იქნებ მეიზის დავალებით ნოქმედებს? თუ ასეა, ტობის გაჯორვა მოელის. მაგრამ არა უშავს, უარესიც მომხდარა მის ცხოვრებაში.

პერტფორდ-სტრიტზე ტობი ხალისიან გუნებაზე მივიდა და ედუარდიც გულბილად შეხვდა. კრეინის ლამაზი, მოუვლელი ოთახი რალაციით პლემსფორდს აგონებდა. თუმცა ლენგეინებს არ ჰქონდათ არც ერთი კარგი სურათი, აქ კი მშვენიერი სურათები ეკიდა.

— დასველებულხართ, — უთხრა ედუარდმა. — წვიმს? სულელური კითხვაა, მაგრამ მთელი დღე შინ ვიჯექი. აი, პირსახოცი, თმა გაიმშრალეთ.

ტობიმ პირსახოცი ჩამოართვა და ვისკით სავსე ჭიქაც აიღო.

— ახლა რას საქმიანობთ? — ედუარდმა, ეტყობა, ბანკზე არაფერი იცოდა.

ტობიმ სიამაყით უამბო თავისი ახალი სამსახურის შესახებ. კრეინი აშკარად გაოცებული დარჩა.

— საინტერესო სამუშაოა? ეტყობა, იქ დიდი შესაძლებლობები გექნებათ. მაგრამ სამწუხაროა, რომ „სენ-ჟიუსტს“ გაანებეთ თავი. მე რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგი წიგნი გამოვიდოდა.

ნათურების რბილი შუქი, მყუდრო ბალიშები, ალაგ-ალაგ ჩავარდნილი დივანი.

ედუარდმა მცირეოდენი ღუმლის შემდეგ თქვა:

— მე ცოლად ვირთავ მეიზის.

ტობის თითქოს მეხი დაეცაო.

— როგორ შეგიძლიათ?! — იყვირა მან, საკუთარი ხმა თითქოს შორიდან მოესმა.

— ტობი, არ გეკადრებათ თქვენ ასეთი უხეშობა. თუმცა, რას იზამ, მესმის თქვენი. ასაკით მამად ვეკუთვნი, მაგრამ ვფიქრობ, თხუთმეტი წლით მაინც გავაბედნიერებ. იქნებ ვიცოცხლო კიდევ ამდენ ხანს.

ტობი დივანის ზურგს მიეყრდნო. ეჩვენებოდა, რომ გარშემო ყველაფერი დაცურავდა. ნათურების შუქიც დაბინდულ მთვარესავით მქრქალი ჩანდა.

— არც კი ვიცი, რა ვთქვა.

— მაშინ იქნებ მე ვილაპარაკო? მე საკმაოდ კარგად ვიცნობთ, ტობი, ყო-



ველთვის ვიცნობდით. ისიც ვიცი, მეიზი როგორ იყო თქვენდამი განწყობილი, მაგრამ ახლა უკვე ყველაფერი დამთავრდა. ჰოდა, ყური დამიგდეთ: მეიზი უკვე დიდი ხანია მიყვარს. როგორ ფიქრობთ, რატომ დავდიოდი ასე ხშირად ჰედის-დონში? ამანდას ცირკისტვის? თუმცა მასაც შევეთვისე. მაგრამ ასეთი თავყრილობა არასოდეს მიზიდავდა. იქ მხოლოდ მეიზის გულისთვის დავდიოდი. ახლა მინდა ვიზრუნო მასზე, და ჩემი აზრით, მასაც ეს სურს.

ერეკუნული

ზონზროხა, ჭალარა მოხუცი, გაიფიქრა ტობიმ მთელი მსოფლიოს მსოფლიო-ლი შეუბრალებლობით.

— არ მინდა, ზედმეტი ტკივილი მოგაყენოთ, მაგრამ სასაყვედურო არაფერი გაქვთ ჩემ მიმართ. ასაკი? არც ისე ბებერი ვარ. კარგად იცით, მეიზი რას გრძნობდა თქვენ მიმართ. მგონი, არც თქვენთვის იყო ეს წუთიერი გატაცება, მაგრამ მაინც ვერ გაუძელით კლერის სატყუარებს, ვერ მოერიეთ თავს.

— მეიზიმ დაგავალათ, ასე უთხარიტო?

— არა. მან მხოლოდ მთხოვა მეცნობებინა თქვენთვის ჩვენი გადაწყვეტილება.

მხოლოდ იმისთვის, რომ რაღაც გაეკეთებინა, ტობი კვლავ თმის შემშრალესას მოჰყვა. ეღუარდმა ჭიქა გაუვსო. ტობი გრძნობდა, რომ აქ ყოფნა აღარ შეეძლო, მაგრამ ღონე არა ჰყოფნიდა, ამდგარიყო და წასულიყო.

— არ იფიქროთ, რომ არ მესმის, რა მეხის დაცემაც იყო ეს ამბავი თქვენთვის. უნდა ვითხრათ, რატომღაც მეგონა, უფრო იოლად ჩაივლიდა ჩვენი საუბარი. თუ ეს ცოტას მაინც განუგეშებო, იცოდეთ, თქვენ მე დამამცირეთ, ეს კი იშვიათია ჩემს ცხოვრებაში. თქვენ ისეთი ბუნებისა ხართ, ყველაფერი მალე გაგივლით. ლენგეინი თავის მფარველობას არ მოგაკლებო. არ არის ამის კაცი. თქვენც თანდათან დაწინაურდებით. როცა გაგიცანით, მაშინვე მივხვდი, რომ თქვენ შეძლებდით აღმასვლას, მაგრამ არ ვიცოდი, რა გზით.

ტობი გულში გაშმაგებით იმეორებდა: ხმა გაიწყვიტე! ხმა გაიწყვიტე!

— მე კეთილად ვარ განწყობილი თქვენდამი, და იმედი მაქვს, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ყველაფერი დალაგდება, თქვენც ასევე მიპასუხებთ. ყოველ შემთხვევაში, მეიზის ამის იმედი აქვს. თქვენი უბედურება ის არის, რომ ძალიან ცდილობთ არაფერს ჩაერიოს თქვენს ცხოვრებაში, არადა, ეს ზოგჯერ საჭიროც კია, დამიჯერეთ.

...მეიზი ეღუარდს მიჰყვება ცოლად.

— სჯობს წაეიდუ, — თქვა ტობიმ.

— თუ სხვანაირად არ შეგიძლიათ, რას ვიზამ. მე კი მინდოდა, რომ დარჩენილიყავით. დამიჯერეთ, ვიცი, რასაც გრძნობთ. უფრო სწორად, მივხვდი, თქვენი რეაქცია რომ დავინახე. აქამდე იშვიათად თუ გეწყინებოდათ სერიოზულად რამე, ამიტომ ვიფიქრე, ცოტას გაჯავრდება და მეტი არაფერი-მეთქი.

— მეიზი უნდა ენახო.

— მე არ შემიძლია დავაძალო, ჩემზე არ არის დამოკიდებული. მოდი, მეგობრულად ვილაპარაკოთ, ტობი. იქნებ სულელურად გამომივიდა, რომ ვიფიქრე, ადვილი იქნებოდა თქვენთან ლაპარაკი. თუმცა ნაწილობრივ თქვენი ბრალიცაა: თქვენ ხიბლავთ ადამიანებს, მაგრამ გიყვართ, ფუქსავატად მოაჩვენოთ ყველას თავი. მაგრამ თუ მეტყვით, რომ მეიზი გიყვართ, დაგიჯერებო.

— ბედნიერია?



— ჩემი აზრით, კი, ძალიან. თუმცა თქვენ შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ.

როგორმე ძალია უნდა მოვიკრიბო, გაუელვა ტობის თავში, ის ტობი რომ ზერტსი, რომელიც ახლა ეღუარდმა დახატა, უკვე ზიზღსა ჰგვრდა. მან საჩქაროდ დალია ჭიქაში დარჩენილი ვისკი.

— გადმომიგდეთ პირსახოცი, თორემ დივანი დასველდება, — წინაშე კრეინმა.

ტობიმ გადაუგდო და კრეინმაც მარჯვედ დაიჭირა იგი, თითქოს რაღაც უცნაურ თამაშს თამაშობდნენ.

— გმადლობთ, დაგისხათ?

მაგრამ ტობიმ უარი უთხრა, სიგარეტს მოუკიდა. არაფრის მოსმენა აღარ შეეძლო. მეყოფა, რაც მოვისმინეო, საერთოდ, ძალიან ბევრ ვინმეს უსმინა აქამდე, ახლა კი ეყოფა. და ტობი ალაპარაკდა: დიახ, მეიზის ცუდად მოექცა, მეიზის გრძნობა ისეთი ღრმა იყო, რომ ტობის შეეშინდა, მის გვერდით დამაბული ცხოვრება მექნებო, ჰოდა, წამოიწყო ეს უაზრო სიყვარულობა კლერთან, რომელიც ყველაფერს უბრალოდ და მარტივად უყურებს. მაგრამ ახლა ყველაფერი დამთავრდა. კლერმა უარი უთხრა. პირველად აღუშფოთდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ბევრს არაფერს ნიშნავდა იგი ჩემთვის. მთელი ეს ხანი მეიზიზე ეფიქრობდი, მენატრებოდა, და ბოლოს და ბოლოს მივხვდი, რომ მიყვარს მეიზი და ყოველთვის მიყვარდაო.

— მე ვაფასებ ღრმა გრძნობებს, — ჩაილაპარაკა ეღუარდმა, — მაგრამ ახლა აღვაზრდა შეიძლება დააფრთხოს ამან: სიცოცხლე ისეთი მშვენიერია, რომ არ ღირს გაიმწარო სხვისი გრძნობების გამო. მეიზის მართლაც ღრმა გრძნობები აქვს და მე მომწონს ეს.

— მეიზი თუ ჩემი არ გახდება, ვერ ავიტან.

— მეც შემიძლია იგივე ვთქვა. თქვენ მთელი ცხოვრება წინა გაქვთ, კიდევ ბევრჯერ შეიყვარებთ. ჩემთვის კი ეს უკანასკნელი სიყვარულია, და ყველაფერს გააკეთებ, რომ დავიცვა, — შეუბრალებლად მოუჭრა ეღუარდმა და წამოდგა.

ცოტა ყოყმანის შემდეგ ტობიც ადგა.

— ალბათ სჯობს წავიდე.

— ალბათ, — ეღუარდის ხმაში სევდა გაისმა. — მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთ ტკივილს მოგაყენებდით, თანაც ასეთ კილოზე გელაპარაკეთ. მაგრამ რასაც არ უნდა გრძნობდეთ, ნუ გაწყვეტთ ჩემთან კავშირს, რადგან, როგორც უკვე ვთქვი, მე მომწონხართ და თქვენი ბედით ვარ დაინტერესებული. — კრეინმა ფანჯარაში გაიხედა და უკვე ჩვეული კილოთი უთხრა: — ისევ კოკისპირულად წვიმს, ქოლგა ხომ არ შემოგთავაზოთ?

...ტობი მთლად განადგურებული მიაბიჯებდა ქუჩაში, რას იფიქრებდა, რომ ასეთი უბედური იქნებოდა. მარტო იმის წარმოდგენაზე, თუ რა საზიზღრობა იყო ეს კავშირი სუფთა ფიზიკური მნიშვნელობით, ლამის გაცოფებულიყო. საზიზღარი სურათები წარმოუდგა, თითქოს ჰალუცინაციები აქვსო: მეიზი — ნაზი, ოქროსფერი, მოქნილი, და ეს ბებერი! მთელი არსებით სძულდა ეღუარდი. თხუთმეტი წლის ბედნიერება! ტობი ორმოცი წლის ბედნიერებას მიაწვდებდა მეიზის! ქუჩაში მიმავალს არაფრით არ სჯეროდა, რომ ყველაფერი დასრულდა.

გაშმაგებას სულის გახევება მოჰყვა. არც კი იცოდა, რამდენ ხანს იარა, ან სად მიდიოდა. შიშშილს არა გრძნობდა. ერთადერთი სურვილი ჰქონდა: ეარა



და ეარა. წვიმამ საწვიმარში გაატანა, სახეზე, თვალებზე თქრიალით ჩამოდიოდა წყალი... ვისკიმ სრულებით არ იმოქმედა მასზე, მაგრამ მაინც მოვრალივით იყო უბედურებისა და იმედგაცრუებისაგან, თანაც დამცირების სიმწარე უმღვრევდა გულს; ამას ხომ ყველა გაიგებდა: დედა, მამა, მეგობრები, წყნელი ბებერი! (ედუარდი ორმოცდაცამეტი წლისა იყო). უცებ მეიზი შეზიზღდა, როგორ შეუძლია ასეთი საზიზღრობა ჩაიდინოს, ასე წაიბილწოს თავი! ედუარდი უყვარს? ეს ხომ შეუძლებელია, ამის წარმოდგენაც არ შეიძლება!

შეჩერდი, უთხრა ტობიმ საკუთარ თავს.

და მართლაც შეჩერდა. ნეტა აქ რა უნდა? ქუჩის კუთხემდე მივიდა და ფიფიტაზე წაიკითხა ქუჩის დასახელება — ნეტაუ აქ როგორ მოხვდა? ტობიმ უცებ ფეხებში სისუსტე იგრძნო დაღლილობისაგან. საათს დახედა. ედუარდიდან რომ წამოვიდა, შვიდი საათი ხდებოდა, ახლა კი ათს აკლდა ათი წუთი. მაშასადამე, უკვე სამი საათია დაბორიანობს. ტობიმ ტაქსი გააჩერა და შინ წავიდა. შინ მისულმა ერთი ჭიქა რძე დალია, ყველი და ნამცხვარი შეჭამა, ერთი პატარა ნატეხი შოკოლადი დააყოლა. მერე დაჯდა და მეიზის გრძელი წერილი მისწერა. ჯერ არ დაუწერია ასეთი უაზრო, აბდაუბდა წერილი. ხან საყვედურებით ავსებდა მეიზის, ხან კემბრიჯსა და პარიზს ახსენებდა, ხან ემუდარებოდა შეხვედროდა, თუნდაც უკანასკნელად.

მაგრამ კონკურტს მისამართი მაინც არ დააწერა: წაიკითხა წერილი და მიხვდა, რა სულელური და უაზრო ნაბოღვარი იყო, თანაც მეტად დამამცირებელი ტობისთვის. კიდევ დამცირება უნდოდა ისედაც განადგურებულ კაცს? მან ნაკუწებად აქცია წერილი, უნიტაზში ჩაყარა და წყალი მიუშვა. მერე მწვანე ლამპას დასწვდა და ტანსაცმლის კარადაში ღრმად შეჩურთა, რათა არავისთვის აღარ გაენათებინა: არც მეიზისთვის, არც კლერისთვის, არც პერიკოსთვის.

მარჯვენა ფეხი ძალიან სტკიოდა, ფეხსაცმელი და წინდა რომ გაიხადა, კარგა მოზრდილი ბებერა აღმოაჩინა. მერე ნემსი ანთებულ ასანთს მიუშვირა და კანში შეარჭო. სითხე მაშინვე გამოვიდა და ბებერაც დაცხრა. ნეტა სალბუნი თუ მაქეს სახლშიო, გაიფიქრა, მაგრამ არ აღმოაჩნდა და ცხვირსახოცით შეიხვია, ექნებ დამე გამიძლოსო. სანამ ამას აკეთებდა, ერთხანს დაივიწყა თავისი გასაჭირი. ფეხის შეხვევას რომ მორჩა, იგრძნო, ფეხქვეშ ნიადაგი მყარი ხდებოდა და თვითონაც თავის თავს ემსგავსებოდა. ძილი ჯერ არ ეკარებოდა. ტობიმ მოძებნა ძველი ლეტექტივი და კითხვა დაიწყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, სტრიქონები სადღაც გარბოდნენ. გაშმაგებას და უბედურებას მწარე ნალველი მოჰყვა. მაგრამ ამას უფრო ადვილად მოერეოდა. როგორ გაისულელებდა თავს, ის ისტერიული წერილი რომ გაეგზავნა. მეიზი არ დასცინებდა, მაგრამ არც უპასუხებდა. თუმცა შეიძლება კრეინისთვის ეჩვენებინა და ეკითხა: როგორ მოვიქცეო. არა, მეიზი არ იზამდა ამას. ისინი არასოდეს მის საწინააღმდეგოს არაფერს ჩაფიქრებენ, ერთი წამითაც კი. მეიზი უნაკლო ადამიანია. ასეთ უნაკლო ქალიშვილს ტობი ვედარასოდეს შეხვდება. მან იბანავა და ლოგინში შეწვა. ღამის ორი საათი იყო, და სწორედ მაშინ დააფასა ის უბრალო, შემთხვევითი ნუგეშისცემა, რომელსაც ცხოვრება ზოგჯერ გაიმეტებს ხოლმე, როცა ძალიან გჭირდება: თავქვეშ რბილი ბალიში ედო, საბანი თბილად შემთხვეოდა ტანზე. ტობი თითქოს სადღაც იძირებოდა, როგორც რკინის ნატეხი უძირო სიდრმეში. მთელი მისი არსება სიმწრით იყო სავსე, მაგრამ ფიზიკურ შვებას გრძნობდა. მხოლოდ ფეხი სტკიოდა ისევ და ცხვირსახოციც ჩამოუცურდა ნატეხნი ადგილიდან.



იმ დღეებში ტობი დედასთან წავიდა, გულს გადავაყოლებო. იგი ყოველნაირად ცდილობდა დაემალა თავისი გულისტკივილი, მაგრამ იცოდა, დედის მხვილ თვალს ვერაფერს გამოაპარებდა, და ყველაფერი უამბო.

დედა საშინლად აღშფოთდა, ეს ხომ უთანასწორო ქორწინებააო, მაგრამ გამოთქვა თუ არა თავისი აზრი, მაშინვე დამშვიდდა.

— მე ცოტა შეყვარებული ვიყავი მეიზიზე, დედა. უფრო სწორად, მუდამ მიყვარდა იგი...

— მაშინაც, როცა იმ კლერთან იყავი? კარგი ერთი!

ეს სიტყვები დედამ მკაცრად წარმოთქვა, მაგრამ ტობიმ იცოდა, რომ დედას სუგეშისცემაც შეეძლო.

— მე მართალი ვითხარი...

— და არ გსურს გაიგო, მე რა მინდოდა. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენ რა გვინდა. ყოველთვის ისე არ გამოდის, როგორც გინდა. რას იზამ, საყვარელო, უნდა შეეგუო ცხოვრებას, ისეთს როგორც არის. მე მუდამ ამ წესს ვიცავ. მეიზის აუცილებლად გაუგზავნი საქორწინო საჩუქარს.

— რას გაუგზავნი? — ტობი ერთი წუთით გამოერკვა ბურანიდან.

— მაქვს ერთი სურათი — ქალიშვილი მდელოზე. მეიზის ალბათ მოეწონება. მშვენივრად იცი, რომ მეიზი შეიცნობს საკუთარ თავს, გაუელვა ტობის. რას იზამ, დედა არტისტული ბუნების ქალია და ეს არტისტიზმი ბევრ რამეში, და არა მხოლოდ მხატვრობაში, იჩენს ხოლმე თავს. დედამ გადაწყვიტა სწორედ ასე დამშვიდობებოდა მეიზის, უნდა აჩვენოს, რომ მას ეყვარებოდა მეიზი.

— ალბათ მოეწონება, — თქვა მან.

მისის რობერტსი სამზარეულოში აფუსფუსდა, ყვავილებს თავისი ადგილი მიუჩინა, (ყვავილები ერთადერთი ფუფუნება იყო, რისი ყიდვის უფლებასაც აძლევდა იგი თავს). როცა ფუსფუსს მორჩა, შვილს მიუჯდა.

— შენ ხომ იცი, არ მიყვარს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა.

— ვიცი.

— მაგრამ შენ ახლა გიჭირს, ხომ ასეა?

— ეღუარდი მეც მომწონს, — ტობიმ თავი აარიდა პირდაპირ პასუხს. — მაგრამ, ჩემი აზრით, მეიზი ძალიან ცდება.

— ხომ იცი, რომ შენთვის ყველაფერი საუკეთესო მინდა. უბრალოდ, მინდა ბედნიერი იყო. და ასეც იქნება. სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი მეიზის გამო... ისე, რამდენადაც ვიცი, შენი ბრალია, სათანადოდ არ აფასებდი მეიზის.

— მხოლოდ ახლა დავაფასე.

— ხომ გავიგონია: ავი ძალღი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო. ახალგაზრდებს ახალგაზრდები უნდა გიყვარდეთ, დაე, ასე იყოს მთელ ქვეყანაზე! — ჩემი დევიზი ეს არის, და არ მინდა თავი ისე მოგაჩვენო, თითქოს ძალიან მომწონდეს ეს ქორწინება. მაგრამ თუ მე კარგად შევიცანი მისტერ კრეინის ხასიათი, ეს საქმე გადაწყვეტილია. შენ მოგწონს მისტერ კრეინი, მეც მომწონს ორივე. მათ ყველაფერი კარგად წაუვათ. შენ უნდა შეეგუო ამას, და შეძლებ კიდევ. ტობის არასოდეს უგრძვნია ასეთი სიახლოვე დედასთან.

დედამ მხრებზე მოხვია ხელი.



— ქვეყანაზე მხოლოდ მეიზი არ არსებობს, არა, მხოლოდ ის არ არის. აი, ასე, ჩემო საყვარელო, რა თქმა უნდა, შენთვის ეს მცირე ნუგეშია.

— ჰო, მცირე ნუგეშია.

— შენ ხომ წუწუნი და ჩივილი არ გრვევია.

— არა, დედა, არც ახლა ვწუწუნებ და ვჩივი.

ტობი ცოტა ხანს კიდევ იჯდა მშობლიურ სახლში. ოჯახურმა სიტუაციამ თავისი გააკეთა, გულში საამოდ ჩაეღვარა. მამას აღარ დაუცადა, დედა უამბობდა ყველაფერს.

მანქანით რომ მიდიოდა შინ, საკუთარი სისუსტისა შერცხვა. დედისთვის ასე არასოდეს გადაუხსნია გული, ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დაკაცდა. თუ ოდესმე მოუნდება ვინმეს გული გადაუხსნას, ეს კვლავ დედა იქნება.

შობის წინა დღეებში გაზეთებში გამოჩნდა საქორწინო სურათები: მისტერ კრეინი, დრამატურგი, და მისს მეიზი ფერარსი, ცნობილი მეცენატი ქალის — ამანდა ფერარსის ქალიშვილი. სურათი გადაღებული იყო კვკსტონ-ჰოლის წინ: ნეიზის ფართო ფარფლებიანი ქული ეხურა, სახე უბრწყინავდა, როგორც ყველა პატარძალს, ეღუარდი სევდიანი ღიმილით შეეყურებდა მას.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, რომ ტობიმ წერილი მიიღო მეიზისგან. ეს ასე მოხდა: ტობიმ საჩუქრად ფირუზისთვლიანი ბეჭედი გაუგზავნა. რაღა თქმა უნდა, ერთი სიტყვაც არ დასცდენია, რომ სულ სხვა ვითარებაში უნდოდა მისთვის ერუქებიანა ეს ბეჭედი. მეიზიმ პასუხად თბილი წერილი მოსწერა.

მეიზიმ მისის რობერტსაც გაუგზავნა წერილი. უცნაური კია, მაგრამ დედამ ტობის არ აჩვენა ეს წერილი, და მისთვის გამოცანად დარჩა, რა ეწერა შიგ. მას შემდეგ, რაც ქორწილი და მასთან დაკავშირებული ამბები მოთავდა, ტობის გუნება გამოუკეთდა. ეტყობა, ბოლო წუთამდე კიდევ ჰქონდა იმედი, რომ მეიზის და ეღუარდის ქორწილი ჩაიშლებოდა. იმედი კი ძალას მატებს ადამიანს, მაგრამ ეს იმედიც დაკარგა და ახალი ცხოვრება უნდა დაიწყო.

ბანკში საქმე კარგად მიდიოდა, ტობიმ ახლა უკვე იცოდა, რომ წარმატებას ზღაპრად წააღწევდა. ბაუმანს იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ როცა შეხვდებოდა, მუდამ ამხნევებდა ტობის. ლენგეინიც იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ როცა იქ იყო, აუცილებლად მოძებნიდა ტობის და მამობრივად მხარზე ხელს მოუთათუნებდა.

ტობი უკვე კარგად ერკვეოდა ბანკის საქმეებში. თანდათან უფრო მეტი რამ გაიგო ფულის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ფული უფრო საინტერესო ყოფილა, ვიდრე მას ეგონა. იგი მოხიბლა ბანკის ოპერაციებმა, ადრე ვერც კი წარმოიდგენდა, რამდენ რამეს ფლობდა მათი ბანკი. ტილერი და „სენ-ჟიუსტი“ ახლა შორეულ წარსულად ერვენებოდა.

ახალი წლის წინ ტობის მოუნდა აუცილებლად წასულიყო ჰემპსტედში, რათა ლონდონისთვის მისი ყველაზე მაღალი ადგილიდან გადმოეხედა. ნათელი, უარსკვლავებიანი, მაგრამ ძალიან ცივი ღამე იდგა, ყინვაში გარეთ დიდხანს ვერ გაძლებდა, ამიტომ მანქანაში იჯდა და იქიდან დაჰყურებდა უშველებელი ქალაქის კვამლსა და ეღუარე სინათლეებს.

როგორა თქვა ეიდრიანმა დიდი ხნის წინ კემის ნაპირზე? — ნეტა ვიცოდეთ, რა მოელის ყოველ ჩვენგანს ხუთი წლის შემდეგო.



რას იზამ, მეიზი გათხოვილი ქალბატონია (ტობი თავისი ნაცნობების მხოლოდ ჩამოთვლით შემთიფარგლება და ამ ჩამოთვლისას უცდება გრძნობებში არ ჩაიძიროს და ტკივილი არ განიცადოს), კლერი ჯერ არ გათხოვილა, მაგრამ ალბათ ალექზე გათხოვდება. ეიდრიანი თავის ბედკრულ, სამწყვსოშია, მუშაობს მუხლჩაუხრელად და ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, დაარღვიოს თუ არა უცოლობის აღთქმა. როგორც ეტყობა, კიდევ დიდხანს გააწვალებს ჩქს წყევლი. ბობი, თუმცა ცოლი აღარა ჰყავს, ძალიან კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. მას ბრწყინვალე მომავალი ელის. ტობი? ალბათ მასაც ბრწყინვალე მომავალი ელის. ბოლოს და ბოლოს, ძალიან კარგი სწამუშაო აქვს და ყოველ ღონეს იხმარს შეინარჩუნოს.

ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით, შეიპყრო სევდამ იმ ამაოდ დახარჯულ წლებზე, იმ გაზაფხულებზე, რომელთაც ვერასოდეს დაიბრუნებდა.

აბა, მორჩი ახლა! — უბრძანა მან საკუთარ თავს და მანქანიდან გამოვიდა. აგი მუდამ იმას იმკიდა, რაც სურდა, და მომავალშიც ასე იქნება.

ტობიმ პალტოს საყელო აიწია, კარგა მავრად ციოდა.

მთელი ლონდონი განრთხმულიყო მის ფერხით, თითქოს საგანგებოდ იმისთვის, რომ ტობის დაეპყრო. მაგრამ მას არ გაუმეორებია რასტინიაკის სიტყვები, რასტინიაკისა, რომელიც ძალიდან დაჰყურებდა სენის ნაპირზე გადაშლილ პარიზს: „აბა, ახლა ვინ გაიმარჯვებს, მე თუ შენ“, — იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბალზაკი წაკითხული არ ჰქონდა.

მაგრამ ქვემოთ გაშლილი ლონდონი თითქოს ბრძოლაში იწვევდა მას და ტობის თავში იმავე აზრმა გაუელვა.





თარგმნა მადეა ზუბადალაშვილმა



### V

მითხარი, მშვენიერო ასულო, თქვენში კიდევ არიან შენისთანები? მოიძებნებიან კეთილი სერ, ღუმ-დი-ღუმ, ღუმ-ღუმ-ტუ.

ელენი ჩამავალი მზით განათებულ კედელს უცქერდა და თან ღიღინებდა. კომონოშემოცმული (მართალია, ათცენტნიანი მაღაზიიდან იყო, მაგრამ არ აკლდა ნამდვილი აბრეშუმის პეწი, ვერავინ მიხვდებოდა, რომ ნამდვილი არ იყო, თუმცა ფრენსისის გარდა ამ კომონოში არავის უნახავს. რა მარჯვედ აწაპნა იგი კულვორტს საკიდრიდან) — შიშველ ტანზე კომონოშემოცმული, ძველ, შიგან-გამოცლილ სავარძელში ღრმად ჩაფლული მიშტერებოდა გედის მტვრიანსა და წინაგატეხილ სურათს. გედს ლამაზი თეთრი ყელი და ლამაზი თეთრი ზურგი ჰქონდა: იყო, იყო გედი.

და-დი-და-და.

და-დი-და-და.

და და და.

იგი მღეროდა და სამყაროც იცვლებოდა.

ჰოი, მუსიკის ნეტარო ძალავ, მან დაუბრუნა ახალგაზრდობა. მელოდიამ დაუბრუნა იმ ფაიფურის ხანას, როდესაც იგი მიისწრაფვოდა კლასიკური მუსიკის მწვერვალებისაკენ. მისი გეგმა — თავდაპირველად კი მამის გეგმა — იყო ის, რომ გაჰყოლოდა ბებიის კვალს და ოჯახური სიამაყე ახალ სიმაღლეზე აეტანა. ჯერჯერობით ვასარი, მერე კი თუ ნიჭი მართლაც აღმოაჩნდებოდა, — პარიზის კონსერვატორია, შემდეგ კონცერტთა სამყარო და ბოლოს მთელი მსოფლიო. თუკი ნამდვილად რაიმე ძლიერ გიყვარს, ეუბნებოდა შიგადაშიგ რწმენა-შერყეულ გოგონას ბებია არჩერი, მზად უნდა იყო მისთვის მოკვდე, ვინაიდან, როდესაც ჩვენ მთელი სულითა და გულით გვიყვარს, ჩვენი სულელი პატარა „მე“ უკვე მკვდარია. და სიკვდილის შიშიც ქრება. შენ მოკვდებოდი მუსიკისათვის? — ჰკითხა ელენმა ბებიას. მე მგონი, მე უკვე მოკვდი, უპასუხა ბებია. ერთი თვის შემდეგ მას ფრიად უღმობელმა სიკვდილმა უწია.

იყო, იყო გედი.

ეს პირველი სიკვდილი იყო ელენისათვის.

მეორე მათემატიკის მეცადინეობაზე გამოეცხადა ვასარში ყოფნის მესამე ივეს. ელენთან შევიდა მისის კარმაიკლი, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, მაღალ-

1. უილიამ კენედი (დაიბ. 1928 წ.) — ამერიკელი მწერალი, ავტორი რამდენიმე რომანისა. რომანი „რკინის შაბი“ დაიბეჭდა 1983 წ. იმავე წელს რომანს მიენიჭა პულიცერის პრემია.

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1-2, 1999 წ.



ქუსლიან ფეხსაცმელს რომ იცვამდა და ძლივს შესამჩნევად კოჭლობდა — შე-  
ხოვიდა და ელენი თავის კაბინეტში შეიყვანა. ბიძათქვენი ენდროუ ჩამოვიდაო,  
უთხრა მისის კარმაიკლმა. ბიძამ კი ელენს უთხრა, მამაა ავადო.

პოკიპსის მატარებელში ავადმყოფობა სიკვდილმა შეცვალა, ხოლო ოლბანის  
სადგურიდან სტეიტ-სტრიტით მალლა რომ აღიოდნენ, ბიძამ დაუმატა, მამა ვი-  
ადუაგიდან ჰოუკ-სტრიტზე გადმოვარდაო. ელენს შიშოუდა, მწუხარება ერთ-  
ნაწილში აერია, დაკრძალვის შემდეგ ორი დღე ცრემლმდინარეობდა.  
დედამ მაშინ გამოუცხადა, ვასარში ვეღარ დაბრუნდებით... ბრაინ არჩერმა თავი  
შოიკლა, რადგან მთელი ქონება გაანიავა, და რაც დატოვა, სულელი გოგოს ელე-  
ნის განათლებისთვის კი არ დატოვა, დატოვა იმისთვის, მისმა ძმამ პატრიკმა  
რომ შეძლოს ოლბანის უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის უკანასკნე-  
ლი კურსის დასრულებაო; აღვოკატს შეუძლია ოჯახის გადარჩენა, კლასიკური  
მუსიკის პიანისტს კი არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიაო.

ელენს ეგონა, რომ უკვე რამდენიმე საათი იჯდა სავარძელში, თუმცა ამაში  
დამარწმუნებელი ინსტრუმენტი იქ არსად ჩანდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მის  
კარს მოხუცი ხეიბარი დონოვანი მოადგა, ალბათ ზუსტად ერთი საათი გავი-  
დოდა. დონოვანი კართან მოდგა და ჰკითხა: ელენ, როგორ ხარ? მთელი დღე არ  
გამოსულხარ, რამეს ხომ არ შეჭამ? ყავას ვაღუღებ, ხომ არ დალევი? ელენმა  
უპასუხა: ო, გმადლობთ, მოხუცო ხეიბარო, — შენ გახსოვს, რომ ჯერ კიდევ  
შაქვს სხეული, მე კი ეს თითქმის დამავიწყდა. ყავა? — არა, არ არის საჭირო,  
გმადლობთ, კეთილო სერ. კიდევ არიან თქვენში შენნაირები?

Freude, schöner Götterfunken,  
Tochter aus Elysium.

ეს დღე, შეიძლება ითქვას, მუსიკით დაიწყო. ელენმა ფინის მანქანა რომ  
მიატოვა, თვითონაც არ იცოდა რატომ, თან „Te Deum“-ის<sup>2</sup> მღეროდა... ექვსი  
საათიდან, როცა ჯერ კიდევ არ ენათა, და ფინი და მეორე სტუმარი ისევ  
ხერინავდნენ, „Te Deum“-ი იქცა მის თანამგზავრ სიმღერად. გზადაგზა ფიქ-  
რობდა ახლო მომავალზე, ფიქრობდა თავის თორმეტ დოლარზე — ამ ფულის  
შესახებ ფრენსისისათვის არაფრის თქმას არ აპირებდა და ლიფში საიმედოდ  
პქონდა ჩაკუჭული.

უკანასკნელ რამდენიმე კვირას ერთადერთი, რასაც ელენმა დასვენებისას  
მიადწია, ეს დასურათხატებული ძილ-ღვიძილი იყო; მხიარული ანგელოზები,  
ტარივის წინ დაჩოქილი ბრბო... ყველას ერთად ჭუპრებივით შეექმნათ ანგე-  
ლოზისთმიანი ერთადერთი უზარმაზარი პეპელა — და ეს ელენის სიხარულის  
მოშტანი ზმანება იყო.

რატომ ახარებდა ელენს ძილ-ღვიძილი? იმიტომ, რომ შეეძლო გასცლოდა  
ბინძურ სიყვარულს და სისხლისმწოველ ობობებს, იმიტომ, რომ შეეძლო მუსი-  
კის სამყაროში დამალვა და მოგონებებით საკუთარი თავისთვის ნუგეშისცემა.  
ის გაჭირვებით, გვერდულად გამოძევა ავტომობილიდან და წავიდა მომავალი  
დღის შესახვედრად. ცისკრის ვარსკვლავი ჯერ ისევ ბრწყინავდა მისი ღამის  
მიმქრალ ცაზე. ვენერა, შენ ჩემი ბედნიერი ვარსკვლავი ხარ. ელენი თავდახრი-

1. სიხარული ცეცხლია არნახული, ჩვენთან მოფრენილი სამოთხის ხულის —  
ფრიდრიჰ შილერი, „სიხარული“.

2. „გადიდებ შენ უფალო“. კათოლიკური საგალობელი (ლათ.).



ლი, ფრთხილად მიაბიჯებდა ეკლესიისკენ. უეცრად გამოეცხადა ანგელოზი (მას კიმონო ეცვა) და უთხრა: „შენით დამთვრალი შევედ შენს ნათელ ტაძარშიო“. რა მშვენიერებაა.

ეკლესია წმინდა ანტონისა იყო. პალუელი წმინდა ანტონისა, წმინდა სას-  
წაულმოქმედისა, რომელიც არის ერეტიკოსების რისხვა, კიდობანი სიღვთო წე-  
რილისა, დაკარგულ საგანთა მოძიებელი, უპოვართა, ორსულთა, დუ... უნაყოფო  
ქალთა მფარველი. აქ სულიერების დასაცავად დადიოდნენ ამ ქალაქში წაბოსუ-  
ლი იტალიელები, ნიგერებისა და მიკების როლს რომ ასრულებდნენ. ელენი ყო-  
ველთვის უბიწო შთასახვის ეკლესიაში დადიოდა, მაგრამ იგი ფერდობიდან რამ-  
დენიმე კვარტალით ზემოთ იყო, სიმსივნემ კი ღლეს ისე შეაწუხა, მუცელში  
თითქოს რიყის ქვები ეწყო, ამიტომაც გადაწყვიტა უფრო ახლოს, წმინდა ან-  
ტონის ეკლესიაში წასვლა, თუმცადა იტალიელების ეშინოდა, ისინი შავტუბე-  
ბი და საშიში გარეგნობისა არიან, არც მათი საჭმელები მოსწონს, განსაკუთრე-  
ბით ნიორი, ასე გგონია, ეგენი საერთოდ არ იხოცებიან. მთელი დღე ზეითუნის  
ზეთს ჭამენ და მაგაშია საქმე, ვანა როდისმე გინახავს ავადმყოფი იტალიელი? —  
აუხსნა დედამ.

შესა ჯერ არ დაწყებულყო, მაგრამ ეკლესიიდან ისმოდა ორგანის ხმა და  
ელენი მიხვდა, დღე სიკეთის მოტანას ჰპირდებოდა, რაკი დიდიდანვე ნეტარი  
მუსიკით ესალმებოდა. ეკლესიაში სამი-ოთხი ათეული კაცი იყო — ძალზე ცო-  
ტა სავალდებულო დღისთვის.<sup>1</sup> ყველას არა აქვს მოვალეობის შეგრძნება, თუმცა  
ჯერ შეიძის ათი წუთია.

ელენი წინ, შესამე რიგში იჯდა. გასასულელის მარცხნივ, ვიღაც კაცის  
უკან, ვალტერ დამროშს რომ ჰგავდა, თვალში მოხვდა სანთლებიანი თარო. მი-  
ვიდა და ორი ცენტი ჩააგდო — რაც რამ ხურდა ჰქონდა პალტონს ჯიბეში. ორ-  
განისტი ლაღად გრძნობდა თავს გრიგორიანულ ქორალებში. ელენმა სანთელი  
დაუნთო ფრენსისს და წაიკითხა „ავე მარია“, რათა უფალი სიძნელეების გადა-  
ლახვაში დახმარებოდა მას.

ელენი ახლა თვითონაც დაეხმარება ფრენსისს იმით, რომ აღარ შეხვდება,  
გაქრება ფრენსისის ცხოვრებიდან, ვინაიდან მიხვდა, რაკი მან ელენი ფინისთან  
დატოვა, თუმცა კარგად იცოდა, რით დამთავრდებოდა ეს ელენისთვის, მან შეგ-  
ნებულად დაიდგა რქები, შეგნებულად დაამცირა ელენი და თუკი რაღაც მაინც  
დარჩა ცოცხალი მათი ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემიდან, ისიც და-  
ღუპა.

რატომ მისცა უფლება ფრენსისს ასე მოქცეოდა?

იმიტომ, რომ მონურად ემორჩილებოდა. ასე იყო თავიდანვე. ამ თავისი მო-  
ნური მორჩილებით ხელი შეუწყო ფრენსისის მიწადმი ასეთ დამოკიდებულებას  
მათი ერთად ყოფნის მთელი ათი წლის მანძილზე. რამდენჯერ წავიდა ელენი  
ფრენსისისგან? ათჯერ და უფრო მეტჯერ. რამდენჯერ დაბრუნდა უკან, რაკი  
იცოდა, სადაც იმყოფებოდა იგი? ამდენჯერვე, მაგრამ ახლა მინუს ერთი იქნება.

ვალტერ დამროშის ორეული კაცი თვალს ადევნებდა ელენს. მას კი ამ დროს  
გაახსენდა, ბლიკერ-პოლში როგორ ჩაპყურებდა თავად დამროში მეცხრე  
სიმფონიის პარტიტურას, როდესაც ელენი თექვსმეტი წლისა იყო. ყურადღებით  
მოუსმინე, უთხრა მამამ, დებიუსიმ სწორედ ამაზე თქვა: ეს გაფოთლილი ხის  
ჯადოქრობას ჰგავს, როცა ყველა ფოთოლი ერთად იშლებათ. სიმფონიურ ნა-

1. კათოლიკებისათვის ისეთი დღე, როცა აუცილებლივ უნდა დაესწრნენ  
მესას და თავი შეიკაონ გარკვეული სამუშაოებიდან.



წარმოებში აქ პირველად აუღერდა ადამიანის ხმა, და შეიძლება შენც, ჩემო ელენ, ოდესმე შექმნა რაიმე დიდებული მუსიკაო, არავინ იცის, რა ძალა იმალება თითოეული ადამიანის მკერდში.

გაისმა ზარების რეკვა. სამოსსაცავიდან ეკლესიის ორ მსახურთან ერთად გამოვიდა მღვდელი და მესა დაიწყო. ელენი უკრიალოსნოდ არ იყო მიჩვეული ლოცვების კითხვას. მიმოიხედა, სადმე ახლოს წიგნი ხომ არ დაინახა მის წინა მერხზე ბროშურა „ჩვენ ვუსმენთ მესას“. ელენმა შეაჩვენა ქადაგება, სადაც იოანე ხედავს მზის აღმოსავლით აღმომავალ უფლის ანგელოზს, უფლის ანგელოზი კი ხედავს კიდევ ოთხ სხვა ანგელოზს, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ვნება მიეცათ მიწისა და ზღვისთვის, და ეუბნება იგი ამ ცუდ ანგელოზებს: ნუ ავნებთ ნურც მიწას, ნურც ზღვას და ნურც ხეებსო...

ელენმა წიგნი დახურა.

რატომ მოაველინეს ანგელოზები მიწისა და ზღვის სავნებლად? მას არ ახსოვდა, ოდესმე რომ ეს ადგილი წაეკითხოს, მაგრამ ეს საშინელება იყო. მიწისძვრის ანგელოზი შუაზე გააპობს დედამიწას, სარგოსის ანგელოზი კი ზღვას დაახჩობს წყალმცენარეებით. ელენისათვის აუტანელი გახდა ამაზე ფიქრი. ამიტომაც ხალხს დაუწყო თვალიერება. მან დაინახა ცხრა წლის ბიჭი, რომელიც შეიძლება მისი და ფრენსისის შვილი ყოფილიყო, ერთადერთი განაყოფიერებული ნაყოფი რომ არ მოშლიდა. ბავშვის წინ დაჩოქილიყო ძვლებგამრუდებული ქალი, დამბლადაცემულივით ხელები რომ უცახცახებდა და მერხს ჩაბლაუჭებოდა. უფალო, შეუწყვიტე ცახცახი და გაუსწორე ძვლები, ლოცულობდა ელენი. მერე მღვდელმა დაიწყო სახარების კითხვა. ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშდებულნი იქნებიან, ნეტარ ხართ თქვენ, როცა დაგიწყებენ გმობას, დევნას და ცრუმეტყველნი დაგწამებენ ყოველგვარ ბოროტს ჩემი გულისთვის. ვიხაროდეთ და იღხენდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში...

ელენმა ვერ შეძლო სახარების ბოლომდე ფეხზე მოსმენა, სისუსტე მოერიდა და დაჯდა. მესა რომ დამთავრდება, შეეცდება ცოტა რამ შეჭამოს, ერთი ნაჭერი პური და ჭიქა ყავა.

ელენმა თავი მოაბრუნა და მლოცველებს დაუწყო თვალიერება. ეკლესია თითქმის გაკვებულიყო, ას ორმოცდაათ კაცამდე იქნებოდა. ისინი არ შეიძლება კველა იტალიელი ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ერთი ქალი ელენის დედას — წარმოსადგო ელეგანტურ, შავშლაპიან მისის მერი ყიზეთინ ნიორნი არჩერსა ჰგავდა. აი, კიდევ რა ჰქონდათ საერთო ელენსა და ფრენსისს. დედებს ისინი სძულდათ.

მხოლოდ ოცდაერთი წლის შემდეგ იპოვა ელენმა ჩაკეტილ უჯრაში მამის უბის წიგნაკი, სადაც მამის უკანასკნელი ანდერძი იყო. მამას ის თავის მოკველის წინ დაეწერა. ანდერძით მისი დარჩენილი მცირე ქონების ნახევარი ელენზე გადადიოდა, მეორე ნახევარი კი თანაბრად უნდა გაეყოთ ძმასა და დედას.

ელენმა ანდერძი ხმაძაღლა წაუკითხა უკვე ათი წლის დამბლადაცემულსა და მის ანაბარა მყოფ დედას. პასუხად დედის მოზეიმე ღიმილი მიიღო — რა მოხერხებულად მოჰპარა მან ილენს მომავალი, რათა თავად მას და მის ვაჟს ფარშევანგებივით გაფოფინებულებს ეცხოვრათ. ვაჟი პოლიტიკური ადვოკატი გახდა. მან სახელი იმით გაითქვა, რომ ქვრივებს მარჯვედ ართმევდა მემკვიდრეობას. ელენს კი ყოველ დარეკვაზე ყურმილს უკიდებდა.

ელენმა სამაგიერო ვერაფრით გადაგიხადა, პატრიკ, ყველაზე მეტად რომ



ისარგებლე დედის თვალთმაქცობით. სამაგიეროდ, ელენმა დედას გაუსწორა ანგარიში: იმავ დღეს მიატოვა, ნიუ-იორკში გაემგზავრა, დედა კი მოსავლელად თავის ძვირფას ძმას დაუტოვა. ძმამ მოხუცი ინვალიდი დედა იმ სახლში მოათავსა, რომელსაც ელენი უფრო დავრდომილთა თავშესაფარს დაარქმევდა, სინამდვილეში კი საზოგადოებრივი საავადმყოფო იყო, სადაც დედის ბოლო დღეების ხარჯს ოლბანის ოლქი იხდიდა.

დატოვა მარტოდმარტო და ყველასგან მოძულეებული თავშესაფარში. სად გაქრა შენი ლამაზი ფრთები, დედა?

არა, ელენ, როგორ შეგიძლია იყო ასეთი შურისმგებელი? ვანა შენ კი არ დადიოდი ფარშევანგივით დიდი ხნის წინათ? შეხედე შენს თავს, როგორ ზიზარ და ზიზლით მიჩერებიხარ ჭუჭყიან საწოლს. ზიზლით მიჩერებიხარ მარტო იმიტომ კი არა, რომ ჭუჭყიანია, იმიტომაც, რომ არა გსურს გულაღმა წოლა, რადგან იცი, კარგს ვერაფერს დაინახავ — დაბზარული ბათქაშისა და საღებავგახურებული ჭვრის გარდა.

ასეთ ოთახში, საწოლის კიდეზე რომ ზიზარ, ხელი მის დაბინდულ ყვითელ სპილენძზე ვიკიდია და უფურებ ჭუჭყიან თეთრეულსა და კუთხეებში მტვრის პარკებს, გიჩნდება მძაფრი სურვილი, შეხვიდე აბაზანაში, სადაც ახლახან ნახევარ საათს გაღებინებდა, და დაიბანო. არა, შეხვიდე დერეფნის ბოლოს ნამდვილ აბაზანაში, სადაც რამდენჯერმე ყოფილხარ, დაგიხრჩვია ტარაკანები და მერე წმენდდი, წმენდდი და წმენდდი აბაზანას. შენ წახვალ დერეფნის ბოლოს აბაზანაში, გეცმევა იაპონური კიბონო, თან წაიღებ ნუშის საპონს, ვარდისფერ პირსახოცს, რბილსა და ხაოიან ნოხზე გაივლი შენი სქელძირა ფლოსტებით, საწოლის ქვეშ რომ გეწყო ხოლმე ბავშვობაში, იმ შალის ყავისფერფუნჯიანი ფლოსტებით, შიგნით ყვითელი და ლაიკის ხელთათმანივით რბილი რომ იყო — ეს ფლოსტები ყუთში ჩაწყობილი საშობაო ნაძვის ხის ქვეშ დაგხვდა. მას სანტაკლაუსი ყიდულობდა ხოლმე უიტნიისაგან.

მაგრამ ახლა, როცა აღარაფერი გესაქმება არც უიტნიისთან, არც სანტაკლაუსთან და არც ფეხსაცმელთან, არც ფრენსისთან, თუმცა გეგონა, ეს ყველაფერი მანამდე გაგრძელდებოდა, ვინემ პირში სული გედგმებოდა — როცა ყოველივე გაქრა და შენ გახდი ისეთი, როგორიც ახლა ელენია, მაგრად რომ ჩასჭიდებია სპილენძს, ამ დერეფანს მაინც გაივლიდი ალბათ ფეხშიშველა ან დახეული ფეხსაცმლით, გაივლიდი გაბინძურებულ გაცვეთილ ნოხზე, რათა უსიმოვნო სუნისგან თავის დასაღწევად ხაოიანი ნაჭრის ნაგლეჯით დაგებანა ილღიები და მომჩვარული მკერდი — გაივლიდი, თუკი ეს კიდეც ვინემს გულისთვის იქნებოდა საჭირო.

წირვის შემდეგ წმინდა ანტონის ეკლესიიდან რომ გამოვიდა, ელენმა დაინახა კაცი, რომელიც არტურსა ჰგავდა, ისეთივე გამელოტებული, როგორც არტური. მადლობა ღმერთს, არტური მოკვდა. 1906 წელს ცხრამეტი წლის ელენმა მუშაობა დაიწყო არტურის საფორტეპიანო მაღაზიაში — პირველად მხოლოდ ნოტებს ჰყიდდა, მერე კი მყიდველებს ასმენინებდა, რა დახვეწილად ფლერდა არტურის ინსტრუმენტი კარგი დამკვრელის ხელში.

შეხედე ერთი, როგორა ზის იგი ჩიკერინგის პიანინოსთან და უკრავს მუსიკაში გაუთვითცნობიერებელი წყვილისათვის — „შენ ჩემთან მოხვალ სახლში“. შეხედე ერთი, როგორ უკრავს სტეინვეის როიალზე ბახის სიუიტას, დაწერილს მუსიკის მცოდნე ლამაზი ქალისთვის, შეხედე, როგორ ყიდულობენ ინსტრუმენტებს ჯადოქარი ელენის წყალობით.



და აი, ერთხელ, როდესაც ელენი 27 წლისა გახდა და მისი ცხოვრება დასრულდა, როდესაც მიხვდა, რომ ვედარასოდეს გათხოვდებოდა და მუსიკაშიც მუსიკალურ მაღაზიაზე შორს ვედარ წავიდოდა, ელენს გაახსენდა შუბერტი, მუსიკის მასწავლებლობას რომ ვერ გასცდა — ღარიბი და ავადმყოფი, თავის სიმღერებში მხოლოდ თხუთმეტ-ოც ცენტს იღებდა და მოკვდა 31 წლისა, ამ საშინელ დღეს ელენი მიუჯდა არტურის როიალს და დაუკრა სიმღერა „ვინ არის სილვია?“ მერე კი დაუკრა ყველაფერი, რაც რამ ახსოვდა „Die Winterreise“<sup>1</sup>-დან.

ყვავილი შუბერტი.

დაბადებული იმისათვის, რათა გაშლილიყო ყველასათვის შეუცნობელი. როგორც ელენი.

არტურია ამაში დამნაშავე?

მას ელენი თავისი სიყვარულის ტყვედ ჰყავდა სამშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით, როცა არტური ცოლს ეუბნებოდა, მენდელსონის კლუბთან რეპეტიცია მაქვსო. და აი, ელენი ჰაიტ-სტრიტზე ერთ-ერთი ფარდებჩამოშვებულ ოთახში საწოლზე შიშველი ზის, არტური კი დგება, იცვამს ხალათს და მსჯელობს უკვე არა სექსზე, არამედ ბეთჰოვენის საზეიმო მესაზე, შუბერტის სიმღერებზე... ანდა იქნებ დიდებულ მეცხრე სიმფონიაზე, რომელზეც ბერლიოზს უთქვამს — იგი ჰგავს მაისში ამომავალი მზის პირველ სხივებსო. მსჯელობდა ბევრ სხვა რამეზეც და ელენი თაყვანისცემით უსმენდა საოცარ არტურს, და ისწრაფებოდა სრულყოფილად დაუფლებოდა ოდესმე დაკრულს, ნამღერსა თუ ნაოცნებარ მუსიკას.

არავინ იცის, რა ძალა იმალება თითოეული ადამიანის შკერდში.

არავინ მოელოდა, რომ არტური მიატოვებდა ელენს უფრო ახალგაზრდა ქალისათვის, რომელსაც არაფერი გაეგებოდა მუსიკისა და ჰქონდა ვეება გავა.

დარჩი რამდენ ხანსაც გინდა, ჩემო საყვარელო, უთხრა არტურმა: შენნაირი გამყიდველი არასოდეს მყოლია.

აფსუსს, საცოდავო ელენ, შენი ნიჭისთვის როდი ყოფილხარ საყვარელი იმ ანგელოზ არტურისათვის, რომელიც ელენის სავნებლად მოვლენილიყო, რომელმაც გაწვრთნა მისი სხეული და სული და მერე ჯოჯოხეთისთვის გაიშეტა.

წმინდა ანტონის ეკლესიიდან ელენი მივიდა საუტ-პერლ-სტრიტამდე და შეჩერდა კაფე „უოლდორფთან“, სადაც ყავა ხუთი ცენტი ღირდა, კარაქიანი გახუხული პური კი — ათი. მან შეუმჩნევლად გამოიღო ლიფიდან დოლარიანი, მარცხენა ხელში მოჭმუჭნა და პალტოს ჯიბეში ჩამალა. ხელი მხოლოდ მაშინ გაუშვა, როცა ყავა და კარაქიანი პური მოუტანეს, მერე ისევ ხელში მოჭმუჭნა უკვე თხუთმეტი ცენტით ნაკლები დოლარი. ახლა დარჩა მხოლოდ თერთმეტი დოლარი და ოთხმოცდახუთი ცენტი. ელენმა ყავა ბოლომდე გამოცალა, საჭმელი კი ყელში არ გადასდიოდა. იგი კვლავ ნორტ-პერლზე გამოვიდა. თბილი მზის მიუხედავად სიცივე ძვლებამდე ატანდა, და უნებურად პრეინის ბიბლიოთეკისკენ წავიდა. მაგიდასთან აკანკალებული დაჯდა და ხელები ტანზე შემოიჭლო. თანდათანობით გათბა, მაგრამ შიგნით ყველაფერი მაინც გაყინული ჰქონდა. განგებ ჩათვლიმა, რათა მოხვედრილიყო სანაპიროზე, სადაც დაფრინავენ თეთრი ფრინველები. მაგრამ ჭაღარა ბიბლიოთეკარმა ქალმა ხელი შეახო და უთხრა:

1. „ზამთრის გზა“ — შუბერტის ვოკალური ციკლი.



„მადამ, წესით აქ აკრძალულია ძილი“, და წინ ჟურნალ „ლაიფის“ ძველი ნომერი დაუდო, მერე მეზობელი მაგიდიდან ახალი „ტაიმს იუნონი“ მოუტანა და უთხრა: „თუ კითხვას ინებებთ, რამდენ ხანსაც ვნებავთ, იმდენ ხანს დარჩით, ჩემო ძვირფასო“, თან პენსიდან გაუღიმა, ელენმაც გაუღიმა, არიან ქვეყნად კარგი ადამიანები და მათ ხანდახან შეხედები. მხოლოდ ხანდახან.

ელენმა გაშალა „ლაიფი“ და დაინახა ფოტოსურათი შექმნილი მსხვერპლებად ორ კვარტალზე გაჭიმული რიგისა. წმინდა ლუდოვიკეს სტრუქტურის რიგში იდგნენ მუქპალტოიანი და შლაპებიანი, ჯიბეებში ხელჩაწყობილი კაცები და ქალები. კიდევ იყო ფოტოსურათი ზანგი მრეცხავი ქალისა — მილ სმოლსისა, რომელიც კვირაში 15 დოლარს შოულობდა, ირლანდიური ტოტალიზატორით კი 150000 დოლარი მოეგო.

ელენმა ჟურნალი დახურა. გახეთი რომ გადაშალა, უცებ წააწყდა მარტინ დოგერტის სტატიას ბილი ფელანსა და გამტაცებლებზე. ელენმა სტატია წაიკითხა და ატირდა. ვერაფერი გაიგო, გარდა იმისა, რომ ოჯახი მას ფრენსისს ართმევდა ფრენსისს და ელენს სახლი რომ ჰქონოდათ. ფრენსისი მას არასოდეს მიატოვებდა. არასოდეს. მაგრამ მათ სახლი 1930 წლიდან მოკიდებული აღარ ჰქონიათ. ფრენსისი ქალაქის სამხრეთით მუშაობდა სარემონტო სახელოსნოში, დადიოდა წვერმოშეებულს, რომ არ ეცნოთ, თანაც ბილი ბენსონი დაირქვა. მერე სახელოსნო დაიხურა. ფრენსისმა ისევ ხმა დაიწყო, აღარც სამუშაო ჰქონდა, აღარც იმედი სამუშაოს შოვნისა, რამდენიმე თვის შემდეგ კი ელენიც მიატოვა. „ჩემგან სიკეთე არავის ადგია, არც შენ და არც არავის, — ყვიროდა იგი წასვლის წინ ისტერიულად, — ჩემგან არაფერი გამოვიდა და არც გამოვა“.

რა გამჭრიახი ყოფილხარ, ფრენსის, პირდაპირ იწინასწარმეტყველე, რომ ყველასთვის, ელენისთვისაც კი უმაქნისი ხარ. ფრენსისი ახლა სადღაცაა მარტო და ელენსაც აღარ უყვარს იგი. ეს სიყვარული დიდი ხნის წინათ დაჭკნა — ვარდი ერთხელ გაიშალა და მერე აღარ აყვავებულა. ფრენსისი არც ამხანაგოვით უყვარს, იმიტომ რომ სულ უყვირის და სულ მარტო სტოვებს, რათა სხვა მამაკაცებმა უფათურონ ხელი, აღარც საყვარელივით უყვარს, იმიტომ რომ ფრენსისს აღარ შეუძლია ასეთი სიყვარული.

ელენს მუცელი აუყურყურდა და ბიბლიოთეკიდან გამოვიდა, რათა დილის სუფთა ჰაერი ჩაესუნთქა. ქლინტონ-ავენიუსა და შემდეგ ბროდვეიზე რომ მიდიოდა, კინალამ აღებინა და სატელეფონო ბოძს მოეჭიდა, მაგრამ გულისრევამ გადაუარა და გზა განაგრძო. გაიარა რკინიგზის სადგური და მხოლოდ „თანამედროვე მუსიკის მაღაზიის“ ვიტრინის წინ გაჩერდა. ინსტრუმენტების ზემოთ, თაროზე ბენი გუდმანის, ძმები დორსების, ბინ კროსბის, ჯონ მაკორმაკის, შუბერტის სიმღერებისა და ბეთჰოვენის აპასიონატას ფირფიტები ეწყო.

მაღაზიაში თვალდევრება დაუწყო ინსტრუმენტებს და ახალი სიმღერების სტებს. მერე დახლთან მივიდა და თმაგადასლექილ ყმაწვილ კაცს ჰკითხა:

— ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია გაქვთ? — და გაჩუმდა, — ან ვიტრინაში რომაა შუბერტის ფირფიტა, შეიძლება მაჩვენოთ?

— ახლავე გაჩვენებთ, — უპასუხა გამყიდველმა, ფირფიტა მოუტანა და თან ჯიბურზე მიუთითა, სადაც შეეძლო მშვიდად მოესმინა.

პირველად შუბერტის ფირფიტა დაუკრა. ჯონ მაკორმაკი მღეროდა: ვინ არის სიღვია, მართლა ისეთია, როგორც ჩვენი ბიჭები აქებენ? ან როგორიღ ლამაზია, ისეთივე კეთილიცაა? და თუმცა ელენი აღფრთოვანებული იყო მაკორმაკით და აღმერთებდა შუბერტს — ორივეს თავი მიაჩნებოდა მეცხრე სიმფონიის ბოლო გუნდის სიმღერის გამოს:



სიხარული ცეცხლია არნახული,  
ჩვენთან მოფრენილი სამოთხის სული.

ო, როგორ აღაფრთოვანა ყოველივე ამაღ, როგორ დაასხა თავბრუ.  
და ელენმა გრძნობა დაკარგა.

ახალგაზრდა გამყიდველმა ქალმა დაინახა თუ არა, ქალი ცეცხლში, მივარ-  
და. ელენი გონს რომ მოვიდა, თავი ახალგაზრდა ქალის მუხლებზე ედო. ყმაწ-  
ვილი გამყიდველი კი ფირფიტის მწვანე კონვერტით უნიავებდა. მუსიკა მიწყ-  
და, მაგრამ არა ელენის თავში, მაისში ამომავალი მზის პირველი სხივები კვლავ  
ყვებოდა.

— როგორა ხართ? — ჰკითხა გამყიდველმა.  
ელენმა გაუღიმა.

— არა მიშავს. წამოდგომაში მომეხმარებით?

— ცოტა ხანს დაისვენეთ, — უთხრა ახალგაზრდა ქალმა, — გაგივლით აღ-  
ბათ, ექიმს ხომ არ გამოვუძახოთ?

— არა, არა, გმადლობთ, ვიცი, რაცა მჭირს... ჩქარა გამივლის.

ახლა უკვე იცოდა, რომ სადმე ოთახი უნდა მოენახა და მოენახა დაუყო-  
ნებლივ. გამყიდველმა ბიჭმა და ქალმა წამოაყენეს და გვერდით მანამდე ედგნენ,  
სანამ ჯიხურში ხელახლა სკამზე არ ჩამოჯდა. რაკი დარწმუნდნენ, ქალი უკეთაა  
და აღარ დაეცემაო, ორივე გავიდა. მაშინ ელენმა ფირფიტის მეორე ნაწილი  
პალტოსა და ბლუზის ქვეშ ცერად დაიდო სიმსივნეზე, რომელიც ექიმმა კეთილ-  
თვისებიანად მიიჩნია, მაგრამ ამხელა სიმსივნე განა შეიძლება კეთილთვისებიანი  
იყოს? ელენმა პალტოს კალთები ერთმანეთზე გადაიდო, თავის ორივე კეთილის-  
მყოფელს მადლობა გადაუხადა და მალაზიიდან გამოვიდა.

ჩემოდანი სასტუმრო „პალომბოში“ ჰქონდა და ისიც სწორედ იქით გაეშუ-  
რა — შორს, მედისონ-ავენიუს ახლოს. ნეტა გზაზე მაინც არ დაეცეს. არ დაეცა.  
ძლივს ააღწია პირველსა და მეორე სართულს შორის კიბის ბაქნამდე, რომელიც  
ვესტიბიულის მაგივრობას ეწეოდა ამ დაწესებულებაში. მოხუცი ხეიბარი დონო-  
ვანი თავის დანჯღრეულ სარწეველაში იჯდა, ფეხებთან კი საფურთხეებელი ედ-  
გა. ჩემოდნის გამოსყიდვა და, თუ თავისუფალია, იმ ოთახის დაქირავება მინდა,  
სადაც მე და ფრენსისი ვჩერდებით ხოლმეო, — უთხრა ელენმა. ოთახი თავისუ-  
ფალი აღმოჩნდა.

ექვსი დოლარი ჩემოდნის გამოსყიდვას უნდა, დოლარნახევარი ერთ ღამეს  
ან ორი და ორმოცდაათი, თუ ზედხედ ორ დღეს დარჩებით, — უთხრა მოხუცმა  
დონოვანმა. მე მარტო ერთი დღე დავრჩები, — უთხრა ელენმა, მერე გაიფიქრა:  
მაგრამ დღეს რომ არ მოვკვდე? მაშინ ხომ მეორე დღისთვისაც დამჭირდება ოთა-  
ხიო, და ნომერი ფასდაკლებით აიღო, ისე რომ საში დოლარი და ოცდათხუთ-  
მეტი ცენტელია დარჩა.

მოხუცმა დონოვანმა ოთახის გასაღები მისცა და სარდაფში ჩემოდნისათვის  
ჩავიდა.

— იშვიათად გხედავთ, — უთხრა დონოვანმა, ოთახში ჩემოდანი რომ შეუ-  
ტანა.

— საქმეები გვქონდა, ფრენსისმა სამუშაო იშოვა.

— მამ ისევ ფულიანი გახდით? ძალიან კარგი. ფრენსისი მოვა დღეს?

— შეიძლება მოვიდეს, შეიძლება არა. დამოკიდებულია იმაზე, რამდენად  
იქნება დაკავებული, — მიუგო ელენმა.



— გასაგებია.

ელენმა გახსნა ჩემოდანი. ამოიღო კიმონო, ჩაიცვა. მერე დასაბანად წავიდა, მაგრამ დაბანა არც კი დაეწყო, რომ ღებინება აუტყდა. იჯდა იატაკზე უნიტაზის წინ და ამოაღებინა, თუკი რამ ჰქონდა. ფრენსისს კი ეგონა, ახირების გამო თქვა უარი ყველიან სენდვიჩზე.

როგორც იქნა, ღებინებამ გაუარა. პირი გამოირეცხა, ცხენისძინის წველები მოიბანა. მერე მაინც იბანავა. დიახ, დიახ, იბანავა. გაქსცულ წინზე განაწყაპუნა, შევიდა ოთახში, ჩაჯდა საწოლის გვერდით მღვარ სავარძელში, მიაშტერდა გუდს და თან ფრენსისთან ამ ოთახში გატარებულ ღამეებს იხსენებდა.

იმ უნამუსო კლარამ გაქურდა თურმე ყავისფერკოსტუმიანი სიმპათიური ვაჭვილი და აქ დასამალად მოვიდა. ეშმაკმა წაგიღოს, კაცთან დაწოლა თუ გინდა, დაწეკი, გინდა გაქურდვა, გაქურდე, მაგრამ ეს რა ჯანდაბაა, ჯერ დაუწეკი და მერე გაქურდე? — უთხრა ფრენსისმა. რა სუფთა ზნეობა ჰქონდა ფრენსისს. შენ კი, კლარა, ღვთის გულისათვის, რატომ მოხვედი აქ შენი უსიამოვნებით? განა გვაკლია უსიამოვნებანი?

ელენმა ბუთპოვენის ფირფიტა ბალიშზე დადო და ერთხანს ტკბებოდა მისი სილამაზით. შემდეგ ჩემოდანს დაუწყო ქექვა, ხელით შეეხო ყველაფერს: მერე ხელ საცვალს, ხელოვნურბრიალიანტიან ბაფთას, გაჭრილ ლურჯ ქვედაკაბას, ფრენსისის უსაფრთხო სამართებელს, ჯიბის დანას და ძველი გაზეთებიდან ამონაჭრებს ბეისბოლზე, წითელ პერანგსა და მარცხენა ფეხსაცმელს; მარჯვენა დაკარგოდა, მაგრამ ჯობს ერთი ფეხსაცმელი გქონდეს, ვიდრე არც ერთიო, ამტკიცებდა ფრენსისი. სანდრამ ფეხსაცმელი რომ დაკარგა, ფრენსისმა უპოვა. ფრენსისი ძალზე მზრუნველია და საერთოდ მეტიმეტი კათოლიკეა. თუმცა თავს იკატუნებს, არაო. აი, რატომ ვერ შეძლეს ფრენსისმა და ელენმა დაქორწინება.

რა მშვენიერად გამიჯნეს ქორწინება თავიანთი რელიგიის წყალობით. რით არ არის მახვილგონივრული გადაწყვეტილება?

ვინაიდან სინამდვილეში ელენს, ისევე როგორც ფრენსისს, თავისუფლება სურდა, არტურის შემდეგ მიხვდა, რომ ყოველთვის, თუნდაც წამების ფასად, თავისუფლებას ირჩევდა.

არტურ, არტურ, ელენი უკვე აღარ გასაყვედურობს, ესმის, რომ ვერ იყავი ერთგული კაცი, ვერ იყავი ისეთი, როგორიც ფრენსისია. გარდა მაგისა, ელენმა თვითონ მოგცა ნება გული დაგეკოდა მისთვის.

ელენს ახსოვს, რა სახე ჰქონდა არტურს იმ დღეს, როდესაც უთხრა, მივდივარო, ახსოვს, რა შვებით ამოისუნთქა, როგორ გაუღიმა და წარმატება უსურვა. ამის შემდეგ სულ თავის ნებაზე იქცეოდა (და ახლაც იგივეს აკეთებს).

მაგრამ ხომ არ თამაშობს ელენი ამ თავნებობას? ხომ არ იტყუებდა თავს? ხომ არ ემორჩილებოდა ფარულ გულის წადილს?

რატომ არაფერი გონივრული არ გამოუდიოდა სინამდვილეში?

რატომ ამყოფებდა ცხოვრება მუდამ მიუსაფრად და ცის ანაბარა უპატრონო ძაღლივით?

ელენი ღვება და სპილენძს ებლაუჭება. ელენს ფეხისგულები ღია ყვითელა სპილენძივით გაუხდა. ოღონდ საწოლის სპილენძი დიდი ხნის გაუწმენდავია. ელენი კი სისუფთავეში გაიზარდა, ახლა კი ღვას უკანასკნელი საწოლის ბოლოს, უკანასკნელ ოთახში, უკანასკნელ სასტუმროში, უკანასკნელი ქალაქის ბოლოს.

და როცა ელენისნაირი ქალი უკანასკნელ საზღვარს მიაღგება, იგი დაღვ-



რემილი და სანტიმენტალური ხდება. მას ცხოვრებაში ყოველთვის უყვარდა ყველაფერი ლამაზი: მუსიკა, საალერსო სიტყვები, თავაზიანი მოქცევა, ყვავილები, მზე, პატიოსანი მამაკაცები. ხალხს შეეცოდებოდა, რომ სცოდნოდათ, როგორ შეიძლება მოეწყო ელენეს ცხოვრება, ამ გზას რომ არ დასდგომოდა, რამაც საბოლოოდ ამ ოთახში მოიყვანა.

არა, ელენი ხელიდან წასული ქალის სიმბოლო არ უნდა იქნებოდა, ვინც ამბობს: „ნეტავი ადრე მცოდნოდაო“.

ელენი არც უპატრონო ძაღლია.

ვინაიდან მას შემდეგ, რაც ელენი დაიბადა და ფაქიზად და კეთილშობილურად აღზარდა მამამ, იგი თავად იღებდა გადაწყვეტილებებს. მას გონება ყოველთვის საღი ჰქონდა და არც ტვინი ჰქონია დასპირტული, როგორც ზოგიერთებს ეგონათ. ის მუდამ კითხულობდა გაზეთებს, თუმცა ბოლო ხანებში უფრო ნაკლებად. რადგან თითქოსდა ყველა ამბავი ცუდის მაუწყებელი გახდა. ყოველთვის უსმენდა რადიოს და იცოდა, ახალი რა იყო მუსიკალურ სამყაროში. ზამთრობით ბიბლიოთეკებში კითხულობდა რომანებს ქალებსა და სიყვარულზე. ელენი ყოველთვის ზრუნავდა თავის გარეგნობაზე, იცავდა ჰიგიენას, იცვამდა სადად და კრიალოსანიც მუდამ თან დაჰქონდა, ვიდრე არ მოჰპარეს. არა, იგი არ არის მუქთახორა, სწამს ღმერთი, დრომას ყოველთვის ესალმება, პოდა, ვისი რა საქმეა, ან ვის რას უშავებს, რომ სვამს? იციან კი, რამდენი არ დაუღუპია?

ამაზე რატომ არ დაფიქრებულან. როდესაც ელენისნაირებს ბებერ ლოთ ბოზანდარებს ეძახიან. ტყუილად ფიქრობს ფრენსისი, რომ განათლება ქარს გაატანა, სულაც არ გაუტანებია ქარისთვის. ის არც ლოთია და არც კახა.

საწოლის სპილენძს ჩაჭიდებული ელენი უყურებს საათს, ისევ წელანდელ დროს რომ უჩვენებს — იხსენებს მღვდლებს, ვინაიდან თუკი ისე აღზარდეს, როგორც ელენი, გგონია, რომ მღვდლის ხელშია სულის ცხოვნების გასაღები. და რამდენი ცოდვაც არ უნდა ჩაიდინო (თუნდაც უდაბნოს ქვიშაზე და ზღვის მარილზე უმრავლესი), შენ მაინც გარდუვალად მიხვალ ცოდვათა შენდობის ფიქრამდე და გაგახსენდება, როგორ ისხურავდი „პარიზის იას“ ლიფზე, რათა ვინც კაბას გაგიხსნიდა და გაკოცებდა, არ ეგრძნო ოფლის სუნი... მაგრამ ელენ, მღვდლებს არაფერი ესაქმებათ არც ლიფთან, არც კოცნასთან, და უნდა გრცხვენოდეს, რომ ისინი ამ ამბავს დაუკავშირე.

ელენი ხანდახან თავს ეკითხებოდა: იყო თუ არა ნამდვილად კათოლიკე, ან რა არის ჩვენს დღეებში კათოლიკე? პატიოსნად რომ აღიაროს, შეიძლება არც იყო კათოლიკე, ფიქრობდა იგი. მაგრამ კათოლიკე თუ არა, მეთოდისტი ნამდვილად არ არის, ბატონო ჩესტერ.

ამ გაურკვეველობამდე იგი ცოდვების სიმრავლემ მიიყვანა, და თუ გნებავთ, ცოდვებად მათმა მიჩნევამ. არადა, ისინი ძალზე ბევრია. თავად ელენს ურჩევნია ისინი გადაწყვეტილებებად მოიხსენიოს — ამიტომაც არ თვლიდა საჭიროდ აღსარების თქმას, მეორეს მხრივ, ეკითხებოდა საკუთარ თავს: მიხვდებოდა თუ არა თუნდაც ერთი ადამიანი მაინც, რამდენად მაღალხნიანი იყო მისი ცხოვრება. მას არასოდეს არავისთვის უღალატნია, ეს კი, საბოლოო ჯამში, მისთვის ყველაზე მთავარია. მართალია მიატოვა ფრენსისი, მაგრამ ღალატად ამას ვერავინ ჩაუთვლის, ამას შეიძლება უფრო განდგომა ეწოდოს, ისევე როგორც ინგლისის მეფე საყვარელი ქალის გულისთვის გადადგა. ელენიც ადრე მისთვის საყვარელ მამაკაცს იმიტომ განუდგა, რათა იგი თავისუფალი ყოფილიყო, როგორც ელენი იყო ყოველთვის თავისუფალი.



თავისუფალნი იყვნენ ორივენი მაშინაც კი, როცა ყველაზე მტკიცე კავშირი აკავშირებდათ. ფრენსისი არ იყო, რომ 33 წელს, როცა ელენი ავად გახდა. ქუჩაში მათხოვრობდა? მანამდე ფრენსისს ხომ არასოდეს უმათხოვრია? და თუ იგი სიყვარულის გამო მათხოვრობდა, ნუთუ ელენს არ შეუძლია იმავე სიყვარულისთვის მისგან წავიდეს?

მისი დამოკიდებულება არტურთან და ფრენსისთან ურთიერთობებში შეიძლება შეცოდებად მიიჩნიონ. ელენი აღიარებს, რომ უფრო მეტად მისი შეცოდება უფლისა და ეკლესიის მცნებების მიმართ შესაძლოა ამკარად გამოვლინდეს განკითხვის დღეს. დე, იყოს ასე. მაგრამ არავითარ მღვდელს იგი არ მოუხმობს და არც თვითონ წაუა მათთან. არაუის და არავითარ შემთხვევაში არ განუცხადებს, რომ ფრენსისისადმი მისი სიყვარული ცოდვა იყო. სავსებით შესაძლებელია, არა, უეჭველია, — ეს სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მის ცხოვრებაში, საბოლოო ჯამში, უფრო მნიშვნელოვანი ვიდრე არტურისადმი სიყვარული, ვინაიდან არტური უღირსი აღმოჩნდა.

ამიტომ, როდესაც ხეიბარი დონოვანი კვლავ დაუკაკუნებს თერთმეტ საათზე და ჰკითხავს, ხომ არაფერი გინდაო, ელენი უპასუხებს: არა, არა, გმადლობთ, მოხუცო ხეიბარო, მე აღარაფერი და აღარაფერ აღარ მჭირდებაო. და მოხუცი დონოვანი ეტყვის: ახლა ღამის მორიგე შემცვლის, მე შინ მივდივარ. დილით ისევ მოვალთ. ელენი უპასუხებს: გმადლობთ, დონოვან, დიდი მადლობა მზრუნველობისთვის, იმისთვისაც, რომ ღამე მშვიდობისა მისურვე. როცა ხეიბარი კარს მოშორდა, ელენმა ხელი გაუშვა სპილენძს და ფიქრი დაიწყო ბეთჰოვენსა და ოდაზე „სიხარულს“.

და ესმის მხიარული ბრბოს მოახლოება.

და და-და.

და-და-დი-და-და.

და გრძნობს, მისი ფეხები როგორ იქცევა ფრთებად, თავი კი ნელა მიექანება ქვემოთ მათ შესახვედრად, და ასეთი დიდი სიხარულით დამძიმებული სხეულიც იდრიკება.

ზედავს, თავი ნელ-ნელა როგორ ეშვება ძირს.

თეთრი ფრინველი კი წყალზე მისრიალებს და, როგორც იქნა, ჯდება იამონურ კიბონოზე.

და ნელა, რბილად ეცემა ძირს.

მთვარის სხივებით განათებულ ბალახებზე.

## VI

პირველად ხანძარი ბროდვეის სამხრეთ მხარეს საწყობს გაუჩნდა ფიცგიბონის ძველი თუჯსასხმელი ქარხნის მახლობლად. მაღლა ავარდნილი ალი ცდილობდა ცა დაეჯახნა და სფეროს სრული ფორმა მიეღო. ფრენსისი და როსკამი მსუბუქი ავტომობილებისა და სატვირთო მანქანების კუდში იდგნენ. როსკამის ცხენი სტიქიით შეშინებული უკან-უკან იხევდა და ხვიხვინებდა. ცუცხლი რაღაც საცავს მოედო და საწყობის ერთი მხარე შავი კვამლის ფაფილებად ავარდა ჰაერში. ქარმა კი ეს კვამლი მათთან მიიტანა. ავტომობილების პატრონებმა ფანჯრები დახურეს, ფრენსისი, როსკამი და ცხენი კი მომწამვლელი კვამლისაგან ღამის დამხრჩვალად იყვნენ.

ახლა ისინი მსუბუქად მიდიოდნენ, რადგან ძველმანების პირველი ტვირთი როსკამმა თავის ეზოში დაცალა. ფრენსისმა მოხუცის მიერ მიცემული



ვაშლით ისადილა, ჩაიცვა ახალი თეთრი პერანგი და თავისი ლურჯი რელიქტი მონძების გროვაზე მიაგდო. მეორე მგზავრობა სამხრეთის განაპირა მხარეს უწევდათ, მაგრამ სამსაათიანმა ხანძარმა აიძულათ, მარშრუტი შეეცვალათ.

როსკამმა პერლ-სტრიტზე გაუხვია და ფორანი ჩრდილოეთ ოლბანისაკენ გაემართა... მათ უკან ცაში კვლავ აღიოდა კვამლი. რუქებიც კი გააბა თავისი სამგლოვიარო სიმღერა და ააფორიაქა რამდენიმე დიასახლელი. ემეტ-სტრიტის მახლობლად ძველი სახლის ეზოდან ფრენსისმა გამოათრია უბორბლებო, ერთიანად დაჟანგებული ურიკა. ფრენსისს ცხვირში კვლავ კვამლის სუნი სცემდა. ნადავლი ფორანზე რომ ისროლა, თვალწინ დაუდგა გადაბრუნებულ ღამის ქოთანზე მჯდარი მევიოლინე კუეინი. ქოთანი ეილაც მოყვარულ-სნაიპერს სამიზნე სროლაში სავარჯიშოდ გამოეყენებინა.

მევიოლინეს, რომელიც ადრე ტრამვაის მძღოლი იყო, ეცვა ჩალისფერა ტვიდის კოსტიუმი, ეკეთა ყავისფერწინწკლებიანი ბაფთა და ეზურა ჩალის შლაპა. 1901 წლიდან მოკიდებული, როდესაც მათ ნავთში დასველებული ცეცხლწაკიდებული ზეწრით შტრაიკბრეხერების ტრამვაი შეაჩერეს, ფრენსისს პირველად გაუღიმა აზრიანად.

საღდათმა მევიოლინეს კონდახით თავი რომ გაუხეთქა, თანამგრძობმა ბრბომ ზეღდახელ გაიყვანეს და დაპატიმრებას გადაარჩინეს. იმ დარტყმის შემდეგ გაბოყვებულმა მევიოლინემ კიდევ თორმეტი წელი იცოცხლა. ძმის მოვლით გაწამებული მისი შინაბერა და მარტა მევიოლინეს ოლბანის ჩრდილოეთ მხარეს ქუჩა-ქუჩა დაატარებდა, რათა მეზობლებს ენახათ უპარდონი გაფიცვის ჭეშმარიტი შედეგი.

1918 წელს მევიოლინის დაკრძალვაზე ფრენსისმა კუბოს აწევა რომ მოინდომა მარტამ უარი განუცხადა. მისი აზრით, მეამბოხე ფრენსისმა იმ დღეს მევიოლინე ძალად გარია საქმეში. შენი ხელიდან ისედაც ბევრი უსიამოვნება შეგვხვდა, ამიტომ ჩემი ძმის კუბოს ხელს ვერ ახლებო.

მაგას ყურს ნუ უგდებ, შეეხმიანა მევიოლიანე თავისი ნახვრეტებად ქცეულ ქოთან-ქანდარიდან, შენ არაფერში არ გადანაშაულებ. მე შენზე ათი წლით უფროსი ვიყავი და საკუთარი ჭკუა ხომ უნდა მქონოდა?

მერე შეხედა ფრენსისს და დაამატა: თუ პატიებაა, მაგ შენ ხელებს უნდა აპატიო, რომ გიღალატეს.

ფრენსისმა ხელებიდან ჟანგი მოიცილა და კვლავ უკანა ეზოში შევიდა და ჟანგებული ლითონის გამოსატანად. უკან რომ მიბრუნდა, მევიოლინეს გვერდით, რომელსაც შლაპა მუხლებზე დაედო, შტრაიკბრეხერი ჰაროლდ ალენი იჯდა, შავი ფარაჯა ეცვა და თავზე ტრამვაის მძღოლას ფორმის ქუდი ეზურა.

ფრენსისმა ფორანზე ჯართი დაყარა და რომ შემობრუნდა, რათა დარწმუნებულიყო, ისევ იქ იყვნენ თუ არა მევიოლინე და ჰაროლდ ალენი, უბორბლებო ურიკაზე კიდევ ორნი დაინახა. ფრენსისმა მათი სახელები არ იცოდა, მაგრამ მიხვდა, ისინი მაყურებლები იყვნენ, საღდათებმა საპასუხო სროლისას რომ დახოცეს, როცა ფრენსისმა ჰაროლდ ალენს თავი გაუხეთქა.

— მე მზად ვარ, შენ რას შვრები? — უთხრა ფრენსისმა როსკამს.

— რა გეჩქარება? — ჰკითხა როსკამმა.

— მეტი წასაღები არაფერია, წავიდეთ?

— ეს მაწანწალა სულსწრაფიც ყოფილა, — თქვა როსკამმა და ფორანზე ავიდა.

ფრენსისი ზურგზე ოთხი ჩრდილის მიშტერებულ მზერას გრძნობდა.



ფორანმა პერლ-სტრიტით ჩრდილოეთისკენ განაგრძო გზა. ეს ენ ფელანის ქუჩა იყო. ცა დასავლეთით საავდროდ მოქურუშდა. კვლავ დაუბერა ცივმა ქარმა და ფრენსისმა პიჯაკის საყელთ აიწია...

ფრენსისმა ხელები გაიწმინდა. ნუთუ ეს ხელები მტრები იყვნენ მისი? ან როგორ შეუძლიათ ხელებს ადამიანის ღალატი?

— შენი ხელები გიყვარს? — ჰკითხა როსკამს.

— გიყვარსო, მკითხე? ხელები გიყვარსო?

— ჰო, გიყვარს?

როსკამმა ჯერ თავის ხელებს დახედა. მერე ფრენსისს შეხედა და განზე გაიხედა.

— მართლა, მართლა, — უთხრა ფრენსისმა, — მე ეგრე მგონია, რომ ჩემი ხელები, რაც მოეგუნებებათ, იმას აკეთებენ, გამიგე?

— ჰოო, — თქვა როსკამმა. მან ერთხელ კიდევ დაიხედა ხელებზე. მერე ისევ ფრენსისს შეხედა, — შემლილხარ, — უთხრა და ცხენს გავაზე აღვირი მიუტყაპუნა.

ფრენსისს გაახსენდა სკიპი მაგაიერის მარცხენა ხელი, დეიტონში წასვლის პირველ ზაფხულს სკიპი და ფრენსისი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ: მაღალი ცაცია სკიპი პიტჩერი იყო. კი არ დადიოდა, დაალაჯებდა. ერთხელ სკიპის მარცხენა ხელზე ჯერ თითები დაუსკდა, მერე ხელისგული. რას არ ცდილობდა სკიპი, ხან კრემს ისვამდა, ხან მზეზე ეჭირა, ხან ინგლისური მარილითა და ღუდით იბანდა, მაგრამ ხელი არა და არ ურჩებოდა. მერე, როცა გუნდის მენეჯერმა უკმაყოფილება გამოთქვა, სკიპიმ დამსკდარი ხელი არად ჩააგდო და ათი-ოდე წუთი ბურთით ივარჯიშა, რის შემდეგაც ბურთი წითლად შეიღება, ხელისგული და თითები კი სისხლის კოლტებით გაეცსო. მენეჯერმა სკიპის უთხრა, რეგენი ხარო, და გუნდიდან გარიცხა.

იმ დამეს სკიპიმ დაწყევლა მენეჯერი, ჩვეულებრივზე მეტად დათვრა. შუა აფვისტოში ნახშირის ღუმელი მაგრად გაახურა, მერე შიგ ხელი შეყო, მუჭით ნავერჩხლები გამოიღო და იუდა ხელს სვირი აჩვენა. ხელის გადასარჩენად ექიმში იძულებული გახდა სამი თითი მოეკვეთა.

როსკამის მსგავსებმა შესაძლოა ფრენსისი შემლილად მიიჩნიონ. მაგრამ სკიპივით ის არასოდეს მოიქცევა. მან დაიხედა ხელებზე და ნაიარევებმა მოგონებები აუშალა; ეს ერთი თითი ლოთიფოთმა დიკმა წააცაღა, ნეკა თითის ძირში მრუდე ნაჭრილობევი იმის შედეგია, რომ გიჟური წყურვილით ატანილმა ერთი ბოთლი ღვინის საშოვნელად ღამით ჩაინა-ტაუნში ვიტრინა ჩაამტკრია, ვიღაც მაწანწალასთან ჩხუბში კი, ელენის დაჭერა რომ მოინდომა მერვე ავენიუსზე, შუა თითის სახსარი გადაიტეხა და მრუდედ შეუხორცდა; ფილადელფიაში ერთმა გადარეულმა ფრენსისისათვის შლაპის მოპარვა განიზრახა და ფრენსისს მარცხენა ხელზე ცერა თითის ბოლო მოაკვნიტა. ფრენსისი ვალში არავის დარჩენია, სამაგიერო ყველას გადაუხადა. იმ ბატისტვინებიდან ყველა სათითაოდ კარგად ახსოვდა — ალბათ უკვე ყველანი დაიხოცნენ ან საკუთარი ხელით, ან იქნებ ფრენსისის ხელით?

ლოთიფოთი დიკი.

პაროლდ ალენი.

უკანასკნელი სახელი ანაზდად ჯადოსნურ გასაღებად იქცა ფრენსისის ბიოგრაფიისათვის. ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ მას არასოდეს ამოძრავებდა შეგნებულ ნება, მისთვის აშკარა გახდა საკუთარი საქციელის, ყველა მის მიერ ჩადენილი ძალადობის კანონზომიერება. რამდენი კაცი მოკვდა მისი ხე-



ლით, რამდენი დამახინჯდა, უნებურად რამდენის სიკვდილში იყო დამნაშავე მისი დაუღვრომელი ბუნება? ახლა რომ კოჭლობს და მუდამ იკოჭლებს, ეს იმ შიბზდიკის ბრალია, მას რომ ფორთოხლის წყლის ბოთლი მოპარა. ფრენსისი დაეწია, ბოთლი წაართვა, შიბზდიკმა კი ცული სთხლიშა ფეხში და ძვლები დაუმტვრია, ფრენსისმა რაღა ქნა? არ იკადრა ამ ჩია კაცის ცემა, მხოლოდ სახე ტალახში ჩააყოფინა და კისრიდან კბილებით ხორცე ამოაღო.

ახლა, როდესაც ფრენსისი საკუთარ ხელებს დაჰყურებდა, ისე ეჩვენებოდა, რომ ისინი თითქოს მისი სულის რომელიღაც კუნჭულის მოციქულები, მისი ცხოვრების თვითნებური საბუდისწერო სტიქიის მექანიკოსები იყვნენ.



იგი კაცის მკვლელი იყო. რამდენადაც იცოდა, მის საგვარეულოში არავის ეცხოვრა ასე მშფოთვარედ და დაუღვრომლად. არც თვითონ ესწრაფვოდა ასეთ ცხოვრებას.

მაგრამ შენ მოსაკლავად დამიძიხნე, უსიტყვოდ უთხრა ფორნის ბოლოში მჯდარმა ჰაროლდ ალენმა.

— არა, — არც მოუხედავს, ისე უბასუბა ფრენსისმა, — არავის მოკვლა არ მდომებია, მსურდა მხოლოდ სამაგიეროს გადახდა, ტრამვაის მინების ჩამსხვრევა და აყალმაყალის ატეხა.

მაგრამ ჯერ ისეუ დაძწყებმა მოთამაშემ ხომ იცოდი, რა ზუსტი დარტყმა გქონდა, ამით ამაყობდი კიდევ. იმიტომ მოხვდი იმ დღეს ტრამვაის ხაზზე, იმიტომ აგროვებდი მთელი დილა ბუისბოლის ბურთისხელა ქვებს, იმიტომ ამომიღე მიზანში, რომ თავი გმირად წარმოგეჩინა.

— მაგრამ იმიტომ არა, რომ მომეკალ.

მარტო თვალი ამოგეგდებინა, ხომ?

ფრენსისი დაფიქრდა თავის ხელების ბოროტ თვითნებობაზე და ჰკითხა საკუთარ თავს: რატომ ფიქრობს ხოლმე ხანდახან თვითმკვლელობაზე? პიტსბურგთან შამპნარში რომ გაულვიძნია სიცივისაგან საძრაობაწართმეულს, თოვლით დაფარულსა და ჩილიკა ჯოხივით გაფშეკილს, თავის თავისთვის უთქვამს: ფრენსის, კიდევ ასეთ დამესა და ასეთ დილას ველარ აიტან, მაშინ კი დადგება დრო ხიდიდან თავდაყირა გადავარდეთ.

მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ წამოდგებოდა, ყურებიდან ჭირხლს იშორებდა, სადმე გასათბობად წავიდოდა, ხუთ ცენტს გადააგდება ყავის დასალევად და გაფშურებოდა საითქენმე, ოღონდ იქით არა, სადაც ხიდი იყო.

ფრენსისს ვერ გაეგო, რატომ ეთამაშებოდა თვითმკვლელობას, რატომ უფრთხოდა მას, ვერ გაეგო, რატომ ვერ ხტებოდა ხიდიდან ელენის მამასავით, როცა მიხვდა, რომ მისი საქმე წასული იყო. შეიძლება მოუცლელობის ბრალი იყო — ყველაფერს გათვალისწინება სჭირდებოდა, რა უნდა ექნა შემდგომი ნახევარი საათი. არა, ფრენსისი ვერ გაიხედავს ცხოვრების მიღმა ნაპირისაკენ. რას იზამ, ასეთი კაცია, გარბოდა, როცა საქმეები ცუდად მიუდიოდა: არასოდეს ეცალა სულის მოსათქმელად, რათა სადმე მყუდრო ადგილზე შეჩერებულიყო და თავი მოეკლა.

ისე კი არც გაქცევა სურდა ხოლმე მაინცდამაინც. ვინ იფიქრებდა, რომ მისი და ენის ქორწინებიდან სულ მალე, მადლობის შეწირვის დღეს, დედა სადილობისას გამოუცხადებდა: შენ და შენმა გომბიომ სამუდამოდ უნდა დაივიწყოთ ამ სახლის კარიო. ორი წლის შემდეგ ეს როკაპი დედაბერი მოლბა და ნუბა და-



რომ მოენახულებინა ახლობლები. მისვლით კი მივიდა, მაგრამ ზღურბლისთვის არ გადაუბიჯებია, რადგან გამოირკვა, რომ ეს ნებართვა ენს არ ეხებოდა, ვინც ხულაც არ იყო გომბიო. ამის შემდეგ იმ სახლში აღარც შეუხედავს, სანამ არ მოკვდა მისი ყაჩაღანა დედილო.

ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი გაქცევა.

კვლავ გაიქცა, შტრაიკბრეხერი რომ მოკლა.

გარბოდა ყოველ ზაფხულს, სანამ ჰქონდა შესაძლებლობა უკანმტვიცებიან ერთადერთი ნიჭი, რაც თავისუფლების დიად შეგრძნებას ანიჭებდა, როცა შეეძლო ეცეკვა მიწაზე სასულე ორკესტრის გრიალის, ბრბოს აღტაცებული ყიჟინისა და მისალმების ხმაზე. გაქცევით შეელოდა თავს, რათა არ გაგიჟებულიყო მთელი იმ წლების მანძილზე, და ნუ ჰკითხავთ, რატომო. მას უყვარდა ენი, ბავშვები, მათთან ცხოვრება, უყვარდა თავისი და მერი, თითქმის უყვარდა ძმები პიტერი, ჩიკი და ჭკუასუსტი ტომი. და ყველა ისინი მოდიოდნენ მასთან სახლში, როდესაც თავად ფრენსისი მათ სახლში არასასურველ სტუმრად იქცა.

ოღბანში მას ბევრი რამ უყვარდა ან თითქმის უყვარდა.

და აი, კვლავ დადგება თებერვალი.

სულ ძალე თოვლიც დადნება.

კვლავ აბიბინდება ბალახი.

ფრენსისს თავში კვლავ აუხმიანდება საცეკვაო მუსიკა.

და კვლავ გასაქცევად გაუწევს გული.

და ისიც გარბის.

წმინდა გულის ეკლესიის უკან პატარა სახლიდან ვილაც კაცი გამოვიდა და როსკამს ხელი დაუქნია. როსკამმა ცხენი შეაჩერა, ჩამოხტა და კაცს ძველმანებზე დაუწყო ვაჭრობა. ფრენსისი ფორნიდან უყურებდა, მე-20 სკოლიდან გამოსული ბავშვები როგორ სჭრიდნენ ქუჩას. ალბათ მათი მასწავლებელი შუქნიშნის ძალის გასაძლიერებლად ხელაწეული დადგა გზაჯვარედინზე, თუმცა ახლომახლო ტრანსპორტი არც ჩანდა. ბავშვებს დაესრულებინათ საურო მეცადინეობა და ჭიანჭველებივით დაძწკრივებულები მეორე მხარეს გადადიოდნენ ორი შავადმოსილი მონაზვნის თანხლებით, ვისაც ამ ბავშვთა დამყოლ გონებაში უნდა ჩაეხედათ უფლის წმინდა ჭეშმარიტებანი: ფრენსისს გაახსენდა ბილი და პეგა, პატარაობაში ასევე რომ მიჰყავდათ ძველი სკოლიდან ამავე ეკლესიაში, რათა მოეთხროთ უფლის გზებზე – თითქოსდა რომელიმე მათგანს შეეძლო ამაში გარკვევა.

ბილისა და პეგის გახსენებაზე ფრენსისს გააფრეოლა, მხოლოდ ერთი კვარტალი აშორებდა მათ სახლს. მისამართი გაზუთიდან შეიტყო, კვირა დღით გამოვივლი და ინდაურს მოვიტანო, უთხრა ბილის, როდესაც მან პირველად მიიბატოქა. ბილიმ ამაზე უპასუხა: ვის რა ჯანდაბად უნდა ინდაურიო. მართლაც ვის უნდა? – უპასუხა მაშინ ფრენსისმა. ახლა კი თავისთვის გაიფიქრა, – ეტყობა, მეო.

როსკამი ვერ მოურიგდა ნაგვისაგან განთავისუფლების მოსურნე მაცხოვრებელს და ფორანზე ავიდა.

ცხენი დაიძრა და მისი ფლოქვების თქარუნი ფრენსისს სულ უფრო და უფრო უწუხებდა გულს. როგორ მოიქცეს? რა უთხრას მათ? ან კი რა აქვს სათქმელი. ღმერთმა ხელი მოუშართოთ. არა, უბრალოდ მიდი და დააკაკუნე, აი, მო-



ვედი სახლში-თქო. ან იქნებ ასე ჯობს: ერთი ჭიქა ყავით არ გამიმასპინძლებითო? მერე კი ნახავს, როგორ წავა საქმე. არაფერი ითხოვო, არაფერს შეპირდე, ბოდიშს ნუ მოიხდი, არ იწუწუნო, ესტუმრე მხოლოდ, მორჩა და გათავდა. შეიტყვე, ახალი რა არის, შენი პატივისცემა დაუღახტურე და შენს გზას ეწიე.

ინდაურზე რაღა ქნას?

— მე ცოტა ხნის შემდეგ ჩამოვალ, — უთხრა როსკამმა ლეონს, — ალმაცერად გადახედა. — სულერთია, სადაცაა დღე მიიწურება, ერთი საათის მერე დაბნელდება, მართალს არ ვამბობ?

— დაბინდებამდე უნდა გემუშავნა, დაბინდებამდე კარგა დროა, — თქვა როსკამმა.

— ვიღაც-ვიღაცები მყავს სანახავი, დიდი ხანია არ მინახავს.

— თუ ასეა, წადი.

— მაშინ გადამიხადე, რაც ვიმუშავე.

— მთელი დღე არ გიმუშავნია, ხვალ მოდი, მოვიფიქრებ, რამდენი უნდა მოგცე.

— ნახევარ დღეზე მეტი ვიმუშავე. შვიდ საათზე უფრო მეტი. შეგიძლია ერთი დოლარი დამაკლო. ეს სამართლიანი იქნება. შეიღის მაგივრად ექვს დოლარს მომცემ. მეოთხედი დოლარიც პერანგისა დამიკავე. ხუთი და სამოცდათხუთმეტი მურგება.

— ნახევარი დღე იმუშავე. ნახევარი დღისას — სამსა და ორმოცდაათს გადაგიხდი.

— არა, ძმაო.

— არა? უფროსი მე ვარ.

— მართალია, უფროსი ხარ, მაგარი კაციც ხარ, მაგრამ მე სულელი ნუ გგონივარ. კარგად ვხვდები, როდის უნდათ ჩემი გალლეტა, და გაფრთხილებ, მისტერ როსკამ, როცა მამბრაზებენ, სატანაზე უფრო მძვინვარე ვხდები. — ფრენსისმა თვალბებთან მარჯვენა ხელი მიუტანა, — გვონია, ჩემს უფლებას ვერ დავიცავ? ვნახოთ. ამ ხელებს ბევრი რამ უნახავთ ცუდი, საიქაოსაც ბევრი გაუსტუმრებია. გამიგე?

როსკამმა ცხენი შეაჩერა ზუსტად სკოლის კარების წინ. ბავშვები კვლავ გამოდიოდნენ სკოლიდან და დაწალიკებულნი ეკლესიისკენ მიემართებოდნენ: ნუტარნი არიან თვინიერნი. როსკამმა შეათვალიერა ფრენსისის ხელი — ნაიარევი, ფალანგებწათლილი, დაბერილმარღვებიანი, მუშტის შესაკრავად გამზადებული თითები.

— მემუჭრები? — ჰკითხა როსკამმა, — არ მიყვარს მუჭარა. ხუთსა და ოცდახუთზე მეტს ვერ გადაგიხდი.

— ხუთი და სამოცდათხუთმეტი-მეთქი. ეს სამართლიანია. ამ ცხოვრებაში სამართლიანი უნდა იყო.

როსკამმა უბიდან ტყავისთასშიანი საფულე ამოიღო, დაგორგლებულ ფულის ბლუჯას ხუთი დოლარი მოაცილა, ორჯერ გადათვალა და ფრენსისს ხელში ჩაუდო, მერე სამოცდათხუთმეტი ცენტიც დაუმატა.

— მაწანწალა მაინც მაწანწალაა, ამის შემდეგ მაწანწალებთან საქმეს აღარ დავიჭერ, — თქვა როსკამმა.

— გმადლობთ, — უთხრა ფრენსისმა და ფული ჯიბეში შეინახა.

— არ მომწონხარ, — უთხრა როსკამმა.



— მე კი ლამის მომეწონე. როცა ახლოს გამიცნობ, გაიგებ, რომ არც ისე ცუდი ვარ, — უთხრა ფრენსისმა.

ფრენსისი ფორნიდან ჩამოხტა და როსკამს ხელი დაუქნია, ის კა ხმაამოუღებლად და უკანმოუხედავად წავიდა.



თავის სახლისკენ მიმავალი ფრენსისი ჩვეულებრივზე უფრო მეტად კოჭლობდა. ფეხი ორი კვირაა ასე არ სტკივებია. მოთმენა კი შეეძლო, მაგრამ ტროტუარისთვის ფეხის აცილება უჭირდა. ნახევარი კვარტალი გაიარა, სახლი კი ჯერ არ ჩანდა. მეზობელი სახლიდან გამოსული ხანდაზმული ქალის დანახვაზე ფრენსისი შეჩერდა და ჰკითხა:

— უკაცრავად, ლედი, ხომ ვერ მეტყვი, სად შეიძლება ვიყილო კარგი ინდაური?

ქალმა ჯერ გაკვირვებით შეხედა, მერე შეშინებული უმაღლეს სახლში შებრუნდა.

ფრენსისმა ქალს მხერა გააყოლა; ახლა, როცა ფხიზელია და ახალი პერანგი აცვია, ქალი მისმა უბრალო შეკითხვამ ნეტა რად შეაშინა? კარი ხელახლა გაიღო და საშინაოდ ჩაღმული, მელოტი, ფეხშიშველა კაცი გამოჩნდა.

— რა ჰკითხე ჩემს ცოლს?

— რა და ინდაური სად შეიძლება ვიყილო-მეთქი.

— რატომ?

— იმიტომ რომ, — თქვა ფრენსისმა და გაჩუმდა. ტროტუარზე ფეხი მოინაცვლა, — იმიტომ რომ იხვი მომიკვდა.

— წადი, წადი, შენს გზას ეწიე.

— გასაგებია, — თქვა ფრენსისმა და კოჭლობით განაგრძო გზა.

მერე ქუჩაზე გადამავალ სკოლის ბავშვებს გასძახა:

— ეი, ბავშვებო, აქ ახლომახლო სადაა ხორცის სავაჭრო დუქანი?

— ბროდვეისა და ლოუნის კუთხეში ჯერის აქვს ხორცის მაღაზია, — უთხრა ერთმა.

ფრენსისმა ბიჭს მადლობა გადაუხადა და ხელი აუწია. თავის სახლს რომ ჩაუარა, იქით არც გაუხედავს. სიარული ისე აღარ უჭირდა. დუქნამდე კიდევ ორი კვარტალი უნდა გაევილო, მერე კიდევ ორი კვარტალი უკან. ჯერის ხორცის მაღაზიის გაშალაშინებული იატაკი ნახერხით იყო მოფენილი. თეთრი, პრიალა, დახრილმინებიანი ვიტრინები ფრენსისს — ერთადერთ მყიდველს — დიდებულ დვიძლს, თირკმელებს, ბეკონს, მაცდუნებელ ხორცის ნაჭრებს, და დაბეგვილ ხორცს, შესანიშნავად მომზადებულ საძებვე და საკატლეტე ფარშს სთავაზობდნენ.

— რა გნებაეთ? — შეეკითხა თეთრხალათიანი გამყიდველი, რომელსაც ისეთი შავი თმა ჰქონდა, მისი სახე უმარილწასმული გვეგონებოდათ.

— ინდაური მინდა, კარგი, დაკლული ინდაური, — უთხრა ფრენსისმა.

— სხვაგვარი არცა გვაქვს, — უპასუხა გამყიდველმა. — დიდი გნებაეთ?

— როგორი დიდები არიან?

— თორმეტ-ცამეტ კილოიანი.

— რა ღირან ასეთი მხეცები?

— გააჩნია, რამდენს იწონის.

— სწორია. კილო რა ღირს?



— ოთხმოცდათერთამეტი ცენტი.

— ოთხმოცდათერთამეტი. ვთქვათ, ოთხმოცდაათი — იგი გაჩუმდა, — ხუთკილოიანი თუ მოიძებნება?

გამყიდველი საკუჭნაოში შევიდა, უკან რომ მობრუნდა, ორივე ხელში ინდაური ეჭირა. ჯერ ერთი აწონა, მერე — მეორე.

— ეს ოთხნახევარია, ეს კი — ხუთი და ექვსასი.

— უფრო დიდი მოგვეცით, — უთხრა ფრენსისმა და, დახლზე გასული ინდაურს თეთრ პერგამენტის ქაღალდში გაახვევდა, დახლზე ხუთი დოლარი და ხურდა დააწყო. გამყიდველმა დახლზე ოცდახუთი ცენტილა დაუტოვა.

— როგორაა საერთოდ საქმე? — ჰკითხა ფრენსისმა.

— ისე რა. ხალხს ფული არა აქვს.

— ფული არის, ოღონდ შოვნა უნდა. აი, ეს ხუთიანი, თქვენ რომ მოგეცით, ერთ დღეში გამოვიძეშავე.

— ფულის საშოვნელად რომ ვიარო, დუქანში ვინდა დაჯდეს?

— ჰოო, ვიღაც-ვიღაცებს მარტო ჯდომა და ლოდინი მოუწევთ. მაგრამ სისუფთავეში კი ზიხართ, — უპასუხა ფრენსისმა.

— ჭუჭყიან ყასაბს ბაზარში არ გააჩერებენ.

— ჰო, ხორცს სისუფთავე უყვარს, აბა როგორ?

— სწორია, კარგი იქნება, ეს ყველას ახსოვდეს. აბა სიკეთეში მოგახმართოთ თქვენი ინდაური.

იგი ბროდვეიმდე, კინგ ბრუიდის საღუნამდე მივიდა და იქიდან ნორტ-სტრიტის გასწვრივ, როგორც იქნა, სინათლეზე დაათვალიერა უელტის ფარდული და დაბლობი, სადაც ადრე რაბი იყო. ქუჩაზე რამდენიმე ახალი სახლი აეშენებინათ, მაგრამ ამით ქუჩას თავისი სახე არ დაეკარგა.

ინდაურის სიცივემ პიჯაკში შეაღწია და მკლავი და გვერდი გაუყინა. ფრენსისმა ინდაური მეორე ხელში გადაიტანა და ჩრდილოეთის მესამე ქუჩით სახლისკენ გასწია. იფიქრებენ, რომ მინდა ჩემი თანდასწრებით შეწვან ინდაური. უნდა ვუთხრა, აი, ინდაური მოვიტანე და კვირას შეწვით-მეთქი.

მისკენ ველოსიპედებით ბავშვები მოდიოდნენ. უოლტ-სტრიტი ფოთლებით იყო მოფენილი. ფეხი კვლავ ასტკივდა და ფეხსაცმლის პირები კვლავ ტროტუარს ეწებებოდა. წვეული ფეხები, ეგენიც თავისთვას ცხოვრობენ. იგი კუთხეში შებრუნდა, ბილიკზე გადაუხვია და გარაჟის წინ გვერდითა კართან გაჩერდა. შეხვდა დაწინწკლულ თეთრ ფარდებს, ოთხმინიან კარს, რომელსაც სახელურთან რძისთვის ალუმინის ყუთი ჰქონდა მიმაგრებული. რამდენჯერ მოუპარავს ასეთი ყუთიდან ბოთლები. დიახ, მაწანწალას, მკვლელს, ქურდს. ზარს შეეხო, გაისმა ნაბიჯების ხმა. დაინახა, როგორ შეირბა ფარდა, დაინახა თვალები და კარი გაიღო.

— გამარჯობა.

— ჰოო?

ენი იყო.

— ინდაური მოგიტანე.

— ინდაური?

— ბილის ვუთხარი, როგორმე გამოვივლი კვირა დღეს და ინდაურს მოგიტანო-მეთქი. კვირა არ არის, მაგრამ მაინც მოვედი.



- შენა ხარ, ფრენ?
- აბა გვეონა, მარსიდან იყო ვინმე?
- ოჰ, ღმერთო, ღმერთო, — ქალმა კარი გააღო.
- როგორ ხარ, ენი? კარგად გამოიყურები.
- შემოდი, შემოდი.



ქალმა მის წინ ხუთი საფეხური აიარა, კიბე მარცხნივ დადგინდა და — პირველად ფრენსისი აქ შემოსვლას აპირებდა, რისკით დაელოდა მანებს ავიღებ და შერე გავაცხადებ, ვინცა ვარო. ახლა კი, გვერდითი კარი რომ დაიხურა, კიბემ პირდაპირ სახლში შეიყვანა და ენისთან ერთად სამზარეულოში აღმოჩნდა. ენი უკან-უკან იხევდა, თან მას უყურებდა და იცინოდა. ეს კარგია.

— ბილიმ შენზე გვითხრა, ვნახეო, — ის შუა სამზარეულოში გაჩერდა, ფრენსისიც შედგა, — მაგრამ ეგონა, არ მოხვიდოდი. ღმერთო, არ გელოდი. შენზე გაზეთში წავეკითხეთ.

- შეგრცხვათ?
- არა, ვიცინეთ. მთელი ქალაქი იცინოდა. არჩევნებზე ოცჯერ გატარებულხარ რეგისტრაციაში!
- ოცდაერთჯერ.
- ოჰ, ფრენ, ნამდვილად არ გელოდი!
- აჰა, ამ ფრინველს რაძე მოუხერხე, სულ გამყინა.
- რატომ მოიტანე? თანაც ინდაური. დაიხარჯე ალბათ.
- რკინის ჯო მეუბნებოდა: ფრენსის, ხელცარიელი არასოდეს მოხვიდე. ზარი იდაყვით დარეკეო.

კბილები თავისი აღარ აქვს. სად გაქრა ნეტა ის ლამაზი კბილები? თმაც გაჭაღარავეს, ვარაუდით თუ მიხედები, რომ წაბლისფერი თმა ჰქონდა. ბაგე კბილების გამო ცოტა ჩაუარდნია, მაგრამ ღიმილი ისეთივე აქვს. ნაღდი ღიმილი. შესუქებულა, მკერდი გაზრდია, მენჯებშიც გაწიულა. ფეხსაცმლის ლანჩები ჩაუჭყლევია, ვენები წინდებიდანაც კი უჩანს, ხელები დასწითლებია, წინსაფარი დალაქავებული აქვს. აი, რად აქცევს თურმე დიასახლისობა ლამაზ გოგოს.

იმ ლამაზ გოგოს, პირველად რკინის ჯოს სალონში რომ ნახა, ჩრდილოეთ ოლბანში ბადალი არ ჰყავდა. ყველა კარგ გოგოზე ასე ამბობენ. მაგრამ ეს სულ სხვა იყო.

- ფრენსისმა ორი თვე ვერ გაბედა მასთან ახლოს მისვლა.
- ბოლოს, როგორც იქნა, გამოელაპარაკა.
- გამარჯობაო, უთხრა.

ორი დღის შემდეგ კი ფიცრის შტაბელებზე იხილნენ და ფრენსისმა ისეთი სისულელეები უთხრა, რის თქმასაც ცხოვრებაში არავისთან აპირებდა.

შერე ერთმანეთს აკოცეს. თვენახევრის შემდეგ კი დაქორწინდნენ.



- დაჯექ, სანამ ინდაურს მოვამზადებ, — თქვა ენიმ.
- არა, დიდი დრო დასჭირდება. ჭამეთ, როცა მოგესურვებათ, კვირას ან როცა ვინდათ.
- შეწვას დიდი დრო არ უნდა, ორი-სამი საათი. ამდენ ხანს არ ყოფილხარ და ნუთუ ეგრე ძალე გაიქცევი?
- მე არსად არ გაურბივარ.



— კარგი. უცებ შევაგდებ ღუმელში. პეგი მოვა, კარტოფილს და ხახვს დაეფუტქნით, დანი შტოშზე გაიქცევა. ინდაური მოიტანე. დაზე, შობა დააჩქარე.

— დანი ვინაა?

— დანი არ იცი? თუმცა საიდან გეცოდინება. პეგის ბიჭია. პეგი ჯორჯ ქუინს გაჰყვა: ჯორჯს ხომ იცნობ. დანი უკვე ათი წლისაა.

— ათი წლის.

— მეოთხე კლასშია. ჭკვიანი ბიჭია.

— ჯერალდი ახლა ოცდაორისა იქნებოდა.

— ჰო.

— მისი საფლავი მოვინახულე.

— როდის?

— გუშინ იქ ერთი ღლით ვიმუშავე. ვიპოვე და ცოტა წავისაუბრეთ.

— წაისაუბრეთ?

— ჰო, ჯერალდს ვესაუბრე, მოეუყუვი, როგორც მოხდა. ყველაფერი ვუთხარი.

— ვფიქრობ, გაუხარდებოდა შენი მოსმენა.

— შეიძლება. ბილი სადაა?

— ბილი? აა, ბილზე მეკითხები? ბილი ჩვენთვის ისეთივე ბილად დარჩა. დაწვა. პოლიტიკოსებთან უსიამოვნება შეხვდა. განიცდის. პატსი მაკოლის ძმისწული, ბინდის ვაჟი გაიტაცეს. ალბათ წაიკითხე.

— წაიკითხე. ამას წინათ მარტინ დოგერტიც მომიყვა.

— დღევანდელ გახეთში მარტინი ბილიზე წერს.

— უნახე უკვე. კარგად დაუწერია: მარტინმა თქვა, მამაჩემი ისევ ცოცხალიაო.

— ვღუარდი ცოცხალია. მეინ-სტრიტზე ცხოვრობს. ცნობადაკარგულია საცოდავი. ისე ყოჩაღადაა. ეტყობა, მარტინი ხანდახან ასეირნებს ხოლმე. ბილის გავაღვიძებ, ვეტყვი, რომ მოხვედი.

— არა, ჯერ არ გინდა. ვისაუბროთ.

— მართალია. ვისაუბროთ. შევიდეთ ოთახში.

— ამ ტანსაცმლით სად უნდა შემოვიდე? დილიდან ძველმანებს ვეზიდებოდი, ბოულ სახლს დაგისერი.

— დიდი ამბავი, მაგას არა აქვს მნიშვნელობა.

— აქაც კარგია. აი, ფანჯრიდან ეხო ჩანს. ლამაზი ეზოა. ძალღიჯ გყოლიათ — კოლი.

— მხიარული ძალღიჯია. დანი ბალახებს კრეჭს ხოლმე, ძალღიჯი კი ამ ბალახებში ძვლებს ძალავს. მეზობელს კატა ჰყავს. მიელი დღე მესრის გასწერივ იმან დასდევს.

— ოჯახი გვარიანად შეცვლილა. ასეც ვფიქრობდი. შენი და-ძმები როგორღა არიან?

— კარგად. ჯონი სულ არ შეცვლილა. დემოკრატების კომიტეტშია. ჯონი ძალიან გასუქდა და გამელოტდა, პარიკს ატარებს. მინიმ მხოლოდ ორი წელი იცხოვრა ქმართან — მოუკვდა. ძალზე მარტოხელად გრძნობს თავს. ოთახს ქირაობს, ხშირად უნახულობთ ხოლმე.

— ბილი ყოჩაღი ბიჭი გამოდგა.

— მოთამაშა. და არც ისე კარგი. სულ უფულოდაა.

— პირველად რომ შემხვდა, კარგად მომექცა. მაშინ ფული ჰქონდა, ჩემ მაგივრად გირათ შეიტანა, ციხეს გადამარჩინა, უნდოდა ჩემთვის ახალი კოსტიუ-



მი ეყიდა. ბლომა ფული მომცა, მე კი, რასაკვირველია, სულ ვავანიავე. ბილი მაგარი ბიჭია, მიყვარს. მითხრა, რომ არც მისთვის და არც პევისთვის არ გითქვამს, ჯერალდი ხელიდან რომ მე გამივარდა.

— ჰო, ახლად ვუთხარი.

— შენ საოცარი ქალი ხარ, ენი. შენნაირები არ არსებობენ.

— რისთვის მომეყოლა. რაც იყო, იყო. მაგაში როგორც შენ მტკიცების ბრალი, ისე — მე. კაცმა რომ თქვას, არავისი ბრალი არც ყოფილა.

— ამას მაღლობით ვერ გადაგიხდი, მაღლობა ცარიელ სიტყვებს ემგვანება. ენიმ ხელი ჩაიქნია.

— გეყოფა ამაზე ლაპარაკი. დაჯექი და მომიყევი, რატომ გადაწყვიტე უცებ ჩვენთან მოსვლა?

ფრენსისი წალოში მდგარ მერხზე დაჯდა და ფანჯარაში გაიხედა, საიდანაც აყვავებული ნემსიწვერა ჩანდა. დაინახა კოლი, ვაშლის ხე, რომელსაც ტოტები მეზობლის ეზოში გაეტანა, ყვავილნარი, შეკრეჭილი ბალახი და ირგვლივ თეთრი ბადის ღობე. რა ლამაზია. ფრენსისს ძალიან უნდოდა ენისთვის მოეთხრო ყველა თავის შეცოდებაზე, მაგრამ ენა არ უბრუნდებოდა. მისი სხეული და გონება თითქოს ბანგით გათანგულიყო. როდესაც აღქმა შევიძლია, მოქმედების უნარი კი წართმეული გაქვს. არაფრით არ შეეძლო აეხსნა, რამ მოიყვანა აქ, ამისთვის მარტო თავისი ცოდვების ჩამოთვლა არ ეყოფოდა, ამისთვის უნდა მოეთხრო თავის ამას ოცნებებზე. ამქვეყნად უაზრო ხეტიანზე, ამ ქალაქში ყოველ ჩამოსვლასა და მათთან მიუსვლელად უკან გამგზავრებაზე, უნდა გაემჟღავნებინა თავისი უცნაურ გაშმაგებათა ამბავი, შიში მართლმსაჯულების წინაშე, მისი დამოკიდებულება ელენთან და მისგან ახლანდელი განდგომა, სიახლოვე ნაირ-ნაირ ქალებთან, რომლებიც საერთოდ არაფრად სჭირდებოდა, გაემჟღავნებინა თავისი ღოთობა, დამისთევები შამბნარებში, მათხოვრობა უმუშევრობის გამო კი არა, პირველად ელენის გამო, მერე კი იმიტომ, რომ ეს იოლი გამოდგა. უფრო იოლი, ვიდრე მუშაობა. შინ დაბრუნებასთან შედარებით ყველაფერი უფრო იოლი იყო — სოციალურ ლიფსიტად და ღვთის გლახად ყოფნაც კი.

და მაინც შინ დაბრუნდა.

ის ხომ ნამდვილად შინ არის ახლა!

თუ ასეა, სწორედ ამას ეკითხებიან, რატომო?

— რა თქმა უნდა, შემძლია ვთქვა, ბილის გამო-მეთქი, — უბასუხა ფრენსისმა, — მაგრამ მთლად ეგრე არ არის. შეგკითხე გადამფრენ ფრინველს, რატომ მიფრინავს სამხრეთისაკენ, მერე კი ისევ ძველ ადგილას — ჩრდილოეთს უბრუნდება.

— ეტყობა, შენზე რაღაცამ იმოქმედა.

— გეუბნები, ბილიმ ციხიდან რომ მიხსნა, მერე სახლში მომიპატიჟა, თუმცა მეგონა, არასოდეს არ მომიპატიჟებდით მას მერე, რაც მოვიმოქმედე... მერე ისიც გავიგე, რაც ჩაიდინე, უფრო სწორედ, რაც არ ჩაიდინე, — პევიც უჩემოდ გაიზარდა, მინდოდა მენახა. ბილის ვუთხარი: მინდა მოვიდე სახლში, როცა შეეძლებ ჩვენებს რაიმე გაუუკეთო-მეთქი. იმან კი მითხრა: მიაფურთხე ინდაურს, ისე, უბრალოდ მოდი და გვინახულე — ამის გაკეთება კი შეგიძლია ჩვენთვისო. მეც მოვედი. მოვედი და ინდაურიც მოვიტანე.

— რაღაცით შეცვლილხარ, ალბათ იმ ქალის გამო, არა? ბილის გაუცვნია.

— ჰო, იმ ქალის გამო.

— ბილიმ მითხრა, სხვა ცოლი ჰყავს, ელენი ჰქვიაო.

— ცოლი არ არის და არც ყოფილა. ცოლი მე ერთი მყავდა.



ენიმ ხელები მაგიდაზე დააწყო და თითქმის გაუღიმა. ფრენსისმა იფიქრა, ღამციხისო. ენიმ კი უთხრა:

— მეც მხოლოდ ერთი ქმარი მყავდა. მხოლოდ ერთი მამაკაცი.

ფრენსისს ყელში ბურთივით რაღაც მოაწვა.

— აი, რას შერება რელიგია, — თქვა მან, როცა ხმის ამოდება შეძლო.

— რა შუაშია რელიგია?

— კაცები, როგორც თაფლს ბუზი, ისე გესეოდნენ, <sup>ერქუნულ</sup> ~~ესეოდნენ~~ იყავი.

— სცადეს, მაგრამ ახლოს ერთიც არ მიმიკარებია. არ მინდოდა. მეზობლების გარდა კინოშიც კი არავისთან ერთად არ ვყოფილვარ.

— ცოლის შერთვა არ შემეძლო. არის ისეთი რამეები, რაც არ შეგიძლია. ელენთან კი ვცხოვრობდი. ეს მართალია. ცხრა წელი დროდღაც ვცხოვრობდით ერთად. კარგი ქალია, მაგრამ ბავშვივით უმწეო, ხელი თუ არ ჩაჰკიდებ, ქუჩაზე მარტო ვერ გადავა. სულ მთლად რომ გავაფრენდი, ეგ ზრუნავდა ჩემზე. ნორმალურად ვცხოვრობდით, კარგი ქალია. ვერაფერს იტყვი. კარგ ოჯახშია გაზრდილი. ქუჩაზე გადასვლა კი მაინც უჭირს.

ენის თვალეებში სევდა ჩასდგომოდა, პირი მწარედ მოეკუმა და ისე მიხერებოდა.

— ახლა სად არის?

— ეშმაკმა იცის მისი თავი. ალბათ ქალაქში, თვალყურს ვერ მიაღვევებ, სადაც მოეპრიანება, იქ დაეხეტება, როდისმე ალბათ ქუჩაში ამოსძვრება სული.

— შენ მას სჭირდება.

— ალბათ.

— შენ თვითონ რაღა გინდა, ფრენ?

— მე? ჰმ, ზონარი. მეორე დღეა ფეხსაცმელს თოკით ვიკრავ.

— მეტი არაფერი?

— ჯერჯერობით ვუძლებ. დღიურად შემიძლია მუშაობა. თუმცა მაინცღამაინც თავს არ ვაკლავ. მეხსიერებას ჯერ არ უღალატნია, რაც გადამხდენია, ყველაფერი მახსოვს. შენც მახსოვხარ, ენი თქვენი ყველასი და ყველაფრის შენაღველება, მაგრამ გახვრეტილ გროშად არ ვღივარ. ასე იყო ყოველთვის. მაკალე. დამამთავრებინე. სათქმელი ბევრი მაქვს, ოღონდ სიტყვების მოძებნა მჭირდება. ძალიანაც ვნანობ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. სიტყვები, მაპატიე და, ვის რა ჩემ ფეხებად უნდა. იმასთან შედარებით, რაც შენ და ბავშვებს დაგმართეთ — ყველაფერი სისულელეა. მე არ შემიძლია ამის გამოსწორება. წასვლიდან ხუთი თვისა თუ ნახევარი წლის მერე მივხვდი, რომ ვერაფრის გამოსწორებას ვეღარ შევძლებდი, რომ სახლისკენ გზა მოჭრილი მქონდა. აი, ახლა აქ ვარ, სტუმრად მოუვდი. ეგ არის და ეგ. მორჩა და გათავდა. არაფერი არ მინდა, ენი, ღმერთმანი, არაფერი არ მინდა. მარტო შეგხედავთ ყველას. შეხედვითაც კმაყოფილი დავრჩები. როგორ ხართ, ეზოში რა გაქვთ, ღამაში ეზო გქონიათ. ძალღიც კარგი გყლიათ. ბევრი რამის თქმა მინდოდა, ბევრი რამის ახსნა, ყოველგვარი წუნკლური რაღაც-რაღაცების, — კიდევ ერთხელ მაპატიე გამოთქმისათვის, — მაგრამ არა ვარ მზად, მგონი, მოსმენას არც შენ ღამთახსენებები, წინასწარ რომ იცოდე, რის მოყოლასაც ვაპირებ. საძაგლობაა, ენი, საძაგლობა, მარტო დაჯდომის ნება დამართე და ბუტერბროდი მომეცი, თორემ ზეღვივით მშია. მაგრამ იცოდე, შენ და ბავშვები არასოდეს გადამიყვარებიხართ. მეტადრე შენ. და ეს არავითარი დამსახურება არ არის. ამას რომ გეუბნები, შენგან არაფერს ვითხოვ, მაგრამ ყოველთვის მახსოვდა ის, რაც არ განმიცდია არც



ჯორჯიაში, არც ლუიზიანაში და არც მიჩიგანში, მე კი ყველგან ვყოფილვარ, ენი, ყველგან, და ამქვეყნად არ არსებობს არაფერი მაგიდაზე დაყრდნობილი მაგ შენი იდაყვებისა და შენი დალაქავებული წინსაფრის ბადალი. დადებვროს ეს მაკმა, ენი, შენ მართალი თქვი, კიბის ფიცრებზე თითქოს დღეს დილით ვისხედით. მაგრამ ეს ძველი ამბავია, და მე არაფერს გთხოვ ბუტერბროდისა და ერთი ფინჯანი ჩაის გარდა. ჩაის შენ ისევ „ირლანდიულ საუზმის“

ბიზლიქოქა

ამ სიტყვებს პაუზა მოჰყვა. შენდევ არაარსებით რამეებზე ისაუბრეს, ამ საუბარმა ისინი უფრო დაახლოვა, ფიზიკურად კი უფრო დააშორა, რამაც ენის საშუალება მისცა ფრენსისათვის შეეცარული ყველის სენდვიჩი მოემზადებინა და ინდაურის მომზადება დაეწყო.

ამ უთავბოლო საუბრის დროს ფრენსისი ეზოს გაჰყურებდა. მიხვდა, რომ ისევ გაქცევის სურვილი მოეძალა, თღონდ ამჯერად არა შორს, არამედ ზემოთ. გრძნობდა, ბეჭებზე როგორ ეზრდებოდა ფრთები, და იცოდა, რომ ჩქარა აიღაცებდა რაღაც ძალა ზემოთ ასაფრენად. ისიც იცოდა, რომ მთელი წელიც რომ ელაპარაკნა, მაინც ვერ ახსნიდა, რატომ დაბრუნდა სახლში.

ბილიმ სიგარეტი „ქემალი“ მომცა, როცა ხველება მახრჩობდა, — გაიფიქრა ფრენსისმა.

ბილიმ იცის, ადამიანს რაც სჭირდება.

სანამ ენი სასადილოში სუფრას გააწყობდა, მაგიდაზე ზოლიან თეთრ სუფრას გადააფარებდა, ქორწილზე რკინის ჯოს მიერ ნაჩუქარ ვერცხლეულს და ფრენსისისთვის უცხო თეფშებს დაალაგებდა. სკოლიდან დანიელ ქუინი მოვიდა. ბიჭმა სკოლის ჩანთა კუთხეში მიაგდო და ფრენსისის დანახვაზე ადგილზე გაშეშდა.

- გამარჯობა, — უთხრა ფრენსისმა.
- დანი, ეს პაპაშენია, — უთხრა ენიმ, — ჩვენ სანახავად მოვიდა და სადილოდ დარჩება.

დანიელი ფრენსისს სახეში მიაჩერდა, მერე ნელა გაუწოდა ხელი. ფრენსისმა ჩამოართვა.

- სასიამოვნოა, რომ გავიცანით, — თქვა დანიელმა.
- ჩემთვისაც, ბიჭუნა. შენს წლოვანებასთან შედარებით უფრო დიდი ჩანხარ.

- იანვარში თერთმეტის გავხდები.
- სკოლიდან მოდიხარ?
- არა, რელიგიის გაკვეთილიდან.
- აა, რელიგიის? მგონი, დაგინახე, ქუჩაზე რომ გადადიოდა. ვერც კი ვიცანი. მერე, რას მოგიყვინენ?
- დღევანდელ დღეზე ყველაწმინდაზე.
- მაინც რას?
- ეს წმინდა დღე არის. ეკლესიაში უნდა წავიდეთ. ამ დღეს ჩვენ ვიხსენებთ რწმენისათვის წამებულ მარტვილებს, მათი სახელები კი არავინ იცის.
- ჰო, ჰო, მახსოვს ეს ყველაფერი.



— კბილებს რა უყავი?

— დანიელ!

— კბილებს? თითქმის ყველას დავემშვიდობე, ორიოდეს ვარდა, — თქვა ფრენსისმა.

— პაპა ფელანი ხართ თუ პაპა ქუინი?

— ფელანი, ფრენსის ალოიზ ფელანი, — უთხრა ენიმ.

— თქვენ ბეისბოლისტი ხართ, თამაშობდით უმაღლეს ლიგაში, კვანინგტონის სენატორებში“, — უთხრა დანიელმა.

— სწორია. ახლა აღარ ვთამაშობ.

— ბილიმ თქვა, რომ შენ ასწავლე ბურთის ჩახვევა.

— ოჰო, ისევ ახსოვს?

— მე მასწავლით?

— ბურთი მოძიტანე და გარვენებ, როგორ უნდა ჩაახვიო.

დანიელი სამზარეულოში გაიქცა, იქიდან — საკუჭნაოში. უკან მობრუნებულმა ბურთი და ხელთათმანი ფრენსისს გაუწოდა. ხელთათმანი პატარა იყო. ფრენსისმა თითები მაინც ჩატენა. ბურთი მარჯვენა ხელით აიღო, დაათვალიერა ნაწიბურები და ორი ნახევარ-ნახევარი თითით დაიჭირა.

— შენს თითებს რაღა დაემართა?

— მათაც დავემშვიდობე, ასეთი მარცხი მომივიდა.

— უმაგათოდ ძნელი იქნება ჩახვევა.

— რასაკვირველია, უფრო ძნელია, მაგრამ ჩემთვის არა. ახლა მე არ ვისვრი. პიტჩერი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ამაზე ბევრთან მისაუბრია. უოლტერ ჯონსონი ჩემი მეგობარი იყო. ვაგიგონია? დიდ მატარებელს ეძახდნენ.

ბიჭმა თავი გადააქნია.

— არა უშავს. მან მიჩვენა, როგორ კეთდება ეს და მეც დავიმახსოვრე. ბურთი საჩვენებლით და შუა თითით ვიჭირავს ნაწიბურების გასწვრივ, მერე ხელის მტევანს მკვეთრად გადასწევ, აი, ასე, შენ მარჯვენა ხელს ხმარობ? — ბიჭმა თავი დაუქნია. — ბურთი დატრიალდება ჰაერში, მსროლელისაკენ გაუხვევს და პირდაპირ ჭიპში მოხვდება. ეს მაშინ, რასაკვირველია, როცა ისიც მარჯვენათი ისვრის. გასაგებად გეუბნები? — ბიჭმა ისევ დაუქნია თავი. — მთელი ფოკუსი იმაშია, რომ პირდაპირ კი არ ისვრი, ხელის მტევანს საათის ისრის მიმართულებით კი არ ატრიალებ, — პირიქით, აი, ასე აკეთებ, — მან ხელის მტევანს უკულმა დაატრიალა. მერე ბიჭს მისცა ბურთი, რათა მასაც გაემეორებინა, და თან ბეჭებზე ხელი მოუთათუნა.

— აი, ასეა. ამას რომ ისწავლი, დამრტყმელი იფიქრებს, ბურთში პატარ მხეცი გიზის და აეროპლანივით იძიტომ მიფრინავსო.

— წავიდეთ, ეზოში ვცადოთ, — უთხრა დანიელმა, — იქნებ მეორე ხელთათმანი ვიპოვო.

— ხელთათმანი? — იკითხა ფრენსისმა და ენისკენ შეტრიალდა, — როგორ ფიქრობ, სადმე ხომ არ ეგდება ჩემი ძველი ხელთათმანი?

— სხვენზე შენი ნივთებით მთელი სკივრია სვსე, შეიძლება ხელთათმანიც იყოს.

— არის, არის, ვნახე, გავიქცევი და მოვიტან.

— არა, ეს შენი სკივრი როდია, — უთხრა ენიმ.

— ერთხელ ვნახე, იქ ერთი წყვილი შიპებიანი ფეხსაცმელიცაა, კიდევ ტანსაცმელი, გაზეუები და ძველი სურათები.

— ყველაფერი შეგინახავს, — თქვა ფრენსისმა.



- შენ ამ სკივრთან არაფერი გესაქმება, - უთხრა ბიჭს ენიმ.
- ერთხელ მე და ბილიმ დავათვალიერეთ სურათები და გაზეთების ამონაჭრები. ბილის ჩემზე მეტად უნდოდა დათვალიერება, ეგ, - ბიჭმა ფრენსისზე მიათითა, - ბევრ სურათშია.
- გინდა ნახო, რა არის სკივრში? - ჰკითხა ენიმ ფრენსისს.
- შეიძლება, იქნებ ფეხსაცმლის ზონარიც ვიპოვო.
- ენი კიბეზე აუძღვა. დანიელი წინ ყვირილით გაიქცა: „*სტრუფი-სტრუფი* პაპა მოვიდა“. მეორე სართულზე რომ ავიდნენ, ნამძინარევი და თმააბურძენული ბილი ხალათითა და თეთრი წინდებით თავისი ოთახის კართან დახვდათ.
- გამარჯობა, ბილი, როგორაა საქმეები? - ჰკითხა ფრენსისმა.
- გაგიმარჯოს. მაინც მოხვედი?
- ჰო.
- მე კი ნიძლავს დავდებდი, რომ არ მოხვიდოდი.
- წააგებდი. ინდაურიც მოვიტანე, როგორც შეგპირდი.
- ინდაური?
- დღეს ინდაურით ვისადილებთ, - თქვა ენიმ.
- მე ქალაქში მინდოდა წასვლა, მარტინს უნდა შევხვედე, - თქვა ბილიმ.
- როგორ შეიძლება წახვიდე, ბილი, მამა მოვიდა და ერთად ვისადილებთ, - უთხრა ენიმ.
- ინდაური გიყვარს? - ჰკითხა ბილის ფრენსისმა.
- რომელ სულელს არ უყვარს ინდაური, - ბილიმ მამას შეხედა, - მისძინე, გაპარსვა თუ გინდა, აბაზანაში ჩემი სამართებელია.
- ნუ ასწავლი, რა უნდა აკეთოს, - უთხრა ენიმ, - ჩაიცვი და ჩადი და-ღლა.

ფრენსისი და ენი კიბით სხვენზე ავიდნენ.

ფრენსისმა სკივრი რომ გახსნა, გარდასულ დროთა სურნელი მთელ სხვენს მოეფინა. ფრენსისი ანაზღად გააბრუა წარსულის გამაცოცხლებელმა სურნელმა და გაოცდა ნახულითაც. სკივრის სურათიდან მას ცხრამეტი წლის ფრენსისი შემოცქეროდა, სურათის ირგვლივ წინდები, ამერიკის პატარა დროშა, „ვაშინგტონის სენატორების“ ბეისბოლის ფორმა, გაზეთების ამონაჭრები და ფოტოსურათები ეწყო. ფრენსისი დასცქეროდა ჩედვიკ-პარკის ტრიბუნიდან 1899 წელს გადაღებულ თავის სურათს - სახეზე ნაოჭების ნასახიც არ აჩნია, ყველა კბილი მთელი აქვს, საყელო გადაღელია, თმას ქარი უწეწავს. იგი მამაკაცთა ჯგუფში იდგა და ბურთს მარჯვენა ხელიდან ხელთათმანიან მარცხენაში ისროდა, ამ ფოტოზე ბურთის ფრენა ფრენსისისათვის ყოველთვის გამოცანად რჩებოდა, აპარატს აღებეჭდა მარჯვენა ხელში ჩაბლუჯული ბურთიცა და ხელთათმანისკენ გაფრენილი ბურთიც. ფოტოგრაფიას მოეხერხებინა ორი წუთის ერთად შერწყმა - ბურთი ერთდროულად ორ ადგილზე იყო, ეს ისეთივე აუხსნელი რამ იყო, როგორც საძება. და ფრენსისმაც ფოტოგრაფია (ხელი, ხელთათმანი, ბურთი) შეუძლებლის მისაღწევად თილისმად, სამების თილისმად მიიჩნია, ვინაიდან მას მუდამ შეუძლებლად უჩვენებოდა, რომ იგი - განადგურებული და დაღუპული კაცი - როდესმე ამ ჭერქვეშ დაბრუნდებოდა, მაგრამ ის მაინც აქ არის და ეხება იმ ადამიანის ცხოვრების ხელშეუხებელ მატერიალურ ნაშთებს, ვინაც ჯერ კიდევ არ



იცის, რომ მისი საქმე წასულია, ისევე როგორც უსულო ბურთმა არ იცის, რომ იგი არსაით არ მიფრინავს, რომ მას მაინც დაიჭერენ.

მაგრამ ბურთი ჯერ არ დაეჭირათ — დაეჭირა მხოლოდ ფოტოაპარატს, რომელსაც სიურცეში მისი ადგილმდებარეობა აღებეჭდა.

ფრენსისიც ჯერ არ დაღუპულა — ეს მხოლოდ პროცესის სიცხადეა. ბურთი კვლავ მიფრინავს.

ფრენსისიც კვლავ ცოცხლობს, რათა ერთი დღე ვიდრე მიფრინავს — განა არა?



ფრენსისმა სკივრს სახურავი ახადა. იქ იყო შიპებიანი ფეხსაცმელი, ორი კოსტიუმი, ორი შავი უზონრო ყელიანი წულა, ორი წყვილი კნოპკით შესაკრავი ფეხსაცმელი, თორმეტიოდუ პერანგი, ტრუსები, წინდები, ბაფთა, ქალსტუხები, აჭიმები და ბეისბოლის ბურთი.

— ხედავ? ზედ რა აწერია, ხედავ? — აჩვენა ბურთი დანიელს.

ბიჭმა შეხედა და თავი გააქნია.

— ვერ ვარჩევ.

— სინათლეზე მიიტანე და გაარჩევ. ტაი კობი აწერია. 1911 წელს წააწერა. ბურთი ერთმა ყმაწვილმა მაჩუქა. დიდი მზაკვარი მოთამაშე იყო ტაი კობი. — რამდენჯერ გამმასპინძლებია თავისი შიპებით, მაგრამ თამაში რომ შეეძლო, ნაღია. ყველას სჯობდა.

— ბეიბ რუოსაც სჯობდა?

— სჯობდა. უფრო ცბიური და სწრაფი იყო, ბეიბივით პოუმრანებს ვერ არტყამდა, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი ბეიბიზე უკეთ გამოუდიოდა. გინდა მოგცე მისი ავტოგრაფიანი ბურთი?

— ცხადია, მინდა, ვის არ ენდომება!

— ეს კოსტიუმი მახსოვს, — თქვა ენინ და პიჯაკის სახელო ასწია, — შენი საგარეო კოსტიუმი იყო.

— საინტერესოა, მომერგება ისევე თუ არა, — თქვა ფრენსისმა და შარვალი მიიზმანა. აღმოჩნდა, რომ ამ ოცდაორი წლის მანძილზე ფეხები არ დაგრძელებოდა.

— ჩამოიტანე ქვემოთ, გავწმენდ და დავაუთოებ.

ფრენსისს ჩაეცინა.

— დააუთოებ? მაშ ახლებს ჩავიცვამ და ძონძებს გადავყრი. — მან ქვემოთ ჩასატანი ტანსაცმელი გადაარჩია, ცხვირსახოციც კი არ დაეიწყებია, და სკივრის წინ იატაკზე დააწყო.

— მინდა სურათები და გაზეთების ამონაჭრები ვნახო, — თქვა ენიმ.

— ქვევით წამოიდე, — უთხრა ფრენსისმა და სკივრი დახურა.

— მე ხელთათმანს წამოვიღებ, — თქვა დანიელმა.

— მე კი შენი აბაჯანით ვისარგებლებ, ბილის დაფუჯერებ, გავიპარსები, და კოსტიუმს მოვიზომავ. გუშინ გავიპარსე, მაგრამ ბილიმ თქვა, მაინც უნდა ვაიპარსო.

— ყურადღებას ნუ მიაქცევ. მშვენივრად გამოიყურები, — უთხრა ენიმ.

ისინი ერთად ჩამოვიდნენ კიბეზე, ენიმ იგი დერეფანში გაატარა, სადაც ერთმანეთის პირისპირ ორი ოთახი გამოდიოდა, აჩვენა საძინებელი. აქ იდგა სადა,



მაგრამ გემოვნებით შერჩეული ერთი საწოლი, ტუალეტის მაგიდა და ბავშვის საწერი ბიურო.

— ეს დანის ოთახია. კარგა მოზრდილი ოთახი, დილდილობით მზე აღგება. — ენიმ კედლის კარადიდან პირსახოცი გამოიღო და ფრენსისს მისცა.

ფრენსისი აბაზანაში ჩაიკეტა და შარვალი მოიზომა. შარვალი მოვრგო, ოღონდ ზედა ღილი არ ეკვრებოდა. არა უშავს, აჭიმით ჩაეცვამო, დაათვალიერა სკივრიდან წამოღებული პერანგი და ამჯობინა მეძველმანსაგან ნაყიდ თეთორ პერანგს. მოიზომა უზონრებო ყელიანი ფეხსაცმელიც, აღმოჩნდა, რომ კოჭრების მიუხედავად ამ ოცდაორ წელიწადში ფეხი არ გაზრდოდა.

ჩავიდა აბაზანაში, ნელა ჩაყვინთა ცხელ წყალში. და შეკრთა. დიახ, ის ნამდვილად აქ იყო და როგორც ცხელი აბაზანა, ისე შემწვარი ინდაური სწორედ რომ მისწრება იყო მისთვის. უყურებდა პირსაბანს, მის ონკანებს, შხაპს და ყველაფერი წმინდად და ღვთაებრივად ეჩვენებოდა; — ალბათ ადამიანის არსებობის გარკვეულ დროს ყველაზე გადმოდის მაღლი და წყალობათ, — გაიფიქრა მან. მზემ უცცრად გაკვეთა გამკრთალებული ზეცა და ანაზღად ელვასავით გამოაშუქა. თითქოს ვიღაც ნათლით მოსილი ანგელოზი გარედან ჰფენდა შუქს აბაზანის ფანჯარას. ეს შუქი ისეთი ჩახჩახა და ნათელი იყო, რომ ფრენსისი აბაზანიდან ამოვიდა და ფანჯარაში გაიხედა.

დაბლა, ეზოში აღდო კამპიონეს, მევიოლინე ქუენს, ჰაროლდ ალენს და ლოთიფოთ დიკს აღუძარათათ ხის ნაგებობა, და ფრენსისი მიხვდა, ეს მომავალი ტრიბუნა იყო.

იგი აბაზანაში მიბრუნდა, გასაპნა გრძელსახელურიანი ჯაგრისი და წყლიდან ჯერ მარცხენა ფეხი ამოღვა და გაიხეხა, მერე — მარჯვენა.



ფრენსისი 1916 წლის ფრანტივით ჩამოდიოდა კიბეზე.

— დალაზვროს ეშმაკმა, — თქვა ბილიმ.

— აი, ეს ძესძის, — უთხრა ენიმ.

— სულ სხვანაირად გამოიყურებით, — თქვა დანიელმა.

ფრენსისი ბილის პირდაპირ დაჯდა მერხზე. ენიმ მაგიდაზე გაზეთების ამონაჭრები და სურათები გაშალა. გაზეთის ამონაჭრებს შორის ფრენსისს ხელში მოხვდა 1910 წლის 2 ივნისის შტემპელიანი გაყვითლებული კონვერტი — ტორონტოს ბეისბოლის კლუბი, პალმერ-ჰაუსი, ტორონტო, ონტარიო, მისტერ ფრენსის ფელანს. ფრენსისმა გახსნა კონვერტი, წერილი წაიკითხა და ჯიბეში ჩაიღო. სადილი ახლოვდებოდა. დანიელი და ენი ნიჟარაში კარტოფილს ფცქენდნენ. ბილიც გამოწყობილიყო, ეცვა თეთრი გახამებული პერანგი, გაუთოებული შარვალი და გრძელჭვინტიანი შავი ფეხსაცმელი, ლიტრიანი ბოთლიდან ავამდა „დოლბერი“-ს ლუდს და გაზეთების ამონაჭრებს კითხულობდა.

— მე უკვე წაკითხული მაქვს, — თქვა მან, — არც ვიცოდი, ასეთი დიდი მოთამაშე თუ იყავი. ეს ამონაჭრები მახსოვს, აქ რომ გადმოვედი, მაშინ ვნახე და წაეკითხე. იმ ხანებში ისევ ის ბეისბოლისტი იყავი.

— ცუდი არ ვყოფილვარ, უარესებიც არიან, — თქვა ფრენსისმა.

— გაზეთის ხალხს უყვარდი.

— მე ისეთ რაღაც-რაღაცებს ჩავდიოდი, მათთვის სწორედაც რომ მოსაწონი არტისტი ვიყავი. ენერგია მქონდა, ენერგია კი ყველას უყვარს.

ბილიმ ფრენსისს ლუდი შესთავაზა. ფრენსისმა იუარა. სამაგიეროდ მისი



„ქეშალის“ კოლოფიდან პაპიროსი ამოიღო, მერე გაზეთების ამონაჭრებს მიუბრუნდა, სადაც ჰყვებოდნენ, ფრენსისმა თავის თამაშით როგორ დაჩრდილა ყველანი, ერთი თამაშის დროს როგორ გააკეთა ოთხი ჰოუმრანი და ბოლო დარტყმით როგორ გადაწყვიტა თამაშის ბედი. იხსენიებდნენ მის შეცდომებსაც, მაგალითად, იმ დღეს, როცა ქამარში ჩაეჭვიდა მესამე ბაზაზე მორბენალ ჯონ მაკგოის — ის მაღალი ბურთის მისაღებად უნდა გაქცეულიყო, მაგრამ ადგილიდან ვერ დაიძრა. როცა აღშფოთებულმა ფრენსისს დაუყვირა, ფრენსისმა ხელი კი გაუშვა, მაგრამ ბურთი უკვე ნასროლი იყო და ისიც გამოვარდა თამაშიდან.

მარჯვედ გამოუვიდა.

მაგრამ ფრენსისი გამოავლეს.

— გინდა ეზო დაგათვალიერებინო? — ჰკითხა უცებ მის გვერდით მჯდარმა ენიმ.

— რასაკვირველია, ძაღლს დავხედოთ.

— აფსუს, ყვაუილებმა უკვე დაიყვავილეს. წლეულს რაღა ყვავილი არ გექონდა: გეორგინები, ლომისპირა, ასტრები. ასტრა ყველაზე დიდხანს ძლებს.

— ნემსიწვერაც ისევ გქონია.

ენიმ თავი დაუქნია, სვიტრი გადაიცვა და უკანა პარმალიდან გავიდნენ. ბინდებოდა. უკვე სიცივე იგრძნობოდა. ენიმ კარი მოიხურა, ძაღლს ხელი გადაუსვა, ძაღლმა ერთი ორჯერ შეუყეფა ფრენსისს, მაგრამ მერე შეურიგდა მის იქ ყოფნას.

— ამაღამ გაქვს სადმე გასათევი?

— აბა როგორ? ყოველთვის მაქვს.

— გინდა შინ სამუდამოდ დაბრუნდე? ამიტომ მოხვედი ჩვენთან? — ჰკითხა ენიმ და განზე გაიხედა.

— არა. არა მგონია. მე აქ ზედმეტი ვიქნები.

— მე კი ვფიქრობდი, საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა.

— რა დავიძალაო, ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ ვხედავ, არაფერი გამოვა.

— უნდა სცადო.

— ცდით ვერაფერს გახდები.

— უფრო უცნაური რამეებიც ხდება.

— ჰოო? ერთი მაინც დამისახელე.

— რომ თქვი, სასაფლაოზე ვიყავი და ჯერალდს ვესაუბრეო, ამაზე უცნაური ჩემს სიცოცხლეში არაფერი მსმენია.

— უცნაური არაფერია. მიუედი, დავჯექი და ყველაფერი მოვუყევი. მშვენივრად გრძნობს თავს. ლამაზია იქაურობა.

— ეს ჩვენი საოჯახო სასაფლაოა.

— ვიცი.

— იქ შენთვისაც არის ადგილი. ქვასთან ახლოს, ჩემთვისაც და ორივე შვილისთვისაც, თუკი მოინდომებენ. პეგი, ვფიქრობ, ცალკე, ჯორჯთან და დანისთან ირჩევს.

— როდის მოაწყვე ეგ საქმე? — ჰკითხა ფრენსისმა.

— დიდი ხანია, არც კი მახსოვს.

— მე გავიქეცი, ამის შემდეგ ჩემთვის მიწას ყიდულობ?

— მე ოჯახისთვის ვიყიდე. შენ კი ოჯახის წევრი ხარ.

— დიდი ხანია მე ასე აღარ ვფიქრობდი.



— ჰევი დღემდე ბრაზობს, რომ ჩვენთან არ ხარ. მეც დიდხანს ვბრაზობდი. მაგრამ გამიარა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ აღარ ვბრაზობ. მართლა აღარ ვბრაზობ. ჰევის დაუბრუნებელი და ვთხოვე, შტოში მოყოლე-მეთქი, ისიც ვუთხარი, რომ ჩვენთანა ხარ.

- ჩემზე და შტოზე ერთად? ეს ახალი ამბის გასაქარწყლებლად?
- ალბათ ეგერა.
- მაშინ წავალ, არ მინდა ჩხუბი და ახლობლების გაღიზიანება
- სისულელეა. უბრალოდ ელაპარაკე.
- მე თავგზიანს ვერაფერს ვუტყვი, ვერც ხომ შენ ვითხარი რამე ჰევი-ანური.

- ვიცი, რა მითხარი და რა არა. შენთვის ძნელია, რასაც ახლა აკეთებ.
- არაფერსაც არ ვაკეთებ, ეგ კი არა, ის ვერ გამოვია, ცხოვრებაში რისი მაქნისი ვარ.

— ძალიან კარგი ქენი, რომ მოხვედი, დანის ეს სამუდამოდ დაამახსოვრდება. ბილისაც. ბილის გაუხარდა რომ დაგეხმარა, თუმცა ამაზე არ ლაპარაკობს.

- მაწანწალა ციხიდან იხსნა.
- არ ვეცოდება შენი თავი, ფრენსის?
- დალახვროს ეშმაკმა, ვინ როდის მეცოდებოდა?

ტრიბუნა უკვე ივსებოდა. ხალხი ადიოდა და აქ, ენის ეზოში, დმერთის წინაშე, ძაღლისა და სხვათა პირისპირ ჩუმად სხდებოდნენ; ბილი კორბინი, 90-იან წლებში შერიფად რომ იყრიდა კენჭს, წააგო და რესპუბლიკელებთან გადავიდა, პერი მარსოლეოზი, რომელსაც დედისაგან დიდი მემკვიდრეობა დარჩა მაგრამ გაანიავა და მერე ქალაქში ფოთლებსა ჰკვიდა. თვით დიდუღვაშა და დიპიანი რკინის ჯო, ჰალსტუხზე ვეება ლალის ქინძისთავი რომ დაებნია, შლაპიანი პეწენიკი დუაირი, პატარა ჯორჯ ქუინი და პატარა მარტინ ლოკერტი, თან ბიტები რომ ჰქონდათ, მრისხანე პაპა მარტინ ემეტ ლოკერტი, რომლის მხურვალე სიტყვებმა — ფულის ტომრები მუშების ხარჯზე ივსება და ირლანდიელებს ისე ექცევიან, როგორც ქეციან თეთრ ზანგებსო, ფრენსისის თვალეში რევოლუციური ცეცხლი აღავზნო; აქ იყო პატსი მაკოლიც, ქალაქის მეპატრონე, რომელსაც ახლა მარცხენა ხელში ბეისბოლის ხელთათმანი ეჭირა, და კიდევ ვიღაც-ვიღაცები, რომლებსაც ფრენსისი მაშინაც კი, 99-ში არ იცნობდა და რომლებიც სალუნის ხშირი სტუმრები იყვნენ.

ამასობაში კი ტრიბუნა ნელ-ნელა ივსებოდა. ისინი მოდიოდნენ და მოდიოდნენ. 43 მამაკაცი, 4 ბიჭი და 2 ფინია, რომლებიც მევიოლინეს მოეყვანა.

აგერ, ახირებულ ქვაბუნაქუდიან ჩოფურა მაკმანუსსა და ჟილუტიან ჯექ კორბეტს შუა ჩაჯდა შიბზდიკი.

- მართლა ისაა?
- ყელგამოდარული შიბზდიკი.

ფრენსისმა თვალეები დახუჭა, რომ მოჩვენებები ამოენთხია, მაგრამ თვალი რომ გაახილა, ტრიბუნა ისევ ძველ ადგილას იდგა და ხალხიც ძველებურად იჯდა. ოღონდ განათება შეცვლილიყო — იქაურობა საოცრად კაშკაშებდა. და ფრენსისმა უფრო მძაფრად იგრძნო სიძულვილი ყოველგვარი ფანტაზიისა და ყოველგვარი უსხეულოს მიმართ. ყველამ თავი მომაბეზრეთ, — გაიფიქრა მან. მომაბეზრდა იმის წარმოდგენა, რად იქეცით თქვენ, ან მე რად შეიძლება ვქცეულიყავი, თქვენ შორის რომ მეცხოვრა. თავი მომაბეზრა თქვენმა ნაღვლიანმა ბიოგრაფიებმა, თქვენმა სანტიმენტალურმა ღვთისმოსაობამ, თქვენმა წყეულმა საბუებმა. მიჩვენია შამბნარში ამომძვრეს სული, ვიდრე ვიდგე აქ და გიყუროთ,



როგორ გიწუხთ გული — როგორც ქრისტეს უწუხდა გული სიკვდილის წინ, რათა ყველაფერი ჩქარა დასრულებულიყო, თუმცა წინასწარ იცოდა, რაც გადახდებოდა, გადახდებოდა მარტო მას კი არა, ირგვლივ ყველას და იმათაც, ვინც ჯერ არ დაბადებულიყო. თქვენ მხოლოდ და მხოლოდ ფოტოსურათები ხართ, მოჩვენებები, ჯანდაბას თქვენი თავი. თქვენ არ არსებობთ და მეტად ნულარ მიტყუებით, ნუ მეძახით, არ წამოვალ, თქვენ ყველა მკვდარი ხართ, ხოლო თუ არა, დიდი ხანია დროა დაიხოცნეთ.

ეს მე ვარ ცოცხალი, მე არაფრისაგან გამოგაცხეთ. ცხოვრების შესახებ ჩემზე მეტი არაფერი გაგეგებოდათ. სკივრი რომ არ გამეხსნა, ეზოში თქვენი სუსი არ იქნებოდა.

ასე რომ, მოუსვით ჯანდაბისაკენ.

— ეი, დე, პეგი მოვიდა, — დაიყვირა ფანჯრიდან ბილიმ.

— ამ წუთში მოვალ, — უპასუხა ენიმ. ბილიმ ფანჯარა რომ მიხურა, ენი ფრენსისს მიუბრუნდა: — ხანამ ცალკე ვართ, არაფრის თქმას არ აპირებ და არც მე მკითხავ არაფერს?

— ენი, მილიონი რამ მინდა გკითხო და ორი მილიონი კიდევ მე გითხრა. შენი გულისთვის ამ ეზოს მთელ მიწას, მთელ ბაღებს შევჭამ და ძაღლის ძვლებსაც ზედ მივაყოლებ, თუკი მთხოვ.

— მე მგონი, ეს ყველაფერი შენ უკვე შეჭამე, — უთხრა ენიმ.

ისინი ერთად ავიდნენ უკანა პარმალზე.



ჰაერლუმელთან დახრილი ჭრელწინსაფრიალი თავისი ასული რომ დაინახა, რომელიც ინდაურს საწებელს უსვამდა, ფრენსისმა გაიფიქრა: ასეთი მორთულობა სამზარეულოს არ უხდებაო — ერთ მაჯაზე საათი ეკეთა, მეორეზე — სამაჯური, არათითზე — ორი ბეჭედი, მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე შემდგარაყო, ეცვა ნაკერიანი აბრეშუმის წინდები და იისფერი კაბა. მუქი, მოკლედ შეკრული თმა ტალღებად ჰქონდა დახვეული, ტურები — შეღებილი, ლოყებიც შეფერილი, გრძელი ფრჩხილები ლაკით დაეფარა. სასურველზე ცოტა მეტად შესუქებულიყო, მაგრამ მართლაც ძალიან ლამაზი იყო და ფრენსისს უსაზღვროდ გაუხარდა, რომ ის მისი შვილი იყო.

— როგორა ხარ, მარგარეტ? — ჰკითხა, როცა პეგი წელში გაიმართა და ფრენსისი დაინახა.

— შენი ლოცვა-კურთხევით არა მიჭირს რა.

— ჰოო, — ფრენსისი შეტრიალდა და ბილის პირდაპირ მიუჯდა მაგიდას.

— ეხლა მოვიდა, გაანებე თავი, დალახვროს ეშმაკმა, — უთხრა ბილიმ.

— მე კი არა, მაგან გაგვანებოს თავი მეცა და შენც.

— მორჩი მოსაბეზრებელ ლაპარაკს.

— ვამბობ იმას, როგორც არის.

— ასეა? — იკითხა ენიმ, — შენა გგონია, ყველაფერი ასეა?

— როგორმე ვიცი. და ყველაფრის შემდეგ სულაც არ ვაპირებ თვალთმაქცობას და მაგის გულში ჩახუტებას. გვეცხადება უცებ ინდაურით და ყველაფერი უნდა ეპატიოს?

— მე პატიებაზე არც მიფიქრია, — უთხრა ფრენსისმა, — მაგ ზღვარს კარგა ხანია გადავედი.

— მერე სად მოხვედი?



- არსად.
- აი, მაგასი სულ არ მეპარება ეჭვი. თუ არსად, მაშ აქ რა გინდა? მოჩვენებასავით რას გამოგვეცხადე ინდაურით, როცა ჩვენ დიდი ხანია დაგასაფლავეთ? ოცდაორი წლის უშუხოდ ყოფნა გინდა ინდაურით გამოისყიდო?
- ინდაური ხუთი კილო და ექვსასია, — თქვა ენიმ.
- მინდა ვიცოდე, რატომ წამოხვედი შენი არსაითიდან და მოხვედი აქ, მოხვედი იმ სახლში, რომელიც შენ არ შეგიქმნია.
- მე შენ შეგქმენი. შენ და ბილი. შექმნაში დავებმარე.
- ჯობდა არ დახმარებოდი.
- გაჩუმდი, პეგ, — დაუყვირა ბილიმ, — რა შხამი ამოვლის პირიდან, დალაჩვროს ეშმაკმა.
- მხოლოდ სტუმრად მოვიდა, — წყნარად თქვა ენიმ, — მე უკვე ვკითხე, გინდა თუ არა დარჩენა-მეთქი, და უარი მითხრა, მაგრამ თუკი მოისურვებდა, რასაკვირველია, დარჩებოდა.
- ჰოო? ეტყობა, ყველაფერი გადაგიწყვეტიათ?
- გადასაწყვეტი არაფერია, დედამ ხომ გითხრა, რომ არ ვრჩები, — უპასუხა ფრენსისმა და სამარილუ და საპილპილუ კედლისკენ, საშაქრისკენ გასწავია.
- წახვალ, — თქვა პეგმა.
- აუცილებელივ.
- მადლობა ღმერთს.
- კმარა! — იღრიალა ბილიმ და სკამიდან წამოხტა. — ჩხრიალა გველზე უგრძნობელი ხარ.
- მაპატიეთ, რომ გრძნობები საერთოდ მაქვს, — თქვა პეგმა, სამზარეულოდან გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, იქით-აქეთ კარგა ხანს ქანაობდა.
- მკაცრი ქალბატონია, — თქვა ფრენსისმა.
- აბრეშუმითაა, მაგრამ, როცა სჭირდება, ამოღებულნი ხმალია, — თქვა ბილიმ.
- გადაუვლის, — თქვა ენიმ.
- მიჩვეული ვარ ადამიანების ყვირილს, ბეჭემოთივით სქელკანიანი გავხდი, — თქვა ფრენსისმა.
- ამ სახლში ეგ გამოგადგება, — უთხრა ბილიმ.
- ბიჭი სადაა? გაიგონა ეს ყველაფერი? — იკითხა ფრენსისმა.
- ეხოსი თამაშობს შენი ბურთითა და ხელთათმანით.
- ხელთათმანი ჩემი არაა, — თქვა ფრენსისმა, — ტაი კობის ავტოგრაფიანი ბურთი ბიჭს ვაჩუქე. ხელთათმანი კი შენია. თუ გინდა, მიეცი, წინააღმდეგი არ ვიქნები. დღევანდელ ხელთათმანს ვერ შეედრება, ის ორჯერ სჯობს ჩემსას, მაგრამ ჩემთვის მუდამ ვფიქრობდი, ამ ხელთათმანს ბილს ვაჩუქებ, რათა სახლში ძველი ლიგის სულის ნაწილი მაინც დარჩეს-მეთქი.
- ბილიმ თავი დაუქნია და განზე გაიხედა.
- კეთილი, — თქვა ბოლოს, წამოხტა და სამზარეულოდან გავიდა, რათა მამას არ დაენახა (მაინც დაინახა), როგორ ახრჩობდა ცრემლები.
- კარგი ვმაწვილი გაზრდილა ბილი. კარგი შვილები დაგიზრდია, ენ.
- უფრო კარგებიც შეიძლება ყოფილიყვნენ, — უპასუხა ენიმ.
- უკან მობრუნებულ ბილის თვალები უკვე მშრალი ჰქონდა. ფრენსისის პირდაპირ დაჯდა და სიგარეტი შესთავაზა. ფრენსისმა აიღო. ბილიმ თავისთვის ღუდი დაისხა და ამის მერე გაახსენდა ჯორჯი.



— აჰ, ღმერთო ჩემო, ჯორჯი სულ დამავიწყდა, — თქვა ენიმ, ოთახიდან გავიდა და პეგს ასძახა: — ჯორჯს დაურეკე და უთხარი, უკვე შეგიძლია სახლში დაბრუნება-თქო.

— გაანებე თავი, მე თვითონ დაურეკავ. — დაუყვირა ბილიმ.

— რა დაემართა ჯორჯს? — იკითხა ფრენსისმა.

— ერთ საღამოს პოლიციამ მოაკითხა, პატსი მაკოლიმ ჩემს გამოსაშვებზე გათ, — უთხრა ბილიმ, — ჯორჯს ლატარეის პუნქტი აქვს. მათ, უტყობა, მონდომეს საქმე აღედრათ სათამაშო დაწესებულების თაობაზე, თუმცა ჯორჯს ნებართვა აღებული ჰქონდა. ჰოდა, ტროაში იმალება, რამდენიმე დღე სოროში გაატარა, მაგრამ რაკი ახლა მე სუფთად გამოვედი, იმასაც მოეშვებიან.

— მაკოლებს ქალაქში მაინც რაღაც-რაღაცები მოუგდიათ ხელში.

— რაღაც-რაღაცები კი არა, ყველაფერი. შენ ხომ გადაგიხადეს ფული, რეგისტრაციაში ამდენჯერ რომ გატარებულყავი?

— აკი ვითხარი, ორმოცდაათი გადამიხადეს-მეთქი, ორმოცდაათი კიდევ მართები, მაგრამ აღარ მომცემენ.

— მიიღებ.

— გაზეთებში გაწერეს და შეეშინდებათ, მაწანწალებს შეეკვრნენო. ხომ გაიგე, მარტინმა რა თქვა? დაფრთხებიან, არ ჩაგვიშვასო. მე კი არავის ჩამშვები არა ვარ.

— მამ ახლა უფულოდა ხარ?

— ცოტაოდენი მაქვს.

— რამდენი?

— ხურდა სიგარეტისათვის.

— სულ ინდაურზე დაგიხარჯავს.

— ნაწილი დაეხარჯე.

ბილიმ მას ორად გაკეცილი ათლოლარიანი გაუწოდა.

— ჩაიღე ჯიბეში, უფულოდ სიარული არ შეიძლება.

ფრენსისმა ფული აიღო და ჩაიციხა.

— ოცდაორი წელია უფულოდ დავდივარ. მაღლობელი ვარ, ბილი, გადავიხდი.

— უკვე გადახდილი გაქვს, — თქვა ბილიმ და ჯორჯისთან დასარეკად ოთახში გავიდა.

სამზარეულოში შემობრუნებულმა ენიმ რომ დაინახა, ფრენსისი ჩეღვიკ-პარკის ფოტოსურათებს ათვალეურებდა, ზურგს უკნიდან ჩახედა.

— ამ სურათში კარგად ხარ გამოსული.

— ჰო, არა უშავს ბიჭი ვიყავი.

— ზოგიერთი ასე ფიქრობდა, ზოგი — არა. ეს სურათი სულ აღარ მახსოვდა.

— ჩარჩოში უნდა ჩასვა, — უთხრა ფრენსისმა, — აქ ბევრნი არიან ჩრდილოეთ მხრიდან. ჯორჯი და მარტინი, ბიჭები და პატსი მაკოლი, რკინის ჯო, ნახე, რა კარგადაა გამოსული.

— ძალიან. როგორი წარმოსადგვი და მსუქანია.

ბილი მობრუნდა. ენიმ ფოტოსურათი მაგიდაზე დადო. რათა სამივეს დაენახა.

— მშვენიერი სურათია, მშვენიერი სურათი, — თქვა ენიმ და წამოდგა.

— ჰოდა, შენი იყოს, ჩასვი ჩარჩოში.

— ჩემი? არა, შენია, მანდ ბეისბოლია.





- არა, არა, ჯორჯსაც მოეწონება.
- კეთილი, წავიღებ ქალაქში და გავაკეთებინებ, როგორც საჭიროა.
- სწორია, - თქვა ფრენსისმა, - აჰა, შენ ათი დოლარი ჩარჩოსათვის.
- ეჟე, - თქვა ბილიმ.
- ნება მომეცი, ბილი, მივცე, - უთხრა ფრენსისმა. ბილის გაეცინა.
- ფულს არ ავიღებ, ჩაიღე ჯიბეში, - იუარა ენიმ. ბილიმ გაიცინა და მაგიდას დაჰკრა ხელი.
- ახლა კი მივხვდი, რატომ ხარ ოცდამეორე წელი უფულოდ. მივხვდი, რატომაცა ვართ ღარიბები. ეს ჩვენ სისხლში გვაქვს.
- ჩვენ არა ვართ ღარიბები, - შეედავა ენი, - ჩვენ ჩვენს თავს ვინახავთ. რა სათქმელია, ღარიბები ვართო. შენ ღარიბი იმიტომ ხარ, რომ გზა-კვალი აირიე, ჩვენ კი ღარიბები სულაც არა ვართ. მძიმე დღეები გადავიტანეთ, მაგრამ სახლის ქირას დღემდე ვიხდით და, მაღლობა ღმერთს, არც მშვირები ვართ.
- პეგი მუშაობს, - თქვა ფრენსისმა.
- პირადი მდივანია ინსტრუმენტული კომპანიის მეპატრონის და ყველას უყვარს იქ, - თქვა ენიმ.
- ლამაზია, ცოტა ანჩხლიც, როცა ალბათ წამოუხუმტურებს, მაგრამ ვერაფერს იტყვი, მართლა ლამაზია.
- ჰოდა, მოდელი უნდა გამხდარიყო, - თქვა ბილიმ.
- არ უნდა გამხდარიყო, - თქვა ენიმ.
- როგორ არა, დალაზვროს ეშმაკმა, უნდა გამხდარიყო. სთხოვეს „პეპსო-დენტის“ პასტის მოდელიობა, მაგრამ დედა წინააღმდეგი წავიდა. ვიღაცამ თურმე ეკლესიაში უთხრა, მოდელიობა იგივეა, რაც მსუბუქი ყოფაქცევაო, ერთი თუ გადავიღეს, მორჩა, ხელიდან წახვალო.
- ეგ რა შუაშია, - არ დაეთანხმა ენი.
- მოელ ჩრდილოეთ ამერიკაში მაგისტანა კბილები არავის აქვს, - თვით ჯონ კროუფორდსაც კი. - თქვა ბილიმ, - დამიღს არ იკითხავ! შენ ჯერ არ ვინახავს მაგისი ღიმილი, გადასარევი ღიმილი აქვს. მაგისი აფიშები ერთი სანაპიროდან მეორემდე გავრცელდებოდა. შეიძლება კბილის პასტებში გვიბანავა, და - ფულშიც, მაგრამ არა და არაო, - თქვა ბილიმ და ცერა თითით დედაზე ანიშნა.
- პეგს ჰქონდა სამუშაო და ეგ არაფრად არ სჭირდებოდა, თანაც არ მომეწონა, ვისაც უნდა დაექირავენინა, - თქვა ენიმ, - გარდა მაგისა პეგი ნიუ-იორკში უნდა წასულიყო.
- და აღარ დაბრუნდებოდა, კო?
- შეიძლება დაბრუნებულიყო, შეიძლება - არა.
- ახლა მიხვდი? - მიუბრუნდა ბილი მამას, - დედას უნდა თავისი წიწილები სულ გვერდით ჰყავდეს.
- მაგისტვის სულაც არ ვსაყვედურობ, - უთხრა ფრენსისმა.
- სიგარეტი გინდა? - ჰკითხა ბილიმ მამას.
- მომეცი.

ენი აღგა, საკუჭნაოში მდგარი მაცივრიდან საკარაქე გამოიღო და მაგიდაზე დადგა.

სწორედ ამ დროს, როცა ყველა დუმდა, პეგი შემოვიდა. ჩანგლით გასინჯა კარტოფილი, შეამოწმა უკვე გაყავისფრებული ინდაური და ღუმელი ისევ დახუ-



რა. ყუთიდან კონსერვის გასახსნელი დანა ამოიღო, ბარდას ქილა გახსნა და ქვაბით გასაცხელებლად დადგა.

— ინდაურმა კარგი სუნი დააყენა, — უთხრა პეგს ფრენსისმა.

— ჰო. ქლიავის პუდინგიც ვიყიდე, — ყველას გასაგონად თქვა მან, მერე მამას მიუტრიალდა, — დედაჩემი ამბობს, დღესასწაულზე მამაშენი დესერტად აყოლებდა ხოლმეთ.

— სწორია. თეთრი ტკბილი საწებელით ტკბილზე ტკბილია.

— საწებლის რეცეპტი ვტიკვებ აწერია. მომეცი, მე გავაკეთებ, — თქვა ენიმ.

— მე თვითონ, — არ დაანება პეგმა.

ფრენსისმა შეხედა შვილს და მიხვდა, თვალეში გესლი გაქრობოდა. ეს ლედი თერმომეტრით ყოფილათ, გაიფიქრა.

— ერთი წერილი მაქვს, სანამ სადილი მზადდება, გინდათ წავიკითხოთ? — თქვა ფრენსისმა და უბის ჯიბიდან ორცენტიანი მარკადაკრული, გაყვითლებული კონვერტი ამოიღო. უკანა მხარეს ფრენსისს წაეწერა „მარგარეტის პირველი წერილი“.

— რამდენი წლის წინათ მივიღე ეს წერილი, ვერ გეტყვით, — თქვა და კონვერტიდან სამი სამადგაკეცილი ცალხაზიანი გაყვითლებული ფურცელი ამოიღო. — კანადაში მომივიდა 1910 წელს, ტორონტოში რომ ვიყავი, — მან ფურცელი გაშალა, თვალებიდან მოშორებით დაიჭირა, სინათლეს მიუმარჯვა — და კითხვა დაიწყო.

„საყვარელო მამა, შენ ალბათ არ გიფიქრია, რომ შენი გოგო ელის და ელის შენს წერილს მას შემდეგ, რაც აქედან წახვედი. მე ისე ძალიან ვბრაზობ, ჩემზე რომ არ ფიქრობ, ცირკთან ერთად გაქცევაც კი მინდოდა, რომელიც წინა პარასკევს ჩამოვიდა ჩვენთან. მე გაკვეთილებს ვსწავლობ. არითმეტიკაში ერთი მაგალითი ვერ ამოვხსენი, იქნებ შენ ამოგეხსნა? ფეხი როგორ გაქვს, უკეთ? იმედია, იგებთ. ძალიან ბევრს ნუ ირბენ მაგ შენი ფეხით. თორემ სახლში დავაბრუნებენ. დედა და ბილი კარგად არიან. დედას 14 წიწილა ჰყავს, ორი კრუხი კიდევ უზის. რვაში ცირკი ჩამოდიხ. იქნებ მოუსწრო მათ? ცირკში წასვლა მინდა. ბილის ახლა სძინავს, დედა კი საწოლზე ზის და მე მიყურებს. არ დაგავიწყდეს წერილზე პასუხის მოწერა. იმედია, სულაც არა ხარ მოწყენილი. მანდ სხვა გოგოსთან თუ გნახეს, იცოდე, თმას დავაგლეჯ. შენი მოსიყვარულე პეგი“...

— მე ეგ წერილი არც მახსოვდა, — თქვა პეგმა, ისე რომ ჩანგლისთვის ხელი არ გაუშვია.

— შენ იმ დროზე ბევრი რამ არ გემახსოვრება, ჯერ თერთმეტისაც არ იყავი.

— სად იპოვე?

— ზემოთ, სკივრში. აი, რამდენ ხანს ინახებოდა. ეს ერთადერთი წერილია, რომელიც შევინახე.

— მართლა?

— მე მგონი, კარგი წერილია.

— მეც ეგრე ვფიქრობ, — თქვა ენიმ, ისიც და ბილიც პეგს მიაჩერდნენ.

პეგს უცებ ცრემლი მოერია, ჩანგალი ნიჟარაზე დადო და მამასთან მივიდა, მაგიდაზე ხელებდაწყობილი რომ იჯდა. პეგი გვერდით მიუჯდა და მამის ხელებზე თავისი ხელები დააწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ტროადან ჯორჯ ქუინიც ჩამოვიდა. ენიმ გამოიღო ინდაური და ფელანების მთელი ოჯახი სუფრას შემოუსხდა.



VII

- მაწანწალას ვგავარ, არა? — იკითხა რუდიმ.
- ხარ კიდევ მაწანწალა, მაგრამ კარგი მაწანწალა, თუ წინააღმდეგი არ იქნები, — უთხრა ფრენსისმა.
- იცი, ხალხი ადამიანს მაწანწალას რატომ ეძახის?
- არა.
- იმიტომ, რომ სიამოვნებთ.
- სიმართლეს არავინ მოუკლავს, — უთხრა ფრენსისმა, — რაკი მაწანწალა გქვია, მაშასადამე, ხარ კიდევ მაწანწალა.
- ბევრი მაწანწალა მოკვდა. ძველებიდან ცოტანილა დარჩნენ.
- არა უშავს, ახლები დაიზრდებიან.
- ბევრი კარგი ადამიანი მოკვდა. კარგი მექანიკოსები, კარგი მემანქანეები, ტყის მჭრელები.
- ბევრიც არ მოკვდარა, მე და შენ ხომ ცოცხლები ვართ?
- ამბობენ, ღმერთი არ არისო, მაგრამ ღმერთი უნდა იყოს. ის იცავს მაწანწალებს. მაგალითად, შენ, აგერ ახალი კოსტუმი გაცვია. მე კი ბოლომოდებული მაწანწალა ვარ.
- არა, მაწანწალა კი ხარ, მაგრამ ბოლომოდებული არა, — თქვა ფრენსისმა.



ისინი მიდიოდნენ საუტ-ჰერლ-სტრიტზე სასტუმრო „პალომბოსაკენ“. თერთმეტის ნახევარი იყო. ნათელი ღამე იდგა, ვარსკვლავებიანი, ოლონდ, ზამთრის პირს როგორც შეჭფერის, ძალიან ციოდა. ფრენსისი ოჯახს ათი საათისთვის დაემშვიდობა, ავტობუსით ცენტრში მივიდა და მაშინვე მისიისაკენ გაეშურა, იმის შიშით, არ დაკეტონო, სამზარეულოში მარტოდმარტო მახონია დახვდა, რომელიც ყაუის სმას ამთავრებდა. ელენი მთელი დღე არ გამოჩენილიყო. მახონიამ მის შესახებ არაფერი იცოდა.

- რუდიმ გიკითხა, — უთხრა მახონიამ, — ის ალბათ ან სადგურზე თბება ან არადა ბროდვეიზე რომელიმე მიგდებულ სახლში იქნება შეკუჭული. მითხრა, ფრენსისმა ის სახლი იცისო. ოლონდ, გახსოვდეს, ფრენსის, პოლიციელები ძველ სახლებს თურმე ყოველ ღამე ჩხრეკენ.

- ვერ გამიგია, რა ჯანდაბა უნდათ, ვის რას უშავებენ მაწანწალები? — თქვა ფრენსისმა.

- გადაიყვარეს პოლიციელებმა მაწანწალები და ალბათ ამის ბრალია. ფრენსისმა ჯერ მისიასთან ყველაზე ახლოს მყოფ ცარიელ სახლში შეიარა. შევიდა უკარებო ღიობში. შეიცადა, სანამ თვალი სიბნელეს შეეჩვეოდა. მერე ფრთხილად იწყო კიბეზე ასვლა. აბიჯებდა დაჭმუჭნულ გაზეთებზე, ჩამოყრილ ბათქაშზე, გადააბიჯა პირველ ბაქანზე მობლუნძულ ზანგს, გზას იკვლევდა დამტვრეული მინების, ცარიელი ბოთლების, მუყაოს ყუთებისა და ადამიანის განავალს შორის. ქუჩის ფარანი რაფაზე ანათებდა მტრედების სკინტლის სტალაკმიტებს. ფრენსისმა კიდევ ერთი მძინარე დაინახა ხვრელის ახლოს, რომელშიც, როგორც თქვეს, წინა კვირას ვინმე მაკ მიჩიგანელი ჩავარდნილიყო. ფრენსისმა გვერდი აუარა მძინარეს და რუდი იპოვა. ის ოთახში მარტო, ჩატეხილი მინის მოშორებით იწვა ფართო ფიცარზე და საბნის მაგივრად გაზეთი დაეფარებინა.

- ჰეი, მაწანწალა, შენ მეძებდი? — ჰკითხა ფრენსისმა.
- რუდიმ თვალეხი აახამხამა და ქვემოდან მიაშტერა მხერა.



— აა, შენა ხარ, ფრენსის?

— არა, ბუფალო ბილი ვარ, ინდიელებს ვეძებ.

რუდი წამოჯდა და გახეთი მოიშორა.

— მახონიამ მითხრა, გკითხულობდაო.

— ღამის გასათევი არა მაქვს, აღარც ფული მაქვს, აღარც ღვინო, ირგვლივ აღარც ადამიანები არიან. ერთი ბოთლი ღვინო მქონდა, მარტო ვაჭარავდა. — რუდი ფიტარზე დაეცა და ატირდა, — თავი უნდა მოვიკლავო.

— ადექი, თავის მოსაკლავად შენ ჭკუა არ გეყოფა. უნდა იბრძოლო, გაუძლო. ელენი ვერ ვიპოვე. არ გინახავს? საშინელი სიცოცხეა, ამ ქალს კი თავშესაფარი არა აქვს. დალაზვროს ეშმაკმა, ძალიან მეცოდება. წავიდეთ აქედან, თუ დარჩები, ციხეში ამოყოფ თავს, მახონიამ თქვა, ყველა სოროს ჩხრეკენო.

— ციხეში სითბო მაინც არის. ექვს თვეს მომცემენ, რომ გამოვალ, ყველაფერი აყვავებული იქნება.

— ფრენსისს კი ციხე სულაც არ სჭირდება. ფრენსისი თავისუფალი კაცია და თავისუფლადვე დარჩება.

ისინი კიბეზე ჩამოვიდნენ და მედისონ-აენიუზე დაბრუნდნენ. ფრენსისმა იფიქრა, ალბათ ელენმა სადმე ფული იშოვა, თორემ მე დამიწყებდა ძებნასო. შეიძლება ძმას დაურეკა და მან მისცა რამე. შეიძლება თვითონაც ჰქონდა გადანახული და არ მითხრა, უბრალო ქალბატონი არ ბრძანდება. ფული თუ აქვს, აღრე თუ გვიან, ჩემოდნისათვის „პალომბოში“ მაინც მივა.

— სად მივდივართ?

— შენთვის რა მნიშვნელობა აქვს. გაივლი, ცოტა სისხლი აგიმოძრავდება.



„პალერმოში“ მოხუცი დონოვანი ღამის პორტიესთვის მორიგეობის გადასაცემად ეშხადებოდა. დიახ, უთხრა მან ფრენსისს, ელენი აქაა. დილით მოვიდა. კარგად არის. მხიარულ გუნებაზე იყო. კიბეზე ავიდა. გარეგნულად ჩვეულებრივ გამოიყურებოდა. ის ოთახი აიღო, სადაც მუდამ ჩერდებით ხოლმე.

— კეთილი, — უთხრა ფრენსისმა, ბილის მიცემული ათდოლარიანი ამოიღო და ჰკითხა: — შეგიძლია დამიხურდავო?

დონოვანმა დაუხურდავა. ფრენსისმა ორი დოლარი მისცა.

— დილით ელენს გადაეცი, უთხარი, საჭმელი იყიდოს, თუ გავიგე, რომ არ მივიცია, კბილებს დაგაძრობ.

— მივეცემ. ელენი მიყვარს, — თქვა დონოვანმა.

— წადი, დახედე, როგორ არის. არ უთხრა, რომ აქა ვარ. მარტო დახედე, როგორ არის, ხომ არაფერი უნდა. არ უთხრა, რომ მე გაგავზავნე.

დონოვანმა თერთმეტ საათზე დაუკაკუნა. აღმოჩნდა, რომ ელენს არაფერი სჭირდებოდა. დონოვანი დაბრუნდა და ფრენსისს მოაბსენა.

— დილით უთხარი, დღისით შემოივლის-თქო, თუ დავჭირდი და ვერ მოვუსწარი, გითხრას, სად იქნება, ან მისიაში მახონიას დაუბაროს. ჩემოდანი გამოისყიდა?

— გამოისყიდა და ოთახისაც ორი დღისა გადაიხადა.

— მაშასადამე, მაინც მიუღია ფული, — თქვა ფრენსისმა, — მაგრამ ეგ ორი დოლარი მაინც მიეცა.



ამის შემდეგ ფრენსისი და რუდი პერლ-სტრიტი ჩრდილოეთისკენ წავიდნენ.

— ახლა სად მივდივართ? — ჰკითხა რუდიმ.

— ღამის ბუტლეგერთან, — უპასუხა ფრენსისმა, — ორი ბოთლი ღვინო და ღამის გასათევად წავიდეთ.

— ჰოო, — გაუხარდა რუდის, — რიგორც იქნა, სასიამოვნოდ მივდივართ. ბივერ-სტრიტზე, მეორე სართულზე ბუტლეგერისაგან ჩემი სხეული აღიტრა მუსკატელი და ორი ნახევარლიტრიანი ვისკი „მწვანე მდინარე“.

— ძუკნაა, მაგრამ, რასაც უნდა აკეთებდეს, აკეთებს, — თქვა ფრენსისმა ბუტლეგერზე.

ფრენსისმა ბუტლეგერს ფული გადაუხადა და ხურდა ჯიბეში ჩაიყარა. დარჩა ორი დოლარი და ოცდაათი ცენტი. ერთი ბოთლი ღვინო და ერთი ბოთლი ვისკი რუდის მისცა. გარეთ გამოვიდნენ თუ არა, ორივემ ღვინოს ბოთლები მოიყუდეს.

ფრენსისმა მთელი კვირის მანძილზე პირველად დალია.

ღამის სათევს გავასქელი და რიგლისფეხება მოხუცი ქალი განაგებდა. იგი ქვრივი იყო ვიღაც ფენესისა, რომელიც ისეთი დიდი ხნის წინათ გარდაცვლილიყო, რომ მისი სახელი აღარავის ახსოვდა.

— გამარჯობა, დედი, — უთხრა რუდიმ, როდესაც ქალმა კარი გაუღოთ.

— მე მისის ფენესი მქვია.

— ვიცი, — უთხრა რუდიმ.

— თუ იცი, ღამიძახე, რაც მქვია. მარტო ზანგები მეძახიან „დედიო“.

— კეთილი, ჯიგარო, — უთხრა ფრენსისმა, — ამას ხომ არავინ გეუბნება? ორი საწოლი გვინდა.

ქალმა ისინი შეუშვა. ორ საწოლში ერთი დოლარი აიღო. მერე ზევით აიყვანა ორი თუ სამი ტიხრით საძილე ოთახებად გადაკეთებულ დიდ ოთახში, სადაც თორმეტიოდე ჭუჭყიანი საწოლი იდგა, რომელთაგან მხოლოდ ერთი იყო დაკავებული. ფრენსისის ვარაუდით ოთახს ერთი სამკატიანი ნათურა ანათებდა.

— ეე, ნამეტანი ანათებს, შეიძლება დაგვაბრძავოს.

— თუ შენს მეგობარს აქ არ მოსწონს, სხვაგან წავიდეს, — უთხრა რუდის დიასახლისმა.

— აქ ვის არ მოეწონება, — თქვა ფრენსისმა და მძინარე კაცის გვერდით მდგარ საწოლზე გაიშოტა.

— ეი, მაწანწალა, დალევა გინდა? — ჰკითხა მძინარეს და შეანჯღრია.

შუბლ და ცხვირდამუწუკებული კაცი ფრენსისისკენ გადმობრუნდა.

— ოჰო, დომბრა ყოფილა, — თქვა ფრენსისმა.

— ჰო, მე ვარ, — უპასუხა დომბრამ.

— ეს რუდია, — უთხრა ფრენსისმა, — ეგ ელამ ბაღლინჯოზე უარესია, ისე არა უშავს რა.

— შენ კი კარგად გამოპრანჭულხარ, — უთხრა დომბრამ, — ჰალსტუხიც რომ გაუკეთებია. რაო, შეძლებულებში ჩაეწერე?

ფრენსისმა საწოლს შემოუარა და დომბრას თავისი ღვინო მიაჩეჩა. დომბრამ მოსვა და მაღლობის ნიშნად თავი დაუქნია.



- რატომ გამაღვიძე? — ჰკითხა დომბრამ.
- ღვინო რომ დამელევიინებინა.
- ბნელოდა, რომ დავწევი. ბნელოდა, თანაც ციოდა.
- დალახვროს ეშმაკმა, მე ხომ ვიცი, ხელ-ფეხი გაყინული გექნება. ოთახში ცივა. აჰა, კიდევ დალიე, გათბები. ვისკი გინდა? ვისკიტა მაქვს.
- დომბრამ მოსვა „მწვანე მდინარე“.
- მე კი მეგონა, შარვლის გაცვლა გინდოდა, — თქვა დომბრამ.
- მინდოდა. ჩემი სულ ახალი იყო. ოღონდ პატარა მქონდა.
- სად არის? შენა თქვი, ორმოცდაათოთხმეტი ზომააო, მე ზუსტად გექნება.
- ეს გინდა?
- კიდევ მეკითხები?
- შენ რომ მოგცე, უშარვლოდ დაურჩები, — უთხრა ფრენსისმა.
- ჩემსას მოგცემ.
- ახალ შარვალს რატომ უცვლი? — ჰკითხა რუდიმ.
- მართალია, — თქვა ფრენსისმა, წამოდგა და ფეხებზე დაიხედა, — ჩემ ფეხებს მიიღებ. არა, ეს შარვალი მე თვითონ მინდა. შენ შენი შარვალი ჩაიცვი.
- ვიყიდი. რამდენი მოგცე? — ჰკითხა დომბრამ, — ერთი კვირის სამუშაო კიდევ მაქვს, ქვიშით იატაკს ვხეხავ.
- რამდენიც გინდა, იმდენი წმინდე, შარვალი არ იყიდება, — უთხრა ფრენსისმა.
- კი არ ვწმენდავ, ვხეხავ-მეთქი.
- ნუ მიყვირი, — უთხრა ფრენსისმა, — თორემ გოგრას გაგიხეთქავ და ტვინს ფეხქვეშ გავიგებ. შენ რა, მაგარი ვინმე ხარ?
- არა, არა ვარ მაგარი, — თქვა დომბრამ.
- მე კი მაგარი ვარ, ფეხებზე მკიდხარ და სულს იმაზე ადრე გაგაფრთხობინებ, ვიდრე გვინია.
- მე ისედაც მოვკვდები. ამ ჭერზე უარესად ვარ გამოშპალი. ტუბერკულოზი მაქვს.
- არ ვიცოდი, ტუბერკულოზი თუ გქონდა. ბოდიშს გიხდი. ყველა ტუბერკულოზიანი მეცოდება.
- მუხლში მჭირს.
- მაშინ მოიჭერი ფეხი.
- ეგრეც უნდოდათ.
- მერე და მოიჭერი.
- არა. არ დავანებე.
- მე კი კუჭის კიბო მაქვს, — თქვა რუდიმ.
- ჰო, ყველას რაღაც გვჭირს, — თქვა დომბრამ.

ოთახის კუთხეში ფრენსისმა საში გრძელკაბიანი ქალი დაინახა, მერე ოთხნი გახდნენ, მერე კვლავ სამად იქცნენ, მერე ისევ ოთხად. სახეები ნაცნობი ჰქონდათ, მაგრამ სახელები აღარ ახსოვდა. მათი ასაკი რიცხვთან ერთად იცვლებოდა: ხან ოცის იყვნენ, ხან — სამოცის, ხან ოცდაათის, ხან ორმოცდაათის. ენი ახლა ალბათ ცდილობს დაიძინოს, მაგრამ ისევე უჭირს, როგორც ფრენსისს, ვერა და ვერ დამშვიდობებია ამ დღეს. ელენს კი დაღლილობისა და მღელვარებისაგან ახლა მკედარივით სძინავს ალბათ. პურს არ შეჭამს, ოღონდ ასადელვებელს ნუ მოაკლებ. ენი ასეთი არაა. ენი არ ღელავს. ენის ცხოვრება შეუძლია. ალბათ



არც პეგის სძინავს. ფრენსისმა ისეთი წარმოდგენა გაუმართათ, ვერც უცებ ვერ დაივიწყებენ.

აჩვენათ, რა შეუძლია ჩაიდინოს ადამიანმა.

რომ ადამიანს დაბრუნებისა არ ეშინია.

ის ოხერი მოჩვენებები ყველგან თან დაგდევენ, მაგრამ არა უშავს, არ დაუთმო, მორჩა და გათავდა. და აკეთე ის, რაც უნდა აკეთო.

სამ ქალს კუთხეში მეოთხე — სანდრა მიემატა. ფრენსისმა წყნარად დამალვინაო, უთხრა ქალებს სანდრამ, ქარს გამარიდა და ცალი ფეხსაცმელი ჩამაცვაო. ქალები უკვე ხუთნი გახდნენ.

„აჰ, როგორა მსურს ის მთა, ის ბარი, სადაც არ არის თოვლი და ქარი“, — მღეროდა რუდი.

ფრენსისმა იმ ხუთ ქალში ქეთრინიც შეიცნო, ხუთნი ჩქარა ოთხად იქცნენ, ოთხნი კი — სამად.



ღამის სათევში მოვიდნენ ფინი, წითური და კიდევ მესამე, რომელიც ფრენსისმა უცებ ვერ იცნო. ბერელა მიხვდა, რომ ბებერი წულა იყო.

— ჰეი, დომბრაუ, სტუმრები გვეწვია, — თქვა ფრენსისმა.

— ეს ფინი ხომ არაა? — იკითხა დომბრამ.

— ჰო, ისაა, — უთხრა ფრენსისმა.

ფინი ფრენსისის საწოლის ბოლოში იდგა, ღვინისაგან გამობრუნული აქეთ-იქით ქანაობდა.

— შენ ძუკნა ხარ, — თქვა იდაყვებზე წამოწეულმა დომბრამ.

— ვისზე ამბობ? — ჰკითხა ფრენსისმა.

— ვისზე და ფინიზე, ის ჯორჯთან „ესპანურში“ მუშაობდა. უყვარდა ხოლმე ხელკეტით მოვრალეების შეხურება, თუკი ჩხუბს დაიწყებდნენ.

— მართლა, ფინი? მართლა გიყვარდა მათი ცემა?

— ბრბრ, — თქვა ფინიმ და ფრენსისს მოსცილდა.

— გულღრძო იყო წყეული, ერთხელ მეც მხეთქა — თქვა დომბრამ.

— დაშაუდი?

— თანაც როგორ. სამი კვირა თავი მტკიოდა.

— ვიდაცამ ფინის მანქანა დაუწვა, — განაცხადა წითურმა. — ჩასახუთქად წავიდა, უკან რომ მობრუნდა, მანქანა იწვოდა. ეგ ფიქრობს, პოლიციის მეძებრებმა დამიწვესო.

— მეძებრები მანქანებს რატომ წვავენ?

— განრისხებულნი არიან, — თქვა წითურმა, — ყველას ერეკებიან, ისიც გავიგე, მაგათ უკან ამერიკელი ლეგიონი დგასო.

— სქელგავა პარაზიტები, მთელი სიცოცხლე უკან მღევენ, — თქვა ფრენსისმა.

— ჰო, ლეგიონერები და მეძებრები არიანო, და ჩვენც აქეთ მოვაშურეთ, — თქვა წითურმა.

— რა, გგონია, აქ უსაფრთხოა? — ჰკითხა ფრენსისმა.

— უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ქუჩაში.

— შენი წაყვანა რომ მოინდომონ, აქ ცხვირს ვერ შემოყოფენ, ხომ? — ჰკითხა ფრენსისმა.

— იმათ რა იციან, რომ აქ ვარ.



— შენ რა, „უოლდორფ-ასტორიაში“ ხომ არ გგონია თავი? როგორ ფიქრობ, ეს ბებერი კახპა, თუ ჰკითხეს, არ იტყვის, ვინ არის აქ და ვინ არა?

— შეიძლება მეძებრებს არც დაუწვავთ ფინის მანქანა, — თქვა დომბრამ. — მაგას ძალიან ბევრი მტერი ჰყავს. რომ მცოდნოდა, მანქანა ჰქონდა, მეც დავუწვავდი. ძუკნაა ნამდვილად, ყველას გვირტყამდა, ახლა თვითონაც ქუჩაში ავღია. შემახვედრა ერთი საღმე მოხვეულში.

— ფინი კარგი კაცია, გაანებეთ თავი, — თქვა წითურმა.

— ბრძანებებს აქ შენ იძლევი, დირექტორო? — ჰკითხა ფრენსისმა.

— შენ ვილა ხარ?

— მე ის კაცი ვარ, გოგრას რომ გაგიხეთქავს და ფორთოხალივით გამოწურავს, თუ ჰკუას მასწავლი, რა უნდა ვაკეთო.

— შემოვედი თუ არა, მაშინვე მივხედი, რომ შენ იყავი, — თქვა ბებერმა წულამ და ფრენსისთან მივიდა. — შენ, იერიქონის საყვირო, სადაც უნდა იყო, ყველგან გიკნობ.

— შენ კი ბებერი წულა ხარ, ბებერი წულა გილიგანი, — უთხრა ფრენსისმა.

— ოჰო, მეხსიერება არაუშავს გქონია, ლოთობას არ გამოუღენჩებიხარ.

— აქ რა ეშმაკი გინდა?

— შემოვიარე ბიჭების სანახავად, მინდოდა დამეხედა, რა და როგორაა.

— ფინისთან და ამ ტუტუც წითურთან?

— ვინ არის ტუტუცი?

— ვინა და შენ, — უთხრა ფრენსისმა.

— გრძელი ენა გაქვს. — მიუგო წითურმა.

— ფეხები უფრო გრძელი მაქვს და ამ ჩემს ფეხებს ცხვირში შემოგჩრი, თუ აქაურობას აამყრალებ, როცა რიგიანად გექცევინ.

— ნუ ცხარობ, ფრენსის, — უთხრა ბებერმა წულამ, — რა არის შენკენ ახალი? კარგად გამოიყურები.

— ვმდიდრდები, ახლები მაცვია, ორიოდუ ბოთლი ღვინოცა მაქვს და ჯიბეში — ფული, — უპასუხა ფრენსისმა.

— ეტყობა, კარგად გქონია საქმე, — უთხრა ბებერმა წულამ.

— მე კი, მაგრამ შენ აქ რა ეშმაკები გინდა, თუ აღარ სვამ?

— ხომ გითხარი, აქვე ვიყავი და დამაინტერესა, როგორ არიან-მეთქი ძველადგილას.

— მუშაობ?

— მუდმივი სამუშაო მაქვს ჯერსიში. ბინაცა მაქვს. მანქანაც. მანქანა მაქვს, ფრენსის, არ გჯერა? ახალი არაა, მაგრამ კარგია, ორკარიანი „გუძონია“. გინდა გაგასეირნო?

— მე გამასეირნო?

— ჰო, შენ, აბა ვინ?

— ახლავე?

— ჩემთვის სულერთია. დასახედად შემოვიარე. მე აქ არ ვათევ ღამეს და არც გავათევ. ჯერსიში ბაღლინჯოები წამყვებიან.

— აი, ეს მაწანწალა, — რუდიზე მიუთითა ფრენსისმა, — ქუჩაში სიკვდილისგან ვიხსენი. დამეში სამჯერ თუ ოთხჯერ ებერტყებოდა ძირს გალემილი, თავი გადასძლევადა ხოლმე.

— მართალია, ხუთჯერ თუ ექვსჯერ იმაგასავით მეც ჩავიმტვრიე ცხვირპირი, — თქვა ბებერმა წულამ და დომბრაზე მიათითა, — მაგრამ ახლა მოვეშვი. სამ საგიუეთში ვყოფილვარ. მერე მივატოვე ყველაფერი. სამი წელია აღარ დავ-



წაწალებ, ორი წელია არა ვხვამ. გინდა გაგასეირნო, ფრენსის? ოღონდ ერთი პირობით, უღეინოდ. ცოლი სუნს იკრავს და შემჭამს.

— ცოლიცა გყავსო? — ჰკითხა ფრენსისმა.

— მანქანაც, ცოლიც, სახლიც და სამუშაოც? — ჰკითხა რუდიმ, იგი საწოლზე ჩამოჯდა, რათა უკეთ შეეხედა ამ მომხვეჭელისათვის.

— ეს რუდია, — უთხრა ფრენსისმა, — რუდი-დუდი, თავისი მხედველობის აპირებს.

— ნაცნობი გრძნობაა, — თქვა წულამ, — ერთ დილას მე და ფრენსისს საშინლად მოგვიინდა დაღევა. მთელი ქალაქი შემოვიარეთ და ვერაფერი ვიშოვეთ, ფეხსაცმელი თოვლით აგვევსო, ქუჩაში მიხუს ოცი გრადუსი ყინვაა. ბოლოს და ბოლოს სისხლი გაჟვიდეთ და დავლიეთ. მე გრძნობა დაგვკარგე. გონზე რომ მოვედი, ისევ საშინლად მიხდოდა დაღევა. ფული არა მაქვს, ვერც ვერსად ვიშოვი, სისხლსაც უკვე ვეღარ გავცემ, — და აი, მაშინ კი ნამდვილად მომიინდა სიკვდილი.

„სადაც მუდმივად არის ზაფხული, კატლეტებია ჯაგზე ასხმული და შევიძლია გემოზე ძილი“, — მღეროდა რუდი.

— გინდა მანქანით გაგასეირნო? — ჰკითხა მას ბებერმა წულამ. „ფუტკრები ვხევა სიგარეტის ზეს, შადრევანიდან ლიმონათი ჩქეფს“, — განაგრძობდა რუდი. მერე წულას გაუღიმა, ღვინო მოსვა და საწოლზე ზღართანი მოადინა.

— კაცს უნდა ვინმე გაასეირნოს და მგზავრები არა ჰყავს, — თქვა ფრენსისმა, — გადაწყვეტილება უნდა შეცვალო, წულავ, დაწეჭი, ფეხები მოასვენე.

— არა, მაშინ ისევ გზას გავუდგები.

„ბინდი ჩამოწვა, ბანაკში ცეცხლი აბრიალდა, მაწანწალა კი ღიანდაგებზე მიიჩქარის, მატარებელს რომ შეახტეს და ამბობს, უკან აღარ დავბრუნდებიო“.

— მორჩი სიძღერას, დაგვაძინე. — დაიძახა წითურმა.

— ჩხუბი არ იყოს, — თქვა დომბრამ, — თორემ ის ქალი გაგვაპანღურებს ან პოლიციას დაუძახებს.

— მე სადაც გავიზარდე... — დაიწყო ბებერმა წულამ.

— სულაც არ მუნაღვლება, სად გაიზარდე, — უთხრა ფრენსისმა.

— მოკეტე. ტეხასიდან ვარ.

— აბა ქალაქი მითხარი.

— გალვესტონი.

— ნუ იქაჩები, თორემ მიიღებ სიფათში. მე მაგარი კაცი ვარ, ფინის კი არ ვგაფარ. თორმეტი კაცი გამიგზავნია საიქიოს.

— შენ მთვრალი ხარ, — უთხრა ბებერმა წულამ.

— ჰო, გოგრა არ მიმუშავენს.

— დიდი ხანია არ ვიმუშავენს. რა ბზიკმა ვიკბინა?

— არც ბზიკმა და არც არაფერმა. ბზიკი სისულელეა.

— მაშ გველმა?

— გველმა? ჰოო, ჩხრიალა გველმა. თუმცა უმჯობესია მაწანწალებზე ვილაპარაკოთ. ელენის გულისთვის ვიქეცი მაწანწალად. უბედურებაა. არ უნდა სახლში წასვლა, არ უნდა ადამიანად იქცეს.

„ელენი ცეკვავს ხულუს გონო-ლუ-ლუში“.

— მოკეტე სულელი ყბები, — უთხრა ფრენსისმა.

— ხალხს არ ვუყვარვარ, — დაიჩივლა რუდიმ.

— მღერიხარ, ხელებს იქნევ, თან ელენზე ლაპარაკობ.

— გონზე აღარა ვარ.



— მეც მაგას გეუბნები.

— ეი, თქვენ, ცალტვინებო, მოკეტეთ, დაგვაძინეთ, — დაიღრიალა წითურმა და საწოლზე წამოჯდა.

ფრენსისი უეცრად ადგა, გასასულელი სწრაფად გაიარა და წითურს მუშტი ტუჩებში სთხლიშა.

— მე შენ გიჩვენებ.

წითური უკან გადაქანდა და საწოლზე დაეცა. ფრენსისმა შემოუარა და ფეხი მუცელში ჩააზილა, წითურმა დაიკვნესა და გადავორდა. ფრენსისმა ფეხი ახლა გვერდში ჰკრა. წითური ფინის საწოლის ქვეშ შევორდა, ფრენსისი თავს მაინც არ ანებებდა, და როცა შავი მაღალყელიანი ფეხსაცმელი სახეში უნდა ჩაეცხო, ანაზდად შეჩერდა. რუდი, დომბრა და ბებერი წულა იდგნენ და მისჩერებოდნენ.

— სახეში რომ მაფურთხებენ, ამას არავის შევარჩენ, პირიქით, პატივისცემას ვაიძულებ, — თქვა ფრენსისმა. — ჯოჯობეთშიც რომ მოვხვდე, თუკი მართლაც ასეთი ადგილი, მაინც არავის ჯავრს არ შევჭამ. ფრენსისის საწინააღმდეგო არც ერთ მაწანწალას ჯერ სიტყვა არ უთქვამს. აბა სცადონ ერთი.

„შაქარყინულის მთაზე მეძებრები ველარ ფიცხოვენ“, — ამღერდა ისევ რუდი. მერე წამოდგა და ბოთლის ქნევით და ბარბაც-ბარბაცით განაგრძო: „ძალღს ბამბის კბილები აქვს. ქათამი ერბოკვერცხებს დებს, სატვირთო ვაგონები სულ ცარიელია და მუდამ ანათებს შზე. მსურს საცხოვრებლად ის მთა, ის ბარი, სადაც არ არის თოვლი და ქარი, წვიმა არა სცრის, სულ არის დარი, მთელი დღე-ღამე ზაფხული არის შაქარყინულის მთაზე“.

ბებერი წულა წამოდგა და წასასულელად გაემზადა.

— მაშ არავის სურს გასეირნება? — იკითხა მან.

— კარგი, ჯანდაბას შენი თავი, — თქვა ფრენსისმა, — რუდი, როგორა ხარ? წაყიდეთ ამ საღორედან. ამ მყრალი ჰაერის სუნთქვა არას გვარგებს. შამბნარში ჯობს, ვიდრე ამ საღორეში.

— სად მივდივართ? — ჰკითხა რუდიმ.

— ბანაკში მივდივართ ჩემს მეგობართან სტუმრად. ბანაკამდე მიგვიყვან? — ჰკითხა ფრენსისმა ბებერ წულას, — ჩრდილოეთითაა. იცი, სად არის?

— არა, შენ ხომ იცი?

— სიცივე იქნება, — თქვა რუდიმ.

— კოცონები უნთიათ, სიცივე გერჩიოს პალლინჯოებს, — თქვა ფრენსისმა. „ვაშლის წყლის პირას, სადაც ლურჯი ფრინველი გალობს“, — ამღერდა რუდი.

— აი, სწორედ იქ მივდივართ. — უთხრა ფრენსისმა.



ბებერი წულას მანქანა ერის ბულვარით ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, სადაც ადრე ერის არხი მოედინებოდა, და ფრენსისს გაახსენდა წითური ემუტ ლოკერტი; მისი გამოკვეთილი სახის ნაკვთები, ჭადარა დატალღული თმა და წვეტიანი ცხვირი, რაც მას ზეციურ მხედარს ამსგავსებდა. ფრენსისს სულ ასეთად ემახსოვრება ეს ირლანდიელი, ზომამზე მეტს რომ არასოდეს სვამდა, იყო დინჯი, გონებადამახვილი, თავშეკავებული, მიზანდასახული და ღმერთისა და მუშა ხალხის მტკიცედ მორწმუნე. ფრენსისი იჯდა ხოლმე რკინის ჯოს სალუნის წინ ასპიდის კიბეზე და უსმენდა მის დაუსრულებელ ამბებს იმ დროზე, როცა თვითონაც და



ქვეყანაც ახალგაზრდები იყვნენ, როცა სამდინარო გემებს ვუგუნით აღმა მიჰყავდათ ზღვით ჩამოსული ირლანდიელები. ქოლერა რომ გავრცელდა, ისინი ოლბანიში გემებიდან გადმოსხეს და არხით დასავლეთისკენ გაამგზავრეს: ქალაქის მამებმა ხელისუფლებას მოსთხოვეს, ბაცილამატარებელი უცხოელები ქალაქგარეთ მოათავსეთო.

ემეტი ნიუ-იორკში დამშეული გემით ჩამოვიდა კორკიდან. აღმა რომ აჰყვა, ოლბანის აუზში თავისი ძმა ოუენი დაინახა, ნაპირსა და ოუენს რომ უჩქევდა. ოუენი გემს ნაპირ-ნაპირ სირბილით მისდევდა ჩრდილოეთით მდებარე რაბამდე, ატყობინებდა ოჯახის ამბებს და ურჩევდა, როგორც კი ნებას დაგროთავუნ, ნაპირზე გადმოდი და მაშინვე შემატყობინე, სად იქნები, რათა ოლბანიში დილიყანით დასაბრუნებლად ფული გამოვიგზავნიო. მაგრამ ემეტმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ მოახერხა პაკეტბოტიდან გადმოსვლა, თუმცა ადგილის სახელწოდება მაინც ვერ გაიგო. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი ჩამოსულები იძულებით კიდევ უფრო შორს, დასავლეთისკენ გაამგზავრა.

ბოლოს და ბოლოს ბუფალოში ამოჰყო თავი, გადაწყვიტა, აღარ დაბრუნებულიყო არასტუმართმოყვარე ოლბანიში და გზა განაგრძო ოგაიომდე. იქ მუშაობა დაიწყო ქუჩის მოკირწყვლაზე, მერე — რკინიგზების მშენებლობაზე, მათთან ერთად თანდათან დასავლეთისკენ მიიწეოდა, გახდა მუშათა წინამძღოლი, და იმ დროსაც მოესწრო, როცა ოლბანიში ხელისუფლება ირლანდიელებმა იგდეს ხელთ. მისი მონათხრობის შთაგონებით იყო, ფრენსის ფელანმა ქვა რომ ისროლა, რამაც იმ ადამიანთა ცხოვრებაც შეცვალა, ვინც ჯერ არ დაბადებულიყო.

ეს ზმანება — არხზე მცურაუი პაკეტბოტისა და არხის ნაპირ-ნაპირ გამოკიდებული ოუენისა, ძმას რომ თავისი შეილების ამბებს მისძახოდა, ფრენსის ისათვის ისეთივე სინამდვილე იყო — თუმცა ეს ამბავი მის დაბადებამდე ორმოცი წლით ადრე მოხდა — როგორც ბებერი წულას ჩრდილოეთისკენ ოდროჩოლრო გზით მიმავალი მანქანა. მას ლამის ეტირა იმის გამო, რომ წყეულმა ხელისუფლებამ ერთმანეთს დააცილა ძმები დოგერტები, როგორც თვითონ იყო დაცილებული ახლა ბილისა და ყველა დანარჩენს. მერე ვისი და რისი ბრალი იყო ეს? უბიძღ დოგერტი კერძოდ არავის ადანაშაულებდა — არც ქოლერის ინსპექტორებს, არც ქალაქის მამებს. მან იცოდა, რომ რაღაც ძალამ გადაისროლა იგი დასავლეთში და გამოძერწა იმად, რაღაც ბედისწერით უნდა ქცეულიყო, ამ გადაადგილებისა და ამ ძერწვის მნიშვნელობას ფრენსისი ახლავდა მიხვდა, ვინაიდან ჩასწვდა, რა ძალა ეწეოდა ადამიანს მაწანწალობისკენ, რაც მისი სულის ნაწილად იქცა. ამიტომ ფრენსისმა სავსებით საბუთიანად მიიჩნია ის, რომ ემეტი და იგი ერთ პერსონაჟად იყვნენ გაიგივებულნი ემეტის ვაჟიშვილის, დრამატურგ ედუარდ დოგერტის პიესაში. ედუარდმა (ქეთრინის ქმარმა, მარტინის მამამ) „დუპოში“ ასახა, თუ როგორ აქცია ემეტმა საკუთარი ამბების თხრობით ფრენსისი რადიკალად, როგორ ასწავლა მტრის გამოცნობა და მისთვის ქვის დამიზნება. და ისე, როგორც რეალური ემეტი დასავლეთიდან სახლში მუშათა მოძრაობის გმირად ბრუნდება, პიესაში ფრენსისიც შინ უკანონო გმირად ბრუნდება. ერთხანს ფრენსისს ყველაფერი სჯეროდა, რაც მის შესახებ იყო ნათქვამი ედუარდის პიესაში: სჯეროდა, რომ მან გაანთავისუფლა გაფიცულები მდიდარი მათხოვრებისგან, ტრამვაის მეპატრონეთგან. დრამატურგმა ორივეში დაინახა იმ სოციალისტური ღმერთებით შთაგონებული ზეციური მხედრები, რომლებმაც იცოდნენ ირლანდიელთა ისტორიული მოთხოვნილება ზეციერის შემწეობისა, რადგან მის გარეშე (როგორც ემეტი ამბობს პიესაში) „თავს ვერ დავაღწევთ მუქთამჭამელ ღორებს, მთელი კაცობრიობის ჭეშმარიტსა და დაუოკებელ ეშმაკთ“.



ქვამ (ვანა მან არ ისროლა?) გამოიწვია სალდათების საპასუხო ცეცხლი და გახდა მიზეზი ორი მოსეირის სიკვდილისა. ჰაროლდ ალენი რომ არ მომკვდარიყო, გაფიცვა შეიძლება გაგრძელებულიყო, ვინაიდან ბრუკლინიდან მოჰყავდათ და მოჰყავდათ შტრაიკბრეხერები — ირლანდიელი უშიგროსტები, იმათნაირები, ემეტისთან ერთად პაკეტბოტზე რომ იყვნენ. ზოგიერთმა მათგანმა, რაკი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, დეხურტირობა ამჯობინა, სხვებმა დააჩინენ, მაგრამ დაბნეულები და შეფიქრიალებული იყვნენ, რადგან მათთვის უცხოა აღმოჩნდნენ დამქირავებლების მიერ, რომლებიც სამუშაოს შეპირებოდნენ ფილადელფიის რკინიგზაზე, ამის მაგივრად კი შტრაიკბრეხერობა, მთელი ეს საშინელება და ლამის სიკვდილიც მიჰკერძეს. ყოველივე ეს შეიძლება გაგრძელებულიყო, ფრენსის პირველი ქვა რომ არ ესროლა. იგი მთავარი გმირი აღმოჩნდა გაფიცვისა, რომელმაც ათობით სხვა გმირიც დაბადა. გმირად კი იქცა, მაგრამ მთელი ცხოვრება თავს იდანაშაულებდა სამი ადამიანის სიკვდილში, თუმცა კარგად იცოდა, რომ იმ დღეს მისი ქვის გარდა სხვა ქვებიც ფრინავდნენ, რომ ჰაროლდ ალენის შურის საძიებლად კი არ დაიწყო სროლა, სროლა დაიწყო მას შემდეგ რაც მთელმა ბრბომ ტრამვაის ქვები სეტყვასავით დააყარა.

ახლა, როცა ეს ამბავი კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა, მიხვდა, რომ მის ჭეშმარიტ დანაშაულს ამ ამბავთან ძალზე ცოტა საერთო ჰქონდა, მიხვდა, რომ გაფიცვა ირლანდიელების უგუნურობის შედეგი იყო, რომ ღარიბები ღარიბების წინააღმდეგ აღსდგნენ და ხალხად და კლასად თვითონვე დაიყვეს თავი. ხედავდა, იმ დღეს როგორ ცდილობდა ჰაროლდ ალენი გაშმაგებული ხალხისგან თავის გადარჩენას, ისევე როგორც სხვადასხვა ქალაქში გაქცევისას ფრენსისი თავად ცდილობდა მტრის ჯიბრზე თავის გადარჩენას, ისევე როგორც მთელი სიცოცხლე თვითონ ცდილობდა საკუთარი ცუდი ინსტინქტების ჯიბრზე თავის დახსნას. ფრენსისი ახლავდა მიხვდა, რომ საკუთარ თავს ებრძოდა, რომ ერთმანეთს ებრძოდა მისი სხეულის ნაწილები, და თუ მას ეწერა გადარჩენა, ეს მოხდებოდა არა რომელიმე სოციალისტური ღვთაების გამო, არამედ აზრთა სიცხადისა და სიმართლისათვის მტკიცედ თვალის გასწორების შედეგად. ვინაიდან დანაშაული, რასაც ის გრძნობდა, სიკვდილად არ ღირდა, და არც არაფერს არ ემსახურებოდა ბუნების გაუმაძღარი სისხლისმოყვარულობის გარდა.

საწყალი ჰაროლდ ალენი.

— ვის ეუბნები? — ჰკითხა ბებერმა წულამ.

გალეშილი რუდი უკანა საჯდომზე იწვა და ხელში ღვინისა და ვისკის ბოთლები ეჭირა. ბებერი წულას ბრძანება, მანქანაში ბოთლი არ გახსნათ და წვეთი ღვინო არ დადვართოთ, რუდის დაურღვია და გახსნილი ვისკის ბოთლი გულში ჩაეხუტებინა.

— იმას, ვინც მოკვალი. ალენი ერქვა.

— კაცი გყავს მოკლული?

— არა ერთი და ორი.

— შემთხვევით, ხომ?

— არა. ამას დაუუმიზნე. სამუშაო უნდოდა წაერთვა.

— მაშინ ახია.

— შეიძლება კი, შეიძლება არა. იქნებ მას სხვაგვარად არ შეეძლო.

— სისულელეა. ყველა ასე ფიქრობს, კარგები, ცუდები, არამზადები, მძარცველები თუ მკვლელები, — თქვა ბებერმა წულამ.

ფრენსისი გაჩუმდა და კიდევ ერთ ჭეშმარიტებას ჩაუფიქრდა, რაც ახსნას მოითხოვდა.



ბანაკი შეიძლება შეიდი წლისა იყო, შეიძლება სამისა, შეიძლება ერთი თვისა ან რამდენიმე დღის. ეს იყო წილის ფლატე, სოფლის სასაფლაო, ლტოლვილთა ქალაქი, მოქცეული თუოუბოს ჯაგებსა და ნაადრევი ზამთრისაგან ფოთოლგაცვენილი მდინარისპირა ხეებს შორის. მიწაზე ეყარა ტოლის ნაქვეყნები იდგა მოქობმახებული ტოლის ქოხები, ფარდულები და იმპროვიზებული ქვეყნობები, რომელთათვისაც ადამიანებს შესაფერისი სახელი ჯერ არ მოუგონიათ. აქ ბინადრობდნენ ხეიბრები, სახლ-კარდაკარგული ქალაქის მკვიდრნი და ადამიანები, რომელთაც ცხოვრების გზა გაესრულებინათ და შემდგომი უბედურების მოლოდინში აქ დაედოთ ბინა. ეს ბანაკი — ქალაქის ორი კვარტლის ხელა მოედანი მდინარესა და რკინიგზის ხაზს შორის, ყოფილი ტრამვაის დეპოსა და რკინის ჯოს სალუნის ყოფილი შენობის უკან — საუკუნის დაავადების თვალსაჩინო გამოვლენა იყო.

ამ ბანაკში ფრენსისს მეგობარი ჰყავდა, სამოც წელს გადაცილებული კაცი, სახელად ენდი. ოდესღაც ოლბანიში მოძავალი სატვირთო ვაგონით მგზავრობისას იგი ფრენსისს გამოუტყდა, რომ ადრე მას აბუეტ ენდის ეძახდნენ, რადგან ოც წლამდე მარჯვენისა და მარცხენის გარჩევა უჭირდა — ეს ამოცანა ხანდახან დაძაბულობისას ახლაც უჭირდა. ფრენსისმა მაშინვე იგრძნო სიმპათია ენდისადმი და მას სიგარეტებსა და საჭმელს უყოფდა. — და როცა ენიმ ინდაურის ორი სანდვიჩი, პევიმ კი ქლიაუის პუდინგის მოზრდილი ნაჭერი ჩაუწყვეს ჯიბეში, მაშინვე ენდი გაახსენდა.

მაგრამ ენდისთვის საჭმლის გაყოფაზე სერიოზულად არც უფიქრია, ვინემ რუდიმ ბანაკზე სიმღერა არ წამოიწყო. ამასთან თავისი უეცარი გაავეების, გაფიცებისა და თვითღამღუპველი ყოყონობის გამო, რისი მსხვერპლიც ახლა წითური გახდა, თვითონვე შეეხუთა სული და იძულებული გახდა ღამის სათვეის მაგივრად რაღაც ისეთი მოეძია, რაც ძვირფასი იქნებოდა მისი სულისთვის, ვინაიდან ახლა ფრენსისს უპირველესად სჭირდებოდა რწმენა უბრალო გადაწყვეტილებებისა. აბუეტი ენდი — კაცი, რომელსაც მარჯვენისა და მარცხენის გარჩევა უჭირდა, მაინც გადარჩა იმისათვის, რათა დასახლებულიყო უსარგებლო ეპითიმეათა ქალაქში და ამით მადლობელიც კი ყოფილიყო — ფრენსისსათვის წარმოადგენდა ისეთ არსებას, რომელიც ყურადღებით შესწავლას იმსახურებდა. ფრენსისმა ის იოლად იპოვა, როდესაც ბებერი წულას მანქანა ბანაკის წინ ყამირგზაზე შეჩერდა. ენდი ჩაფერულილ კოცონთან თვლებდა. ფრენსისმა გააღვიძა და ვისკის ბოთლი მიაწოდა.

— დალიე, მეგობარო, სულის მალამო.

— გამარჯობა, ფრენსის, როგორა ხარ?

— ფეხებს რიგრიგობით ვაბიჯებ, ევებ სადმე მიმიყვანონ-მეთქი, — უპასუხა ფრენსისმა. — სასტუმრო ღიაა? ორიოდე მაწანწალა მოგიყვანე. ეს ბებერი წულაა, ამბობს, აღარ ვარ მაწანწალაო, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. ეს კი რუდი-პუდელია, კარგი კაცი.

— გამარჯობათ, დასხედით, — თქვა ენდიმ, — ვგრძნობდი, რომ მოხვიდოდი. კოცონი ჯერ ისევ ანთია. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ოღონდ სახლში ცოტა ცივა. გათბობას ახლავე ჩაერთავ.

კოცონს გარშემო შემოუსხდნენ, ენდიმ კოცონს ნაფოტები და ჩხრიბალი დააყარა, აღმაც მალე იმ სიმაღლეს მიაღწია, სადაც მუდამ მეუფებს ცეცხლი.



აღმა სიცოცხლე შთაბერა ცივ ღამეს და ადამიანები ხელეხს ითბობდნენ მის ირგვლივ.

ენდის ზურგს უკან ვილაც გამოჩნდა. ენდი შეტრიალდა და მკაკ მიჩივანული პირველყოფილ კერიასთან მიიპატიჟა.

— მოხარული ვარ, რომ გავიცანი, — უთხრა მაკს ფრენსისმა, — შენზე ამბობენ, ამ დღეებში ხვრელში ჩავარდაო.

— კისერი შეიძლება მომეტეხა.

— მოიტეხე? — ჰკითხა ფრენსისმა.

— რომ მომეტეხა, ხომ მოკვდებოდი.

— რაკილა ცოცხალი ხარ, ეტყობა, არ მომკვდარხარ.

— თვითონ ეს ვინღაა? — ჰკითხა მაკმა ენდის.

— წესიერი კაცია, მატარებელში გავიცანი.

— ჩვენ ყველანი წესიერები ვართ, ჯერ მაწანწალა არ შემხვედრია, რომ არ მომწონებოდას, — თქვა ფრენსისმა.

— ეგ უილ როჯერსმა<sup>1</sup> თქვა, — აუწყა რუდიმ.

— ვერ მოგართვი, ეს მე ვთქვი, — უპასუხა ფრენსისმა.

— არ ვიცი, იმან ასე თქვა. რაც ვიცი, ყველაფერი გაზეთებში წამიკითხავსო,<sup>2</sup> — თქვა რუდიმ.

— მაშ, კითხვა იცი? — ჰკითხა ფრენსისმა.

— ჯეიმს უაიტმა ორთქლის მანქანა გამოიგონა, მაშინ სულ ოცდაცხრა წლის იქნებოდა.

— ეგ ჯადოქარი იყო, — თქვა ფრენსისმა.

— სწორია. ჩარლზ დარვინი ძალზე გამოჩენილი ადამიანი იყო. ბოტანიკა იცოდა. 1936 წელს გარდაიცვალა.

— რაზე ლაპარაკობს? — იკითხა მაკმა.

— არაფერზე. ლაპარაკისთვის ლაპარაკობს, — მიუგო ფრენსისმა.

— სერ ისააკ ნიუტონმა, იცით, რა უყო ვაშლს?

— ეგ ვიცი, მიზიდულობა აღმოაჩინა, — თქვა ბებერმა წულამ.

— სწორია. იცი, როდის იყო ეს? 1936 წელს. ის ორი ბებიაქალის წყალობით გაჩნდა.

— გარგა ბეერი შეგიტყვია ამ ჯადოქართა შესახებ, — უთხრა ფრენსისმა.

— ღმერთს ქურდი უყვარს, მე კი ქურდი ვარ, — აღიარა რუდიმ.

— ჩვენ ყველანი ქურდები ვართ, რა მოიპარე? — ჰკითხა ფრენსისმა.

— ჩემს ცოლს სიყვარული მოვპარე.

— მერე რა უყავი?

— უკან დაკუბრუნე. შესანახავად არ ღირდა. იცი, სად არის ირმის ნახტომი?

— სადღაც იქ, — თქვა ფრენსისმა და ვარსკვლავებით არნახულად მოჭედულ ცას ახედა.

— მშოია, — თქვა მაკ მიჩივანულმა.

— აჰა, მოკბიჩე, — უთხრა ენდიმ და პალტოდან ერთი თავი ვეება ხახვი ამოიღო.

— ეს ხომ ხახვია? — იკითხა მაკმა.

— ეგეც ჯადოქარი ბრძანდება, — თქვა ფრენსისმა.

1. ამერიკელი აქტიორი და იუმორისტი (1879–1935).

2. ამ ფრაზით იწყებდა როჯერსი თავის გამოსვლებს.



— მაკმა აიღო ხახვის თავი, შეათვალიერა და ენდის უკან დაუბრუნა, იმან კი მოკბინა და ისევ ჯიბეში ჩაიღო.

— მაღაზიაში მომცეს, — თქვა ენდომ, — მე ვეუბნები, ბატონო, მშოია, რაღაც მინდა შევჭამო-მეთქი. იმან კი ორი თავი ხახვი მომცა.

— ფული ხომ გქონდა, ვითხარი, პური იყიდე-მეთქი, შენ კი ღვინო იყიდე, — უთხრა მაკმა.

— ღვინო და პური ერთად ვერ თავსდება, შენ რა, ფრანგი ხარ? უთხრა ენდომ.

— თუ საჭმელიც გინდა იყიდო და დასალევიც, სამუშაოზე მოეწყვე, — ურჩია ფრენსისმა.

— წინა კვირას გოლფის მოთამაშეებს ბურთს ვაწოდებდი, — თქვა მაკმა, — ვაგლახი სამუშაოა, ბორცვებზე ებობლები. თვითონ შიპებიანი ფეხსაცმელი აცეთათ და ვეუბნებიან: მიდი, მიდი, მიდი, გაინძერი, მაწანწალაო. წავიდოდი სამუშაოდ, მაგრამ არ შემიძლია. ვიშოვი ხუთ-ექვს დოლარს და მატარებელზე დავეჯდები. მე მაწანწალა კი არა, ბოსიაკი ვარ.

— ნამეტანი ბევრს მოძრაობ, მაგიტომაც ჩავარდნილხარ ხერულში.

— ჰო, იმ სახლში ჩემი ფეხი აღარ იქნება. თქვეს, იქ პოლიციელებს ყოველ დამე აყავთ ხალხიო. ვინც ერთ ადგილას იჯდება, წააგებს, სიარულით — მოიგებს.

— ამ საღამოს პოლიციელები აქაც იყვნენ, ფარნებით გვანათებდნენ, მაგრამ არავინ წაუყვანიათ, — თქვა ენდომ.

ღვინო ხელიდან ხელში გადადიოდა, ენდი კოცონს ქიხში შენახულ შეშას უმატებდა. ფრენსისს გაახსენდა — ბილიმ კოსტუმი და პალტო ჩაიცვა, შლაპა დაიხურა და წასვლისას ეჩვენა. შლაპა მოგწონს? — ჰკითხა მან. მომწონსო, უთხრა ფრენსისმა. ჩემი დაკვარგე, ამას პირველად ვიხურავ, არაუშავს გამოიყურება, არა? — ჰკითხა ბილიმ. სტილურად გამოიყურებო, უთხრა ფრენსისმა. ძალიან კარგი, დროა ქალაქში წავიდე, თქვა ბილიმ. კარგი, უთხრა ფრენსისმა. ისევ შევხვდებით ერთმანეთს, უთხრა ბილიმ. ეჭვიც ნუ გეპარებო, მიუგო ფრენსისმა. ოლბანიში დარჩები თუ სადმე გაემგზავრები? — ჰკითხა ბილიმ. ჯერ არ ვიცი, რაღაც-რაღაცების მოფიქრება მჭირდება, მიუგო ფრენსისმა. ყოველთვის ასეა ხოლმეო, უთხრა ბილიმ. მერე ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ლაპარაკი აღარ გაუგრძელებიათ.

თვითონ ერთი საათის შემდეგ წამოვიდა, ხელი ჩამოართვა ჯორჯ ქუინს, ფრანტივით გამოწკვიბილ კაცს, უკბილო ანეკდოტებს რომ ჰყვებოდა. პეგი კი მამას მაგრად მოეხვია და ლოყაზე აკოცა. კოცნაც ამას ჰქვია! მერე ენომ ორივე ხელით აიღო მისი ხელი და უთხრა: აუცილებელივ მოდი. რა თქმა უნდა, უპასუხა ფრენსისმა. არა, უთხრა ენომ, უსიკვდილოდ უნდა მოხვიდე და ბევრ რამეზე ვისაუბროთ, მინდა შეიღებზე და ოჯახზე მოგიყვე. თუ დარჩენას მოისურვებ, დანისთან დაგიდგამ საწოლს, მერე ნაზად აკოცა ტუჩებში.

— ეი, მაკ, შენ მართლა მშოიერი ხარ თუ სათქმელი არაფერი გაქვს და ტყუილად აცმაცუნებ. ტუჩებს? — ჰკითხა ფრენსისმა.

— მშოიერი ვარ, დილიდან არაფერი მიჭამია, ცამეტი-თოთხმეტი საათი იქნება აღბათ, — მიუგო მაკმა.



— აჰა, — უთხრა ფრენსისმა და ინდაურის სანდვიჩის ნახევარი მიაწოდა, — ოღონდ ერთი-ორჯერ მოკბიჩე, სულ ნუ შეჭამ.

— კეთილი, — უთხრა მაკმა.

— ხომ გითხარი, კარგი კაცია-მეთქი, — თქვა ენდომ.

— შენც გინდა? — ჰკითხა მას ფრენსისმა.

— მე ხახვს ვიმყოფინებ, აი, იქ, როიალის ყუთთან, — უთხრა ინდაურმა, იმან იკითხა წყდან საჭმელი. თოთო ბავშვი ჰყავს, — უთხრა ინდაურმა.

— თოთო ბავშვი?

— თოთო ბავშვი და ცოლი.

ფრენსისმა მაკ მიჩიგანელს მორჩენილი სანდვიჩი გამოართვა და კოცონით ოღნავ განათებულ სიბნელეში როიალის ყუთთან მივიდა. ყუთის წინაც კოცონი ენთო. გვერდით თურქულად ფეხებმოკეცილი კაცი იჯდა და თბებოდა.

— გავიგე, ბავშვი გყოლიათ, — უთხრა ეჭვის თვალით მზირალ კაცს. კაცმა თავი დაუქნია და ყუთზე მიუთითა. სიბნელეში ფრენსისმა ძლიერ გაარჩია ჩვრებში გახვეული ბავშვის მსგავსი, რაღაცის ირგვლივ მობღუნებული ქალი.

— ცოტა ხედმეტი საჭმელი მაქვს, — უთხრა ფრენსისმა და კაცს მორჩენილ სანდვიჩთან ერთად ხელუხლებელი სანდვიჩიც გაუწოდა, — ეს კი ტკბილეულია, — და პუდინგიც მისცა.

კაცმა საჩუქარი გამოართვა და სახეზე ისეთი განცვიფრება გამოეხატა, გვეკონებოდა, უწყლო უდაბნო ელვამ გაანათაო. სანამ გონზე მოვიდოდა, მისი კეთილისმყოფელი უკვე გაქრა. ფრენსისმა ენდის კოცონთან თავისი ადვილი დაიკავა. რუდის გარდა, თავი მკერდზე რომ ჩამოვარდნოდა, ყველა ფრენსისს მიჩერებოდა.

— მიეცი საჭმელი?

— ჰო. კარგი ბიჭია. მე დღეს მაინც ყელამდე ვარ.

— რამდენი ხნისაა ბავშვი?

— სამი თვისააო.

ფრენსისმა თავი გააქნია.

— მეც მყავდა ბიჭი. ჯერალდი ერქვა. ძირს დავარდა, კისერი მოსტყდა და მოკვდა. ცამეტი დღისა იყო.

— ვერაა კარგი ამბავი, — თქვა ენდომ.

— ამაზე არასოდეს არაფერი გითქვამს, — უთხრა ბებერმა წულამ.

— იმიტომ რომ ხელიდან მე დამივარდა. ჩვრებში გახვეული ავიყვანე, ის კი ჩვრებიდან გამისხლტა.

— დალახეროს ეშმაკმა, — თქვა ბებერმა წულამ.

— ამას ვერ შევეგუე; ოჯახიდან მაგიტომ გამოვიქეცი. წინა კვირას ჩემს მეორე ვაჟიშვილს შევხვდი, მითხრა, დედას ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამსო. კაცს დაუვარდა ბავშვი, ბავშვი მოკვდა, დედას კი ამაზე კაციშვილთან სიტყვა არ დასცდენია. ვერ გამიგია, ოცდაორი წელი ქალი ასეთ საიდუმლოს როგორ ინახავს და ჩემნაირ ადამიანს როგორ ზოგავს?

— ქალებს ვერაფერს გაუგებ, — თქვა მაკ მიჩიგანელმა, — ჩემი ცოლი ხანდახან მთელი დღე სხვასთან კოტრილობდა, მერე ჩემთან მოდიოდა და მეუბნებოდა, შენ გარდა ჩემთვის ხელი არავის დაუკარებიაო. თვალი მაშინლა ამეხილა, სახლში ორთან ერთად რომ მივუსწარი.

— მე მაგისტანებზე როდი ვლაპარაკობ, — თქვა ფრენსისმა, — მე ქუჩის კახებზე კი არა, ნამდვილ ქალზე გეუბნებით.

— ლამაზი კი იყო, — თქვა მაკმა, — ხასიათიც არაჩვეულებრივი ჰქონდა.



- ჰოო, იმას ყველაფერი ფეხებშუა ჰქონია, - უთხრა ფრენსისმა. რუდიმ თავი ასწია და ბოთლს სინათლეზე გაჭხედა.
  - კაცი რისგან ლოთდება? - იკითხა მან.
  - ღვინისგან, იმისგან, რაც ხელში გიჭირავს, - უპასუხა ბებერმა წულამ.
  - დასწყევლოს ეშმაკმა, დასაღვევი აღარაფერი გვაქვს, ჩვენი საქმე წასულაია, - თქვა რუდიმ.
- ერქენული  
განსუნი
- შორს მოტორების რახრახი და ავტომობილთა კარების ჯახუნა გასისმა.

არა, ტყუილად თქვა ფრენსისმა უცხო ხალხთან აღსარება. ჯერალდზე საუბარი შეცდომა იყო - გულთან ახლოს არავის მიუტანია და არც მას დაუმშვიდდა სინდისი. ფრენსისმა დაასკვნა, რომ სხვა უამრავ გადაწყვეტილებათა შორის კიდევ ერთი არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ საერთოდ არ შეეძლო სწორი გადაწყვეტილების მიღება, რომ მისი მსგავსი უწესო, თავაწყვეტილი ადამიანი ამქვეყნად არ არსებობდა. ახლა იგი დარწმუნებული იყო, რომ ვერასოდეს აღიდგენდა წინასწორობას, რათა ეცხოვრა სხვებივით მშვიდობიანად, ძალადობისა და დეზურტირობის გარეშე, რათა სიბერეში რაღაცით მაინც ყოფილიყო ბედნიერი.

მას ვერ გაეგო, რით განსხვავდებოდა სხვა ადამიანებისაგან. კი, იცოდა, რომ რაღაცით მათზე ძლიერი იყო, სხვებზე მეტად მიდრეკილი ძალადობისკენ, გაქცევისაკენ სწრაფვა სისხლში გაჯდომოდა, და რომ ყოველივე ამას არავითარი კავშირი არა ჰქონდა წინასწარ განზრახვასთან. ვთქვათ, მას უნდოდა ქვა ესროლა ჰაროლდისათვის, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო. ფრენსისი სხვებსაც რომ ისევე სცნობოდათ, როგორც თვითონ იცნობდა საკუთარ თავს, განა შეძლებდნენ ეფიქრათ, რომ ის იყო მიზეზი ლოთიფოთი დიკის სიკვდილისა, შიბზდიკის გამოღადრული ყელისა, წითურის დალილავეებისა და სხვა უკვე დავიწყებულ თუ დიდი ხანია დამარხულ ადამიანთა ნაიარევეებისა?

სულის სიღრმეში, სადაც უთქმელად იბადება დასკვნები, იგი საკუთარ თავს ეუბნებოდა: რაც დამრჩა, ეს ჩემი დანაშაულია, თუ ამასაც გამოვეთხოვე, მაშ არაფრად ვღირებულვარ, არაფერი გამიკეთებია და არც არაფერი ვყოფილვარ.

და თავი ასწია თუ არა, დაინახა, ლეგიონერისქუდიანი ადამიანები როგორ უახლოვდებოდნენ კოცონს და ხელში ბეისბოლის ბიტები ეჭირათ.

ქუდიანი ხალხი ბანაკში გამძვინვარებით შემოიჭრა. უხმოდ ამხობდნენ ძირს ყველაფერს, რაც კი მიწის ზემოთ იყო. ანგრევდნენ დროისა თუ ავდრისაგან ისედაც სანახევროდ დაქცეულ ქოხებს, ფარდულებს. ვიღაცამ მოჰკრა თუ არა მათ თვალი, გამოვარდა თავისი ხუხულიდან და ყვირილ-ყვირილით: ალფა, ალფაო, გაიქცა. ამ ყვირილზე გამოღვიძებული სხვა მაწანწალებიც თავიანთი ბარგიბარხანიანად მის კვალს მიჰყვნენ. ენდის სტუმრებმა მაშინლა შეამჩნიეს თავდამსხმელების მოახლოება, როცა პირველი დანგრეული ქოხი უკვე იწვოდა.

- რა ეშმაკი ხდება? - გაუკვირდა რუდის, - ყველა რატომ წამოხტა? ფრენსისს, შენ საით?

- ადექი, სულელო, - უთხრა ფრენსისმა და რუდიც წამოღვა.



— ეშმაკმა დალახვროს, ეს რა ხათაბალაში ვაუბი, — თქვა ბებერმა წულამ და კოცონიდან წელ-წელა უკან დაიხია.

წელში მოკაკული მაკ მიჩიგანელი მდინარისაკენ თავქუდმოგლეჯილი გარბოდა.

თავდამსხმელები წინ მოიწვედნენ და ბანაკს ანადგურებდნენ. ერთ-ერთმა ორი დარტყმით მიწასთან გაასწორა ქობი. მის უკან მომავალმა დანჯერულს ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა. ისინი ოციოდე მეტრით იყვნენ დაცილებულნი ენდის ფარულს. ენდი, რუდი და ფრენსისი მოჯადოებულებივით გაუნძრევლად მისჩერებოდნენ რაც ირგვლივ ხდებოდა.

— უნდა წაეიდეთ, — თქვა ენდომ.

— ქობში რაიმე გაქვს ღირებული? — ჰკითხა ფრენსისმა.

— ღირებული მარტო საკუთარი ტყავი მაქვს და ისიც თანა მაქვს.

სამივემ სწრაფად დაიხია უკან. ფრენსისმა წასვლისას როიალის ყუთს ჩახელა — ყუთი ცარიელი იყო.

— ვინ არიან, რატომ ამსხვრევენ ყველაფერს? — იკითხა რუდომ.

არავინ უპასუხა.

რამდენიმე ქობი და ხუხულა უკვე იწვოდა. ცეცხლის ენების შუქზე ფრენსისმა დაინახა, ერთ-ერთმა თავდამსხმელმა როგორ დაარტყა ბიტი ფარულს და იქიდან ოთხით როგორ გამობობლდა კაცი. ძლიერად მოქნეული ბიტი თავდამსხმელმა უკანალზე უცხუნა მას, კაცი ფეხზე წამოხტა, თავდამსხმელმა ერთი კიდეც უთავაზა, კაცი კოჭლობით გაიქცა.

ფრენსისი, რუდი და ენდიც გასაქცევად ემზადებოდნენ, რაკი მიხვდნენ, რომ ღამე დემონებით იყო სავსე. მაგრამ შეტრიალდნენ თუ არა, დაინახეს, რომ მარცხნიდან ბიტებმომარჯვებული კიდეც ორი თავდამსხმელი უახლოვდებოდათ.

— ბინძური მაწანწალები, — თქვა ერთმა და ენდის ბატი მოუქნია. იგი მარჯვედ გაუსხლტა, გაიქცა და სიბნელემ შთანთქმა. თავდამსხმელმა საპირისპირო მხარეს მოიქნია ბიტი და მთურად რუდის ქეჩოში ხეთქა. რუდი ძირს დაეცა. ფრენსისი ეცა თავდამსხმელს, ბატი გამოგლიჯა, უკან გახტა და ორივეს პირისპირ აღმოჩნდა. მისკენ წამოსულებს სახეზე უღმობელი და ცოფიანი ძაღლის დაღრჭენილი კბილებივით უმისამართო სიძულვილი აღბეჭდოდათ. მეორე თავდამსხმელმა ბიტი მოიმარჯვა და ვერტიკალურად მოუქნია, რაც ფრენსისმა იოლად აიცდინა, უმაღლ წინ წადგა ნაბიჯი და ისეთი ძალით დასცხო ბიტი მას, ვინც რუდი წააქცია, ადამიანის ადგილას ბეისბოლის ბურთი რომ ყოფილიყო, რაგინდარა სტადიონზე მინდურის საზღვარს გადასცილდებოდა. ფრენსისმა აშკარად გაიგონა, როგორ გადაუტყდა თავდამსხმელს ხერხემალი, და სიამითა და კმაყოფილებით დააცქერდა ბალახებზე უხმოდ დაცემულ დაკრუნჩხულ სხეულს.

მეორე თავდამსხმელი ეცა ფრენსისს და წააქცია, მაგრამ ბიტით კი არა, ჩასკვნილი სხეულის სიძიმით. ისინი მიწაზე გაგორდნენ. ფრენსისმა, როგორც იქნა, თავი გაინთავისუფლა და მოწინააღმდეგეს გვერდიდან ყელთან სთხლიშა, მაგრამ ის მაგარი და ამასთან ცქვიტი გამოდგა. ფრენსისმა მუხლებზე რომ წამოიწია, ის უკვე ფეხზე იდგა და ბიტი დასარტყმელად მოემარჯვებინა. ფრენსისის ბიტმა მოხაზა ნახევარწრე და მოწინააღმდეგეს მუხლებში ეკვეთა. კაცს ფეხები სახსრებში შეუტრიალდა და ძირს ღრიალით მოადინა ზღართანი.

ფრენსისმა აიყვანა რუდი, არადამიანური ხმით რომ კვნესოდა, მხარზე შეიგდო და მთელი ძალით მდინარისაკენ გაიქცა. იქ შემოტრიალდა და მდინარის გაყოლებით ქალაქისაკენ გასწია. მერე მაღალ, უკვე გამხმარ შამბებში ერთხანს



შეიკადა და სულის მოსათქმელად რუდის გვერდით მიუწვა. არავინ მოსდევდათ. გამარცხული ხეების იქით კი ჩანდა, როგორ იწვოდა ბანაკი.

ფრენსისს ხელი სისხლით ჰქონდა მოსვრილი. მდინარეში ცხვირსახოცი დაასველა და სისხლი მოიბანა. დალია მდინარის ყინულივით ცივი წყალი. ლოყები რომ დაისველა, მიხვდა, სისხლი სდიოდა და ზედ სველი ცხვირსახოცი მიიღო.

- ვინ იყვნენ? — იკითხა რუდემ, გონზე რომ მოვიდა.
- მეორე გუნდის ბიჭები, არ უყვართ ჩვენისთანა ტურტლიანი მანქანალები.
- შენ არა ხარ ტურტლიანი, ახალი კოსტუმი გაცვია, — ძლივს ამოიხრიალა რუდემ.

- ეშმაკსაც წაუღია კოსტუმი. თავი როგორა გაქვს?
- არ ვიცი, ასეთი რამ არასოდეს მიგრძენია.

ფრენსისმა ხელით მოუსინჯა ქეჩო. სისხლი არ სდიოდა, მარტო ვეებერთელა კოპი აჯდა.

- სიარული შეგიძლია?
- არ ვიცი. სად არის ბებერი წულა თავისი მანქანით?
- ალბათ წავიდა. ეტყობა, მანქანა იძებნება. მოიპარა ალბათ. ადრე ამ საქმეს მისდევდა.

ფრენსისი წამოდგომაში მიეხმარა რუდის, მაგრამ მან დგომა და სიარული ვერ შეძლო. მაშინ ფრენსისმა ისევ მხარზე მოიგდო და სამხრეთისაკენ გასწია ნორტ-პერლ-სტრიტზე ყოფილ ჰომეოპათიურ მემორიალურ საავადმყოფოსკენ. იქამდე კი შორი გზა იყო, მაგრამ ამ წყეულ ქალაქში სხვაგან დამით არსად იყო ადგილი და მთელი გზა ფეხით მოუხდებოდა სიარული. ამ საათებში ტრამვაისა და ავტობუსების ცდაში რუდის შეიძლება თხრილში ამოხდომოდა სული.

ფრენსისს ჯერ ერთ მხარზე ჰყავდა მოკიდებული რუდი, მერე მხარი შეიცვალა. როცა მიხვდა, რუდის ასე თუ ისე შეეძლო ხელების მოხმარება, იგი ზურგზე მოიკიდა და სანაპირო გზით წაიყვანა, რათა არ გადასწყდომოდა პოლიციის საპატრულო მანქანას. ფრენსისი საავადმყოფოს კიბეზე ავიდა და რუდი წყნარ, სუფთა, კარგად განათებულ ცარიელ მისალებში შეიყვანა. მათ დანახვაზე მოწყალების დამ კედლიდან საკაცე წინ გამოაგორა და რუდის მიეხმარა ფრენსისის ზურგიდან საკაცეზე ჩამოცოცებულებიყო.

- თავი გაუტეხეს და სიარული აღარ შეუძლია, — უთხრა ფრენსისმა.
- როგორ მოხდა? — ჰკითხა მოწყალების დამ, თან რუდის ათვალეერებდა.
- ვიდაც არანორმალურმა მედიკონ-ავენიუზე ავური ჩაართყა.
- ექიმს გამოვუძახებ. ეს კაცი მოვრალია.
- ახლა საქმე ეგ როდია. მაგას კუჭის კიბოც აქვს, თუმცა ამჯერად თავში სჭირს მთელი უბედურება. მაგრად მოხვდა, მაგრამ, დამერწმუნეთ, მაგისი ბრალი არ ყოფილა.

მოწყალების და ტელეფონთან მივიდა, ნომრები აკრიფა და მშვიდად გააბა საუბარი.

რუდემ ფრენსისს ამღვრეული თვალებით შეხედა და უსიტყვოდ გაუღიმა. ფრენსისმა მხარზე ხელი დაჰკრა და გვერდით მიუჯდა. მან საკუთარი თავი დაინახა კარადის სარკეში, ბაფთა მობრეცოდა, პერანგი და პიჯაკი სისხლით დასვროდა, სახე მოთხუპნოდა, კოსტუმი ტალახში ამოსვროდა. ქალსტუხი გაისწორა და ტალახი აქა-იქ ჩამოიბურტყა.

მეორედ დარეკვისა და საუბრის შემდეგ მოწყალების და დაბრუნდა, რუდს



ჩაჯა გაუსინჯა, სტეტოსკოპი მოიტანა, გულზე დაადო და ფრენსისს უთხრა, უკვე მკვდარიაო. ფრენსისმა მეგობარს დახედა, მას სახეზე ისევ ღიმილი ეფინა.

— რა ერქვა? — იკითხა მოწყვლების დამ და ფანქარი და საავადმყოფო ფურცელი მოიმარჯვა.

ფრენსისი პირზე ღიმილშეყინულ რუდის დააჩერდა. ისააკ ნიუტონს, ვაშლის ნიუტონს, ორი ბებია ქალის მიერ გაჩენილს.

- მითხარით, თუ შეიძლება, რა ერქვა? — გაუმეორა მოწყვლების დამ.
- რუდი ერქვა.
- რა გვარია?
- რუდი ნიუტონი, — მიუგო ფრენსისმა, — მან იცოდა, სად არის ირმის ნახტომი.



ფრენსისი სასტუმრო „პალომბოსაკენ“ რომ გაეშურა, რათა გამთბარიყო და ელენის გვერდით დაწოლილს ეფიქრა იმაზე, რაც მოხდა ანდა ამის შემდეგ რა უნდა ექნა, პირველი ეკლესიის საათი სამსა და თხუთმეტ წუთს აჩვენებდა. ფრენსისი კიბის ბაქანზე გვერდს აუვლის დამის პორტიეს, ხელს დაუქნევს მას და იმ ოთახში ავა, სადაც მუდამ ჩერდებოდნენ ის და ელენი. ჭუჭყიანი დერეფნისა და გაცეუთილი ხალიჩის დანახვაზე გაახსენდება, რომ მისთვის და ელენისათვის ეს მაინც ფუფუნება იყო. კარის ქვემოთ სინათლე კი დაინახა, მაგრამ მაინც დააკაკუნა, რათა გაეგო, ოთახში მართლა ელენი იყო თუ არა. არავინ გამოხმაურებია. კარი რომ შეაღო, ელენი დაინახა — იატაკზე იწვა კიმიონთი.

კარი მიკვია და დიდხანს დაჰყურებდა ელენს. გაშლილი თმა იატაკს ღამაზად დაფენოდა. ცოტა ხანს შეიცადა, მერე იფიქრა, საწოლზე დავაწვენო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ისედაც კარგად და მოხერხებულად იწვა და ისე გამოიყურებოდა, თითქოს სძინავსო.

სავარძელში ჩაჯდა. მერე ვერ იტყვის, რამდენ ხანს იჯდა ასე და ფიქრობდა, სწორედ მოვიქცევი, საწოლზე რომ არ გადავაწვინეო.

იმიტომ რომ მოკრუნჩხული არ იყო.

ჩაიხედა ღია ჩემოდანში, იპოვა გაზეთებიდან თავისი ძველი ამონაჭრები და პიჯაკის უბეში ჩაიღო, თავისი სამართებელი, ჯიბის დანა, ელენის ყალბბრილიანტიანი ბაფთაც პიჯაკის ჯიბეებში ჩაილაგა. კედლის კარადაში ელენის პალტოში 3 დოლარი და 35 ცენტი აღმოაჩინა და ისიც შარვლის ჯიბეში შეინახა. ნეტა საიდან უნდა ჰქონოდა ელენს ეს ფული? გაახსენდა, ორი დოლარი რომ დაუტოვა, თუმცა ახლა ამ ფულს ვერც ელენი და ვერც თვითონ ვეღარ მიიღებდნენ. დაე, დონოვანს ჩაის ფულად ჰქონდეს. მადლობო, იტყვის ელენი.

მერე საწოლზე ჩამოჯდა და იქიდან უცქერდა ელენს, მის დახუჭულ თვალებს და გაახსენდა, რა ღია მწვანენი იყვნენ სიცოცხლეში ეს წყვეული ზურმუხტები. კარგა ხანს იჯდა ასე, ცდილობდა ელენის დახუჭული თვალების მიღმა ჩახედვას. ამ დროს ზურგს უკან ქალების საუბარი მოესმა.

უკვე გვიანაა, ამბობდნენ ქალები, გვიანაა ახლა მის სულში ჩახედვა. ის კი მაინც დასცქერის, იცის, ბალიშზე პატეფონის რომელი ფირფიტა დევს, იცის, რა სიმღერას იყიდოდა თუ მოიპარავდა ელენი, ალბათ თავის საყვარელ „ნანა, ნანანა, შავო შაშვოს“, და ფრენსისს ესმის, როგორ უმღერიან დაბალი ხმით ქალები ელენს ამ სიმღერას. თვითონ კი უჭკრეტს ელენის სულზე მრისხანედ მზინავ ნაიარევებს.



და ფრენსისიც — ეს გაორებული კაცი — სან დროული, წელში მოკაკული მოკვდავი, ხან ისევ ბარტყი, ფრთებს ეს-ესაა რომ ისწორებს, ჩუმად უწყობს ხმას ქალებს: „მოვდივარ მშვიდი სიმღერით“, — და ეს სიმღერა ცხადს ვახდის მისთვის, რომ იგი ელენის სულში კი არა, თავის აბეზარ მერყევ მესხიფრებაში იხედება, მისთვის ნათელია, რომ რუდისაც და ელენსაც ახლა, გაცილებით უკეთ ესმოდათ მისი, ვიდრე თვითონ ოდესმე ესმოდა ან ახლა ესმოდნენ. მკვდრები ყველაფერს ხედავენ.

ელენის სიკვდილის შემდეგ ფრენსისი უკან დაახვევს თავის ცხოვრების გორგალს და დაინახავს ელენს, ნაზი სიყვარულის შემდეგ მის გვერდით რომ წევს იაპონური კიბონითი და ეუბნება: ამქვეყნად სხვა არაფერს ვნატრობ, გარდა იმისა, რომ ჩემი სახელი ოჯახს დაუბრუნდესო.

და ფრენსისი ფეხზე წამოდგება და დაიფიცებს, სადაც არ უნდა ჩაფლან ელენი, როდისმე მაინც მონახავს მის საფლავს და დაადებს ქვას, რომელზეც ამოტვიფრული იქნება: „ელენ მარი არჩერი, სპექტაკი სული“.

ფრენსისს გაახსენდება, როდესაც ქრებიან წმინდა სულები, ქვეყანა ივსება ბნელეთის ძალებით, რომელთაც თან მოსდევს ჭექა-ქუხილი, უთანხმოებანი და ცეცხლი. და იგი მიხვდება, რომ უნდა ელოცა ელენის სულის გადასარჩენად, ვინაიდან ახლა მას სხვა ვერაფრით ვერ უშველიდა. მაგრამ რამდენადაც ის ქვეყანა მას სხვაგვარად წარმოედგინა და არა ისეთ ზეციურ სასახლედ, სადაც ნეტარ სულთა ლევიონები თავყვანს სცემენ წმინდა მატლს, არამედ ყოვლად უმსგავსო ჯანლით დაფარულ ხვრელად, საიდანაც დედამიწა ცარიელდება, საიდანაც გადის დამპალი ცხოვრების მთელი სიმყრალე, — ფრენსისს აეკვიატა კითხვა, ასეთმა კაცმა ნეტა როგორ უნდა ილოცოსო.

მერე დაფიქრება და ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტს, რომ არაფრით არ შეეძლო ლოცვა არც ელენისთვის და არც საკუთარი თავისთვის.

მაშინ იგი ელენს ფრთხილად შეახებს და ფრთხილადვე გადაუსვამს ხელს თავზე, როგორც მამა გადაუსვამს ხოლმე ხელს თავის ახალშობილ ჩვილს ყიფლიბანდზე.

მერე გამოვა ელენის ოთახიდან, ისე რომ სინათლეს არ ჩააქრობს, გაივლის დერეფანს, კიბის ბაქანზე ხელს დაუქნევს საგარძელში მყვინთავ ღამის მორიგეს და ისევ ცივი ღამის სიბნელეს შეერევა.



განთიადისას ფრენსისი უკვე დელავერ-გუძონისკენ მიმავალ სატვირთო მატარებელში იჯდა, რომელიც მას უაშლის წყლის სანაპიროზე მიიყვანდა. იჯდა ცარიელ ვაგონში. ოდნავ მიხურულ კარს უკან, ქარს რომ არ დაებერა, და ნაცუცქებული უცქერდა, როგორ ქრებოდნენ ვარსკვლავები იასამნისფრიდან ვარდისფერში გარდამავალ აისის ცაზე. აღარ შესწევდა არც თვალის მოხუჭვისა და არც ფიქრის ძალა. აღარ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამის შემდეგ და არც შესაძლებლობათა შორის არჩევანის გაკეთება შეეძლო. ახლა მხოლოდ იმაში იყო დარწმუნებული, რომ სამყაროში, სადაც ცხოვრობდა, მოვლენები თვითონვე წყვეტენ ყველაფერს, რომ ერთადერთი, რაც აღამიანს შეუძლია, ის არის, რომ იყოს ერთი ნახტომით ახლოს ამ ყოვლად აუხსნელსა და მიუწვდომელ მოვლენათაგან.

მან დაინახა ჯერალდი, მისი ვერცხლის ძაფით შემოგარსული საფლავი, მერე ეს ხილვა გაქრა, ისე როგორც ქრებიან ვარსკვლავები, ისე რომ, მისი თმის



ფერის ვახსენებაც ვერ შეძლო. მერე დაინახა ყველა ქალი, მერე ისინი სამად იქცნენ, მერე გაქრნენ და დარჩა მხოლოდ ქეთრინის მშვენიერი ბაგე, რომელზეც უხმოდ იხატებოდა სათქმელი. და მაშინ მიხვდა, რომ უკან ტოვებდა უფრო მეტს, ვიდრე ქალაქი და მის წუთისოფელში დაგროვილ ცხედართა გაღერვა იყო, ის უკან ტოვებდა ელენის სულის ნაიარევთა ნათელ მოგონებასაც.

მატარებელმა წყლის ასაღებად სვლა რომ შეახელა, ჯეფერსონმა დაიწყო წუწკი ბილი. იმ მაწანწალისთვის, ხველებამი რომ ამოსძვრა სქელს, საკმაოდ მოხდენილად გამოიყურებოდა: ეცვა ლურჯზოლიანი ტილოს კოსტუმი, ბეისბოლის ახალ-თახალი ბურთისფერი ფეხსაცმელი და ეხურა ჩალის შლაპა.

— სიცოცხლეში ასე კარგად არ გამოიყურებოდი, ეტყობა, იქ ცუდად არ უნდა გრძნობდე თავს, — უთხრა ფრენსისმა.

მისვლისას ყველას სათითაოდ იტალიელ მკერავს მიუჩენენ, — აუხსნა ბილიმ, მაგრამ შენ ეს მითხარი, მეგობარო, ამჯერად ვიღას გაურბიხარ?

— ვისა და ისევ იმ ქოფაკ პოლიციელებს, — მიუგო ფრენსისმა.

აქ არც ერთი პოლიციელი არ ჩანს, — უთხრა ბილიმ.

— სამოთხემდე შეიძლება არც ერთს არ მოუღწევია, მაგრამ მე კი აქ მომიმ-  
წყვდიეს.

— არ მოგდევენ-მეთქი პოლიციელები.

— ნამდვილად იცი?

— შენისთანა კაცს როგორ გავაბრიყვებ.

ფრენსისს გაეღიმა და რუდივით აღიღინდა იმ მხარეზე, სადაც ლურჯი ფრინველი ძღერის. მერე მოსვა ვისკი „მწვანე მდინარის“ უკანასკნელი ყლუბი, რომელიც ახლა ცივი და გამაცოცხლებელი ეჩვენა, და ენის სხვენი წარმოიდგინა.

შესანიშნავი ადგილია, უთხრა ბილიმ. კუთხეში, შენი სკივრის გვერდით საწოლიც უდგათ.

— ჰო, დავინახე, — უთხრა ფრენსისმა.

ფრენსისი ვაგონის კართან მივიდა და ცარიელი ბოთლი მთვარეს ესრო-  
ლა. ბოთლი ამომავალი მზის მხარეს წავიდა. ზეცაში მოსრიალე ბოთლი მთვარესთან ერთად ბანჯოსავით ტკბილად ამღერდა. მათმა ღვთაებრივმა ხმებმა ფრენსისს მოუხმო ვაგონიდან გადმომხტარიყო და თავშესაფარი ფელანების წმინდა ჭერქვეშ ეძია.

— გესმის მუსიკის ხმა?

— მუსიკისა? ვერ ვიტყვი, მესმის-მეთქი.

— ბანჯოა, ძალზე ტკბილი ბანჯო. ეს ვისკის ბოთლი უკრავს. ბოთლი და მთვარე.

— შენ უკეთ იცი, — უთხრა ბილიმ.

ფრენსისმა ისევ მიაყურადა ბოთლსა და მთვარეს და უფრო მკაფიოდ მოესმა მუსიკის ხმა. თუკი ასეთი მუსიკა გაიგონე, აქ რას უწევხარ. შეგიძლია წამოდგე საწოლიდან, მიხვიდე მანსარდის უკანა ფანჯარასთან და უყურო, როგორ აფრენს მტრელებს ჯეიკ ბეკერი. მტრელები მთელ კვარტალს მოედებიან, ირგვლივ, ირგვლივ იტრიალებენ და, როცა ჯეიკი დაუსტვენს, ყველა უკან, გალიაში ბრუნდება.

— მეორე საუზმისათვის რა მოგიმზადო? — ჰკითხა ენიმ.

— წუნია არა ვარ. ინდაურის სანდვიჩი ზედგამოჭრილი იქნება.

— ჩაიც გინდა?

— ჩაი ყოველთვის მინდა, — თქვა ფრენსისმა.



სკოლის სპორტულ მოედანზე ფეხბურთის თამაშს თუ მტრედებს, რომ უყუ-  
რებდა სხვენის სარკმლიდან მოშორებით იდგა, არავის რომ არ დაენახა.

— თუ ვერ დაგინახეს, ყველაფერი ჩაივლის, — უთხრა ენიმ.

ენი თეთრეულს კვირაში ორჯერ უცვლიდა, ჩამოუფარა ჩაღობი ფარ-  
დები, იყიდა წყვილი მუქი სქელი ფარდაც, რათა ხალამოთი გაზეთის კითხვა შე-  
ძლებოდა.

ნეტა შეიტყობენ თუ არა, რომ იმ კაცს ხერხემალი ფრენისას გადაუტეხა.  
ეძებენ თუ არა? ეგებ არ ამჟღავნებენ, რომ ეძებენ. სკივრში ძველი სავარჯიშო  
სვიტრი ნახა და საყელაწეულს იცვამდა ხოლმე, სახე რომ დაემალა. იპოვა  
ჯორჯ ქუინის პილოტურაც. პილოტურას რომ იხურავდა, ჯარისკაცს ჰგავდა.  
ჯარში რომ წასულიყო, წოდების მინიჭებამდე იმსახურებდა. დისციპლინა მუ-  
დამ მოსწონდა. აზრად არავის მოუვა ჯორჯის პილოტურაში მისი შეცნობა.

— ფრენ, შელე გიყვარს? — ჰკითხა ენიმ, — მგონი, შენთვის შელე არასოდეს  
გამიკეთებია. ვერ გამიხსენებია, მაშინ ჰყიდდნენ თუ არა „ჯელ-ო“-ს.

თუ ეძებენ, მაშინ მორჩა ყველაფერი. გაემგზავრება იქ, სადაც თბილა, სა-  
დაც არც ხალხისაგან გაქცევა დასჭირდება და არც აუდრისაგან სადმე თავის  
შეფარება.

ემპირეა — სულაც არ არის სივრცე, იგი არ მოძრაობს და არც პოლუსები  
გაჩნია. ის სინათლესა და სიყვარულში ახვევს *primum mobile*<sup>1</sup>-ს, მატერია-  
ლურ ზეცათაგან ამ ყველაზე შორეულსა და უსწრაფეს სივრცეს. *Primum  
mobile*-ში ანგელოზები გეცხადებიან.

მაგრამ თუ არ ეძებენ, ენის ეტყვის როგორმე (იცის, რომ ენიც ასე ფიქრობ-  
და), დანის ოთახში დაუდგას საწოლი, თუ მართლაც ყველაფერი კეთილად დამ-  
თავრდება.

დანის ოთახი დიდია.

თანაც დილდილობით მზე აღგება.

ჩინებული ოთახია.





## ჩვენთან არს ღმერთი

თარგმნა ვასილ გურკაძემ

წმიდა მღვდელმთავარი ეგნატე კავკასიელი



ცათა სასუფეველის შესახებ

ხორციელმა ადამიანებმა, მთელის არსებით ქვეყნიურ ცხოვრებას მიჯაჭვულებმა, რომლებმაც ზედაპირულად, მხოლოდ სიტყვით იცოდნენ საღმრთო სჯული სკოლაში დაზუთხული გაკვეთილით, და რომელნიც უცხონი იყვნენ ამ სჯულისა სულითაც, გულითაც, ცხოვრებითაც და თავიანთი საქმეებითაც. — ერთის სიტყვით, ფარისევლებმა ასე ჰკითხეს გამოსაცდელად უფალ იესოს: „ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისაი?“-ო (ლუკა 17, 20). ეს შეკითხვა, რა თქმა უნდა, წრფელი გულიდან არ მომდინარეობდა და არც კეთილი მიზნით იყო დასმული: იგი ზერელედ იყო წარმოთქმული, იმის გასაგებად, თუ რა პასუხს მიიღებდნენ იესოსაგან. მზაკვარი და გაბოროტებული ფარისევლები იმედოვნებდნენ, რომ იესოს პასუხი საბაბს მისცემდა მათ მისი უფრო ხელსაყრელად დადანაშაულებისათვის. ფარისევლებს ხომ ისეთი შესედულება ჰქონდათ მესიაზე, თითქოს იგი დიდებული მეფე და ომახიანი დამპყრობელი უნდა ყოფილიყო, რომელიც მათ მსოფლიო ბატონობას მოუპოვებდა, და ახლა, როცა ჭეშმარიტი მესია — ქრისტე-გლახაკი მწირის სახით იხილეს, რომელსაც ადგილიც კი არ ჰქონდა, თავი მიედრიკა (მათე 8, 20), ფარისევლებმა ისეთი შეკითხვა დაუსვეს მას, რომლითაც დასცინოდნენ კიდევ და თავიანთ ხორციელ ბრძნობასაც გამოხატავდნენ, უცხოს და მტრულს საღმრთო გონიერებისადმი (რომ. 8,7).

უფალმა ისეთი პასუხი გასცა მათ, რომელიც უკლებლივ ყველა ხორციელ ადამიანს შეეფერება, მიჯაჭვულთ ამა ქვეყნისადმი, ცოდვიანი ცხოვრებით რომ ჰკიებენ მუდმივ ყოფითს საზრუნავთა

შორის და მატერიალურ შვება-სიამოვნებად. ღმერთკაცმა ასე მიუვო მათ: „არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაი ზმნით (ანუ თვალსაჩინო სახით), არცა თქვან: აჰა აქა, ანუ იქა, აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაი შორის თქვენსა არს“ (ლუკა 17, 20-21). ეს კი შემდეგს ნიშნავს: საჭირთა მივატოვოთ ხორციელი და ცოდვიანი ცხოვრება; მერმე სინანულისა და სახარებისმიერი მცნებების მიხედვით ცხოვრების გზით განვიწმინდოთ და დავიმშვენოთ ჩვენი სულიერი ტაძარი, რისი აღსრულების შემდეგაც სულიწმიდა დაადგება მას და სრულყოფს მის განწმენდასა და შემკობას. ასეთ ტაძარში ღმერთი გარდამოხდება და თავის სულიერ, უხილავ, მაგრამ სავსებით შეგრძნებად და შემეცნებად სასუფეველს აფუძნებს მასში. ვისაც თავის წიაღში მიუღია ცათა სასუფეველი, მას ძალუძს ცხადი გულისხმისყოფა ჰქონდეს ღმერთკაცის მეორედ მოსვლის შესახებაც, და მას ისიც შეეძლება, რომ შეიცნოს ანტიქრისტეს გამოჩენა და თავიდან აიცილოს მისადმი დაქვემდებარება, ანუ შეეწინააღმდეგოს მას. ხოლო ვისაც არ მიუღია თავის წიაღში ცათა სასუფეველი, იგი ვერ შეიცნობს ანტიქრისტეს მოსვლას; ასეთი ადამიანი უსათუოდ შეიქნება ანტიქრისტეს მიმდევარი ისე, რომ თვითონ ვერ გულისხმ-ყოფს ამას; იგი ვერ შეიცნობს ქვეყნის დასასრულის მოახლოებას და ქრისტეს საშინელი მეორედ მოსვლის კართა ზედა მოდგომას, და ამიტომ მოუმზადებული შესვდება მას. არანაირი ადამიანური მოძღვრება, არანაირი სწავლება სიტყვით საკმარისი არ არის იმის დასამოძღვრად რაც სულიერ საუნჯეში დამოძღვ-



რას მოითხოვს, ანუ დამოძღვრას თვით უფალი ღმერთისაგან. საკუთარი თავის წიაღში ცათა სასუფეველის მომპოვებელ ადამიანს წინამძღვრად სულიწმიდა ჰყავს, რომელიც ყოველ ჭეშმარიტებაში დამოძღვრავს მას (როანე 16, 13) და არ დაუშვებს, რომ იგი მოტყუებულ იქნას იაეთი სიცრუის მიერ, რომელიც ადამიანთა მოსახერხებელი შეცდენისათვის ჭეშმარიტების აჩრდილებით იმოსება. მეტად მართლად უთქვამს ანტიქრისტეს შესახებ ერთი ნეტარ ბერს: „მრავალნი ირწმუნებენ ანტიქრისტეს და განადიდებენ კიდევ მას ვითარცა ძლიერ ღმერთს. საკუთარ თავში ღმერთის მქონენი და გულით განათლებულნი თავიანთი შეურყენელი რწმენით დაინახავენ ჭეშმარიტებას და შეიცნობენ მას. საღმრთო მცნობელობისა და გონიერების მქონეთათვის საცნაური იქნება მტანჯველის (ანტიქრისტეს) მოსვლა. ხოლო ვისი გონებაც ამა ქვეყნიური ცხოვრების საგნებშია ჩაფლული და ქვეყნიური შეპყვარება, მისთვის გაუგებარი იქნება ეს ყოველივე: რამეთუ ისინი მიჯაჭვულნი იქნებიან ყოფით საგნებზე. და დაე თუნდაც მოისმინონ ღვთის სიტყვა, ისინი მაინც ვერ გულისხმა-ჰყოფენ და კიდევ უფრო საძაგელნი შეიქნებიან“ (ვიორგი დაყუდებულის ნაწერებიდან, წგ. 1, გვ. 52, 1850 წ.). და ღვთის სიტყვის მქადაგებელსაც ისინი სულელად მიიზნევენ, ოდენ ზიზღისა და შეცოდების ღირსად. ასე რომ, თავისი ხორციელი ბრძნობით გონებადაბნელებული კაცობრიობა საერთოდ არ დაიჯერებს უფლის მეორედ მოსვლის მოახლოებას, საერთოდ არ ირწმუნებს მეორედ მოსვლას. „მოიწინენ უკუანაისკნელთა დღეთა მეკიცხევარნი გულის თქუმისაებრ თვისისა მავალნი და იტყოდიან: სადა არს აღოქუმაი იგი მოსვლისა მისისაი? რამეთუ ვინაითგან მამათა შეისვენეს, ყოველივე ესრეთ ჰგიეს დასაბამითგან დაბადებისაით“ (II პეტრე 3, 3-4).

როცა ფარისევლები განემორნენ უფალს, იესომ უთხრა თავის მოწაფეებს, რომ ქვეყნის დასასრულის და უფლის მეორედ მოსვლის მოახლოების ნიშანი

იქნებოდა უჩვეულო ნივთიერმატერიალური განვითარება კაცობრიობისა: ადამიანები დაივიწყებენ ღმერთს, დაივიწყებენ ცას, დაივიწყებენ მარადიულობას და თავიანთ ცთუნებაში, თითქოსდა სამუდამოდ იყვნენ დამკვიდრებულნი ამ ქვეყნად, მთელს ყურადღებას ქვეყანას დაუთმობენ, რათა ამაღლებული კეთილდღეობით ჰგებდნენ მასში უცვალებლად. რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო მეტად უგუნური?! ვანა განუწყვეტლივ არ გვიმოწმებს სიკვდილი, რომელიც ყველა ჩვენამდე მცხოვრებ ადამიანს სწვევია და ჩვენც უსათუოდ გვეწვევა. რომ ჩვენ მარადიული ცხოვრებისათვის ვართ შექმნილნი; რომ ამქვეყნად ჩვენ ყველაზე ხანმოკლე ცხოვრებით დავყოფთ ვითარცა მწირნი; და რომ ამ მიზეზით ჩვენი ზრუნვა მარადიული ცხოვრების შესახებ უმთავრესი და ყველაზე დიდი საზრუნავი უნდა იყოს ჩვენთვის, ხოლო ქვეყნიური საზრუნავნი ძალზე ზომიერნი უნდა გვქონდეს?! მიუხედავად ამგვარი მისწრაფების სრული უგუნურებისა, იგი ფართოდ დამკვიდრდება ქვეყნიერებაზე, რათა გარდუვლად აღსრულდეს საღმრთო წინასწარმეტყველება. და თუკი დამკვიდრდება, მაშინ, იქნება რა მტრული ღვთის სიტყვისადმი, ჩვენთვისაც ერთ-ერთი უეჭველი, ცხადზე უცხადესი დადასტურება გახდება ღვთის სიტყვის ჭეშმარიტებისა, რამეთუ თვით უფალი გვამცნებს: „და ვითარცა — იგი იყო ღღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს ღღეთა მათ ძისა კაცი-სათა“ (ლუკა 17, 26). „ღღებად ძისა კაცისა“ აქ იწოდება ის დრო, რომელიც წინამავალი იქნება მისი მეორედ მოსვლისა და რომელიც დასრულდება მისი დიდებით მეორედ მოსვლით, ანუ დასაწყისით მარადიული, დაუღამებელი დღისა, დასასრულით დროთა და ჟამთა. ხოლო დრო-ჟამი დასრულდება იმ მოვლენათა დამთავრებასთან ერთად, რომლებითაც იგი აღინიშნება, რამეთუ აღარ იქნება დრო, როცა დღესაც და ღამესაც, დილისაც და საღამოსაც, კვირეებსაც და თვეებსაც, წლებსაც და საუკუნეებსაც ერთი სამარადისო, დაუსრულებელი დღე შეე-



ელის. „ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განქორწინებდეს ვიდრე დღემდე შესვლად ნოესა კიდობნად. და მოიწია წყლით — ღრუნაი და წარწყმიდნა ყოველნი. და ეგრეთვე ვითარცა-იგი იყო დღეთა ლოტისთა: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს“ (ლუკა 17, 27-28). საღმრთო წერილი მოგვითხრობს, რომ ნოეს თანამედროვენი და ლოტის თანამოქალაქენი უსაზომო გარყვნილებას იყვნენ მიცემულნი. გარყვნილება ღმერთისაგან განშორებით იშვება, მთლიანი მისწრაფებით ქვეყნიური საქმიანობისაკენ და მატერიალური განვითარებისაკენ. როდის უნდა იფიქროს ღმერთზე, როდის უნდა იმუშავოს საკუთარი ცხოვნებისათვის იმ ადამიანმა, რომელიც განუწყვეტლივ მხოლოდ ქვეყნიური საქმეებითაა დაკავებული და მატერიალური კეთილდღეობის გარდა არაფერი არ აინტერესებს?! ნებისმიერი ადამიანი, რომელიც უგულვებელპყოფს ღმერთის შემეცნებას და ზრუნვას საკუთარი ხსნისათვის და ამის სანაცვლოდ მთლიანად თავისი ხორციელი დროებითი მდგომარეობის მოწყობით არის დაკავებული, ასევე ხორციელი სიამეების მოპოვებას რომ ისახავს მიზნად, — თავისდა შეუცნობლად და შეუმჩნეველად, თავის დაცემულ ბუნებას ავითარებს: ანუ თავის უნივთო, არამატერიალურ სულს თითქოსდა ნივთიერად შექნის, ბნელდება, ღმერთისათვის უცხო ხდება, მთლიანად ცოდვად და ცოდვიან ხორცად იქცევა, რის გამოც უარყოფილია ღმერთის მიერ, რადგან სრულიად მოუსპია საკუთარ არსებაში ის უმთავრესი მიზანი, რომლისთვისაც გამოხმობილ იქნა კიდევ შემოქმედის მიერ არარსებობიდან — არსებობად. „არა დაადგრეს სული ჩემი კაცთა ამათ შორის უკუნისამდე ყოფისათვის მათისა ხორც“, — ბრძანა უფალმა ღმერთმა ნოეს თანამედროვეთა შესახებ. საყოველთაო გარყვნილება, მის აღმომატვნიებულ არნახულ მატერიალურ განვითარებასთან ერთად, ქვეყნის დასასრულისა და მოახლოებული საშინელი განკითხვის დღის ნიში იქნება. მაგრამ ოდენ ავხორ-

ცობა როდი იქნება მაშინ გაბატონებული ქვეყნიერებაზე! გარყვნილება და გარდაქცეულება, ამ სიტყვათა უფრესი მნიშვნელობით, მთელი კაცობრიობის და მახასიათებელი თვისება გახდება ქვეყნის არსებობის უკანასკნელი დროისათვის. რომლის შესახებაც წინადადება მოციქული ასე იტყვის: „უკუნისათვის უკუნელთა დღეთა მოიწინენ ჟამნი ბოროტნი. და იყვნენ კაცნი თავის მოყვარე, ვერცხლის მოყვარე, ლად, თავმოთნე, ამპარტავან, მგობარ, მამა-დედისა ურჩ, უმაღლო, უღირს, უყვარულ, უწირავ, მასმენელ, უთმინო, დაუმჭირველ, უზავ, დაუმშვიდებელ, კეთილის მოძულე, შინა-განმცემელ, წარბაღებ, აღზუავებულ, გულის-თქუმის მოყვარე უფროის, ვიდრე ღვთის მოყვარე. აქვნიდეს ხატი ღვთის მსახურებისაი და ძალსა მისსა უარჰყოფდენ“ (II ტიმოთე 3, 2-5). ცოდვა თავის სრულ განვითარებას მიაღწევს და ამით იგი კიდევ უფრო საშინელი იქნება, ვიდრე ოდესმე იყო, და მისი მეუფებაც უფრო მტკიცე გახდება, რადგან გარეგანი სახე კეთილმსახურებისა შენარჩუნებულ იქნება. და ვინდა გულისხმა-პყოფს მაშინ, რომ ამ, გარეგნულად აღყვავებულ კეთილმსახურებაში მოსპობილია მთელი მისი არსობრიობა, მთელი მისი ძალა?! ასეთივე არსობრიობა მოკლებული და ძალაგამოცლილი კეთილმსახურება იყო იუდეველთა რელიგიანი ქრისტეს ამქვეყნად ყოფნის ჟამს, რისი შეცნობაც არაფრით არ შეეძლო არც ერს და არც თვით მწიგნობრებს, ლევეიტელებსა თუ მღვდელმთავრებს, რომელნიც აღსავსენი იყვნენ უსარგებლო გარეგანი განსწავლულობითა და მეცნიერობით. მაგრამ ეს განსწავლულობა და მეცნიერობა მდგომარეობდა ოდენ იმამი, რომ მათ მხოლოდ სიტყვით ზედაპირულად იცოდნენ საღმრთო სჯული და ცხოვრებაშიც საღმრთო მცნებების საწინააღმდეგოდ ანხორციელებდნენ მას, რადგან მათი ცხოვრება მკვდრად აქცევდა მათს რწმენას. ბოლო ჟამს, ქრისტეს მეორედ მოსვლის წინ, კაცობრიობა ვერ დაინახავს თავის ბედკრულ მდგომარეობას ზნეობრივი და სულიერი თვალ-



საზრისით; მეტიც, იგი ხმამაღლად ილა-  
დადებს თავისა წარმატებულობის შესა-  
ხებ, რადგან დაბრმავებული იქნება თა-  
ვისი წარმატებულობით მატერიალურ  
განვითარებაში დროისა და ყოველივე  
ქვეყნიურის მხრივ, რითაც უარყოფს  
ქრისტიანულ განვითარებას სულისათვის,  
მარადიულობისათვის, ღმერთისათვის. და  
როცა ქვეყანა ესე თავის წარმატებულო-  
ბას განაცხადებს და განადიდებს, — უმა-  
ღლესი კეთილდღეობისა და შეურყეველი  
სიმშვიდის დამკვიდრებას. როცა საქვეყ-  
ნოდ იტყვიან „მშვიდობაი და კრძალულე-  
ბაი“ (ანუ უსაფრთხოებაი), „მაშინ მეყ-  
სეულად მოიწიოს მათ ზედა მომსრველი“  
(1 თესალონიკ. 5,3), ანუ მაშინ ანაზდე-  
ულად დადგება ქვეყნის აღსასრული, რო-  
მელსაც თვით იგი, თავის გონების დაბ-  
ნელებასა და წარმავალი კეთილდღეობის  
სასობაში არამც და არამც არ მოელო-  
დება. ამიტომ, ამა ქვეყნის სიბრმავის გა-  
მო „დღე იგი უფლისაი, ვითარცა მპარა-  
ვი ღამისაი, ვგრეთ მოიწიოს“ (1 თესა-  
ლონიკ. 5, 2). როცა ამგვარ სულიერ  
სიბრმავეზე მიუთითებდა, უფალი თავის  
შორედ მოსვლის დროს, ღამეს უწო-  
დებდა (ლუკა 17,34). აბა, რილასთვის  
უნდა იარსებოს ამა ქვეყანამ ღმერთის თვა-  
ლში, თუკი ქვეყანა ესე, ანუ კაცობრიო-  
ბა, სრულიად უარყოფს იმ მიზანს, რომ-  
ლისთვისაც ღმერთმა მოანიჭა კიდევ მას  
ამქვეყნიური არსებობა, მწირობა მასში,  
რამეთუ იგი, დაბრმავებული კაცობრიო-  
ბა, თავისი ამ მწირობისათვის თვითნებურ  
მიზანს ამოირჩევს, მოკლებულს ყოველ-  
გვარ აზრს?! და ასეთი უაზრო მიზანი  
დღეისათვის უკვე აღირჩევა! ამ მიზნის  
ამომრჩევთათვის ქვეყნიური ხანმოკლე  
ცხოვრება მარადიულობად მიიღება და ადა-  
მიანიც თავისი სულისა და სხეულის მთელს  
ძალებს მარადიული ცხოვრებისათვის მო-  
საშადადებლად კი არ გაიღებს, არამედ  
აღუხდენელი, უაზრო მიზნების განხორ-  
ციელებისათვის; მისი ეს ძალები მსხვერ-  
პლად ეწირება უმაღლესი ხორციელი კე-  
თილდღეობის მოწყობას და სანეტარო  
ყოფის დამკვიდრებას ქვეყნიურ სასტუმ-  
რო სახლში — ამ ჩვენს საპყრობილეში,

თითქოს იგი მკვიდრი მარადიული სამ-  
ყოფელი ყოფილიყოს. სასტიკად ატყუებს  
ეს ცრუ ოცნება თავის მიმდევრებს: იგი  
არაადამიანური უმოწყალობით ექცევა  
ადამიანებს, როგორც განვითარებული ტი-  
რანი, როგორც სასტიკი დემონი დიახ,  
იგი დემონია! შეუძლებელია წმინდა უფრო  
ბოროტი, უფრო მზავვარი და უფრო ცრუ  
იყოს, ვიდრე იგია. ეს ოცნება დაცემულ  
ბოროტ სულთამიერი დაცინვაა ადამია-  
ნებისა. თავს აწონებს და ამით აცთუ-  
ნებს კიდევ ეს დამლუპველი ოცნება ადა-  
მიანებს მთელი მათი ქვეყნიური ცხოვრე-  
ბის გზაზე: სიცოცხლის ბოლოს კი ზურგს  
აქცევს მათ, სინამდვილესთან მარტოდმა-  
რტო სტოვებს და სრულიად აცარიელებს.  
ისინიც სრულიად მოუშადადებულნი შედიან  
მარადიულობაში, ისე, რომ სულ არ იც-  
ნობენ საუკუნო ცხოვრებას, და არავი-  
თარი წარმოდგენა არა აქვთ მასზე. მე-  
ტიც: ასეთი ბედკრული ადამიანები ისე  
შედიან მარადიულობაში, რომ მხოლოდ  
მტრული განწყობა აქვთ გათავისებული  
მარადიულობის სულიერი სიკეთეები-  
სადმი, საკუთარი კეთილდღეობისად-  
მი მასში. და სად იქნება ადგილი დროის-  
მიღმიერ სამეუფოში ესევეითარ სარევე-  
ლათათვის? — რა თქმა უნდა, არსად  
სხვაგან მთელს სამყაროში, თუ არ ჯო-  
ჯოხეთის ქვესკნელში: სწორედ იქ უნდა  
იქნენ ისინი დაფარულნი სამყაროს თვა-  
ლთაგან.

სოლოვკების მონასტრის ბერები გად-  
მოგვცემენ ღირსი მამის ზოსიმეს პასუხს,  
მიცემულს მოწაფეთა შეკითხვაზე, თუ  
როგორ უნდა შევიცნოთ ანტიქრისტე.  
როცა იგი გამოჩნდებათ? ამ ღვთივგან-  
ბრძნობილმა მოხუცმა ბერმა ასე უთხრა  
მათ: „როცა მოისმენთ, რომ ამქვეყნად  
მოვიდა, ანდა ქვეყანას მოევიდინა ქრისტე,  
უწყოდეთ, რომ ქრისტე კი არ მოვიდა,  
არამედ — ანტიქრისტე გამოჩნდა!“ ეს  
პასუხი ზედმიწევნით ზუსტია! ქვეყანა  
ესე, ანუ კაცობრიობა, ვერ შეიცილებს  
ანტიქრისტეს: იგი მას მესიად — ქრის-  
ტედ აღიარებს და განადიდებს და თავგანს  
სცემს როგორც ქრისტეს. მაშასადამე,  
როცა დაირხევა ხმა და ქვეყანას მოსდე-



ბენ — ქრისტე-მესია მოველინა მსოფლიოსო, ეს უტყუარი ნიშანი იქნება იმისა, რომ სწორედ ანტიქრისტე გამოჩენილა და თავისი წინათგანსაზღვრული და ღმერთისაგან დაშვებული ბოროტი მსახურება დაუწყია ადამიანთა წარსაწყმედად. ღირსი მამის ზოსიმეს პასუხი მაცხოვრის სიტყვებს ეფუძნება. კაცობრიობის მხსნელმა, როცა თავის მოწაფეებს მეორედ მოსვლის მოახლოების ნიშნებს აცნობდა, უთხრა: „მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქვენ — აჰა აქა არს ქრისტე, გინა თუ იქი, ნუ გრწამნ. რამეთუ აღდგენ ქრისტე-მტყუარნი და ცრუწინაისწარმეტყველნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებამდე, უკუეთუმცა შეუძლებს, რჩეულთა მათცა... უკუეთუ გრქუან თქვენ: აჰა უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ: აჰა ესერა საუნჯეთა (ანუ სახლის რომელიმე ფარულ სამყოფელში) შინა არს, ნუ გრწამნ, რამეთუ ვით არცა ელვაი რაი გამობრწყინდის მზის აღმოსავლეთით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსვლაი ძისა კაცისაი“ (მათე 24, 23-27; ლუკა 17, 23-24). მაშინ საჭირო არ იქნება ადამიანებისათვის ერთმანეთს გადასცენ ამბავი ქრისტეს ამქვეყნად მოსვლის შესახებ, და ვერც შესძლებენ ისინი ამას! რამეთუ ქრისტე ანაზღუულად მოვა და ერთდროულად მოველინება თავისი ყოვლადღლიერობით მთელს კაცობრიობას! მეცნიერთა შებასუხება, თითქოსდა შეუძლებელი იყოს ღმერთის ძის ერთდროული მოვლინება მთელი კაცობრიობის წინაშე, რადგან დედამიწა მრგვალიაო, ყოვლად უადგილოა. რამეთუ ყოვლისშემძლე ღმერთმა თუკი არარადან შექმნა დედამიწაცა და მთელი ეს უკიდევანო სამყარო, ხილულნი და არახილულნი ქმნილებანი თავისი ყოვლადღლიერი და ყოვლადბრძენი განგებულებით, ისე რომ წინდაწინ არ უნებებია ამ ჩვენს მეცნიერებთან მოთათბირება — შესაძლებელია თუ არა ეს ყოველივე მეცნიერული შეხედულებების თანახმადო, — მაშინ ნუთუ მას ამავე მიზეზით, ანუ თავისი ყოვლადღლიერობისა და ყოვლადბრძენო-

ბის გამო, არ შეეძლება მთელს კაცობრიობას ერთსა და იმავე დროს მოველინოს თავისი მეორედ დიდებით მოსვლის ჟამს ამქვეყნად, დაე, თუნდაც ამის აღსრულების საშუალება და სახე მიუწვდომელი იყოს ამა ქვეყნის ყველა მეცნიერთათვის?! (და ასეცაა, საღმრთო საქმე მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვის). წმიდა იოანე დამასკელი ამბობს: „მოვალს უფალი ცათაგან იმგვარსახედვე, როგორაც მას წმიდა მოციქულები შედავდნენ ზეცად ამალღებისას (საქმე მოციქ. 1, 11); მოვალს სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი ადამიანი, სრული თავისი დიდებითა და ძალით. დაე, ნურავინ მოელის მას ამქვეყნიდან, არამედ ყოველი ცათაგან მოელოდეს, როგორც ეს თვითვე დაგვიდასტურა“ („მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა“ წგ. IV, თავი XXVI).

თავისი სწავლება ქვეყნის დასასრულისა და თავისი მეორედ მოსვლის შესახებ დაასრულა შემდეგი შეგონებითა და ანდერძით: „ეკრძალენით თაუთა თქვენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქვენი შევებითა და მთვრალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისაითა, და მეყსეულად მოიწიოს თქვენ ზედა დღე იგი. რამეთუ ვითარცა საფრთხე მოუხდეს მსხდომართა ზედა პირსა ზედა ქვეყანისასა“ (ლუკა 21, 34-35). უფლის ამ სიტყვებში, მის ამ ანდერძში, ამ რჩევასა და მცნებაში აღგვეკრძალება ხორციელი ცხოვრება და ზედმეტი გულმოდგინება თუ ფუფუნება ქვეყნიურ საქმიანობაში, რადგან ეს ყოველივე ადამიანს სულიერი არსებიდან ხორციელ, ნივთიერისაკენ მიდრეკილ არსებად შექმნის, აიძულებს დაივიწყოს მარადიულობა და ღმერთი, რითაც ყველანაირ ცოდვებში დაცემისაკენ მიაქნებს. იმ გულში, რომელშიც არ არის აღმეჭდილი ღმერთის ხსოვნა და შიში, რომელიც არ არის შემოზღუდული ღმერთის რწმენით, — ადვილად შედის ყველანაირი ვნება, ზნეობრივი წყვილადი და ღმერთის უცნობლობა. ხორციელად მცხოვრები ადამიანებისათვის, რომლებიც ცოდვიან ყოფიან



ქვეყან და გონებადაბინდულნი, დაბან-  
გულნი არიან ცოდვის მიმძღავრებისა-  
გან, უფლის მეორედ მოსვლა დადგება  
როგორც ბადე, როგორც საფრხე. ეს  
ბადე მთელს კაცობრიობას მოიცავს. მი-  
სგან თავის დაღწევა, გაქცევა არაფისთ-  
ვის არ იქნება შესაძლებელი. და რაკი  
ეს ვუწყით, დაე, ყველანი განუწყვეტ-  
ლივ ფხიზლად ვპკივბდეთ. და თუკი ხში-  
რი განუწყვეტელი ლოცვა-ვედრებებით  
შევუვრდებით ღმერთს, გულშემუსრვი-  
ლნი და მოტირალნი ჩვენს ცოდვათა გა-  
მო, თუკი მარადის ცათა სასუფეველის

მოპოვებისათვის და საკუთარ არსებაში  
მისი შენარჩუნებისათვის ვიზრუნებთ  
ღმერთის ნებისაებრ ცხოვრებით ამქვეყ-  
ნად, მაშინ ჩვენ შეგვეძლება ღვთაებრი-  
ვი მადლითა და ძალით თავი დავაღწიოთ  
ცოდვის და ამქვეყნიის მძულბელი ეშ-  
მაკის საკრველებსა და მხატვრობებს, და  
მაშინ, სახიერა სასოებით აღვსებულნი  
და სულიერი მცნობელობით განძლიერე-  
ბულნი შევძლებთ შეწყვალებულნი და  
ხსნილნი წარვუდგეთ სამართლიან მსა-  
ჯულს, ვინაც საბოლოო მსჯავრი უნდა  
წარმოთქვას ჩვენი ხვედრის გამო სამა-  
რადისოდ. ამინ.

ღმერთისაგან ადამიანთა განდგომის მიზეზი

„რომელსა პრწმენეს ძე (ღმერთისა),  
აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი, ხოლო რო-  
ბელი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხოვრე-  
ბაი, არამედ რისხვაი ღმერთისაი დადგრო-  
ბილ არს მას ზედა“ (იოანე 3, 36), — ასე  
განსაზღვრავს უტყუარი სიტყვა ღმრთი-  
სა.

ღმერთისაგან კაცობრიობისათვის მომა-  
ღლებული გამომსყიდველი: „მიიღეთ  
სწავლაი (ებრაულიდან თარგმანის მიხედ-  
ვით), — „შეიწყნარეთ ძე“ ნუუკუე გა-  
ნრიახნეს უფალი და წარწყმდეთ თქვენ  
გზისა მისგან მართლისა, რაჟამა აღატყ-  
დეს მყის გულის წყრომაი მისი. ნეტარ  
არიან ყოველნი, რომელნი ესვენ მას“  
(ფსალმ. 2, 12).

ეს განსაზღვრება საღმრთო სიტყვისა  
ცალკეულ ადამიანებზეც აღესრულება და  
მთელს ერებზეც. ხოლო განსაკუთრებუ-  
ლი სიტყვით იგი ისრაელ ერზე აღსრუ-  
ლდა, რომელიც თავდაპირველად ღმერ-  
თის ერად იქნა ამორჩეული, მაგრამ  
შემდგომში უპირატესად ღმერთისაგან  
უარყოფილ ერად შეიქნა. ისრაელი ერის  
წიაღში განკაცდა ღმერთკაცი, რომელ-  
მაც კაცობრიობის ხსნა აღასრულა. არც  
ერთი სხვა ერისადმი არ მიუმართავს მას  
ქვეყნიური საზოგადო მსახურებისას თა-  
ვისი ღვთაებრივი ქადაგებით; ყველა თა-  
ვისი მაცხოვნებელი საქმე მან მხოლოდ  
და მხოლოდ თავის რჩეულ ერზე გადმო-  
ღვარა, მაგრამ ღვთის ამ რჩეულმა ერმა  
უარყო ღმერთკაცი. ამაოდ ამცნებდა ის-  
რაელის ღმრთივესულიერი სჯულისმდე-  
ბელი თხუთმეტი საუკუნით ადრე საში-  
ნელ სასჯელთ თავის ერს, თუკი ის არ  
დაემორჩილებოდა ღმერთს და არ შეის-  
წნდა მისას. ამაოდ უღალადებდა ისრა-  
ელის მეფე-წინასწარმეტყველი თავის ერს  
ათასი წლით ადრე, რომ შეეწყნარებინათ

ამაოდ კითხულობდნენ მოსეს წიგნებს  
ყოველ შაბათს, ამაოდ ვალობდნენ ყო-  
ველი ღვთისმსახურების ეამს დავითის  
ფსალმუნებს, ამაოდ იმეორებდნენ წმიდა  
სჯულისმდებლის მუქარას და წმიდა მე-  
ფის შეგონებას: იუდეველებმა უარყვეს  
მაცხოვარი და თავიანთი ღვთისმკვლელი  
ხელნი განიბყრეს ხორციელ-ქმნილ ღმერ-  
თზე. ყოვლადსრული ღმერთი მათ ბორო-  
ტმოქმედთა შორის შერაცხეს და სამარ-  
ცხინო სიკვდილით დასჯას სწიეს ვითა-  
რცა ავაზაკი — უბოროტესი ბოროტმო-  
ქმედთაგან.

ამ საშინელი დანაშაულის შემდეგ, რო-  
მელსაც ბადალი არ მოეპოვება ადამიანთა  
ყველა ბოროტმოქმედებას შორის, ღვთის  
რისხვამაც აღარ დააყოვნა — იგი მალე-  
ვე აღეკვნო, როგორც ეს სულმა წმიდამ  
იწინასწარმეტყველა. ჩვეულებრივ, ადა-  
მიანთა სასჯელი მათ მიერ თვით საღმრ-  
თო სჯულის დარღვევიდან აღმოცენდე-  
ბა, თვით მათი შეცთომილებიდან. ასე



მოხდა იუდეველთა თავსაც. რაკი ისინი მთლიანად იყვნენ დაკავებული თავიანთი ქვეყნიური მნიშვნელობით, რაც მათ დროებით მოეცათ, და რაკი ამის გამო არაჩვეულებრივ ქვეყნიურ წარმატებულობაზე ოცნებობდნენ, ამიტომ, თავიანთი ამ ამოღონი მნიშვნელოვნობისა და წარმატებულობის გამო, ოდენ ამოღონი ოცნების გულისთვის უარყვეს ჭეშმარიტი მესია — ქრისტე. ცხადზე უცხადესია, რომ ეს შეხედულება თავის დროებით მნიშვნელოვნობაზე და ოცნება ქვეყნიურ კეთილდღეობასა და აღმატებულებაზე ისრაელი ერის ყველაზე უხეში და უაზრო შეცდომილება იყო. ყოველივე იმას, რაც მათ სულიერი მნიშვნელობით აღეთქვათ ღმერთისაგან, იუდეველნი ნივთიერ-მატერიალური. დროებით-წარმავალი მნიშვნელობით მოელოდნენ, ისეთი მნიშვნელობით, რომელიც დამამცირებელია ღმერთისათვის და უნაყოფოა ადამიანისათვის. ქრისტემდე, უფლის ხორციელქმნამდე, ისინი ღმერთის რჩეული ერი იყვნენ, განკუთვნილნი დაკვირვებისა და შემეცნებისათვის ყველა სხვა ერის მხრიდან, რომელნიც უაზრო, სასაცილო და საწყალობელი კერპთთაყვანისმცემლობისაკენ იყვნენ მიქცეულნი. ღმერთისმიერი კურთხევა, გამოსატული ისრაელიანთა საკვირველ გამარჯვებებში, რომელთა მსგავსიც არასდროს არ მოუპოვებიათ სხვა ერებს, და გამოსატული ასევე მათს იმგვარ ქვეყნიურ კეთილდღეობაში, რომლის მსგავსითაც არასდროს არ უსარგებლია არც ერთ სხვა ერს, — უტყუარი მოწმობა იყო გრძნობიერებაში ჩაძირული ყველა სხვა ერისთვის, რომელთაც მხოლოდ გრძნობისმიერ მოწმობათა აღქმა ძალ-ედვათ, რომ იუდეველთა მიერ თაყვანისცემული ღმერთი — ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთია. სწორედ აქ წარმოდგენილ შთაბეჭდილებას ეწივნენ, — როგორც ეს გამოცდილებამ გვიჩვენა, — ის ერები, რომლებიც გონიერად და გულისხმისყოფით უყურებდნენ იუდეველებს (იხ. ივდიითი 5, 5-24). ღმერთის მიერ ისრაელიანთა ამორჩევა ღვთის ერთად დროის მხრივ თანხედება სხვა ერთა

საყოველთაო განდრეკას კერპთთაყვანისმცემლობისაკენ. ღმერთის ყოველდღიურებისა და განსაკუთრებული განგებულების ჭკრეტის გზით, ღვთის რჩეული ისრაელი ერზე რომ განცხადებულად გამოვლინდა, ქვეყნიერების ყველა ერი ემზადებოდა გამოსყიდვას ღმერთკაცის უცილობელი ზრუნვისათვის, რომელიც რჩეული ერის წიაღში უნდა შობილიყო. მისი წინამძღოლი მეუფეც ყოფილიყო და ამასთან მთელი კაცობრიობის მეუფე წინამძღოლიც და მაცხოვარიც.

ღმერთკაცმა ვითარცა ყოველდღიურად და ყოველდღიურად ღმერთმა ამა ბედურულ ქვეყანად ყოველდღიური კურთხევა მოიტანა — ფასდაუდებელი და განუზომელი საბოძვარი, ისეთი, როგორც დაუსრულებელ და ყოველდღიურყოფილ ღმერთს შეეფერებოდა. ღმერთის ამგვარი კურთხევის ნაყოფი უკვე ვეღარ იქნებოდა ქვეყნიური დროებითი და ნივთიერ-მატერიალური სიკეთენი, რომელსაც უეჭველი სიკვდილი ართმევს ადამიანებს, ხშირად კი სიკვდილამდეც ჰკარგავენ მათ ქვეყნიური ცხოვრების ბედუკუღმართობის გამო. ამ საღმრთო კურთხევის ნაყოფი იყო ადამიანის შერიგება ღმერთთან (ლუკა 14, 2), ადამიანური ბუნებისათვის ღვთაებრივი ბუნების მონიჭება (II პეტრე 1, 4) ღვთაებრივი ბუნების მიერ ადამიანური ბუნების გათავისების გზით, ანუ შემოქმედის ბუნების მიერ ქმნილების ბუნების მიღების გზით.

ამ კურთხევის ნაყოფია ადამიანთა შექმნა ღმერთის ძეებად: ღმერთის ძემ ადამიანური ბუნება მიიღო და ამით ძედ კაცისა იქცა, რითაც ჩვენც ყოველნი — ძენი კაცთანი — თავის ძეებად და ღმერთის ძეებად შეგვქმნა, ამ კურთხევის ნაყოფია ადამიანთა საუკუნო ნეტარება, რომელსაც მათ ვერავინ წაართმევს, აღმატებული ყოველგვარ შემეცნებაზე და ყოველგვარ სურვილზე: უსჯულოებათა შინა ჩასახულნი და ცოდვათა შორის შობილი ადამიანები, იმის ნაცვლად, რომ ჯოჯოხეთის ქვესკნელში შთაცვივდებოდნენ სამარადისო ტანჯვისათვის. ცად აღველიან, სამოთხეში და სერაბიმებთან და



ქრუბიმებთან ერთად ღმერთის საყდარს მიემთხვევიან, რომელზეც ის ადამიანი მუდომარებს, რომელმაც, იყო რა სრულყოფილი ღმერთი, თავისი უსაზომო სიყვარულით ადამიანებისადმი ადამიანად ყოფნაც ინება. ამ საუკუნო, ზეციური, ღვთაებრივი საბოძვარის წინაშე განა რაიმეს ნიშნავს ხანმოკლე, ქვეყნიური, სრწნადი სიკეთენი?! — ჭეშმარიტად, რომ კიდევ უფრო ნაკლებს ნიშნავს, ვიდრე არარაა! მათი მნიშვნელობა უარყოფითია, და ადამიანიც, თუკი დადებით მნიშვნელობას მიანიჭებს ქვეყნიურ სიკეთეთ, მოაკლდება საუკუნო ზეციურ სიკეთეთ, ანუ იმ უბედურებას ეწევა, რასაც ქრისტეს უარყოფელი იუდეველნი დაქვემდებარნენ. იუდეველებს დროებითი, წარმავალი სიკეთენი მოეცათ, ვითარცა აჩრდილი, გარდანასახი ჭეშმარიტ, საუკუნო სიკეთეთა: მათ ჩრდილთან ყოფნა ისურვეს და უარყვეს ის არსისმიერი სიკეთე, ზეციდან უხვმ აჩრდილად რომ გადაჰფენოდა გაუხეშებულ კაცობრიობას, რათა ზეცისაკენ მიეზიდა ადამიანები. ღმერთკაცი ამ მიზეზით უბრძანებს კაცობრიობას უარის თქმას წარმავალ სიკეთეებზე. მეტიც: იგი მოითხოვს, რომ კაცობრიობამ თავი დაცემულად და დაღუპულად აღიაროს, რათა — დედამიწაც თავისი დროებითი განდევნისა და დასჯის ადგილად აღიაროს, ჯოჯოხეთის ქვეყანელთა და საუკუნო ტანჯვის წინკარად. იგი მოითხოვს, რომ კაცობრიობა ღმერთისა და მარადიულობისაკენ ისწრაფდეს, და უყურადღებოდ დასტოვოს ესე ქვეყანა, როგორც დასაღუპად განწირული თავისი ხანმოკლე სამყოფელი — სასტუმრო სახლი თუ საპყრობილე. იგი მოითხოვს, რომ ადამიანები გულწრფელად დაემორჩილონ ამა წარმავალი ცხოვრების მწუხარებათ და ამ დამორჩილებით თავიანთი დაცემა და გამოსყიდვის აუცილებლობა აღიარონ, გამომსყიდველი მხსნელის-მაცხოვრის ამქვეყნად მოვლინების აუცილებლობა, ანუ ის, რომ ღირსნი არიან საღმრთო მოწყალებისა.

ამგვარი სწავლება არ მოეწონათ იუდეველებს. ჯვარისმიერი სიტყვა საცთუ-

რად მოეჩვენათ ქვეყნიური კეთილდღეობის ამ მაძიებელთ და თაყვანისმცემელთ. თავიანთი ქვეყნიური მდგომარეობა მათ ყველაზე ძვირფასად მიიჩნიეს, ერთადერთ საუნჯედ, რომელიც უთვლელგვარი მსხვერპლშეწირვის ღირსია. თავიანთი საქციელის გასამართლებლად უარყოფითაც მათ ღმერთის წინაშე უარყვეს, ისინი ასახელებდნენ მისწრაფებას ასეთი მდგომარეობის შესანარჩუნებლად (იხ. იოანე 11, 49-50). მათ დაივიწყეს მარადიულობა და სულიერი სიკეთენი. თავიანთ სიბრძავესა და შეცთომილებაში, როცა ხელმძღვანელობდნენ იღვით ქვეყნიურ წარმატებულობასა და მსოფლიო ბატონობაზე, რაც ისრაელ ერს ვითომცა და საღმრთო სიტყვით აღეთქვა, იუდეველები აჯანყდნენ რომაელების — იმჟამინდელი მსოფლიოს მბრძანებელთა წინააღმდეგ, ამ აჯანყებას შედაგად ომი მოჰყვა, რომელიც დასრულდა აჯანყებულთა დამარცხებით, იერუსალიმის აღებითა და დაქცევით, აღურაცხელ იუდეველთა დახოცვით, ტყვეობითა და მთელს ქვეყნიერებაზე გაბნევით.

თხუთმეტი საუკუნით ადრე, როგორც ზემორე ვთქვით, ისრაელიანთა სჯულისმდებელმა — ღმერთის მხილველმა მოსემ უწინასწარმეტყველა მათ საშინელი სასჯელი ღმერთთან დადებული აღთქმის დარღვევისათვის. თხუთმეტი ასწლეულით ადრე მოვლენის აღსრულებამდე ღმერთისმხილველი ცხოვლად აღწერს ამ საშინელ სურათს — უჩვეულო სიზუსტითა და დაწვრილებით, ისე ცხადად, თითქოს იგი მის თვალთა წინ ხდებოდეს. როცა ისრაელიანნი, ერსა და სახელმწიფოს რომ წარმოადგენდნენ უკვე აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად ემზადებოდნენ, მაშინ ამ მოვლენით შთაგონებულმა სჯულისმდებელმა მოსემ მრისხანე უწინასწარმეტყველებით მიმართა ისრაელ ერს იმ ხვედრის გამო, რომელიც საბოლოოდ მას ეწეოდა ამ აღთქმულ ქვეყანაში: „და მოავლინოს უფალმან ღმერთმან შენმან შენ ზედა ნათესავი იგი შორიელი კიდითგან ქვეყანისაით, რომელნი იღუმერდენ ვითარცა ლომნი და ეტევიბო-



დიან ვითარცა ორბნი, ნათესავი, რომლისაი არა გესმოდის ხმაი მისი, ნათესავი ურიდი და თვალუხუავი, რომელმან არა თვალ-ახვნის მოხუცებულსა სიბერისა და არცაღა შეაწყალის ყრმაი ჩივილი" (II სჯული 28, 49-50). მართლიად გამოსახავს მოსე რომაელებს, რომელნიც მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, მაგრამ უკვე იყვნენ საღმრთო წინათმცნობელობაში; ზუსტად გადმოსცემს იგი მათს მხედრულ თვისებებს, რაც შედარებულია ლომისა და ორბის კვეთებასთან, მტაცებლობასა და ძალასთან რაც თვით რომაელებსაც კჳონდათ შეგნებული და თავიანთ ბაირალებზე ორბებს გამოსატავდნენ. „და შეჭამნეს მან ნაშობნი საცხოვართა შენთანი და ნაყოფნი ქვეყანისა შენისაი. და არა დაგიშთეს შენ იფქლი და ღვინო, და ზეთი და არცა დაგიშთენ ძროხანი მროწყულთა შენთანი არცა სამწყსონი ცხოვართა შენთანი, ვიდრემდის მოგასსრულოს შენ, და აღგფხურას შენ ქალაქთა შენთა, რომელთა დამკვიდრებულ იყი და დაამხვნეს ზღუდენი იგი მაღალნი და შენებულნი და ძნელნი, რომელსაიგი შენ ესვიდე ყოველსა მას ქვეყანასა შენსა და შეგიცვან შენ და შეგაურვონ ყოველთა მათ შინა ქალაქთა შენთა, რომელნი მოგცნა შენ უფალმან ღმერთმან შენმან“ (II სჯული 28, 51-52).

ეს წინასწარმეტყველება ზედმიწევნით აღსრულდა: რომაელებმა ერთი მეორეზე მიყოლებით აიღეს და დაანგრიეს იუდეველთა ყველა ციხე-სიმაგრე, გააჩანაგეს ქვეყანა, შემდეგ იერუსალიმსაც მოადგნენ და გარემოიცივეს იგი. იერუსალიმი მაშინ დიდ სივრცეზე საუკუნოვანი ზეთისხილის ბაღებით იყო გარშემორტყმული. რომაელებმა მთლიანად გაჩეხეს ისინი, რათა ლოდსატყორცნი მანქანები გაეკეთებინათ და თავიანთი სამხედრო ბანაკის სხვა საჭიროებისათვის გამოეყენებინათ. ამრიგად, მთელი ეს მშვენიერი მიდამო უსიცოცხლო უდაბნოდ გადააქციეს. ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ რომაელებმა აიღეს ქალაქი, დაწვეს სოლომონის ტაძარი, დაანგრიეს შენობები და ზღუდეები, კვა ქვაზე არ დატოვეს.

გარემოცულ ისრაელიანთა საშინელ უბედურებათ მოსე შემდეგნაირად აღწერს: „და შეშჳამდე შენ ნაშობთა მუცლისა შენისათა, ორთა ერთა და ასულთა შენთასა, რომელნი-იგი მოგცნეს შენ უფალმან ღმერთმან იწროებათა მათ ჭირისა შენისაითა, რომელსა გაჭირებდნენ შენ მტერნი იგი შენნი ყოველთავე მათ ქალაქთა შინა შენთა“ (იქვე, იუხლი 53). ყოველივე ეს მართლაც ეწია ისრაელერს, რომელმაც თავის უსჯულოებათა საწყაო ღმერთის მკვლელობით გარდაავსო. და განებივრებული და გაფუფუნებული ქალი, რომელსაც ფუფუნებისა და ნებივრობის გამო ფეხიც არ დაუკარებია მიწაზე, ავი თვალით შეხედავს თავის თანამეცხედრეს, თავის ვაჟსა და ასულს, მომყოლს, რომელიც გამოდის მის ფეხებშორის და თავის შეილებს, რომელთაც დაბადებს, რადგან ჩუმაღ შეჭამს მათ გაჭირვებისას, ალყაში და იწროებაში, როცა შეგავიწროვებს მტერი შენს მიწა-წყალზე“ (56-57).

იუდეველი მღვდელმსახური და მემოტიანე იოსებ ფლავიოსი, რომელმაც აღწერა ეს ომი და მონაწილეობდა კიდევ მასში, მოგვითხრობს, თუ როგორ დაკლა თავისი ყრმა ვაჟიშვილი ერთმა ბდიდარმა ებრაელმა ყმაწვილმა ქალმა, სახელად მარიამმა, რომელიც იორდანეს გადაღმიდან ამოვიდა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე და რომელთა გარემოცვის გამო აღარ შეეძლო მისი დატოვება: აჯანყებულმა თანატომელებმა ყოველივე წაართვეს მას, ლუკმა პურიც კი არ დაუტოვეს და სასოწარკვეთილმა ქალმა თავისი ძე მოხარშა და შეჭამა! საჭმლის სუნზე მის სამყოფელში მახვილშემართული იუდეველნი შეიჭრნენ და მოსთხოვეს, საზრდო ჩვენც მოგვეციო. მარიამმა მიუგო: „აი, მე თქვენთვისაც გადავინახე ჩემი საჭმელი!“ — და თავისი მოკლული ძის სხეულის მოხარშული ნაწილები მიაწოდა. შეძრწუნებული იუდეველნი გარეთ გაიჭრნენ და მთელს ქალაქს გააგებინეს მომხდარი საშინელება.

შიმშილს გადამდები სნეულებებიც და-



ერთო. ამ გარემოცვის შედეგად ერთ მილიონზე მეტი იუდეველი მოკვდა შიმშილით, სნეულებითა თუ მახვილით. ასეთასზე მეტი ებრაელი ტყვედ წაიყვანეს. ისინი გემებზე დასხეს და ეგვიპტეში გადაიყვანეს, სადაც ჩალის ფასად მონებად გაჰყიდეს ხალხმრავალი ალექსანდრიის ბაზრებზე. თავიანთი ამ ქმედებითაც რომაელებმა შედმიწევნით აღასრულეს მოსეს ოდინდელი წინასწარმეტყველება, რომლითაც სჯულისმდებელი ეგვიპტიდან ახლად გამოსულ და უდაბნოში აღთქმული ქვეყნისაკენ ორმოცწლიანი მძიმე მოგზაურობაგამოვლილ ისრაელიანებს მიმართავს: „და მივაქციოს შენ უფალმან მუნ ვიდრე ეგვიპტედ ნავებითა და გზასა მას, რომელსა—იგი გარქვი თქვენ, ვითარმედ არღარა შესძინოთ თქვენ მოქცევად აქავე, მიგყიდოს თქვენ ხელთა მტერთა თქვენთასა მონად და მხევლად და არავინ იყოს, რომელმანცა მიგიყიდნა თქვენ“ (II სჯული 28, 68). ორი ათას ხუთასი ტყვე იუდეველი ქალაქ კესარიაში დაიღუპა ცეცხლში, გარეულ მხეცთავან და გლადიატორთა მახვილისაგან სახალხო დღესასწაულზე, რომელიც გამარჯვებულ რომაელთა წინამძღოლმა ტიტუსმა გამართა იერუსალიმის აღების შემდეგ. მეორე დღესასწაულზე, ქალაქ ბერიტში, ასევე დიდძალი იუდეველი მოაკვდინეს. მათი წინამძღოლები — სვიმეონი და იოანე, შვიდასი ყველაზე წარჩინებული მოქალაქის თანხლებით. ტრიუმფით შეიყვანეს რომში, სადაც ყველანი სიკვდილით დასაჯეს როგორც მოჯანყენი, ყველა სხვა იუდეველიც, გაბნეულნი მთელს მაშინდელ მსოფლიოში, სასტიკ ზედამხედველობას, ეჭვიან დამოკიდებულებას და დევნა-შევიწროებას ეწივნენ მკვიდრი მოსახლეობისა და ხელისუფალთა მხრიდან.

სჯულისმდებელი მოსე კი კვლავაც შემდეგს უწინასწარმეტყველებდა ისრაელიანებს: „და განგაბნინეს თქვენ უფალმან ღმერთმან თქვენმან ყოველთა მიმართ წარმართთა და ჰმსახურებდეთ თქვენ კერპთა მათ ქვისათა და ძვლისათა, რომელ-იგი არა იცოდეს მათა შენთა. არამედ წარმართთა მათ მო-

რის არავე განისვენო შენ და არცაღა იყოს განსვენებაი ფერხთა შენთა და მოკცეს შენ უფალმან ღმერთმან შენმან გული მჭმუნვარე და თვალნი ნაკლულე-ვანნი და სული განჭაფული და იყოს ცხოვრებაი შენი დამოკიდებულ წინაშე თვალთა შენთა და შეშინებულნი შენ დღე და ღამე და არა გრწმენეს შენ ცხოვრებაი თავისა შენისაი. განთიად სთქვა: ოდესმე დაღამდეს, და მწუხრი სთქვა: ოდესმე განთენდეს, შეძრწუნებითა მით გულისა შენისაითა და შეშინებითა მით ხილვისა მის თვალთა შენთაისა, რომელსა-იგი ხედვიდე შენ“ (იქვე, მუხლ, 64-67). ეს წინასწარმეტყველებაც საკვირველი სიზუსტით აღსრულდა იაკობის მრავალრიცხოვან შთამომავლობაზე, რომელიც მთელს ქვეყნიერებაზე განიბნა, და დღესამომდე აღესრულება. ყველა ხალხი უნდობლობით უყურებდა და უყურებს იუდეველებს; მათი მდგომარეობა განუწყვეტლივ მერყეობს სხვადასხვა მთავრობათა განსხვავებულ შეხედულებათა კვალობაზე მათ მიმართ; ხშირად სწევნიან იუდეველნი სასტიკ დევნა-შევიწროებას, ზოგჯერ მრავალ ათასობითაც მოუსრავთ ისინი. მათი ქვეყანა ღმერთის რისხვამ მოსწყლა. უწინ ეს მართლაც აღთქმული ქვეყანა იყო, იმდენად მდიდარი და უხვი, რომ საღმრთო წერილი მას თაფლითა და რძით მდინარს უწოდებს. სულ მცირე სივრცეზე ამ მაღლიანი ქვეყანისა აქ მილიონობით მაცხოვრებელი მკვიდრობდა და არათუ უხვებით საზრდოობდა მისი მიწის ნაყოფებით, არამედ მეზობელ ხალხებშიც კი ჰყიდდა ჭარბ მოსავალს (III მეფეთა 5,9; საქმე მოციქ. 12, 20).

შემდგომში აღთქმული ქვეყნის ნიადაგი შეიცვალა, გამოიფიტა და მის მკვიდრთა შეცოდებათა მიზეზით დაკარგა უწინდელი ღმრთივკურთხეული ნაყოფიერება. და იქ, სადაც უწინ მილიონები მკვიდრობდნენ, ახლა ოდენ ათი ათასობით ადამიანი ცხოვრობს და ძლივს ძლივობით გააქვს თავი. ამას ერთხმად მოწმობენ მრავალრიცხოვანი მოგზაურნი, რომელთაც მოუნახულეობით დღევანდელი პალესტინა. კვლავ მოვუსმინოთ მოსეს



წინასწარმეტყველებას, კვლავ გავიხსენოთ იმ სასჯელთა ჩამონათვალი, რომელნიც წინასწარ განეჩინა თავისი რჩეულობის უარყოფელ ისრაელ. ერს: „... და უცხონი იგი, რომელ მოსრულ იყვნენ თქვენდა, რაჟამს იხილნენ გვემანი იგი და საღმობანი სნეულებისანი, რომელნი მოავლინნეს უფალმან მათ ზედა, და იყოს ქვეყანაი მათი ვითარცა წეწუნებაი და ნამწვარები ცეცხლისაი, ნუ იპოებინ ქვეყანასა მათსა თესლი თესვისაი, ნუცა საძოვარი ხარისაი, და არცა აღმოსცენდეს მათ ზედა მწვანეილი თივისა... არამედ ვითარცა დაიქცა სოდომი და გომორაი, ადამაი და სებეიმი, რომელ-იგი დააქცია უფალმან ღმერთმან რისხვითა მით გულისწყრომითა რისხვისა მისისაითა. და თქვან ყოველთა ნათესავთა: რაისამე ესრე შექნა უფალმან ღმერთმან ქვეყანაი ესე, ანუ რაიმე არს რისხვაი ესე დიდი გულისწყრომისა მისისაი, რომელი ესე ყო მათ ზედა? და თქვან: ამის გამო, რამეთუ დაუტევეს მცნებაი იგი სჯულისა უფლისა ღმერთისა მამათა მათთაისა, რაჟამს გამოჰყვანდეს იგინი ქვეყანით ეგვიპტით და მივიდეს და ჰმსახურებდეს კერპთა, რომელ-იგი არა იცოდეს მამათა მათთა“ (II სჯული 29, 22-26).

თავიანთი ისტორიის მანძილზე ისრაელიანნი რამოდენიმეჯერ განემორნენ ღმერთს და კერპთათყვანისმცემლობისაკენ მიიქცნენ. ამ დროებითი განდგომებისათვის ისინი დროებით სასჯელთ ეწივნენ, რომელთაგან ყველაზე ხანგრძლივი იყო სამოცდაათწლოვანი ტყვეობა ბაბილონში. მაგრამ როცა ისრაელიანებმა ჭეშმარიტი მესია — ქრისტე უარყვეს და ღმერთის მკვლელობა აღასრულეს, მაშინ მათ ამით საბოლოოდ დაარღვიეს შემოქმედ ღმერთთან დადებული აღთქმა. და ამ საშინელი დანაშაულისათვის ისინი საშინელ, მომაკვდინებელ სასჯელსაც ეწივნენ. ამ სასჯელით განიკითხებიან ისინი უკვე თითქმის ორი ათასი წელია და კვლავაც ჯიუტად ადგანან შეურიგებელ მტრობას ღმერთსაც იესო ქრისტესადმი. სწორედ ამ მტრობითაა აღბეჭდილი და ამ მტრო-

ბას ეფუძნება მათი განდგომილება და მათი უარყოფა.

მწარე, უნუგეშო გოდების ღირსია იუდეველთა საქციელი ჩვენი გამომსყიდველის მიმართ. და უდიდესი ყურადღებითაც გვმართებს ჩავუკვირდეთ იუდეველთა დაბრმავებას, მათს სიჯიუტეს, მათს განძინებას! ამ დაბრმავების, სიჯიუტისა და განძინების მიზეზები გულმოდგინე კვლევის საგანი უნდა გახდეს. რა მიიმედდავცა ადამიანი! რა მწარე დაბნელება შესძლება მას! როგორი შეცთომილებსაკენ და უაღრესი ცოდვისაკენ მიდრეკა შესძლება! როგორი დანაშაულის ჩადენის უნარი ჰქონია! და იუდეველთა საქციელი გამომსყიდველის მიმართ არამართო მათი, არამედ მთელი კაცობრიობის დანაშაულიცაა (ასე თქვა თვით უფალმა, როცა დიდ პახომის გამოეცხადა): ამიტომ იგი მით უფრო იმსახურებს უაღრეს ყურადღებას, ღრმა განსჯასა და გამოკვლევას. განკაცებული ღმერთი უსაკვირველეს ნიშთა და სასწაულთ აღასრულებდა ადამიანთა თვალწინ: განკურნავდა განუკურნებელ სნეულებებს, აღადგენდა მკვდართ, უბრძანებდა წყალთ, ქართ, მიწასა და ცას, — და ადამიანებმა მაინც არ ირწმუნეს მისი! მეტიც, მათ უარყვეს იგი და მასში თავიანთი უბოროტესი მტერი დაინახეს! ხორციელქმნილ ღმერთში მათ დაინახეს ღმერთის მოწინააღმდეგე, მისი სჯულის გამთელველ-უარყოფელი!

საიდან უნდა აღმოცენებულიყო ასეთი დაუჯერებელი დაბრმავება, ასეთი გაუგებარი დაბნელება გონებისა, ასეთი უაზრო სიჯიუტე და განძინება? — ვბასუხობთ: უზნეო ცხოვრებისაგან! თვით მაცხოვარი ასე გვეუბნება საკუთარი თავისთვის: „და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, და შეიყვარეს კაცთა ბნელი უფროის, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტ, რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმნ, სძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რათა ცხად იყვნენ საქმენი მისნი, რაითა არა ემხილოს საქმენი მისნი. ხოლო რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მო-



ვალს ნათლად, რაითა ცხად რევნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნილ არიან.“ (იოანე 3, 19-21). უფალი ძალმოსილი, უცილობელი სიტყვით მოწმობდა იუდეველთა წინაშე საკუთარი თავის შესახებ, ისინი კი გმობით პასუხობდნენ. მას უღაცო დასაბუთებანი მოჰყავდა თავისი ღმრთაების დასამტკიცებლად, ისინი კი პასუხად ქვებსა სწვდებოდნენ, რათა ჩაექოლათ იგი! უფალი არწმუნებდა მათ — უარი თქვით დიდება-პატივის ძიებაზე კაცთაგან, რადგან ამით შეუძლებელი ხდება თქვენთვის დიდება-პატივის მიღება ერთი ჭეშმარიტი ღმერთისაგან და მეტიც, ამის ძლით ადამიანს აღარ შეუძლია სწამდესო (იოანე 5, 44); უფალი არწმუნებდა მათ მოწყალენი იყავით და უარი თქვით ვერცხლისმოყვარეობაზე, რომლის მიზეზითაც შეუძლებელია ღმერთის მსახურებაო, ფარისევლები კი, პასუხად, დასცინოდნენ უფალს. მათი ცოდვისმოყვარე ვულებისათვის უკვე უცნაური და უცხო იყო უფლისმიერი სწავლება სათნოებების შესახებ (ლუკა 16, 13-14). „იერუსალემ, იერუსალემ! — იტყოდა უფალი და ამ სიტყვით მის მაცხოვრებელთ მიმართავდა. — რომელმან მოსწყვიდენ წინასწარმეტყველნი და ქვაი დაჰკრიბუ მოვლინებულთა შენ ზედა! რაოდენ გზის ვინებუ შეკრებაი შეილთა შენთაი, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, და არა ინებეთ!“ (მათე 23, 36).

იუდეველთა შეგონების მრავალრიცხოვან საშუალებათაგან ერთ-ერთია ის იგავიც, რომელიც უფალმა მათს მღვდელმთავრებსა და მოხუცებულებს უთხრა. ამ იგავში უფალმა აუწყა მათ, რომ იუდეველებს საშინელი სასჯელი მოეღოთ ჩაფიქრებული ღვთისმკვლელობისათვის: „კაცმან ვინმე სახლის უფალმან დაასხა ვენახი და ზღუდე გარე-მოსდვა და ქმნა საწნახელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი ქვეყანის-მოქმედთა და წარვიდა“ (მარკოზი 12, 1); ეს სახლის უფალი კაცი — ღმერთია, შემოქმედი და მპყრობელი მთელი ხილული და არახილული

სამყაროსი; იგი ადამიანად არის სახელდებული, რათა გამოიხატოს მისი უნიტუტქმელი კაცთმოყვარეობა, რომლის ძლითაც მან თავდაპირველად თავის სატად და მსგავსად შექმნა ადამიანი, მერმე კი თვითონაც კეთილად ინება ადამიანი შექმნილიყო ისე, როგორც ქვეყნის ღმერთი იყო და არის მარადის. ვენახი — მისი ეკლესიაა, მის მიერ დანერგული კაცობრიობაში და შემოზღუდული ვითარცა გაღავნით მისი საღმრთო განგებულებით; და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას. საწნახელად სახელდებულ არიან ძველი აღთქმის მსხვერპლშეწირვანი, რომელთა დროსაც პირუტყვთა სისხლი იღვრებოდა, ხოლო გოდოლად წოდებულია ღმრთივობებულის სჯული.

თავისი ეკლესია თავიდან ღმერთმა ისრაელ ერს მიანდო, უპირატესად კი მის მთავრებს. — ესევეითართა სახელდებით ქრისტეს დროისათვის საგონებელ არიან პირველმღვდელმთავრები. ამრიგად, რაკი ასე განავო საქმე სახლის უფალი „წარვიდა“, ამ ქმედებით ის არის გამოხატული, რომ ისრაელიანთათვის მინდობილი ეკლესია დიდხანს იმყოფებოდა მათს განმგებლობაში. „და მიავლინა ქვეყანის-მოქმედთა მათ ჟამსა ნაყოფისასა მონაი, „რაითა მოიღოს ნაყოფი ვენახისაი მის. ხოლო მათ შეიპყრეს იგი, გვემეს და წარავლინეს ცალიერი. მერმე კვალად წარავლინა სხვაი მონაი და მასცა კვალად გამო-ვე-ეწყვნეს, გვემეს და წარავლინეს გინებული. და კვალად სხვაი მიავლინა, და იგიცა მოკლეს. და სხვანი მრავალნი — რომელთამე სტანჯავდეს და რომელთამე მოჰკვლიდეს.“ (მარკ. 12, 2-5).

სახლის უფლის მონებად უფლის მიერ სახელდებულ არიან წმიდა წინასწარმეტყველნი, რომელნიც ღმერთმა სხვადასხვა დროს მოუვლინა ისრაელ ერს. „უკანასკნელ, ერთი ძე ესვა საყვარელი თვისი, მოავლინა მათა, რამეთუ თქვა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისათვის“ (იქვე, მუხლი 6). ეს სიტყვები გვიჩვენებენ, რომ წინასწარმეტყველთა წარმოგზავნა და ღმერთის ძის მოვლინება არამც და არამც



არ შეიძლება ერთმანეთს შევედაროთ. ძის მოვლინება იმდენად აღმატება წინასწარმეტყველთა წარმოგზავნას, რომ ურჩი და წინასწარმეტყველთა შეურაცხ-მყოფელ-მკვლელი იუდეველები მოვალენი იყვნენ უსიტყვო მორჩილება გამოემუღა-ვნებინათ ხორციელქმნილი და განკაცე-ბული ღმერთისადმი. „ხოლო ქვეყანის-მოქმედთა მათ თქვეს ურთიერთას: ესე არს მკვიდრი მისი, მოვედით და მოვკლათ იგი, და ჩვენდა იყოს სამკვიდრებელი ესე. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და გამოაგ-დეს იგი მიერ სავენახით“ (მარკოზი 12, 7-8). ამ სიტყვებში გულთა მეცნიერი უფალი განაცხადებს განზრახული ღვთის-მკვლევლობის საიდუმლო მიზანს: მღვდელ-მთავართა შიშს მასზედ, რომ ისინი დაპ-კარგავდნენ თავიანთ ძალაუფლებას, თავიანთ მნიშვნელობას ეკლესიაში, თავიანთ ქვეყნიურ უპირატესობებს, რაც ყოველთვის თან ახლდა მათს საეკლესიო ძალაუფლებასა და მნიშვნელობას.

უფალი პირდაპირ ეუბნება იუდეველთა მღვდელმთავრებს, თუ როგორ მოექცევიან ისინი განკაცებულ ღმერთს — ღმერთის ძეს, — აკი მართლაც, მათ ქალაქის ზღუდეთა გარეთ გაიყვანეს უფალი და იქ მოკლეს, გოლგოთას მთაზე. მათთვის გამოუცნობი დარჩა იგავის შინაარსი. უფალმა კი, როცა ეს იგავი დაასრულა, კითხვაც დაურთო მას: — და თვითვე უპასუხა მას: „და რაი უყოს მათ უფალ-მან მის ვენახისამან? — მოვიდეს და მო-სრნეს ქვეყანის-მოქმედნი და ვენახი იგი მისცეს სხვათა“ (მარკ. 12, 9); და როცა მღვდელმთავრებმა და უხუცესებმაც, დაუ-დასტურეს, დიახ, „ბოროტნი იგი ბორო-ტად წარწყმიდნეს და ვენახი იგი მისცეს სხვათა ქვეყანის მოქმედთა, რომელთა მოსცენ მას ნაყოფი უამსა თვისსა“; მა-შინ უფალმა განცხადებულად უთხრა მათ: „მივედოს თქვენგან სასუფეველი ღმერთისაი და მიეცეს ნათესავსა, რომე-ლნი ჰყოფდნენ ნაყოფსა მისსა“ (მათე 21, 41-43). ეს „ნათესავი“, რომელმაც ისრაელი ერი შეცვალა უფლის ეკლესია-ში, მრავალი ერისაგან შესდგა, და იწო-დება ქრისტიანებად, ანუ ახალ ისრაე-

ლად, ხოლო ეკლესია, რომელიც აქამდე ვენახად იწოდებოდა, ცათა სასუფეველად იწოდა: ძველი აღთქმის ეკლესიაში მხო-ლოდ წინასახე იყო ხანთა ცხოვნებისა, ხოლო ახალი აღთქმის ეკლესიაში უხვად, ყოვლად სრულყოფილი სახით მოგვემა-დლება თვით ცხოვნება.

ახალი ისრაელის წევრნი ის იუდევე-ლებიც გახდნენ, რომელთაც ქრისტე იწა-მეს და მიიღეს, — როგორც პავლე მო-ციქული ამბობს, „ნეშტი რჩევით მად-ლითა მით იქმნა“ (რომ. 11, 5). ამ „ნეშტს“ შეადგენდნენ ის იუდეველები, რომელთაც ირწმუნეს უფალი ქრისტე უფლის თორმეტი მოციქული წინამძღ-ვრებით. კაცობრიობის გამოსყიდვამდე უფლისა მიერ ჩვენისა იესო ქრისტესი იუდეველები ღმერთის რჩეული ერი იყო. ისინი გაუცხოებულნი იყვნენ სხვა ერე-ბისაგან და ზიზღით თავს არიდებდნენ მათთან ურთიერთობას, რაც მათ მოსეს სჯულით ჰქონდათ განწესებული. მთელს დანარჩენ კაცობრიობას, მოსეს სჯულის თანახმად, ისანი ღმერთისაგან უარყო-ფითად მიიჩნევდნენ, ხოლო მასთან ურ-თიერთობას თავის შებილწვად თვლიდ-ნენ. მაგრამ უფლის მიერ მთელი კაცო-ბრიობის გამოსყიდვის აღსრულების შე-მდგომ იუდეველთა უპირატესობა სხვა ერების წინაშე, მათი განსხვავება სხვა ხალხებთან შედარებით — განქარდა. თითოეული ადამიანისათვის გაღებული გამოსასყიდი ღირებულება არის თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე. და ამის შემ-დეგ, როგორც პავლე მოციქული ამბობს, „არა არს განწვალება ჰურიისა და წარ-მართისა, რამეთუ თავად არს უფალი ყოველთაი, რომელი განამდიდრებს ყო-ველთა, რომელნი ხადიან მას. რამეთუ ყოველმან, ხადოს სახელსა უფლისსა, ცხონდეს“ (რომ. 10, 12-13); „აღ-თუიარო პირითა შენითა იესუ და გრწმუნეს გულითა შენითა, რამეთუ ღმერთმან აღა-დგინა იგი მკვდრეთით, სცხონდე. რამე-თუ გულსა გრწამს სიმათლედ, ხოლო პი-რითა აღიარებ საცხორებლად“ (რომ. 10, 9-10).

ის ლოდი თავსაკიდური, რომელზეც



მთელი ჩვენი სულიერი ცოცხალი შენობაა აგებული, არის ცათა სასუფეველი, ახალი აღთქმის ეკლესია, ღვთის ერი — კურთხეული, წმიდა, ახალი იერუსალიმი, — ეს ლოდი თავსაკიდური არის უფალი, ჩვენი იესო ქრისტე. წმიდა მეფემ და წინასწარმეტყველმა, ღმერთკაცის სორციელმა წინაპარმა დაფითმა თქვა: „ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავ კიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვირველ წინაშე თვალთა ჩვენთა.“ (ფსალმ. 117, 22-23), „და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქროს იგი“ (მათე 21, 44). უგულებელჰყვეს — შეურაცხყვეს უფალი მაშენებლებმა — მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა იუდეველებისა. მაგრამ ღმერთის სიბრძნემ ისე განაგო, რომ ღმერთკაცი თავისი ნებაყოფლობითი სიკედილითა და მკვდრეთით აღდგომით მტერთა და მოწინააღმდეგეთა წინაშე უმტკაცესი, შეურყეველი და უვრცესი საძირკველი გახდა ახალი აღთქმის ეკლესიისათვის, რომელიც თვით იერუსალიმის შუაგულში შეიქმნა და რომელმაც სწორედ იერუსალიმიდან მოიცილა მთელი ქვეყნიერება. „კიდე“, ანუ კუთხე, ეკლესიის მოძღვართა განმარტებით, არის ორი, მანამდე ცალკე მყოფი და შეურთებელი ხალხის — იუდეველთა და წარმართთა შეერთება: ისინი ქრისტეში და ქრისტეს მიერ გაერთიანდნენ და ეკლესია შეადგინეს, რომლის საფუძველი და თავი არის ქრისტე (I კორინთ. 3, 11; ეფეს. 5, 23).

როცა ქრისტეს მორწმუნე იუდეველებმა დაინახეს, რომ რომაელთა ლაშქარი გარს ერტყმოდა იერუსალიმს, უფლის სიტყვისაებრ (ლუკა 21, 20), ისინი გამოვიდნენ ამ დასადუჰად განწირული ქალაქიდან. ასეთი გამოსვლისათვის სრული შესაძლებლობა შეიქმნა, რადგან პირველი გარემოცვის შემდეგ რომაელნი მცირე ხნით განემორჩნენ იუდეას, მალე კი ისევ დაბრუნდნენ, რათა ხანგრძლივი, მძიმე გარემოცვით აეღოთ აჯანყებულთა ქალაქი და ის სასჯელი აღესრულებინათ

ღმერთის მკვლელ და უარყოფელ იუდეველებზე, რომელიც მათ თვითონვე მოაწიეს საკუთარ თავს და თავის შთამომავლობას (მათე 23, 28) სულიერ ლოდზე დაცემული იუდეველნი შეიმუსრნენ, ხოლო ზეგარდმო განდგომულმა საღმრთო რისხვამ უმტკაცესად იხილა, რაც გამოიხატა მათი სახელმწიფოს განადგურებით, აღურაცხელი იუდეველის მოკვლით. ტყვედ გაყიდვითა და ცოცხლად გადარჩენილთა მთელს ქვეყნიერებაზე გაბნევით. მაგრამ ეს ღროისმიერი სასტიკი სასჯელი არაფერია იმ ენითუთქმელი სასჯელის წინაშე, რომელიც ღმერთის მტრებს მარადიულობაში მოეღიბა.

როცა პავლე მოციქული წარმმართთაგან მოქცეულ ქრისტიანებს მიმართავს და იუდეველთა ბედკრულ განდგომაზე მიუთითებს, ამბობს: „უკუეთუ რტოთა მათგანნი ვინმე გარდატყდეს, ხოლო შენ ველური ზეთის ხილი იყავ და დაემყენ მათ ზედა და თანა-ზიარ ძირისა და სიპოხისა ზეთის ხილისა იქმენ, ნუ ექადი რტოთა მათ. ხოლო უკუეთუ ექადი, არა თუ შენ ძირი იგი გიტვირთავს, არამედ ძირსა მას შენ... ნუ ჰმალლოი, არამედ გეშინოდენ! უკუეთუ ღმერთმან ბუნებითა მათ რტოთა არა პრიდა, ნუ უკუე შენცა არა გრიდოს. აწ უკუე იხილე სიტკბოებაი და სასტიკებაი ღმრთისაი: დაცემულთა მათ ზედა — სასტიკებაი, ხოლო შენ ზედა — სიტკბოებაი, უკუეთუ ეგო სიტკბოებასა მას ზედა; უკუეთუ არა, შენცა მო-ვე-ეკუეთო“ (რომ. 11, 17, 18, 20-22).

ჩაუკვირდეთ ამ გაფრთხილებას. დავუკვირდეთ იმ საშინელ საფროხეს, რაც ამ გაფრთხილებას ახლავს თან! იუდეველთა განდგომის მიზეზი მაცხოვრისაგან იყო მათი უზნეო ცხოვრება — კერძო ადამიანურიცა და საზოგადოებრივიც, რაც საღმრთო სჯულის განუწყვეტელ დარღვევასა და გათუღვაში გამოიხატებოდა; ამიტომ უკუვაგდოთ ჩვენგან მიზეზი ჩვენი შესაძლო განდგომისა — უზნეო ცხოვრება, რათა არამც და არამც არ გვეწიოს თვით განდგომილება. წმიდა მღვდელმთავარი ტიხონ ვორონეჟელი



ამბობს: „რამდენგზისაც ცოდვილი ადამიანი თავისი ნებით მიიდრიკება ცოდვისაკენ, რომლისკენაც დიდი ღტოლვა გასჩენია, იმდენგზისვე იგი გულით უარყოფს ქრისტეს; ხოლო რამდენგზისაც იგი საქმით აღასრულებს ცოდვას, იმდენგზის კერპის წინაშე შესწირავს მსხვერპლს“. გამუდმებული ცოდვიანი ცხოვრება არის გამუდმებული განდგომა ქრისტესაგან, დაე, თუნდაც ენითა და ბაგეებით არც არაფერი წარმოითქმებოდეს ქრისტეს წინააღმდეგ. რამეთუ, ვაი, რომ განდგომილება უკვე თვით შეცოდებითაა წარმოთქმული, თანაც უკვე დიდი ხანია! და თვით ბაგეთ და ენასაც არ ძალუძთ არ გამოავლინონ ხოლმე ფარული გულისმიერი განდგომილებისა და ქრისტეს უარყოფის ნიშნები: ისინი თითქოს უნებლიეთ გამოთქვამენ მათ.

ქრისტესაგან განდგომა წარმოითქმებოდა და კვლავ და კვლავ წარმოითქმება სხვადასხვა მწვალებლური სწავლებებით, რომელნიც თავიანთ ამ განდგომილებას ქრისტეს სახელით ჰფარავენ, რაც მათ არამც და არამც არ ეკუთვნით! წარმოითქმებოდა და კვლავაც წარმოითქმება იგი დაცემული ადამიანური გონებიდან მომდინარე სხვადასხვა სწავლებებით, რომლებიც თავს ნათელად წარმოაჩენენ, სინამდვილეში კი ჭეშმარიტი ნათელის — ქრისტეს უკუმგდებელნი არიან წარმოითქმებოდა და წარმოითქმება ქრისტესაგან განდგომილება არამხოლოდ გარყვნილი ცხოვრებით, არამედ საღმრთო მცნებებისადმი უყურადღებო ცხოვრებითაც კი. „მცნებაი უფლისაი ბრწყინვალე არს, განმამართლებელ თვალთა“ (ფსალმ. 18, 9), და მხოლოდ მისი მეშვეობითაა შესაძლებელი გამომსყიდველის ხილვა? მხოლოდ სიბართლის მქმნელს ძალუძს გამომსყიდველის მიღება (საქმე მოციქ. 10, 35) და მარადის მაცხოვართან თანაზიარობაში ყოფნა (იოანე 15, 10).

ახალი ისრაელის განდგომა მაცხოვრისაგან ძალზე ვრცელ განვითარებას ჰპოვებს ბოლო, ქვეყნის დასასრულის ჟამს, როგორც ეს წინასწარ გვამცნო პავლე მოციქულმა: პირველად დიდი განდგო-

მიღება — აპოსტაცია მოვა, შემდეგ კი როგორც მისი შედეგი და ნაყოფი, გამოჩნდება „კაცი იგი უსჯულოებისაი, შვილი იგი წარსაწყმედელისაი“ (II თესლონიკ, 2, 3), რომელიც კადნიერად გამოაცხადებს თავს ადგილობრივ მესიად და ღმერთის საფურცელსადაც მოითხოვს, რასაც მიიღებს კიდევ იმ ადამიანთაგან, რომელნიც მანამდე ქრისტესაგან თავიანთი აშკარა თუ ფარული განდგომით ემზადებოდნენ ანტიქრისტეს მისაღებად. ღმერთისაგან ეს განდგომა ისეთი მძაფრი და საყოველთაო იქნება, რომ „განმრავლებითა უსჯულოებისაითა განხმეს სიყვარული მრავალთაი“ (მათე 24, 12). ეს კი შემდეგს ნიშნავს: ცოდვისნიერი საცთურნი და დაცემა იმდენად განმრავლდება, რომ ურიცხვი ადამიანი გატაცებული აღმოჩნდება ცოდვიანი ცხოვრებით. რწმენაც ქრისტესი ძლივსა იარსებებს, როგორც ეს თვით უფალმა გვაუწყა: „მო-რაა-ვიდეს ძე კაცისაი, პოვოს-მეა სარწმუნოებაი ქვეყანასა ზედა?“ (ლუკა 18, 8).

ნივთიერი ამაო გატაცებანი და შეებასიამენი მთლიანად მიიზიდავს კაცობრიობის უდიდეს ნაწილის ყურადღებას. „და ვითარცა — იგი დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განქორწინებდეს ვიდრე დღემდე შესლვად ნოესა კიდობნად, და მოიწია წყლით-რღუნაი და წარწყმიდნა ყოველნი, და ეგრეთვე ვითარცა — იგი იყო დღეთა ლოტისთა: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს“ (ლუკა 17, 26-28). ამრიგად, დიდი ქვეყნიური კეთილდღეობა და უდიდესი ქვეყნიური წამოწყებანი, ვითარცა თვალსაჩინონი და ცხადნი ყველასათვის, ღმერთის სიტყვის მიერ წარმოდგენილია როგორც ნიშანი უკანასკნელ ჟამთა დადგომისა და ცოდვიანობაში მომწიფებული კაცობრიობისა, რაც, უმეტესწილად, შეფარული და შეუცნობელი იქნება ზედაპირული, გამოუცდელი დაკვირვებისათვის.

კაცობრიობას არასდროს არ სურს ბო-



როტების მიმდევრად გამოაცხადოს თავი, თუმცა ყოველთვის შთაფლული იყო ბოროტებაში: იგი განუწყვეტლივ ცდილობს სათნოდ, კეთილის მოქმედად წარმოაჩინოს თავი. და როცა კაცობრიობა ყველაზე მეტად აძლევს თავს უფლებას უსჯულოებაში შთაეფლოს, სწორედ მაშინ ცდილობს ყველაზე მეტად განიმართლოს თავი ადამიანთა თვალში (ლუკა 16, 15). სწორედ მაშინ პირმოთნეობს იგი ყველაზე მეტად. სწორედ მაშინ ყველაზე ურცხვად და უტიფრად იწყებს ღადაღს საკუთარი სრულყოფილებისა და სათნოების შესახებ (იოანე 9, 28). მიჯაჭვულობამ ყოველივე ნივთიერზე და ქვეყნიურ კეთილდღეობაზე ადვილად შეიძლება ადამიანის მთელი არსება. მოიცვას — დაიპყროს მისი გონება, გული, მოსტაცოს მას მთელი დრო და მთელი ძალები: ჩემი დაცემის გამო „მიეახლა სული ჩემი მიწასა“ (ფსალმ. 118, 25). ჩემი სიჭაბუკიდანვე, ნაცვლად იმისა, რომ მაღლა ზეცად ყოფილიყო იგიო. ასეთი მიჯაჭვულობა მიწიერისადმი განამორებს ადამიანს ღვთის სიტყვისაგან, სიკვდილზე და მარადიულობაზე ფიქრისაგან, განდრეკს ღმერთის რწმენისა და ღმერთის შემეცნებისაგან, და ამით მოკლავს საუკუნო სიკვდილით.

„უკუეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი ესე“, — უკლებლივ ყველას გვიცხადებს სულიწმიდა, — ანუ თუკი ქვეყნიური ცხოვრება ეყვარება ვინმეს მისი წარმატებულობითა და შვება-სიამეებით, „არა არს სიყვარული მაშისაი მის თანა“ (იოანე 2, 15); „სიყვარული სოფლისაი ამის ჭტერობა არს ღმერთისა. აწ უკუე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების“ (იაკობი 4, 4). „ვერვის ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად... ღმერთისა მონებად და მამონაისა“, ანუ ქვეყნიური კეთილდღეობისათ (მათე 6, 24). მამონასადმი მსახურება, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა მას მსხვერპლად ეწირება ადამიანის სულის ყველა ძალისხმევა, არის განდგომილება ღმერთის მსახურებისაგან და უტყუარი ნიშანი ცოდ-

ვიანობის უღრმეს, გამოუვალ უფსკრულში შთავარდნისა. როგორადაც ძველმა ისრაელმა გაიღო მსხვერპლად ქვეყნიური უპირატესობისა და კეთილდღეობაზე ამო იმედებისათვის მაცხოვრის მიერ მისთვის შეთავაზებული სულიერი ღირსება, ასევე ახალი ისრაელის საღმრთო წერილის მოწმობით, უარყოფს თავის სულიერ ღირსებას, უკვე მომადლებულს მისდა მაცხოვრის მიერ, და ამას იქმს კვლავაც ქვეყნიური, მსწრაფლწარმავალი კეთილდღეობისათვის, ოდენ მაცთუნებელ ოცნებაში წარმოდგენილი წარმატებულობისათვის, და ამით დაამცირებს სულს წმიდას თავისი დაცემული, ცრუ გონიერების წინაშე.

ძველი აღთქმის ისრაელი აცთუნა ოცნებამ უმაღლეს ქვეყნიურ წარმატებულობაზე, და ახალი აღთქმის ისრაელსაც ამგვარივე ოცნება და მისწრაფება შეაცდენს. ძველ ისრაელს გამომსყიდველის უარყოფითისათვის ეწია დროებითი და სამარადისო უბედურებანი. ეს უბედურებანი ოდენ მკრთალი წინასახეა იმ საშინელ უბედურებათა, რომელნიც სასჯელად უნდა დაატყდნენ თავს ახალ ისრაელს მისი განდგომილებისათვის. ამ საშინელდროებით და საუკუნო სასჯელთ ვერავინ ვერ ავიცილებთ, „უკუეთუ ესე-ოდენი. ესე უდებვოთ ცხოვრება, რომელმან-იგი დასაბამი მოიღო სიტყვად უფლისა მიერ, მსმენელთა მათგან ჩვენდა მომართ დამტკიცნა, თანა-მოწამებითა ღმერთისაითა, სასწაულებითა და ნიშებითა და ფერად-ფერადითა ძალითა და სული-სა წმიდისა განყოფისა ნებისაებრ მისისა“ (ებრ. 2, 3, 4).

მაშ, რა უნდა ვილონოთ იმისთვის, რომ არ განვუდგეთ მაცხოვარს და ღვთის რისხვას არ ვეწიოთ? „ამისთვის, — გვახსობს პავლე მოციქული. — ჯერ-არს უმეტესად კრძალვაი ჩვენი, რომელთა ესე გვასმიეს, რაითა არა მოუძღურდეთ“ (ებრ. 2, 1). ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ახალი აღთქმისადმი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვცხოვრობდეთ, რომლის დადებაც ჩვენთან ღმერთმა კეთილად იწინება, შეგვიერთა რა თავისთან წმიდა



საიდუმლოებით და განგვიცხადა რა სახარებაში თავისი ყოვლადწმიდა, ყოვლადსრული ნება, და გვირგვინოსაპყრო რა ახალი აღთქმის ერთგულნი ძენი სულიწმიდის განცხადებული ნიჭით. მაშ, გვახსოვდეს სიკვდილი და ღმერთის სამსჯავრო, რომელსაც უმაღვე ვეწევით, როგორც კი სული ჩვენი სხეულს გაეყრება; გვახსოვდეს ნეტარი თუ ბედკრული მარადიულობა რომელიც ჩვენი ხვედრი იქნება ღმერთის მსჯავრის შესაბამისად. თუკი განუწყვეტლივ გვეხსომება სიკვდილი, ღმერთის სამსჯავრო, ნეტარი თუ ბედკრული მარადიულობა, მაშინ ჩვენი მიმართებაც ქვეყნიური ცხოვრებისადმი შეიცვლება: ჩვენ საკუთარ თავს ისე შევხედავთ, როგორც მწირთ ამა ქვეყანაზე; ჩვენს გულში იშვება გულგრილობა ქვეყნიური საგნებისა და კეთილდღეობისადმი; და მთელი ჩვენი ყურადღებაც სახარებისმიერი მცნებების შესწავლასა და აღსრულებას მიემართება.

როგორადაც ღამით უსიერ ტყეში გზადაბნეული მგზავრი ზარისა თუ საყვირის ხმით ცდილობს თავის სახლამდე მიადწიოს, ასევე ჭეშმარიტი ქრისტიანიც ქრისტეს მოძღვრებისადმი ყურადღებით ცდილობს გამოვიდეს ცრუ გონების სამფლობელოდან, რომელიც ხორციელი ცხოვრებისაგან აღმოცენდება და მისით საზრდოობს. „საგალობელ იყვნეს ჩემდა სამართლიანი შენნი ადგილსა მას მწირობისა ჩემისასა. მოვიხსენე ღამე სახელი შენი, უფალო, და დავიცევე სჯული შენი, ესე მეყო მე, რამეთუ სამართალნი შენნი გამოვიძიენ მე“ (ფსალმ. 118, 54-56), — ასე შეჰლაღადებს ღმერთს წმიდა წინასწარმეტყველი დავითი, რომელიც თავის სამეფო პალატებშიც და თავის, ვითარცა დაუმარცხებელი გმირის, მდგომარეობაშიც ყოველთვის მწირად აღიარებდა თავს ამქვეყნად, ხოლო ამა ქვეყანას — თავისი მწირობისა და განდევნის ადგილად. ნუ იფიქრებთ, თითქოს ამგვარი შეხედულების გამო ჩვენ საზოგადოების უძღურ, სუსტ და ნაკლებად სასარგებლო წევრებად შევიქნათ, არა! ასეთი შეხედულების ქონისას ჩვენ განსაკუთრებული გულმოდგინებით,

თავგანწირვით შევასრულებთ ჩვენს მოვალეობებს კაცობრიობის წინაშე, და ეს სავსებით ბუნებრივია! რამეთუ მაშინ ჩვენი საქმიანობის ერთადერთ მიზნად კაცობრიობისათვის სარგებლობის მოტანა შეიქმნება, და არა, ქვეყნიურ უპირატესობათა მოპოვება. ამასთანავე, როცა ჩვენ დავივიწყებთ მარადიულ ცხოვრებას და ღმერთს, მაშინ ამქვეყნად მხოლოდ ქვეყნიურ კეთილდღეობათა მოსაპოვებლად ვიცხოვრებთ; მაშინ შეუცნობლად, ჩვენთვისვე გაუკებრად, სინდისის მოვალეობის გათვლვით და დიადი ღმერთის ბრძანებათა უგულვებელყოფით ჩვენ მოყვასის კეთილდღეობას მივიტანთ მსხვერპლად ჩვენი საკუთარი თავის სიყვარულის და ცთუნების წინაშე, — კაცობრიობის სარგებლობას, ჩვენს საკუთარ სამარადისო ხვედრს გავიღებთ მსხვერპლად.

უფალი მრავალმოთმინეა ჩვენს ცოდვათა მიმართ (II პეტრე 3, 15), ეს ცხადზე უცხადესია: „და უფლისა ჩვენისა იგი სულგრძელებაი ცხორებად შერაცხეთ“, გვეუბნება მოციქული, ანუ იცოდეთ, რომ ამ სულგრძელების მიზეზია საღმრთო განგებულება ჩვენსა გამო, რათა არ გავვიტაცოს ბოროტების ყოვლისმშთანთქამმა ნიაღვარმა და რათა ღვთის სიტყვის წინამძღვრობით ჩვენს საკუთარ ცხოვნებას მოვიმუშაოებდეთ. ადამიანთა უმრავლესობამ, მოტყუებულმა მაცთურ სულთა ცრუ სწავლებით (I ტიმოთე 4, 1), გონებადაბინდულმა მათში მოქმედი ამ სწავლებით, მოიძავა ღვთის სიტყვა, და მათ არც უწყიან იგი და არც სურთ იცოდნენ. ჩვენთვის კი აუცილებელია, უაღრესად საჭიროა ღრმა ყურადღება ღვთის სიტყვისადმი, რომელიც განმართლება მისადმი მტრულად განწყობილი დროის მოვლენებით, რათა არასდროს არ განვეშოროთ ღმერთს! აუცილებელია, საჭიროა ასეთი ყურადღება, რათა საბოლოოდ არ მოვაკლდეთ ცხოვნებას, ჯერეთ კვლავაც შესაძლებელს ადამიანისათვის საკვირველი მოწყალებითა და სულგრძელებით ღმერთისა ჩვენისა, ვინც ხსნის შესაძლებლობას გვანიჭებს ჩვენ მისი მორწმუნეების ამ მცირე ნაშთს ამინ.



## ელაონორა გვრიტიშვილი



ქართული  
ენციკლოპედია

გერპარტ ჰაუპტმანის დრამის „მზის ჩასვლის წინ“ კრიტიკოსობა

გერპარტ ჰაუპტმანი (1862—1946), დიდი გერმანელი მწერალი — ჰუმანისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1912), XIX-XX საუკუნეების მიჯნის დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო წარმომადგენელია. მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე (გარდაიცვალა 84 წლის ასაკში) მწერალმა თავისი ძალა სცადა დრამაშიც, პროზაშიც, პოეზიაშიც. იგი თავისი ბუნებით იყო პოეტი ღრმა და ძლიერი, მაგრამ არა პოეზია, არამედ დრამატურგია იქცა მისი ნიჭის გამოსატულეზად. იგივე შეიძლება ითქვას ჰაუპტმან-პროზაიკოსზეც. მან არაერთი, ნამდვილად ღირსშესანიშნავი ბელეტრისტული ნაწარმოები შექმნა, მაგრამ მწერალს უპირველესად დრამამ გაუთქვა სახელი. მისმა პიესებმა გაუძლეს დროის გამოცდას და შეინარჩუნეს დღეისთვისაც მისაღები იდეურ-მხატვრული ღირებულება.

ლიტერატურის კრიტიკოსები ჰაუპტმანს სიცოცხლეშივე აღიარებდნენ გერმანული ლიტერატურის უცილო პატრიარქად, მის უკანასკნელ კლასიკოსად, ძველი გერმანიის სულიერი დიდების სიმბოლოდ. რ. მიხაელისის თქმით, „აღიარებს რა ჰაუპტმანს, გერმანელი ხალხი აღიარებს საკუთარ თავს“. მართლაც, ძალიან ცოტა მწერალსა და ხელოვანს ღირსებია თავისსავე სიცოცხლეში ისეთი პატივი და დიდება, როგორც წილად ხვდა ჰაუპტმანს. 1889 წლიდან მოყოლებული, როცა დაიდგა მისი პირველი პიესა „მზის ჩასვლის წინ“, დრამატურგის სახელი არ ჩამოდიოდა გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების თეატრალური აფიშებიდან. უცხოელ მწერალთაგან იგი ყველაზე პო-

პულარული იყო ჩვენშიც 1900—1920 წლებში (დაიდგა 12 პიესა). თითოეული მისი პიესა აღიქმებოდა მძაფრ სოციალურ-მამხილებელ ნაწარმოებად და მხურვალე გამოხმაურებას პოულობდა მასათა გულელებში.

გერპარტ ჰაუპტმანის შემოქმედების მაგისტრალური თემა ყოველთვის იყო პიროვნების გაუხეშებისა და სულიერი სიმართლის პრობლემა, რაც მან გასაოცარი შთამბეჭდაობით ასახა დრამაში „მზის ჩასვლის წინ“ (1931), ამ პიესამ, რომელიც გერმანელი დრამატურგის შემოქმედების მეორე პერიოდის მწვერვალია, სენსაციური წარმატებით მოიარა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის თეატრების სცენა. ეს წარმატება განაპირობეს პიესის პრობლემატიკამ და გამოსატვის ოსტატობის იმ დონემ, რომლითაც ის არის შექმნილი. ამ ნაწარმოებში ჰაუპტმანი უღრმავდება კლასიკის პრობლემებს. მწერლის ინტუიციას ის ყოველთვის შეუცდომლად მიჰყავს იქ, სადაც ჰუმანიზმის ბანაკი იბრძვის. ძველი გერმანიის სულიერი ფასეულობების შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ჰაუპტმანმა ყველაზე წარმატებულად შეძლო გამხდარიყო გოეთეს მიმდევარი და შემკვიდრე. ის ყოველთვის გრძნობდა გაუწყვეტელ ლტოლვას დიდი გერმანელისადმი, რაც გამოიხატა კიდევ მის შემოქმედებაში. ამიტომ აღიქვამდნენ მას გერმანული ლიტერატურის „უკანასკნელ კლასიკოსად“, იმ ჯაჭვის უკანასკნელ რგოლად, რომლის დასაწყისი გოეთე იყო. „მიუხედავად გარკვეული ცვლილებისა, გოეთეს სული აღორძინდა ჩვენი დროის ორ უდიდეს პიროვნებაში — გერპარტ ჰაუპტმანსა და რომენ როლანში. ისინიც



გოეთესავით იბრძვიან სულისა და კაცობრიობის თავისუფლებისათვის. ისინიც გოეთესავით დროისა და ერის ინტერესებში ეძებენ საერთო-საკაცობრიოს, — წერს კრიტიკოსი შრედერი. ჩვენთვის ამ სიტყვების სამართლიანობა ეჭვგარეშეა ფაშიზმის ბატონობის პერიოდშიც. ამის დამამტკიცებელია ჰაუპტმანის მთელი შემოქმედება. მან გამოაქვეყნა უამრავი თეორიული მსჯელობანი გოეთეზე, რომლებიც თავმოყრილია მის დიდი ვაიმარელის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოსვლებში 1932 წელს. უშუალოდ გოეთესთან დაკავშირებულია ჰაუპტმანის ნაწარმოებები: „ანტიკური ტეტრალოგია“, ნოველები „ზლაპარი“ და „მინიონი“, დრამა „მზის ჩასვლის წინ“ და „წყვდიადი“, რომლებიც აღსავსეა სევდითა და მწუხარებით გერმანული ჰუმანიზმის წარსულში დარჩენის გამო. საკუთარი ნებით „ტყვეობაში“ მყოფ ჰაუპტმანს არ გაუწყვეტია კავშირი დიდ „ოლიმპიელთან“, რომელიც გაიბა ბავშვობის წლებიდან, იმ დღიდან, როცა პირველად წაიკითხა გოეთეს ლექსები.

1937 წელს, როცა ვიზენშტაინის განმარტოებულ სახლში ჰაუპტმანმა დანგერის მიერ შესრულებული გოეთეს ბიუსტი დადგა, თავის მეგობრებს შემდეგი ლექსი წაუკითხა:

„აი ის, კვლავ ის,  
რომელიც გმირია არა ხმლითა და  
კვერთხით,  
არამედ ათენელი პრძენის —  
ბუს ნიშნით,  
უკეთილშობილესი გოლიათია  
სამარადუამოდ...  
ის ღმერთი კი არა, ადამიანური  
ადამიანია“...

„ადამიანური ადამიანი“, „უკეთილშობილესი გოლიათი“ — ამ სიტყვებში, რომლებიც გამოსაქვეყნებლად არ დაწერილან, გამოსატულია პოლემიკა ფაშისტების მიმართ, რომლებიც გოეთეს „ზეკაცად“ მიიჩნევდნენ. ჰაუპტმანი კი მის

„გოლიათობაში“ ადამიანურობას ხედავდა.

ერთხელ ჰაუპტმანმა შენიშნა, რომ თავის ნამდვილ წინამძღოლად ნიცშე კი არა, გოეთე და შილერი მიიჩნდა, და ეს შემდგომ დაამტკიცა კიდევ თავისი შემოქმედებით.

ფაშიზმმა ენერგიულად წამოსწია თავი 1930 წელს. იმავდროულად გერმანულ საზოგადოებაში იზრდებოდა ამ მოვლენის არსის სიღრმისეული გაგებაც. დემოკრატიული ძალები ცხარე ბრძოლას უმართავდნენ პიტლერულ მოძრაობას. კრიზისის წლები იქცა გერმანულ ლიტერატურაში პირველი ანტიფაშისტური ნაწარმოებების დაბადების წლებად.

თომას მანმა შინაგანი დრამატიზმით სავსე ნოველაში „მარიო და ჯადოქარი“ (1930) ადამიანის ფსიქოლოგიური დამონების პრობლემა დასვა. ლიონ ფოიხტვანგერთა კი ვრცელ რომანში „წარმატება“ (1930) გამოიძია ამ მზარდი მოძრაობის სოციალური ფესვები. რამდენიმე წლის შემდეგ 1932—1934 წწ. ბრესტმა მწვავე გროტესკული დრამატურგიული ფორმით ამხილა ნაციონალ-სოციალისტების რასისტული პოლიტიკა ნაწარმოებში „მრგვალთავიანები და მახვილთავიანები“ (1936—1938). თომას მანთან, ლიონ ფოიხტვანგერთან და ახალგაზრდა ბერთოლდ ბრესტთან ერთად გერმანული ანტიფაშისტური ლიტერატურის სათავეებთან იდგა გერპარტ ჰაუპტმანიც. პიესაში „მზის ჩასვლის წინ“ რომელიც 1928 წელს დაიწყო და დაამთავრა 3 წლის შემდეგ, მწერალმა თავისებურად გაიაზრა მაშინდელი გერმანული სინამდვილე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი კრიტიკოსი საყვედურობდა ჰაუპტმანს, დიდი ხანია თანამედროვეობას გაექცაო. ამ შეხედულების სიმცდარეში დაგვარწმუნა დრამა „პერბერტ ენგელმანმა“, რომელიც „ცოცხლად იყო დამარხული“ ავტორის საწერი მაგიდის უჯრაში. არასწორი შეფასება მისცეს მათ საოცარი ნიჭითა და სიმასწივლით დაწერილ პიესას „დოროთეა ანგერმანსაც“, რომელიც ფა-



შიზმის კარებს წინ იდგა. ხოლო, პიესით „მზის ჩასვლის წინ“ მწერალმა აშკარად და დაუფარავად გააფრთხილა საზოგადოება ფაშიზმის მოახლოების შესახებ. იგი გრძნობდა ფაშიზმისათვის ყველაზე დამახასიათებელი თვისების — უსულგულო, ობიექტუური მასის მოძალეზას, რაც გამოიხატა ტრადიციული „ოჯახური დრამის“ ფორმით. როგორც ვიცით, პაუპტმანი სწორედ ოჯახური დრამის ფონზე ხატავდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კონფლიქტს, პროტესტს ცხოვრების იმ წესის წინააღმდეგ, რაც ამ ოჯახის წევრებისათვის დოგმად იყო ქცეული. მაგალითად, არაორდინალური ადამიანის კონფლიქტი იმალება ფოკერატების სახლში („მარტოხელანი“) და მამისა და შვილის მტრულ დამოკიდებულებაში („ნიხაელ ქრამერი“). მოგვიანებით ამ ტრადიციას აგრძელებს დრამაც „დოროთეა ანგერმანი“, რომელშიც გმირის კონფლიქტი საზოგადოებასთან ოჯახიდან იწყება. მაგრამ, უნდა ვთქვათ, რომ პიესაში „მზის ჩასვლის წინ“ „ოჯახური დრამა“ სრულიად ახალ რეგისტრშია აყვანილი.

1931 წელს დრამატურგისათვის სამყარო გაცილებით აგრესიულია, ვიდრე ის ოპიანეს ფოკერატის, არნოლდისა და დოროთეას დროს იყო. პაუპტმანის ახალი გმირი მათიას ქლაუზენი, დოროთეასგან განსხვავებით, იძულებული არ არის საზოგადოებრივად წავიდეს, გაექცეს ცხოვრებას. პირიქით, გარე სამყარო თვითონ შემოდის მის სახლში.

ქალაქის პატივცემული და ყველასგან აღიარებული, სამოცდაათი წლის კომერციული მრჩეველი მათიას ქლაუზენი არის უდიდესი გამომცემლობის გამგებელი, განუზომელი სიმდიდრის მფლობელი, მაგრამ მას თავის ყველაზე დიდ საუნჯედ უნიკალური და სათუთად მოვლილი ბიბლიოთეკა მიაჩნია. მრავალი წლის განმავლობაში მათიასი თითქოს ორ სამყაროში ცხოვრობს: უძღვება საქმეს, იღებს მნახველებს, გულდიად საუბრობს სტუმრებთან, ამავე დროს, ყოველთვის ფრთხილად

და გონივრულად ცდილობს შეინარჩუნოს თავისი შინაგანი სამყარო, დაიცვას ის შემჩანური გარემოს ზემოქმედებისგან. საიდუმლო მრჩეველი არავის უმხელს იმას, რაც მის სულში ღრმად ჩაკეტილი. მას არასდროს უფიქრია, აშკარად და ხმა-მალა გამოეთქვა თანხის უარყოფითი დამოკიდებულება გარემომცველი საზოგადოების ნორმების მიმართ და არც მომავალში აპირებს ამის გაკეთებას. მაგრამ უხეში ყოველდღიურობა მაინც იჭრება მის ცხოვრებაში „გაუთლელი ვაჟბატონის“ ერის ქლამროტის სახით, რომელიც მათიასის უმცროსი ქალიშვილის ქმარია. მწერალმა ამ გმირში განახორციელა ის უხეში და მათიასისთვის მიუღებელი „ახალი“, რომელმაც მის სულიერ ყოფას მოუქნია ხელი: „ყველაზე ნათლად მე ვხედავ, თუ როგორ იქცევა მთელი ჩემი ცხოვრების მშვენიერი და ამაღლებული საქმე მის ხარბ ხელებში ჭუჭყიან ალებ-მიცემობად“.

„ჭუჭყიანი ალებ-მიცემობა“ იკავებს „მშვენიერი და ამაღლებული საქმის“ ადგილს. ერის ქლამროტი ჯერ ოჯახში შემოდის, ხოლო შემდეგ სიმამრის წარმოების დირექტორი ხდება. მათიასი უძლურია გაუმკლავდეს მას, თუმცა, საიდუმლო მრჩეველი მანამდე ხვდება მის ვერაგობას სანამ სიძე ოჯახს ღია „ომს“ გამოუცხადებს, „გავიფიქრებ თუ არა ჩემს სიძეზე, ჩემზე დამიზნებულ იარაღს ვხედავ“. ზოგადად ქლამროტის იარაღი მიმართულია ქვეყნის სულიერი განვითარების წინააღმდეგ, ხოლო კონკრეტულად, იმ ამაღლებული საქმისადმი, რომლითაც მათიასი ქლაუზენი ცხოვრობს. ამ ბრძოლას მართავს ახალი, მზარდი ძალა, რომელიც ძალაუფლებისაკენ მიიწევს მმართველი წრეების უტყვი შემწეობით. ახალი დირექტორის უტილიტალური „სადი აზრი“ დევნის, მისივე მტკიცებით, ცხოვრებისათვის საშიშ ქლაუზენის ფანტაზიას.

სანამ საიდუმლო მრჩეველის სულიერი და მატერიალური ცხოვრება მასზევეა დამოკიდებული, ოჯახში სიმშვიდე სუფევს. იგი ოლიმპიური სიმშვიდით უყუ-



რებს გარემომცველი ხალხის ამით გაწამაწიას. მისი სახლის კუმირია ძველი ფილოსოფოსი — სტოიკოსი, რომის იმპერატორი მარკუს ავრელიუსი. „რაც გიწერია, ის არ აგცდება... ყოველგვარ ადამიანურს ისე უნდა შევხედოთ, როგორც წარმავალსა და დროებითს. ის, რაც გუშინ ჯერ კიდევ ჩანასახში იყო, ხვალ მუმიად ან ფერფლად იქცევა. მაშასადამე, დროის თითოეული წუთი გაატარე სამყაროსთან თანხმობაში, შემდეგ კი ცხოვრებას ისეთივე სიმსუბუქით მოშორდი, როგორც ხეს წყდება მწიფე ზეთისხილი“... — გვასწავლის რომელი ფილოსოფოსი.

მათიას ქლაუზენის პარალელი ავრელიუსთან შემთხვევითი არ არის. მეორე საუკუნის რომში განმარტობით და ყოველთვის რაღაც უცნაურად, შინაგანად „თავისთვის“ მცხოვრები ბრძენი სიცოცხლის ბოლოს იმ ტრაგიკულ აღმოჩენამდე მივიდა, რომ მისი შვილი — ტახტის მემკვიდრე, მამისეული სიბრძნის ერთ მარცვალსაც ვერ ფლობდა. იმპერატორი — ფილოსოფოსი სულიერად ძალიან ახლოს დგას მათიას ქლაუზენტთან. მაგრამ მარკუს ავრელიუსს შეეძლო სტოიკურად უარყო ყველაფერი მოვალეობის გულისათვის. პაუბტმანის გმირმა კი იცის, რომ მოვალეობის გარდა ცხოვრებაში კიდევ უამრავი სიკეთეა: სინათლე, მზე, სიყვარული და ა. შ. ამიტომაც პირველსავე ექსპოზიციურ აქტში ავრელიუსის სახე მათიასისთვის მხოლოდ წარსულის სიმბოლოა.

დრამა იწყება მათიასის სამოცდაათი წლის იუბილით, რომელიც გმირის წარსული ცხოვრების თავისებური შეჯამებაა. ის თავშეკავებულად პასუხობს თანამოქალაქეების მისალმებებს და მილოცვებს, თავის მეგობარ გაიგერს კი გაანდობს რაღაც ახალს, რაც მის სულში დაიბადა და მასში დიდი გარდატეხა მოახდინა: ადამიანმა, რომელმაც ათწლეულები იცხოვრა სტოიციზმის ფილოსოფიის ნიშნით, იგრძნო აღშფოთება და გაუჩნდა განვლილი ცხოვრების წინააღმდეგ ამხედრების მოთხოვნა. „მთე-

ლი ჩემი ცხოვრება ჭადრაკის თამაში იყო... ჭადრაკის ფიგურები ცოცხალი არსებები, ცოცხალი ადამიანები არიან... მაგრამ, აი, თანდათანობით ახლოვდება შემაჯამებელი პარტია. ამ პარტიაში რაღაც აღმიძრავს... ფიგურები, ასეთი ნაცნობი მსახურები, შეუბრალებლად მიტევენ. მიკეტავენ ყველა გასასვლელს და... როგორც კი გადაღლილი თვალების დაძაბულ მზერას ვაღუნებ, უღმობლად მემუქრებიან შამათით, მე მათ გადავაცირავებ... და ამით ხაზს გადავუსვამ ჩემს განვლილ ცხოვრებას“. მათიასს დაასწრეს კარგად აღზრდილმა და პატივისმცემელმა შვილებმა, რომლებიც დედის სიკვდილით დამძიმებულ დღეებში მამას გვერდიდან არ სცილდებოდნენ. მაგრამ, როგორც კი გაიგეს მისი გატაცება ახალგაზრდა ქალიშვილით — ინკენით, აფორიაქდნენ მემკვიდრეობის დაკარგვის შიშით და პირი შეკრეს ქლაუზენის ახალი სიყვარულის წინააღმდეგ. უკმაყოფილებაში, რომელიც შვილებმა დაუფარავად გამოხატეს, საპასუხო გამოწვევა წარმოშვა: „არავის მივცემ უფლებას სიცოცხლის შუქი ჩამიქროს“, — მოხუცი მამის ეს სიტყვები მისი ბრძოლის ლაიტმოტივად იქცა.

მეორე და მესამე მოქმედებების განმავლობაში შვილები განაგრძობენ მამაზე შეტევას და, როცა მიხვდებიან, რომ უშედეგოა ყველა მათი მცდელობა, გადაწყვეტენ მოიმოქმედონ წარმოუდგენელი რამ: ქლაუზენს გამოაცხადებენ შეურაცხადად, რომელიც საჭიროებს მეურვეს. მათიასის გარშემო ქვეყანა ჩამოიქცა. ეს მან ჯერ ინტუიციით იგრძნო, შემდეგ კი კატასტროფის მასშტაბებიც დაინახა.

მეოთხე, კულმინაციურ მოქმედებაში მაყურებლის თვალწინ ინგრევა ის სამყარო, რომელშიც მათიასი ცხოვრობს. მწერლის აზრით ეს იმავდროულად მთელი სამყაროს — ნგრევის სიმბოლური გამოხატულებაცაა. საიდუმლო მრჩეველი უცნაური ნეტარებით ანადგურებს თავისი სახლის რელიქვიას, ყველაფერს, რასაც შეეძლო ის ძველ ცხოვრებაში დაებრუნებინა. უმა-



ღღესი ტრაგიკული წერტილია გარდაცულილი მეუღლის სურათის დაფლეთა დანით. „მე არასოდეს მყოლია ცოლი! არც ცოლი და არც შვილები... მე სამოცდაათი წლისა ვარ და... უცოლო ვარ“. ამ საშინელი მკრეხელური სიტყვებით ანადგურებს ეს ღირსეული და ყოველთვის თავდაჭერილი სამოცდაათი წლის კაცი თავის წარსულს.

დრამატურგი იშვიათი რეალობით აღწერს შვილების გარდაქმნას „კატებად, ძაღლებად, მელიებად და მკვლებად“, რომლებიც მამას დასდევენ და გესლავენ, ბოლოს და ბოლოს კი ცდილობენ გაგლიჯონ ის ეშვებით. ჰაუპტმანი დასკვნების გაკეთებას არ ჩქარობს, ზედმეტად არ ცდილობს თავისი გმირების მწვავედ და გროტესკულად დახასიათებას. თითოეულ სახეში მწერალი მათი გარდაქმნის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფესვებს ეძებს: საიდუმლო მრჩევლის უფროსი ვაჟი ზრდილობიანი და კორექტული. პროფესორი — ვოლფგანგი; მისი მეუღლე პაულა, რომელიც თავის შეხედულებებს გამოთქვამს წინდაუხედავად და ისე მკაცრად, როგორც განაჩენს; სენტიმენტალურად ერთგული ბეტინა; ნაზი ოტილია და მისი უტიფარი ქმარი — ერის ქლამროტი; და ბოლოს მხიარული და უდარდელი ეგმონტი — თითოეული სახე დრამატურგმა დახატა ევოლუციაში, ფსიქოლოგიური დეტალების მრავალსახეობაში, რომელიც ხაზგასმული ტიპიურობით თავისებურ განზოგადებად იქცევა. თითოეულის კარგად აღზრდილი პიროვნების გარეგნულ ფორმაში იმალება ის ძირითადი, მათიასისთვის მიუღებელი თვისება, რომლითაც ისინი მამისადმი მტრულად განწყობილ ბანაკში ერთიანდებიან.

ვოლფგანგის, უფროსი ვაჟის ძირითადი თვისებაა — თვითკმაყოფილება და გონების შეხდუნულობა, ის კარგად გრძნობს მამის სულიერ და ინტელექტუალურ უპირატესობას და გაუცნობიერებლად ეშინია კიდევ მისი კონკურენციისა. მამის მეურვედ გამოცხადება ვოლფგანგისთვის მოასწავებს არა მარტო გარდაცვ-

ლილი დედის ძვირფასეულობის შენარჩუნებას, რაშიც სხვა შვილებიც არიან დაინტერესებული, არამედ, მოხუცი ქლაუზენის მხრივ თავისი უსაფრთხოების გარანტიასაც.



ვოლფგანგის ცოლი პაულა — ქლოტილდა, დაბადებით ფუნკი, რომელიც მთელს ქვეყანაზე გაბრაზებული თავისი დიდგვაროვანი წარმოშობის გაუფასურების გამო. ქლაუზენის კავშირი იაკენ პეტერსთან მას არა მარტო მემკვიდრეობის დაკარგვის შიშს აღუძრავს, არამედ მისი ქედმაღლობის მოდრეკასაც ნიშნავს. ის პიესაში რამდენჯერმე მიახიშნებს თავის ძალაღ წარმოშობაზე, თუმცა ინკენთან ბრძოლის დროს არ თაკილობს ანონიმური წერილების შედგენის უკადრის მოქმედებასაც, პაულა ქლოტილდა პიესაში თავისი წრის „სოციალური სიწმინდის“ დამცველად გამოდის.

სრულიად განსხვავებულია ბეტინა — ეგზალტირებული შინაბერა, რომელმაც მამას ევონისტურად თავს მოახვია მომბეზრებელი ყურადღება და ზრუნვა. „შენ ჩვენი ყველაზე დიდი განძი ხარ, და არ გვინდა, რომ დაგკარგოთ“ — ეს სიტყვები მას თითქოს უსაზღვრო სიყვარულმა უკარნახა, მაგრამ ქალიშვილის გარეგნულ ერთგულებაში იმალება პირფერობა და სიცრუე, სულიერი სიცარიელე და უგუნური სენტიმენტალობა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ბეტინას პირით გაისმის შვილების ნამდვილი ინტერესის მოტივირება: „მამა, ვული გამისკდება... გაიხსენე დედის სამკაულები“.

ქლაუზენის შვილებს მამის მტრად გადააქცევს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მატერიალური გამდიდრების წყურვილი. ვოლფგანგის, ბეტინას, ოტილიას და ეგმონტის ერთობას მამის მიმართ არ ექნებოდა ისეთი მტრული პოზიცია, მათ ოჯახში ერის ქლამროტი რომ არ შემოჭრილიყო. შვილების აზროვნების სტერეოტიპულობა და ქლამროტის მომხმარებლური საწყისი შესაძინავე პირობა იყო მოქმედებისათვის უარყოფითი



მუხტის მისაცემად. ფაშისძის დროებითი გამარჯვების ერთ-ერთი არსებითი მიზეზი სწორედ გერმანელთა მორალურ-პოლიტიკური მერყეობა იყო. ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის აგორებულმა ტალღამ ისტორიის თავზე მოაქცია წვრილი ბურჟუა, ინფლაციით გაჩანაგებული და ფუნქციონირებადგარგული სამხედროთა ფენა, რევანშზე მეოცნებე ახალგაზრდობა და ბიურგერთა ის არმია, რომელიც უკრიტიკოდ და გაუცნობიერებლად აჰყვამ ნებისმიერ ანტიპუმაზურ იდეას. მარტო პარტიის სათავეში კი არ იდგამ „ცოფიანი არარაობა, არასრულფასოვნებით აღმფოთებული რომ ცდილობს, მთელ მსოფლიოს აზღვევინოს საკუთარი ნაკლი“, ამგვარი არარაობანი წარმოადგენდნენ მის ძირითად მასასაც. „თანამედროვე სახელმწიფოს გაბატონებული კლასები თავისი საქმეების განხორციელებისას სულ უფრო მეტად სარგებლობენ უფერული ადამიანებით“, — ამბობდა ბ. ბრესტი 1941 წელს. გერმანელი მეშჩანისათვის ფაშისტური მოძრაობა დაწინაურების ერთადერთი საშუალება იყო. ეს საშუალება წარმატებით გამოიყენა ერის ქლამროტმაც. „ვაუთლელმა, პროვინციელმა მეშჩანმა“, რომლის სახის შექმნით ჰაუპტმანმა აღმოაჩინა ფაშისძის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა. მაგრამ ფაშისძი „ორმხრივი“ მოვლენა იყო, ის აღზევდა ერთი მხრივ „ქლამროტების“ შემწეობით: „ჩემი იდეები, ჩემი საქციელი და ჩემი გავლენა მთელს წარმოებაზე დამყარებულია მხოლოდ ჩემს უდრეკ ნებაზე“, სწორედ ნება — ფაშისძის მორალური ლოზუნგი — გასაზღვრავს ქლამროტის მთელ ქმედებას. მეორე მხრივ, მის მომძლავრებას დიდად შეუწყობ ხელი ქლაუზენის შვილების მსგავსმა მრავალრიცხოვანმა ფენამ, რომელიც ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა „ქლამროტთა“ გაფურჩქნისა და გამარჯვებისათვის. არამარტო უწყინარი და აბსოლუტურად უჭკუო ოტილია მოექცევა გაიძვერა მეუღლის გავლენის ქვეშ, ვოლფგანგი, ბუტინა და თვით უანგარო ეგმონტიც ემორჩი-

ლებიან ქლამროტის დემაგოგიურ აზრებსა და ქმედებებს. სწორედ მისი გეგმიით იღებენ შვილები უმძიმეს ცოდვას კისერზე და ხდებიან მამის სიკვდილის თანამონაწილენი. მართალია, ეგმონტმა ხელი არ მოაწერა მეურვეობის ქაღალდს, მაგრამ არც არაფერი გაუცხადებდა „ლონისძიების“ შესაჩერებლად, რომელმაც საყვარელი მამა იმსხვერპლა.

გერმანული საზოგადოების განსაკუთრებულმა ფენამ „მეცნიერის“ სახელწოდებით, ანუ შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელიც ცდილობდა შეენარჩუნებინა რესპექტაბელური გარეგნობა და პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულება, გზა დაუთმო და არ კი ამხილა მზარდი ბოროტება, რომლის სიმძიმე შემდგომ მთელს მსოფლიოს დააწვა ტვირთად. ყველაზე დამღუპველი კი მიმდინარე მოვლენებისადმი ახალგაზრდობის ნიპილისტური განწყობილება და ატეხილ დაეაში მტკიცე პოზიციის უქონლობა იყო.

ფაშისძის ფსიქოლოგიური და სოციალური ძირების ძიებისას უამრავ სიმბტომთა შორის ჩვენს თვალწინ წარმოჩნდება ის თვისებებიც, რაც ჰაუპტმანმა თავის გმირებს მიაწერა 1931 წელს. ავტორის აზრით, ქლაუზენების ოჯახი დაპატარავებული გერმანიაა, რომელშიც მიმდინარეობს შინაგანი ბრძოლა. იუსტიციის მრჩევლის პანეფელდტის და პასტორ იმპოსის გამოსვლა ქლაუზენის წინააღმდეგ ხატოვნად მოწმობს, რომ მტრის მხარეზე გადადის ეკლესიაც და ბურჟუაზიული სახელმწიფოც. დრამატურგმა, რომელსაც პიტლერულ რეჟიმთან გარდუვალი ტრაგიკული შეჯახება ელოდა, ამ ნაწარმოებით ყველას დაასწრო და მოსწრებულად შენიშნა, როგორ და რა საფუძველზე აღმოცენდა გერმანიაში ფაშისძი.

მათიას ქლაუზენის სწრაფვა ინკენ პეტერსთან შესაერთებლად არ არის მარტო ბედნიერებისათვის ბრძოლა. მოძალებულ უხეშ და ანგარებიან ძალებს შორის მათიასმა აღმოაჩინა მაცოცხლებელი, ნათელი და ნუგეშისმომცემი სიწმინდე: „რო-



მანტიკა გაქრა ქვეყნიდან, თქვენს გარშემო კი, ინკენ, ის მაინც ჭარბადაა“.

პოეტურმა საწყისმა შეაერთა სამოცდაათი წლის მამაკაცი და ახალგაზრდა ქალიშვილი — პატარა კერძო საბავშვო სახლის მოკრძალებული აღმზრდელი. რეალური და მიწიერი ინკენი თავისებური ვაკრძელებაა პაუპტმანის იმ გამოუცნობი, ნაზი, და ზოგჯერ ზღაპრული სახეებისა, როგორებიც იყვნენ პანელე, დრამიდან „პანელეს ცადამაღლება“, რაუტენდელანნი დრამა — ზღაპრიდან „ჩაძირული ზარი“ და პიპა პიესიდან „პიპა კი ცეკვავს“. იგი არის გრძნობისა და არჩევანის თავისუფლების სიმბოლო, რაც ქლაუზენის შვილებისათვის მიუწვდომელი და გაუგებარია.

გოეთესთან ანალოგიის ნაზი ძაფებია გაბმული თვით სამოცდაათი წლის ქლაუზენშიც. იგი დიდი კულტურის ადამიანია. მისი კაბინეტი წიგნების მდიდარი კოლექციით, რომელშიც უძველესი ბიბლიის გამოცემები და თვით ლესინგის ხელით დაწერილი „ლაოკოონი“ ინახება, უფრო მეცნიერის კაბინეტია, ვიდრე საქმოსანი მეწარმისა. აქ, ამ კაბინეტში მათასი ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობს. აქ ყველაფერი გამსჭვალულია ნატიფი სილამაზით. ვარდაცვლილი მეუღლის სურათი მისთვის არა მარტო ახალგაზრდობის ხსოვნაა, არამედ ნიჭიერი მხატვრის ტილოც; ჭადრაკის დაფის ოქროსა და ვერცხლის ფიგურები „ხელოვნების ნამდვილი ნიმუშებია“; კედელზე კიდია მარკუს ავრელიუსის — „მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ცხენოსანი ქანდაკების“ ფოტო.

მათიას ქლაუზენის სახით პაუპტმანმა შექმნა იმ გმირის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელმაც მის შემოქმედებაში იოჰანესისა და არნოლდის, ოსტატ პაინრიხისა და გაბრიელ შილინგის გზით გაიარა. ხელოვნებისადმი განსაკუთრებულად ფაქიზი გრძნობით მათიასი ამ მხატვარ გმირებს ვგაგონებს. იგი მათთან ერთად იყო ახალგაზრდა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ შორს იდგა მათი გულგატეხილობისგან. მათიასმა შეძლო ეპოვა თავი ამ ცხოვრე-

ბაში და შეჭალარავებული მოვიდა XX საუკუნეში. ამჯერად პაუპტმანს აინტერესებს თანამედროვე ახალგაზრდობისა და ძველი, ომამდელი სულიერი წყობის ასაკოვანთა თანაარსებობა, აინტერესებს მათი შეხებისა და განზიდვის წერტილები.

შვილების ქარიზმისებურ შეტევაში პაუპტმანი ძველ გერმანიაზე, მის სულიერ დიდებულებაზე ლაშქრობას ხედავს. ძველი გერმანია კი დრამატურგისათვის არის პერდერისა და პეგელის, ლესინგისა და შილერის, უპირველესად, კი გოეთეს გერმანია. ამიტომაც მათიას ქლაუზენი გოეთეს მკზნებარე თაყვანისმცემელი. საიდუმლო მრჩევლის სახლში უჩუმრად სუფევს დიდი ვაიმარელის სული. მის შვილებსაც თვით გოეთესა და მისი გმირების სახელები პქვიათ — ვოლფგანგი, ბეტინა, ოტილია, ეგმონტი. მათიასის სიყვარულიც დიდი წინაპრის მარიენზადული სიყვარულის ასოციაციებს იწვევს. იგი ლაპარაკობს გვიან გოეთესეული ლირიკის ენით: „როცა სამოთხის შუქი შემოანათებს, მე გხედავ შენ და ლურჯ ცას“. თვითონ ინკენი, როცა ის პურს ჭრის და საბავშვო ბაღის პატარებს ურიგებს, ქლაუზენს გაახსენებს შარლოტე ბუფს გოეთეს რომანიდან „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. ზუსტად ამგვარ სიტუაციაში იხილა ახალგაზრდა პოეტმა ვერთერმა ლოტე, ისიც თავის პატარა და-ძმებს ურიგებდა პურის ნაჭრებს. გოეთესადმი თაყვანისცემა, რაც ასე საგრძნობია 1931 წელს დაწერილ პიესაში, შემთხვევითი არ იყო. როგორც ზემოთ ვთქვით, პაუპტმანს გოეთე ბავშვობიდანვე უყვარდა. „1869 წელს მე და ჩემმა და-ძმებმა არ ვიცოდით, რომ გოეთე 1832-ში გარდაიცვალა. მე ის ახლაც ცოცხალი მგონია“. პაუპტმანის ადრეულ ნაწარმოებებში გაიჟღერეს გოეთეს სახელმა და გმირებმა, ასოციაციებმა მის შემოქმედებასთან; გოეთეს „გიოც ფონ ბერლიპინგენმა“ უკარნახა პაუპტმანს „ფლორიან გეიერის“ დაწერა (1895), გოეთეს „იტალიაში მოგზაურობის“ გავლენით შეიქმნა მკზავრის ჩანაწერები



„ბერძნული გაზაფხული“ (1907). მისი პირველი დრამების გმირები: იოჰანეს ფოკერატი, ელენე ქრაუზე და სხვები, გოეთეს ციტირებას ახდენენ, ან მისი ლექსების კრებული უჭირავთ ხელში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ჰუმანიზმის ყველა ძველი გაგება დავიწყებას მიეცა, დრამატურგი განსაკუთრებული მონდომებითა და აღელვებით მიუბრუნდა გოეთეს სამყაროს, იმ ერთადერთ გერმანელს, რომელიც „მტკიცე ჰუმანურობით იყო აღჭურვილი.“

20-იან წლებში ჰაუპტმანის შემოქმედებაში გამოჩნდებიან გმირები, რომლებიც სულიერად ახლოს დგანან გოეთეს პერსონაჟებთან. ისინი თითქოს მათ ცხოვრებას აგრძელებენ დროში. მაგრამ XX საუკუნეში დოროთეა ანგერმანს, რომელიც ლოტეს რემიონისცენციებს იწვევს, უკვე დაუკარგავს მისი სულიერი პარმონია. ჰაუპტმანისეული ანაც, ეპოსიდან „ანა“ — თავისებური პარალელია გოეთეს დოროთეასი („ჰერმანი და დოროთეა“), რომელიც განწირულია მარტობისთვის. ახალი დრო ადგილს აღარ უტოვებს ცხოვრებაში გოეთეს ბიურგერულ იდეალებსა და ადამიანზე ამალღებულ რწმენას. ჰაუპტმანი გულისტკივილით დაამოწმებს ამას 20-30-იან წლებში. მაგრამ, მაინც, ის თავის იმედებს სწორედ გოეთეს ტრადიციებთან აკავშირებს.

20-იან წლებში გოეთეს სახე ხშირად ჩანს ჰაუპტმან-პუბლიცისტის შემოქმედებაშიც: „გოეთე და ხალხის სული“ (1922), „გოეთე თეატრში“ (1928), „ვილჰელმ მაისტერის სკოლა“ (1932), „სიტყვა მიძღვნილი გოეთეს ხსოვნისადმი“ (1922). ასეთია მისი ძირითადი საჯარო გამოსვლები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი გერმანელი პოეტის სახელთან. ქვეყანაში, სადაც 1914 წლიდან არ წყდება იარაღის ჟღარუნის, კვლავ გაისმის ხანშიშესული მწერლის ხმა: „სწორი არ იქნებოდა მარტო ხმალი რომ მიგვედო ეროვნულ სიმბოლოდ... მე მგონია, რომ მუშის ხელი და მოაზროვნის შუბლი უკეთესი სიმბოლოები იქნებოდნენ“. ჰაუპტ-

მანი-პუბლიცისტის სტატიების ფურცლებზე გოეთეს სახე ბრწყინავს ყველა იმ სიკეთის სიმბოლოდ, რაც ასე უხვადაა გერმანულ ხალხში. ბევრი კრიტიკოსი მწერლის გოეთესადმი ამ ღატოლვას ორივე პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში გარკვეული პარალელების არსებობით ხსნის. ჰაუპტმანის გზა ხელოვნებაში დაიწყო მხატვრობით, კერძოდ, მოქანდაკის კარიერით. მას ყოველთვის ჰქონდა მაგიური რწმენა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლისა, რაც ნებას აძლევდა ახალგაზრდობაში დაწყებული საქმე გადაედო და სიბერეში დაემთავრებინა; წლების განმავლობაში გამომუშავებული მისი ჩვევა, ემუშავა დილით, განმარტოებით, კაბინეტში მაგიდასთან მდგარს, ან მდივნისთვის ეკარნახა ყველაფერი, საოცრად გვაგონებს გოეთეს მუშაობის მანერას. ასევე, მისი სახლის „ვიზენშტაინის“ შიდა მოწყობილობაც თავის ხელით გამოძერწილი ანტიკური ქანდაკებებით, ძალიან ჰგავდა ცნობილი ვაიმარის სახლის ინტერიერს, და ბოლოს, საოცარმა გარეგნულმა მსგავსებამ გოეთესთან ბევრ მის ენაკვიმატ თანამედროვეს საშუალება მისცა მხიარული და უწყინარი ანეკდოტები შეექმნა მათზე.

და აი, პიესაში „მზის ჩასვლის წინ“ ჰაუპტმანმა შექმნა გმირი, რომლის სახეშიც შეძლო განუხორციელებინა თავისი ღატოლვა გოეთესადმი. მათიას ქლაუზენი არის გოეთეს ბედზე მწერლის ფიქრის თავისებური შეჯამება, საკუთარი მისწრაფებებისა და იდეალების დეკლარირება. სამოცდაათი წლის იუბილე პიესაში არა იმდენად ავტობიოგრაფიული დეტალია (1932 წ. მასაც 70 წლის იუბილე ელოდა), რამდენადაც გოეთეს გარდაცვალებიდან ასი წლისთავის შეგნებული პარალელი. ქლაუზენი არის XX საუკუნეში გოეთეს სულის მატარებელი, გერმანული სულიერი კულტურის განსახიერება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ გოეთესთან ასე გულმოდგინედ გავლებული პარალელი ავტორის მწარე ირონიაცაა. ქლაუზენის შვილებს, რომლებმაც მამას მემკვიდრეო-



ბის გამო უღალატეს, თითქოს დაცინვით პქვიათ გოეთეს გმირთა სახელები. თანამედროვე ოტილია, ეგმონტი და ვოლფგანგი უკვე შორს დგანან გოეთეს იდეალებისგან. გოეთეს სამყაროსათვის სულ უფრო და უფრო ცოტა ადგილი რჩება XX საუკუნის 20-30-იანი წლების საზოგადოებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერ დავეთანხმებით კრიტიკოსთა აზრს, თითქოს ჰაუპტმანმა ქლაუზენს გოეთეს ასაკი შეგნებულად მისცა იმ მომენტში, როცა გერმანული კულტურა განვითარების უმდაბლეს საფეხურზე იდგა და ამგვარი პარალელით გოეთეს კულტურას ჩრდილი მიაყენა. ჩვენი აზრით, ქლაუზენის სამოცდაათი წელი დაუძღურების გამომხატველი კი არ არის, არამედ გერმანული კულტურის სიძველის, მისი დიდებისა და სიბრძნის სიმბოლოა. მათიას ქლაუზენი არის ძალის, ენერჯის, ცხოველმყოფელი შემოქმედებისა და ახალი ცხოვრებისათვის მზადყოფნის ეტალონი. კულტურა კი არ მივიდა შინაგან გამოფიტვამდე, არამედ მას ანადგურებენ გარედან ახალი და ძლიერი ძალები და სამოცდაათი წლის ქლაუზენიც სწორედ თავისი სულიერი პარმონიის — გოეთესული პარმონიის დასაცავად ებმება ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, წარსულის სულიერი ფასეულობებისკენ ასეთ ლტოლვაში არ უნდა ვიგულისხმოთ, თითქოს ავტორმა ვერ გაიგო იმ მოვლენების ნამდვილი აზრი, რაც ყოველდღიურად ხდებოდა. დრამატურგი, მართალია, შორსაა მოვლენების რევოლუციური აღქმისაგან, რომელიც უკვე თავს იჩენს გერმანიის ხელოვნებაში 20-30-იან წლებში და რომელიც მტკიცედ იდგამს ფეხს ბ. ბრენტის და ფ. ვოლფის, ი. ბესერის, ვ. ბრედელის და ა. ზეგერის შემოქმედებაში, მაგრამ ჰაუპტმანის მიბრუნებას გოეთესკენ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ის ამკვიდრებს თანამედროვეობაში დიდი პოეტის ხელოვნების მძლავრ რეალისტურ საფუძველს. ის ჯიუტად აბრუნებს გერმანულ ხელოვნებას თავის კლასიკასთან — იმასთან, რაც ყვე-

ლა საუკუნეში შეუცვლელი და მარადიული რჩება, ხოლო იმას, ვინც ახალ გერმანიაზე, მის გასაჭირსა და მისი ხალხის მომავალ ბედზე ფიქრობს, ესმის, რომ „ადამიანი არა მარტო პურითა/განსძლებს... არამედ თავისუფლებითაც“. მათიას ქლაუზენზე შეტყევა/მტკიცე/ხელოვნებაზე შეტყევა არ არის. უფრო ფართო გაგებით — ესაა შეტყევა ადამიანზე. XX საუკუნის 20-30-იან წლებში, როცა მაქსიმალურად გამწვავდა კაპიტალისტური საზოგადოების ყველა წინააღმდეგობა და ადამიანთა ყოველგვარ ურთიერთობებში ფეხი მოიკიდა სტანდარტიზაციამ და ტექნოლოგიურმა რაციონალიზმმა, სულიერების კრიზისმა ტრაგიკული ფორმა მიიღო. ეს პრობლემა მაშინ მრავალი მხატვრის შემოქმედებაში დაისვა, მათ შორის დრამატურგებთანაც. ეს ტრაგიკული კონფლიქტი დაუდო ჰაუპტმანმაც თავის პიესას საფუძვლად, „ქლამროტების“ საზოგადოებაში ყველაფერი თავდაყირა დადგა, შეიცვალა ადამიანურობის გაგება, თავისუფლების მცნება. ქლაუზენმა რომელიც ყოველთვის მტრულ გარემოცვაში ცხოვრობდა, მაგრამ მაინც ახერხებდა შინაგანი თავისუფლების შენარჩუნებას, ვერ შენიშნა, როგორ მოხვდა ხაფანგში: „განა მე თქვენი საკუთრება ვარ?“ — ის მივიდა პარადოქსულ თავისუფლებამდე. „ჩემი მოქალაქეობრივი სიკვდილი უფლებას მაძლევს ვაკეთო ის — რაც მინდა, თუ მინდა თოჯინასავით ვიწრიპინებ, ან კატასავით ვიკნავლებ... მე შემოდლია ჩიტი დავიჭირო წყალში ანკესით და კობრა მოვკლა პაერში“. ადამიანში ცხოვრების ორი პლანის დიალექტიკური ერთიანობაა: პირველი — იცხოვრო საზოგადოებაში და საზოგადოებისთვის და მეორე — იცხოვრო საკუთარ თავში და საკუთარი თავისთვის. ამგვარი ერთიანობა ახასიათებდა გოეთესაც. ქლაუზენიც ახერხებდა ორი პლანით ცხოვრებას, მაგრამ ახალ ისტორიულ ეპოქაში სრულიად მოიშალა ამგვარი ყოფის პარმონია. „მე მივხვდი საიდუმლოს, თუ ქვეყანას თავდაყირა მდგომი უყურებ, შეამჩნევ, რომ ადა-



მიანებს ბრწყალები და ეშვები აქვთ“, მათიასმა ეს ჭეშმარიტება საკუთარი ტრაგედის მეშვეობით აღმოაჩინა. უმძიმესი სტრესის შემდეგ თავდაყირა მდგომმა, დაინახა ველური სამყაროს ნამდვილი სახე. ფაშიზმის გამარჯვების წინა დღეს გერმანული მიწიდან გაყარეს „ყველა წმინდანი“ — ასე ექცევიან სახელოვან მამას უმადური შვილებიც.

სამოცდაათი წლის იუბილეს წინ ჰაუბტმანი აჯამებს განვლილი ცხოვრების შედეგებს და მხატვრის ალლოთი განჭვრეტს არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს კატასტროფას. ქვეყანა ჯერ კიდევ ფაშიზმის წინ იდგა, როცა მწერალმა თავის პიესაში განაცხადა: „გერმანიის დღე ილევა, დიდი გზაა გავლილი მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე. შემდეგ დაიწყება ის, რაც სიბნელეში მოხდება... ამ თემაზე თავში განუწყვეტლივ მომდიოდა უამრავი აზრი: ყველაფერს, რასაც ვხედავდი, როგორღაც ვუკავშირებდი, ვუპირისპირებდი ერთმანეთს მანამ, სანამ 1931 წელს წუთიერმა გაელვებამ ნათლად და გარკვევით არ დამანახა მოვლენის მთელი არსი“!

ზოგიერთი გერმანელი მკვლევარი პიესის განხილვის დროს, ძირითადად, ყურადღებას აჩერებს ნორმისაგან პათოლოგიურ გადახრაზე, რაც გამოიხატა მოხუცი კაცის ახალგაზრდა ქალიშვილისადმი ლტოლვაში, და მას უწოდებს არცთუ ჯანმრთელი სიყვარულის დრამას.

თუ „დოროთეა ანგერმანი“ ქალის ეროსის გამოცანაა, პიესა „მზის ჩასვლის წინ“ მამაკაცის ტრაგედიაა, — წერს ი. გრეგორი. იგი მიუთითებს მუდმივი, გონივრებას დაუმორჩილებელი სიყვარულის საიდუმლოებაზე, რომელიც ჰაუბტმანს ჯერ კიდევ „სოანელ ერეტიკოსში“ აღელვებდა. „ულმობელი ეროსის სიმღერა — ამ ბოეტის მუდმივი სიმღერაა“, — ამტკიცებს პ. ფესტერი. რ. ფიდლერი კი, რომელმაც ბევრი საინტერესო შენიშვნა გამოთქვა ჰაუბტმანის ბოლო პერიოდის შემოქმედებაზე, ამ დრამაში მხოლოდ ერთოტულ აზრს ხედავს.

ჩვენი აზრით, იმ ფაქტს, რომ შეუსაბამო სიყვარულის ისტორიამ საბოლოო ფორმა მიიღო სამოცდაათი წლის ჰაუბტმანთან 1931 წლის გაზაფხულზე და არა რომელიმე სხვა დროს, საგანგებო მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ დროს გაანთავისუფლა ეს სიჭკნარული მხატვანობისაგან და ფილოსოფიური აზრი მიანიჭა მას. ჩვენ ვეთანხმებით ნ. ბერკოვსკის სიტყვებს, რომელიც ამ ნაწარმოებში გაცილებით ღრმა პრობლემებს ხედავდა: „ჰაუბტმანი აქ სიმბოლისტიც არის და რეალისტიც. ამბები, ეპიზოდები, წვრილმანები ერთმანეთს მიჰყვებიან მარტივი, რეალური ლოგიკით. რეალისტურ დრამაში ყველაფერი სიუჟეტურად ექვემდებარება მოხუცი მამის ბრძოლას საყვარელ არსებასთან შესაერთებლად, შვილებისა კი — შემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, რომელიც ამ სიყვარულის გამო ხელიდან ეცლებათ. თითოეული მოვლენა სიმბოლოცაა — ნიშანია რაღაც სხვისა, რომელიც თანდათანობით ხსნის თავის ნამდვილ შინაარსს“.

ხანდახან ჰაუბტმანი თავის გმირებს ისეთ რეპლიკებს ათქმევინებს, რომლებსაც ამკარად სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. მაგ.: ქლაუზენის სიტყვები „ერთი წამითაც რომ გავიფიქრებ ჩემს სიძეს, მაშინვე ჩემზე დამიხნებულ იარაღს ვხედავ“, ხოლო ქლამროტის სიტყვები: „საათის ისრებს უკან ვერ დააბრუნებ“ — პირდაპირი გამოხატულებაა იმ საზოგადოებრივი კონფლიქტისა, რომელიც პიესის საფუძველში დევს.

ჰაუბტმანის უახლოესი მეგობარი კ. ბელი იგონებს, რომ დრამატურგს ამ პიესის დაწერა გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე ჰქონდა ჩაფიქრებული. თავის უნიკალურ ნაშრომში „ჰაუბტმანის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკა“ ბელი თითქმის თვეებისა და დღეების მიხედვით აღწერს მწერლის ცხოვრების თითოეულ ნაბიჯს და პარალელურად მისი ნაწარმოების საინტერესო და მისაღებ ანალიზსაც გვთავაზობს. საკამათოდ მიგვაჩნია მხოლოდ ის, რომ პიესაში დასმულ სიყვარუ-



ლისა და მოვალეობის კონფლიქტს კ. ბელი პარტიის ადრეულ ნაწარმოებებშიც ეხება და მათ იდენტურობას აღიარებს. მაგრამ, რაკი ეს კონფლიქტი გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების პრინციპულად განსხვავებულ ეპოქაში მოხდა, ანუ „მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს“, ამიტომ ამგვარი შედარება ჩვენ არასწორად გვეჩვენება. პერბერტ ვენგელმანი, დოროთეა ანგერმანი და მათიას ქლაუზენი — გმირთა ამ თანმიმდევრობაში ისახება დრამატურგის ევოლუციაც. „შენ კვლავ პიროვნებად მიგაჩნევი, მე კი მხოლოდ აწრიალებული, მდაბალი ინსტიტუტების კონა ვარ, თვითგანადგურების წყურვილით შეპყრობილი ნერვების გორგალი“ — ტკივილით ამბობს დოროთეა თავის თავზე პერბერტ ჰფანშმიდტთან საუბარში. ცოტა ქვევით კი უმატებს: „მე უკვე მკვდარი ვარ“... „ჩემი სული მკვდარია“, ან „მე მწყურია... მწყურია სიკვდილი“. რამდენიმე წლის შემდეგ მათიასმაც გაიმეორა იგივე სიტყვები.

განმეორდა მსგავსი მდგომარეობა, თვითგანადგურების მწველი სურვილი, რომლის ლოგიკური დასასრული სიკვდილია.

დოროთეა ანგერმანი პარტიის შემოქმედებაში სულის პარმონიის ტრაგიკული რღვევის სიმბოლოა. იგი მხოლოდ მაშინ იკლავს თავს, როცა ბოლომდე შეიცნობს სამყაროს. მათიას ქლაუზენი კი, მაღალი პარმონიით, ღრმა ინტელექტით და სულიერი სიმაღლით დაჯილდოებული პიროვნება მაშინ კვდება, როცა ირღვევა ამ თვისებათა შინაგანი წონასწორობა. თავდაპირველად ავტორს უნდოდა თავისი პიესისათვის ეწოდებინა „ახალი ღირი“. გმირის ისტორია მას ესახებოდა, როგორც ტრაგედია XX საუკუნის ღირისა, რომელსაც გარემოებები აიძულებენ თვით-იზოლაციაში ჩაიკეტოს. განსხვავება ისაა, რომ ახალ ღირს კორდელია არა ჰყავს. ქლაუზენის ერთგული გარემოცვაა ინკენი და მისი დედა, მებაღე ებიში და მსახური ვინტერი. მათიასი უდიდესი სიმბათიითაა

განწყობილი ამ უბრალო ადამიანებისადმი, რომლებსაც, მიუხედავად დიდი სურვილისა, არ შეუძლიათ მხარში ამოუდგნენ მას და წაქცეული ფეხზე წამოაყენონ. სიმბოლურად, ეს იმას ნიშნავდა, რომ დრამატურგი ვერ შედავდა გერმანიაში პროგრესულ ძალებს, რომლებიც სინამდვილეში, რა თქმა უნდა, იყვნენ და იბრძოდნენ კიდევ.

მწერალს კარგად ესმოდა, რომ გმირის სიკვდილი პუმანისტური იდელების დამარცხებას ნიშნავდა, მაგრამ, ამავე დროს, მათ გამარჯვებასაც გულისხმობდა. მათიასის თვითმკვლელობა არის თვითგადარჩენის საშუალება. სიციცხლესა და სიკვდილშიც გმირის წვრილმან გარემოცვაზე ამალღებით დრამატურგი სახავდა მაღალი სულიერების გამარჯვების იმედს: „არაადამიანურ ბრბოსთან ბრძოლაში დამარცხებული ქლაუზენი მაინც გამარჯვებულია, თავისუფალი ადამიანია, რომელსაც შეუძლია თავისი ნების მიხედვით გადაწყვიტოს საკუთარი ბედი“. ჩვენი აზრით, პიესის ძირითადი ღირსება სწორედ ის არის, რომ გმირი თვითმკვლელობაშიც ოპტიმისტად რჩება.

პიესა „მზის ჩასვლის წინ“ პარტიის 30-ანი წლების რეალისტური შემოქმედების მწვერვალია. მწერალმა ერთი ოჯახის წევრთა ურთიერთობებში გამოხატა საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერებანი და მწვავე ეპოქალური საკითხები. სიმბოლოდ ქცეული მრავალწახნაგოვანი და ფსიქოლოგიურად დატვირთულ სახეთა მთელი სისტემა. ამ ნაწარმოებს წარმოაჩენს გერმანული დრამატურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად. სიტყვის საუკეთესო ოსტატები ყოველთვის მიიჩნევენ მას საზოგადოებრივ-ფილოსოფიურ დრამად. მსცოვანმა დრამატურგმა თავისი პიესა ისეთი უზარმაზარი პუმანისტური ძალით დატვირთა, რომ იგი ყოველთვის მიიპყრობს არამარტო თეატრისა და მისი ისტორიკოსების, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველის ყურადღებას.





მარი ტიტვინიძე



„სისრულე სისრულეთა და ყოველივე სრული!“

მიგელ დე უნამუნოს ერთ-ერთი ესეის ეს სათაური განსაზღვრავს მთელს მის შემოქმედებას, ეს არის მისი ეთიკური და ესთეტიკური კრედი და, საერთოდ, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების, მისი მოღვაწეობის იმპერატივი, რამეთუ მისი რწმენით, „რაც უფრო ამაღლდებით, მით უფრო ამაღლდება ეს სამყაროც!“ პიროვნების მეხოტბე, პიროვნების ფილოსოფიის შემქმნელი, უნამუნო, უწინარეს ყოვლისა, თავადვე გახლდათ სრული პიროვნება, ძლიერი ინდივიდუუმი. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს იგი, მით უმეტეს, იცნობდა მას, ყველა ერთნაირად იყო აღფრთოვანებული და გაოცებული ესოდენ უნიკალური პიროვნებით; ამას აღიარებდნენ ისინიც, ვინც სავსებით იზიარებდა და იღებდა მის პიროვნებასა და შემოქმედებას, და ისინიც, ვინც ეკამათებოდა, ან ეწინააღმდეგებოდა მას. ცნობილი ესპანელი ფილოსოფოსი სოსე ორტეგა ი გასვტი წერდა: „უნამუნოზე უფრო სრული და კომპაქტური პიროვნება არ მეკულება. როგორც კი იგი შემოვიდოდა ოთახში, უმაღვე ისე აღმართავდა ბოლმე თავის „მე“-ს, ვითარცა ხენიორი ფეოდალი საგვარეულო დროშას ბრძოლის ველზე, და ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, გარს შემოვხვეოდით და გვესმინა მისთვის“.

მაგრამ საკუთარი პიროვნების ასეთი წარმოჩინება არ ყოფილა არც თვითმზანი და არც ნარცისიზმი, როგორც ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რამეთუ უნამუნოს სწამდა. „საკუთარი პიროვნების ესოდენ დაბეჯითებული დაცვითა და განდიდებით მე ვიცავ და განვადი-

დებ ყოველ პიროვნებას, ცალკეულ პიროვნებას“, რაც აშკარად მიგვანიშნებს, რომ მისთვის სამყაროს უმაღლესი დასუფლობა ადამიანი, თითოეული პიროვნების საერთოდ, და კერძოდ, „ყოველი ესპანელის, თითოეული ესპანელის“ უნიკალობა იყო.

„უნამუნოსაგან დაიწყო ჩვენი შეგნებულის ფიქრი და ზრუნვა ფილოსოფიაზე“... წერდა დიდი პოეტი ხუან რამონ ხიმენესი; მაგრამ ძალზე დიდი იყო მისი როლი თავისი დროის აზროვნების ჩამოყალიბება-დადგენაში და დღეს, როდესაც ესპანელი ახალგაზრდობა კვლავ უბრუნდება წარსულს და ეძებს გზის მანიკენებელს, მასწავლებელს მრავალ ქარტესილგამოფლილ ესპანეთის ისტორიაში ეძებს და აცხადებს, — ჩვენ გვჭირდება არა მართო მეტაფიზიკური ანდა, საერთოდ, განზოგადებულ-აბსტრაქტული პასუხები, არამედ გაკვეთილი, თუ როგორ ვიცხოვროთ და მოვეკვდეთ ღირსეულად, ასეთ მაგალითად და მოძღვრად კი კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა უმრავლესობა უწყობანოდ ასახელებს ანტონიო მარადოს ცხოვრებასა და შემოქმედებას და მიგულ დე უნამუნოს პიროვნებასა და მოღვაწეობას.

ცნობილია, რომ დღემდე ისევე მწვავედ დგას უნამუნოს მიერ წამოჭრილი ისტორიის, რელიგიის, ესპანეთის რევოლუციის ურთიერთდამოკიდებულების და განათლების სისტემის პრობლემები, აქტუალურია მის მიერ დასმული საერთო ეროვნული ენისა თუ ლინგვისტიკის კერძო საკითხები, ხელოვნების ადვილისა და განსაზღვრის, თეატრის, მამებისა და



შვილების ურთიერთმიმართების, საერთოდ პოლიტიკისა და სოციალური საკითხები და სხვა. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას ისიც, რომ უნამუნომ მიაგნო მრავალ მხატვრულ ფორმას, ექსპერიმენტს, ეგზისტენციალისტურ კონცეფციებს, რაც მოგვიანებით იქნა გაფორმებული ევროპის სხვა ქვეყნებში, თუმცა მისი პრიორიტეტის აღიარება დაგვიანდა და კიდევ გაძნელდა გარკვეული მიზეზების გამო („ეგზისტენციალისტები თავიანთ წინამორბედად თვლიან პასკალს, კირკეგორს, უნამუნოს, დოსტოევსკის და ნიცშეს...“ (Философ. энцикл. слов.)

მიგელ დე უნამუნო, უაღრესად მრავალმხრივი მოღვაწე და უნივერსალურად განათლებული, ნაკითხი მწერალი, ფილოსოფოსი, ბრწყინვალე ესეისტი, პოეტი, კრიტიკოსი, სიცოცხლეშივე ლამის ლეგენდად და, თუ შეიძლება ითქვას ამოუცნობ და ვადაუჭრელ პრობლემად იქცა. მას უწოდებდნენ რევოლუციონერსაც და ანარქისტსაც, განყენებულ მჭვრეტელსაც და აქტიურ პოლიტიკოსსაც, ირაციონალიზმის ქომაგსაც და ინტელექტუალიზმის ქადაგსაც, ინდივიდუალისტს, პერსონალისტს, პიროვნების ფილოსოფიის მამამთავარს, საუკუნის პირველ ეგზისტენციალისტს, დემოკრატსაც და ნაციონალისტსაც. მრავალი კრიტიკოსი იმასაც ამბობდა, რომ იგი არ იყო თანმიმდევრული, რომ მისი პიროვნება და შემოქმედება წინააღმდეგობებით, პარადოქსულობით, კრიზისებით, აღმაფრენითა და იმედგაცრუებებითაა აღბეჭდილი, ხომ თავადვე წერდა: „მე არ მინდა შერიგდნენ ჩემი გული და გონება, არა, დაე, ებრძოლონ ერთმანეთს, მე ვაყვარებ და მინდა ვიყო ანტინომიური, დუალისტური სული!“ ამასვე საინტერესოდ წერდა პუბლიცისტი გაბრიელ დე არმასიცი „... აი ისიც, მარადიული სიმბოლო რევოლუციისა და ანარქიისა... მას, თეოლოგიური ნორმების დამამსხვრეველს და კიდევ პიკასოს, ესთეტიკური ნორმების დამანგრეველს მიჰყვება უპასუხისმგებლო ავანგარდისტთა, საოუძვლების ამ ხელმყოფთა მთე-

ლი პლეადა... „მაგრამ სწორედ მას, „სიმშვიდის დამრღვევს“, „ეჭვისა და კრიზისის ბაცილის მატარებელს“, „დიდ ერეტიკოსსა და ერესის მანქანებელს“, უსასღვრო ხოტბას ახსამბუნე და ლამის აღმერთებდნენ, რადგან მან დაიწყო ელაპარაკებოდა ჭკუმიერსა და სიამიანურ ენაზე“ (ანტონიო მაჩადო).

მიგელ დე უნამუნო ნამდვილი რთული, განსხვავებული, ძალზე თავისებური და, ამასთან, ძნელად გასაშიფრი მწერალია. მასზე აურაცხელი წიგნია დაწერილი, ყოველივე მათგანი ასევე ურთიერთსაწინააღმდეგო და სადავო. მწერლის თავისებურება, განსხვავებულობა და სირთულე ვლინდება მისი შემოქმედების საოცარ კალეიდისკოპურობაში, მოზაიკობაში, სადაც ერთმანეთს ერწყმის, ენაცვლება და თანაარსებობს სრულიად განსხვავებულ ურთიერთსაპირისპირო, ზოგჯერ რადიკალურად შეუთავსებელი სახეები, მოვლენები, კონცეფციებიც კი. ამიტომ ძნელდება მისი ფილოსოფიური სისტემის, კონცეფციების, მხატვრული მეთოდის ჩაწვდომა და ახსნა-გაშიფვრა; მისი ნაწარმოებების არქიტექტონიკა, მასში წარმოდგენილი რეალური და ილუზორული სამყაროს, სახისა და ნიღბის გაცალკევების სირთულე, საერთოდ ანტითეზა, კონტრაპუნქტი, პარაბოლა, განსაკუთრებით ავტორისა და პერსონაჟის — მითუმეტეს, მისი გმირი-ავონისტის — გათიშვა-გამიჯვნის თითქმის შეუძლებლობა, რის გამოც მწერალი ზოგჯერ მრუდე სარკეში არეკლილ გამოსახულებადაც კი წარმოგვიდგება, — და სხვა უამრავი კომპონენტი, მართლაც, იმდენად რთულ კომპლექსს ქმნის, რომ მწერალი საბოლოოდ ძნელად აღსაქმნელ მხატვრულ პიბრიდად ვგეასახება. ამ რთულ კომპლექსში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ყველაზე ძნელად გასაშიფრი ფენომენად წარმოგვიდგება თვით ავტორის პიროვნება, რომლისგან ამსოლულურად მოწყვეტით მისი მხატვრული ნაწარმოებები ლამის არ განისჯება, მით უფრო, რომ მწერლის მიერ შექმნილი წარმოსახვით-ილუ-



ზორული სამყაროსა და მისივე რეალური სამყაროს, თვით მწერლისა და მისივე შექმნილი პერსონაჟების შეპირისპირებისას, გაცილებით უფრო ღრმად დაგვაფიქრებს მწერლისვე პიროვნება და მისი რეალური სამყარო, მაგრამ იქვე საგონებელში გვაგდებს. მისი აღიარებაც — სად იწყება ნამდვილად და სად გამონაგონი, „მრცხვენია, რომ ამდენ გამონაგონილ არსებებს, ამდენ ნოველისტურ პერსონაჟებს ვქმნიდი, მაგრამ ვქმნიდი იმიტომ, რომ მათთვის მეთქმევიანებინა ის, რასაც მე თვითონ ვერ ვამბობდი, ისინი კი თითქოს ხუმრობით ლაპარაკობდნენ ყოველივეს, რასაც მე ვუყურებ მეტიმეტად სერიოზულად და სერიოზულზე მეტადაც... შენ ხომ მიცნობ — სხვებმა რაც უნდა, ის ილაპარაკონ, შენ მაინც ხომ კარგად იცი, რომ ის ნაცოდვილარი პარადოქსები, აზირებები და განსაკუთრებულობის დაჩემება ჩემგან ძალზე შორსაა...“ (დონ კიხოტესა და სანჩოს ცხოვრება.) იმიტომ არის, რომ უნამუნოს ნებისმიერი ნაწარმოები უეჭველად მიგვაბრუნებს მწერლის ცხოვრების მისი ბიოგრაფიისაკენ, მისი მოღვაწეობის, შემოქმედებითი გზისა თუ იმ მოვლენების გაცნობის აუცილებლობას გვაგალებს, რომელთაც გარკვეულწილად განაპირობებს მწერლის ჩამოყალიბება-დადგენა; ამ გზას კი თავადვე მიგვანიშნებს, თავადვე ანიჭებს პრინციპულ მნიშვნელობას შემოქმედისა და შემოქმედების ერთიანობას, მათი გათიშვა-გაცალკევების შეუძლებლობას: „ყოველი მწერალი ბიოგრაფია, იგი ცდილობს გახსნას თავისი თავი, ასახოს თავისი თავი, უფრო მეტიც, გახსნას და ასახოს ის, ვინც უნდოდა, რომ ყოფილიყო...“ (სამი სამოძღვრებო ნოველა და ერთი პროლოგი“).

მიგელ დე უნამუნო დაიბადა ბილბაოში 1864 წლის 29 სექტემბერს, ბასკი კომერსანტის ოჯახში. თოთხმეტ წლიანად ჩვეულებრივი, ტრადიციული აღზრდა მიიღო; ყმაწვილობაში ბერად შედგომას აპირებდა, მაგრამ შემდეგ სწავლა განაგრძო მადრიდის უნივერსიტეტის ფილო-

სოფიისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, სადაც მის ყრმობისდროინდელ რწმუნას მეცნიერულმა რაციონალიზმმა შეურყია საფუძველი. 1884 წ. დაიცვა დისერტაცია თემაზე „ბასკების წარმოშობისა და წინაისტორიის პრობლემისათვის“, მიიღო დოქტორის ხარისხი და ბრუნდა მშობლიურ ბასკეთში და ბილბაოს საშუალო სკოლაში ლათინური ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. აქვე, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა თავის პირველ სტატიებსა და ნარკვევებს. 1891 წელს ცოლად შეირთო ბასკი ქალი კონსეპსიონ ლისარაგა, ეყოლათ რვა შვილი, სიცოცხლის ბოლომდე დონ მიგელი იყო ერთგული მეუღლე და მზრუნველი მამა. ამავე წელს გაიმარჯვა კონკურსში და სალამანკის უნივერსიტეტში მიიღო კათედრა. წლების მანძილზე იყო ბერძნული ენისა და ლიტერატურის პროფესორი, ხოლო 1901 წლიდან სალამანკის უნივერსიტეტის რექტორი. მონარქიის წინააღმდეგ გამოსვლებისათვის არაერთხელ აუკრძალეს ლექციების კითხვა და რექტორის პოსტიდანაც გადააყენეს. განსაკუთრებით მძიმე იყო მისი ცხოვრების პერიოდი, როცა ხელისუფლების სათავეში მოექცა სამხედრო დიქტატორი პრიმო დე რივერა. შვიდი წლის მანძილზე ესპანეთში მძვინვარებდა დაკანონებული უკანონობა, საზოგადოებრივი შეგნების შეგნებული დათრგუნვა, აზრის ანონიმურობა. სწორედ ამ დროს უნამუნომ გამოაქვეყნა სტატიები, რომელშიც ამხედრდა მილიტარიზმს, ამას მოჰყვა სხვა სტატიებიც, სადაც დიქტატორს სასტიკად ამათრახებდა; მკაცრი აკრძალვებისა და ცენზურის პერიოდში ეს მართლაც სენსაციური ამბავი იყო, მაგრამ ხალხს სჯეროდა, რომ დონ მიგელი არა თუ „მიგელიტოს“ — პრიმო დე რივერას — თვით უფალ ღმერთსაც მოსთხოვდა პასუხს, თუკი დაინახავდა, რომ მართალი არ იყო. დონ მიგელისა და „მიგელიტოს დუელს“ დიდი რეზონანსი ჰქონდა, მაგრამ დონ მიგელი არ გახლდათ მხოლოდ წიგნების ყდებზე დაბეჭდილი სახელი, ანდა ერთ-



ერთი პორტრეტი ცნობილი მოაზროვნეთა გალერეაში. მისი ავტორიტეტი დიდი იყო არა მხოლოდ ესპანეთში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც; ამიტომ საზოგადოებას იმედი ჰქონდა, რომ ესპანეთის ხელისუფლება მოერიდებოდა სახელგანთქმულ მოღვაწეს და თავს არ შეირცხვენდა ცივილიზებული სამყაროს წინაშე. მაგრამ დონ მიგელი გადასახლეს კანარის კუნძულებზე, ფუენტევენტურაში: საიდანაც ფრანგმა უურნალისტებმა გააპარეს. ერთხანს ცხოვრობდა პარიზში, შემდეგ ესპანეთის საზღვრის მახლობლად, ანდაიში, მოგვიანებით, ესპანელი ხალხის მოთხოვნით — პროტესტს ხელს აწერდნენ აგრეთვე ა. აინშტაინი, რ. როლანი, თ. მანი და მრავალი სხვა, — პრიმო დე რივერაშ შეიწყალა, მაგრამ უნამუნომ ნუბაყოფლობითი გადასახლება არჩია და სამშობლოში მხოლოდ დიქტატურის დამხობის შემდეგ დაბრუნდა. 1930 წლის 9 თებერვალს ანდაის მერის წინამძღოლობით ფრანგების დიდმა ჯგუფმა იგი სასაზღვრო ხიდამდე მიაცილა, ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ესპანეთს!“ ანუთივე შეძახილებით შეეგებნენ გახარებული თანამემშულენი ხიდს გადმოღმა მხარესაც და სალამანკამდე მიაცილეს, ყოველ გაჩერებაზე ხალხი ხედებოდა და აღფრთოვანებული ესალმებოდა თავის ქომაგს, სათაყვენებელ რექტორს შეხვედრა მოუწყვეს სტუდენტებმა სალამანკაშიც, ასე რომ, შუალამისას ძლივს მიაღწია ხუთი წლის უნახავ ოჯახში. 1931 წელს სალამანკაში დაბრუნებული მწერალი თვალცრემლიანი მიესალმა რესპუბლიკას, რესპუბლიკამაც დიდი პატივი მიაგო სახელგანთქმულ მწერალსა და ფილოსოფოსს, იგი აირჩიეს სალამანკის უნივერსიტეტის მუდმივ რექტორად, სალამანკის საპატიო ალკალდად, კორტების დეპუტატად, აკადემიკოსად, მაგრამ არ გასულა ორი წელი, რომ უნამუნო ეჭვებმა შეიპყრო, რესპუბლიკის პირობებში კლასობრივი ბრძოლის შიშმა დააფრთხო და თუ აღრე წერდა „შეუკეთეთ კოცონს შუმა, დაე აბრიალდეს და აგიზგიზდეს,

აანთოს ჩვენი ხალხი და ჩირაღდანივით გაანათოს ისტორიის მსკლელობაო!“ — ახლა შემფოთებით იმეორებდა — „საბრალო ყმაწვილები, მოტყუებულები, დაბრმავებულები ისვრიან და ვერ მიმხვდარან, რომ საკუთარ ქვეყნებს უხვდებიან...“ მას კარგად ესმტყუარო იყო ბრძოლა და კიდევ იბრძოდა ტირანიის დიქტატურის, კლასობრივი სხვაობის წინააღმდეგ, მაგრამ სისხლისღვრა თავზარსა სცემდა, შიშობდა, რომ რესპუბლიკის მთავრობა, სახალხო ფრონტი ქვეყანას სინძვიდესა და თავისუფლებას ვერ მოუტანდა; სწორედ ამ ხანებში მისი ყურადღება მიიპყრო ყოფილი დიქტატორის შვილის, ესპანური ფაშიზმის მესვეურის, ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერას გამოსვლებმა; ენამუნო ერთხანს დაიბნა — თუმცა კი გერმანული და იტალიური ფაშიზმის წინააღმდეგ მძაფრი პროტესტით გამოდიოდა — და რესპუბლიკას განუდგა. როდესაც პროპაგანდისტული ტურნეს დროს პრიმო დე რივერა თავისი ამალით მას სალამანკაში ესტუმრა, როგორც ამ შეხვედრის ჩანაწერებიდან ჩანს, უნამუნო საშიშლად დამცირებული და დათრგუნული დარჩენილა. „არ მინდა დავიჯერო, რომ უცხოელი თანამოაზრეების მსგავსად თქვენც უკიდურესობამდე მიხვალთ კულტურის უარყოფის საკითხში...“ — უთქვამს უნამუნოს რაზეც პრიმო დე რივერას უპასუხნია — „აჲ, უნამუნოს სალამანკაში, მე მინდა ყველამ გაიგოს, რომ ესპანელობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რამაა ამ ქვეყანაზე!“ უნამუნო კი თურმე ისევ თავისას იმეორებდა — „კარგი, ოღონდ რასიზმის გარეშე! ადამიანი! ადამიანი!“ მეორე დღეს სალამანკის გარნიზონი მემშობებებს მიემხრო. რესპუბლიკის მთავრობამ საგანგებო დეკრეტის ძალით უნამუნოს ყოველგვარი ტიტული და პოსტი ჩამოართვა. „მატენის“ გაოგნებულ კორესპონდენტს მან აუხსნა, თითქოს ეჭვი ეპარებოდა, რომ რესპუბლიკა შეძლებდა ანარქიის აღკვეთას. ამის შემდეგ უნამუნომ კვლავ დაიმსახურა. ახალი მთავრო-



ბის ნდობა, მაგრამ როგორც კი რესპუბლიკელთა რეპრესიები დაიწყო, 11 დეკემბერს უნივერსიტეტში „ესპანური რასის დღესასწაულისადმი მიძღვნილ საზეიმო შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა ფრანკოს მეუღლე, გენერალი მილიან ასტრაი და ეპისკოპოსი, უნამუნო გამოვიდა და განაცხადა — „თქვენ შეიძლება გაიმარჯვოთ, რამეთუ თქვენს ხელთაა ძალა, მაგრამ ვერ დაგვარწმუნებთ; რომ დაგვარწმუნოთ, საჭიროა აზრი და უფლება ბრძოლისა — ის, რაც თქვენ არ გაგანინათ“ მე მგონია, უსარგებლოა გთხოვოთ, იფიქროთ ესპანეთზე! მე ყველაფერი ვთქვი!..“ რაზედაც გენერალმა უპასუხა: „სიკვდილი ინტელიგენციას — გაუმარჯოს სიკვდილს!“ — ახლა უკვე ფრანკოს ბრძანებით უნამუნო გადააყენეს უნივერსიტეტის რექტორის პოსტიდან. პროტესტის ნიშნად იგი განცალკევდა, ჩაიკეტა საკუთარ სახლში და სიკვდილამდე აღარც გამოსულა. ერთ თავის უკანასკნელ ლექსში კი წერდა: „ჩემი სახლი, ჩემი საბედისწერო ციხე!“ ერთ დღეს, ეს იყო 1936 წლის 31 დეკემბერი, უნამუნოს ძველი კოლეჯა, პროფესორი ბარტოლომე არაგონი, უკვე ფალანგისტი, ესტუმრა; უნამუნოს უთქვამს, მაღლობელი გახლავართ, ლურჯი ხალათით მაინც რომ არ მობრძანდიო; ეტყობა, მათ შორის ცხარე კამათი გამართულა; ცოტა ხნის შემდეგ მისი კაბინეტიდან შეშინებული გამოვარდნილა არაგონი, — „მე არ მომიკლავს!“ — ყვიროდა თურმე.

ეს ძუნწი ცნობები და ფაქტები მხოლოდ მინიატურული ასლია იმ დიდი ბატალიებისა, რომელშიც ჩაბმული იყო უნამუნო მთელი სიცოცხლის მანძილზე.

იწურება XIX საუკუნე, მოდის ბობოქარი და ქარიშხლიანი XX საუკუნე. ესპანეთი შედის ახალ ეპოქაში. სწორედ ამ ორი საუკუნის გადაკვეთაზე სრულდება ოთხი საუკუნე, რაც ესპანეთის გემები პირველად მიაღებინან „ახალი სამყაროს“ ნაპირებს და პირველივე ნიწას, რომელზედაც ფეხს დაადგამენ „სან სალვადორს“ — წმინდა მხსნელს უწოდებენ. ამ დროს მა-

თი დღეისა „მონარქი, იმპერია და ხმალი“; იმპერიის მზე ამოდის, ქვეყანა იწყებს თავის სამფლობელოთა გაშლა-გაფართოებას, რეკონკისტა მთავრდება, აბსოლუტიზმი ყალიბდება, „უძლეველ არმადას ჯერ მარცხი უკეთესია; ესპანეთის შემადგენლთა მხარეს თვალუწვდენელი ტერიტორიები, აფრიკის ჩრდილოეთი, ევროპაში — პორტუგალია, ნიდერლანდები, ნეაპოლი, სიცილია! რომის იმპერიის შემდეგ ევროპაში არ ყოფილა ესოდენ ძლიერი იმპერია. მაგრამ ახლა, XX საუკუნის მიჯნაზე ანტონიო მანადო იტყვის: „საბრალთ კასტილია, გუშინ დამპყრობელი, დღეს გულგატეხილობისა და უმეცრების ნაფლეთებში გახვეულა“. ესპანეთის ცაზე შავი ღრუბლები შეიყრებიან. ქვეყანა ღრმა კრიზისის წინაშე დგას.

ერთი ფრიად საინტერესო დაკვირვება აქვს ცნობილ ესპანელ ლიტერატურათმცოდნესა და ისტორიკოსს რამონ მენენდეს პიდალს. იგი წერს, ესპანეთში ხელოვნება აღიქმება როგორც ცხოვრებისეული იმპულსი და არა როგორც პროფესია; აქ იშვიათია მწერალი, რომელიც მართლ ლიტერატურულ მოღვაწეობას სჯერდებოდეს; ლიტერატორი უწინ მოქმედების ადამიანია; თვით დიდი მისტიკოსი მწერლებიც კი მჭვრეტელობით ცხოვრებასთან ერთად აქტიური მოღვაწენიც იყვნენ. ნიმუშებად წმინდა ტერესა და ხუან დე ლა კრუსიც კმარა. ხოლო ესპანეთში ხმალი და კალამი რომ ანტითეზა არ არის, ამის მაგალითია მიგელ დე სერვანტესი, ლოპე დე ვეგა, კალდერონი, დონ ხუან მანუელი, მარკიზ დე სანტილიანა, ხორხე მანრიკე, ერსილია, ანტონიო მანადო და მიგელ დე უნამუნო. ამ ნიშნით წარიმართა დონ მიგელის, — როგორც მას ხალხი სიყვარულით ეძახდა — ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება.

და აი, ახლაც, XIX საუკუნის მიწურულს სამშობლოს უპირველეს ჭირისუფალს, მიგელ დე უნამუნოს სულის სიღ-



რმიდან აღმოხდება „მე მტკივა ესპანეთი!“ — დიდებადაკარგული, ძალაგამოღებული, დაკნინებული, იმედგაცრუებული ესპანეთი და ამ დევიზის, ამ მოწოდების ირგვლივ შეიკვრება წრე, რომელსაც უნამუნოს კვალად შეუძლია გაიმეოროს: „მეც მტკივა ესპანეთი!“... თავდაპირველად ამ ჯგუფში გაერთიანდებიან ამ დროისათვის უკვე კარგად ცნობილი მწერლები, ფილოსოფოსები თუ საზოგადო მოღვაწეები, ბაროხა ი ნესი პიო, რამირო დე მანსტუ, მარტინეს რუისი (ასორინი), ანხელ განიგუტი, ბენავენტე ი მარტინესი, რამონ დელ ვალიე-ინკლანი; ისინი მოიმარჯვებენ თავიანთ ბასრ იარაღს — კალამს და იბრძვიან მიძინებული, დაღლილი, იმედდაკარგული ხალხის გამოსაფხიზლებლად, მათი შემეცნების ასამაღლებლად, ქვეყნის სულიერ და მორალურ ფასეულობათა გადასარჩენად, ეძებენ ცხოვრების ძირეული გარდაქმნისა და ჭეშმარიტი ეროვნული კულტურის აღორძინების გზებს.

ეროვნული ღირსების გამძაფრებულმა შეგრძნებამ, პატრიოტიზმმა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობამ უნამუნო მთელი ერის, ხალხის გვერდით დააყენა და გააზიარებინა ეპოქის კრიზისული მდგომარეობა, ხალხის საერთო შემფოთება, იმედგაცრუება და დაბნეულობა. სწორედ პატრიოტიზმმა მისცა გასაქანი მისი აზროვნების მთელ სისტემას, მის მოღვაწეობას და შეაჭიდა თავისი დროის უმწვავეს პრობლემებს. სამოღვაწეო ასპარეზზე კი, როგორც უკვე ვთქვით, გამოვიდა იმ დროს, როცა ესპანეთი იდგა ღრმა კრიზისის წინაშე. ეს პერიოდი კი იყო უმნიშვნელოვანეს მოვლენათა ერთი უწყვეტი ჯაჭვი — 1898 წლის ესპანეთ-ამერიკის ომში ესპანეთის დამარცხებამ და კოლონიების დაკარგვამ გამოავლინა ბურბონთა მონარქიის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობა და მისი უუნარობა, კვალდაკვალ მიჰყოლოდა ეპოქას; ამ დამარცხებას მოჰყვა აფრიკაში კოლონიური ომის წაგება, რამაც კიდევ უფრო გაამწვა რევოლუ-

ციური სიტუაციის აღმავლობა; ძალზე მძიმე იყო სოფლად უმიწო და მცირემიწიან გლეხთა სიღარიბე, ლატიფუნდიები და კასიკები (დაახლოებული) ძლიერდებოდნენ, ქალაქებში მუშები/ლეღავდნენ, გახშირდა გაფიცვები და გამოსვლები; იწყებოდა ბასკებისა და კატალონელთა მოძრაობა, ავტონომიისთვის იყო შეიარაღებული შეტაკებებიც, ეკლესიების გადაწვა, მასიური დაპატიმრებები. 1909 წლის „ბარსელონის ტრაგიკული კვირა“ გახდა მასობრივი გამოსვლების მიზეზი, ამას მოჰყვა სამხედრო დიქტატურის დამყარება, მონარქიის დაცემა, კლასობრივი ბრძოლები ბურჟუაზიული რესპუბლიკის პირობებში, არაგონისა და ასტურიის აჯანყებები, სახალხო ფრონტი, სამოქალაქო ომი, ქვეყნის ორ მტრულ ბანაკად გაყოფა, ტოტალიტარული რეჟიმის გამარჯვება, რამაც ქვეყანა მრავალი წლით ამოაგდო ისტორიის მდინარეებიდან. ეს არის პერიოდი, როცა კონსტიტუცია ძალაში არ არის, კორტესები და სენატი გაუქმებულია, მუნიციპალური სათათბირო დათხოვილია, დაწესებულია მკაცრი ცენზურა, გაზეთებსა და ჟურნალებში აკრძალულია ყოველგვარი მასალის ბეჭდვა, რაც ოდნავ მაინც მიაყენებს ჩრდილს არსებულ ხელისუფლებას; აკრძალულია კატალონურ ენაზე ლაპარაკი; ინტელიგენციის აღშფოთება უსაზღვროა; აღთქმული წესრიგის ნაცვლად ხალხმა მიიღო გაუთავებელი დეკრეტები, კანონები, პროექტები და ის თავისუფლებაც დაკარგა, რაც მანამდე გააჩნდა, სამაგიეროდ კი ვერაფერი მიიღო. აი, მოკლედ ის ვითარება, ის ეპოქა, როდესაც მოუხდა უნამუნოს ცხოვრება და მოღვაწეობა და სწორედ ამ დრომ, ეპოქამ და ვითარებამ განაპირობა. ახალგაზრდა ინტელიგენციის გარკვეული ფენის წარმოქმნა, რაც თანდათან გადაიზარდა და ჩამოყალიბდა ჯგუფად, ან მიმდინარეობად, რომელიც ცნობილი გახდა „1898 წლის თაობის“ ანუ „კატასტროფის თაობის“ სახელწოდებით და განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა ესპანეთის ისტო-



რისა და ესპანეთის ლიტერატურის ისტორიაში, კერძოდ, სწორედ მიველ დე უნამუნო მოექცა ამ, ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის სათავეში და მის ბელადად იქნა აღიარებული, მისი ფრთიანი გამოთქმა „მე მტკივა ესპანეთი“ გახდა მათი დევიზი, რაც პირდაპირ მიესადაგებოდა უნამუნოს პიროვნებასაც და გამოხატავდა მთელი „თაობის“ განწყობილებასაც.

ჯგუფის სახელწოდებაც და თარიღიც პირობითია; ეს არის უფრო მეტაფორული განსაზღვრება ჯგუფისა, რომელიც აერთიანებდა საერთო სულისკვეთების, მისწრაფებებისა და შეხედულებების ადამიანებს. მათს მოღვაწეობას სათავე დაუდო მიველ დე უნამუნოს წიგნმა „ოდინდელობისათვის“ (1895) და ანხელ განივეტის — „ესპანეთის იდეოლოგიამ“ (1896). ორივე მწერალი მწვავედ აკრიტიკებდა ესპანეთის იმდროინდელ მდგომარეობას და ამ, მდგომარეობის მიზეზებს. ორივეს ერთნაირად მსჭვალავდა ბურჰონთა დინასტიის, ესპანეთის პოლიტიკური და სოციალური წყობის ზნეობის, განათლების, პრესის, საერთოდ კულტურის, მამების დესპოტიზმისა და შვილების უგერგილობის გამო წუხილი. ამ განწყობილებამ გამოხატულება პოვა ისეთ მწერალთა თხზულებებში, როგორცაა პიო ბაროსას „ბებრები“, „ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუგებთ“, რამირო დე მანსტუს „პროგრესული დამბლა“, „თვითმკვლელობა“, უნამუნოს „თანამედროვე ესპანეთის მარაზმისათვის“.

ისინი ცდილობდნენ ღრმად შეესწავლათ სინამდვილე და დაესახათ პრაქტიკული გზები, აღგენდნენ პროგრამებს. ყველა აღფრთოვანებით შეხვდა იმ დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის სოაკინ კოსტას ფართო პროგრამას „ესპანეთის აღორძინება“, რაც გულისხმობდა ბურჰუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გზით გარდაქმნას; განმანათლებლური და, საერთოდ, რეფორმისტული ხასიათის წინადადებები წამოაყენეს პიო ბაროსამ, რამირო დე მანსტუმ, ასორინმა. მათ უნდოდათ დაენგრიათ მეცნი-

ერული მეთოდები ეკონომიკაში, სოციალურ მმართველობაში, განათლებაში, მოითხოვდნენ ისეთი ხელისუფლების შექმნას რომელიც გაატარებდა პროგრესული გარდაქმნის ხაზს და ასეთად მიიჩნევდნენ „ინტელექტუალურ-ფიქტატურას“ ანდა „ტექნიკურ-ფიქტატურას“, უნამუნომ მათ მხარი კი დაუჭირა, მაგრამ თავის მხრივ განაცხადა, რომ ესპანეთის ჭეშმარიტი აღორძინებისათვის საჭიარისი არ იყო ცალკეული პრაქტიკული ღონისძიებები, იგი აუცილებლად მიიჩნევდა სულიერი ცხოვრების ძირეულ გარდაქმნას. მაგრამ ამ ძირეული გარდაქმნისათვის ქვეყანა მზად არ იყო.

ჯგუფის პრაქტიკული მოღვაწეობა კრახით დამთავრდა, რადგან ძლიერი იყო ფეოდალურ-არისტოკრატიული ფენა, სუსტი იყო და დამოუკიდებლობა, არ ჰქონდა ბურჰუაზიას, დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ხელისუფლების მხრიდან, ხოლო ახალგაზრდობის სულიკვეთებას მათი პროგრამა არ შეესატყვისებოდა.

იმედგაცრუებული ჯგუფის წევრები ჩაიკეტნენ თავთავიანთ ინტელექტუალურ და შემოქმედებით სფეროში, მათი კრიტიკული პათოსი, სინამდვილით უკმაყოფილება გადაიზარდა ფიქრსა და მსჯელობაში, ფილოსოფიურსა და მხატვრულ კონცეფციებში, ამის შემდეგ, დაახლოებით 1903 წლიდან, „თაობა“ არსებობდა, როგორც ერთგვარი „იდუბრა კომპლექსი“, თუმცა ეს იდეები ისეთი სიმტკიცითა და ძალით გამოვლინდა, რომ თითქმის დღემდე რჩება ესპანეთის ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში. ამ „იდუბრა კომპლექსის“ სფეროში მოექცნენ ანტონიო მაჩადო, ხოსე ორტეგა ი გასეტი, მენენდეს პიდალი და სხვ. ყოველი მათგანი იყო გამორჩეული პიროვნება და მოაზროვნე. შესაძლოა მათ განსხვავებული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრები ჰქონდათ, მაგრამ ყველას ამოძრავებდა ესპანეთის ისტორიული ბედი, ისტორიული გზის კონცეფცია. თაობის ცენტრალური თემა იყო, როგორც უკვე ვთქვით, ესპანეთი,



მათ სამშობლო წარმოედგინათ როგორც პრობლემა, რომელიც ელოდა გადაჭრას, ამოცანად, რომელიც უნდა ამოეხსნათ; რატომ დაკნინდა წარსულში ესოდენ ძლიერი ქვეყანა, როდის და სად იქნა დაშვებული საბედისწერო შეცდომა; მთელი თაობა ერთსულოვნად უარყოფდა ქვეყნის „გარეგან“ ისტორიას, ე. ი. იმას, რაც აღნუსხულია ოფიციალურ დოკუმენტებში, და ერთხმად აცხადებდა, რომ ესპანეთის „პრობლემის“ გადაწყვეტა მხოლოდ მეფის კარს, კორტესებს, მინისტრთა კაბინეტებსა და არისტოკრატიულ სალონებს მიღმა იყო შესაძლებელი. და აი, ამ დროს წამოაყენა და ჩამოაყალიბა უნამუნომ თავისი ისტორიისა და „ინტრაისტორიის“ ცნობილი მოძღვრება. ამ თეორიის თანახმად, ისტორიული რეალობა შეიცავს ორ ფენას — „გარეგანს“ ანუ საკუთრივ ისტორიას და „შინაგანს“, „შიდას“ ანუ „ინტრაისტორიას“. პირველს განეკუთვნება შემეცნებისთვის მისაწვდომი, თვალსაჩინო ნათელი, რაც არის ოფიციალური მატრიანე, სახელმწიფოებრივი პიროვნებებისა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენების აღნუსხვა, ხოლო „ინტრაისტორია“ არის ჭეშმარიტად ეგზისტენციური, შეუცნობელი და შეუმეცნებელი ასე ვთქვათ. „ნალექი“ „გარეგანი“ ისტორიისა, მისი კვინტესენცია; ადამიანებს კი აერთიანებთ სწორედ „ინტრაისტორიის“ ელემენტები — ენა, ხალხის სული, კულტურა; „ინტრაისტორიის“ შეცნობა შეიძლება მხოლოდ ხალხის წიაღში, მათს ტრადიციებში, ხელოვნებაში, პოეზიაში, ფოლკლორში, ყველაფერში, რაც კი შემოუნახავს ხალხის სულს და რასაც შემოუნახავს ხალხის სული. „ინტრაისტორია“ არის ხალხის ცხოვრება, რომელიც „დუმს, ლოცულობს, გადასახადებს იხდის და არაფერი გაეგება სახელმწიფოებრივი საქმეებისა და მათი ინტერესებისა: საუკუნეებიდან საუკუნეებამდე ცხოვრობს თავისი ადამ-წესებით, ჩვეულებებით, საკუთარი შემეცნებითა და ტრადიციით“..... ასე განმარტა უნამუნომ თავისი კონცეფცია და ამ იდეას, ამ

კონცეფციას — „ესპანეთის საზოგადოების მომავალი თვლემს ჩვენი ისტორიული საზოგადოების სიღრმეში, ინტრაისტორიაში, შეუცნობელ ხალხში“ — ავითარებდა როგორც ესევეს იხე რომანებში — „მშვიდობა ომის დროს“, „წმინდა მანიუელის მსახურის მემბრული“, „დონ კისოტესა და ნანჩოს ცხოვრება...“ და სხვ. ტრადიციას კი უნამუნო განიხილავდა ორი მნიშვნელობით — ერისთვის სასარგებლო და ერისთვის მავნებელი ტრადიცია: ჭეშმარიტად ხალხური ტრადიცია და ოფიციალური ისტორიათა მიერ შექმნილი ცოცხალი ტრადიცია კი სწორედ ხალხის ფენებში უნდა ვეძიოთ და არა ისტორიულ ფაქტებში; უნამუნო გამოხატავდა მთელი „თაობის“ აზრს, როცა წერდა: „ესპანეთი აღმოსაჩენია... ჩვენ არც ჩვენს პეიზაჟს ვიცნობთ, არც ჩვენს თანამემამულეებს და არც ჩვენი ხალხის ცხოვრებას...“

უნამუნო ძალიან კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიასაც და თავისი ხალხის სულიერ სიმდიდრესაც, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, მას უნდოდა „ჩაეყვინთა“ სწორედ „ინტრაისტორიაში“, რადგან დარწმუნებული იყო, რომ „...ხალხი უფრო ერთგულია ტრადიციისა, ვიდრე ისინი, ვინც ისტორიაში მოიკიდა ფეხი... რომ მისი ტრადიცია მარადიულია, რაკი მისი იდეალი უფრო ნაგრძნობია, ვიდრე ნაფიქრი...“ და რაკი იგი ეძიებდა სწორედ „შეუცნობელს“... ამიტომ მისი მიზანი იყო და ამასვე უკიყინებდა „თაობის“ წევრებსა თუ მომხრეებს ძირფესვიანად შეესწავლათ ქვეყნის ცალკეული რეგიონი მისი ისტორია, ხალხი, ხელოვნება, რწმენა, ფოლკლორი და ამ ცოდნის საფუძველზე გამოემუშავებინათ ესპანეთის ისტორიის ფილოსოფია, მითუმეტეს, რომ „ინტრაისტორია“ ლამის სავალდებულო პროგრამად სახავდა ფოლკლორის ღრმად შესწავლას, ხალხის აზროვნებისა და ფიქრის ჩაწვდომას და კვლევას. „თაობის“ თითქმის ყველა წევრმა ლამის ფეხით მოიარა თავისი მშობლიური მხარე; უნა-



მუნო და ბაროხა ბასკები იყვნენ, ასორინი — ლევანტიელი, ვალიენკლანი — ვალისიელი; მათ, რა თქმა უნდა, იცოდნენ თავიანთი კუთხის თავისებურებანიც და ისტორიაც, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ მისცეს თავს უფლება ემსჯელათ საერთო ეროვნულ თვისებებზე, როცა ღრმად შეისწავლეს მისი ლანდშაფტი, ხალხის კოფა, ზნე-ჩვეულებანი თუ ადათ-წესები. განსაკუთრებით ჩაუღრმავდნენ ფოლკლორს, მივიწყებულ ძეგლებს, ეკლესიებსა და მონასტრებში შემორჩენილ ხელნაწერებს; მათი დიდი დამსახურებაა ესპანური კულტურის ძეგლების ხელახალი აღმოჩენა, გაცოცხლება მივიწყებულია, იქნებოდა ეს ხალხური სიმღერა, კლასიკური მხატვრობა, მისტიკოსთა პოეზია (განსაკუთრებით ხუან დე ლა კრუსისა, სკულპტურა თუ ხალხური ხის ნაკეთობანი და სხვა, რითაც განუზომელი წვლილი შეიტანეს ესპანური კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. მათ მიერ „აღმოჩენილმა“ პეიზაჟმა შეიძინა ერთგვარი „კონსეპტისტური“, „იდეოლოგიური“ შინაარსიც კი, იგი დამკვიდრდა არა მარტო ლიტერატურაში, არამედ ფილოსოფიაშიც, პუბლიცისტიკაშიც და, ბუნებრივია, ხელოვნებაში. ამ მოგზაურობის შედეგი იყო უნამუნოს მშვენიერი წიგნი „მოგზაურობა ესპანეთსა და პორტუგალიაში“, სადაც ნათქვამია: „მე რომ წიგნის ჭია ვყოფილიყავი, — როგორც ზოგიერთებს ჰკონიათ, — მე რომ ამდენი არ მეხეტილა, ყოველ შემხვედრთან ვზაღაგზა ბაასი არ გამემა, ათასჯერ მაინც არ გამრუჯოდა სახე მზეზე, ნუთუ გკონიათ, ასე ხელუხლებლად შევინარჩუნებდი ამ დიდ სიყვარულს სამშობლოსადმი, რომელსაც, როგორც ამბობენ, სიშმავემდე მივყავარ?... არა, წიგნებმა კი არა, მთხვეელებმა კი არ მასწავლეს სამშობლოს სიყვარული, მე თავად შემოვიარე მთელი ქვეყანა, მოკრძალებით შევიჭვრიტე მის ყოველ კუთხე-კუნჭულში... სწორედ ეს გასეირნება-ლაშქრობა საკუთარ ქვეყანაში გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს...“ —

სამშობლოს კი იგი საკუთარი სხეულის ნაწილად აღიქვამდა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შეეძლო.

**„ჩემში, ვითარცა მშობლიური ცის ქვეშ ცხოვრობს ჩემი ესპანეთი...“**

ამიტომ იყო, ორტეგა იგასეტი მისი სიკვდილის გამოცხადება: „მე არ ვიცი, რა მიზეზი ჩაწერეს სამედიცინო დასკვნაში, მაგრამ, რაც არ უნდა ჩაეწერათ, დარწმუნებული ვარ, უნამუნოს სიკვდილის მიზეზი იყო ის, რომ მას სტკიოდა ესპანეთი“... სწორედ ეს ტკივილიანი სიყვარული ათქმევინებდა უნამუნოს: „დიახ, სწორედ რომ ესპანელი ვარ, ესპანელი ვარ წარმოშობით, აღზრდით, ესპანელი ვარ სულითა და ხორციით, ენით, საქმიანობით, პროფესიით, ესპანელი ვარ უპირველეს ყოვლისა და ყველაფრის მიუხედავად, ესპანობაში არის ჩემი რელიგია, თვით ესცა, ასერიგად რომ მინდა ვიწამო, მარადიული და ვარსკვლავიანი, ესპანეთია, ჩემი ღმერთი ესპანელი ღმერთია, ჩემიცა და სენიორ დონ კინოტესიც, ღმერთი, რომელიც ესპანურად ფიქრობს და ესპანურადვე თქვა: „იქმნენ ნათელი“ და მისი სიტყვა იყო ესპანური სიტყვა...“

ეს არ არის თდენ პათოსით ნათქვამი, მაღალფარდოვანი სიტყვები, არც „განსაკუთრებულობის“ დაჩემება, იგი ყოველთვის შორს ადგა ნაციონალისტური შეხედულებებისგან, მაგრამ ასევე შორს იდგა კოსმოპოლიტიზმისგანაც, თუმცა ზოგიერთი კრიტიკოსი მაინც მიანიშნებდა მის მიერ ერთმანეთის „განსაკუთრებულობის“ მტკიცებას, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ უნამუნოს „განსაკუთრებულობის“ მიღმა იგულისხმებოდა იმ თავისებურებების ხაზგასმა, რაც ესპანეთს გამოარჩევდა ევროპის სხვა ქვეყნებისაგან. უწინარეს ყოვლისა, იგი განასხვავებდა კულტურის ორ ტიპს, ევროპულს — რაციონალისტურს, ორთოდოქსულს, მეცნიერულს, მატერიალურ და ესპანურს — ენებიანს, მისტიკურს, სულისმიერს. მისი აზრით, ესპანელი მიწიერის, მატერიალურის მიმართ უფრო გულგრილია, მისი ნორმაა



სულიერი და არა ეკონომიური, ეთიკურ საკითხებზე ფიქრი და სამართლიანობის ძიება; ამიტომაცაა ესპანური ფილოსოფიაც უფრო ეთიკა, სულისა და მორალის საკითხებზე ფიქრი და ხალხიც სამართლიანობას უფრო მისდევს, ვიდრე კანონიერებას, ხოლო, რაც მოაფარია, ესპანელს აქვს ცხოვრების განსაკუთრებული ტრაგიკული გრძნობა, რაც ამკარადაა გამოვლენილი ესპანური კულტურის თითქმის ყველა ქმნილებაში. ამის თაობაზე უნამუნოს კამათიც ჰქონდა ორტეგა ი ვასკეთისთან — რომელი უფრო მაღლა დგას, დეკარტე თუ ხუნან დე ლა კრუსი. მისი აზრით, დეკარტე განასახიერებდა რაციონალურ საწყისსა და დასაბამს აძლევდა მეცნიერულ პროგრესს ევროპაში, ესპანელი პოეტი-მისტიკოსი კი განასახიერებდა სულიერ საწყისს; თუ დეკარტე სიმბოლურად გამოხატავდა ევროპული მეცნიერული აზრის შემდგომ განვითარებას, დე ლა კრუსი განსაზღვრავდა ესპანური აზრის მიმართულებას და ადამიანის შინაგანი სრულყოფის საკითხს აყენებდა წინ. ხოლო უნამუნოსათვის სულიერი, სულისმიერი ყოვლისმომცველია, უპირატესია. ამიტომაცაა, რომ იგი თავის მოწოდებას ხედავდა სწორედ იმაში, რომ დაეცვა სულისმიერი არასულისმიერისაგან, ეროვნული კოსმოპოლიტიზისაგან, პიროვნება მასებში ათქვეფისაგან და გაუსახურებისაგან. უნამუნოცა და მისი „თაობის წევრები და მომხრეები მზად იყვნენ თუნდაც ეკონომიკური ჩამორჩენილობის ფასად გადაერჩინათ ესპანეთი ევროპაში ბურჟუაზიული პროგრესის უკვე თვალსაჩინო შედეგებისაგან. ამის თაობაზე წერდა უნამუნო:

„აქ, ქვემოთ, ორკესტრის ორმოში, ჩვენ გვესმის მხოლოდ საკრავთა სხვადასხვა, შეუწყობელი სიმფონია და სწორედ ერებს, რელიგიებს, ენებსა და ცალკეულ ქვეყნებს შეაქვთ მასში საკუთარი ნოტები, სადაც ყოველი საკუთარი სიმს ავლერებს თავისი საკუთარი, განსაკუთრებული ქდერადობით“...

უნამუნო კი ყველა სახის შემოქმედე-

ბის შთავონების წყაროდ სწორედ ეროვნულ გრძნობას სახავდა, თუმცა, „რასაკვირველია, კოსმოპოლიტიური პოეზია არსებობს ერის რელიგიის, გარკვეული კულტურის გარეშე, ვის გარეშე კი არ ვიცით... ეგებ ესეიქსტულზე? მაგრამ ასე ხომ სათბურებზე არსებობენ, მშვენიერებიც არიან, სულ ნამდვილებსაც ჰგვანან და წარმოიდგინეთ, სურნელებაც არ აკლიათ. მე კი არ უარვყოფ მას, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ ასეთი პოეზია არსებობს მხოლოდ სხვის ჩრდილში, თავისთავს მინდობილი და დასაღუბად განწირული, რამეთუ უნაყოფოა. იგი მოვევავონებს ველურ ხეზე დამყნობილ კულტივირებულ ხის რტოს“. და დასძენს: „მოაზროვნე კაცი, ფილოსოფოსი, ანდა, თუ გნებავთ, სოციოლოგი, შეიძლება არ იყოს პატრიოტი, მაგრამ პოეტი!... თუ პოეტი შორეულსა და აბსტრაქტულზე უფრო ღრმად არ განიცდის იმას, რაც მის თავს, ან მის ირგვლივ ხდება, ის პოეტის გარდა ყველაფერია!..“

და ლამის მოწოდებად გაისმის მისი სიტყვები:

„მაშ, კაცმა რომ თქვას, რაღა რჯიდათ ყველა დროისა და ხალხების პოეტებს თუ არა ერის, რელიგიისა და სამშობლოს საკითხებზე ზრუნვა? მაშ რა ასაზრდოებს, რა უკლავს წყურვილს, ან რა ამოსავს წარმოსახვას და გრძნობას, განა შეიძლება პოეზიისათვის იმაზე უფრო დამღუპველი იყოს რაიმე, ვიდრე უნაყოფო და აბსურდული კოსმოპოლიზმი, თავისივე არსით ღრმა და დაღუბილი უნივერსალიზმის მტერი?!...“ მით უმეტეს, რომ უნამუნოს სჯერა: „უსასრულოობასა და მარადიულობას ჩვენ მოვიპოვეთ მხოლოდ ჩვენს ადგილზე, ჩვენს ეპოქაში! ვიყოთ „მარადისტები და არა მოდერნისტები“

მაგრამ უნამუნოსათვის სამშობლო არ არის მოზომილი მიწის ნაკვეთი გარკვეულ დროსა და სივრცეში; იგი წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთნაირად მტკივნეულად განიცდიდა და, ამასთან, წარსულს ყოველთვის უკავშირებდა, მის



ჭირ-ვარამს კაბინეტის სარკმლიდან კი არ უყურებდა, მუდმივად იყო ჩართული ყოველ დროსა და ვითარებაში, როგორც ორტეგა ი გასეტი წერდა: „თავად უნამუნო, როგორც ადამიანი, იყო უსაზღვროდ გამბედავი, არ არსებობდა ისეთი ეროვნული ბრძოლები, ისეთი ცხელი და სახიფათო ადგილები, სადაც იგი არ ჩაგრავდა ხოლმე თავის „მე-“ს, აიძულებდა ორივე მხარეს მოესმინათ მისთვის და მკზნებარედ აყენებდა ლირიკულ დარტყმებს ერთსაც და მეორე მხარესაც“.

„ჩვენი ინტელექტუალური თუ მორალური ცხოვრების წიაღში არ არის ცოცხალი ნაკადი; ეს უფრო ხავსმოდებულ გუბესა ჰგავს, ვიდრე მჩქეფარე წყაროს. შიგ რომ ქვა ჩააგდო, ოდნავ თუ შეარხევს მის ზედაპირზე ლემნას, ანდა ფსკერიდან თუ წამოშლის ლამს და წყალს აამღვრევს. ასე რომ, ძილისმომგვრული ატმოსფეროს მიღმა გადაჭიმულია სულიერი უდაბნო, შემზარავი უნაყოფობა, არსად არ იგრძნობა სიგრილე და სიცოცხლის სხვა ნიშანწყალი, არ არის ახალგაზრდობა“.

ეროვნულ საკითხებს უნამუნო უკავშირებს მოხუცებისა და ახალგაზრდების ან მამებისა და შვილების პრობლემას.

„აი, რა არის საშინელი სათქმელი — არა გვყავს ახალგაზრდობა. ახალგაზრდები კი გვყავს, როგორ არა, მაგრამ ახალგაზრდობა არა გვყავს, არა გვყავს იმიტომ, რომ ფარულმა ინკვიზიციამ და ბებრულმა ფორმალისმმა გასრისა იგი...“

და იგი ცოცხლად აგვიწერს იმ ვითარებას, რამაც განაპირობა ახალგაზრდების ასეთი პასიურობა და უნიათობა, რაშიც მოხუცებსაც, მამებსაც მიუძღვით ბრალი და აქ არც საკუთარ თავს ზოგავს:

„თუ მოხუცი ტორეროს ლოცვა-კურთხევა არ მიიღე, ისე ნოველიეროდან ვერასოდეს გამოაღწევ...“

ჩვენ ყოველნაირად ვცდილობდით, დაუზოგავად, ვახლებით ვაგვეთელა და მოგვეშთო ნორჩი ყლორტები, ამოგვეძირკვა ამონაყარიც და ნორჩი ბუჩქებიც,

მაგრამ ხელიც კი არ დაგვიკარებია ბებერი მუხის ფითრების, კორძებისა და კოჭრებისათვის, თითქოს დიდი, წმინდა და ხელშეუხები რამ ყოფილიყო!...“

ასეთი მდგომარეობის მიზეზად უნამუნოს ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობასთან ერთად ტრადიციული მიაჩნია:

„ამას ისიც დავუმატოთ, რომ ჩვენი ერის სიღარიბის გამო ძალზე ჭირს ცხოვრებაში ფეხი მოიმადრო და რამეს მიაღწიო; ახალგაზრდები ძალზე გვიან წყდებიან მშობლის კალთას, გვიან აფრინდებიან ბუდიდან, მერე კი მთელ თავის დაზოგილ ძალებს ანდომებენ პატრონის ძებნას, ვინც ამ ყინულის სავანიდან თავს დააღწევიან... ჩვენ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ და, როცა კაცს შია, აღარც მხიარულებისთვის სცხელა. ჩვენი გონებრივი ჩამორჩენილობაც ხომ ეკონომიკური სიღატაკის ბრალია; ყველაზე ცოცხალი და ჭაბუკური ძალები იხარჯება მოწყობაზე, თბილი ადგილისთვის ბრძოლაზე; დაბეჯითებით ვიტყვი, რომ სოციალურ ფენომენტთან იერარქიაში პირველი, მთავარი და გადამწყვეტი მაინც ეკონომიკური პრინციპია...“ თუმცა უნამუნო მიზეზს ისევ ძვალ-რბილში გამჯდარ ესპანურ ჩვევებსა და ხასიათში ხედავს: „ჩვენი ეროვნული უბედურება, სხვათა შორის, იმდენად სიღარიბე არ არის, რამდენადაც ყოყლოჩინობა, არავინ შეგვატყოს, ღარიბები ვართ...“ მაგრამ, როდესაც უნამუნო წერს: „წარსულში რწმენას ვეძიებდი, არ იყო რწმენა, თვალნი აღვახვენ და მაშინ მივხვდი, მხოლოდ მომავლით ღირს ცხოვრება“, იგი მაინც იმედით უყურებს მომავალსაც და ახალგაზრდობის გამოფხიზლებასაც: „ღმერთმა ინებოს, ნამდვილმა ახალგაზრდობამ, თამამმა და თავისუფალმა, გაგლიჯოს ყულფი, ყელში რომ გვაქვს წაჭერილი და გვახრჩობს, ბოლო მოუღოს ამ ერთფეროვნებას, ამ გამაუსახურებელ ერთფეროვნებას, გულით მოეკიდოს ხალხის შესწავლის საქმეს, ხალხისა, რომელიც არის ჩვენი ყველას საყრდენი...“

ამიტომ იყო ესოდენი გულითადობით



რომ მიესალმა გარსია ლორკას გამოჩენას ლიტერატურულ ასპარეზზე და ლექსიც უძღვნა მას: „მოგესალმები, ხვალისდღელო დილაავ!“ და „ჰეი, ესპანელებო, ჩვენმა საათმაც დარეკა, და მზემ ჩვენთვისაც გამოანათა!“ „უნამუნო ჩვენი სევდიანი სიკვდილის წინაშე ამოზიდავს ნუგეშს პროტესტში, რომლის ეთიკური ფასი უდავოა. იქ, სადაც ჰაიდეგერი ამბობს უკამათო „პო-“ს; ჩვენი დონ მიგელი სიკვდილის იდეას, — თუმცა მას გარდუვალად მიიჩნევს, — პასუხობს თითქმის მკრეხელურ არას!“ (ანტონიო მარადო).

ესპანურ ლიტერატურას საუკუნეთა მანძილზე გაჰყვება მარადიული თემა — დროის წარმავლობისა, ადამიანის ცხოვრების დღემოკლეობისა; XV საუკუნეში ამაზე წერდა ხორხე მანრიკე, XVII საუკუნეში — კევედო და კალდერონი, XIX საუკუნეში — ესპრონსედა, XX საუკუნეში — უნამუნო, ანტონიო მარადო, გარსია ლორკა. უნამუნოს შემოქმედებაში და მის კვლად „98 წლის თაობის“ წარმომადგენელთა თხზულებებში ერთ-ერთი მთავარი ძარღვია რელიგიურ-ფილოსოფიური ძიებანი; ეს ბუნებრივიცაა, რადგან ესპანელმა ერთგულად გამოიარა ორთოდოქსული კათოლიციზმის გზა, ხოლო როცა XIX საუკუნემდე მივიდა, მაშინ უკვე გაიბრძოლა გონებამ, ეკლესიის ძალადობის წინააღმდეგ ხმა აღიმართლეს დიდმა მოაზროვნეებმა, რასაც ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ ევროპაში პოზიტივიზმს უკვე საფუძველი შეერყა, ადამიანს უკვე გონების ყოვლისშემძლეობაში შეეპარა ეჭვი. ესპანეთში კი ამ მოვლენამ თავისებური გამოხმაურება ჰპოვა. „98 წლის თაობის“ წევრებსა და მათი მომხრეების თხზულებებში უკვე ამკარად გაისმოდა ცხოვრების რაობისა და აზრის პრობლემებზე კამათი, უკვე ამკარად იჩინა თავი ნიჰილიზმმაც, სკეპტიციზმმაც, იმედგაცრუებამაც ყოველივეს აბსურდულობის შეგრძნებამ. ადამიანები ვეღარ მისდევდნენ ადრინდელი ერთგულებით რელიგიურ დოგმებს, ვეღარც მეცნიერების არგუ-

მენტებს უჯერებდნენ, ამიტომ მათ იპყრობდათ სევდა და მოუსვენრობა.. ნელ-ნელა ყურადღების ცენტრში მოექცა საკუთარი, პირადი ცხოვრება „მე“, ხოლო მე-ს გაქრობა-სიკვდილი ხდება ფილოსოფიის ერთ-ერთ უმთავარი პრობლემა. და აი, აქ იწყება ეგზისტენციალიზმის, უფრო სწორად, ესპანური ეგზისტენციალიზმის პირველი ნიშნებიც. თუმცა ამ პირველ ეტაპზე, ესპანური ეგზისტენციალიზმის ამ პირველ ვარიანტში ამკარად ათეისტური ნიშნები არ შეიძინევა, ჯერჯერობით ეს არის რელიგიის, რწმენის უპირატესობაზე უარის თქმა მეცნიერულ ცოდნასთან შედარებით. მაგრამ, რაც მთავარია, ესპანური ეგზისტენციალიზმის უპირველესი თავისებურება არის ის, რომ მას პირდაპირი კავშირი აქვს „ინტრაისტორიასთან“, ეს კი თავისთავად გულისხმობს მძაფრ ინტერესს ფოლკლორისადმი, ხალხის აზროვნებისადმი, ესპანური ფოლკლორის ცენტრალური თემა კი არის უწინ სიკვდილის თემა, რომლისადმი ესპანელს აქვს განსაკუთრებული და ძალზე თავისებური დამოკიდებულება. და სწორედ ფოლკლორიდან მომდინარეობს სიკვდილის ტრადიციული გააზრება, რამაც სათავე დაუდო უნამუნოს ეგზისტენციალიზმს და ამ გზას გაჰყვა ანტონიო მარადოც.

თვითონ ტერმინი ეგზისტენციალიზმი ესპანური ფილოსოფიისა და ლიტერატურის მიმართ კარგა ხანს არ გამოიყენებოდა, თუმცა კი აღიარებდნენ, რომ ესპანელმა მოაზროვნეებმა დაასწრეს არა ერთ ეგზისტენციალისტურ დებულებას ევროპაში; საერთოდ ეგზისტენციალიზმი — არსებობის ფილოსოფია — კრიზისის ფილოსოფია დადგინდა XX საუკუნის 20-იან წლების მიწურულს და მალე ძლიერ იდეურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა; მისი დაბადების თარიღად მიიჩნევენ 1927 წელს, როდესაც გერმანიაში გამოქვეყნდა მარტინ ჰაიდეგერის თხზულება „ყოფიერება და დრო“, შემდეგ კარლ იასპერსის შრომები და სხვა, რომლებშიც გარკვეული აზრით გაფორმდა



და დადგინდა პიროვნების ეგზისტენციალისტური კონცეფცია. ამავე დროს ისინი თავიანთ წინამორბედებად ასახელებენ შოპენჰაუერს, კირკეგორს, ნაწილობრივ ნიცშეს და სხვ.. ტერმინი კი ხმარებაში შემოვიდა 1929 წლიდან. — ამის შემდეგ იყო მხოლოდ, რომ ევროპაში უკვე აღიარეს ესპანელი უნამუნოს მკვეთრად ეგზისტენციალისტური კონცეფციების დომინანტობა და მისი ძლიერი ეგზისტენციალისტური კონცეფციების გაცნობიერებაც მოხდა მხოლოდ კლასიკური ეგზისტენციალიზმის ჩამოყალიბება-გაფორმების შემდეგ. ამიტომ უნამუნოს და მასთან ერთად სხვა ესპანელ მოაზროვნეებს ეწოდათ ეგზისტენციალიზმამდელი ეგზისტენციალისტები.

ესპანეთის კრიზისის პერიოდში, საერთო ეროვნული „ეგზისტენციალისტური კრიზისის“ პერიოდში უნამუნოს წინაშე, უპირველეს ყოვლისა, წამოიჭრა პიროვნების პრობლემა, ყველაზე უფრო მტკივნეული პრობლემა და ამ პრობლემამ მიიყვანა იგი სრულიად დამოუკიდებელი კონცეფციების ჩამოყალიბებამდე, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული კვლავ ესპანური სინამდვილის გააზრებასთან. ხოლო როდესაც მიანიშნებენ ხოლმე ნიცშესა და შოპენჰაუერის გავლენაზე, უნამუნოს შემოქმედებიდან უშუალოდ ჩანს, რომ იგი უფრო ედავება, ეკამათება მათ, ვიდრე ხელაღებით იზიარებს მათს იდეებს. უნამუნოს შემოქმედებაში მოცემულია პიროვნების სრულიად ახლებური, განსხვავებული კონცეფცია. პიროვნების, პიროვნულობის პრობლემა მისთვის უწინარესად სულიერი მდგომარეობის პირობაა, რადგან ამ სამყაროს უმაღლესი ფასეულობა ადამიანის პერსონაა და ეს სამყაროცა და მისი კანონებიც იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მასში აირეკლება პიროვნება და, პირიქით. რაკი პიროვნება ამ სამყაროს ცენტრია, მისი გაქრობა, ანუ სიკვდილი, გაიანჯრება, როგორც აბსოლუტური არარას გამარჯვება, სამყაროს დასასრული. მწერალი ფილოსოფიისა და საერთოდ ხელოვნების ძირითად პრობ-

ლემად მიიჩნევს პიროვნების მიმართებადამოკიდებულებას საზოგადოებისადმი, დროისა და კოსმოსისადმი, ცოდნისა და რწმენისადმი.

„ჭეშმარიტება არის ის, რასიც სწამთ მთელი სულითა და გულით“, — წერს უნამუნო. სწორედ ფილოსოფიური — ჭეშმარიტების პიროვნული ნასიათის გამო მას მიიჩნევენ ეგზისტენციალისტური ფილოსოფიის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად და მამამთავრად XX საუკუნეში, ხოლო მის ფილოსოფიას ხშირად პერსონალიზმს უწოდებენ.

უნამუნოს პერსონალიზმის ყველაზე ცოცხალი მაგალითი კი თავად მისივე პერსონაა, რომელმაც იგრძნო და განიცადა სინამდვილეში ის, რაც მის შემოქმედებასა და მის ფილოსოფიურ კონცეფციებშია მოცემული.

“... მე გერმანიზმის მოციქულის, ფიხტეს მსგავსად როდი ვიცავ და ვქადაგებ წმინდა „მე-ს“; მისი „მე“ სხვა არა არის რა, თუ არა „მე“, მაშინ, როდესაც მე ვიცავ და ვქადაგებ შერეულ „მე“-ს, რომელიც თანაბრად მოიცავს ჩემთან ერთად სხვა ადამიანებსაც, რამეთუ მე, ოპ, ჩემო მკითხველო, მინდა ვიყო „მეც“ და ამავე დროს ვიყო თითოეული თქვენგანიც...”

უნამუნოს პერსონალიზმი გულისხმობს ჭეშმარიტების შერწყმას ეგზისტენციალიზმთან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისთვის ეგზისტენციალიზმის ამოსავალი წერტილი არის ადამიანის სულიერება, ადამიანის შემეცნების მდგომარეობა აქედან გამომდინარე შემოაქვს ცნება „ადამიანი-იდეა“, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ იმ ადამიანს რომელიც ტანჯვით გამოიტანს თავის ჭეშმარიტებას, შეუძლია შთაბეროს მას სიცოცხლე, ეს კი თავისთავად არის ადამიანის სულიერი მდგომარეობა, მისი სიმშვიდე, განცდა, სიმტკიცე, მერყეობა. როდესაც 20-იან წლებში უნამუნო გაეცნო ფრანგი ეგზისტენციალისტების თხზულებებს, მან ისინი გააკრიტიკა არასაკმარისი „ეგზისტენციალიზმის“ გამო, რადგან ისანი ფილოსოფიურ იდეას ილ-



ებდნენ, როგორც მხოლოდ იდეას და არა როგორც „ადამიან-იდეას“. ესპანელი მწერლისთვის კი მთავარია ის, როცა თვითონ „უნამუნო-ადამიანი“ განიცდის და გრძნობს იმასვე, რასაც განიცდიდა და გრძნობდა პასკალი-ადამიანი, სწორედ მაშინაა პასკალის აზრი და ფიქრი ან განცდა მისთვის ფილოსოფია, როცა შეუძლია თქვას: „აკი ეს მე თვითონვე ვიყავი! მე პასკალთან ერთად ვცხოვრობდი იმ საუკუნეში, მე კიერკეგორთან ერთად ვცხოვრობდი კოპენჰაგენში!..“

ამიტომაც, რომ უნამუნოს ყველაზე მეტად აწუხებს პრობლემა ადამიანისა, რომელიც იბადება, იტანჯება და ეს არის ხორციელი ადამიანი — მე, შენ, ის, ყველა, ვინც კი ამქვეყნად ცხოვრობს და „თუ უნივერსუმისთვის მე ვარ არარა, ჩემთვის მე ვარ ყველაფერი“. სწორედ ეს არის მისთვის, როგორც ეგზისტენციალისთვის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი — ადამიანებში, მათს ურთიერთობებში. მათს ირგვლივ შექმნილ ვითარებაში იგი ეძებდა არა იმდენად კონკრეტულს, რამდენადაც უნივერსალურს არა იმდენად შემოზღუდულ ინდივიდუალურს, რამდენადაც საერთო საკაცობრიოს. ამიტომ იყო, რომ იბრძოდა, — „ამომრჩეველთა და გადასახადის გადამხდელი ესპანელები ჯოგიდან გადაიქცნენ ხალხად, რომელიც შედგება „მე“-სგან“, რომ გამოეფლინებინა პიროვნება; ამ იდეის შესაბამისად მისი დევიზია „ჩემი სამყარო ჩემშივეა!“ და რომ „ადამიანის შიგნით უნდა ვეძიოთ ადამიანი, ადგილობრივისა და კერძოს შიგნით — უნივერსალური და დროებითსა და წარმავლის სიღრმეში — მარადიული!“ ხოლო ჭეშმარიტ პიროვნებად მიიჩნევადა ადამიანს, რომელსაც აქვს ტრაგიკული და მკვნიბარე ლტოლვა რწმენის საგნისადმი, გააჩნია თავისი ნების რეალიზების უნარი და მიმართავს მას იდეალის მიღწევისკენ, აქვს ასევე არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. თუკი ინდივიდს ეს თვისებები არ გააჩნია, ის არც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი პიროვნება, შინაგანი შინაარ-

სის მატარებელი რეალობა. „... მთავარია არა იდეის პროგრესულობა, არამედ სულის გაზრდა, თითოეული სული-სა, შენი სულია... ჩაიხედეთ საკუთარ სამყაროში, შენს სულში და, ჩემს მაგივრად, რომ მოუწოდო „წინ!“ ანდა „ზევით!“ უთხარი საკუთარ თავს „შიგნით! სულის სიღრმეში!“

პიროვნებას პრობლემა პირდაპირ უკავშირდება და ლამის გაიგივებულია უკვდავების პრობლემასთან; იგი აკრიტიკებს ადამიანის საზოგადოებრივი როლის კონცეფციას, რომლის თანახმად ადამიანები ცხოვრობენ კაცობრიობისთვის, უკეთესი საზოგადოების შექმნისათვის, და ამას უწოდებს „მსხვერპლშეწირვის ჯაჭვს“. „ამბობენ, ვითომ ამ ქვეყანას მოვევლინე, უფალმა უწყის, რა სოციალური მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ ისევე მოვედი, როგორც ყოველი ჩემი ძმა და მსგავსი, განვახორციელო საკუთარი თავი, ვიცხოვრო!“

მაგრამ ადამიანის ერთადერთი ფასეულობა მისი ცხოვრებაა, გონითი, შემეცნებითი ცხოვრება, — ამბობს უნამუნო, — თუმცა იქვე აცხადებს: „თუკი სხეულის მოკვდინებასთან ერთად ჩემი შემეცნება კვლავ დაუბრუნდება აბსოლუტურ შეუცნობლობას, საიდანაც იგი ოდესღაც გამოვიდა, და თუ იგივე დაემართება ჩემს ძმასა და მსგავსს, მთელს კაცობრიობას, მაშინ ადამიანური მოდგმა სხვა არა არის რა, თუ არა დამღუპველი პროცესია მოჩვენებათა, არარაში რომ მიდი-მოდის, ხოლო ჩვენი ჰუმანიზმი ყველაზე უფრო ანტიჰუმანური რამ!“

მარადიული არსებობის სურვილი უნამუნოსათვის „ღვთაების დაუოკებელი წყურვილი“ „ყოფიერების გიჟური შიშ-შილია“ და დარწმუნებულია — „რაც უნდა საშინელი იყოს ჯოჯოხეთის იდეა, ის მაინც უფრო სასურველია, ვიდრე აბსოლუტური არარა. ყველაზე საშინელი ჯოჯოხეთი არარაა...“

საოცარი ძალითაა სიცოცხლის ეს „გიჟური წყურვილი“ რომანში „სიყვა-



რული და პედაგოგია“, რომლის გმირი დონ ფულსენსიო, ენტრამბოსმარესი ებრძვის სიკვდილს, ეძებს სიცოცხლის აზრს, მიზანს და საკუთარი თავის რეალობების გზებს: ვინ ვარ მე? კაცი, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ცხოვრობს, უბრძანებს საკუთარ თავს, რომ უნდა იცხოვროს, რომელსაც აქვს სურვილი, რომ იცოცხლოს... სიცოცხლე! სიცოცხლე! მე მაქვს სიცოცხლის სურვილი და არა მორჩილება! მე არც სიკვდილს ვნებდები, რამეთუ მინდა სიცოცხლე, არა, არა, სიკვდილს არ ვნებდები... მაგრამ მაინც რომ მოვკვდები!... — მაგრამ აქვე ჩნდება პროტესტის გრძნობაც, ადამიანი იბრძვის, ეძებს საკუთარი სიცოცხლის გამართლებას: იცი, ვინ იყო პეროსტრატე? იგი გახლდათ კაცი, რომელმაც დაწვა ვფესოს ტაძარი, საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად. აი, ასე ვწვავთ ხოლმე ჩვენც ჩვენს ბედნიერებას, რათა ჩვენი სახელი, ეს ფუჭი ბგერები შთამომავლობას გადავცეთ! შთამომავლობას, დიას, აპოლოდორო... როცა სულის უკვდავების რწმენა დაეკარგეთ, სიკვდილის მიშმა დაგვრია ხელი, ყველას გვეშინია და ყველა კიტანჯებით. იმის წარმოდგენა, რომ სიკვდილის შემდგომ გველის არარა, მარადიული სიცარიელე, გულსა და გონებას გვიწამლავს; კარგად გვესმის აჩრდილთა სამგლოვიარო პროცესი-ის ბორილის უსასობა, არარადა არარაში რომ მიდი-მოდინ, გვესმის, რომ ყველაფერი ეს ჩაივლის ვითარცა სიზმარი, ვითარცა სიზმარი, აპოლოდორო, ვითარცა ლანდის სიზმარი და, რომ ერთ დამესაც დავიძინებთ და ვედარ გავიდვიებთ, ვედარასოდეს, ვედარასოდეს! და არ არის ნუგეში, რომ იქ მაინც... თუკი ვინმეს უთქვამს ეს სულაც არ მაფიქრებსო, ან ცრუობს, ან არადა, უგუნურია, სულგაქვავებული, უბედური; ასეთი კაცი არ ცხოვრობს, რამეთუ ცხოვრება სწორედ უკვდავების წყურვილია, აპოლოდორო, და ერთხელაც იქნება დაიქცევა. ეს ქვეყანა, მოისპობა მისი ისტორიაც და წაიშლება პეროსტრატეს სა-

ხელიც, აღარავის ეცოდინება, ვინ იყვნენ პომეროსი, ან ნაპოლეონი და ქრისტეც კი... რამდენიც გინდა, იმდენი იცხოვრე, დღეები, წლები, სუკუნეები და ათასწლეულებიც, სულერთია, სხვას ნურაფერს ელოდები, ყველაფერს დაგვარგვო რწმენა სულის უკვდავებისა; ერთი ოცნებალა დაგვრჩა — დავტოვოთ სახელი, რომ ჩვენზე ილაპარაკონ და მოყვასთა მესხიერებაში მაინც განვაგრძნოთ ცხოვრება, საწყალობელი ცხოვრება!“...

უნამუნოს მსოფლალქმა აშკარად ტრაგიკულია, მაგრამ ხელალებით პესიმისტს მაინც არ უწოდებენ, რადგან ყოველთვის და ყველა ვითარებაში ეძებს არსებობის აზრს „საიდან იბადება ხელოვნება? უკვდავების წყურვილიდან, რამაც აღმართა პირამიდები და მათ ფერხთით მთელემარე სფინქსი!“ და მაინც სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს გაქრობის აზრს: „განა ასეთი მეტაფიზიკური აუცილებლობაა სიკვდილი?“ სიკვდილის აზრამდე კი ლოგიკას მივყავართ, ამიტომაც, მიწყვიტ ღმერთის მაძიებელი მწერალი რომ აცხადებს:

„მიზნად დავისახე, მკითხველს შთავაგონო და ყველაზე უწინ მინდა გადავცე მას რაღაც იდუმალი ნაპერწკალი, გავუღვივო ის მემამბოხური ცეცხლი ლოგიკის წინააღმდეგ, ჩემს სულში რომ გიზგიზებს, უფრო სწორად, გავუღვივო ის ნაღვერდალი, ყოველი ადამიანის სულში ნაცრის ქვეშ რომ იფერფლება...“

„თუ რელიგია არ ეფუძნება საკუთარი სუბსტანციურობის გრძნობას, საკუთარი სუბსტანციის უკვდავების რწმენას, ის არც არას რელიგია. ეს იქნება რელიგიის ფილოსოფია, მაგრამ რელიგია კი არა. ღმერთის რწმენას შენსავე საკუთარი სუბსტანციური არსებობის რწმენაში აქვს ფესვები გადგმული; მოჩვენებითობის ასახსნელად მოჩვენებითი ღმერთიც კმარა, უწინ ღმერთი-მეთქი, მინდოდა მეთქვა; ის, რასაც მის გარეშე ვერ ავხსნით, ვერც მასთან ერთად ავხსნით, რადგან, თუ ჩვენ მას მივიღებთ, როგორც უმაღლეს გონს, მაშინ მისი ახსნაც მოგვიწევს, რა შეიძლება იყოს იმაზე უფ-



რო, არარა! აი, ეს რეალობა, დაუნდობელი რეალობაა, რაც ისმის ექოდ ესპანელი ხალხის სულში, ჯვარცმული კი მაინც ღმერთი იყო და ასეთი წამებული ღმერთის თაყვანისმცემელი ესპანელი უწინ რეალურ სიკვდილზე იფიქრებს, ფიზიკურ სიკვდილზე, ვიდრე მარადიულ ცხოვრებაზე. და აქ უკვე გაიბრძოლებს ღმერთი, მაშინ ეს არის სიყვარული, რომლის ძალითაც ყველაფერი ახალია მისი არსებობის ყოველ წუთში. თუ არსებობს ღმერთი, ეს არის სიყვარული, რომელიც ისწრაფვის გახანგრძლივდეს ამ სამყაროში და გაცხადდეს მასში; და ჩვენი ცხოვრებაც, რას უნდა ეფუძნებოდეს იგი?"

ძალზე თავისებურია უნამუნოს მიმართება რელიგიასა და, საერთოდ, რწმენის მიმართ შეიძლება ითქვას, რომ მისი რწმენა უფრო რწმენის სურვილია, რამეთუ მხოლოდ რწმენას შეუძლია ადამიანის და მთელი უნივერსუმის გადარჩენა არარას წინაშე შიშისაგან. და აქაც კვლავ იჩენს თავს ესპანური სულის თავისებურება. ესპანეთი კათოლიკური ქვეყანაა, მათი კათოლიციზმის მიღმა ჩანს თამამი, ცნობისმოყვარე, თან მწარე და თან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ; ესპანელი სიკვდილს უყურებს, როგორც შეუმჩნეველ გადასვლას ერთი სამყაროდან მეორეში; მას სიკვდილის მიმართ აქვს გამძაფრებული ინტერესი; უნამუნოსთვის ამ იდუმალების ამოცნობის ერთი გზაა ქრისტეს სახე. სამშობლოში მოგზაურობის დროს იგი ყველგან ეძებდა ქრისტეს გამოსახულებას, და მიაგნო „ესპანელ“ ქრისტეს, რომელიც არც მიწიერი მეუფეა და არც მკვდრეთით აღმდგარი და ამაღლებული ღმერთი; იგი არის ჯვარცმული, საშინელი წამებისაგან სახეშეშლილი, სიმწრის ოფლით შუბლდაცვარული, ჯვარზე მომაკვდავი ადამიანი, და უნამუნოს ეჩვენება, თითქოს იგი ამბობს: „არა არის რა უფრო მარადიული, ვიდრე სიკვდილი; ყველაფერი მთავრდება, ცხოვრება სიზმარიც კი არ არის, არა არის რა, გარდა მიწისა, არის მხოლოდ არარა, არა-

რა, არარა! აი, ეს რეალობა, დაუნდობელი რეალობაა, რაც ისმის ექოდ ესპანელი ხალხის სულში, ჯვარცმული კი მაინც ღმერთი იყო და ასეთი წამებული ღმერთის თაყვანისმცემელი ესპანელი უწინ რეალურ სიკვდილზე იფიქრებს, ფიზიკურ სიკვდილზე, ვიდრე მარადიულ ცხოვრებაზე და აქ უკვე გაიბრძოლებს ღმერთი: „ამბობენ ღმერთმა შეგვექმნათ, მერე, ახლა ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ მას, თუმცა მაინც გველის არარაში დაბრუნება, საიდანაც ვითომ მანვე გამოგვიყვანა? ამბობენ ვადილოთ მისი საქმენიო, მერედა რისთვის?!“

პოზიტივიზმში იმედგაცრუებული უნამუნო უარყოფს მეცნიერული აზროვნების მეთოდებს, უჯანყდება მეცნიერებას, მისი ყოვლისშემძლეობის რწმენას, რადგან მეცნიერების მიერ მოწოდებული ცოდნა საკმარისია მხოლოდ ადამიანის მატერიალური არსებობისთვის და არა სულიერისთვის; მეცნიერება ადამიანს გადააქცევს „ცოდნით დატვირთულ ლანდად“ რომელსაც არაფერი გაეგება დაცემისა და აღმაფრენით აღსავსე სულიერი ცხოვრებისა, ხოლო უნამუნო ყველაზე მაღლა აყენებს სულიერ ცხოვრებას; აკი მეცნიერება არ გვაძლევს კატეგორიულ პასუხებს კითხვებზე, რაც აწუხებს ადამიანს; ახალ-ახალი აღმოჩენები კი მუდამ უარყოფს წინას. მეცნიერული ჭეშმარიტება მუდამ რელატიურია, ხოლო რელიგია მოგონილია ადამიანის სანუკეშოდ, ღმერთი თვითონ ადამიანმა მოიგონა და მანვე გამოიგონა აღდგომაც, საიქიო ცხოვრებაც, ჯოჯოხეთიც და თვითონ რელიგიის კრიტიკაც; მაგრამ როცა ეკლესიამ იმედი აიყვანა დოქტრინის რანგში, ამით კიდევ მოკლა იმედი; მეცნიერება ყოველდღე გვიმტკიცებს იმქვეყნიური არსებობის აბსურდულობას; რელიგია თანდათან ძალას კარგავს და ადამიანსაც ველარაფერი არწმუნებს; ამიტომ იგი ვარდება სკეპტიკურ ეჭვში, უნდა ირწმუნოს და არ შეუძლია, ვერც მეცნიერებას ეღაფება და ვერც რელიგიას, აღარც ერთისა სჯერა



და აღარც მეორისა; ამიტომ უჩნდება კომფლიქტი გონებასა და გრძობას შორის და აქ უნამუნოს შემოაქვს ყველაზე უფრო მძაფრი და ერთ-ერთი ცენტრალური ცნება მისი შემოქმედებისა „აგონია“. „აგონია“ არის სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნა, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი, ცხოვრების განსაკუთრებული ტრაგიკული გრძობა, სიცოცხლის ლიმიტირებულობის აღიარება, უსაზღვრობის იმედი, უაზრობის აღიარება, მაინც რადაცის რწმენა, და აზრის ძიების ცდა; მაგრამ ეს ყველაფერი საკუთარია, პირადია, პიროვნების ტანჯვაა, მისი განწირული კვილია.

უნამუნო აგონისტებად მიიჩნევს ნეტარ ავგუსტინეს, ბლევ პასკალს, ჯაკომო ლეოპარდის, მარკუს ავრელიუსს, სიერენ კიერკეგორს, ალფრედ ვინის, კენტალს, ლიტერატურულ პერსონაჟებს — ობერმანს, რენეს და, უპირველეს ყოვლისა, დონ კიხოტეს; მათი ცხოვრება, მისი აზრით, იყო ნამდვილი „აგონია“. უნამუნოს „აგონია“ იგივე ეგზისტენციალური მღვთმარეობაა, რაც ჰაიდეგერთან არის „ყოფნა სიკვდილისათვის“, სარტრთან „გულზიდვა“, მაგრამ კიერკეგორის „ნახტომი რწმენისაკენ“ უნამუნოსთვის არ არის გამოსავალი, რადგან მისი „აგონისტი“ უფრო წინააღმდეგობრივი სულია, მეტროლია, იგი აცხადებს პროტესტს: „მე მსურს მატერიალური უკვდავება, მსურს ყოფნა ჩემივე ფორმითა და არსით... მინდა, რომ ვიყო მე, მე, მე მე!“ „უნამუნოს აგონისტი“ ებრძვის სიკვდილს, არარას იმითი, რომ ცდილობს აღბეჭდოს თავისი თავი ამ ცხოვრებაში, რაკი მაინც მისჯილი აქვს გაქრობა, ამიტომ შემოქმედების ყოველი სახე, იქნება ეს მეგობრობა, სიყვარული, დედობა, მამობა თუ სხვა, იღებს ერთგვარი სუბლიმაციის მნიშვნელობას, რამაც ადამიანი უნდა გადაარჩინოს სიკვდილის წინაშე მიმისაგან, ძრწოლისაგან; და აქ მწერალი ყურადღების ცენტრში აყენებს გრძობის აქტივობას, პიროვნების მიერ თავისი სულიერი ძალების შესაძლებლობათა გააზრებასა და

რეალიზაციას; „აგონისტი“ მუდმივად ებრძვის გონებრივ სასოწარკვეთილებას, სიკვდილის იდეას; ევროპელი ეგზისტენციალისტებისგან უნამუნოს გამოარჩევს სწორედ მემბოხური სულისკვეთება — „მამ მივიღოთ არაფერი, შეიძლება ჩვენ გველის, რეგულაციის მართლობა, შევებრძოლოთ ბედს, თუნდაც არ გვქონდეს გამარჯვების იმედი, შევებრძოლოთ მას დონკიხოტურად!“ ხოლო ადამიანის ბრძოლა მის თვითგანმტკიცებაში გამოიხატება, თვითდამკვიდრებაში „თუ ადამიანს ნამდვილად სჯერა თავისი არსებობა, მაშინ როგორ არ უნდა აღეძრას სურვილი ეს ყველაფერი არ აღბეჭდოს, ყოველივეს დაუკავშიროს და ყველას გადასცეს? როგორ შეუძლია ადამიანს, თუ მას ნამდვილად სჯერა საკუთარი არსებობა, დაიჯეროს ასევე საკუთარი სიკვდილი, თავისი ეგზისტენციური სიკვდილი? რამეთუ ჩვენივე მოჩვენებითობა გვარწმუნებანებს სამყაროს მოჩვენებითობას, იმ სამყაროსას, რომელიც გარს გვაკრავს?!“ ამიტომაა უნამუნო ლამის უბრძანებს ადამიანებს, იბრძოლონ საკუთარი თავის რეალიზებისა და თვითდამკვიდრებისათვის; იგი ფიქრობს, რომ ხალხი ისევე, როგორც ცალკეული ადამიანი შეიძლება ცხოვრობდეს უფერული, მწირი ცხოვრებითაც და დაძაბული, სულიერი ცხოვრებითაც, ანუ იყოს „აგონისტი“ მაგრამ თუ მას ამის სურვილი არ გააჩნია, „ვერას გავუგებ მათ, ვისაც ასეთი სული აქვს უპირატესად, ასეთი ადამიანი და ასეთი ხალხი მონაა!“ ამიტომაა უნამუნოს ხატი მარად მშფოთვარე და დაუდევარი დონ კიხოტე ლამანჩელი, ჭეშმარიტი „აგონისტი“, რომელიც განასახიერებს ნამდვილ ეროვნულ სულს, „ეროვნული სულის აგონიას“, რასაც მხოლოდ „ინტრაისტორიამი“ თუ აღმოაჩენს! ამიტომ იყო, უნამუნოს არაერთხელ უთქვამს, თავს „დონ კიხოტეს“ ავტორად ვგრძნობო; ამიტომ უძღვნა მას მთელი თხზულება „დონ კიხოტესა და სანჩოს ცხოვრება, ახსნილი და განმარტებული დონ მიგელ დე უნამუნოს მიერ“. მან დონ კიხოტე გადააქ-



ცია ეროვნულ მითად, საზოგადო სახე-  
ლად; მისთვის დონ კიხოტე და სანჩო  
პანსა, ორივე ერთად, ნამდვილი ეროვ-  
ნული სახეებია, ეროვნული სულის გან-  
სახიერება, რომელთა მეშვეობით შეიძ-  
ლება ჩასწვდეს ხალხის სულსაც, ყოფასაც,  
უნამუნო ხშირად აღარებდა დონ კიხო-  
ტეს ქრისტეს და დაბეჯითებითაც კი  
მოითხოვდა „კიხოტიზმი“ ეროვნულ რე-  
ლიგიად გამოცხადოთო, რამაც საშინ-  
ლად აღაშფოთა მემარჯვენე კათოლიკე-  
ბი. ერთ-ერთი კათოლიკე პუბლიცისტი  
ვ. მორერო ამის თაობაზე კიდევ წერდა  
თავის წიგნში „უნამუნოსეული ქრის-  
ტე“, რომ უნამუნომ ქრისტე ღმერთა-  
ციდაა გადააქცია მითად, რომელსაც ყო-  
ველი ერი თავის ყაიდაზე გამოჭრის, თუ  
მოისურვებსო“. უნამუნო წერდა: „გვა-  
ჩუქე შენი სიგიყე, ოჰ, ჩვენო მარადი-  
ულო დონ კიხოტე! რომ იცოდე, რო-  
გორ ვიტანჯებით შენს თანამემამულეთა  
შორის, რომელთაც შერჩათ ოდენ პატი-  
ვმოყვრული თავდაჯერება მას შემდეგ,  
რაც შენ წაიღე მთელი ჩვენი გმირული  
სიგიყე!“

უნამუნომ და, საერთოდ, მთელმა  
„თაობამ“ განსაკუთრებული ყურადღებ-  
ის ცენტრში დააყენეს დონ კიხოტეს სა-  
ხე: როგორც ეროვნული მითის პრობ-  
ლემა, აუცილებლად მიიჩნიეს მისი ახ-  
ლებული ინტერპრეტაცია-კომენტირება,  
რადგან მის სახეში ხედავდნენ სწორედ  
ესპანურ ხასიათს, სულს, ისტორიას,  
ხოლო უნამუნომ წიგნი ესპანეთის ბიბ-  
ლიად გამოაცხადა, რადგან, მისი რწმე-  
ნით, მხოლოდ დონ კიხოტეს სიგიყეს,  
ანუ იდეალის რწმენას შეეძლო გადაერ-  
ჩინა ესპანეთი.

უნამუნოს მთელი სულიერი ევოლუ-  
ცია განიხილება მისი დამოკიდებულებით  
დონ კიხოტესადმი, ამასთან ყოველ ეტა-  
პზე ამ სახის სრულიად სხვადასხვა  
ინტერპრეტაციას ვეთავაზობდა მი-  
სი საზოგადოებრივ-რელიგიურ-ფილოსო-  
ფიური იდეები ყალიბდებოდა დონ კიხო-  
ტეს გარშემო და მასთან მიმართებაში.  
უნამუნოს აზრით, სანჩო პანსას სახეში  
მთავარია მისი რწმენა თავისი პატონი-

სადმი, მისი შინაგანი „კიხოტირება“,  
ხოლო, რაკი სანჩო განასახიერებს  
ხალხს, რომელიც ცხოვრობს უშფოთვე-  
ლად, სჯერა მღვდლებისა, ბაკალაერე-  
ბისაც, დალაქებისაც, სანამ დონ კიხოტე  
არ გადასდებს მას ~~ქრისტე-ესტრეეს~~ „მა-  
შასადამე, შეიძლება ~~ქრისტე-ესტრეეს~~ კერტიანად  
„გაკიხოტირდეს“ და აი, — სწორედ ხა-  
ლხის კიხოტირებაზეა დამოკიდებული  
ესპანეთის მომავალი. დონ კიხოტე რაი-  
მე სოციალურ ძალას კი არ წარმოად-  
გენს, ანდა ინტელიგენციას, თუ არის-  
ტოკრატიას, არამედ შემეცნებას, პირო-  
ვნებას, მთელი თავისი ძალადი გამოვ-  
ლინებით, უნივერსალური ადამიანური  
საწყისით. ამიტომ სანჩოს „კიხოტირება“  
ხალხს რაიმე სოციალურ ძალას კი არ  
დაუმორჩილებს, არამედ აზიარებს სუ-  
ლიერ ფასეულობას, ორივე ერთად კი,  
ე.ი. დონ კიხოტეცა და სანჩოც ეროვ-  
ნული სულის დემონსტრაციაა. „კიხოტი-  
ზმის“ კონცეფცია ესპანური ევზისტენ-  
ციალიზმის თავისებური ვარიანტია, რო-  
მლის მეშვეობითაც გარდა ესპანური  
პრობლემისა, შეიძლება გადაწყდეს სა-  
ერთო ევროპული კრიზისიდან გამოს-  
ვლის პრობლემაც, მოინახოს ამ კრიზი-  
სიდან გამოსვლის გზა. ამიტომაც, რომ  
ესპანეთის ევროპეიზაციის პრობლემას  
უნამუნო პირდაპირ უკავშირებდა დონ  
კიხოტეს პრობლემას. მისი დევიზი „გა-  
ვაესპანუროთ ევროპა“ გულისხმობდა  
იმას, რომ დონ კიხოტეს უნდა შეეტანა  
ევროპაში სულიერება, განეწმინდა თანა-  
მედროვე სამყარო, დაესახა მისთვის იდ-  
ეალი „ღრმად ვარ დარწმუნებული ნამ-  
დვილი ევროპეიზაცია მანამდე არ დაი-  
წყება, სანამ ჩვენ თვითონ არ შევიჭრე-  
ბით ევროპის სულიერ სამყაროში, სა-  
ნამ ჩვენ არ ვაიძულებთ მათ მიიღონ ჩვე-  
ნი, ოდინდელი ჩვენი, სანამდე ჩვენ არ  
ვეცდებით გავაფსპანუროთ ევროპა...“  
ამის თაობაზე უნამუნო ეკამათებოდა  
ორტეგა ი გასეტის, რომელიც ამბობდა,  
საწყენია, რომ დონ კიხოტეს ბიბლი-  
ოთეკაში არ აღმოჩნდა ჯორდანო ბრუ-  
ნოს ერთი წიგნიც კი, ან მათემატიკის  
ერთი ტრაქტატიო; ამაზე უნამუნო პა-



სუხობდა, რომ სულაც არ არის ერის და ხალხის განმსაზღვრელი მეცნიერული თუ ეკონომიკური პროგრესი, რადგან ესპანელ ხალხს აქვს თავისი ნორმა — ევროპელ ხალხს კი ემუქრება სწორედ სულიერი გაღარიბება ბურჟუაზიული „პროგრესის“ წყალობით და, ამდენად, სწორედ მას ესაჭიროება ზნეობრივი სრულყოფის შერწყმა მატერიალურთან და მეცნიერულთან. თავად უნამუნო მხოლოდ ამ შემთხვევაში უჭერდა მხარს ევროპეიზაციას, „... მხოლოდ მაშინ გავუღებთ სარკმელს ევროპიდან მონაბერქარს, აღვაესებით კონტინენტური სულით, შევინარჩუნებთ რწმენას. თუ ამასთან ერთად არ დავკარგავთ ჩვენეულ პიროვნულობას და თუკი ვეზიარებით ევროპეიზაციას, ამით შევძლებთ ავალორძინოთ ესპანეთი და თუ კიდევ ჩავყვინთავთ და გავითქვიფებით ხალხშიც, ერთიანად გადავახალისებთ იმ მორალურ უდაბნოს...“ თორემ სხვანაირად „დაგვიფარე, უფალო, ევროპის გამოხაცვალი ძონძებისაგან...“. და, რაც მთავარია, „უნდა ვირწმუნოთ ჩვენთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა, ვირწმუნოთ, რომ მუდამ დავრჩებით თავისთავადნი და, დაე მოვარდეს გარედან შმაგი თქეში, გვესხუროს მაცოცხლებელი წვიმა“ ე. ი. მთავარია, საკუთარი სახის ტრადიციისა, ეროვნული ღვრიტას შენარჩუნება.

რელიგიის კრიტიკა, როგორც სოციალური ინსტიტუტისა და სქოლასტიკური სისტემისა, უნამუნოს ფილოსოფიის ყველაზე მწვავე ნაწილია; ღმერთსაწინააღმდეგო ამბოხი მას ეგზისტენციალიზმის საზღვრებსაც კი აცილებს. იგი აღიარებს მხოლოდ თვითაღსარებას და მისი ნაწარმოებებიც ნამდვილი თვითაღსარების, დაუზოგავი თვითანალიზის იშვიათი ნიმუშებია, გაშიშვლებული გონების წინააღმდეგობრიობაა, ვნებისა და რწმენის გამუდმებული ჭიდილია. მისთვის საერთოდ არ არსებობს ცოდვის, დანაშაულისა და მონანიების საკითხი, უფრო მეტიც, იგი საერთოდ არ სცნობს ადამიანის დანაშაულს, უმალ პირიქით, ადამი-

ანს კი არ მიუძღვის ცოდვა ღმერთის წინაშე, არამედ ღმერთია თვითონ დამნაშავე, რადგან მან გასწირა ადამიანი სასიკვდილოდ. თუმცა მწერალი ყოველთვის თავს არიდებს ღმერთის არსებობა-არარსებობაზე მსჯელობას, მაგრამ არც კი უღიჭებს კამას, როგორც თუნდაც „უმალლეს ვონს“. თავის მცივ რომანში „წმინდა მანუელ სათნო, წამებული,“ იგი ლამის პირდაპირ ამბობს: „ჭეშმარიტება? ვაითუ ეს ჭეშმარიტება რაღაც უფრო შემზარავი აღმოჩნდეს, ლასარო, გაუსაძლისი და ეგებ მომაკვდინებელიც კი! უბრალო ადამიანები ხომ ასეთი სიმართლით ვერ იცხოვრებენ!“ ანდა „მე მწამდა და მწამს, რომ უფალმა ჩვენმა, ვისაც იდუმალი და წმინდა მიზანი ამოძრავებდა, უთუოდ ორივეს შთაუნერგა რწმენა საკუთარი ურწმუნობისა!..“ თვითაღსარების უმდაფრესი ნიმუშია უნამუნოს შემდეგი სიტყვებიც: „აკი მთელს ცხოვრებას წირვალოცვაში ატარებთ, დონ მანუელ, მერუდა მოვიდა რწმენა? „ის კი მიწას ჩაამტერდა და თვალზე ცრემლი მოადგა. აი, ასე დავაცდენინე თავისი საიდუმლო...“ ახლა რომ არ მეთქვა, ისე გამაწამებდა ამაზე ფიქრი, ბოლოს და ბოლოს ალბათ სოფლის მოედანზე გავიდოდი და საჯაროდ გამოვაცხადებდი! ეს კი არ ეგება! არ ეგება! აქ იმისთვის ვარ, რომ ცხოველყო ჩემი სამწყსო, ვასწავლო მათ ბედნიერება და რამენაირად შემწეობა გავუწიო ბოლომდე, ნახონ სიზმარი უკვდავებისა და არა იმისათვის, რომ ჩავუკლა. მთავარია, მათ იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრებით; ხოლო ამ სიმართლით, ჩემი სიმართლით ისინი ცხოვრებას ვერ შესძლებენ. დაე, იცხოვრონ! ესაა ეკლესიის მიზანიც, სწორედ მან უნდა წააქეზოს ხალხი, რომ იცოცხლონ. ჭეშმარიტი რელიგიაო? ყოველგვარი რელიგია ჭეშმარიტია, სანამ ხალხს, ვინც მას აღიარებს, სულიერად ცხოველყოფს, ნუგემს აძლევს მათი ხვედრის გამო, — კაცი ამქვეყნად იმისათვის გაჩნდა, რომ მოკვდეს. ყოველი ხალხისთვის ყველაზე უფრო ჭეშმარიტი რელიგია მისი საკუ-



თარი რელიგიაა, ის, რაც მან თვითონ შექმნა ჩემი რელიგია რაღაა? ჩემი რელიგია ის არის, რომ ვეძებ ნუგეშს სხვათა ნუგეშისცემაში, თუმცა კი ნუგეში, რაც შემოძლია მათ მივცე, ჩემი ნუგეში არ იქნება..." უნამუნო, როგორც პირთვინება, როგორც „დუალისტური სული“, მუდმივად იმყოფება „მოუსვენრობაში“, მაგრამ ასეთსავე მოუსვენრობაში ამყოფებს თავის მკითხველსაც: „ჩემი მიზანია შევარყიო ადამიანთა ყოველგვარი რწმენა, იქნება ეს კათოლიციზმი, რაციონალიზმი, თუ აგნოსტიციზმი და სხვა, რამეთუ ადამიანი მაინც განწირულია მარადიულ მოუსვენრობაში ყოფნისთვის“.

„... შეუძლებელია აბსურდამდე მიხვიდე, თუ უყოყმანოდ აცხადებ, სამყარო არსებობს იმიტომ, რომ მე ვარსებობ და მე ვარსებობ იმიტომ, რომ არსებობს სამყარო და რომ მე უნდა მივიღო მისი ბეჭედი და მივცე მას ჩემი, უკვდავო იგი ჩემში და ჩემი თავი — მასში.“

და მხოლოდ ასე და აშნაირად შეიძლება ვიგრძნოთ, რომ ვცხოვრობთ მუდმივ ქმნადობაში და იმის მაგივრად, რომ ვიმეოროთ „ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაოთ და რომ არაფერია მზის ქვეშ ახალით; — მოვიხმოთ „სისრულე სისრულეთა და ყოველივე სრული! და რომ ყველაფერი ახალია მზის ქვეშ და ყოველი წუთი ჩვენი ხედვისა ახალი ხედვაა!...“ (ესე „სისრულე სისრულეთა და ყოველივე სრული“, — წერდა უნამუნო 1904 წელს. წერდა ყველაზე უფრო „ანტინომიური და დუალისტური“ სულის ადამიანი, XX ს. ეგზისტენციალიზმის აღიარებული მამამთავარი, ყველაზე უფრო დრამატულ ეპოქაში, ათასგვარი „იხმების“ კორიანტელში, ევროპული დეკადანსის მოძალების პერიოდში.

ჭეშმარიტად ეს იყო მეტად რთული და დრამატული ეპოქა, როდესაც ხდებოდა ყველაზე უფრო დიდი ძვრები ქვეყნის ცხოვრებაში — ისტორიის, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნე-

ბის, ფილოსოფიისა და, საერთოდ, აზროვნების სფეროში. ეს იყო პერიოდი, როდესაც სუფევდა საყოველთაო უარყოფის, ცინიზმის, უნდობლობის განწყობილება, ბატონობდა აზრი, რომ ყველაფერი ინგრევა, ინგრევა ყველაფერი, სახელმწიფო, ოჯახი, ცხოველურება ალებდა დაბნეულობისა და შემოფოთების სული. კრიზისმა მოიცვა თითქმის ყველა სფერო და ფენა. ამ ვითარებამ ბუნებრივია, განაპირობა და ნიადაგი მოუმზადა ურიცხვ მიმდინარეობებს, სკოლებსა თუ ჯგუფებს, რაც ელვის სისწრაფით ჩნდებოდა და ვრცელდებოდა ევროპაში — ფუტურიზმი, დადაიზმი, იმაჟინიზმი, კუბიზმი, წმინდა ხელოვნება, სიურრეალიზმი, ექსპრესიონიზმი და სხვ. ამ პროცესებში კი ესპანეთი აქტიურად ჩაება.

ასპარეზზე გამოდიან პირველი ავანგარდისტები, რომლებიც თავიანთი ფილოსოფიის საფუძვლად აცხადებენ ზოსე ორტიგა ი გასეტის „ხელოვნების დეჰუმანიზაციის“ თეორიას, რაც არის ხელოვნებაში კრიზისული ტენდენციების გააზრება და მისი არსი კი — ხელოვნებისა და ცხოვრების პრინციპული დაპირისპირება; გაისმის წმინდა ხელოვნების ქურუმების, პერმეტისტების, სიურრეალისტების მოწოდებები თუ მანიფესტები — ყოველდღე იბადება ახალ-ახალი „იხმები“. ჩილელი ვისენტე უიღობრო ერთ-ერთი პირველი აცხადებს ლიტერატურის სრული ავტონომიის მოთხოვნას, რაც გამოიხატება „კრეასიონიზმის — ესპანური ავანგარდიზმის წამყვან მიმდინარეობაში, ამას მოჰყვება „ულტრაიზმი“, რომლის ლიდერი გილერმო დე ლატორე ქმნის „ვერტიკალურ მანიფესტს“ და მოუწოდებს — გავემიჯნოთ ყოველგვარ პირობითობას, წინ დინამიზმისკენ, სიახლე სიახლისთვის! ამ დროს ესპანურ სამყაროში შემოიჭრება „ნიკარაგუელი ბარბაროსი“ რუბენ დარიო ვერლენის დევიზით „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ და თავისი „სპილოსძვლისკომიკიზმით“ (მ. დე უ.), შემოაქვს „მოდერნიზმის ესპანური ვარიანტი და სრუ-



ლიად ახალ სულს შთაბერავს ესპანურ პოეზიას; პარადოქსების ოსტატი რამონ გომეს დელა სერნა ქმნის ახალ ჟანრს „გრეგერიებს“ (მეტაფორისა და იუმორის შერწყმა) და დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდა პოეტებზე; რამონ დელ ვალიე ინკლანი თავისი ახალი ფორმის რომანს უწოდებს „ესპერპენტოს“, რაც აღიქმება მრუდე სარკეში არეკლილ სინამდვილედ და ეხმაურება გოიას „კაპრიჩოსს“; ცნობილი კომპოზიტორი მანუელ დე ფალდა გადადის კონსტრუქცივის პოზიციებზე და მსოფლიო სახელს მოიხვეჭს (თუმცა ამავე დროს ერთ-ერთი პირველი შეაფასებს ხალხური მუსიკის ტრადიციებს, კერძოდ ანდალუსიური სიმღერისას); ამ დროს იღვმება დიაგილევის რუსული ბალეტი, რომლის მუსიკა ეკუთვნის მანუელ დე ფალდას, დეკორაციები — პაბლო პიკასოს და ერთბაშად მოაჯადოებს თანამედროვეებს; იღვმება ი სტრავინსკის გახმაურებული „ფასკუნჯი“, ასპარეზზე გამოდის ანდრე მალერის, ლუის დე ბუნიუელი, რომლებიც აცხადებენ, რომ ხელოვნებამ ამოწურა თავისი თავი და ჩიხში მოექცა, რომ მთავარია არაცნობიერი, იმპულსები, ბოდვითი მდგომარეობა, სტიქიური ძალები, დროა გამოვეთხოვოთ ლოგიკის კანონებს, ამ ორგანიზებულ აბსურდს და ფართო გზა მივცეთ ფანტაზიას, საგნები დავინახოთ თავიანთი ზერეალური სახით; ხოლო ბუნიელი თავის მხრით ამტკიცებს ახალ ესთეტიკას, მისი დევიზია — დინამიზმი უწინარეს ყოვლისა, ხოლო მათი ერთობლივი ფილმი „ანდალუსიური ძაღლი“ ამ ახალი ესთეტიკის პირდაპირი ილუსტრაციაა. ევროპაში იქმნება პირველი „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკით შესრულებული ნაწარმოებები — (თუ ქრონოლოგიას მივყვებით) — იტალიო ზვევოს „ძენოს თვითშეგეცნება“, შემდეგ ჯეიმზ ჯოისის „ულისე“, (1910 წელს დაიწყო ტრიესტში), მარსელ პრუსტი 1913 წელს იწვევს „დაკარგული დროის ძიებაში“, 1907 წლიდან პიკასო ბრაკთან ერთად

სათავეს დაუდებს კუბიზმს; შემდეგ ეტაპზე იტალიელი ლუიჯი პირახდელი საფუძველს უმზადებს ავანგარდისტულ, აბსურდის, გროტესკის თეატრს, 1910 წელს ზიგმუნდ ფროიდი აყალიბებს ფსიქოანალიტიკოსურ მეთოდს, რომლის საზოგადოებას დაბნელებას იწვევს ბიოლოგიურ არსებად, ინსტინქტების მონად; შეიძლება ითქვას, რომ ეს ვითარება გეგრაფიკულ განაპირობება ფრიდრიხ ნიცშეს განცხადებამ „ღმერთი მოკვდა!“ ადამიანი დაიბნა, იგი დარჩა ღმერთისა და რწმუნის გარეშე, შეიპყრო შიშმა, შიშმა არას წინაშე, გამეფდა ქაოსი, ანარქია; ადამიანი დაეჭვდა ყველაფერში — სამყაროს არამყარობაში, აბსურდულობაში, რომ არ არსებობს კანონზომიერება; ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და ლიტერატურაში, გაბატონდა სკეპტიციზმი სულიერი კრიზისი, მომძლავრდა აპოკალიფსური ხილვები, უიმედობის, სასოწარკვეთილების გრძობა, რამაც თავისთავად განაპირობა ახალი ფორმები.

ამ ეპოქაში, ამ ვითარებაში უნამუნო ფილოსოფოსი და მწერალი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელოვნებისა და პირიქით, ხელოვნებაში საზოგადოებრივი ცხოვრების ადგილისა და მნიშვნელობის, ადამიანის, პიროვნების თეორიული საფუძვლების ძიებამ დააყენა საკუთარი ფილოსოფიური კონცეფციების, გამოსახვის საკუთარი მეთოდებისა და საშუალებების ჩამოყალიბების აუცილებლობის წინაშე, დააფიქრა ახალი მხატვრული ფორმების, ახალი სტრუქტურების შექმნის პრობლემებზე, რამაც თავისთავად დააკისრა ექსპერიმენტატორის როლი, თუმცა კი იგი პრინციპულად წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ექსპერიმენტულობისა, საერთოდ, ყოველგვარი ფორმათქმნადობისა და მით უფრო ფორმალისმისა, რასაც გვიდასტურებენ მისი ესეები თუ წერილები: „ლიტერატურული მებაყეები“, „სპილოსძვლისკომპიზში“ მოდერნიზმი“, „ტრანსპუმანიზმი“, „ხელოვნება და კოსმოპოლიტიზმი“ და სხვ. მაგრამ ამავე დროს იგი ქმნის ისეთ ნაწარმოებებს, როგორცაა „სიყვარული და პე-



დაგოგია“ (1902), „ბურუსი“ (1914) „სიკვდილის სარკე“ (1913), „ცხოვრების ტრაგიკული გრძნობების ადამიანებსა და ხალხებში“ (1912), ქრისტიანობის აგონია“ (1925), „სამი სამოდვრებო ნოველა და ერთი პროლოგი“ (1920) და სხვა, რომელთაც აშკარა ნოვატორულობითა და ექსპერიმენტული ხასიათით საგონებელში ჩააგდეს კრიტიკაცა და მკითხველიც, მითუმეტეს რომ ჟანრობრივი თავისებურების ნათელსაყოფად საკუთარი ცნება-„ნივოლა“ შემოიტანა (ე. ი. ნოველა — რომანი, ესპ. novela-nivola), ხოლო გმირის, პერსონაჟის განსასაზღვრავად — „აგონისტი“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ნაწარმოებთა შეფასება ძალზე დაგვიანდა და მხოლოდ მაშინ შენიშნეს და აღნიშნეს, როცა ევროპაში მსგავსი ნოვაციები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. საინტერესოა ისიც, რომ თავად უნამუნო თავს ნოვატორად და ექსპერიმენტატორად არ თვლიდა, მისთვის, საერთოდ, ზღვარიც კი არ დევს ტრადიციულსა და ნოვატორულ-ექსპერიმენტულს შორის, რადგან მისი უპირველესი მიზანი იყო რაც შეიძლება სრულად და ამომწურავად გადმოეცა თავისი კონცეფციები, ხოლო ყოველგვარი ფორმა შემოქმედებისა მხოლოდ პიროვნების სრულად გამოხატვის ხერხი და საშუალება გახლდათ. „მე არც ისტორიკოსი ვარ, არც სოციოლოგი, მე მუდამ ვეყრდნობი წმინდა ინდივიდუალურ შეგრძნებებს და საკუთარ მოსაზრებებს გამოვთქვამ, თუმცა ზოგიერთმა თავს ნება მისცა ჩემთვის მეცნიერი ეწოდებინა და ჩემს რაღაც თეორიებზე ემსჯელა, მაშინ როცა, საკუთარი შეგრძნებებისა და შთაბეჭდილებების მეტი სინამდვილეში არაფერი გამაჩნია“; ასე აფრთხილებს მწერალი მკითხველს, რადგან მისი მხატვრული ნაწარმოებები ხშირად განიხილება როგორც მისი ფილოსოფიური კონცეფციების ილუსტრაცია. ამის თაობაზე უნამუნო წერდა; „მე მინდა ვწერო ფილოსოფიაზე ისეთი ენით, როგორც ჩვეულებრივ გვთხოვენ ხოლმე, ერთი ფინ-

ჯანი შოკოლადი დამალევინეთო, ანდა როგორც საუბრობდნენ მოსავეალზე თუ სხვა ოჯახურ წვრილმან საკითხებზე“ — და მართლაც, თითქოს არც ჩრლვევა ამ „წვრილმანი საუბრების“ ტონი, თითქოს მწერალი თავსაც ეჭვქვეშ დაიწყო ფილოსოფიური თემებისა და მსგავსე საკითხების, მაგრამ ამ წვრილმანი საუბრების ენაზე ისმება ყველაზე უფრო რთული პრობლემები და ისმება იმგვარად, რომ უმეტესად ვერც აღვიქვამთ მათ როგორც პრობლემებს; მაგრამ ამასთან მის მხატვრულ ნაწარმოებებშიც, ესეებშიც, პერსონაჟთა და განსაკუთრებით მის გმირ-„აგონისტთა“ სახეებშიც აშკარად ჩანს სამყაროსა და პიროვნების სრულიად ახლებური, წმინდა უნამუნოსეული კონცეფციები, სუბიექტური აღქმა, საკმაოდ არგუმენტირებული პოზიცია, ეთიკა, ესთეტიკა და სხვ.

დოგმებისა და კანონების დაუძინებელი მტერი, უნამუნო, მუდამ ცდილობს ააფორიქოს მკითხველი თუ მამენელი, არ მისცეს მას ჩათვლემის საშუალება, ღრმად ჩააფიქროს საკუთარ რაობაზე, მრწამსზე, ამყოფოს მუდმივი მოუსვენრობის მდგომარეობაში; ხოლო ეს სწორედ ის მდგომარეობაა, რომელშიც იმყოფება თავად ავტორი, მუდმივადაა ჩართული თავად ავტორი, რომელიც ამ ავე დროს თავის მკითხველს მიიჩნევს „თანა-მშრომლად“, „თანა-ავტორად“ ანუ „თანა-შემოქმედად“, რომელსაც მისი ნაწარმოების კითხვისას აღმოხდება „აკი მეც ასე ვფიქრობდიო“, „ეს ხომ მეც მომსვლია აზრადო!“...

„ყოველ ცოცხალ ადამიანში დევს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და წამალი მათი — შვიდი სათნოება: ამპარტავენებას — სიმდაბლე, ანგარებას — მოწყალება, სიძვას — უმანკოება, მრისხანებას — სიმშვიდე, ნაყროვანებას — მარხულობა, შორს — სიყვარული, მიმოწვლილველობას — სასოება და მას შეუძლია, თავისი თავიდან ერთნაირად ამოზიდოს ტირანიცა და მონაც, ბოროტმოქმედიცა და წმინდანიც, აბელიცა და კაენიც“...

უნამუნოს ეს ეთიკური და ესთეტიკუ-



რი კრედიო ყველა შემთხვევაში განხილულ პირობებთან ერთად დაედო საფუძვლად მის შემოქმედებას.

უნამუნოს პირველი მხატვრული ნაწარმოებია „მშვიდობა ომის დროს“ (1897), რომელშიც ყველაზე სრულად გამოჩნდა მისი „ინტრაისტორის“ კონცეფცია. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თავისებური ავტობიოგრაფიული რომანი, რომელშიც უმაწვილი უნამუნოს თვალთაა და ნახული და განცდილი II კარლისტური ომის პერიოდი, ყოფა-ცხოვრება ხალხისა, რომლებიც შრომობენ, უყვართ, სძულთ, მიდიან ომში, იხოცებიან, უჭირთ, უღბინთ და ასე მდორედ და უღიმღამოდ მიედინება მათი ყოველდღიურობა, ისინი არც კი უღრმავდებიან ომის მიზეზებსა და მიზნებს, იმდენად არიან ჩაფლული თავიანთ სანიაღვრელო პრობლემებში. რომანში ცხადად და რეალურადაა აღწერილი ბილბაოს და საერთო ბისკას რეალური სურათები, ვითარება; მასში არ არის გამოკვეთილი ერთი რომელიმე პიროვნება, ინდივიდი, პერსონაჟი მთელი ხალხია. როგორც თავად უნამუნო წერდა — „ეს არ არის რომანი, ეს არის ხალხი“. წიგნში ამკარადაა დაცული რომანის ტრადიციული ფორმაც და შინაარსიც.

მაგრამ „მშვიდობა ომის დროს“ აღმოჩნდა მიჯნა, რომლის შემდეგ უნამუნომ შექმნა ამ პერიოდისთვის ყველაზე ნოვატორული, სრულიად განსხვავებული ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებები. ესენია „სიყვარული და პედაგოგია“ (1902), „ბურუსი“ (1914), „აბელ სანჩესი“ (1917), „წმინდა მანუელ სათნო, წამებული“ (1930), „სამი სამოძღვრებო ნოველა და ერთი პროლოგი“ (1920), რომლებშიც გამოხატულება ჰპოვა შემთხვევითი განხილულმა კონცეფციებმა და პრობლემებმა. მაგრამ მათი პრიორიტეტი, როგორც შემთხვევით, მხოლოდ მაშინ აღიარეს, როცა ევროპაში მსგავსი ნოვაციები უკვე დადგინდა და გაფორმდა.

პირველი რომანის შემდეგ უნამუნო წერდა: „ისე არ მოკვდები, ტრაგიკული ბუფონადა ან ტრაგედია — ბუფი არ და-

ვწერო; მაგრამ თუ დაწერ, ისე დაწერ, რომ ტრაგიკული და გროტესკულ-სახუმრო ერთიმეორეს კი არ ენაცვლებოდეს, არამედ ერთიანად შერწყმულ-შედუღებულ იყოს!..“ პირველი ასეთი რომანი აღმოჩნდა „ხევესტრუსი“ და პედაგოგია“, რომელშიც უნამუნომ ტრაგიკული ოსტატობით გამოიკვეთა გროტესკის, იუმორის, ეგზისტენციალისტური მსოფლადქმის, მეტაფიზიკის, ბუფონადისა და ტრაგედის იშვიათი შერწყმა. ასე რომ, ნაწარმოებს შეიძლება ეწოდოს და კიდევ უწოდებენ ხან ტრაგიკომედიას, ხან ტრაგიკულ ბუფონადას და გროტესკულ ტრაგედიას; რომანში ყველაზე უფრო ჩამაფიქრებელია ცხოვრების ფარსის მწარე განცდა და ეს იმგვარი ფორმითაა მოცემული, რომ აღიქმება როგორც ტრაგედია კომედიაში ანდა პირიქით. ამ, ერთი შესედეით, იუმორისტულ-სატირულ რომანში, რომელიც მიმართულია მეცნიერების წინააღმდეგ, გასაქანს, რომ არ ახლევს ბუნებრივ ცხოვრებას, და თვითონ წარმართავს ამქვეყნად ყველაფერს — სიყვარულსაც, ქორწინებასაც, ბავშვის დაბადება-აღზრდასაც და ბოლოს სიკვდილსიცოცხლესაც, მეცნიერების წარმომადგენელია რომანის პროტაგონისტი დონ ავიტო კარასკალი, მეცნიერების ყოვლას-შემძლეობის რწმენით შეპყრობილი კარიკატურული სახე, რომელიც დარწმუნებულია, რომ მოწოდებულია შექმნას გენიოსი. ამ ექსპერიმენტს იგი ატარებს საკუთარ შვილზე, როგორც „საცდელ ბაჭიაზე“. რომანში არაჩვეულებრივი იუმორის გრძობითაა აღწერილი მისი დიდაქტიკური ტირადები, მისი ცხოვრების წესი; მაგრამ მეცნიერების ყოვლისშემძლეობის მისეული რწმენა ყოველი ფეხის ნაბიჯზე განიცდის მარცხს; ამ მეთოდით აღზრდილი უმაწვილი წარმოგვიდგება მარიონეტად, ადამიანის კარიკატურად, მაგრამ დონ ავიტო ყველაზე დიდ მარცხს განიცდის. მაშინ, როდესაც „საცდელი ბაჭია“ ამბოხდება და აცხადებს, „რამი მჭირდება მეცნიერება, თუ იგი ბედნიერებას არ მომიტანსო“ — და, როცა უკვე საბოლოოდ



გაიაზრებს თავისი არსებობის აბსურდულობას, თავის ამ მარიონეტულ ცხოვრებას თვითმკვლევლობით დაასრულებს. რომანის სხვა პერსონაჟებიც მეტნაკლებად მარიონეტები არიან და კითხვას, მაინც რა არის ცხოვრება და ბედნიერება, სხვადასხვანაირად პასუხობენ; დონ ეპიფანიო ცხოვრების აზრს ხედავს ყოველდღიურ ყოფაში, მენაგუტი — პოეზიაში, მარინა — ძილსა და სიზმრებშია ჩაფლული და საერთოდ რეალური ცხოვრებისგან განდგომილია, დონ ავიტოს კი ბოლომდე სწამს მხოლოდ მეცნიერება და მასში ხედავს თავისი არსებობის აზრს.

ცხოვრების ფარსის მწარე განცდა ყველაზე ნათლად ჩანს მეორე, ძალზე საინტერესო პერსონაჟის სახეში. ეს გახლავთ დონ ფულხენსიო ენტრამბოსმარესი — როგორც გვარი მიგვანიშნებს „ორ წყალშუა“ მყოფი გმირი, — რომელიც თითქოს თავას გასართობად თხზავს აბსურდულ აფორიზმებს, ხელოვნურად იქმნის გარემოსა და ვითარებას, თავი მოაქვს ერთ ახირებულ ადამიანად, მაგრამ სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ თურმე მას სტანჯავს საკუთარი თვითიდენტიფიკაციის, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, რასაც კვლავ მისივე „თვითაღსარების“, თვითანალიზის დროს ვიკებთ. აღსანიშნავია, რომ მისი ზოგიერთი, ვითომ ზერეულედ წამოსროლილი, ფრაზა თუ „აფორიზმი“ სხვა ნაწარმოებებში შემდეგ უკვე კონცეფციებად ყალიბდება. ნაწარმოებში, რომელიც, ერთი შეხედვით, შეიძლება სქემატურიც კი გვეჩვენოს, ორბლანია — ერთი ყოფითი, კომიკური ან ტრაგიკომიკური და ფილოსოფიური; მწერალი სულაც არ ზრუნავს მიახიჭოს მას დამაჯერებლობის ელფერიც კი, არ ზრუნავს მისი ბუნებრიობისთვის, ბუნებრიობა თითქოს ეწირება ფილოსოფიური თეზისების ეფექტურად წარმოჩენას... რომანში წამყვანია პირობითობა, პარაბოლურობა და, რაც მთავარია, ირონიული ინტონაცია.

ამ რომანით უნამუნომ აღასრულა დანაპირები: „მინდა ვცადო იუმორისტული ჟანრი. ეს იქნება რომანი ტრაგიკულსა

და გროტესკულს შუა; ყველა პერსონაჟი იქნება კარიკატურული“.

„ჩემი პერსონაჟები წარმოიქმნებიან მათივე ქცევებიდან და საუბრებიდან, განსაკუთრებით საუბრებიდან; მათი ხასიათები თანდათანობით ქსელიანდება...“ ზოგჯერ მათი ხასიათები სწორედ ხასიათების უქონლობაში ვლინდება... „თავიდან მგონია, მე მიმყავს ისინი, მერე კი ვრწმუნდები, რომ, პირიქით, მათ მივყავარ. ხშირად ისეც ხდება, რომ ავტორი თავისივე ქმნილებათა ხელში სათამაშოც კი ხდება“. — ამას წერს უნამუნო რომანში, რომელსაც უწოდებს „ნივოლას“ („ნოველის“ საპირისპიროდ), რაც შეიძლება ასე ვთარგმნოთ „რიმანი“; ასე განსაზღვრავს თავად ავტორი რომანის ჟანრს და წიგნიც ნამდვილი „ნივოლაა“, რომელიც კარდინალურად უპირისპირდება რომანის ტრადიციულ ჟანრს. თითქოს უნამუნოსთვის ფორმა არც არის თვითმიზანი, ეს უფრო უნდა იყოს ხერხი, რომელიც მეტ საშუალებას მისცემს ნათლად გამოხატოს საკუთარი მსოფლალქმა, თავისი „ტანჯვით გამოტანილი“ კონცეფციები, პიროვნების შინაგანი სამყარო, ილუზორული და რეალური სამყაროს, სახისა და ნიღბის“ შეპირისპირების მისეული კონცეფციები.

„მაინც რა არის ჩვენი ცხოვრება, რომანია, რიმანი, თუ რამე სხვა? ის, რაც ჩემს თავს ხდება, ან რაც ჩემს გარშემომყოფთ ემართებათ, რეალობაა, თუ გამონაკონი? იქნებ ეს ღმერთის სიზმარია, ანდა ვინმე სხვისი, და ჩვენც ვლოცულობთ და ვვალობთ, პიძნებს ვუმღერით, რომ გავაგრძელოთ მისი სიზმარი და ძილი, თორემ თუ გაიღვიძა, ეს სიზმარიც სულ ერთიანად გაიფანტება. იქნებ ყოველგვარი რელიგიური ლიტურგია ღმერთის ძილის გავრძელების საშუალებაა მხოლოდ და მხოლოდ, რომ არ გაიღვიძოს და სიზმარი არ გაუწყდეს“...

რომანში ღიდი მნიშვნელობა ენიჭება ანტითეზას — ცხოვრება და სიზმარი, საერთოდ უნამუნომ კალდერონის პიესის ეს ღრმად ფილოსოფიური თეზისი



კონცეფციის რანგში აიყვანა და განავითარა მრავალ ესესა და რომანში;

„...შეგონიათ, რომ ცხოვრობენ ცხადად და არ იციან, რომ სინამდვილეში ცხადად ცხოვრობს ის, ვინც შეიმეცნებს საკუთარ სიზმარს“...

ცხოვრებაში არ არსებობს წესრიგი, ლოგიკა, კავშირი; ცხოვრებას „შინაგანი რიტმია“ შემთხვევა, „შემთხვევა პოეზიის სულია“. ცხოვრების კალეიდოსკოპურობა, გონებას არ ემორჩილება, უპირატესობა ენიჭება ინტუიციას ექსტაზს. „ბურუსში“ ორი ძირითადი პრობლემაა დასმული — უკვდავება და შემოქმედება, მწერალი დასკვნის — ჭეშმარიტად უკვდავი და რეალურია პიროვნება, რომელიც შექმნა შემოქმედმა და არა მისი ცხოვრებისეული პროტოტიპი, აქედან გამომდინარეობს უნამუნოს ცნობილი თეზისი — „დონ კიხოტე უფრო რეალურია, ვიდრე სერვანტესი“. თუ გამოგონილი გმირი არის იდეა, მაშასადამე, იგი უკვდავიცაა, რადგან იდეა უკვდავია.

„... არ ვიცი, ეგებ ჩემი ნოველის „ბურუსის“ გმირი, აუგუსტო პერესი მართალიც იყო, რომ აცხადებდა, მე გაცილებით რეალური და ობიექტური ვარ შენზეო, როცა მე თვითონ ვაცხადებ, მე მისი შემქმნელი გახლავარ-მეთქი? აზრადაც არ მომივა ეჭვი შევიტანო წმინდა მანუელ სათნოს, წამებულის რეალობაში, რომელიც ხელახლა შექმნა მისი მოწაფისა და სულიერი მვილის, ანხელა კარბალინიოს კალამმა და მე მისი რეალობა უფრო მეტად მწამს, ვიდრე თვითონ წმინდანსა სწამდა და უფრო მეტად, ვიდრე მე მწამს ჩემივე რეალობა!“

„ბურუსი“ ყველაზე პოპულარული რომანია, იგი ითარგმნა და გამოქვეყნდა მრავალ ენაზე და დიდი რეზონანსი ჰქონდა (ქართულად ითარგმნა 1986). მას უწოდებენ ტრაგიკომედიასაც, გროტესკულ რომანსაც და ზოგჯერ ფანტასტიკურსაც კი. ეს ნაწარმოები ასევე ორპლანიანია — ყოფითი, კომიკური ან ტრაგიკომიკური და სიმბოლურ-ფილოსოფიური. „ბურუსის“ მეტაფორული აზრია — ცხოვრება

ყველა გამოვლინებაში ბურუსია. რომანი თავისი პარაბოლურობით, ორპლანიანობით, პერსონაჟთა მარიონეტულობით, ტრაგედიისა და ბუფონადის, ილუზორული და რეალური სამყაროს, ხასიათისა და ნაღბის შეპირისპირებულ მთქმელობაში, პიროვნების პრობლემულ მულტიპლიკაციის მეტად საინტერესო გადაწყვეტით, მჭიდროდ უკავშირდება რომანს „სიყვარული და პედაგოგიკა“ და ორივეში ერთნაირად დასმულია უნამუნოს ყველაზე მთავარი პრობლემები. თავად უნამუნო წერდა: „ეტყობა, მიზეზი მაინც ისაა, რომ ჩემი „ბურუსის“ ფანტაზია და ტრაგიკომიზმი უფრო მეტს ეუბნება ადამიანს, როგორც პიროვნებას, საერთოდ ადამიანს, რომელიც ყველა კლასზე, კასტასა და სოციალურ ფენაზე უფრო მაღლა დგას და ამავე დროს დაბლაც, ადამიანს, ღარიბი იქნება ის, თუ მდიდარი, მდაბიო თუ კეთილშობილი, პროლეტარი თუ ბურჟუა...“

„1917 წელს გამოვაქვეყნე „აბელ საჩესა“, „ერთი ვნების ამბავი“, ჩემ მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტთა შორის ყველაზე მტკივნეული, ისეთი მტკივნეული, თითქოს ჩვენი რასისთვის საერთო სენს, საშიშ სიმსივნეს დანა დავუსვიო...“ — მართლაც, ამ მცირე რომანში მთელა სიცხადით გამოჩნდა უნამუნოს ეთიკური, ესთეტიკური და ფილოსოფიური მრწამსი, ადამიანის პიროვნების, სულის, ხასიათის, ვნებას, რწმენის, ყველაზე ღრმად დაფარული თვისებები, — „მე მინდოდა ჩამედწია ადამიანის გულის ისეთ სიღრმეებსა და საძალავეებში, სულის ისეთ კატაკომბებში, ადამიანებს რომ ეშინიათ ჩაღრმავება...“ უკვე სათაურშივეა მინიშნებული ნაწარმოების ბიბლიური წარმოშობა, მაგრამ მწერალს ბიბლიური ლეგენდა ესპანეთის ნიადაგზე გადმოაქვს, თანამედროვე ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს და გლობალურ ადამიანურ განზოგადებამდე აქყავს. ყველაზე უფრო საინტერესოა ის, რომ ბიბლიურ პერსონაჟებს უნამუნო როლებსაც კი უცვლის და მათ სრულიად საპირისპირო კუთხით წარმოაჩენს. მთავარი გმირი ხოაკინ მონეგრო, კაენის პრო-



ტოტიპი, გაცვილებით უფრო მაღალი ღირსებებითა და ნიჭით დაჯილდოებული, ნამდვილი „აკონისტი“-მსხვერპლია, ხოლო აბელი ცხოვრებისაგან განებივრებული პასიური, თვითკმაყოფილი, მკვეთრად გამოძერწილი ანტიკმირია.

„აბელ სანჩესში“ კიდევ უფრო მძაფრადაა გამოვლენილი უნამუნოს შემოქმედების უმნიშვნელოვანესი პრობლემა — მარტოობისა და გაუცხოების პრობლემა. „...მაშინ მივხვდი, რომ ეს ქვეყანა უსამართლოდაა მოწყობილი, დასაბამითვე უსამართლო იყო, რომ მე დავიბადე უცხოთა შორის და ვერასოდეს მივიჩნევდი მათ ჩემიანებად. ჩემი უბედურება ის იყო, რომ ბედმა მარჯუნა უცხოთა შორის ცხოვრება“, — ამბობს ხოაკინ მონეგრო — კაენი.

საერთოდ კაენისა და აბელის ბიბლიური ლეგენდა უნამუნოს შემოქმედებაში ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი თემაა, რადგან მწერალი ამ ლეგენდაში, აბელისა და კაენის ამ ტრაგედიაში ხედავს ადამიანისა და მთელი კაცობრიობის ბედუკუღმართობის პირველმიზეზს და ძმათამკვლევლობის დასაბამს, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს შური და თვითვანმტკიცებისთვის ბრძოლა. მაგრამ მწერალი კიდევ უფრო ღრმად და შორს მიდის და მიზეზს ლამის პირდაპირ ასახელებს „...და მოიხილა ღმერთმან აბელსა ზედა და აღუენთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა არა მოიხილა...“ და უკვე მის ინტონაციას ირონიაც კა შეეპარება, „აბელის კრავები ხომ ეამებოდა უფალს და მას, ცხოვართა მწყემსს მოწყალე თვალთაც უყურებდა უზენაესი; ხოლო კაინის, ქუეყნისა მშრომელისა მიერ მირთმეული ნაყოფთაგანი მიწისა არ ეამებოდა და კაინსაც დაკარგა უფლის წყალობის იმედი. აბელი იყო უფალი ღმერთისგან გალაღებული და განებივრებული, კაინი მისგან მოძულებული...“

კაინისა და აბელის თემას უნამუნო კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით უბრუნდება სტატიაში „ესპანური შური“, ესეში „ცხოვრების ტრაგიკული გრძობის-

თვის...“ პიესებში „სხვა“, „ძმა ხუანი, ანუ სამყარო თეატრია“ და სხვ.

„... ვითარცა მოსემ, ვცან მე უფალი, უდიდესი ჩვენი სიზმარი და ვიხილე პირი მისი, ხოლო შენ იცო, რას ღაღადებს საღმრთო წიგნი...“ — კაცი, რომელმან იხილა „წმინდა მანუელისა“ ვინც იხილა თვალნი მისნი, როცა გვიმზერს ის სიზმრისეული სახე, იგი მოკვდება და აღარ იქნება არცა კურნებაი და არცა დაბრუნება. მაშ, დაე, ნუ იხილავს სიცოცხლეში ჩვენი ხალხი სახეს უფლისას, რამეთუ სიკვდილის შემდეგ არავინ არაფერს იხილავს და შევვიძლია ამაზე არცა ვიზრუნოთ...“, ამბობს მცირე რომანის „წმინდა მანუელ სათნო, წამებულის“ — პროტაკონისტი, მამა მანუელი, სოფლის სულიერი მოძღვარი, ხალხის მიერ წმინდანად და სათნოთ წოდებული, ანუ თვით უნამუნოს პროტოტიპი, რომელსაც კიდევ სწამს და კიდევ არა, მერყეობს, ეჭვი სტანჯავს. იგი უნამუნოსეული „აკონისტია“ და მისი ცხოვრებაც თვითვემანაა, წამებაა. და აი, როდესაც წმინდა მანუელი (სახელთა სიმბოლიკა, ემანუელი) იგრძნობს, რომ „დასასრულს უანლოვდება სიზმარი მისი ცხოვრებისა“, მაშინ კი გაუმხელს ერთ თავის სულიერ შვილს საიდუმლოს, რომელსაც მძიმე ლოდოდ ატარებს გულზე მთელი ცხოვრება; ეს კი კვლავ უნამუნოსეული მწარე და დაუნდობელი თვით აღსარებაა: „აკი მთელ ცხოვრებას წირვალოცვაში ატარებთ, დონ მანუელ, მერედა მოვიდა რწმენა? — მამა მანუელის აღსარება, შეიძლება ითქვას თვით უნამუნოს აღსარებაა, მისივე წამებაა, მისივე მერყეობაა, მისივე ეჭვი და მასთან ერთად შეუძლია გაიბეოროს: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდილამდე...“ მაგრამ, ამ რწმენის მიუხედავად, უნამუნოცა და მისი გმირებიც მაინც ეძებენ რაღაც ნუგეშს, თავიანთი არსებობის გამართლებას და რელიგიის მიზანსაც.

„... რელიგიის მიზანი ის კი არ არის ამქვეყნად ეკონომიკური და პოლიტიკუ-



რი დავა გადაწყვიტოს, ეს ღმერთმა ადამიანებს მიანდო, რა თვალსაზრისზეც არ უნდა იდგეს ხალხი, რაც არ უნდა ქნას, სულ ერთია, ნუგეშს მაინც იმაში უნდა ხედავდეს, რომ ამქვეყნად გაჩნდნენ, რათა იცხოვრონ, კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ხვედრისა, შეინარჩუნონ ილუზია, რომ ამ ცხოვრებაში რაღაც აზრი მაინც არის...”

1930 წელს უნამუნო თურმე ისვენებდა ტბასთან მარტინ დე კასტანიედას სანაპიროზე, ქალაქისაგან, ცივილიზაციისგან მოწყვეტილ ერთ მეტად მყუდრო კუთხეში, სადაც თურმე იყო ერთი ძველი ეკლესია და მონასტრის ნანგრევები; აქ მოუსმენია მას გადმოცემა ტბაში ჩაძირული სოფლის ვალდერდე დე ლუსერნას შესახებ და სწორედ ეს სოფელი გახდა მისთვის „ინტრაისტორიაში“ მიძინებული სოფლის, ოდინდელი რწმენის, ნამდვილი ცხოვრების სიმბოლოდ და დაედო საფუძვლად ამ რომანსაც. და როცა გულგატეხილი უნამუნო წერდა, „იდეალის გრძნობასთან ერთად გაქრა რელიგიური გრძნობაც და ალბათ მარტო ხალხის წიაღშიღა თვლემს. ნეტავი ეროვნული სულის რომელ კუნჭულში გაიტვრინა ის რელიგიური იდეალი...“ სწორედ აქ, ვალვერდე დე ლუსერნაში მიაგნო, მიაგნო იმ „ინტრაისტორიულ“ ცხოვრებას, რწმენას, „ეროვნულ დგრიტას“, რასაც მთელი ცხვრების მანძილზე ეძიებდა. ეტყობა, ესაა მიზეზი, რომ ეს ნაწარმოებიც ასე გამოირჩევა მის შემოქმედებაში თავის ბუნებრიობით, სისადავით, დამაჯერებლობით, სინათლით. ყველა პერსონაჟი ასევე ნამდვილი, ცოცხალი, სისხლისა და ხორცისგან ქმნილი ადამიანია, და ასევე ცხოვრობენ თავიანთი ბუნებრივი ცხოვრებით ამ რეალურ ხილულ სამყაროში, უღბინთ, უჭირთ, ყოველდღე ადავლენენ თავიანთ სულიერ მამასთან ერთად ლოცვას უფლის მიმართ, შრომობენ, ზრდიან შვილებს, იხოცებიან და არავითარი „მისტიკური ბურუსი“ არ აწუხებთ. მათი რწმენაც საუკუნეებში გამოვლილი რწმენაა, წი-

ნაპრებისგან მიღებული, მათი ცხოვრება საუკუნეობრივი ტრადიციის, ადამიანებისა და ზნე-ჩვეულებების უწყვეტი ციკლია.

„თუკი ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე ძვირფასი და სასუფუძრუ უძველესი წაგვართვეს, სწორედაც მხოლოდ იმის გამო უნდა დავაყენოთ ყველა ჭეშმარიტება, რათა მოვკლათ დრო, მარადისობა და ჯავრიც ვიყაროთ.“

რელიგიის კრიტიკა, როგორც სოციალისტური ინსტიტუტისა და სქოლასტიკური სისტემისა, უნამუნოს ფილოსოფიის ყველაზე მწვავე ნაწილია; ღმერთსაწინააღმდეგო ამბოხს იგი ეგზისტენციალიზმის მიღმაც კი მიჰყავს. იგი აღიარებს მხოლოდ თვითაღსარებას და მისი ნაწარმოებების უმეტესობაც ნამდვილი თვითაღსარების, დაუზოგავი თვითანალიზის იშვიათი ნიმუშებია, გამომწვეული ვნებებისა და გონების წინააღმდეგობრიობაა, ვნებისა და რწმენის გამუდმებული ჭიდილია.

მწერალი და მისი გმირები მუდმივად ცხოვრობენ და მოქმედებენ როგორც „აგონისტები.“ იგი უფრო ქმედითს ცხოვრებას ეწეოდა, ვიდრე მჭვრეტელობითს და ყოველნაირად ერიდებოდა უქმად ყოფნას. როცა მოარულ გამოთქმას შეახსენებდნენ, ვითომ უქმად ყოფნა ყოველი მანკიერების მშობელიაო, ის მაშინვე დასძენდა: „ამაზე უარესი უქმად ფიქრიაო.“ ერთხელ ვკითხე, უქმად ფიქრი რაღას ნიშნავს-მეთქი და მან მომიგო: „უქმად ფიქრი ფუჭი ფიქრის აყოლაა, მარტო საბჭოთა, გულხელდაკრეფილი იჯდე და იმაზე იფიქრო, რაც უკვე გაკეთებულია და არა იმაზე, რაც გასაკეთებელია, გარჯილობასა მოპქონდა საწუთრო დაუღვეველიო! კაცი სულ საქმეს უნდა ეძებდე, ამას წუხილზე უარესი ამქვეყნად არაფერი ვიციო, უკვე მაშინვე მივხვდი, დონ მანუელი ფუჭი ფიქრსა და მარტოობაში ფიქრს იმიტომ გაურბოდა, რომ რაღაც აზრი მოსვენებას არ აძლევდა.“

მიგელ დე უნამუნოს შემოქმედებაში ესეის ჟანრს განსაკუთრებული მნიშვნე-



ნელობა ენიჭება, რადგან სწორედ მათ-  
შია სრულად გადმოცემული მწერლის  
ნაფიქრი და ნააზრევი, მისი ესე კი სა-  
კმაოდ თავისებურია და ხშირად ამ ეან-  
რის ჩარჩოებშიც არ თავსდება. ისინი  
დაწერილია უმეტესწილად პირველ პი-  
რში და აქვთ ამკარად ლირიკული ტო-  
ნალობა, თუმცა ეს ლირიზმი არ გადადის  
ემოციურობაში; მწერალი იდეების სის-  
ტემას კი არ გვთავაზობს, არამედ კო-  
ნკრეტული ადამიანის შემეცნების, სამ-  
ყაროს სუბიექტური აღქმის მხატვრულ  
ასახავს; ეს არის მწერლის პირადი გამო-  
ცდილების, ცოდნის, განცდის, რწმენისა  
თუ მერყეობის გაზიარება; ამიტომაც,  
რომ მისი მკითხველიც თან დაჰყვება  
მის გამოცდილებას და ხელაღებით იზი-  
არებს ან ეკამათება, მაგრამ ეკამათება  
უფრო იმიტომ, რომ საკუთარი აზრი  
შეამოწმოს, საკუთარი შეხედულება გა-  
ნიმტკიცოს. ესეებში ყველაზე სრულად  
ჩანს მწერლის სუბიექტური სამყაროც  
და მისი დამოკიდებულებაც გარესსამყა-  
როსთან; ალბათ ამიტომაც, რომ ხშირად  
მისი მხატვრული ნაწარმოებები ესეებ-  
თან შედარებით უფრო ცივი, მშრალი  
და გონებისმიერი ჩანს, იმის მიუხედა-  
ვად, რომ მათში პიროვნებისა და სამ-  
ყაროს სრულად ახალი კონცეფციაა მო-  
ცემული. რაც მთავარია, ავტორი არა-  
სოდეს იზღუდება დროისა და სივრცის  
ფაქტორით, თუ მხედველობაში არ მი-  
ვიღებთ ცალკეულ რეალებს. თუმცა  
უნამუნო თავისი ეპოქის დიდ მოაზრო-  
ვნედაა აღიარებული. კრიტიკოსები უკ-  
ამათოდ ადასტურებენ მის უნივერსალო-  
ბასაც. მწერლის უკიდევანო დიაპაზონი  
მოიცავს თითქმის ყველა სფეროს, მა-  
ტერიალური იქნება თუ სულიერი; მას  
ეკუთვნის ფუნდამენტური ნაშრომები  
ისტორიის, პოლიტიკის, ლიტერატურის,  
ხელოვნების, ფილოსოფიის, რელიგიის,  
მორალის, სოციალური ცხოვრების,  
ფსიქოლოგიის სფეროში, სწვდება ყველა  
პრობლემას, რაც კი შეიძლება დაიბადოს  
ადამიანის გონებაში.

„იცხოვრეთ ისე, რომ სიკვდილი  
თქვენთვის იყოს უმაღლესი უსამართ-

ლობა!“ — წერდა უნამუნო და მისი სი-  
კვდილი მართლაც უმაღლესი უსამარ-  
თლობა იყო ესპანეთის ისტორიის ამ  
საბედისწერო ვზაჯვარედინზე.

ანტონიო მაჩადო მისი გარდაცვალე-  
ბის გამო წერდა: უკვე მთელი ვერ  
გაუგია, რომ მიხუტული კეთილშე-  
ბურად ეროვნულ კატასტროფას უტო-  
ლდება, ესლა შევცილია ვუთხრათ: მი-  
უტევე მათ, უფალო, რამეთუ არა უწყი-  
ან, ვინ დაკარგეს!“

„მე რომ არ გეუბნებოდეთ იმას,  
რაც უკვე თქვენი სულის სიღრმეშია  
ჩაბეჭდილი, თუმცა კი შეიძლება ეს  
თქვენ თვითონაც არ იცოდეთ, განა მე  
თქვენ წამიკითხავდით? ერთი სიტყვით,  
ვცდილობ, თქვენი სულის ბნელი თუ ბუ-  
ნდოვანი ნააზრევი რაღაც ფორმაში  
მოვაქციოთ და, თუ ჩემი ნათქვამი ზოგ-  
ჯერ კიდევ გაგაბაზრებთ და აღგაშფო-  
თებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მართლაც  
შევხებივარ თქვენი ცნობიერების ნათ-  
ჭებსა და ხვეულებში ღრმად მიმალული  
წამების მიზეზს!“

ასე მიმართავს დონ მიგელ დე უნამუ-  
ნო თავის მკითხველს, ვინც უნდა იყოს  
იგი, ესპანელი თუ სხვა რომელიმე ერ-  
ოვნების ინტელექტუალი თუ არაინტე-  
ლექტუალი, მორწმუნე თუ ურწმუნო,  
რამეთუ მისი თხზულებები უმეტესწი-  
ლად არ თავსდება დროისა და სივრცის  
ჩარჩოებში.

და თუ არაერთხელ აღვნიშნეთ, უნა-  
მუნო ძნელად გასაშიფრი მწერალიაო  
ამასთან დაკავშირებით, იგი ასე მიმარ-  
თავს მკითხველს, რომელსაც იგი თავის  
თანავტორად და თანაშემოქმედად მიი-  
ჩნევს:

„მეცა და, დარწმუნებული ვარ, ჩემს  
მკითხველებსაც გაცილებით უფრო გვი-  
რჩევნია, რომ ჩემმა ნოველებმა მეტი  
გასაქანი მისცეს მათს წარმოსახვას და  
მეტი საზრდო მათს ფანტაზიას. ჩემი  
მკითხველები სულაც არ ეკუთვნიან  
იმათ რიცხვს, ვინც ოპერის მოსასმენად,  
ან კინოფილმის საყურებლად მიდის, —  
ხმოვანი იქნება თუ მუნჯი, — და წინას-  
წარ ყიდულობს ბუკლეტს, სადაც მისა-



შინაარსია გადმოცემული, ოღონდ კი თავი არ შეიწუხოს ფიქრით!”

ღონ მიგელ დე უნამუნოს ნაწარმოებების ჩამოთვლა შეუძლებელია, ასევე ძნელია მის შესახებ შექმნილ მონოგრაფიებისა და, საერთოდ, მისი შემოქმედების გარშემო დაწერილი სტატიებისა თუ კრიტიკული წერილების ჩამოთვლაც. უბრალოდ, შეიძლებოდა მოვიყვანოთ ზოგიერთი გამონათქვამი მისი პიროვნების შესახებ.

**ორტეგა ი გასკეტი:** „უნამუნო როგორც თავისი ღირსებებით, ისე ნაკლოვანებებით იყო გიგანტი“.

„მეთხედი საუკუნე მიწყივ ისმოდა მთელს ესპანეთში უნამუნოს ხმა, ახლა იგი დაღუმდა და მეშინია, რომ ჩვენი ქვეყანა სასტიკი დუმილის ეპოქას განიცდის“...

**ფედერიკო გარსია ლორკა:** „რა დიდია უნამუნო! რამდენი რამ იცის და რამდენს აკეთებს, მერედა რა სინათლე

შემოაქვს ჩვენს გონებაში და როგორ ამკვიდრებს აზრს!“

**ბიოგრაფი და კრიტიკოსი ფერნანდო საბატერი:** „ეპოქის ყველა ჯვალსაჩინო მწერალი სიკვდილის შემდეგ გაივლის სალხინებელს, რათა შემდეგ სამუდამო სამყოფელი დაიმკვიდროს ან რჩეულთა შორის, ანდა დავიწყების ჯოჯოხეთში! მიგელ დე უნამუნო კი, ეჭვგარეშეა, ღირსია ღიღებისა, რამეთუ მისი ხმა მთელი სიმძაფრითა და სიღრმით ისმის მთელს ქვეყანაზე“.

**ანტონიო მაჩადო:** „ოთხ მიგელს, ოთხ ბუმბერაზ მიგელს შორის, რომლებიც აღიქვამდნენ და გამოხატავდნენ ესპანეთის უმთავრეს არსს (მიგელ სერვეტი, მიგელ დე სერვანტესი, მიგელ დე მონტინოსი და მიგელ დე უნამუნო), უნამუნო ღროის მიხედვით კი იყო ბოლო, მაგრამ მათზე პატარა არამც და არამც არ ყოფილა“.





Մասնակցության և հարցեր  
Հարցեր

- Վճար, որպեսզի, չունենան  
տարածված և հարցեր?
- Ենթադրյալ մահ հիշողություն,  
դիմում համը լակտոզի պահ.



հիշողության ժամանակները թուփանցի,  
հիշողության տարածված եղծում,  
համը լակտոզի պահում  
ժամանակները հիշողություն.

հարցերը լակտոզի պահում  
և լակտոզի տարածված.

հարցերը տարածված հարցերը...  
հարցերը հարցերը և հարցերը...

և լակտոզի պահում, լակտոզի  
և լակտոզի պահում լակտոզի.  
տարածված լակտոզի  
տարածված և հարցեր.

հարցերը... տարածված  
ժամանակները լակտոզի.  
հարցերը և լակտոզի լակտոզի,  
հարցերը լակտոզի տարածված.

և լակտոզի լակտոզի,

հարցերը լակտոզի լակտոզի,  
և լակտոզի լակտոզի  
և լակտոզի լակտոզի.